პროტოპრესვიტერი
მიხეილ პომაზანსკი

დოგმატური ღვთისმეტყველება

(მესამე, შესწორებული და შევსებული, გამოცემა)

2010

რედაქტორ-რეცენზენტი **იღუმენი დოსითეოსი (ბოგვერაძე)**,
სასულიერო აკადემიის დეკანი
თარგმანი შესრულებულია **ნინო ბელთაძის** მიერ წიგნიდან:

Протопресвитер Михаил Помазанский
„ДОГМАТИЧЕСКОЕ БОГОСЛОВИЕ“

Фонд „Христианская жизнъ“, Клин 2001

გამოსაცემად მოამზადა **ვლადიმერ ჩხიკვაძემ**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ოთარ წიგნაძისა**

	სსამებრდ	სრ №110
	06.09.2006	

დოგმატურ სახელმძღვანელოთა დანიშნულებაა, ზუსტად გადმოსცენ გამოცხადებითი ჭეშმარიტებანი და განმარტონ ისინი წმინდა წერილზე, წმინდა გარდამოცემასა და წმინდა მამათა სწავლებაზე დაყრდნობით; აგრეთვე წარმოაჩინონ ჭეშმარიტი რწმენის ყველა საფუძველი და შექმნან ურყევი მსოფლმხედველობრივი საძირკველი აღმსარებლობის დასაცავად.


პროტოპრესვიტერ მიხეილ პომაზანსკის სახელმძღვანელოს „დოგმატური ღვთისმეტყველება“ დიდი ხანია იყენებენ სასულიერო აკადემია და სემინარია, საეკლესიო მრევლი და ღვთისმეტყველებით დაინტერესებული საზოგადოება.

ნაშრომი მარტივი ენითაა დაწერილი, მისი სტრუქტურა და გადმოცემის სტილი სრულად ეთანადება საღვთისმეტყველო მეცნიერების თანამედროვე მეთოდოლოგიას. ნაშრომი თავისუფალია ძველი დოგმატური სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელი სიმშრალისა და სტრუქტურალიზმისაგან. ავტორმა შემოგვთავაზა დოგმატური ღვთისმეტყველების, როგორც მეცნიერების, შედარებით ახალი სისტემატიზაცია; გასაგები საღვთისმეტყველო ენით გადმოგვცა ეკლესიაში აღაირებული სარწმუნოების ჭეშმარიტებანი.

სარეცენზიო დასკვნიდან

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მეორე გამოცემაში (2006 წელი) შემჩნეული კორექტურული და ზოგიერთი ტერმინოლოგიური შეცდომების გასწორებულ გამოცემას. მასში, აგრეთვე, დამატების სახით შეტანილია **პროტოპრესვიტერ მიხეილ პომაზანსკის** მიერ გამოკვლეული ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და სულიერი სიბრძნის მაძიებელთათვის უაღრესად საინტერესო თემა: **ღვთის სიტყვაში გაცხადებული ღვთის სიბრძნე.**

გამომცემლებისაგან



წიგნის ავტორის შესახებ

პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი დაიბადა 1888 წლის 7 ნოემბერს ვოლინის გუბერნიის როვნოს მაზრაში, მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების წინადღეს. მისი მშობლები შთამომავლობით მღვდელთა ოჯახებს ეკუთვნოდნენ. ათი წლის მიხეილი კლევანის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. მისი დამთავრებისთანავე იგი შევიდა ვოლინის სასულიერო სემინარიაში (ქ. ჟიტომირი), სადაც მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეუფე ანტონმა (ხრაპოვიცკი). 1908-1912 წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. 1913 წელს დაქორწინდა მღვდლის ქალიშვილზე – ვერა თეოდორეს ასულ შუმსკაიაზე, რომელიც მისი ცხოვრების განუყრელი და ერთგული თანამგზავრი გახდა. 1914-1917 წლებში მიხეილ პომაზანსკი ასწავლიდა საეკლესიო სლავურს კალუგის სასულიერო სემინარიაში. რევოლუციამ, რასაც სასულიერო სკოლების დახურვა მოჰყვა, იგი აიძულა, დაბრუნებულიყო მშობლიურ ვოლინში, რომელიც იმ დროს პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა. 1920-1934 წლებში ასწავლიდა როვნოს რუსულ გიმნაზიაში, თანამშრომლობდა საეკლესიო გამომცემლობებთან. 1936 წელს ეკურთხა მღვდლად და მიეკუთვნა ვარშავის ეკლესიის სასულიერო დასს, როგორც პროტოპრესვიტერის პირველი თანაშემწე. ეს თანამდებობა მას ეკავა 1944 წლამდე. ომის დასრულების შემდეგ მამა მიხეილმა ოთხი წელი დაჰყო გერმანიაში, 1949 წელს კი გადასახლდა ამერიკაში და დაინიშნა წმიდა სამების სახელობის სასულერო სემინარიის მასწავლებლად ჯორდანვილში, სადაც ასწავლიდა ბერძნულ და საეკლესიო სლავურ ენებსა და დოგმატურ ღვთისმეტყველებას.

მამა მიხეილის კალამს ეკუთვნის მრავალი ბროშურა და სტატია. მათი დიდი ნაწილი შესულია კრებულში „ცხოვრების, რწმენისა და ეკლესიის შესახებ“ (ორ ტომად, 1976) და „ღმერთო ჩვენო ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რაოდენცა გნებავს, ჰქმენ“ (1985 წ.). მაგრამ ყველაზე მეტად ცნობილია მისი **„მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველება“** (გამოიცა 1963 წელს, მეორედ – 1992 წელს, ინგლისურ ენაზე ითარგმნა 1984 წელს), რომელიც იქცა **ძირითად სახელმძღვანელოდ ამერიკის ყველა მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში.**

მამა მიხეილი აღესრულა 1988 წლის 22 ოქტომბერს (4 ნოემბერს).

წინასიტყვაობა

ქრისტეს ეკლესიაში ჭეშმარიტება ერთია – ეს ასე უნდა იყოს და არის კიდეც. იგი ისტორიულადაც საერთო იყო ყველა მართალი ეკლესიისათვის და უცვლელი – მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის უდიდესი დღიდან, როდესაც ახალი აღთქმის ეკლესიამ თავისი არსებობა დაიწყო. ასე გაგრძელდა ორი ათასწლეულის განმავლობაში, ასეა ჩვენს დროში და ასე დარჩება ამა ქვეყნის აღსასრულამდე. ეკლესიის ეს თვისება შესანიშნავად არის გამოხატული I მსოფლიო კრების ხსენების დღისადმი მიძღვნილ საღვთისმსახურო საგალობელში (კონდაკში „ოდეს ნიკეას“), რომელსაც ვზეიმობთ სულთმოფენობის დღესასწაულის წინა კვირადღეს. აი ეს საგალობელიც:

„მოციქულთა ქადაგება, და მღუდელ-მთავართა მოძღურება, სწორად ბეჭედად სარწმუნოებისა, და კუართად საღმრთოდ ღმრთის-მსახურებისა, ქრისტეს ეკლესიასა ბრწყინვალედ მოსიეს, და მართლმადიდებლობით ადიდებს დიდსა და უბიწოსა ღმრთისმსახურებისა საიდუმლოსა“.

ქრისტიანული კეთილმსახურების უდიდესი საიდუმლო, ანუ ცხოვრება ქრისტესთან, შენდება ერთი ჭეშმარიტებისადმი ერთიანი, უცვალებელი რწმენით. მართლმადიდებელი ეკლესია გადაჭრით უკუაგდებს ჩვენს წმინდა მამათაგან მოცემულ სწავლებაში სხვადასხვა სიახლეთა შეღწევის თვითნებურ მცდელობებს, თუმც ისინი ზოგჯერ აღმოცენდებიან ცალკეული პირების გულუბრყვილო სურვილიდან – მიიზიდონ რწმენისადმი ყურადღება, ან „განაახლონ“ საეკლესიო ცხოვრება.

წინამდებარე წიგნი – ქრისტიანული დოგმატების გადმოცემა – მოიცავს ზუსტად იმას, რასაც გვასწავლიან წმინდა მოციქულები თავიანთ ეპისტოლეებში, და რაც შემდგომ ძალაში დატოვეს და პირვანდელი სახით შემოინახეს ეკლესიის დიდმა მამებმა სხვადასხვა მწვალებლური შემოტევების წინააღმდეგ თავგანწირული მსახურების შედეგად. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან **წმინდა მღვდელმთავრები: ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი;** წიგნი გადმოგვცემს იმას, რასაც ეკლესია იმარხავს, უვლის, შეუბღალავად იცავს და აღიარებს დღევანდელ დღემდე.

რადგანაც რწმენაა წყარო ცხოვრებისა და თავადაც სიცოცხლეა, თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებზე დაყრდნობით დოგმატური გადმოცემა ყურადღებას ამახვილებს სარწმუნოების სწავლების სხვადასხვა ასპექტზე, რომელთა მოცემულ პერიოდში დამკვიდრება ადამიანის ცნობიერებაში სასურველი, სასარგებლო და მნიშვნელოვანია. ასევე, მკითხველისათვის შეთავაზებულ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების გადმოცემაში

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მჭიდრო და განუწყვეტელ კავშირს მიწიერ და ზეციურ ეკლესიებს შორის, ეკლესიაში ჩვენს სულიერ ურთიერთობას ზეციურ იერუსალიმთან და ანგელოზთა გუნდებთან, მოზეიმე კრებულთან და ეკლესიასთან ***„...პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა...“*** (ებრ. 12, 23). აქ არის ნამდვილი პლერომა – სავსება, კრებითობა და კათოლიკობა ეკლესიისა, რომლის ამ თვისებასაც წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მოცემული ჭეშმარიტება მივიწყებულია, უგულებელყოფილია ან სრულიად უკუგდებულია ეგრეთ წოდებულ „ფართო ქრისტიანობაში“.

მიწიერი ეკლესიის ცხოვრების სავსებას სამმხრივი გამოვლინება აქვს: რწმენის აღმსარებლობითი, ზნეობითი და საღვთისმსახურო. ამისკენ არის მოწოდებული თითოეული ქრისტიანიც – სწამდეს, ცხოვრობდეს და მოქმედებდეს რწმენის თანახმად, განადიდოს ღმერთი და ილოცოს. მართალია, დოგმატური ღვთისმეტყველება ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ რწმენით აღმსარებლობაზე, მაგრამ მისგან გამომდინარეობს მეორე და მესამე მხარეებიც: რწმენით ცხოვრება და ლოცვა. ამიტომაც წარმოდგენილი წიგნი მოწოდებულია, აგრეთვე, მიუთითოს პრინციპებზე, რომლებზეც **ზნეობრივი** და **საღვთისმსახურო** ქრისტიანული ცხოვრება არის აგებული.

სარწმუნოების გადმოცემა შეიცავს ორ ასპექტს:

1. მიუთითებს, თუ რა ცხოვრებისეულ ზნეობრივ გზას გვიჩვენებს ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული ღვაწლი. ***ეს გზა ჩვენი პირადი ღვაწლია უფლის ჯვრის სახელით***. ამის შესახებ ყოველთვის მუდმივად გვახსენებს ჯვრის ნიშანი. თავად ცნება – სულიერი ჯვარი – თავისთავში მოიცავს არა მარტო პირადი ღვაწლის სხვადასხვა ფორმას, არამედ იმ ცხოვრებისეულ უნებლიე განსაცდელებსაც, რომელთაც მორჩილებით ვიღებთ, როგორც ღვთის განგებულებით მოვლენილს;

2. გვასწავლის, უფლისადმი დიდებისმეტყველებისა და ლოცვის როგორი ფორმები და სახეებია დამახასიათებელი ჩვენი რწმენის აღმსარებლობისთვის. ღვთისადმი ჩვენი თაყვანისცემის საერთო ხასიათს გამოხატავს ფსალმუნის სიტყვები: ***„აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ყოველი გონებაჲ ჩემი — სახელსა წმიდასა მისსა“***(ფს. 102, 1) („ყოველი გონება“, ანუ მთელი სულიერი ძალები). ამიტომ ადამიანური წმინდა გრძნობები, სრულიად ბუნებრივია, უნდა ვლინდებოდეს კეთილშობილური მოღვაწეობის სხვადასხვა სახესა და ღვთისგან მინიჭებული ტალანტების განვითარებაში. ჩვენ თავად ბუნებას მოვუხმობთ, შემოუერთდეს საეკლესიო განდიდებას.

ასეთია ამ წიგნის მიზანი და შინაარსი.

შესავალი

ეკლესიის ზრუნვა ქრისტიანული სწავლების სიწმინდეზე

არსებობის პირველივე დღეებიდან ქრისტეს წმინდა ეკლესია დაუღალავად ზრუნავდა, რათა შვილნი მისნი, წევრნი ეკლესიისანი, მტკიცედ მდგარიყვნენ წმინდა ჭეშმარიტებაში.

„სწუაჲ უფროჲს სიხარული ამისსა არა მაქუს, რაჲთა მესმოდის შვილთა ჩემთა ჭეშმარიტებით სლვაჲ“ – წერს წმინდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი (3 იოანე, 1, 4).

„... მცირედ მივწერე, გლოცევდ და გიწამებდ, ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტი მადლი ღმრთისაჲ, რომელსაცა ზედა სდგათ“ – ამთავრებს თავის კათოლიკე ეპისტოლეს წმინდა პეტრე მოციქული (1 პეტ. 5, 12).

წმინდა პავლე მოციქული თავის თავზე მოგვითხრობს მას მერე, რაც თოთხმეტი წელიწადი იქადაგა: ***„...კუალად აღვედ იერუსალჱმდ ბარნაბაჲს თანა; ჩემ თანა წარვიყვანე ტიტეცა. ხოლო აღვედ გამოცხადებით და ვაუწყე მათ [წარჩინებულთ] სახარებაჲ ესი, რომელსა ვქადაგებდ წარმართთა შორის... ნუუკუე ცუდად ვრბიოდე ანუ ვრბი“*** (გალ. 2, 1, 2). პავლე მოციქული არაერთგზის მოძღვრავს თავის მოწაფე ტიმოთეს: ***„დამარხვად შენდა მცნებაჲ ესი უბიწოდ და უბრალოდ...“*** (1 ტიმ. 6, 14), ***„სახედ გაქუნდინ ცოცხლებისა სიტყუაჲ ესი...“***(2 ტიმ. 1, 13). ფსალმუნთა წიგნსა თუ ჩვენს ქრისტიანულ ლოცვანში უფლისადმი ერთ-ერთი პირველი ვედრებაა – ***„მასწავენ ჩუენ სიმართლენი შენნი, რაჲთა ჭეშმარიტებით ვიდოდეთ“.***

სარწმუნოების ჭეშმარიტ გზას – ეკლესიის ისტორიის მანძილზე მუდამ ზედმიწევნით დაცულს – იმთავითვე ეწოდებოდა **სწორი, მართალი** (ბერძნ. Ὀρθός), „მართლმადიდებლობა“, „ორთოდოქსია“, პეტრე მოციქულის სიტყვებით: „ჭეშმარიტი მადლი ღმრთისა“. ქრისტიანული ღვთისმსახურების ისტორიიდან ვიცით, რომ ეკლესია თავისი არსებობის პირველივე წუთებიდან აროდეს განშორებია ფსალმუნთა წიგნს, სადაც გვხვდება გამონათქვამები: ***„ფერჴი ჩემი დადგა სიწრფოებით...“*** (ფს. 25, 12), ***„...თუალთა ჩემთა იხილედ სიწრფოებაჲ“***(ფს. 16, 2), ***„...წრფელთა შუენის ქებაჲ“*** (ფს. 32, 1) და სხვა.

პავლე მოციქული ასწავლის ტიმოთეს: ***„ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხჳნელად, წარმართებად სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“*** (2 ტიმ. 2, 15). ადრექრისტიანულ შრომებში გამუდმებით საუბრობდნენ „სარწმუნოების კანონების“, „ჭეშ-

მარიტების კანონების“ დაცვაზე. თავად ტერმინი **„მართლმადიდებლობა“** ფართოდ გამოიყენებოდა ჯერ კიდევ მსოფლიო კრებათა ეპოქამდე, შემდეგ კი თვით მათივე ტერმინოლოგიაში, აგრეთვე, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ეკლესიის მამათა მიერ.

სარწმუნოების სწორი, მართალი გზით მავალთა გვერდით ყოველთვის არსებობდნენ მართლმადიდებელთა გარემოში შეჭრის მსურველი განსხვავებულად მოაზროვნენი (წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის გამოთქმით – ετεροδοξυντες). თვით ქრისტიანებს შორის თავს იჩენდა მეტ-ნაკლები ცდომილებანი, ზოგჯერ კი იქმნებოდა ძირფესვიანად არასწორი სისტემები. ჭეშმარიტების ძიება ხდებოდა ქრისტიანთა შორის განყოფის მიზეზი.

ეკლესიის ისტორიის გაცნობისა და, იმავდროულად, თანამედროვეობაზე დაკვირვების შედეგად ვხედავთ, რომ მართლმადიდებლურ ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებული ცდომილებანი ჩნდებოდნენ და ჩნდებიან:

ა) განსხვავებულ რელიგიათა გავლენის შედეგად;

ბ) ფილოსოფიის ზეგავლენით;

გ) სისუსტეთა და ლტოლვათა გამართლებისა და მათი არსებობის უფლების მოპოვების მაძიებელი ჩვენი დაცემული ბუნების უძლურებათა და მისწრაფებათა გამო.

ცდომილებანი ყველაზე ხშირად იდგამენ ფესვს და უდრეკნი ხდებიან მათი დამცველი, გონებით ამპარტავანი ადამიანების სიამაყის წყალობით.

სარწმუნოების მართალი გზის დასაცავად ეკლესიას უნდა გამოეჭედა სარწმუნოების ჭეშმარიტებათა ამსახავი მკაცრი ფორმები, უცხო ზეგავლენათა მოსაგერიებლად **აღემართა ჭეშმარიტების ციხე-სიმაგრე.** მოციქულთა დროიდან ეკლესიის მიერ გაცხადებულ ჭეშმარიტებათა განსაზღვრებებს **დოგმატები** ეწოდება. პავლე და ტიმოთე მოციქულთა შესახებ ვკითხულობთ: ***„და ვითარცა განჰვლიდეს ქალაქებსა მას, ასწავებდეს მათ დამარხვად მოძღურებათა მათ, დამტკიცებულთა მოციქულთაგან და ხუცესთა, რომელნი-იგი იყვნეს იერუსალჱმს შინა“*** (საქმ. 16, 4, – აქ იგულისხმება მოციქულთა საქმენის მე-15 თავში აღწერილი მოციქულთა კრების დადგენილებანი). ძველ ბერძენთა და რომაელთათვის ბერძნული სიტყვა „დოგმატი“ (δογμα) აღნიშნავდა:

ა) ფილოსოფიურ დებულებებს;

ბ) ზუსტად შესასრულებელ განკარგულებებს.

ქრისტიანობაში „დოგმატები“ „წარმოდგენების“, ანუ არამდგრადი პიროვნული შეხედულებების საპირისპიროდ მოიაზრება.

დოგმატთა წყაროები

რას ეფუძნება დოგმატები?

ცხადია, დოგმატები ეფუძნება **წმინდა წერილსა და წმინდა სამოციქულო გადმოცემას** და არა ცალკეულ პირთა, თუნდაც ეკლესიის მამათა და მასწავლებელთა, მოსაზრებებს. წმინდა წერილსა და წმინდა სამოციქულო გადმოცემაში მოცემული სარწმუნოების ჭეშმარიტებანი ქმნიან სარწმუნოების სწავლების იმ საგსებას, რომელსაც ძველი ეკლესიის მამებმა ეკლესიის „კრებითი სარწმუნოება“, „კათოლიკე (ბერძნ. καθολικος – საყოველთაო) სწავლება“ უწოდეს. წმინდა წერილისა და გადმოცემის ჭეშმარიტებანი, ერთ მთლიანობაში ჰარმონიულად შერწყმულნი, განსაზღვრავენ ეკლესიის **„კრებით ცნობიერებას“**, რომელსაც სულიწმიდა მართავს და მიუძღვის.

წმინდა წერილი

წმინდა წერილში იგულისხმება ღვთივსულიერი წიგნები, რომლებიც წმინდა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ სულიწმიდის კარნახით დაიწერა. ისინი იყოფიან ძველი და ახალი აღთქმის წიგნებად.

ეკლესიამ აღიარა **ძველი აღთქმის** 38 წიგნი, რომელთაგან ზოგიერთი, ძველი აღთქმის ეკლესიის მაგალითზე, შეაერთა და მათი რაოდენობა 22-მდე დაიყვანა. ეს ციფრი ებრაული ანბანის ასოთა რაოდენობას შეესაბამება. თავის დროზე იუდეურ კანონში შეტანილ ამ წიგნებს „კანონიკური“ ეწოდებოდათ. მათ უერთდება „არაკანონიკური“, ანუ იუდეურ კანონში არშესულ იმ წიგნთა ჯგუფი, რომლებიც ძველი აღთქმის წიგნთა კანონის ჩამოყალიბების შემდგომ დაიწერა. ეკლესია იწყნარებს მათ, როგორც სარგებლობის მომტანსა და დამრიგებლობითს, რომელთაც ძველად საკითხავებად აწესებდა არა მარტო სახლებში, არამედ ტაძრებშიც (ამიტომაც ეწოდებოდათ „საეკლესიო წიგნები“). ეკლესია მათ კანონიკურ წიგნებთან ერთად ბიბლიის ერთ კოდექსში აერთიანებს, სარწმუნოების სწავლებაში მეორე ადგილს მიუჩენს და განიხილავს, როგორც კანონიკურის დამატებას. ზოგი არაკანონიკური წიგნი თავისი ღირსებით იმდენად უახლოვდება ღვთივსულიერს, რომ მოციქულთა 85-ე კანონში, კანონიკურ წიგნთა ჩამონათვალშია მოხსენებული სახელდობრ, (მაკაბელთა სამი და ისუ ზირაქის ძის წიგნები). ამასთან, ნათქვამია, რომ ყველა ისინი „პატივსაცემნი და წმინდანი“ არიან, მაგრამ ეს მხოლოდ ძველი ეკლესიის მათდამი მაღალ შეფასებაზე მეტყველებს; ძველი აღთქმის კანონიკურ და არაკანონიკურ წიგნებს შორის განსხვავებას ეკლესია ყოველთვის იცავდა.

ახალ აღთქმად ეკლესია აღიარებს 27 კანონიკურ წიგნს. ეს წიგნები იწერებოდა მოციქულთა ეპოქის სხვადასხვა წლებში, მოციქულთა მიერვე იგზავნებოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, ზოგჯერ გარკვეული გეოგრაფიული პუნქტის მითითების გარეშეც. აქედან გამომდინარე, რთულდებოდა მათი თავმოყრა, ამასთან, საჭირო იყო სიფრთხილის მკაცრად დაცვა, რათა მოციქულთა ნაწერებს შორის არ აღმოჩენილიყო ეგრეთ წოდებული აპოკრიფული წიგნები, რომლებიც უმეტესად ერეტიკულ წრეებში იქმნებოდა. ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ეკლესიის მამები და მასწავლებლები ამიტომაც იჩენდნენ განსაკუთრებულ სიფრთხილეს წიგნების შეფასებაში, თუნდაც მათ ავტორად მოციქულთა სახელები ყოფილიყო წარმოდგენილი. ეკლესიის მამებს თავიანთ სიებში ზოგიერთი წიგნი ხშირად განმარტებებით, გაუბედავად ან დაეჭვებით შეჰქონდათ. ამავე მიზეზით ხდებოდა წმინდა წიგნების სიების არასრული წარმოდგენაც. ეს გარდაუვალი იყო და მიუთითებს წმინდა საქმისადმი მათ სამაგალითო, უკიდურეს სიფრთხილეზე. ეკლესიის მამები არ ენდობოდნენ საკუთარ თავს – ელოდნენ ეკლესიის კრებით ხმას. 318 წელს კართაგენის ადგილობრივმა კრებამ 33-ე კანონში შეიტანა ახალი აღთქმის უკლებლივ ყველა წიგნის ჩამონათვალი. **წმინდა ათანასე დიდი** ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე ასახელებს ახალი აღთქმის ყველა წიგნს და არ განარჩევს მათ ერთმანეთისაგან. იგი ერთ-ერთ თხზულებაში ჩამონათვალს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „აი, რიცხვი და სახელები ახალი აღთქმის კანონიკური წიგნებისა! ისინი არიან ჩვენი სარწმუნოების სათავე, მისი ღუზა და ბურჯნი იმიტომ, რომ დაიწერა იმ მოციქულთა მიერ, რომლებიც თან ახლდნენ ქრისტე მაცხოვარს და მისგან განისწავლნენ“.[1] **წმინდა კირილე იერუსალიმელიც,** ასევე, ჩამოთვლის ახალი აღთქმის წიგნებს და არაფერს მიუთითებს, რომ ეკლესია რაიმეთი განასხვავებდეს მათ. სრულ სიას ვხვდებით დასავლეთის საეკლესიო მწერლებთანაც (მაგალითად, **ნეტარი ავგუსტინე**). ასე დადგინდა მთელი ეკლესიის კრებითი ხმით წმინდა წერილის ახალი აღთქმის სრული კანონი.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ

წმინდა გადმოცემა სიტყვის თავდაპირველი, ზუსტი მნიშვნელობით არის გადმოცემა – წამოსული მოციქულთა დროის ძველი ეკლესიიდან. იგი II-IV საუკუნეებში სამოციქულო გადმოცემადაც იწოდებოდა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველი ეკლესია გულმოდგინედ იცავდა თავის შიდაცხოვრებას უმეცართაგან. მისი წმინდა „საიდუმლონი“ არაქრისტიანთაგან დაცული „საიდუმლო“ იყო. მათი აღსრულებისას, ნათლისღებასა თუ ევქარისტიაზე, გარეშენი არ ესწრებოდნენ. განაწესი არ იწერებოდა, იგი ზეპირად გადაიცემოდა. ასეთი იდუმალება სარწმუნოების მნიშვნელოვან მხარეს

შეადგენდა. განსაკუთრებით ნათლად ამას **წმინდა კირილე იერუსალიმელი** (IVს.) წარმოგვიდგენს. ქრისტიანობის გაკვეთილებში მათთვის, ვისაც გაქრისტიანება საბოლოოდ ჯერ არ გადაეწყვიტა, წმინდანმა თავისი შეგონებანი შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „როდესაც წარმოითქმება სწავლება [მოსანათლავად განმზადებულთათვის] და კათაკმეველი შეგეკითხება: „რაზე საუბრობდნენ მასწავლებლებიო?“ – ნურაფერს მოუყვები **გარეშე** პირს. ვინაიდან მომავლის საიდუმლოსა და სასოებას გასწავლით. შეუნახე საიდუმლო საზღაურის მიმგებს. დაე, არავინ გითხრას: „რა დაშავდება, მეც რომ გავიგოო?“ სნეულნიც ითხოვენ ღვინოს, მაგრამ უდროოდ მიწოდებული სასმელი გონების აშლილობას იწვევს. ამას კი ორი სავალალო შედეგი მოსდევს: სნეულიც იღუპება და ექიმსაც ბრალი ედება“.[2] **წმინდა კირილე** ერთ-ერთ თავის შეგონებით სიტყვაში ისევ შენიშნავს: „... სარწმუნოების მთელი სწავლება რამდენიმე სალექსო სტრიქონში შეიძლება მოთავსდეს. მე ვისურვებდი, იგი სიტყვასიტყვით დაგემახსოვრებინათ და მთელი გულმოდგინებით გაგემეორებინათ ერთმანეთთან. ქაღალდზე კი არ გადაგეტანათ, გულისფიცარზე ამოგეტვიფრათ. ფრთხილად იყავით, რომ ამ სწავლება-მეცადინეობის დროს რომელიმე კათაკმეველმა არ მოისმინოს თქვენთვის გადმოცემული ...“.[3] ხოლო მის მიერ ჩაწერილ სიტყვებში, განსწავლულთა ანუ უკვე ნათლისღებისთვის განმზადებულთა და დამსწრე მონათლულთა მიმართ, იგი ასეთ გაფრთხილებას მიმართავს: „მოსანათლავად განმზადებულთა და უკვე ნათელღებულ მართალთათვის განკუთვნილი, საკითხავად შეთავაზებული განსასწავლი შეგონებანი არაფრით მისცე არც კათაკმეველს, არც სხვა ვინმეს, რომელიც ჯერ არ გაქრისტიანებულა. არადა, პასუხს აგებ ღვთის წინაშე. თუკი ამ შეგონებებს ჩამოთვლი, მაშინ, როგორც უფლის წინაშე, ესეც (ესე იგი, გაფრთხილება) ჩაიწერე“[4].

წმინდა ბასილი დიდი (IV საუკუნე) ცხადად განმარტავს სამოციქულო გადმოცემას შემდეგი სიტყვებით:

„ეკლესიის მიერ მიღებულ დოგმატებსა და ქადაგებათაგან ზოგი წერილობითი მითითების სახით, ზოგიერთი კი მოციქულთა გადმოცემიდან საიდუმლო მემკვიდრეობით მივიღეთ. ორივეს ღვთისმსახურების თანაბარი ძალა აქვს. ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება, თვით საეკლესიო დადგენილებებში ნაკლებად განსწავლულიც კი. რადგანაც, თუ თითქოსდა ნაკლებმნიშვნელოვან დაუწერელ ჩვეულებათა უარყოფას გავბედავთ, ამით უეჭველად შევბღალავთ სახარებაში ყველაზე მთავარს. მეტიც, სამოციქულო ქადაგებებიდან უშინაარსო, ცარიელი სახელი დაგვრჩება. მაგალითად, ჯერ გავიხსენოთ პირველი და ყველასთვის საერთო: ვინ გვასწავლა წმინდა წერილში, რომ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელზე მვედრებელნი პირჯვარს უნდა იწერდნენ? რომელი წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ლოცვის დროს პირი აღმოსავლეთისაკენ ვიბრუნოთ? რომელმა წმინდანმა დაგვიტოვა წერილობით მოხმობის სიტყვები ევქარისტიული პურისა

და სასმელის კურთხევისას?! ჩვენ არ ვკმაყოფილდებით იმ სიტყვებით, რომლებიც სახარებასა და სამოციქულოშია ნახსენები. მანამდეც და შემდგომაც წარმოვთქვამთ დაუწერელი სწავლებიდან მიღებულ სიტყვებსაც, რომელთაც საიდუმლოთა აღსრულებაში დიდი ძალა აქვთ. ასევე – რომელი წმინდა წერილით ვაკურთხებთ წყალს, საცხებ ზეთს ან თვით მოსანათლავ ადამიანს?! განა დაფარული და საიდუმლო გადმოცემით არა?! კიდევ რა – რომელმა დაწერილმა სიტყვამ გვასწავლა ზეთისცხება, საიდან მოდის ნათლობასთან დაკავშირებული სამჯერ შთაფლვა წყალში ადამიანისა, რომელი წერილიდან იქნა აღებული სატანისა და მისი ანგელოზების განგდება და სხვა?! იმ საჯაროდ ართქმული და დაფარული სწავლებიდან ხომ არა, რომელიც ჩვენმა მამებმა უსიტყვოდ, ცნობისმოყვარეთაგან მიუწვდომლად შემოინახეს?! ისინი საფუძვლიანად იყვნენ მომზადებულნი, დუმილით დაეცვათ საიდუმლოთა სიწმინდე. სხვანაირად, რა უწესობა იქნებოდა, წერილობით განეცხადებინათ სწავლება მასზედ, რისი შეხედვის ნებაც კი არ ჰქონდათ უნათლავთ?!“[5]

ბასილი დიდის ამ სიტყვებიდან ვხედავთ, რომ:

ა) სარწმუნოების მასწავლებელი წმინდა გადმოცემა სათავეს იღებს ეკლესიის არსებობის პირველივე დღეებიდან;

ბ) ეკლესიის დიდი მამებისა და მსოფლიო კრებათა დაწყების ეპოქაში წმინდა გადმოცემას ძველი ეკლესიის წმინდა მამები და მასწავლებლები გულმოდგინედ იცავდნენ და ერთხმად აღიარებდნენ.

წმინდა ბასილი დიდს თუმც მოჰყავს „ზეპირ“ გადმოცემათა მაგალითები, თვითონ იქვე ცდილობს მათ „ჩაწერას“. IV საუკუნეში, ეკლესიის თავისუფლებისა და ზეიმის ამ ეპოქაში, ჩაიწერა თითქმის ყველა გადმოცემა. დღეისათვის ისინი დაცულია საეკლესიო ძეგლებში, რომლებიც წმინდა წერილის დამატებას წარმოადგენენ.

ძველ წმინდა გადმოცემას ვხვდებით:

ა) ეკლესიის უძველეს ძეგლში „წმინდა მოციქულთა კანონები“;

ბ) ადრეული ადგილობრივი ეკლესიების სარწმუნოების სიმბოლოში;

გ) ძველ ლიტურგიებში;

დ) უძველეს აქტებში ქრისტიან მოწამეთა შესახებ. ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ განხილული და დამტკიცებული ეს ტექსტები ეკლესიის წინამძღვრის მეთვალყურეობით ქრისტიანთა თავყრილობებზე იკითხებოდა. ტექსტებში აღიარებულია ყოვლადწმიდა სამება; უფალი იესო ქრისტე, როგორც ღმერთი; მოყვანილია წმინდანთადმი ვედრების მაგალითები; ლაპარაკია ქრისტესთან განსვენებულთა საუკუნო ცხოვრების რწმენაზე და მრავალი სხვა;

ე) ეკლესიის ისტორიის ძველ ჩანაწერებში, განსაკუთრებით ევსები პამფილოსის ისტორიაში, თავმოყრილია მრავალი წეს-ჩვეულება და დოგმატური გადმოცემა (მაგალითად, ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წიგნების

კანონის შესახებ);

ვ) ადრეული ხანის ეკლესიის წმინდა მამათა და მასწავლებელთა ნაწერებში;

ზ) დასასრულ, თვით ეკლესიის ცხოვრების წესში, მის მიერ მოციქულთაგან გადმოცემული ყველა საფუძვლის ერთგულად დაცვაში.

ამგვარად, ეკლესიის მიერ დაცული და შენახული სამოციქულო გადმოცემა თვით ეკლესიის გადმოცემა ხდება, „ეკუთვნის“ მას, დამტკიცებულია მის მიერ და „წმინდა გადმოცემად“ არის სახელდებული.

წმინდა გადმოცემის დამოწმება აუცილებელია:

ა) დასამტკიცებლად იმისა, რომ **წმინდა წერილის** ყველა წიგნი მოციქულთა დროიდან გადმოგვეცა და ნამდვილად მათი წარმომავლობისაა;

ბ) წმინდა წერილის ცალკეული ადგილების სწორად გაგებისათვის და ერეტიკულ განმარტებებთან მის დასაპირისპირებლად;

გ) ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატების დასადგენად, რადგან წმინდა წერილში სარწმუნოების სწავლების ზოგიერთი დებულება მოცემულია სრულიად გარკვევით, ზოგი კი მხოლოდ მინიშნებით, რაც ითხოვს დადასტურებას წმინდა სამოციქულო გადმოცემის საშუალებით.

გარდა ამისა, წმინდა გადმოცემა ადასტურებს, რომ საეკლესიო მოწყობის, ღვთისმსახურების, კანონებისა და წეს-ჩვეულებათა მთელი სავსება ძველი ეკლესიის ცხოვრების წესზეა დაფუძნებული.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲮᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია არის სხეული ქრისტესი, სულიერი **ორგანიზმი**, რომლის თავიც ქრისტეა: აქვს ერთი სული, ერთი სარწმუნოება და მთლიანი, საერთო, კრებითი, კათოლიკე **ცნობიერება,** რომელსაც სულიწმიდა მართავს. ამ ცნობიერების დასკვნები წმინდა წერილისა და წმინდა სამოციქულო გადმოცემის გარკვეულ, კონკრეტულ დებულებებს ეფუძნება. კრებითი ცნობიერება ეკლესიას ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ იგი განსაკუთრებით მსოფლიო საეკლესიო კრებებზე გამოიკვეთა. ქრისტიანობის უძველესი პერიოდიდანვე, წმინდა მოციქულთა 37-ე კანონის თანახმად, ცალკეულ მართლმადიდებელ ეკლესიათა ადგილობრივი კრება წელიწადში ორჯერ იმართებოდა. ეკლესიის ისტორიაში მრავალჯერ შედგა ეპისკოპოსთა სამხარეო კრებები – უფრო მასშტაბური, ვიდრე ცალკეული ეკლესიებისა და, ბოლოს, მთელი აღმოსავლურ-დასავლურ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა მსოფლიო კრებები. ეკლესია აღიარებს **შვიდ** მსოფლიო კრებას, რომელთაც ზუსტად ჩამოაყალიბეს და დაადგინეს ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითადი ჭეშმარიტებანი, დაიცვეს ეკლესიის ძველი სწავლება მწვალებლურ დამახინჯებათაგან. მსოფლიო

კრებებმა, ასევე, დაადგინეს საეკლესიო კანონებად წოდებული საერთო-საეკლესიო და პირად-ქრისტიანული ცხოვრების მრავალი კანონი და წესი, რომელთა განუხრელად შესრულება საყოველთაო და სავალდებულო გახადეს. მსოფლიო კრებებზე დამტკიცდა **ადგილობრივ** კრებებზე მიღებული დოგმატური განსაზღვრებანი და, აგრეთვე, ეკლესიის ზოგიერთი მამის მიერ შედგენილი დოგმატური გადმოცემანი (მაგალითად, **წმინდა გრიგოლ სასწაულთმოქმედის** – ნეოკესარიის ეპისკოპოსის მრწამსის აღიარება, **წმინდა ბასილი დიდის** კანონები და სხვა).

უნდა გვახსოვდეს, რომ დოგმატურ განსაზღვრებებს საეკლესიო კრებები იღებდნენ წმინდა წერილის ყველა იმ ადგილის მხოლოდ გულმოდგინე, ამომწურავი და სრული განხილვის შემდგომ, რომლებიც უკავშირდებოდნენ წამოჭრილ საკითხს. ამასთან, ადასტურებდნენ, რომ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას ზუსტად ასე ესმის წმინდა წერილის მითითებული ადგილები. ამგვარად, კრებების მიერ დამტკიცებული სარწმუნოების განსაზღვრებანი წარმოადგენენ წმინდა წერილისა და **ეკლესიის კრებითი გადმოცემის ერთიან, ჰარმონიულ შერწყმას**. ამიტომაც, **წმინდა წერილსა და სამოციქულო გადმოცემაზე დაფუძნებული ნამდვილი, ურყევი და ავტორიტეტული ეს განსაზღვრებანი, თავიანთ მხრივ ეკლესიის მსოფლიო, წმინდა გადმოცემანი გახდნენ.**

რა თქმა უნდა, მრავალი ჭეშმარიტება იმდენად ნათელია უშუალოდ წმინდა წერილიდან, რომ მწვალებლებს ისინი სხვაგვარად (არასწორად) აღარ განუმარტავთ, ამიტომ არ არსებობს კრებების მიერ მიღებული განსაკუთრებული განწესებანი მათ შესახებ. სხვა ჭეშმარიტებანი კი კრებებზე მტკიცდებოდა.

ყველა დოგმატურ, კრებით განწესებათაგან პირველხარისხოვნად და ძირითადად მსოფლიო კრებები ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსს) აღიარებენ. მათ აკრძალეს არათუ აზრობრივი ცვლილებების შეტანა მასში, არამედ სიტყვის მიმატება-ამოღებაც კი (III მსოფლიო კრების დადგენილება, განმეორებული IV-VII კრებებზე).

მთელი ეკლესიის სახელმძღვანელოდ აღიარებული ადგილობრივ კრებათა მიერ მიღებული სარწმუნოების განსაზღვრებანი და ეკლესიის წმინდა მამათა გადმოცემანი ჩამოთვლილია VI მსოფლიო (ტრულის) კრების მე-2 კანონში. ისინი მოყვანილია წიგნში: „წმინდა მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმინდა მამათა კანონები“.

დოგმატი და კანონი

საეკლესიო ტერმინოლოგიით მიღებულია, **დოგმატებად** იწოდებოდეს ქრისტიანული სწავლების, სარწმუნოების ჭეშმარიტებანი. რაც შეეხება **კანონს,** ესაა საეკლესიო მოწყობის, მისი მართვის, სახარებისა და სამო-

ციქულო სწავლების ზნეობრივი საფუძვლებიდან გამომდინარე საეკლესიო იერარქიის, მღვდელმსახურთა და თითოეული ქრისტიანის მოვალეობათა განაწესი. კანონი (κανών) ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით სწორ, გათლილ ჯოხს, მიმართულების ზუსტ საზომს აღნიშნავს.

ეკლესიის წმინდა მამათა და მასწავლებელთა თხზულებანი, როგორც სახელმძღვანელო სარწმუნოების საკითხებში

ეკლესიის წმინდა მამათა ნაწერებს მივმართავთ, როგორც სახელმძღვანელოს, რათა სარწმუნოების საკითხებში გავერკვეთ, წმინდა წერილი სწორად გავიგოთ და ცრუ სწავლებათაგან ნამდვილი საეკლესიო გადმოცემა დავიცვათ. ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ სარწმუნოების სწავლება, რომელზეც ეკლესიის ყველა მამა და მასწავლებელი **ერთსულოვნად თანხმდება**, უეჭველად ჭეშმარიტია. წმინდა მამები მედგრად იცავდნენ ჭეშმარიტებას, არ ეპუებოდნენ მუქარას, დევნას, სიკვდილსაც კი.

სარწმუნოების შესახებ წმინდა მამათა განმარტებებმა:

ა) დააზუსტეს ქრისტიანული სწავლების ჭეშმარიტებათა განსაზღვრებანი და შექმნეს ერთიანი, დოგმატური ენა;

ბ) ხელმძღვანელობდნენ რა წმინდა წერილითა და წმინდა გადმოცემით, დამაჯერებლად დაასაბუთეს ეს ჭეშმარიტებანი და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებანი ერთიანი ძალით შეავსეს.

ღვთისმეტყველებაში ყურადღება ექცევა ეკლესიის წმინდა მამათა და მასწავლებელთა ზოგიერთ ისეთ პირად აზრსაც, რომელთაც ზუსტი, საერთოეკლესიური განსაზღვრება არ უდევთ საფუძვლად. ამიტომაც ამ მოსაზრებების გაიგივება დოგმატებთან (ამ სიტყვის მიღებული მნიშვნელობით) არ ხდება. არსებობს ეკლესიის მამათა და მასწავლებელთა ზოგი ისეთი შეხედულებაც, რომელიც მიუღებელია სარწმუნოების საკითხებში სახელმძღვანელოდ, რადგან ისინი არ ეთანხმებიან ეკლესიის საერთო, კრებით აღმსარებლობას.

სარწმუნოების ჭეშმარიტებანი ღვთისმსახურებაში

ეკლესიის, როგორც სარწმუნოების მასწავლებლის კრებითი ცნობიერება ასევე ასახულია მსოფლიო ეკლესიის მიერ გადმოცემულ მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში. საღვთისმსახურო წიგნების შინაარსის ღრმად შესწავლა ხელს უწყობს ჩვენში მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატური სწავლების განმტკიცებას.

მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების გადმოცემები

სიმბოლური წიგნები

მართლმადიდებლური სარწმუნოების გადმოცემებს, რომლებიც შედარებით გვიან მოიწონეს ადგილობრივმა საეკლესიო კრებებმა, მართლმადიდებლური სიმბოლური წიგნები ეწოდებათ, ისინი აღიარებულნი არიან, როგორც **სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) განმარტებანი**. მათი დანიშნულებაა, მართლმადიდებლური თვალთახედვით გააშუქონ უპირატესად ის ქრისტიანული ჭეშმარიტებანი, რაც მოგვიანებით მცდარმა აღმსარებლობებმა, განსაკუთრებით კი პროტესტანტიზმმა, დაამახინჯა. ასეთ სიმბოლურ წიგნებს ეკუთვნის იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მიერ შედგენილი, 1672 წლის იერუსალიმის კრების მიერ წაკითხული და მოწონებული „მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარება“. ეს წიგნი 50 წლის შემდეგ ანგლიკანურ ეკლესიას, მისივე თხოვნის საფუძველზე, გაუგზავნეს აღმოსავლეთის ყველა პატრიარქის სახელით; ამიტომ იგი უფრო ცნობილია, როგორც **„აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლე მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ“.** აქვე აღსანიშნავია კიეველი მიტროპოლიტის პეტრე მოგილას წიგნი – „მართლმადიდებლური აღსარება“. იგი განიხილა და შეასწორა ორმა ადგილობრივმა კრებამ (კიევში 1640 წელს და იასში 1643 წელს), შემდეგ კი მოიწონა ოთხმა მსოფლიო და ორმა რუსმა (იოაკიმე და ადრიანე) პატრიარქმა. ასეთივე ღირსების არის მიტროპოლიტ ფილარეტ მოსკოველის „მართლმადიდებლური ქრისტიანული კატეხიზმო“ – განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, სადაც სარწმუნოების სიმბოლოა განმარტებული.

დოგმატური სისტემები

„დოგმატური ღვთისმეტყველების სისტემა“ ეწოდება მთელი ქრისტიანული სწავლების ზედმიწევნით გადმოცემის გამოცდილებას. მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისათვის უძვირფასესი, სრული დოგმატური სისტემა, სახელწოდებით „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, შეადგინა **წმინდა იოანე დამასკელმა** VIII საუკუნეში. ამ ნაშრომში ღირსმა იოანემ, შეიძლება ითქვას, თავი მოუყარა აღმოსავლური ეკლესიის VIII საუკუნემდე მოღვაწე მამათა და მასწავლებელთა ყველა საღვთისმეტყველო აზრს და შეაჯამა ისინი.

რუს ღვთისმეტყველთაგან დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ყველაზე სრული ნაშრომი ეკუთვნის მაკარი მოსკოველ მიტროპოლიტს („მართლმა-

დიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველება“, ორ ნაწილად), კიევის სასულიერო აკადემიის რექტორს – ეპისკოპოს სილვესტერს („მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველების გამოცდილება დოგმატთა ისტორიული გადმოცემით“, ხუთ ტომად) და დეკანოზ ნ. მალინოვსკის („მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველება“, ოთხ ტომად და „მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველების ნარკვევი“, ორ გამოცემად).

დოგმატური ღვთისმეტყველების ამოცანა

ეკლესიის დოგმატური მოღვაწეობის მიზანმიმართულება ყოველთვის იყო მორწმუნეთა ცნობიერებაში დაემკვიდრებინა ეკლესიის მიერ იმთავითვე აღიარებული სარწმუნოების ჭეშმარიტებანი. დოგმატური ღვთისმეტყველება მიუთითებს, თუ აზროვნების როგორი წესი ეთანადება მსოფლიო გადმოცემას. ეკლესიის მიერ სარწმუნოების სწავლება გულისხმობს, რომ ერესებთან ბრძოლაში:

ა) მოიძებნოს ძველი დროიდან გადმოცემული სარწმუნოების ჭეშმარიტებათა ამსახველი ზუსტი ფორმა;

ბ) დადასტურდეს საეკლესიო სწავლების სისწორე, დასაბუთდეს იგი წმინდა წერილსა და წმინდა გადმოცემაზე დაყრდნობით.

წმინდა მოციქულთა მოძღვრება იყო და დარჩება ნიმუშად ქრისტიანული მსოფლმხედველობის სრულყოფილებისა და სისავსისა. XX საუკუნის ქრისტიანი მათთან შედარებით უძლურია უფრო სრულყოფილად განავითაროს, ან ღრმად შეიცნოს სარწმუნოების ჭეშმარიტებანი. ამიტომაც აზრს მოკლებულია ახალ ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა აღმოჩენის, ზოგი დოგმატური დებულების „სრულყოფის“, ან მათი ხელახალი გააზრების მცდელობანი როგორც ცალკეულ პირთაგან, ისე თვით დოგმატური ღვთისმეტყველების მეცნიერების სახელით. **დოგმატური ღვთისმეტყველების, როგორც მეცნიერების, ამოცანაა** – საფუძვლიანად, დამაჯერებლად ჩამოაყალიბოს მოციქულთა მიერ გადმოცემული მართლმადიდებლური სწავლება.

დოგმატური ღვთისმეტყველების შესახებ ზოგიერთი ვრცელი ნაშრომი ეკლესიის მამათა და მასწავლებელთა აზრებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს. მაგალითად, ასეა აგებული ზემოთ ნახსენები ეპისკოპოს სილვესტრის „მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველების გამოცდილება“. მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო მეცნიერებაში გადმოცემის ასეთი მეთოდი არ გულისხმობს „დოგმატთა თანდათანობითი განვითარების“ გამოკვლევას. მას სხვა მიზანი აქვს – ისტორიული თანმიმდევრობით და სრულად გადმოსცეს ეკლესიის წმინდა მამათა აზრები რწმენის მასწავლებელ თითოეულ დებულებასთან მიმართებით. აქედან ცხადად მტკიცდება, რომ ეკლესიის ყველა საუკუნის მამები სარწმუნოების

ჭეშმარიტებებზე მსჯელობისას ერთსულოვანნი იყვნენ. მაგრამ, რადგანაც ჭეშმარიტებებს სხვადასხვა კუთხითა და განსხვავებული არგუმენტებით განიხილავდნენ, ეკლესიის მამათა სწავლების ისტორიული გამოკვლევა სარწმუნოებრივი დოგმატების განხილვას უფრო სრულს ხდის და მათ ჭეშმარიტებას ადასტურებს.

ეს არ ნიშნავს, რომ დოგმატების სამეცნიერო-საღვთისმეტყველო გადმოცემის ფორმა უცვლელი უნდა იყოს: თითოეული ეპოქა საკუთარ შეხედულებებს, მცნებებს, კითხვებს, მწვალებლობებს და ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა საწინააღმდეგო აზრებს წარმოაჩენს, ან მივიწყებულ ძველს გაიმეორებს. ღვთისმეტყველებამ, ბუნებრივია, ყურად უნდა იღოს და პასუხი გასცეს თანამედროვეთა შეკითხვებს, მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოაყალიბოს დოგმატური ჭეშმარიტებანი. ამ გაგებით შეიძლება დოგმატური ღვთისმეტყველების, როგორც **მეცნიერების**, განვითარებაზე საუბარი. მაგრამ, საფუძველს მოკლებულია **ეკლესიის დოგმატთა განვითარებაზე** მსჯელობა.

დოგმატიკა და რწმენა

დოგმატური ღვთისმეტყველება მორწმუნე ქრისტიანთათვის არის განკუთვნილი. იგი სარწმუნოების არსს არ განმარტავს, რადგანაც იგულისხმება, რომ ადამიანის გულში უკვე ცოცხლობს რწმენა. ***„მრწმენა მე, რომლისათჳსცა ვიტყოდე...“***(ფს. 115, 1), – ამბობს ძველი აღთქმის მართალი. უფალი იესო ქრისტეც უცხადებდა მოწაფეებს საიდუმლოს ღვთის სასუფევლის შესახებ მას შემდეგ, რაც მისი ირწმუნეს: ***„... უფალო, ვისა მივიდეთ ჩუენ? რამეთუ სიტყუანი ცხორებისა საუკუნოჲ სანი გქონან შენ. და ჩუენ გურწმენა და გჳცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ“***(იოანე, 6, 68, 69). რწმენა **ამა სოფლად მოვლინებული ღვთის ძისადმი**, არის ქვაკუთხედი წმინდა წერილისა, პირადი გადარჩენისა და საღვთისმეტყველო ცოდნისა: ***„ხოლო ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა“*** (იოანე, 20, 31), – წერს იოანე მოციქული სახარების დასასრულს და იმავე აზრს არაერთგზის იმეორებს თავის ეპისტოლეებში. მისი სიტყვები გამოხატავს ყველა მოციქულის ნაწერთა მთავარ აზრს. „მრწამს“ – ამ აღიარებით უნდა იწყებოდეს ნებისმიერი ქრისტიანული ღვთისმეტყველება. ამ პირობით იგი განყენებული „სიბრძნე“, მსჯელობით ჩამოყალიბებული დიალექტიკა კი არა, არამედ აზრებით ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში შეღწევა, გონებითა და გულით უფლისაკენ ლტოლვა და მისი სიყვარულის შეცნობა იქნება. ურწმუნოთათვის კი ღვთისმეტყველება არაფერს ნიშნავს, რადგან თვით ქრისტე მათთვის არის ***„...ლოდ შებრკოლების და კლდე საცთურებისა“*** (1 პეტ. 2, 7; მათე, 21, 44).

ღვთისმეტყველება და მეცნიერება
ღვთისმეტყველება და ფილოსოფია

ცდასა და დაკვირვებაზე აგებულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაგან განსხვავებით, დოგმატური ღვთისმეტყველება ცოცხალ და წმინდა სარწმუნოებას ეფუძნება. აქ ამოსავალი წერტილია რწმენა, პირველ შემთხვევაში კი გამოცდილება. საკუთრივ შესწავლისა და განსჯის მეთოდები ორივეგან ერთნაირია: მონაცემთა ანალიზი და დასკვნები. ოღონდ მეცნიერებაში დასკვნები ბუნებაზე დაკვირვების შედეგად შეგროვილ ფაქტებზე დაყრდნობით კეთდება, ხოლო ღვთისმეტყველებაში – წმინდა წერილისა და წმინდა გადმოცემის შესწავლის საფუძველზე. ამიტომაც არის იგი საღვთისმეტყველო მეცნიერება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები კი ემპირიულია და ტექნიკური.

ამითვე აიხსნება ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას შორის განსხვავება. ფილოსოფია აგებულია მსჯელობასა და იმ მეცნიერებათა ცდისეულ დასკვნებზე, რომელთაც ძალუძთ, გონება ყოფიერების უმაღლეს საკითხებს მიუახლოვონ. ღვთისმეტყველება ემყარება ღვთაებრივ გამოცხადებას. მათი აღრევა არ შეიძლება. ღვთისმეტყველება ფილოსოფია არ არის მაშინაც კი, როცა ქრისტიანული სარწმუნეობის ძნელად გასაგებ, ღრმა და ამაღლებულ თემებში აზრობრივი წვდომა არის საჭირო.

ღვთისმეტყველება არ უარყოფს არც ცდისეულ მეცნიერებებს, არც ფილოსოფიას. **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წმინდა ბასილი დიდს** დიალექტიკის სრულყოფილად ცოდნას დამსახურებად უთვლიდა. **წმინდა ბასილი დიდი** ამ ცოდნით აქარწყლებდა ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა ფილოსოფიურ მსჯელობებს. საერთოდ, **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** არ სცემდა პატივს მათ, ვინც აგდებით ეკიდებოდა განსწავლულობას. თუმცა, გამოსცა რა სიღრმისეულად განჭვრეტილი ცნობილი სწავლება სამების შესახებ – სახელწოდებით „სიტყვანი წმიდა სამებაზე“, თავის თავზე შენიშნა: „ამრიგად, რამდენადაც შესაძლებელია მოკლედ, დოგმატურად და არა განჭვრეტით, მესათხევლის და არა არისტოტელეს მეთოდით, სულიერებით და არა ცბიერებით, ეკლესიის და არა ბაზრობის წესებით გადმოგცემთ ჩვენს კეთილად ბრძნობას“.[6]

დოგმატური ღვთისმეტყველების კურსი იყოფა ორ ძირითად ნაწილად. ესენია:

ა) სწავლება **თავად** ღმერთზე;

ბ) სწავლება ღმერთზე და მისი, როგორც სამყაროს შემოქმედის, განმგებლის, გამომხსნელისა და მსაჯულის **გამოცხადებათა** შესახებ.

თავად ღმერთის შესახებ

I. რწმენა ღვთისა

სწავლება ღმერთის შესახებ სარწმუნოების სიმბოლოში იწყება სიტყვით „მრწამს“. ღმერთია ქრისტიანული **რწმენისათვის** უპირველესი. ჩვენგან, ქრისტიანთაგან, ღვთის არსებობის აღიარება ეყრდნობა არა მსჯელობებს, არც გონებისმიერ თუ გარეგანი შეგრძნებებით მიღებულ მტკიცებულებებს, არამედ შინაგან, ზნეობრიობაზე დაფუძნებულ უმაღლეს რწმენას.

ქრისტიანთათვის „გწამდეს ღმერთი“ ნიშნავს, **აღიარებდე** მას არა მარტო გონებით, არამედ გულითაც **ილტვოდე** მისკენ.

„გვწამს“ ის, რაც გარეგნული გამოცდილებით, მეცნიერული კვლევით, გარეგან გრძნობათა ორგანოებით აღსაქმელად მიუწვდომელია. სლავურ და რუსულ ენებში ცნების „მწამს“ მნიშვნელობა უფრო ღრმაა, ვიდრე რუსული სიტყვისა „მჯერა“, რომელიც ხშირად სხვათა მტკიცებების, გამოცდილებათა უბრალოდ, შემოწმების გარეშე, მიღებას აღნიშნავს. **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** ბერძნულ ენაშიც განასხვავებს რელიგიურ რწმენას – „მწამს ვინ (რა)“ და უბრალო, პირად დაჯერებას – „მჯერა ვისი (რისი)“. იგი წერს: „ერთსა და იმავეს არ ნიშნავს „გწამდეს (რა)“ და „გჯეროდეს (რისი)“. ჩვენ შეიძლება ყველაფრის გვჯეროდეს, მაგრამ გვწამს მხოლოდ ღმერთი“.[1]

ქრისტიანული რწმენა საიდუმლო მოვლენაა ადამიანის სულის სამყაროში. იგი აზრზე ძლიერია, უფრო ვრცელია და ქმედითი; რთულია და თავისთავში აერთიანებს სიყვარულის, შიშის, მოწიწების, თაყვანისცემისა და თავმდაბლობის გრძნობებს. თუმცა რწმენას ძალუძს მთების შეძრვა, მაინც არ შეიძლება იგი ნებელობის გამოვლინებად ჩავთვალოთ. მორწმუნე ქრისტიანი საკუთარ ნებაზე უარს აცხადებს და მთლიანად ღვთის ნებას არის მინდობილი: „იყავნ ნება შენი ჩემ ცოდვილსა ზედა“.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობა გონებით ცოდნასაც უკავშირდება, იგი მსოფლმხედველობას ქმნის. მაგრამ მხოლოდ მსოფლმხედველობად რომ დარჩენილიყო, დაიკარგებოდა მისი მამოძრავებელი ძალა. რწმენის გარეშე ქრისტიანობა აღარ იქნებოდა ცოცხალი კავშირი ცასა და დედამიწას შორის. ქრისტიანული რწმენა გაცილებით მეტია, ვიდრე ცხოვრებაში გავრცელებული ის „დამაჯერებელი ვარაუდი“, რასაც რწმენას ეძახიან.

ქრისტეს ეკლესია დაშენებულია რწმენაზე, როგორც ურყევ კლდეზე (იხ. მათე, 16, 18). ***„რომელნი სარწმუნოებით ერეოდეს მეფეთა; იქმოდეს სიმართლესა... დაუყვნეს პირნი ლომთანი; დაშრიტეს ძალი ცეცხლისაჲ;***

განერნეს პირსა მახჯლისასა; განძლიერდეს უძლურებისაგან...“ (ებრ. 11, 33, 34). რწმენით ფრთაშესხმული ქრისტიანები სიხარულით იღებდნენ წამებასა და სიკვდილს. რწმენა უწონადი ქვაა – რომელსაც შეხებით ვერ შეიგრძნობ. იგი ზეგიტაცებს და ძირს არ განარცხებს.

„და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი“ (იოანე, 7, 38) – ბრძანა უფალმა და მისი სიტყვების ჭეშმარიტების ცოცხალი დადასტურება იყო მოციქულთა ქადაგებანი – სიტყვით, სულით, ნიშნებითა და სასწაულებით.

„... უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ... ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა! – იყოს ეგრე“ (მათე, 21, 21). ქრისტეს ეკლესიის ისტორიაში მრავლადაა წმინდანთა მიერ ყველა დროში აღსრულებული სასწაულები. მაგრამ სასწაული აღესრულება არა ზოგადი, არამედ ქრისტიანული რწმენით. რწმენა ქმედითია არა წარმოსახვის ან თვითჰიპნოზის ძალით, არამედ იმით, რომ გვაკავშირებს ყოველგვარი სიცოცხლისა და ძალის წყაროსთან – ღმერთთან. რწმენა ჭურჭელია წყლით ასავსებად, ოღონდ ის წყალში რომ ჩაუშვა, შენც იქვე უნდა იყო. ეს წყალი – ღვთიური მადლია. „რწმენა გასაღებია ღვთიური საგანძურისა“ – წერს **მამა იოანე კრონშტადტელი**.[2]

ამიტომ ძნელია განმარტო, თუ რა არის რწმენა. როდესაც მოციქული ამბობს: ***„...სარწმუნოებაჲ მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არა-ხილულთა“***(ებრ. 11,1), იგი არ ახასიათებს რწმენის ბუნებას, მხოლოდ მიუთითებს, თუ რისკენაა მიპყრობილი მისი მზერა – სასოებასა და უხილავისკენ. სახელდობრ, რწმენა არის სულით მომავლის **(„მოსავთა მათ ძალ“)** ან უხილავის **(„მამხილებელ არა-ხილულთა“)** წვდომა. ეს ყოველივე ქრისტიანული რწმენის საიდუმლო ბუნების დადასტურებაა.

რაოდენ შევიცნობთ ღმერთს?

ღმერთი თავისი არსებით მიუწვდომელია. პავლე მოციქული გვასწავლის: ***„რომელსა მხოლოსა აქუს უკუდავებაჲ და ნათელსა მყოფ არს მიუწდომელსა, რომელი არავინ იხილა კაცთავანმან, არცა ხილვად ჴელ-ეწიფებისა...“***(1 ტიმ. 6, 16).

წმინდა კირილე იერუსალიმელი „განსასწავლ სიტყვანში“ გვმოძღვრავს: „რა არის ღმერთი, ამის ახსნა არ შეგვიძლია; კეთილგონივრულად ვაღიარებთ, რომ ზუსტი შემეცნება არ გაგვაჩნია. ღვთისადმი მიმართებაში **ჩვენთვის ყველაზე დიდი ცოდნა – ჩვენი უმეცრების აღიარებაა**“.[3]

ამიტომაც არის მოკლებული დოგმატურ ღირსებას სხვადასხვაგვარი ვრცელი, მრავალმხრივი მსჯელობანი და გონებითი ძიებანი, რომლებიც

აგებულია ღმერთის შინაგანი ცხოვრების თემებზე და მის ანალოგად ადამიანის სულიერი სამყაროს მოყვანა. თავისი დროის „გამომეძიებლებზე“ წერს წმინდა ბასილი დიდის ძმა **წმინდა გრიგოლ ნოსელი:** „ადამიანებმა დაივიწყეს რომ ***„იშუებდ უფლისა მიმართ...“***(ფს. 36, 4) და ნაცვლად იმისა, რომ უხაროდეთ ეკლესიაში მშვიდობა, გამოწვლილვით იძიებენ რაღაცას არსთა შესახებ და თვლიან სიდიდეებს: ზომავენ ძეს მამისადმი და მამას უფრო დიდად მიიჩნევენ. ვინ უნდა უთხრას მათ, რომ არ იზომება ის, რასაც რაოდენობა არა აქვს, ფასი არ ედება უხილავს, არ იწონება უსხეულო, არაფერს ეთანადება უკიდეგანო, არაშედარებადთან შეუთავსებელია გაგება დიდსა და მცირეზე. უფრო დიდს ხომ ურთიერთშედარებით ვადგენთ, ხოლო რასაც დასასრული არ აქვს, უაზრობაა მასზე აღმატებული ვეძებოთ... ***„დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი და გულისხმისა მისისა არა არს რიცხჳ“*** (ფს. 146, 5). რას უნდა ნიშნავდეს ეს? გამოიძიე ნათქვამი და საიდუმლოსაც გულისხმასყოფ. ...თუკი ვინმე მიუყვება გზას შუადღისას, როცა მზე ზემოდან მცხუნვარე სხივებით ავარვარებს მის თავს და სიცხით აშრობს მისი სხეულის მთელ სინოტივეს, ხოლო ფეხქვეშ მაგარი, გაუკვალავი, გამომშრალი მიწაა... და ადამიანი გადააწყდება წყაროს, საიდანაც უხვად მოსჩქეფს მშვენიერი, კამკამა, სასიამოვნო, გამაგრილებელი ნაკადი, ნუთუ ის მიუჯდება წყალს და დაიწყებს მისი ბუნების ბრძნულ გარჩევას, გამოძიებას, თუ საიდან, როგორ, რატომ მოედინება იგი და ბევრ ისეთზე, რაზეც ჩვეულებრივ ამაოდმეტყველნი საუბრობენ ხოლმე. მაგალითად, თუ როგორ იქცევა წყლად მიწის სიღრმეებში გაჟონილი, შემდეგ ერთად შეგროვილი და ამოხეთქილი რაღაც სისველე. ან, სიგრძივ დატოტვილი სადინარებიდან როგორ ამოჩქეფს წყალი, როგორც კი ამოსასვლელს იპოვის?! თუ ნაცვლად ყოველგვარი მსჯელობისა, დაიხრება ნაკადისკენ, დაეწაფება ბაგეებით, მოიკლავს წყურვილს, გაიგრილებს ენას და კმაყოფილი, მადლობას აღავლენს ამ წყალობის მომნიჭებლისადმი? ასე რომ, შენც მიბაძე ამ მწყურვალს“.[4]

არა მხოლოდ რწმენის, არამედ მრავალი საიდუმლოს წინაშე გვმართებს ჩვენი შეზღუდული გონების დამდაბლება. ამასვე ვისმენთ საეკლესიო საგალობელშიც: *„საიდუმლოჲ არა გამოიცადოს“.*

და მიუხედავად ამისა, გარკვეულწილად მაინც გვაქვს ცოდნა ღმერთის შესახებ – იმდენი, რამდენიც მან თავად გაანდო ადამიანებს. უნდა განვასხვავოთ ღმერთის **წვდომა,** რაც არსებითად შეუძლებელია, და ღმერთის თუნდაც ნაწილობრივი **შეცნობა**, რის შესახებაც პავლე მოციქული ამბობს: ***„რამეთუ ვხედავ აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ; აწ ვიცი მცირედ...“***(2 კორ. 13, 12). ამ შეცნობის სიღრმე ადამიანთა უნარზეა დამოკიდებული.

საიდან ვიღებთ ცოდნას ღმერთის შესახებ?

ა) ადამიანებს ეს ცოდნა ეძლევათ თავად ბუნების, საკუთარი თავისა და საერთოდ ღვთის ყველა ქმნილებათა შეცნობის წყალობით. ***„ვერ სიტყვამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების, და სამარადისოჲ იგი ძალი მისი და ღმრთეებაჲ, რაჲთა იყვნენ იგინი ვერ სიტყჳს მიმგებელ“*** (რომ. 1, 20). ანუ, ღვთის ქმნილებებზე დაკვირვებით, დაწყებული სამყაროს შექმნიდან, ღმერთის უხილავობა, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა ხილული ხდება. ამიტომაც იქმნებიან ***„ვერ სიტყჳს მიმგებელ“*** ისინი, ვინც ღმერთი შეიცნო, მაგრამ ***„...არა ღმრთეებრ ადიდებდეს მას, გინა ჰმადლობდეს, არამედ ამაო იქმნეს გულის ზრახვითა მათითა...“*** (რომ. 1, 21).

ბ) უფრო ცხადად წარმოაჩინა თავი ღმერთმა ზებუნებით გამოცხადებაში და მაშინ, როდესაც ძე ღვთისა განხორციელდა. ***„მრავლით კერძო და მრავლით საჴით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაწარმეტყუელთა მიერ, ხოლო უკანაჲსკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თჳსისა“*** (ებრ. 1, 1). ***„ღმერთი არავინ სადა იხილა; მხოლოდ-შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა“*** (იოანე, 1, 18).

თვით მაცხოვარი ასე გვასწავლის ღვთის შეცნობის შესახებ: ***„ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან...“*** და დასძინა ***„...და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების“***(მათე, 11, 27).

მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ეპისტოლეში წერს: ***„ხოლო ვიცით, რამეთუ ძჱ ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი...“*** (1 იოანე, 5, 20).

საღვთო გამოცხადება ჩვენ მოგვეცა წმინდა წერილითა და წმინდა გადმოცემით, რომელთა დაცვა, სწავლება და უცდომელად განმარტება ქრისტეს წმინდა ეკლესიის ვალი და კუთვნილებაა.

ოღონდ იმ ცოდნის საზღვრებშიც, რომელიც საღვთო გამოცხადებით გაგვაჩნია, ჩვენ უნდა მივყვეთ მათ მითითებებს, ვინც მაღალქრისტიანული ცხოვრებით განიწმინდა გონება და შეძლო აღმატებულ ჭეშმარიტებათა ჭვრეტა. სხვა სიტყვებით – გვმართებს, ყურად ვიღოთ ეკლესიის მამათა დარიგებანი და, ამასთან, ზნეობრივად დავიცვათ თავი. ამასვე გვარიგებს **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი:** „თუ გსურს იყო ღვთისმეტყველი და გახდე ღვთაებრივის ღირსი, დაიცავი კანონები; ღვთის მცნებებით იარე მაღალი მიზნისკენ, რადგან განჭვრეტისკენ ზესვლაა ეს“. ანუ, ისწრაფე და მიაღწიე ზნეობით სრულყოფას, რადგან მხოლოდ ამ გზით ახვალ იმ სიმაღლეზე, საიდანაც შეძლებ ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა ჭვრეტას.[5]

თვით მაცხოვარმა ასე ბრძანა: ***„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“*** (მათე, 5, 8).

წმინდა იოანე დამასკელი თავის ვრცელ ნაშრომს – „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ იწყებს მსჯელობით ცნებათა „წვდომასა“ და „შეცნობას“ შორის განსხვავებებზე, რაც ნიშნავს, რომ ღმერთი აზრით **მიუწდომელია** მაშინაც კი, როცა შესაძლებელი ხდება მისი **შეცნობა.** „ღმრთეება გამოუთქმელი და მიუწვდომელია, რადგან ***„...არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲვინ იცის, გარნა ძემან...“***(მათე, 11, 27). აგრეთვე, სულიწმიდამაც უწყის, რაც ღმრთეებაშია, ისე როგორც ადამიანის სულმა იცის, თუ რა არის ადამიანში. პირველი და ნეტარი არსების გარდა არასოდეს არავინ ჩასწვდომია ღმერთს, თუ თავად უფალმა არ განუცხადა საკუთარი თავი – არავინ არა მხოლოდ კაცთაგან, არამედ ზექვეყნიურ ძალთა, ქერუბიმთა და სერაბიმთაგან. თუმცა, ღმერთმა არ დაგვტოვა მასზე სრულ უმეცრებაში, რადგან: **ა.** თითოეულის ბუნებაში ჩათესილია ღვთის არსებობის შესახებ ცოდნა თავად ღმერთის მიერ. ღმრთეების სიდიადეზე ღაღადებენ თვით ქმნილებანი, მათზე ზრუნვა და მართვა; **ბ.** უფრო მეტიც: ჯერ რჯულისა და წინასწარმეტყველთა, შემდეგ მხოლოდშობილი ძის, უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ ღმერთმა **გამოგვიცხადა** თავისთავზე ის ცოდნა, რომლის დატევნაც შეგვეძლო. ამიტომ რჯულის, წინასწარმატყველთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ გადმოცემულს ყოველივეს შევიწყნარებთ, ვაღიარებთ, პატივს მივაგებთ და მათ მიღმა არარას გამოვიძიებთ... ამრიგად, ყოვლისმცოდნე და ყოველთათვის კეთილის მსურველმა ღმერთმა განგვიცხადა ის, რისი ცოდნაც გვარგებდა. ჩვენთვის დაუტევნელი კი საიდუმლოდ შეინახა. დავჯერდეთ ამას და ნუ გადავუხვევთ საღვთო გადმოცემას“.[6]

გარდასულ დროში ზოგი მწვალებელი ამტკიცებდა, რომ ღმერთი სრულად შეცნობადია და გასაგებად ხელმისაწვდომი. თავიანთ მტკიცებებს ისინი აგებდნენ იმ საფუძველზე, რომ ღმერთი მარტივი არსებაა და მცდარად ასკვნიდნენ, თითქოს მას არ გააჩნია შინაარსი და თვისებები. ისინი წერდნენ: „ამიტომ ღმერთზე ყველაფრის სათქმელად საკმარისია დავასახელოთ მისი სახელები, ან მივუთითოთ არშობილებაზე, რომელიც მისი ერთადერთი თვისებაა“ – ასე მსჯელობდა ზოგიერთი გნოსტიკოსი, მაგალითად, ვალენტინი (II საუკუნე), ევნომიოსი და ანომეველნი (IV საუკუნე). დაინახეს რა მასში ქრისტიანობის არსის დამახინჯების მცდელობა, წმინდა მამები მედგრად აღუდგნენ ამ ერესს. მათ მწვალებლების საწინააღმდეგოდ, როგორც წმინდა წერილიდან, ისე მსჯელობებით, გაარკვიეს და დაასაბუთეს, რომ:

ა) ღვთის არსების სიმარტივეში იგულისხმება მისი თვისებებისა და ღვთაებრივი ცხოველმყოფელობის სავსება;

ბ) წმინდა წერილში მოცემული ღვთის სახელები: იაჰხვე, ელოჰიმი, ადონაი და სხვა, გამოხატავენ არა თავად ღვთის არსს, არამედ მიანიშნებენ სამყაროსა და ადამიანისადმი ღმერთის დამოკიდებულებაზე.

ძველი დროის სხვა მწვალებლები (მაგალითად, მარკიონეანნი) საპირისპირო უკიდურესობისაკენ იხრებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ღმერთი სრულიად მიუწვდომელია და მისი შეცნობა არ ძალგვიძს. ამ საკითხზე ეკლესიის მამები მიუთითებდნენ, რომ ღვთის შემეცნება ჩვენთვის ნაწილობრივ შესაძლებელია, ამასთან – სარგებლის მომტანი და საჭირო. **წმინდა კირილე იერუსალიმელი** „განსასწავლ სიტყვანში“ გვმოძღვრავს: „შეიძლება მკითხონ: თუკი საღვთო არსება მიუწვდომელია, რატომღა ლაპარაკობ მასზე? ნუთუ ცოტაოდენი წყალი არ უნდა ამოვიღო მდინარიდან იმიტომ, რომ მისი მთლიანად დალევა არ შემიძლია?! ნუთუ აღარ უნდა შევხედო მზეს, როცა მჭირდება, რაკი ჩემს თვალებს არ ძალუძთ მთლიანად მისი დანახვა?! ნუთუ შეიძლება შევიდე რომელიღაც დიდ ბაღში და იქიდან სრულიად მშიერი გამოვიდე, რაკი არ შემიძლია ყველა ნაყოფი შევჭამო?!“[7]

ცნობილია ერთი ასეთი ამბავი: **ნეტარმა ავგუსტინემ,** ერთხელ, როცა ზღვის პირას დასეირნობდა ღმერთზე ფიქრებში გართული, დაინახა ნაპირზე მჯდარი ყმაწვილი, რომელიც ნიჟარით იღებდა ზღვიდან წყალს და ქვიშაში ამოთხრილ ორმოში ასხამდა. ამ სურათმა ნეტარ ავგუსტინეს აფიქრებინა, თუ რაოდენ შეუსაბამოა ღვთაებრივ სიდიადეს შეადარო ჩვენი უსუსური გონება – მას ხომ ისევე არ ძალუძს ღმერთზე და მის მთელ სიდიადეზე წარმოდგენა დაიტიოს, როგორც შეუძლებელია ნიჟარით ზღვა ამოხაპო.

ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲖᲔ

„თუ გსურს, ისაუბრო ან ისმინო ღმერთის შესახებ, – ღვთისმეტყველებს **წმინდა ბასილი დიდი**, – განუდექ საკუთარ სხეულს, ხორციელ გრძნობებს, დაუტევე მიწა, ზღვა, ჰქმენ ისე, რომ ჰაერი შენს ქვემოთ აღმოჩნდეს; განვლე წელიწადის დროთა თანმიმდევრობა და დედამიწის მშვენებანი; ასცდი ეთერს, მოიხილე ვარსკვლავნი – მათი სილამაზე, სიდიადე, მათგან ბოძებული სიკეთე, კეთილწყობა, სინათლე, მდებარეობა, მოძრაობა, რაც აკავშირებთ და განაშორებთ მათ. შემდეგ დაივიწყე ეს ყოველივე, გონებით მიმოიარე ცა, ასცდი მას და ფიქრებით მიმოიხილე იქაური მშვენიერებანი: ანგელოზთა ზეციური მხედრობა, მთავარანგელოზთა მთავრობა, უფლებათა დიდება, საყდართა, ძალთა, მთავრობათა და ხელმწიფებათა პირველმჯდომობა. განვლე ყოველივე, ქვემოთ დატოვე ყველა ქმნილება; გონებით გასცილდი მათ საზღვრებს და ფიქრებში წარმოიდგინე ღვთაებრივი ბუნება; უძრავი, გარდაუქმნელი, უცვალებელი, უვნებო, მარტივი, შეუდგენელი, განუყოფელი, ნათელი მიუწვდომელი, ძალა გამოუთქმელი,

სიდიადე უკიდეგანო, დიდება სხივოსანი, სიკეთე სანუკვარი, მგრძნობიარე სულისათვის გამაოგნებელი მშვენიერება აღუწერელი, რომლის ღირსეულად გამოხატვა სიტყვებს არ ძალუძთ“.[8]

ღმერთზე საუბარს, დიახაც, სულის ამგვარი აღმაფრენა სჭირდება! მაგრამ ამ დროსაც კი, ადამიანის გონებას შეუძლია შეიმეცნოს მხოლოდ საღვთო თვისებები და არა თავად მისი არსება.

წმინდა წერილში არის სიტყვები, რომლებიც მეტნაკლებად „გვაახლოვებს“ ცოდნასთან თავად საღვთო არსების შესახებ. ამ გამონათქვამთა გრამატიკული ფორმა პასუხობს არა მარტო კითხვას „როგორი?“, ანუ როგორია ღვთაებრივი თვისებები, არამედ თითქოს კითხვასაც „ვინ?“, ესე იგი, „ვინ არის ღმერთი?“

აი, ეს გამონათქვამები:

„...მე ვარ ღმერთი, მყოფი რომელი ვარ...“ (გამოს. 3, 14). „მყოფი“ ებრაულ ენაზე ნიშნავს „იაჰხვეს“;

„მე ვარ ანი და ჩ, იტყჳს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, არს ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1, 8);

„ხოლო უფალი ღმერთი ჩუენი ჭეშმარიტ არს...“ (იერ. 10, 10);

„სულ არს ღმერთი...“ (იოანე, 4, 24) – მაცხოვრის სიტყვები სამარიტელი დედაკაცის მიმართ;

„ხოლო უფალი სულ არს...“ (2 კორ. 3, 17);

„...ღმერთი ნათელ არს და ბნელი არა არს მის თანა არცა ერთ“ (2 ინ. 1, 5);

„...ღმერთი სიყუარულისაჲ არს“ (1 ინ. 4, 8);

„რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ განმლეველ არს“ (ებრ. 12, 29).

მაგრამ არც ესენი შეიძლება მივიჩნიოთ თავად საღვთო არსების მიმანიშნებელ გამონათქვამებად. ეკლესიის მამების აზრით, მხოლოდ სახელდება **„მყოფი“** [**„რომელი–იგი არს“** (იხ. გამოს. 3, 14). – მთარგ. შენიშვ.] შეიძლება „რამდენადმე“ (წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის გამოთქმა), ან „როგორც ჩანს“ (წმინდა იოანე დამასკელი) იყოს საღვთო არსების ამსახველი. ასეთივე მნიშვნელობა, თუმცა უფრო იშვიათად, ენიჭებოდა სახელდებებს: სახიერი, და ბერძნულ სიტყვას – ღმერთი (θεός). ყოველივე „არსებულის“, ანუ ქმნილისგან განსასხვავებლად ეკლესიის მამები ღვთის მყოფობას აღნიშნავდნენ ტერმინით – „უზესთაესი არსება“ – *„ქალწული დღეს არსებად უზესთაესსა შობს“* (კონდაკი, ხმა 7).

ამრიგად, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ საღვთო **თვისებებზე** და არა თავად საღვთო არსებაზე. ეკლესიის მამები პირდაპირ არ ლაპარაკობენ ღვთაებრივი ბუნების შესახებ, მხოლოდ აღნიშნავენ, რომ იგი არის „ერთიანი, მარტივი და შეუდგენელი“. მაგრამ ეს სიმარტივე არ არის განურჩეველი და უშინაარსო მთლიანობა – იგი არსებითი თვისებების სავსებას გულისხ-

მობს. „ღმერთი ესაა ზღვა უკიდეგანო და განუზომელი არსებისა“ **(წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).** „ღმერთი სისრულეა ყველა უმაღლესი და უსასრულო თვისებისა და სრულყოფილებისა“ **(წმინდა ბასილი დიდი)**. „ღმერთი მარტივია და შეუდგენელი. თავად იგია ერთიანი სული, აზრი, გონი და წყარო ყოველი სიკეთისა“.[9]

საღვთო თვისებებზე საუბრისას წმინდა მამები მიუთითებდნენ შემდეგს: არსების სიმარტივეში თვისებათა სიმრავლეს იმიტომ აღვიქვამთ, რომ არ შეგვიძლია ღმრთეების ხედვის ერთადერთი სწორი და საიდუმლო გზის პოვნა. ღმერთში ერთი თვისება მეორეს ნაწილია. ღმერთი მართალია, ეს კი ნიშნავს, რომ ნეტარია და სახიერი – იგი სულია. ღმერთის სიმარტივეში თვისებათა მრავლობითობა მოგვაგონებს მზის სინათლეს, რომელიც მიწიერ სხეულს, მაგალითად, მცენარეს ეფინება და ათასფერად ბრწყინავს ხოლმე.

წმინდა მამებთან და საღვთისმსახურო ტექსტებში, საღვთო თვისებათა ჩამონათვალში ხშირად ვაწყდებით გრამატიკულ უარყოფით ფორმაში ჩასმულ, „არა“ და „უ“-თავსართიან გამოთქმებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ფორმები „შემოსაზღვრულობის უარყოფას“ უსვამს ხაზს. მაგალითად, არაუმეცარი ნიშნავს მეცნიერს, მაგრამ თვისების **შემოუსაზღვრელობა–ზე** მიუთითებს. ამგვარ გამონათქვამთა ნიმუშს ვხვდებით **წმინდა იოანე დამასკელთან** მისსავე ნაშრომში „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“: „ღმერთი დაუსაბამოა, დაუსრულებელი, მარადიული, შეუქმნელი, გარდაუქმნელი, უცვლელი, მარტივი, შეუდგენელი, უსხეულო, უხილავი, შეუხებელი, აღუწერელი, უკიდეგანო, გონებისათვის მიუწვდომელი, შემოუწერელი, მიუღწეველი, კეთილი, სამართლიანი, ყველა ქმნილების შემოქმედი, ყოვლადძლიერი, ყოვლისმპყრობელი, ყოვლისმხედველი, ყოვლისგანმგებელი, მეუფე ყოველთა, მსაჯული...“.[10]

ღმერთის შესახებ ჩვენი მსჯელობა მეტყველებს:

ა) მასზე, რომ ღმერთი განსხვავდება ქმნილებათაგან (მაგალითად: ღმერთი დაუსაბამოა, უსასრულო, მარადიული, სამყაროს კი აქვს დასაბამი, დასასრული, არსებობს დროში);

ბ) ღმერთის ქმედებებზე სამყაროში და მისი, როგორც შემქმნელის, დამოკიდებულებაზე *თვისთა ქმნილებათა მიმართ* (იგი არის შემოქმედი, განმგებელი, მოწყალე, მართალი მსაჯული).

ღმერთის თვისებებზე საუბრისას ნუ ვეცდებით ცნება „ღმერთის“ განმარტებას. ეს არსებითად შეუძლებელია, რადგან ყოველი განმარტება „საზღვრებში“ ჩასმას ნიშნავს. ეს კი „შეზღუდვასა“ და სავსების არქონაზე მიუთითებს. ღმერთი უსაზღვროა და ამიტომ შეუძლებელია არსებობდეს ამ ცნების განმარტება: „რადგანაც განმარტება თვითონ არის შეზღუდვის ერთ-ერთი სახე“.[11]

ღმერთში ზოგიერთი არსებითი თვისების აღიარებას თვით ჩვენი **გონება** ითხოვს. იგი შთაგვაგონებს, რომ ღმერთს აქვს გონისმიერ-**პიროვნული** და თავისუფალ-**პიროვნული** მყოფობა. თუკი არასრულყოფილ სამყაროში ვხედავთ **პიროვნულ**, თავისუფალ-გონიერ არსებებს, როგორ შეიძლება არ ვცნოთ თავისუფალ-გონისმიერი პიროვნული მყოფობა თავად ღმერთში, რომელიც სიცოცხლის დასაბამი, მიზეზი და შემოქმედია. შესაქმის კანონი ადასტურებს, რომ ნებისმიერი მიზეზი შეიცავს არამცთუ ნაკლებს, არამედ უფრო მეტს, ვიდრე ამ მიზეზით შექმნილი (წარმოებული). გონება შთაგვაგონებს, რომ ღმერთი **უსრულყოფილესი** არსებაა. შეუთავსებელია ყოველგვარი ზადისა თუ ნაკლის ხსენება ცნებასთან „ღმერთი“. გონება შთაგვაგონებს, რომ უსრულყოფილესი არსება შეიძლება იყოს მხოლოდ **ერთი** – ღმერთი ერთია! შეუძლებელია ყოფილიყო ორი სრულყოფილი არსება, რადგან მაშინ ერთი შეზღუდავდა მეორეს. გონება შთაგვაგონებს, რომ ღმერთი **თვითმყოფობადია**, რადგან არაფერი შეიძლება იყოს მისი არსებობის მიზეზი და პირობა.

ᲠᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲦᲕᲗᲝ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?

უშუალოდ **საღვთო წერილიდან ცნობილი თვისებები** განხილულია მიტროპოლიტ ფილარეტის „მართლმადიდებელი ეკლესიის ვრცელ ქრისტიანულ კატეხიზმოში“, სადაც ვკითხულობთ: „კითხვა – საღვთო გამოცხადებიდან (წმინდა წერილიდან) რომელი ცნება შეიძლება მიესადაგოს საღვთო არსებასა და მის არსებით თვისებებს? პასუხი – **ღმერთი არის სული, საუკუნო, ყოვლადსახიერი, ყოვლისმცნობი, ყოვლადმართალი, ყოვლისშემძლე, ყველგანმყოფი, უცვალებელი, სრულადკმა, ყოვლადნეტარი**“.[12]

შევჩერდეთ კატეხიზმოში მითითებულ თვისებებზე.

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ – ᲡᲣᲚᲘ

„სული არს ღმერთი...“ (იოანე, 4, 24, – მაცხოვრის სიტყვები სამარიტელ დედაკაცთან საუბრისას). ***„ხოლო უფალი სული არს; ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს“*** (2 კორ. 3, 17). ღმერთისათვის უცხოა ყოველგვარი სხეული, მატერიალურობა. მისი სულიერება უფრო აღმატებული და სრულყოფილია, ვიდრე ქმნილი არსებებისა. თავად ადამიანის სულიც ხომ მხოლოდ „ხატია“ ღვთისა. ღმერთი სულია – უზენაესი, უწმიდესი, უსრულყოფილესი. მართალია, წმინდა წერილში ვპოულობთ ბევრ ისეთ ადგილს, რომელშიც ღმერთს სიმბოლურად მიეწერება სხეულის რომელიმე თვისება, მაგრამ ღმერთი რომ სულია, ამაზე ლაპარაკობს წმინდა წერილის დაბადების წიგნის პირველივე სიტყვები; ღმერთი მოსე წინასწარმეტყველსაც

გამოეცხადა, როგორც „არსი“, „მყოფი“ (ὁ ὢν), წმინდა, სულიერი და უზენაესი. სხეულებრივი სიმბოლოების საშუალებით წმინდა წერილი მხოლოდ შეგვაგონებს, რომ შევიცნოთ ღმერთის სულიერი თვისებები და ქმედებანი.

აქ მოვუხმოთ **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის** სიტყვებს: „თანახმად წერილისა, ღმერთი იძინებს, იღვიძებს, განრისხდება ხოლმე, დადის, მისი ტახტი ქერუბიმებია. კი მაგრამ, როდის დაუძლურდა?! გაგიგია, რომ ღმერთს სხეული ჰქონდეს?! აქ არარსებულზეა ლაპარაკი. ჩვენთვის გასაგებად ღვთაებრივ ცნებებსაც ჩვენეული სახელები დავარქვით: როდესაც ღმერთი – მხოლოდ მან უწყის, თუ რატომ – შეწყვეტს შემწეობას და, თითქოს, გულს აიყრის, ეს ნიშნავს, რომ სძინავს; ჩვენთვის ხომ ძილი უმოქმედობასა და უდარდელობასთან არის გაიგივებული. იღვიძებს მაშინ, როცა პირიქით, უცებ მოგვმადლებს სიკეთეს... მოგვივლენს სასჯელს და ვასკვნით, რომ განრისხდა; ჩვენ ხომ სხვებს მრისხანებისას ვსჯით. იგი ხან აქ არის, ხან – იქ. ჩვენ კი ამას ასე ვხსნით: დადის, რაკი აქეთ-იქით გადაადგილება სიარულით ხდება. განისვენებს და წმინდა ძალთა შორის სუფევს, ჩვენ კი ამას ტახტზე დაბრძანება, მოსვენება ვუწოდეთ. ღმერთი ხომ არსად განისვენებს ისე, როგორც წმინდანთა შორის. სწრაფად გადაადგილება ჩვენთვის ფრენაა, მზერა – პირისახეს გვიჩვენებს, მიღება-გაცემა კი – ხელს. ყველა სხვა ღვთაებრივ ძალასა და ქმედებას, აგრეთვე, სხეულთან დაკავშირებული გამოთქმებით გამოვხატავთ“.[13]

დაბადების წიგნის მეორე და მესამე თავში თქმულ საღვთო ქმედებების შესახებ, **წმინდა იოანე ოქროპირი** გვასწავლის: „გვერდს ნუ ავუვლით, ნუ დავტოვებთ უყურადღებოდ, საყვარელნო, საღვთო წერილში ნათქვამს, ნუ შევჩერდებით ოდენ სიტყვებზე, არამედ გავიაზროთ, რომ მათი ასეთი სიმარტივე ჩვენი უძლურებისა გამოა, და, რომ ყოველივე, ჩვენი გადარჩენის სასიკეთოდ ხდება. მიპასუხე – თუ მოვინდომებთ და სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, ამასთან მათ შინაარსს ღვთისთვის არასათნოდ გავიაზრებთ, განა ბევრი რამ უცნაურად არ მოგვეჩვენება?! აი, გადავხედოთ ამჟამინდელი საკითხავის დასაწყისს: ***„და ესმათ ხმაჲ უფლისა ღმრთისა, მავალისაჲ სამოთხესა შინა, მიმწუხრი და დაიმალნეს ადამცა და ცოლი მისი...“*** (დაბ. 3, 8). ღმერთი დადის – რას ამბობ?! ნუთუ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მას ფეხები აქვს და ამაზე აღმატებულს ვერაფერს მოვიაზრებთ?! ნუ იყოფინ! ღმერთი არ დადის! ბოლოს და ბოლოს, ნუთუ სამოთხეში დადის ის, ვინც ყველგანმყოფი და ყოველივეს აღმავსებელია, ვისი საბრძანებელი ზეცაა და ფერხთა კვარცხლბეკი – მიწა?! რომელი გონიერი ადამიანი იტყვის ამას?! მაშ, რაღას ნიშნავს: ***„და ესმათ ხმაჲ უფლისა ღმრთისა, მავალისაჲ სამოთხესა შინა, მიმწუხრი...“*** (დაბ. 3, 8)? ღმერთს ნებავდა, ადამიანებში აღეძრა ისეთი გრძნობა ღვთის სიახლოვისა, რაც შეაშფოთებდათ, და ასეც მოხდა; მათ შეი-

გრძნეს მოახლოებული ღმერთი და მიმალვას შეეცადნენ. ჩადენილ იქნა ცოდვა და შერცხვათ დანაშაულისა. აღდგა პირუთვნელი მსაჯული – სინდისი. იგი ხმამაღლა მოუხმობდა, კიცხავდა, ამხელდა ცოდვილთ, თითქოს დანაშაულის მთელი სიმძიმე თვალწინ გადაუშალა. მეუფემ პირველად შექმნა ადამიანი და დაუდუმებელ მამხილებელად მასში **სინდისი** ჩანერგა, რომლის მოტყუება ან მოხიბლვა შეუძლებელია... დედაკაცის შესაქმის შესახებ **წმინდა იოანე ოქროპირი** გვმოძღვრავს: „ნათქვამია ***„...მოიღო ფერც ხალი ერთი გუერდისა მისისა...“*** (დაბ. 2, 21). ნუ აღიქვამ ამ სიტყვებს პირდაპირ, ისე როგორც ადამიანებს სჩვევიათ. იცოდე, ტლანქი სახელწოდებები ჩვენი უძლურებისა გამოა გამოყენებული. წერილში ამგვარი სიტყვების გარეშე როგორ შევძლებდით იმ საიდუმლოთა გაგებას, რომელთა შესახებაც არ უქადაგიათ?! ნუ შეჩერდებით ოდენ სიტყვებზე, არამედ მივიღოთ ყოველივე კეთილწესიერად, როგორც – ღვთის შესახებ თქმული. გამოთქმა „მოიღო“ და მისთანანი ჩვენი უსუსურების გამოა მოყვანილი“. ამგვარადვე განმარტავს ეს წმინდანი შემდეგ სიტყვებსაც: ***„და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ...“*** (დაბ. 2, 7).[14]

წმინდა იოანე დამასკელმა თავის ნაშრომში „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ ამ თემას მიუძღვნა ერთი თავი სახელწოდებით „რაც ღმერთზე სხეულებრივად თქმულა“. იგი წერს: „რადგანაც საღვთო წერილში მეტისმეტად ბევრია **სიმბოლურად** ნათქვამი სხეულებრივ ღმერთზე, გვმართებს ვიცოდეთ, რომ ჩვენ, ამ ტლანქი ხორცით შემოსილ ადამიანებს, არ შეგვიძლია ჩვენეული ბუნების შესატყვისი სახეების, ხატებისა და **სიმბოლოების** გამოუყენებლად შევიცნოთ ან განვმარტოთ ღმრთეების უზენაესი, უნივთო და საღვთო ქმედებანი“. შემდეგ განმარტავს გამონათქვამებს ღმერთის თვალების, ყურების, ხელებისა და ა. შ. შესახებ და ასკვნის: „მოკლედ – ყოველივე, რაც ღვთის შესახებ სხეულებრივად თქმულა, შეიცავს რაღაც ფარულ აზრს“.[15]

რაოდენ ჩვეულებრივია თანამედროვე ცნობიერებისათვის წარმოდგენა იმისა, რომ ღმერთი სულია, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება ჩვენ დროში გავრცელებული პანთეიზმი, ყოველივეს ღმერთობა. ამიტომაც მართლმადიდებლობის ზეიმის კვირიაკეს „მართლმადიდებლობის მსახურებაში“ დღესაც ვისმენთ: „მქადაგებელნი, რომ ღმერთი არ არის სულ, არამედ ხორც – შეჩვენებულ იქნენ!“

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝ

ღვთის მყოფობა დროს არ ექვემდებარება. დრო მხოლოდ სასრული და ცვალებადი ყოფიერების ფორმაა. ღმერთისთვის არსებობს მხოლოდ აწმყო – არა წარსული, არა მომავალი. ***„დასაბამსა შენ, უფალო, ქუ-***

ეყანა დააფუძნე და ქმნულნი კელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარკდებიან, ხოლო შენ ჰგიე. და ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაძუელდნენ და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელიწადნი შენნი არა მოაკლდნენ“ (ფს. 101, 26-28). ზოგი წმინდა მამა მიუთითებს განსხვავებაზე ცნებათა შორის – „მარადისობა“ და „უკვდავება“. „მარადისობა“ საუკუნო ცხოვრებაა, იგი ჩვეულებრივ ესადაგება ერთ, დაუსაბამო არსებას, რომელშიც ყოველივე ყოველთვის უცვალებელია. ცნება „უკვდავი“ შეიძლება მივაკუთვნოთ დაბადებაში ნახსენებ ანგელოზებს, სულს... ანუ მათ, ვინც არ კვდება. თვით სახელი „მარადისობა“ საღვთო არსებას ეკუთვნის და, ჩვეულებრივ, მხოლოდ თაყვანსაცემ უდიდებულეს სამებას ერთვის თან **(წმინდა ისიდორე პელუსიელი).** ამიტომ გამოთქმა – „ღმერთი უწინარეს საუკუნეთა“ – უფრო შესაფერისია.

ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲡᲐᲮᲘᲔᲠᲝ

„შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდადმოწყალე“ (ფს. 102, 8), ***„...ღმერთი სიყუარული არს...“*** (1 იოანე, 4, 16). ღვთაებრივი სახიერება განეფინება სამყაროს არა რომელიმე განსაზღვრულ არეს, რაც შეზღუდულ არსებათა სიყვარულს ახასიათებს, არამედ მთლიანად მოიცავს მას და ყოველივე მასში არსებულს. ღმერთი სიყვარულით ზრუნავს თითოეული ქმნილების – ერთი შეხედვით რაოდენ მცირე და უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი – სიცოცხლესა და მოთხოვნებზე. **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** წერს: „თუ გვკითხავენ, რა არის ჩვენთვის სადიდებელი და სათაყვანო, პასუხი არ დააყოვნებს – სიყვარული!“.[16] ღმერთი თავის ქმნილებებს იმდენ სიკეთეს მიჰმადლებს, რამდენის მიმღებიცაა თითოეული მათგანი საკუთარი ბუნებით და მდგომარეობით და რაოდენიც ეთანადება სამყაროს საერთო ჰარმონიას. გამორჩეულ სიკეთეს ანიჭებს ღმერთი ადამიანს: „ღმერთი დედა-ფრინველს ჰგავს; თვალს მოჰკრავს თუ არა გადმოვარდნილ ბარტყს, მის ასაყვანად თვითონაც ამოფრინდება ბუდიდან. როდესაც დაინახავს საფრთხეს, რომ ბარტყი შეიძლება გველმა გადასანსლოს, იგი შესაბრალისი კრიახით დაფრინავს მის და სხვა ბარტყების გარშემო – არ შეუძლია გულგრილად უყუროს, თუ როგორ იღუპება ერთი მათგანიც კი“.[17] „ღმერთს ვუყვარვართ უფრო მეტად, ვიდრე ეს მამას, დედას, მეგობარს ან სხვა ვინმეს ძალუძს. მეტიც, მას უფრო მეტად ვუყვარვართ, ვიდრე საკუთარი თავი გვიყვარს. საკუთარ დიდებაზე მეტად ჩვენს გადარჩენაზე ზრუნავს. ამის დადასტურებაა ამა სოფლად ტანჯვისა და სიკვდილისთვის (კაცობრივი სხეულით) თავისი მხოლოდშობილი ძის გამოგზავნა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვის ხსნისა და მარა-

დიული ცხოვრებისაკენ მიმავალი გზა ეჩვენებინა“.[18] თუ ადამიანი ხშირად ვერ აცნობიერებს საღვთო სიკეთის მთელ ძალმოსილებას, ეს იმიტომ, რომ ფიქრებითა და სურვილებით მეტისმეტად მიეჯაჭვა ამსოფლიურ სიამეებს. ღვთის განგებულებით გვეძლევა დროებითი, მიწიერი კეთილდღეობა, მაგრამ ამასთან, მოწოდებულნი ვართ მოვიხვეჭოთ მარადიული სიკეთენი ჩვენი სულებისთვის.

ყოვლისმპყრობელი

„...ყოველივე შიშუელ და ქედ-დადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა...“ (ებრ. 4, 13). ***„რომელ-იგი არა მექმნა, იხილეს თუალთა შენთა...“*** (ფს. 138, 16). საღვთო **მეცნიერება** არის ხედვა და უშუალოდ ცოდნა ყოველივესი: არსებულისა და სავარაუდოსი, აწმყოსი, წარსულისა და მომავლისა. მომავლის **წინასწარცოდნა** თავად სულიერი ხედვაა, რადგანაც ღმერთისთვის მომავალი იგივეა, რაც აწმყო. საღვთო წინასწარცოდნა ქმნილებებს ხელს არ უშლის, ჰქონდეთ თავისუფალი ნება ისევე, როგორც არ ილახება მოყვასის თავისუფლება, როცა მის საქციელს ვხედავთ. საღვთო წინასწარცოდნას ბოროტების შესახებ სამყაროში და თავისუფალ არსებათა ქმედებებზე, თითქოს აგვირგვინებს წინასწარცოდნა სამყაროს გადარჩენაზე, როცა იქნება ***„...ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“*** (1 კორ. 15, 28).

საღვთო ცოდნის მეორე მხარეა ღვთაებრივი **სიბრძნე**: ***„დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი და გულისკმისა მისისა არა არს რიცხჳ“*** (ფს. 146, 5). ეყრდნობოდნენ რა საღვთო წერილს, ეკლესიის წმინდა მამები და მასწავლებლები ყოველთვის ღრმა მოწიწებით მიანიშნებდნენ ღვთაებრივი სიბრძნის როლზე ხილული სამყაროს მოწყობაში. ამ საკითხზე იწერებოდა მრავალი თხზულება, სახელდობრ, ნაშრომები სამყაროს შექმნის ისტორიაზე „ექვსთა დღეთა“ **(წმინდა ბასილი დიდის, წმინდა იოანე ოქროპირის და წმინდა გრიგოლ ნოსელის საუბრები)**. „საკმარისია, თუნდაც ერთი ბალახის ან ღეროს თვალიერება, რათა ჩვენი ფიქრები მთლიანად გაიტაცოს იმ ოსტატობამ, რითაც იგია შექმნილი“ (წმინდა ბასილი დიდი). წმინდა მამები კიდევ უფრო გულმოდგინედ მსჯელობდნენ ჩვენი გადარჩენის განგებულებასა და ძე ღვთისას განხორციელებაში ჩადებულ საღვთო სიბრძნეზე. ძველი აღთქმის წმინდა წერილი უპირატესად ყურადღებას ამახვილებს საღვთო სიბრძნის როლზე სამყაროს მოწყობაში: ***„...ყოველივე სიბრძნით ჰქმენ“*** (ფს. 103, 24), ხოლო ახალი აღთქმა ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ჩვენი გადარჩენის განგებულებაში. ამის შესახებ პავლე მოციქული ამბობს: ***„ჵ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ!“***(რომ. 11, 33). საღვთო სიბრძნით

სამყაროს ყოფიერება ერთი მიზნისკენ მიემართება, ეს არის სრულყოფა და გარდაქმნა სადიდებელად ღვთისა.

ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

საღვთო წერილსა და ჩვეულებრივ ლექსიკაში სიტყვა – „სიმართლე“, ორი მნიშვნელობით მოიაზრება: როგორც სიწმინდე და როგორც სამართლიანობა ან მართლმსაჯულება.

ა) **სიწმინდე** – მარტო ბოროტების უქონლობას არ ნიშნავს, იგი ცოდვისაგან გამიჯნული უმაღლესი სულიერი ფასეულობაა. სიწმინდე სინათლეა, ღვთაებრივი სიწმინდე კი უსპეტაკესი ნათელი. ღმერთი თავისი ბუნებით, თვისებით არის „ერთი წმიდა“ – წყარო სიწმინდისა ანგელოზთა და კაცთათვის. ადამიანებმა შეიძლება მხოლოდ ღმერთთან მიაღწიონ სიწმინდეს „არა ბუნებით, არამედ ზიარებით, ღვაწლითა და ლოცვით“ **(წმინდა კირილე იერუსალიმელი).** წმინდა წერილის მიხედვით, უფლის ტახტს გარსშემორტყმული ანგელოზები განუწყვეტლივ უხმობენ ურთიერთს და ღაღადებენ უფლის სიწმინდეზე: ***„...წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!“*** (ეს. 6, 3). წმინდა წერილის თანახმად, სიწმინდის ნათელი აღავსებს ყოველივეს, რაც ღვთისგან მოდის ან მას ემსახურება: ***„აღუვარებდენ საბელსა შენსა დიდსა, რამეთუ საშინელ და წმიდა არს. აღამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა და თაყუანის-სცემდით კუარცხლბეკსა ფერჴთა მისთასა, რამეთუ წმიდა არს. აღამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა და თაყუანის-ეცით მთასა წმიდასა მისსა, რამეთუ წმიდა არს უფალი ღმერთი ჩუენი“*** (ფს. 98, 3, 5, 9). ***„მართალ არს უფალი ყოველთა შინა გზათა მისთა და წმიდა არს იგი ყოველთა შინა საქმეთა მისთა“*** (ფს. 144, 17).

ბ) **მართლმსაჯულება** – მეორე მხარეა საღვთო ზესამართლიანობისა. ***„და თავადმან განსაჯოს სოფელი სიმართლით და განიკითნეს ერნი სიწრფოებით“***(ფს. 9,9). ***„რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ: რამეთუ არა არს თუალთ-ღებაჲ ღმრთისა თანა“*** (რომ. 2, 6, 11).

როგორ ესადაგება ღვთის სიყვარული იმ საღვთო სიმართლეს, რომელიც მკაცრად მოგვკითხავს ცოდვებს და სჯის დამნაშავეს? ამ საკითხზე მრავალი მამა მსჯელობდა: ისინი ღმერთის რისხვას ადარებენ იმ მამის გაგულისებას, რომელიც იძულებულია, ურჩი შვილის ჭკუაზე მოსაყვანად დასჯის სხვადასხვა ხერხი გამოიყენოს. იმავდროულად კი დარდობს, ნაღვლობს შვილის უგუნურებაზე, გული შესტკივა, რომ მწუხარება მიაყენა მას. ამიტომ არის საღვთო სიმართლე ყოველთვის გულმოწყალება. თვით გულმოწყალებაც სიმართლეა, როგორც ნათქვამია: ***„წყალობაჲ და ჭეშმარიტება შეიმთხჳნეს, სიმართლემან და მშჳდობამან ამბორს-უყვეს“*** (ფს. 84, 11).

საღვთო **სიწმინდე** და **სიმართლე** ურთიერთისგან განუყოფელია. ღმერთი ყველას მოუხმობს მასში, მის სასუფეველში, ანუ საღვთო სიწმინდეში მარადიული ცხოვრებისაკენ. ოღონდ, ღვთის სასუფეველში ვერ შევა ვერაფერი უწმინდური. ღმერთი განგვწმენდს თავისი სასჯელებით: ეს არის განგებულებითი, გამაფრთხილებელი და გამოსასწორებელი ქმედებანი თავის ქმნილებათა მიმართ **სიყვარულის** გამო. ჩვენ ხომ საშინელი, სამართლიანი სამსჯავრო გველის. როგორ შევძლებდით სიწმინდისა და ნათლის სასუფეველში შესვლას, ან როგორ ვიგრძნობდით იქ თავს უწმინდურნი, უმეცარნი, მოკლებულნი სულ მცირეოდენ სიწმინდეს, სულიერებასა და ზნეობრივ ფასეულობებს?!

ყოვლისშემძლე

„რამეთუ მან თქუა და იქმნნეს, თავადმან ამცნო და დაებადნეს“ (ფს. 32, 9), – ასე გამოხატავს უფლის ყოვლისშემძლეობას ფსალმუნთმთქმელი. ღმერთი სამყაროს შემოქმედია, მისი განმგებელი და ყოვლისამპყრობელი; იგია ***„რომელმან ყვის საკჳრველი მხოლომან“*** (ფს. 71, 18). ღმერთი მოთმინებით იტანს ბოროტებისა და ბოროტთა არსებობას სამყაროში არა იმიტომ, რომ მათი განადგურება არ შეუძლია; მან თავისუფლება მიანიჭა სულიერ არსებებს და ისე წარმართავს მათ, რომ ძალდაუტანებლად, თავიანთი ნებით განუდგნენ ბოროტებას და სიკეთისაკენ იქციონ პირი.

კაზუისტიკურ კითხვებზე: თუ რისი აღსრულება არ ძალუძს ღმერთს, უნდა ვუპასუხოთ, რომ მისი ყოვლისშემძლეობა მოიცავს ყველაფერს, რაც ნებავს საღვთო აზრს, სახიერებასა და ნებას.

ყველგანმყოფი

„ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი? აღ-თუ-ვჴდე ცად, შენ მუნ ხარ; შთა-თუ-ვჴდე ჯოჯოხეთად ახლოსვე ხარ; აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად, და დავემკჳდრო მე დასასრულსა ზღჳსასა, და რამეთუ მუნცა ჴელი შენი მიძღოდის მე, მარჯუენემან შენმან შემიწყნაროს მე“ (ფს. 138, 7-10).

ღმერთი განუსაზღვრელია სივრცეში, იგი ყოველივეს აღავსებს. არსით მარტივი, ყოვლისაღმავსებელი ღმერთი მყოფობს ყველგან არა ნაწილობრივ, ან თავის მიერვე გამოვლინებული ძალით, არამედ მთელი არსებით. ამასთან არ ერწყმის მას, რაშიც მყოფობს. „ღმერთი განმსჭვალავს ყოველივეს, მაგრამ არაფერს შეერევა, მასში ვერაფერი შეაღწევს“.[19] „ღმერთი რომ ყველგანაა, ვიცით, მაგრამ ამ მყოფობას ვერ ჩავწდომივართ იმიტომ, რომ ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ გრძნობადის აღქმა და არა მთლიანად ღვთაებრივი ბუნების გააზრება“.[20]

ᲣᲪᲕᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ

„... მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინა თუ ქცევისა აჩრდილ“ (იაკ. 1, 17). ანუ არავითარი ცვლილება ან იოტისოდენი გარდაქმნა – ღმერთი სრულყოფილია, ყოველი ცვლილება კი არასრულყოფილების ნიშანია და, წარმოუდგენელია, უსრულყოფილეს არსებაში, ღმერთში, ხდებოდეს ის. არ შეიძლება ითქვას, რომ ღმერთში ზრდის, სახეცვლილების, ევოლუციის, პროგრესის ან სხვა რაიმე მსგავსი პროცესი მიმდინარეობს.

უცვალებლობა ღმერთში არ ნიშნავს რაღაც უძრაობასა და თავისთავში ჩაკეტვას; მისი უცვალებელი არსი ცხოვრებაა – აღსავსე ძალებითა და ქმედებებით. ღმერთი თავად ცხოვრებაა, ცხოვრება კი – მისი მყოფობა.

საღვთო უცვალებლობას არც ძის შობა და სულის გამომავლობა არღვევს. მამა-ღმერთს ეკუთვნის მამობა, ძე-ღმერთს – შობილობა და სული-წმიდა-ღმერთს – გამომავლობა „მარადიული, დაუსრულებელი და უწყვეტი“ **(წმინდა იოანე დამასკელი).** იდუმალებით მოცული სიტყვები „შობა ძისა“ და „გამომავლობა სულისა“ არ გამოხატავენ რაიმე ცვლილებას საღვთო ცხოვრებაში და არ მიუთითებენ რაიმე პროცესზე. ჩვენს შეზღუდულ აზროვნებაში „შობა“ და „გამომავლობა“ მხოლოდ „შექმნის“ საპირისპიროდ მოიაზრება და მიუთითებს ღმერთში პირთა ანუ ჰიპოსტასთა ერთარსობაზე. ქმნილება შემოქმედისთვის რაღაც გარეგანია, საღვთო „ძეობა“ კი არის მამისა და ძის ბუნებითი ერთიანობა, შინაგანი მთლიანობა. ასეთივეა საღვთო არსებიდან „გამომავლობა“ სულისა. სულისა – „რომელი მამისაგან გამოვალს“.

საღვთო უცვალებლობას არც ღმერთი-სიტყვის, ანუ – ძე ღვთისას განხორციელება და განკაცება არღვევს. მხოლოდ ქმნილებანი კარგავენ თავიანთი შეზღუდულობის გამო იმას, რაც აქვთ, ან იძენენ იმას, რაც არ ჰქონიათ. ძე ღვთისას ღმერთობა განხორციელებისას იგივე დარჩა, რაც მანამდე იყო. მან თავის გვამოვნებაში, საღვთო ჰიპოსტასის ერთიანობაში მიიღო ადამიანური ბუნება ქალწულ მარიამისაგან. ოღონდ რამე ახალი, შერეული ბუნება არ შეუქმნია – ძე ღვთისამ უცვალებელად შეინარჩუნა თავისი ღვთაებრივი ბუნება.

საღვთო უცვალებლობას არც სამყაროს შექმნა ეწინააღმდეგება. სამყაროს მყოფობა ღვთაებრივი ბუნებისათვის გარეგანია და მის არსსა და თვისებებს არ ცვლის. სამყაროს **წარმოშობა** მხოლოდ საღვთო ძალისა და აზრის გამოვლენის შედეგია. ისინი მარადიულნი არიან და მარადის მოქმედებენ, მაგრამ მათ მოღვაწეობას მარადისობაში ვერ აღიქვამს ჩვენი ქმნილი გონება. „საღვთო სამყარო ქმნილია და ღმერთივით მარადიული ვერ იქნება – სამყაროს შექმნა არის საღვთო მარადიული აზრის განხორციელება“ **(ნეტარი ავგუსტინე)**. „სამყარო თავისი არსით ღმერთთან არ იგივდება, იგი აუცილებლად ცვალებადი და დასრულებადი უნდა იყოს. მაგრამ სამყაროს ეს თვისებები არ ეწინააღმდეგება მისი შემოქმედის უცვალებლობასა და დაუსაბამობას“.[21]

სრულადკმა და ყოვლადნეტარი

ეს ორი სიტყვა შინაარსით ერთმანეთს ჰგავს: **სრულადკმა** (βρεδξβξλόνϋι) – სლავური სიტყვაა. იგი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც თვითკმაყოფილი. ეს სიტყვა აღნიშნავს ყოვლისმფლობელობას, სრულ სიუხვეს, ყოველგვარი სიკეთით სავსებას. ზიარების წინა ლოცვებში ვკითხულობთ: „*არა ვარ ღირს, არცა კმა, რათა სართულსა ქუეშე სახლსა სულისა ჩემისასა შემოხვიდე*“ (მეორე ლოცვა), და „*არა ვარ ღირს, არცა კმა აღხილვად და ხილვად სიმაღლესა ცისასა*“ (წმინდა სვიმეონ მეტაფრასტი). აქ „კმა“ „სულიერად აღვსებულს“, „სულიერად მდიდარს“ აღნიშნავს. ღმერთში უხვადაა ყოველი სიკეთე: ***„ჵ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ!...“*** (რომ. 11, 33), – ღაღადებს პავლე მოციქული. ***„რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი...“*** (რომ. 11, 36). ღმერთს არაფერი სჭირდება, ***„...იგი თავად მოსცემს ყოველთა ცხორებასა და სულსა ყოვლით კერძო“*** (საქმ. 17, 25). ასე რომ, ღმერთი თავად არის **წყარო** ყოველი სიცოცხლისა და სიკეთისა, მისგან იღებს ყოველი ქმნილება თავის **უხვებას**.

ყოვლადნეტარი პავლე მოციქული თავის ეპისტოლეებში ორჯერ ახსენებს ღმერთს, როგორც „**ნეტარს**“: ***„საბარებისა მისებრ დიდებისა ნეტარისა ღმრთისა...“*** (1 ტიმ. 1, 11) და ***„რომელი-ივი ჟამთა თჳსთა აჩუენოს ნეტარმან მან და მხოლომან ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან“*** (1 ტიმ. 6, 15). სიტყვა „ყოვლადნეტარი“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს თავისთავში ყოველივეს დამტევი ღმერთი თავისსავე შექმნილი სამყაროს ქმნილებათა ტანჯვისადმი გულგრილი იყოს. პირიქით, მისი ქმნილებანი მისგან და მასში ეზიარებიან ნეტარებას. ღმერთი არ „იტანჯება“, მას გული შესტკივა. ქრისტემ „*ივნო, ვითარცა მოკვდავმა*“ (აღდგომის კანონი) არა ღვთაებრივი, არამედ ადამიანური ბუნებით. ღმერთია წყარო ნეტარებისა, ვისაც ღმერთი უყვარს, მასში პოულობს სიხარულს, სიტკბოებას, განცხრომის სავსებას ისე, როგორც ფსალმუნშია ნათქვამი: ***„...აღმავსო მე სიხარულითა პირისა შენისაჲთა; შუენიერებაჲ მარჯუენესა შინა შენსა სრულიად“*** (ფს. 15, 11).

საღვთო ნეტარება ასახულია საქებარ, სახოტბო თუ სამადლობელ გამოთქმებში – ამგვარი განუწყვეტელი შეძახილებითაა სამყარო გაჯერებული. მათ აღავლენენ ღვთის ტახტს გარშემორტყმული, ღვთისადმი კეთილსურნელი სიყვარულით ანთებული უმაღლესი ძალნი – ქერუბიმნი და სერაბიმნი, ანგელოზთა მთელი დასი და ღვთიური სამყაროს ყოველი ქმნილება. „*შენ გადიდებს მთოვარე. შენნი არიან ვარსკვლავნი. შენ გერჩის ნათელი. შენგან ძრწიან უფსკრულნი. შენ გმონებენ წყარონი*“ (დიდი წყალკურთხევის ლოცვა).

ერთი ღმერთის შესახებ

„ამრიგად, გვწამს ერთი ღმერთი, ერთი დასაბამი, დაუსაბამო, შეუქმნელი, უშობელი, წარუწყმედელი, უკვდავი, საუკუნო, უსასრულო, გარეშემოუწერელი, შემოუსაზღვრელი, უსაზღვროდ ძალმოსილი, მარტივი, შეუდგენელი, უსხეულო, წარუდინებელი, უვნებო, უცვლელი, გარდაუქმნელი, უხილავი, წყარო სიკეთისა და სამართლიანობისა, ნათელი გონისმიერი, მიუწვდომელი, ძლიერი, მარტოოდენ საკუთარი სურვილით განზომილი, ყოველგვარი საზომით განუზომელი, ძალუძს ყოველივე, რაც ნებავს,... ერთი არსება, ერთი ღმრთეება, ერთი ძალა, ერთი ნებელობა, ერთი მოქმედება, ერთი **დასაბამი**, ერთი **უფლება**, ერთი **მეუფება**, ერთი **ხელმწიფება** სამ სრულ ჰიპოსტასში, რომელიც ერთად შეიცნობა და ერთად თაყვანის-იცემება“.[22]

სადღეისოდ ჭეშმარიტება ერთი ღმერთის შესახებ იმდენად გაითავისა ადამიანთა ცნობიერებამ, რომ აღარ არის აუცილებელი საღვთო წერილით, ან, უბრალოდ, დამაჯერებელი არგუმენტებით ამის მტკიცება. სხვანაირად იყო ადრექრისტიანულ ეპოქაში; მაშინ ამ ჭეშმარიტებას ეკლესია დუალისტური იდეებისა (კეთილისა და ბოროტის – ორღმერთიანობის აღიარების) და გავრცელებული წარმართული მრავალღმერთიანობისაგან ბრძოლით იცავდა.

მრწამს ერთი ღმერთი – ეს არის სარწმუნოების სიმბოლოს პირველი სიტყვები. ღმერთი ფლობს ზესრული მყოფობის მთელ სავსებას. იდეა მის სავსებაზე, სრულყოფილებაზე, უსასრულობასა და ყოვლისმომცველობაზე გვაიძულებს, რომ თავად ღმერთი მოვიაზროთ როგორც ერთადერთი და ერთარსება. ჩვენი ცნობიერების ეს მოთხოვნა შემდეგი სიტყვებით გამოხატა ძველი ეკლესიის ერთ-ერთმა მწერალმა: „თუ ღმერთი ერთი არ არის, მაშინ ღმერთი არც ყოფილა“ **(ტერტულიანე).** სხვანაირად: მეორე არსებით შეზღუდული ღმერთი კარგავს საღვთო ღირსებას.

ახალი აღთქმის წმინდა წერილში უხვადაა ერთ ღმერთზე სწავლების მაგალითები: ვლოცულობთ საუფლო ლოცვის სიტყვებით **„მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა...“,** პავლე მოციქული რწმენის ძირითად ჭეშმარიტებას ასე გამოხატავს: ***„...არავინ არს ღმერთი სხუაჲ, გარნა მხოლოჲ იგი ერთი ღმერთი“***(1 კორ. 8, 4).

ძველი აღთქმის წმინდა წერილი მთლიანად განმსჭვალულია მკაცრი მონოთეიზმით. ძველი აღთქმის ისტორია არის წარმართულ მრავალღმერთიანობასთან ბრძოლა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისადმი რწმენის დასამკვიდრებლად. რელიგიის ისტორიკოსთაგან ზოგს განუზრახავს, იპოვოს ძველი ებრაელი ხალხის ცხოვრებაში ვითომდა თავდაპირველად არსებული მრავალღმერთიანობის კვალი და, მიანიშნებენ ისეთ ბიბლიურ გამონათქვამებზე, როგორიცაა „ელოჰიმი“ (ღმერთის სახელი მრავლობით რიცხვში),

„ღმერთი ღმერთთა“, „ღმერთი აბრაჰამისა, ისააკისა და იაკობისა“, მაგრამ ამ გამონათქვამთა ნამდვილი მნიშვნელობა ხსენებულ ისტორიკოსთა სურვილს ვერ დააკმაყოფილებს:

ა) „ელოჰიმი“ – უბრალო იუდეველისათვის ეს არის მოწიწებისა და კეთილკრძალულების ფორმა. ღვთივშთაგონებულმა მოსე წინასწარმეტყველმა ამ მრავლობითი რიცხვის ფორმაში უეჭველად ჩადო ღმერთში სამპიროვნების ჭეშმარიტების განჭვრეტის ღრმა, საიდუმლო აზრი. ვერავის დააეჭვებს მოსე წინასწარმატყველის მონოთეისტობა. იცოდა რა ებრაული ენის თავისებურებანი, იგი არასოდეს გამოიყენებდა ისეთ სახელს, რომელიც ერთღმერთიანობისადმი მის რწმენასთან შეუთავსებელი იქნებოდა.

ბ) გამონათქვამში – „ღმერთი ღმერთთა“, **ჭეშმარიტი** ღმერთისადმი რწმენა უპირისპირდება კერპების თაყვანისცემას, რომელთაც მათი ამღიარებლები ღმერთებს ეძახდნენ, იუდეველთათვის კი ისინი ცრუ ღმერთები იყვნენ. ამ გამოთქმას ახალ აღთქმაში თავისუფლად იყენებს პავლე მოციქული: ***„...არავინ არს ღმერთ სხუად, გარნა მხოლოდ იგი ერთი ღმერთი. რამეთუ დაღაცათუ არიან რაჲმე სახელ-დებულ ღმერთნი გინა თუ ცათა შინა, გინა თუ ქუეყანასა ზედა, ვითარცა არიან ღმერთნი მრავალ და უფალნი მრავალ, არამედ ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამად, რომლისაგან არს ყოველი, და ჩუენ – მისა მიმართ. და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი, და ჩუენ – მის მიერ“*** (1 კორ. 8, 4-6).

გ) „ღმერთი აბრაჰამისა, ისააკისა და იაკობისა“ – გამოთქმა მიუთითებს მხოლოდ ებრაელი ერის რჩეულობაზე, როგორც „აღთქმის მემკვიდრეზე“, რომელიც მიეცა აბრაჰამს, ისააკსა და იაკობს.

ქრისტიანული ჭეშმარიტება, რომ ღმერთი ერთია, უფრო ღრმად ვლინდება **სამჰიპოსტასური ერთობის** ჭეშმარიტებაში.

II. ყოვლადწმიდა სამების დოგმატი

ღმერთი ერთარსია და სამპიროვანი. სამების დოგმატი **ქრისტიანობის** ძირითადი დოგმატია. უშუალოდ მასზეა დაფუძნებული ეკლესიის უმნიშვნელოვანესი და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი გამოსყიდვის დოგმატები. განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სწავლება ყოვლადწმიდა სამებაზე სარწმუნოების ყოველი იმ სიმბოლოს ძირითად შინაარსს შეადგენს, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია წარსულშიც და ახლაც იყენებდა და იყენებს. იგივე მეორდება ეკლესიის მწყემსთა მიერ პირად, თუ სხვადასხვა შემთხვევათა გამო დაწერილ სარწმუნოების აღსარებებში.

ყველა ქრისტიანულ დოგმატთაგან უმნიშვნელოვანესი – ყოვლადწმიდა სამების დოგმატი – ადამიანის შეზღუდული გონებისათვის ყველაზე რთულად გასააზრებელიც არის. აი, რატომ იყო, რომ ეკლესიის ისტორიაში არც ერთი ქრისტიანული ჭეშმარიტებისათვის არ გამართულა ისეთი დაძაბული ბრძოლა, როგორიც ამ დოგმატისა და უშუალოდ მასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო გაჩაღდა.

ყოვლადწმიდა სამების დოგმატი თავისთავში აერთიანებს ორ ძირითად ჭეშმარიტებას:

1. ღმერთი ერთარსია, მაგრამ სამპიროვანი, ანუ ღმერთი არის სამჰიპოსტასოვანი, სამება ერთარსი;

2. ჰიპოსტასებს პირადი თვისებები აქვთ: მამა უშობელია, ძე – მამისაგან შობილი, სულიწმიდა – მამისაგან გამომავალი.

ჩვენ ქედს ვიხრით ყოვლადწმიდა სამების წინაშე ერთიანი, განუყოფელი თაყვანისცემით. ეკლესიის მამებისა და საღვთისმსახურო შრომებში სამებას ხშირად ეწოდება – „სამება ერთღმრთეება“, „სამჰიპოსტასოვანი ერთღმრთეება“. ყოვლადწმიდა სამების ერთი პირისადმი აღვლენილი ლოცვები მეტწილად სამივე პირის განდიდებით მთავრდება (მაგალითად, ლოცვა უფალ იესო ქრისტესადმი: *„და შენდა დიდებასა აღვავლენთ თანადაუსაბამოდ მამით შენით და ყოვლადწმიდით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“*).

ეკლესია ლოცვებში ყოვლაწმიდა სამებას მიმართავს მხოლობით და არა მრავლობით რიცხვში. მაგალითად, „რამეთუ შენ (და არა თქვენ) გიგალობენ ძალნი ცათანი და შენდა (და არა თქვენდა) დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ქრისტიანული ეკლესია აცნობიერებს დოგმატის იდუმალებას და მას უდიდეს გამოცხადებად აღიქვამს. ეს გამოცხადება განუზომლად ამაღლებს ქრისტიანულ სარწმუნოებას ერთღმერთიანობის ყოველგვარ, მარტივ აღიარე-

ბასთან შედარებით (ერთღმერთიანობას სხვა, მათ შორის არაქრისტიანულ რელიგიებშიც კი ვხვდებით). სამჰიპოსტასობის დოგმატი მიანიშნებს ღმერთში შინაგანი, იდუმალი ცხოვრების სავსებაზე, რამეთუ ***„...ღმერთი სიყუარულისაჲ არს“*** (1 იო. 4, 8); ღვთის სიყვარული შეუძლებელია მხოლოდ მის მიერვე შექმნილ სამყაროს განეფინოს – იგი ყოვლადწმიდა სამებაში საღვთო შიდაცხოვრებასაც მოიცავს. სამჰიპოსტასობის დოგმატი კიდევ უფრო ნათლად მიუთითებს სამყაროსთან ღვთის სიახლოვეზე: ღმერთია ჩვენს ზემოთ, ჩვენთან, ჩვენში და ყოველ ქმნილებაში. ჩვენს ზემოთ მამა ღმერთი სუფევს, წყარო დაუშრობელი, საეკლესიო ლოცვების მიხედვით – დასაბამი ყოველთა მყოფობისა, მამა სიუხვეთა, ჩვენი მოყვარული და თავის ქმნილებებზე მზრუნველი. ჩვენ მისი შვილნი ვართ მადლისმიერად. ჩვენთან არის ძე ღმერთი – იგი იშვა და საღვთო სიყვარულის გამო ადამიანებს კაცად მოევლინა, რათა გვცოდნოდა და საკუთარი თვალით გვეხილა, რომ უფალი ჩვენთან არის და რომ იგი **უწრფელესად**, ანუ უსრულყოფილესი სახით „თანაზიარ გვექმნა“ (იხ. ებრ. 3, 14). სულიწმიდა ჩვენში და ყოველ ქმნილებაში თავისი ძალითა და მადლით აღავსებს ყოველივეს, იგია მომნიჭებელი სიცოცხლისა, ცხოველმყოფელი და ნუგეშინისმცემელი, სიკეთეთა საგანძური და წყარო. ყოვლადსაუკუნოდ და წინასაუკუნოდ მყოფი სამპიროვანი ღმერთი სამყაროს გამოეცხადა მაშინ, როცა ძე ღვთისა მოვიდა და განხორციელდა, როგორც *„ერთ ძალ, ერთ არს, ერთ ღმერთ“* (სულთმოფენობის სტიქარონი).

ღმერთი მთელი თავისი არსით არის სრული გონი, აზრი და **თვითშემეცნება**. მაშასადამე, თვითშემეცნებადია ერთი ღმერთის მიერ თავისთავის სამობრივ, მარადიულ გამოვლინებათაგან თითოეული. ყოველი მათგანი **პირია** და არა უბრალო ფორმა, ცალკეული გამოვლინება, თვისება თუ ქმედება – თავად საღვთო არსება არის სამპიროვანი. მაშასადამე, როდესაც ქრისტიანულ სწავლებაში სამპიროვან ერთ ღმერთზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ საღვთო სიღრმეებში დაფარულ იდუმალ შიდაცხოვრებას, რაც სამყაროსათვის დროის მონაკვეთში გაცხადებულ იქნა და გამოიხატა ახალ აღთქმაში მამისაგან ამა სოფლად ძე ღვთისას გამოგზავნასა და სასწაულთმოქმედი, ცხოვრებისმომცემელი, მაცხონებელი ძალის მქონე ნუგეშინისმცელის – სულიწმიდის მოქმედებაში.

სამპიროვანი ღმერთისა და საღვთო ერთარსობის შესახებ

დადასტურებანი წმინდა წერილიდან: ძველი აღთქმა

ერთი ღმერთის სამპიროვნების ჭეშმარიტება ძველ აღთქმაში მხოლოდ შეფარვით, მინიშნებით არის გამოხატული. სამების შესახებ ძველი აღთქმის

ადგილების გაგება და ახსნა **ქრისტიანულ სარწმუნოებაზე** დაყრდნობით არის შესაძლებელი. ამის შესახებ მოციქულიც სწერს იუდეველებს: ***„არამედ დღენდელად დღედმდე, რაჟამს აღმოიკითხვის მოსესთჳს, საბურველი გულსა მათა ძეს. ხოლო რაჟამს მოიქცეს უფლისა, მოეძარცუვის საბურველი იგი. ...რამეთუ ქრისტეს მიერ განქარდების“***(2 კორ. 3, 15, 16; 3, 14). აი, ძირითადი ადგილები ძველი აღთქმიდან:

დაბ. 1, 1 და სხვა: სახელი „ელოჰიმი“ ებრაულ ტექსტში წარმოდგენილია გრამატიკულ მრავლობით რიცხვში.

დაბ. 1, 26 – ***„და თქვა ღმერთმან: ვქმენთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ...“***– მრავლობითი რიცხვი მიანიშნებს, რომ ღმერთი ერთი პირი არ არის.

დაბ. 3, 22 – ***„და თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენთაგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა...“*** (ღმერთის სიტყვები პირველმშობელთა სამოთხიდან განდევნის წინ).

დაბ. 11, 6, 7 – ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას, ენათა აღრევის წინ ***„...თქუა უფალმან ღმერთმან: ... მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ...“.***

დაბ. 18, 1–3 – ***„...ეჩუენა მას*** (აბრაჰამს) ***ღმერთი მუხასა თანა მამბრესსა... და აღმხილველმან თუალთა მისთამან იხილა, და აჰა, სამნი კაცნი ზედა მოადგეს მას ... და თაყუანის-სცა ქუეყანასა ზედა. და თქუა: უფალო, უკეთუ ვპოვე სადამე მადლი წინაშე შენსა, და ნუ თანა-წარჰკდები მონასა შენსა“.*** „ნახეთ – გვასწავლის **ნეტარი ავგუსტინე,** – აბრაჰამი ხვდება სამს და ეთაყვანება ერთს... დაინახა სამნი და განჭვრიტა სამების საიდუმლო. თაყვანის-სცა როგორც ერთს და აღიარა ერთი, სამპიროვანი ღმერთი“[1].

ეკლესიის მამები სამების შესახებ არაპირდაპირ მინიშნებებს შემდეგ ადგილებშიც ხედავენ:

რიცხ. 6, 24–26 – ღმერთის მიერ ნაუწყები და მოსეს პირით გადმოცემული სამღვდელო კურთხევა სამი სახით: ***„გაკურთხენ შენ უფალმან და დაგიცევინ შენ. გამოაჩინენ პირი მისი შენ ზედა და გაკურთხენ შენ. მოაქციენ უფალმან პირი მისი შენ ზედა და მოგეცინ შენ მშჳდობაჲ“.***

ეს. 6, 3 – უფლის ტახტის ირგვლივ შემოკრებილ სერაბიმთა დიდებისმეტყველება სამჯერ: ***„...წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ!...“***

ფს. 32, 6 – ***„სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა – ყოველი ძალი მათი“.***

დაბოლოს, შეიძლება მოვიყვანოთ ადგილები ძველი აღთქმის გამოცხადებიდან, სადაც ლაპარაკია ძე ღვთისასა და სულიწმიდაზე ცალ-ცალკე:

ძის შესახებ:

ფს. 2, 7 – *„...ძე ჩემი ხარი შენ, მე დღეს მიშობიე შენ“;*

ფს. 109, 3 – *„...საშოდათ მთიებისა წინა გშევ შენ“;*

სულიწმიდის შესახებ:

ფს. 142, 10 – *„...სული შენი სახიერი მიძღოდენ მე ქუეყანასა წრფელსა“;*

ეს. 48, 16 – *„...აწ უფალმან მომავლინა მე და სული მისი“,* და სხვა მსგავსი ადგილები.

დადასტურებანი წმინდა წერილიდან: ახალი აღთქმა

ახალ აღთქმაში ღმერთის სამპიროვნება გაცხადდა ძე ღვთისას მოვლინებითა და სულიწმიდის გარდამოსვლით. მამა ღმერთისაგან დედამიწაზე სიტყვისა და სულიწმიდის გამოგზავნა ახალი აღთქმის მთელი ტექსტის ძირითად შინაარსს შეადგენს. რა თქმა უნდა, სამპიროვანი ერთი ღმერთის ამა სოფლად მოვლინება გადმოცემულია არა დოგმატური ფორმულით, არამედ ყოვლადწმიდა სამების პირთა გამოცხადებასა და ქმედებებზე თხრობით.

ღმერთის სამებობა გაცხადდა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ნათლისღების დროს, ამიტომ ეწოდება ნათლისღებას გამოცხადება ღვთისა. როდესაც განკაცებული ძე ღვთისა წყლით ნათელს-იღებდა, მაშინ მამა მის შესახებ ამოწმებდა და მტრედის სახით გამოცხადებული სულიწმიდა ადასტურებდა ღვთიური ხმის ჭეშმარიტებას. ეს მოვლენა ასახულია უფლის ნათლისღების სადღესასწაულო ტროპარში: *„რაჟამს იორდანეს ნათელ-იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყუანისცემაჲ გამოჩნდა, რამეთუ მამისა ხმაჲ გეწამებოდა და საყუარელად ძედ სახელ-გდუა შენ და სულიწმიდაჲ სახითა ტრედისაჲთა დაამტკიცებდა სიტყუისა მის უცთომელობასა...“*

ახალი აღთქმის წერილში გვხვდება სამპიროვანი ერთი ღმერთის შესახებ გამონათქვამები, რომლებიც მეტად მოკლედ, მაგრამ ზუსტად გამოხატავენ სამების ჭეშმარიტებას. აი, ისინი:

მათე, 28, 19 – *„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“.* წმინდა ამბროსი შენიშნავს: „უფალმა ბრძანა, სახელითა და არა სახელებითა იმიტომ, რომ ღმერთი ერთია და არა ორი ან სამი“.

2 კორ. 13, 13 – *„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა. ამინ“.*

1 იოანე, 5, 7 – *„რამეთუ სამნი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა:*

მამაჲ, სიტყუაჲ და სული წმიდაჲ; ესე სამნი ერთ არიან" (ეს მუხლი არ შემოინახა ძველბერძნულ ხელნაწერებში. იგი მხოლოდ ლათინურ, დასავლურ ნაწერებში გვხვდება). გარდა ამისა, **წმინდა ათანასე დიდი** განმარტავს, რომ სამებაზეა, აგრეთვე, ლაპარაკი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეს შემდეგ ტექსტში***: „ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს*** (მამა ღმერთი) ***და ყოველთა მიერ*** (ძე ღმერთი) ***და ჩუენ ყოველთა შორის*** (სულიწმიდა)**"** (ეფ. 4, 6).

ყოვლადწმიდა სამების დოგმატის აღიარება ძველ ეკლესიაში

ქრისტეს ეკლესიის მიერ ყოვლადწმიდა სამების ჭეშმარიტება მთელი სისავსითა და სისრულით თავიდანვე იქნა აღიარებული. ყოვლადწმიდა სამებისადმი საყოველთაო რწმენაზე ნათლად ლაპარაკობს **წმინდა ირინეოს ლიონელი** – მოწაფე თვით მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის მიერ დამოძღვრილი **წმინდა პოლიკარპე სმირნელისა**: „ეკლესია მთელ მსოფლიოში, ქვეყნის დასალიერამდეა გავრცელებული, ოღონდ სარწმუნოება მან მოციქულთა და მათ მოწაფეთაგან მიიღო. ეს არის სარწმუნოება ერთ ღმერთზე, მამა ყოვლისმპყრობელზე... და ერთ იესო ქრისტეზე, ძე ღვთისაზე, რომელმაც ჩვენი ხსნისათვის ხორცნი შეისხნა, და სულიწმიდაზე, რომელმაც წინასწარმეტყველთა პირით გვამცნო საღვთო განგებულება ჩვენი გადარჩენისა. მიიღო რა ამგვარად ნაქადაგები და აღიარა რა ასეთი რწმენა, ეკლესია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მთელ მსოფლიოშია განფენილი, გულმოდგინედ იცავს მას... ისე შეთანხმებულად ქადაგებს ამ სარწმუნოებას, თითქოს ეკლესიას ერთი სული და გული ჰქონდეს. ისე ასწავლის და გადასცემს მას, თითქოს ერთის პირით წარმოთქვამდეს. მრავალ ენაზე ლაპარაკობენ მსოფლიოში, მაგრამ ეს გადმოცემის ძალას ვერ ცვლის... ეკლესიების წინამძღვართაგან ვერავინ ეწინააღმდეგება ამ სარწმუნოებას, გადმოცემას ვერ შეასუსტებს გამოცდილი თუ ახალბედა მჭერმეტყველი".[2]

წმინდა მამებს, იცავდნენ რა მწვალებლებისაგან ყოვლადწმიდა სამების კათოლიკე ჭეშმარიტებას, მის დასამტკიცებლად მოჰყავდათ მოწმობები წმინდა წერილიდან, ერეტიკოსთა ბრძნობის გასაქარწყლებლად იშველიებდნენ გონებისმიერ, ფილოსოფიურ მსჯელობებს, გარდა ამისა, **თავადაც ეყრდნობოდნენ** პირველქრისტიანთა მოწმობებს.

ასეთი მოწმობებია:

1) მაგალითები მოწამეთა და მართალთა, რომელთაც არ ეშინოდათ, მტანჯველთა წინაშე ელიარებინათ რწმენა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა;

2) მოციქულთა მოწაფეთა და, საერთოდ, ადრექრისტიანული ხანის მწერალთა ნაშრომები;

3) საღვთისმსახურო ფორმულირებანი. **წმინდა ბასილი დიდს** მოჰყავს მცირე სადიდებელი: „მასვე (ქრისტეს) მამითურთ და სულიწმიდითურთ პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე“. მისი აზრით, ეს გამოთქმები ეკლესიაში გამოიყენებოდა ზუსტად იმ დროიდან, როცა სახარება გვეუწყა. წმინდა ბასილი დიდი აგრეთვე მიუთითებს სამადლობელზე „ნათელი მხიარული“ (სამწუხრო საგალობელი), მას მამათაგან გადმოცემულ „ძველ საგალობელს“ უწოდებს და იქიდან შემდეგი სიტყვები მოჰყავს: *„ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ღმერთსა“,* რითაც ცხადყოფს ძველი ქრისტიანების რწმენას, რომ სულიწმიდა თანადიდებულია მამასა და ძესთან ერთად.[3]

არსებობს ეკლესიის ძველ მამათა და მასწავლებელთა მრავალი მოწმობა, რომ ეკლესია თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან აღასრულებდა ნათლისღებას მამის, ძისა და სულიწმიდის, როგორც სამი ღვთაებრივი პირის, სახელით. ამასთან ამხელდა იმ ერეტიკოსებს, რომლებიც ნათლავდნენ მარტო მამის (რადგან ძესა და სულიწმიდას უფრო ნაკლებ ღირსებას მიაწერდნენ), ან მამისა და ძის, ანდა მარტო ძის (აკნინებდნენ სულიწმიდის ღირსებას) სახელით. ამას ადასტურებდნენ **იუსტინე მოწამე, ტერტულიანე, ირინეოს ლიონელი, კვიპრიანე კართაგენელი, ათანასე დიდი, ჰილარი პიქტავიელი, ბასილი დიდი და სხვანი.**

ამ დოგმატის დასაცავად ეკლესიამ დიდი მღელვარება გადაიტანა და მძიმე ომს გაუძლო. ბრძოლა ჯერ მამა ღმერთთან **ძე ღვთისას** თანაარსობისა და თანადიდებულების, შემდეგ კი **სულიწმიდის** მამა ღმერთთან და ძე ღმერთთან თანასწორობის დასამტკიცებლად წარიმართა.

ადრექრისტიანული პერიოდის ეკლესიის დოგმატური ამოცანა იყო, დაედგინა ყოვლადწმიდა სამების შესახებ ზუსტი ტერმინოლოგიური განმარტებანი და ფორმულირებანი, რომლებიც გამორიცხავდნენ მწვალებელთა მხრიდან მათი სხვაგვარად გაგების შესაძლებლობას.

ეკლესიის მამებს სურდათ, რამდენადმე მოერგოთ ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო შინაარსი ჩვენს მიწიერ ცნებებთან, მიეახლოებინათ მიუწვდომელი მისაწვდომთან და ამისთვის ბუნებაში არსებულ და ჩვენთვის ნაცნობ სახეებს იყენებდნენ. აი, ისინი:

ა) მზე, მზის სხივი და ნათელი;

ბ) ფესვი, ღერო და ნაყოფი ხისა;

გ) წყარო, მისგან მოჩუხჩუხე ნაკადული და მდინარე;

დ) ერთიმეორის მიყოლებით დანთებული სამი სანთელი, რომელიც ერთ, განუყოფელ სინათლეს აფრქვევს;

ე) ცეცხლი, მისი ალი და სითბო;
ვ) გონება, ნებელობა, მეხსიერება;
ზ) ცნობიერება, შემეცნება, სურვილი და ასე შემდეგ.

აი, რას ამბობს ამგვარ მცდელობათა შესახებ **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი:** „რა აღარ განვიხილე საკუთარ თავთან ჩემივე ცნობისმოყვარე ჭკუით; რით აღარ დავტვირთე გონება, სად აღარ ვეძებე ამ საიდუმლოს მსგავსი – ვერაფერი ვპოვე, რითაც შეიძლება ღვთიურ არსებას მიემსგავსოს მიწიერი. თუკი ოდნავ მსგავსებას გამოვძებნი, ხელიდან მისხლტება გაცილებით უფრო აღმატებული და შესადარებლად არჩეულთან ერთად მტოვებს მიწაზე. სხვათა მიბაძვით წარმოვიდგინე წყარო, ნაკადული და მდინარე და განვსაჯე: ხომ არ ჰგავს ერთ მათგანს მამა, მეორეს – ძე და მესამეს კი სულიწმიდა? ერთი შეხედვით, თითქოს სამი, თვისობრივად განყოფილი: წყარო, ნაკადული და მდინარე განუყოფელია დროში და უწყვეტია მათი თანამყოფობა. მაგრამ ჯერ ერთი, შემეშინდა, არ დამეშვა ღმერთში რაღაც განუწყვეტელი დინების არსებობა; მეორეც, რომ ამგვარი შედარებით არ შემომეტანა რიცხობრივი ერთობა – წყარო, ნაკადული და მდინარე რიცხობრივად ერთია, ისინი მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში განსხვავდებიან. განსახილველად ახლა მზეს, სხივებსა და სინათლეს მივმართე: მაგრამ აქაც მაქვს შიში, არ წარმოვიდგინო შეუდგენელი ბუნება შედგენილად, რაც მზესა და მისგან გამომავალთ ახასიათებთ. მეორეც – თუ აღიარებ, რომ მამა არის არსება, ამით ხომ არ უარყოფ, რომ დანარჩენი პირები დამოუკიდებელი არსებანი არიან და არ აქცევ მათ მამა ღმერთში არსებულ, მაგრამ მასზე დამოკიდებულ ღვთიურ ძალებად? სხივიც და სინათლეც მზე კი არა, რაღაც მისგან გამომავალნი არიან და მზის არსებით თვისებებს წარმოადგენენ. მესამე, რათა ღმერთს ერთდროულად მყოფობა და არმყოფობა არ მიეწეროს (ამ მაგალითმა კი შეიძლება ასეთ დასკვნამდეც მიგვიყვანოს), რაც ზემოთქმულზე უფრო დიდი უგუნურება იქნებოდა... საერთოდ, განხილვისას ვერაფერს ვაწყდები ისეთს, რაც მისაღები მსგავსების არსებობას მაფიქრებინებს, თუ ვინმემ სათანადო კეთილგონიერებით არ გამოაცალკევა რაღაც ერთი და უკუაგდო დანარჩენი. ბოლოს ვასკვნი, რომ უმჯობესია, განუდგე ყველა სახესა და აჩრდილს – ისინი მაცდურნი არიან და ჭეშმარიტებისგან ძალიან შორს დგანან. ღვთისმოშიშებით უნდა იაზროვნო და დასჯერდე რამდენიმე სახელდებას. სულის მიერ წარმართული, მისგან რა გაცისკროვნებასაც ეზიარები, ბოლომდე დაიმარხე. მასთან (სულთან) ერთად განვლე დღენი, როგორც წრფელ თანამოაზრესა და მოსაუბრესთან. შეძლებისდაგვარად სხვებსაც შთააგონე, რათა თაყვანი სცენ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ერთსა ღმრთეებასა და ერთსა ძალსა“.[4]

სალვთო პირთა პიროვნულ თვისებათა შესახებ

ყოვლადწმიდა სამების პიროვნული ანუ ჰიპოსტასური თვისებები ამგვარად აღინიშნება: მამა – უშობელი, ძე – შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, სულიწმიდა – მამისაგან გამომავალი.

„მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, შობილობასა და გამომავლობას შორის განსხვავების არსებობა, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება და რას ნიშნავს მამისაგან შობა ძისა და გამომავლობა სულიწმიდისა, არ ვუწყით“.[5]

ყოველგვარი დიალექტიკური მოსაზრება, თუ რას ნიშნავს შობა და გამომავლობა, უძლურია, ამოხსნას საღვთო ცხოვრების ეს შინაგანი საიდუმლო. თვითნებურმა დასკვნებმა შეიძლება ქრისტიანული სწავლების დამახინჯებამდე მიგვიყვანოს კიდეც. თვითონ გამოთქმები: „შობილი მამისაგან“ (ძის შესახებ) და „გამომავალი მამისაგან“ (სულიწმიდაზე) არის წმინდა წერილის სიტყვების ზუსტი გადმოცემა. ძის შესახებ ნათქვამია: იგი მხოლოდშობილია (იხ. იოანე, 1, 14; 3, 16 და სხვა), აგრეთვე ***„... საშოჲთ მთიებისა წინა გშევ შენ“*** (ფს. 109, 3), ***„...უფალმან მრქუა მე: ძე ჩემი ხარი შენ, მე დღეს მიშობიე შენ“*** (ფს. 2, 7), ეს სიტყვები მეორდება ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში – 1, 5 და 5, 5. სულიწმიდის გამომავლობის დოგმატს საფუძვლად უდევს მაცხოვრის პირდაპირი და არაორაზროვანი გამონათქვამი: ***„ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისავან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს“*** (იოანე, 15, 26). მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ძეზე ლაპარაკია ძირითადად გრამატიკულ წარსულ დროში („შობილი“), ხოლო სულიწმიდაზე აწმყოში („გამოვალს“). მაგრამ დროის განსხვავებული გრამატიკული ფორმები არ მიანიშნებენ რაიმეს დაქვემდებარებას ჟამთასვლაზე – შობაც და გამომავლობაც „დაუსაბამოა“, „დროის მიღმაა“. საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში ზოგჯერ ძის შობასთან დაკავშირებულ ციტატებში გამოიყენება აწმყო დროის ფორმა: „დაუსაბამოდ იშვება“ მამისაგან. ჩვეულებრივ კი წმინდა მამები იყენებენ მრწამსის სიმბოლოს გამოთქმას „შობილი“.

მამისაგან ძის შობისა და მამისაგან სულიწმიდის გამომავლობის დოგმატი მიანიშნებს საღვთო პირთა საიდუმლო ერთობაზე, ღმერთის შიდაცხოვრებაზე. ეს წინასაუკუნო, ყოვლადსაუკუნო და უჟამო არსებობა ურთიერთში უნდა განვასხვავოთ ყოვლადწმიდა სამების **გამოვლინებათაგან** ქმნილ სამყაროში. იგი არ უნდა აგვერიოს ისეთ საღვთო განგებულებით ქმედებებსა და გამოცხადებებში, როგორებიცაა შესაქმე, ამა სოფლად ძე ღვთისას მოვლინება, მისი განხორციელება და სულიწმიდის გამოგზავნა.

ეს განგებულებითი გამოცხადებანი და ქმედებანი **აღესრულა დროში**. ძე ღვთისა იშვა ქალწულ მარიამისგან მასზე სულიწმიდის გარდამოსვლით გარკვეულ ისტორიულ ხანაში: ***„...სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“*** (ლუკა, 1, 35). ისტორიულ დროში გარდამოვიდა სულიწმიდა იესოზე, როდესაც იგი იოანესგან ნათელს-იღებდა; ასევე მოავლინა ძემ მამისაგან სულიწმიდა, რომელიც ცეცხლოვანი ენების სახით გაცხადდა. ძე ამა სოფლად მოვიდა სულიწმიდის მიერ და თანახმად აღთქმისა, ძემ მოავლინა იგი: ***„...მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ...“*** (იოანე, 15, 26).

კითხვას, თუ „როდის მოხდა შობა (ძისა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა) და გამომავლობა (სულიწმიდისა) – **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** პასუხობს: „მანამდე, ვიდრე თვით **„როდის“.** ისმენ შობაზე და ნუ ეცდები გაიგო, თუ რანაირად ისმენ მამისაგან სულის გამომავლობაზე და ნუ გაირჯები მიხვდე, როგორ“.[6]

თუმცა გამოთქმების – „შობა“ და „გამომავლობა“ – შინაარსის გაგება ჩვენთვის მიუწვდომელია, ეს ქრისტიანული სწავლებისათვის ამ ცნებათა მნიშვნელობას არ აკნინებს. აღნიშნული სიტყვები მიანიშნებენ მეორე და მესამე პირის **სრულ** ღმერთობაზე. ძისა და სულის მყოფობა განუყოფლად ივანებს მამა ღმერთის არსებაში. აქედან არის გამოთქმა: ***„საშოჲთ... გშევ შენ“*** (საშო – არსებას აღნიშნავს). სიტყვებით – „შობილი“ და „გამომავალი“, მოიაზრება ძისა და სულის მყოფობა ყოველივე ქმნადის, ღვთის ნებით არარადან გამოხმობილ ქმნილებათა საპირისპირო მნიშვნელობით. **საღვთო არსების მყოფობა** შეიძლება იყოს მხოლოდ ღვთაებრივი და მარადიული.

შობილში ყოველთვის არის მშობლისეული არსება, ქმნილი არსება კი შემოქმედისაგან განსხვავდება, იგი **გარეგანია** და შედარებით კნინი.

მეორე პირის „სიტყვად“ სახელდება

წმინდა მამებთან და საღვთისმეტყველო ტექსტებში, ძე ღვთისას ხშირად უწოდებენ სიტყვას ან ლოგოსს. ამ სახელდებათა მართებულობა დასაბუთებულია იოანე ღვთისმეტყველის სახარების პირველ თავში.

ძველი აღთქმის წიგნებში არაერთგზის ვაწყდებით ცნებასა თუ სახელს „სიტყვა“, გამოყენებულს მაღალი მნიშვნელობით. ამის მაგალითად ფსალმუნთა გამონათქვამებს მოვიყვანთ: ***„უკუნისამდე, უფალო, სიტყუაჲ შენი დაადგების ცათა შინა“*** (ფს. 118, 89), ***„მოუვლინა სიტყუაჲ მისი და განკურნა იგინი...“*** (ფს. 106, 20 – ეს მუხლი ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლას ეხება), ***„სიტყუთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა – ყოველი ძალი მათი“*** (ფს. 32, 6). ავტორი წიგნის „სიბრძნე

სოლომონისა“ წერს: ***„ყოვლადძლიერი სიტყუაჲ შენი ზეცით საყდართაგან სუფევისათა თუალუხვავი მბრძოლი, შოვრის მოსრვისა მის მიიწია ქუეყნად – მახჳლი მალე და შეუორგულებელი ბრძანება შენი მოაკუდენდა, დადგა და აღესრულა ყველა სიკუდილითა და ცად აღებულ იყო და მოწევნულ იყო ქუეყანად“*** (სიბრძ. 18, 15, 16).

წმინდა მამები ცდილობდნენ, ამ საღვთო სახელის დახმარებით რამდენადმე გასაგები გაეხადათ ძისა და მამის ურთიერთარსებობის საიდუმლო. ორიგენეს მოწაფე **წმინდა დიონისე ალექსანდრიელი** ამ ურთიერთობას შემდეგნაირად ხსნის: „ჩვენს აზრს სიტყვა მოაქვს; როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: ***„აღმოთქუა გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი...“*** (ფს. 44, 1). აზრი და სიტყვა განსხვავდებიან და თითოეულს თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მაშინ, როცა აზრი მყოფობს და მოძრაობს გულში, ენასა და ბაგეებზეა სიტყვა. მაგრამ ისინი განუყოფელნი არიან და ერთი წუთითაც არ არსებობენ უერთმანეთოდ. არც აზრი არსებობს უსიტყვოდ, არც სიტყვა უაზროდ... იგი აზრში პოულობს მყოფობას. აზრი თითქოს შინაგანი, დაფარული სიტყვაა, სიტყვა კი გარეთ გამომავალი აზრი. ანუ აზრი გადადის სიტყვაში, მას კი იგი მსმენელამდე მიაქვს. მაშასადამე, აზრი მსმენელთა სულებში სიტყვის მიერ ინერგება. აზრი, როგორც თავისთავადი რამ, თითქოს სიტყვის მამაა, სიტყვა კი მისი ძე. იგი არ არსებობს აზრზე უწინარესად, არც მასთან ერთად წარმოშობილა სადღაც გარედან, სიტყვა აზრის წიაღში იშვა. ასევე ჰყავს უდიდეს და ყოვლისმომცველ აზრს – მამას თავისი პირველი განმმარტებელი და მაუწყებელი ძე – სიტყვა“.[7]

სიტყვისა და აზრის ურთიერთობის იმავე სახეს ფართოდ იყენებს მამა იოანე კრონშტადტელი, როდესაც ყოვლადწმიდა სამებაზე მსჯელობს.[8]

წმინდა დიონისე ალექსანდრიელის ციტატაში ფსალმუნის ჩართვა მიუთითებს, რომ სახელდება „სიტყვის“ შესახებ ეკლესიის მამათა აზრი ეყრდნობა როგორც ახალი, ისე ძველი აღთქმის წმინდა წერილს. ამრიგად, უსაფუძვლოა ზოგიერთი დასავლელი განმმარტებლის მცდელობა, დაამტკიცოს, რომ სახელი „სიტყვა – ლოგოსი“ ქრისტიანებმა ფილოსოფიიდან აიღეს.

ეკლესიის მამებს, როგორც თავად მოციქულ იოანე ღვთისმეტყველს, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ბერძნულ ფილოსოფიაში დამკვიდრებული და იუდეველთა ფილოსოფოსის, ფილონ ალექსანდრიელის მიერ განმარტებული ლოგოსის ცნება (ლოგოსი მოიაზრება როგორც პიროვნული არსება, „შუამავალი“ ღმერთსა და სამყაროს შორის, ან უპიროვნო ღვთიური ძალა). ლოგოსის ამგვარ გააზრებას მათ **დაუპირისპირეს** ქრისტიანული სწავლება სიტყვაზე, რომელიც არის მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ერთარსი მამისა და სულისა.

სულიწმიდის გამომავლობის შესახებ

ძველი მართლმადიდებლური სწავლება მამის, ძისა და სულიწმიდის პირად თვისებებზე დაამახინჯა ლათინური ეკლესიის სწავლებამ. მისი მტკიცებით, სულიწმიდა მარადიულად და ყოვლადსაუკუნოდ გამოვალს მამისაგან და **ძისაგან** (Filioque). გამონათქვამი, რომ სულიწმიდა მამისაგან და ძისაგან გამოვალს, თავდაპირველად **ნეტარ ავგუსტინეს** ეკუთვნის. იგი ამის შესახებ აღნიშნავს საღვთისმეტყველო მსჯელობისას თავის ზოგიერთ საღვთისმეტყველო თხზულებაში, თუმცა, სხვებში აღიარებს სულიწმიდის გამომავლობას მხოლოდ მამისაგან. დასავლეთში ამგვარად აღმოცენებულმა სწავლებამ VII საუკუნის დასაწყისისათვის დაიწყო გავრცელება და IX საუკუნეში იქვე დამკვიდრდა, როგორც სავალდებულო. პაპმა ლეო III, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამ სწავლებას ემხრობოდა, აკრძალა ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტის შეცვლა და ბრძანა მისი, როგორც ძველი მართლმადიდებლური საკითხავის, ლითონის ორ დაფაზე დაწერა – ერთზე ბერძნულ, მეორეზე კი ლათინურ ენაზე. პაპმა ისინი წმინდა პეტრეს ბაზილიკაში გამოჰფინა წარწერით: „მე, ლეომ, დავდგი ისინი მართლმადიდებელი სარწმუნოების სიყვარულით და მის დასაცავად“. პაპმა ეს მას შემდეგ მოიმოქმედა, რაც ააქენის კრებამ (შედგა IX საუკუნეში იმპერატორ კარლოს დიდის მეთაურობით) Filioque-ს საყოველთაო საეკლესიო სწავლებად აღიარება ითხოვა.

მიუხედავად ამისა, ახალშექმნილი დოგმატის გავრცელება დასავლეთში მაინც გრძელდებოდა და როცა IX საუკუნის შუა წლებში ბულგარელებს ლათინი მისიონერები ეწვივნენ, მათ სარწმუნოების სიმბოლოში უკვე ჩაეწერათ Filioque.

პაპიზმსა და მართლმადიდებელ აღმოსავლეთს შორის ურთიერთობათა გამწვავებასთან ერთად ლათინთა დოგმატი დასავლეთში სულ უფრო იკიდებდა ფეხს, ბოლოს კი იგი აღიარეს, როგორც საერთო-სავალდებულო. პროტესტანტიზმმა ეს სწავლება რომის ეკლესიიდან მემკვიდრეობით მიიღო.

ლათინური დოგმატი Filioque მართლმადიდებლური ჭეშმარიტებისაგან არსებითი და მნიშვნელოვანი გადახრაა. იგი განსაკუთრებით ზედმიწევნით გაირჩა და მხილებულ იქნა პატრიარქების: **ფოტიოსისა და მიქაელ კერულარიოსის, აგრეთვე ფლორენციის კრების მონაწილე ეპისკოპოს მარკოზ ეფესელის მიერ.** რომაული კათოლიციზმიდან მართლმადიდებლობაში გადმოსულ ადამ ზერნიკავს (XVIII საუკუნე) თხზულებაში „სულიწმიდის გამომავლობის შესახებ“ მოჰყავს ეკლესიის წმინდა მამათა ნაწერებიდან აღებული დაახლოებით ათასამდე მაგალითი, რომლებიც სულიწმიდის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების სასარგებლოდ მეტყველებენ. ხელმძღვანელობს რა „მისიონერული მიზნებით“, რომის ეკლესია სადღეისოდ ხაზს

აღარ უსვამს სულიწმიდაზე მართლმადიდებლურსა და კათოლიკურ სწავლებათა შორის განსხვავებას (უფრო ზუსტად – იმას, რაც მასში არსებითია). ზემოხსენებული მიზნითვე შეუნარჩუნა მან უნიატებსა და „აღმოსავლურ მოწესეობას“ მრწამსის ძველი მართლმადიდებლური ტექსტი (სიტყვის „და ძისაგან“ გარეშე). ეს ფანდი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რომი თავისსავე დოგმატზე უარს აცხადებდეს. იგი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მიანიშნებს რომის თვალთახედვაზე, რომლის თანახმადაც მართლმადიდებელი აღმოსავლეთის დოგმატური განვითარება გაქვავდა და ამ „ჩამორჩენილობას“ სიბრალულით უნდა მოპყრობა; რომ დასავლეთში განვითარებული სახით ჩამოყალიბებული დოგმატი (explictite – დოგმატთა განვითარების თეორიის მიხედვით) მართლმადიდებლურ დოგმატში დაფარულია და ჯერაც გამოუვლენელი (implicite). ოღონდ, შიდა გამოყენებისათვის განკუთვნილ ლათინურ დოგმატიკონში გვხვდება სრულიად ნათელი განმარტება, რომ მართლმადიდებლური დოგმატი სულიწმიდის გამომავლობაზე არის ერესი. ღვთისმეტყველების დოქტორ ა. სანდას მიერ შედგენილ, ოფიციალურად დამტკიცებულ ლათინურ დოგმატიკონში ვკითხულობთ: „მოწინააღმდეგენი (რომის ამ სწავლებისა) არიან ბერძენი სქიზმატიკოსები, რომლებიც ასწავლიან, რომ სულიწმიდა გამოდის მხოლოდ მამისაგან. ჯერ კიდევ 808 წელს აღუდგნენ წინ ბერძენი ბერები ლათინთა მიერ სიმბოლოში „Filioque“-ს შეტანას. ვისგან წამოვიდა ეს ერესი, უცნობია“.[9]

ლათინთა დოგმატი ეწინააღმდეგება წმინდა წერილს, წმინდა საერთო-საეკლესიო გადმოცემას და თვით ადგილობრივი რომის ეკლესიის უძველეს გადმოცემებსაც კი.

რომაელ ღვთისმეტყველებს თავიანთი დოგმატის დასაცავად მოჰყავთ წმინდა წერილიდან ის ადგილები, სადაც სულიწმიდას ეწოდება „ქრისტესი“, სადაც მას ძე ღვთისა წარმართავს და ამით ასკვნიან სულიწმიდის გამომავლობას ძისაგან. ყველაზე ხშირად რომაელი ღვთისმეტყველები იშველიებენ მაცხოვრის სიტყვებს სულიწმიდა – ნუგეშინისმცემელის შესახებ: ***„...ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“*** (იოანე, 16, 15), პავლე მოციქულის გამონათქვამებს: ***„...გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თჳსისაჲ გულთა შინა ჩუენთა...“*** (გალ. 4, 6) და ***„...უკეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი“*** (რომ. 8, 9) და ციტატას იოანეს სახარებიდან: ***„... შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ“*** (იოანე, 20, 22).

რომაელი ღვთისმეტყველები, აგრეთვე, პოულობენ ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებებში ადგილებს, სადაც არცთუ იშვიათად ლაპარაკია სულიწმიდის გამოგზავნაზე „ძისა მიერ“, ზოგჯერ „ძისაგან მის გამომავლობაზეც“ კი.

მაგრამ ყოველგვარი მსჯელობა უძლურია, შეცვალოს მაცხოვრის საკვები გარკვეული სიტყვების აზრი: ***„ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცე-***

მელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს...“ (იოანე, 15, 26). ეკლესიის წმინდა მამები სიტყვებს – „ძისა მიერ“ ვერ მიანიჭებდნენ წმინდა წერილის შინაარსისაგან განსხვავებულ აზრობრივ დატვირთვას.

ამ შემთხვევაში რომაელი კათოლიკე ღვთისმეტყველები ორ დოგმატს ურევენ ერთმანეთში. ესენია: ჰიპოსტასების პიროვნული მყოფობის დოგმატი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული, მაგრამ გამორჩეული, ერთარსობის დოგმატი. სულიწმიდა ერთარსია მამისა და ძისა და, მაშასადამე, იგი სულია მამისა და ძისა. ეს არის უდავო ქრისტიანული ჭეშმარიტება – ღმერთი ხომ ერთარსი და განუყოფელი სამებაა.

ამ აზრს ცხადად გამოხატავს **ნეტარი თეოდორიტე**: „სულიწმიდაზე ამბობენ, რომ მას **თავისი მყოფობა** ძისაგან ან მისი მეშვეობით არ მიუღია, არამედ, რომ იგი მამისაგან გამოვალს, ხოლო **ერთბუნებოვანია** ძისა, როგორც მის თანაარსად წოდებული“.[10]

მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებებში ხშირად ვისმენთ უფალ იესო ქრისტესადმი აღვლენილ სიტყვებს: *„განგვანათლენ, წარგვმართე და დაგვიცვენ ჩვენ სულითა შენითა წმიდითა“*... თავისთავად მართლმადიდებლურია ფრაზაც „სული მამისა და ძისა“. მაგრამ ეს სიტყვები ერთარსობის დოგმატს განეკუთვნებიან და აუცილებელია ისინი განვასხვავოთ შობისა და გამომავლობის დოგმატისგან, სადაც, წმინდა მამათა თქმით, მითითებულია **ძისა და სულის მყოფობის მიზეზი**. აღმოსავლეთის ყველა მამა აღიარებს, რომ ძისა და სულის **ერთადერთი მიზეზი** არის მამა (μόνος αἴτιος). ამიტომ, როდესაც ეკლესის ზოგი მასწავლებელი იყენებს გამოთქმას „ძისა მიერ“, ზუსტად ამით იცავს მამისაგან გამომავლობის დოგმატსა და დოგმატური ფორმულის – „მამისაგან გამოვალს“ შეუვალობას. წმინდა მამები ძის შესახებ ამბობენ „მიერ“, რათა სახელდება „ძე“ გაემიჯნოს „გან“-ს, რომელიც მარტო მამას ეკუთვნის.

ამასთან, ზოგ წმინდა მამასთან მოყვანილი გამოთქმა „ძისა მიერ“ უმეტესწილად სრულიად ცხადად განეკუთვნება სულიწმიდის **სამყაროში** გამოცხადებას, ანუ ყოვლადწმიდა სამების განგებულებით ქმედებებს და არა თავად ღმერთში ცხოვრებას. დასავლურ ღვთისმეტყველებაში სულიწმიდის დოგმატის დამახინჯების შემჩნევისთანავე აღმოსავლეთის ეკლესიამ იწყო მისი გაკიცხვა ამგვარი სიახლის შემოტანისათვის. სურდა რა დასავლელ ღვთისმეტყველთა დაცვა, **წმინდა მაქსიმე აღმსარებელი** (VII საუკუნე) მათ გასამართლებლად ამბობდა: თითქოს სიტყვის „ძისაგან“ გამოყენებით ისინი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ არა სულიწმიდის მყოფობა ძისაგან, არამედ ის, რომ სულიწმიდას „ძისაგან **იღებენ** ქმნილებები, იგი ძის მიერ **ცხადდება, წარიგზავნება**“. თვითონ ღირსი მაქსიმე აღმსარებელი მკაცრად იცავდა

აღმოსავლური ეკლესიის სწავლებას მამისაგან სულიწმიდის გამომავლობაზე და ამ დოგმატს ცალკე ტრაქტატიც მიუძღვნა.

ძე ღვთისას მიერ სულიწმიდის განგებულებით გარდამოვლენაზე ლაპარაკია შემდეგ ფრაზაში: ***„...რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ...“*** (იოანე, 15, 26). ჩვენ ასეც ვლოცულობთ: *„უფალო, რომელმან ყოვლადწმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოციქულთა შენთა გარდამოუვლინე და განანათლენ იგინი, მას, სახიერო, ნუ მიმიღებ ჩემგან, არამედ განმიახლენ მვედრებელსა შენსა“.*

„გამომავლობისა“ და „გარდამოვლენის“ შესახებ წმინდა წერილის ტექსტების აღრევით რომაელმა ღვთისმეტყველებმა განგებულებითი ურთიერთობების ცნება ყოვლადწმიდა სამების პირთა ურთიერთმყოფობის შუაგულ სიღრმეებში გადაიტანეს.

ახალი დოგმატის შემოტანით რომის ეკლესიამ, გარდა **დოგმატური** მხარისა, დაარღვია III და IV – VII მსოფლიო კრებათა დადგენილებანი, რომლებიც კრძალავენ ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოში ნებისმიერი ცვლილების შეტანას მას შემდგომ, რაც II მსოფლიო კრებამ იგი საბოლოოდ ჩამოაყალიბა. მაშასადამე, დასავლეთის ეკლესიამ უხეშად დაარღვია **კანონიკური** სამართალი.

რომაელი ღვთისმეტყველები ცდილობენ, შთაგვაგონონ: თითქოს სულიწმიდაზე რომაულ-კათოლიკური და მართლმადიდებლური სწავლებანი მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ პირველი ქადაგებს გამომავლობას „და ძისაგან“, მეორე კი „ძისა მიერ“. ამგვარი მტკიცებანი შეფარულ გაუგებრობას მაინც შეიცავს (თუმცა ხანდახან ჩვენი საეკლესიო მწერლებიც აძლევენ თავს ნებას, კათოლიკეთა მიბაძვით გაიმეორონ ეს აზრი): გამოთქმა „ძისა მიერ“ საერთოდ არ შედის მართლმადიდებლურ **დოგმატებში** და ზოგი წმინდა მამა ყოვლადწმიდა სამების შესახებ სწავლებაში მას მხოლოდ **ახსნის საშუალებად** თუ იყენებს. მართლმადიდებელი ეკლესიისა და რომაულ-კათოლიკურ სწავლებათა შინაარსი არსობრივად განსხვავებულია.

ყოვლადწმიდა სამების პირთა ერთარსობა, თანასწორობა და თანადიდებულება

ყოვლადწმიდა სამების სამივე ჰიპოსტასი არსით ერთი და იგივეა. თითოეულ მათგანს აქვს საღვთო სავსება – უკიდეგანო და განუზომელი. სამივე ჰიპოსტასი თანაბრად დიდებული და თაყვანსაცემია.

რაც შეეხება ყოვლადწმიდა სამების **პირველი პირის** საღვთო სავსებას, ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს ამის უარმყოფელი ან დამაკნინებელი ერეტიკოსები, მაგრამ მამა ღმერთის შესახებ ნამდვილი ქრისტიანული

სწავლებისაგან გადახრები კი გვხვდება. ძველ დროს გნოსტიკოსებისგან შემოიჭრა და უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეგრეთ წოდებულ იდეალისტური ფილოსოფიის (ძირითადად შელინგის) ზეგავლენით ისევ აღმოცენდა სწავლება ღმერთზე, როგორც აბსოლუტზე. ამ სწავლების თანახმად, ღმერთი უსასრულოდ დაშორებულია ყოველგვარი შეზღუდულისა და დროებითისგან (თვით სიტყვა „აბსოლუტი“ განდგომილს ნიშნავს), ამიტომაც მას სამყაროსთან უშუალო კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს და ამისთვის შუამავალი სჭირდება. ამგვარად ცნება „აბსოლუტი“ უახლოვდება მამა ღმერთის, ხოლო „შუამავალი“ – ძე ღვთისას სახელს. ასეთი წარმოდგენა სრულიად მიუღებელია ქრისტიანული, წმინდა წერილის სწავლებისათვის, რომლის მიხედვითაც, ღმერთი ახლომყოფია სამყაროსთან: ***„...ღმერთი სიყუარულისაჲ არს“*** (1 იოანე, 4, 8***). „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან*** (მამა ღმერთმან) ***სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“*** (იოანე, 3, 16). მამა ღმერთი ძისა და სულისაგან განუყოფლად სამყაროს შემოქმედი და მისი მარადიული განმგებელია. წმინდა წერილში ძეს შუამავალი იმიტომ ეწოდა, რომ ადამიანური ბუნება მიიღო, თავისთავში შეაერთა ღვთაებრივი კაცობრივთან, მიწიერი – ზეციურთან, და არა იმიტომ, თითქოს ძე აუცილებელი შემაკავშირებელი საწყისი იყოს სამყაროსაგან უსასრულოდ დაშორებულ მამა ღმერთსა და შექმნილ, დასრულებად სამყაროს შორის.

ეკლესიის ისტორიაში წმინდა მამათა მთავარი ძალისხმევა, რაც უკავშირდებოდა დოგმატურ საკითხებს, მიმართული იყო ყოვლადწმიდა სამების **მეორე** და **მესამე** ჰიპოსტასთა ერთარსობის, საღვთო სავსებისა და თანადიდებულების ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად.

მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსობა, თანასწორობა და თანადიდებულება

ადრექრისტიანულ პერიოდში, როდესაც ყოვლადწმიდა სამების დოგმატის მკაცრი ტერმინოლოგიური ფორმულირება არ არსებობდა, იყო შემთხვევები, როცა მართლმადიდებლური ცნობიერების ერთგულმა საეკლესიო მწერლებმაც კი გამოიყენეს ნაწილობრივ არაზუსტი, ყოვლადწმიდა სამების პირთა თანასწორობის დასამტკიცებლად გამოუსადეგარი გამოთქმები.

ამ მოვლენას ძირითადად იმით ხსნიდნენ, რომ ეკლესიის მწყემსნი ხანდახან ერთსა და იმავე ტერმინს განსხვავებულ ცნებებად მოიაზრებდნენ ხოლმე. ცნება „არსებას“, „არსს“ (ბერძნ. οὐσια) ყველა თითქმის ერთნაირად იგებდა, მაგრამ რაც შეეხება ცნებას – „პირი“, მას სხვადასხ-

ვანაირად გამოხატავდნენ (ὑπόστασις, πρόσωπον). გაუგებრობას იწვევდა სიტყვა „ჰიპოსტასი“: ერთნი ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ყოვლადწმიდა სამების ერთ-ერთ პირს, მეორენი – „არსებას“. ეს გარემოება ართულებდა ურთიერთგაგებას, სანამ **წმინდა ათანასე დიდის** წინადადებით არ დადგინდა, რომ სიტყვა „ჰიპოსტასი“ ერთმნიშვნელოვნად აღექვათ, როგორც „პირი“.

ადრექრისტიანულ პერიოდში იყვნენ მწვალებლები, რომლებიც შეგნებულად უარყოფდნენ ან აკნინებდნენ ძე ღვთისას ღმერთობას. ამგვარი ერესები მრავლად იყო და დროდადრო ეკლესიაში დიდ შფოთსაც იწვევდა. მოციქულთა ეპოქაში ასეთი ერეტიკოსები იყვნენ ებიონიტები (ერეტიკოს ებიონის სახელიდან). ძველ მამათა გადმოცემით, მათ წინააღმდეგ დაწერა თავისი სახარება წმინდა იოანე ღვთისმეტყველმა. III საუკუნეში აღმოცენდა პავლე სამოსატელის ერესი, რომელიც ამავე საუკუნეში ანტიოქიის ორ კრებაზე იქნა მხილებული.

მაგრამ ყველაზე საშიში იყო IV საუკუნის ის მწვალებლობა, რომლის შემქმნელი ალექსანდრიელი მღვდელი არიოზი იყო. მისი სწავლებით სიტყვამ, ანუ ძე ღვთისამ მყოფობის დასაბამი თუმცა უწინარესად, მაგრამ მაინც დროში მიიღო. ამ ერესის მიხედვით, ძე ღვთისა ქმნილებაა და შემდეგ მის მიერ შექმნა ღმერთმა ყოველივე. იგი ძედ ღვთისად იწოდა, როგორც ქმნილ სულთაგან ყველაზე სრულყოფილი და აქვს მამისაგან განსხვავებული, არაღვთაებრივი ბუნება.

არიოზის ამ ერეტიკულმა სწავლებამ მთელი ქრისტიანული სამყარო ააღელვა, რადგან მრავალი მიიზიდა. მის წინააღმდეგ 325 წელს მოწვეულ I მსოფლიო კრებაზე ეკლესიის 318 მღვდელმთავარმა ერთსულოვნად აღიარა ძველი მართლმადიდებლური სწავლება და დაგმო არიოზის ცრუმოძღვრება. კრებამ საქვეყნოდ განუცხადა ანათემა მათ, ვინც ძე ღვთისას არსებობას დაუსაბამოდ არ მიიჩნევდა, ვინც ამტკიცებდა, რომ იგი ქმნილია და მამა ღმერთისაგან განსხვავებული ბუნება აქვს. კრებამ შეადგინა სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი), რომელიც შეივსო და დამტკიცდა II მსოფლიო კრებაზე. კრებამ მრწამსში შეტანილი სიტყვებით „ერთარსი მამისა“ გამოხატა მამა ღმერთისა და ძე ღმერთის თანაარსობა და თანადიდებულება.

კრებათა დადგენილებების მიღების შემდეგ არიანული ერესი სამ მიმართულებად გაიხლიჩა და კიდევ რამდენიმე ათწლეულს იარსება. იგი ზედმიწევნით განხილული და უარყოფილია ადგილობრივ კრებებზე და IV და, ნაწილობრივ, V საუკუნის ეკლესიის ისეთ დიდი მამათა თხზულებებში, როგორებიც არიან **წმინდა ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ნოსელი, ეპიფანე კვიპრელი, ამბროსი მედიოლანელი, კირილე ალექსანდრიელი და**

სხვანი. მაგრამ ამ მწვალებლობის სული შემდგომაც პოულობდა თავის ადგილს როგორც შუა საუკუნეების, ისე ახალი დროის ცრუსწავლებებში.

არიანელთა მსჯელობების საპასუხოდ წმინდა მამებმა უყურადღებოდ არ დატოვეს წმინდა წერილის არც ერთ ადგილი, რომლებიც ერეტიკოსებს ძისა და მამის უთანასწორობაზე თავიანთი შეხედულების გასამართლებლად მოჰყავდათ. წმინდა წერილის იმ გამონათქვამთა განხილვისას, რომლებიც თითქოსდა ძის მამისადმი უთანასწორობაზე მიუთითებენ, მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოებანი:

ა) უფალი იესო ქრისტე არა მარტო ღმერთია, არამედ განკაცებული ღმერთი და ასეთი ციტატები შესაძლოა მის კაცობრივ ბუნებას ახასიათებდეს;

ბ) მან, როგორც ჩვენმა გამომსყიდველმა კეთილნებობით დაიმდაბლა თავი ამა სოფლად ცხოვრების დროს. ***„არამედ თავი თჳსი დაიმდაბლა... ...და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილდმდე...“*** (ფლპ. 2, 7, 8). ამიტომ მაშინაც კი, როცა უფალი თავის ღმერთობაზე ლაპარაკობს, იგი მამისადმი **მორჩილია,** როგორც მისგან მოვლენილი და მისი ნების აღმსრულებელი. მაცხოვარი მორჩილების მაგალითს გვაძლევს: იგი ერთარსია და თანადიდებული მამისა, მაგრამ მორჩილია, როგორც ძე. ასეთი დაქვემდებარებითი ურთიერთობა ეხება არა საღვთო არსებას („უსია“), არამედ ღვთაებრივი პირის მოქმედებას სამყაროში: მამა მომვლინებელია, ძე მოვლინებული. ეს სიყვარულის მორჩილებაა.

ზუსტად ამასვე აღნიშნავს მაცხოვრის სიტყვები წმინდა იოანე მახარებლის სახარებაში: ***„...რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს“*** (იოანე, 14, 28). საყურადღებოა, რომ ეს მან მოწაფეებს გამოსათხოვარი საუბრისას უთხრა, საღვთო სავსებისა და ძისა და მამის ერთარსობის გამომხატველი სიტყვების შემდეგ: ***„...უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ“*** (იოანე, 14, 23). ამ ფრაზაში მაცხოვარი თავის თავს და მამას აერთიანებს ერთ სიტყვაში **„მოვიდეთ“** და ორივეს სახელით ლაპარაკობს. მაგრამ როგორც მამისაგან ამა სოფლად მოვლინებული (შდრ. იოანე, 14, 24), თავის თავს მას უქვემდებარებს.

როდესაც უფალმა ბრძანა: ***„ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან“*** (მარკოზი, 13, 32), აქ მან თავისი თავი კეთილნებელობით დაიმდაბლა. საღვთო ბუნებით ყოვლისმცოდნემ ადამიანურ უმეცრებამდე დაიდრიკა თავი. ასე განმარტავს ამ სიტყვებს **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი.**[11]

„...მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათე, 26, 39), –

აქ მაცხოვარმა თავის თავში ადამიანური ხორცის უძლურება დაგვანახა, ამასთან, კაცობრივი ნება შეუთანხმა თავისსავე საღვთო ნებას, რომელიც მას და მის მამას ერთი აქვთ.[12] ეს ჭეშმარიტება ასახულია **წმინდა იოანე ოქროპირის** ლიტურგიის ევქარისტიული კანონის სიტყვებში ძე ღვთისა-კრავის შესახებ: ***„რომელი იგი მოვიდა რა, ყოველი ჩუენთვის განგებულებაჲ სრულ-ჰყო, ღამესა, რომელსა მიეცემოდა, უფროჲსლა მისცემდა თავსა თჳსსა ცხოვრებისათვის“.***

ჯვარზე გაკრული უფლის ღაღადება: ***„...ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევე მე?“*** (მათე, 27, 46) მთელი კაცთა მოდგმის სახელით იყო ნათქვამი. უფალი ამა სოფლად იმისთვის მოვიდა, რომ კაცობრიობასთან ერთად განეცადა მისი დანაშაული, ღვთისაგან დაშორება და განდგომა, როგორც ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: ***„ესე გუემულებათა ჩუენთა იტჳრთავს და ჩუენ ძლით ლმობილ არს...“***(ეს. 53, 4). მაცხოვრის სიტყვების ამგვარი განმარტება **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველს** ეკუთვნის.

აღდგომის შემდგომ, ზეცად ამაღლების წინ, უფალმა უთხრა მოწაფეებს: ***„...აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“*** (იოანე, 20, 17). ანუ მისი ნათქვამის მიხედვით, თავისი ერთობა მამასთან და მოწაფეთა ურთიერთობა ზეციერ მამასთან ერთი და იგივე არ არის. ამიტომ თქვა განცალკავებით: „მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა“ და არა „მამისა ჩუენისა“. ღმერთი მამაა ძისა არსობრივად, ჩვენი კი – მადლისმიერად.[13] იესო ქრისტეს სიტყვებიდან ვხვდებით, რომ ზეციერი მამა ჩვენთან ახლა უფრო ახლოს არის, ღმერთი, რომელიც მაცხოვრის მამაა, ახლა ჩვენიც გახდა. ჩვენ კი მისი შვილნი შევიქენით მადლისმიერად. ეს აღსრულდა ქრისტეს ამა სოფლად ცხოვრების, ჯვარზე სიკვდილისა და აღდგომის წყალობით. ***„იხილეთ, რაბამი სიყუარული მომცა ჩუენ მამამან, რაჲთა შვილ ღმრთისა ვიწოდნეთ...“*** (1 იოანე, 3, 1), – წერს იოანე მოციქული. აღასრულა რა საქმე ღვთის მიერ ჩვენი შვილებად მიღებისა, უფალი ამაღლდა მამასთან როგორც ღმერთკაცი, ანუ არა მარტო ღმრთეებრივი, არამედ **ჩვენივე მსგავსი კაცობრივი ბუნებითაც**. სიტყვებით: „ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“ მაცხოვარმა შეგვაგონა, რომ კაცობრივი ბუნებით იგი სამუდამოდ შეგვიერთდა.

წმინდა წერილის ამ და სხვა მსგავს ადგილებს ზედმიწევნით განიხილავდნენ წმინდანები: ათანასე დიდი,[14] ბასილი დიდი,[15] გრიგოლ ღვთისმეტყველი და ისინი, ვინც არიანელთა წინააღმდეგ წერდნენ.

წმინდა წერილში კიდევაც რომ იყოს ზემომოყვანილი მაგალითების მსგავსი ბუნდოვანი გამონათქვამები მაცხოვარზე, იქვე მრავლადაა, ასევე, უფალ იესო ქრისტეს ღმერთობის დამადასტურებელი ადგილები. ამას მთლიანად სახარება ადასტურებს. აი, ზოგიერთი მთავარი ადგილი: ერთ ჯგუფში თავმოყრილია ძე ღვთისას ჭეშმარიტი ღმერთობის, მეორეში მა-

მასთან მისი თანასწორობის, მესამეში კი მამისა და მისი ერთარსობის დამადასტურებელი ციტატები.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ უფალ იესო ქრისტეს მოხსენიება ღმერთად (θεός) თავისთავად მიუთითებს მისი, როგორც ღვთაებრივი პირის, სავსებაზე. „ღმერთი“ (ლოგიკური, ფილოსოფიური თვალსაზრისით) შეუძლებელია იყოს „მეორეხარისხოვანი“, „უარესი“, შეზღუდული. ღვთაებრივი ბუნების თვისებები უცვალებელია და მოუკლებელი. თუ „ღმერთია“, ღმერთია მთლიანად და არა ნაწილობრივ. ამაზე მიუთითებს პავლე მოციქული, როდესაც ძის შესახებ საუბრობს: ***„რამეთუ მას შინა დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსებაჲ ღმრთეებისაჲ ხორციელად“*** (კოლ. 2, 9). **ძე ღვთისა ღმერთია ჭეშმარიტი,** იგი:

1. წმინდა წერილში პირდაპირ ღმერთად მოიხსენიება:

„პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა“(იოანე, 1, 1-3);

„...დიდ არს ღმრთის მსახურებისა საიდუმლოჲ; ღმერთი გამოჩნდა ხორციით...“ (1 ტიმ. 3, 16);

„ხოლო ვიცით, რამეთუ ძჱ ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი, ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (1 იოანე, 5, 20);

„...ქრისტე ჯორციელად, რომელი-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა, კურთხეულ უკუნისამდე. ამინ“ (რომ. 9, 5);

„...უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ — თომა მოციქულის შეძახილი (იოანე, 20, 28);

„ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა“ (საქმ. 20, 28);

„...სიწმიდით და სამართლით და ღმრთის მსახურებით ვცხოვნდებოდით ამას სოფელსა და მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (ტიტე, 2, 12, 13). წოდება „დიდისა ღმრთისა“ რომ იესო ქრისტეს ეკუთვნის, შეიძლება დავრწმუნდეთ ბერძნულ ენაზე აგებული წინადადებიდან (საერთო წევრი τού სიტყვებისადმი „ღმერთი და მაცხოვარი“ – θεού και σωτηρος) და მოცემული თავის შინაარსიდან.

2. მხოლოდშობილად იწოდება:

„და სიტყუაჲ იგი ჯორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ...“ (იოანე, 1, 14);

„რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოანე, 3, 16).

მაგალითები მამისა და ძის თანადიდებულების შესახებ:

„...მამაჲ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ“ (იოანე, 5, 17);

„...რავდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს“ (იოანე, 5, 19);

„რამეთუ ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაჲ ჰნებავს, აცხოვნებს“ (იოანე, 5, 21);

„რაჲთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა იგი პატივ-სცემენ მამასა...“ (იოანე, 5, 23);

„რამეთუ ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა, ეგრეცა ძესა მოსცა, რაჲთა აქუნდეს ცხორებაჲ თავისა თჳსისა თანა“ (იოანე, 5, 26).

მამისა და ძის ერთარსობის შესახებ:

„მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ“ (εν εσμεσ) (იოანე, 10, 30);

„...მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს...“ (იოანე, 14, 11; 10, 38);

„და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს...“ (იოანე, 17, 10).

საღვთო წერილი, აგრეთვე, **ძე ღვთისას დაუსაბამობაზე საუბრობს:**

„მე ვარ ანი და ჲ, იტყჳს უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1, 8);

„და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა“ (იოანე, 17, 5);

ძის ყველგანმყოფობის შესახებ:

„და არავინ აღჴდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოჴდა ზეცით — ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა“(იოანე, 3, 13);

„რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათა“ (მათე, 18, 20).

მასზე, რომ ძე ღვთისა სამყაროს შემოქმედია:

„ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ ქმნა“ (იოანე, 1, 3);

„რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჴელმწიფებანი, — ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა. და იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა“ (კოლ. 1, 16, 17).

წმინდა წერილი ასევე საუბრობს უფალ იესო ქრისტეს სხვა საღვთო თვისებათა შესახებაც.

რაც შეეხება წმინდა გადმოცემას, იგი სავსებით ნათლად ამტკიცებს, რომ პირველი საუკუნის ქრისტიანებში უფალ იესო ქრისტესადმი, როგორც ჭეშმარიტი ღმერთისადმი, რწმენას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. ეს ჩანს:

ა) ჯერ კიდევ ნიკეის კრებამდე თითოეული ადგილობრივი ეკლესიის მიერ მიღებული სარწმუნოების სიმბოლოდან (მრწამსიდან);

ბ) კრებათა ან მათი სახელით ეკლესიის მწყემსთა მიერ IV საუკუნემდე შედგენილი სარწმუნოების აღსარებებიდან;

გ) მოციქულთა მოწაფეთა და პირველი საუკუნეების ეკლესიის მასწავლებელთა თხზულებებიდან;

დ) იმ პირთა წერილობითი დოკუმენტებიდან, რომელთათვისაც ქრისტიანობა მიუღებელი იყო. მათი ნაწერებიდან ვიგებთ, რომ ქრისტიანები თაყვანს სცემდნენ „ქრისტეს, ვითარცა ღმერთს“ (მაგალითად, პლინიუს უმცროსის წერილი იმპერატორ ტრაიანესადმი; ქრისტიანთა მტრის, მწერალ ცელსიუსისა და სხვათა მოწმობანი).

ძამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდის ერთარსობა, თანასწორობა და თანადიდებულება

ძველი ეკლესიის ისტორიაში მწვალებელთა მხრიდან ძე ღვთისას საღვთო ღირსებათა დაკნინებას ჩვეულებრივ თან სდევდა სულიწმიდის ღირსებათა დამცირებაც.

II საუკუნის ცრუმასწავლებელი, მწვალებელი ვალენტინი სულიწმიდაზე ამბობდა, რომ მისი ბუნება ანგელოზთა ბუნებისაგან არ განსხვავდება. ამგვარადვე ფიქრობდნენ არიანელებიც. სულიწმიდაზე სწავლების დამამახინჯებელ ერეტიკოსთა სათავეში იდგა IV საუკუნეში კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის კათედრის მპყრობელი მაკედონიუსი. მას მიმდევრები ყოფილ არიანელთა და ნახევრადარიანელთა შორის გამოუჩნდნენ. მაკედონიუსი სულიწმიდას ძის ქმნილებად და მამისა და ძის ქვეშევრდომად მიიჩნევდა. ეს ერესი ამხილეს ისეთმა წმინდა მამებმა, როგორებიც იყვნენ **ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ათანასე დიდი, გრიგოლ ნოსელი, ამბროსი მედიოლანელი, ამფილოქე იკონიელი, დიოდორე ტარსელი** და ერეტიკოსთა მამხილებელი თხზულებების სხვა ავტორები. მაკედონიუსის ცრუსწავლება უკუგდებულ იქნა ჯერ ადგილობრივ, ბოლოს კი კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებებზე. მართლმადიდებლობის დასაცავად II მსოფლიო კრებამ (381 წელი) მრწამსის ნიკეის სიმბოლო შემდეგი სიტყვებით შეავსო: *„და სულიწმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ“*. ამასთან, ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს მომდევნო წევრებიც დაამატა.

წმინდა წერილში სულიწმიდის შესახებ მრავალრიცხოვან მოწმობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ადგილები, რომლებიც:

ა) ადასტურებენ ეკლესიის სწავლებას, რომ სულიწმიდა უპიროვნო საღვთო ძალა კი არა, ყოვლადწმიდა სამების პირია;

ბ) ამტკიცებენ მის ერთარსობასა და თანასწორობას ყოვლადწმიდა სამების პირველ და მეორე პირთან.

პირველი სახის მაგალითებს (რომ სულიწმიდა პიროვნული საწყისის მატარებელია) განეკუთვნება მაცხოვრის მიერ მოწაფეებთან გამოსათხოვარი საუბრის დროს წარმოთქმული სიტყვები, სადაც უფალი სულიწმიდას ნუგეშინისმცემელს უწოდებს, რომელიც „მოვა“, „ასწავლის“, „ამხელს“: ***„ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს“*** (იოანე, 15, 26). ***„და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისათჳს და სასჯელისთჳს: ცოდვისთჳს ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ; ხოლო სიმართლისათჳს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე; ხოლო სასჯელისათჳს, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დასჯილ არს“*** (იოანე, 16, 8-11).

სულიწმიდაზე, როგორც პირზე, ნათლად ლაპარაკობს პავლე მოციქული, როდესაც მსჯელობს მისგან მიღებული სიბრძნის, რწმენის, კურნების, სასწაულთქმედების, ენათა გარჩევისა თუ განმარტების და სხვა ნიჭთა შესახებ. იგი ასკვნის: ***„ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს“*** (1 კორ. 12, 11).

სულიწმიდაზე, როგორც **ღმერთზე**, საუბრობს პეტრე მოციქული, როდესაც თავისი მამულის საფასურის დამმალავ ანანიას მიმართავს: ***„...რაჲსათჳს აღავსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა... ...არა ეცრუვე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა“*** (საქმ. 5, 3, 4).

სულის, მამისა და ძის ერთარსობასა და თანადიდებულებაზე მიუთითებს შემდეგი ადგილები:

„...ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და წმიდისა სულისაჲთა“ (მათე, 28, 19);

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა. ამინ“ (2 კორ. 13, 13).

ამ მაგალითებში ერთდროულად სახელდება ყოვლადწმიდა სამების სამივე პირი. თავად მაცხოვარმა სულიწმიდის საღვთო ღირსება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: ***„და რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათჳს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“*** (მათე, 12, 32).

დოგმატური ღვთისმეტყველების მეორე ნაწილზე გადასვლა

თავად ღმერთის შიდაცხოვრების გასააზრებლად მიმართული ადამიანური აზრი იბნევა უსუსურობისაგან და მხოლოდ იმას აცნობიერებს, რომ განუზომელი და ამოუცნობია საღვთო **სიდიადე**. ხვდება, რაოდენ უსასრულო და გადაულახავია **სხვაობა** ქმნილებასა და ღმერთს შორის – იმდენად დიდი, რომ შედარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

ხოლო, როდესაც მორწმუნე ადამიანის აზრი მიემართება **სამყაროში ღმერთისა** და მისეული ქმედებების შეცნობისაკენ, იგი ყველგან და ყველაფერში **ღვთაებრივ ძალას, გონს, მადლსა და წყალობას ხედავს**: ***„რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების...“*** (რომ. 1, 20).

შემდეგ, როცა უკვე **თავის სულში იხედება**, ღრმავდება თავის თავში, ლოცვით იკრებს ყურადღებას, მაშინ საკუთარი სულიერი ზრდის შესაბამისად იგი შემძლებელი ხდება, შეიგრძნოს ენით უთქმელი **სიახლოვე უფლისა** თავის ქმნილებებთან, განსაკუთრებით კი ადამიანთან.

დასასრულ, მორწმუნე ქრისტიანის სულიერ ხედვას წარმოუდგება უფსკრული – უკიდეგანო და ნათელი, თითოეული ჩვენგანისადმი ღვთიური, ზეაღმატებული სიყვარულისა. იგი გაცხადდა მაშინ, როცა ჩვენს **გადასარჩენად** ამა სოფლად ძე ღვთისა მოვიდა და ჯვარზე სიკვდილი იტვირთა.

დოგმატური ღვთისმეტყველების II ნაწილის მთავარი მიზანია ღვთაებრივი სიბრძნისა და სახიერების, მისი ახლომყოფობისა და სიყვარულის შეცნობა; აგრეთვე, იმ აუცილებელი ცოდნის მიღება, რაც ადამიანს ღმერთთან დაახლოებისა და გადარჩენისათვის სჭირდება.

ამრიგად, მეორე ნაწილში მოთხრობილია **ღმერთზე,** როგორც შემოქმედსა და განმგებელზე, ჩვენს მაცხოვარსა და განმწმენდელზე, სამყაროს მსაჯულზე.

ღმერთი და მისი გამოცხადებანი სამყაროში

III. ღმერთი – სამყაროს შემოქმედი

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“ (დაბ. 1, 1). სამყაროს წარმოშობის თაობაზე ძველი მითოლოგიური თქმულებებისაგან დამოუკიდებლად და სამყაროსეული წესრიგის დაწყება-განვითარების შესახებ ერთიმეორის შემცვლელი ჰიპოთეზებისაგან განცალკევებით, დიდებულად აღმართულა მოსეს ღვთივსულიერი ნაამბობი, რომელიც ამავე თემას ეხება და ბიბლიის პირველ გვერდებზეა წარმოდგენილი. იგი ერთობ მოკლეა, მაგრამ იტევს სამყაროს შექმნის მთელ ისტორიას. ნაამბობის ენა უმარტივესია, მისი ლექსიკა სულ რამდენიმე ასეული სიტყვისაგან შედგება და მასში საერთოდ არ გვხვდება რელიგიურ ჭეშმარიტებათა გამოსახატავად ასე აუცილებელი განყენებული ცნებები. მაგრამ ამგვარი სიმარტივე ვერაფერს აკლებს მის მარადიულ მნიშვნელობას.

ღვთისმხილველი მოსეს პირდაპირი მიზანი იყო, შესაქმის შესახებ გადმოცემის საშუალებით თავისი ხალხისთვის, მისგან კი მთელი კაცობრიობისთვის წარმოეჩინა ძირითადი ჭეშმარიტებანი ღმერთზე, სამყაროსა და ადამიანებზე.

მთავარი ჭეშმარიტება ის არის, რომ **ღმერთი სამყაროსგან დამოუკიდებელი, ერთიანი სულიერი არსებაა.** დაბადების წიგნის პირველივე სიტყვები ***„დასაბამად ქმნა ღმერთმან...“***(დაბ. 1, 1) ადასტურებს, რომ ღმერთი არის ერთადერთი, დროზე უწინარესი, მარადიული, თვითმყოფადი; იგია ყოველივეს არსებობის წყარო, სული სამყაროსმიღმიერი, რადგან არსებობდა სამყაროს შექმნამდე, იყო სივრცეში დაუსაზღვრებელი, გამიჯნული ცისგანაც კი, რადგან ეს უკანასკნელი დედამიწასთან ერთად შეიქმნა. ღმერთი არის პიროვნული, გონიერი არსება.

სამყაროს შექმნის ეტაპების თანამიმდევრულად წარმოდგენის შემდგომ შესაქმისაღმწერელი თავის თხრობას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: ***„და იხილნა ღმერთმან ყოველნინ რაოდენნი ქმნნა, და აჰა კეთილ ფრიად...“*** (დაბ. 1, 31).

სამყაროს შექმნის შესახებ მოსეს მიერ ჩამოყალიბებული დიდებული სქემიდან რამდენიმე უშუალო დასკვნა გამომდინარეობს, კერძოდ:

I. თუ როგორ წარმოიშვა სამყარო:

ა) სამყარო მუდმივად არ არსებობს, იგი დროში წარმოიქმნა;

ბ) სამყარო თავისით არ შექმნილა, იგი ამას ღვთის ნებას უნდა უმადლოდეს;

გ) სამყარო მყისიერად არ წარმოშობილა, იგი თანდათანობით იქმნებოდა უმარტივესიდან რთულისაკენ;

დ) სამყარო აუცილებლობით არ შექმნილა, იგი საღვთო, თავისუფალი ნების ნაყოფია;

ე) სამყარო შეიქმნა ღვთის სიტყვით და ცხოველმყოფელი სულის მონაწილეობით.

2. თუ როგორი ბუნებისაა სამყარო:

ა) სამყარო **თვისობრივად** განსხვავდება ღმერთისაგან, იგი მისი არსების არც ნაწილია, არც ემანაცია და არც სხეული;

ბ) სამყარო შეიქმნა არა რაღაც მუდამ არსებული მასალისგან, არამედ სრული არყოფნიდან შემოვიდა მყოფობაში;

გ) ღვთის ბრძანებით ყოველივე დედამიწაზე არსებული შექმნილია მიწიერი სტიქიონებიდან, „გამოყვანილია“ წყლისა და მიწისგან, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც თავის თავში ღვთის ხატებასა და მსგავსებას ატარებს.

3. თუ როგორია შესაქმის შედეგები:

ა) სხვადასხვაა ღმრთეებრივი ბუნება და სამყარო. სამყაროც თავის მხრივ ღვთისგან განსხვავებული ბუნების მქონედ რჩება;

ბ) სამყაროს შექმნით ღმერთს არაფერი დაჰკლებია და არც არაფერი შეჰმატებია;

გ) სამყაროში, თვით ღმერთის გარდა, არაფერია შეუქმნელი;

დ) ყოველივე შეიქმნა *„ფრიად კეთილად“*, რაც ნიშნავს, რომ ბოროტება სამყაროს შექმნისას არ გაჩენილა.

ჭეშმარიტი რელიგიის არსებობა მხოლოდ სამყაროს შექმნის შესახებ მოსეს მონათხრობში მოყვანილ საფუძვლებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

პიროვნული ღმერთის აღიარების გარეშე ვერ შევძლებდით მისდამი სიყვარულს, დიდებისა და მადლობის აღვლენას, ლოცვას, საშველად მის მოხმობას. ჩვენ, ალბათ, იმ ობლებს დავემსგავსებოდით, რომელთაც არც დედა ახსოვთ და არც მამა.

სამყარო ღმერთივით დაუსაბამო რომ ყოფილიყო, მაშინ რაღაცით მისი თანასწორი იქნებოდა და დამოუკიდებლად იარსებებდა. ამ შემთხვევაში სამყარო თავისი ცვლილებებით, ბოროტებით, ხრწნადობითა და სიკვდილით, ნახევარღმერთად მოგვევლინებოდა. ეს კი საღვთო შეზღუდულობამდე მიგვიყვანდა, ანუ გამოიწვევდა ღმერთის, როგორც შემოუსაზღვრელი არსების შესახებ იდეის დამახინჯებასა და ორღმერთიანობის დაშვებას.

სამყარო რომ საღვთო არსიდან ემანაციით ყოფილიყო შობილი, იგი თავად იქნებოდა საღვთო ღირსების მქონე. სამყარო რომ ღმერთი იყოს,

ჩვენც ღვთაებები ვიქნებოდით მასში და ღმერთიც აღარ გვეყოლებოდა – აღარ იქნებოდა ჩვენზე **აღმატებული** არსება.

მაგრამ სამყაროს დასაბამი აქვს – ის დროშია შექმნილი. ჩვენს ზემოთ სუფევს უზენაესი, მარადიული, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემძლე, ძალი სახიერი, რომლისკენაც სიხარულით მიილტვის მორწმუნე ადამიანის სული. იგი მიეახლება მას და სიყვარულით მოუხმობს: ***„ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ; აღივსო ქუეყანაჲ დაბადებულითა შენითა. იყავნ დიდებაჲ უფლისაჲ უკუნისამდე...“*** (ფს. 103, 24, 31).

როგორ შეიქმნა სამყარო

სამყარო არარასგან შეიქმნა, მაგრამ „გან“ თანდებული უკვე რაღაცის არსებობაზე მიგვანიშნებს, „არარა“ კი არარსებული მასალაა. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა გვეხმარა მამათა ჩვეული გამოთქმა – არმყოფობიდან მყოფობაში შემოსვლა. თუმცა, ზემოხსენებული გამოთქმის გამოყენება პირობითად მიღებული და სავსებით დასაშვებია მისი სიმარტივისა და სიმოკლის გამო.

შექმნა რომ სრული არყოფნიდან შემოსვლაა, ამის შესახებ საღვთო წერილში ბევრგან საუბრობენ:

„ღმერთმან ყოველივე არაფრისგან შექმნა...“ (2 მაკაბ. 7, 28);

„...არა-საჩინოჲსგან ხილულად შექმნულად“ (ებრ. 11, 3);

„...უწესნ არა-არსსა მას, ვითარცა არსსა“ (რომ. 4, 17).

თვით დროსაც თავისი დასაბამი სამყაროს შექმნიდან მიეცა, მანამდე იყო მარადისობა. წმინდა წერილიც ამას ამბობს: ***„...რომლისაგანცა (ძისა თჳსისა მიერ) შექმნნა საუკუნენი“*** (ებრ. 1, 2). აქ სიტყვა „საუკუნენი“ აღნიშნავს „დროს“. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სამყარო და დრო ერთდროულად შეიქმნა.

შესაქმის დღეთა შესახებ **ნეტარი ავგუსტინე** ამბობს: „რანაირნი არიან ეს დღეები, ამის წარმოდგენა ჩვენთვის უკიდურესად ძნელი ან საერთოდ შეუძლებელიც კია. მათზე უფრო მეტის თქმა არ ძალგვიძს“.[1]

„ვხედავთ, რომ ჩვეულებრივ დღის ბოლოს, მზის ჩასვლის შემდეგ, საღამო დგება და მზის ამოსვლისას დილა თენდება. მაგრამ გადმოგვცემენ, რომ მზე მეოთხე დღეს შეიქმნა, ანუ პირველმა სამმა დღემ უმზეოდ ჩაიარა. მართალია, ნახსენებია, რომ ღვთის სიტყვით დასაწყისშივე შეიქმნა ნათელი, რომ ღმერთმა იგი ბნელისაგან გაჰყარა და ნათელს დაარქვა დღე, ბნელს კი – ღამე, მაგრამ რა სახის იყო ეს ნათელი, რა თანმიმდევრობით და რანაირად შეიქმნა საღამო და დილა – ამის შეცნობა არ ძალგვიძს; არ შეგვიძლია ჩავწვდეთ სინამდვილეს. მაგრამ შეუორგულებლად უნდა გვჯეროდეს, რომ ასეა...“.[2]

ღმერთმა სამყარო შექმნა თავისი გონით, ნებით, სიტყვითა და ბრძანებით.[3] ***„...რამეთუ მან თქუა და იქმნნეს, თავადმან ბრძანა, და დაებადნეს“*** (ფს. 148, 5). აქ სიტყვა „თქუა“ აღნიშნავს „წამისყოფას“. როგორც ეკლესიის მამები შენიშნავენ, ღვთის „ნათქვამი“ რაღაც დანაწევრებულ ბგერებად ან ჩვენეული სიტყვის მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. არა, ამ შემოქმედებითი სიტყვით ხდება არარადან სამყაროს შემქმნელი ყოვლისშემძლე ღვთის ნების მინიშნება ან გამოხატვა.

ღირსი იოანე დამასკელი წერს: „სახიერი და ზეკეთილი ღმერთი არ დასჯერდა თავისი თავის ჭვრეტას, სიკეთის სიუხვებისა გამო ისურვა ისეთი რამის შექმნა, რაც სამომავლოდ მისი ქველმოქმედებისა და სიკეთის თანაზიარი გახდებოდა. ღმერთს არმყოფობიდან მყოფობაში შემოჰყავს და ქმნის ყოველივეს მოუკლებლივ: ხილულს, არხილულს და, ამავე ხილულისა და უხილავისაგან შედგენილ ადამიანს. ქმნის აზრობრივად, მის საქმედ ქცევას აღასრულებს სიტყვა და განასრულებს სული“.[4]

ამრიგად, ღმერთის ზრახვა სამყაროზე **მარადის** არსებობდა, თუმცა მან იგი დროში შექმნა.[5] მაგრამ ჩვენ ვერიდებით გამოთქმას – „შექმნა თავისი გონიდან“, რათა ვინმეს არ ვაფიქრებინოთ, რომ ღმერთმა სამყარო თავისი არსებიდან შექმნა. საღვთო წერილი უფლებას არ გვაძლევს, ვილაპარაკოთ სამყაროს „წინასაუკუნო“ მყოფობაზე; იმავე მიზეზით უნდა ვაღიაროთ, რომ მიუღებელია შეხედულება „კაცობრიობის წინასაუკუნო არსებობაზე“, რომელიც ჩვენს ღვთისმეტყველებაში ერთ-ერთი თანამედროვე ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სწავლებიდან ცდილობს შემოჭრას.

ეკლესია, წმინდა წერილიდან გამომდინარე, აღიარებს შესაქმეში **ყოვლადწმიდა სამების სამივე პირის თანამონაწილეობას.** სარწმუნოების სიმბოლოში ვკითხულობთ: ***„მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ..., რომლისაგან ყოველი შეიქმნა. ...და სული წმიდაჲ, უფალი და ცხოველმყოფელი...“*** **წმინდა ირინეოს ლიონელი** წერს: „ძე და სულიწმიდა თითქოს მამის ხელნი არიან“.[6] ამავე აზრს გამოთქვამს მამა იოანე კრონშტადტელიც.[7]

შესაქმისათვის აღძვრა

საღვთო გონში შესაქმისათვის აღძვრის შესახებ „მართლმადიდებლური აღსარება“ და „ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო“ შემდეგს გადმოგვცემს: სამყარო ღმერთმა შექმნა, „რათა იგი სხვა არსებებსაც განედიდებინათ და **ზიარებოდნენ მის სახიერებას**“.[8] ღვთის სიკეთესა და წყალობას მრავალი ფსალმუნი ეძღვნება. მაგალითად, 102, 1 და 103, 1 („აკურთხევს სული ჩემი უფალსა“), რომლებიც მოგვიწოდებენ განვადი-

დოთ უფალი, მისი საღვთო განგებულება და ვმადლობდეთ ჩვენი არსებობის გამო. ამავე აზრს გამოხატავენ ეკლესიის მამები. მაგალითად, **ნეტარი თეოდორიტე** წერს: „უფალ ღმერთს არ სჭირდება ქება-დიდება. მან თავისი სიკეთის გამო მიანიჭა მყოფობა ანგელოზებს, მთავარანგელოზებსა და ყველა ქმნილებას“, და განაგრძობს: „ღმერთს არაფერი სჭირდება, მან – უფსკრულმან სიკეთისა – კეთილ-ინება და არარსებულს არსებობა უწყალობა“. **წმინდა იოანე დამასკელის** მიხედვით: „სახიერი და ზეკეთილი ღმერთი არ დასჯერდა თავისი თავის ჭვრეტას, სიკეთის უხვებისა გამო ინება არსებათა შექმნა, რომლებიც მისი ქველმოქმედებისა და სიკეთის თანაზიარნი გახდებოდნენ“.[9]

შესაქმის სრულყოფილების შესახებ

საღვთო წერილი და წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ყოველივე, ღმერთის მიერ შექმნილი, **კეთილია** და მიუთითებენ სამყაროს კეთილწყობაზე, როგორც **კეთილის** მიერ შექმნილზე. უგუნური ქმნილება, რომელსაც თავისთავად არ გააჩნია ზნეობრივი თავისუფლება, ზნეობრივად არც კეთილია, არც ბოროტი. გონიერი და თავისუფალი ქმნილება ბოროტი მაშინ ხდება, როცა ღმერთს განუდგება; ანუ ბოროტი ხდება ცოდვისადმი თავისი მიდრეკილების გამო არა იმიტომ, რომ ასეთად შეიქმნა. ***„...და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“*** (დაბ. 1, 10, 12, 21, 25. იხ. აგრეთვე: 1, 31).

ღმერთმა სრულყოფილი სამყარო შექმნა. თუმცა, გამოცხადება არ გვეუბნება, იყო თუ არა შესაქმის დღეების სამყარო, მისი მოგვიანო თუ ამჟამინდელი სახე, იმდენად სრული, რომ შემდგომი სრულყოფა აღარ სჭირდებოდა, ან ამის უნარი არ შესწევდა. მიწიერი სამყარო, თავისი უმაღლესი წარმომადგენლის, ადამიანის სახით, განკუთვნილია ახალი, უმაღლესი ფორმის ცხოვრებისათვის. საღვთო გამოცხადება გვასწავლის, რომ სამყაროს ამჟამინდელი მდგომარეობა სამომავლოდ შეიცვლება. იგი საუკეთესო და სრულყოფილი გახდება, იქნება ***„ახალი ცანი და ახალი ქუეყანა“*** (2 პეტ. 3, 13) და ***„...დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა...“*** (რომ. 8, 21).

შეკითხვაზე: „როგორი იყო საღვთო ცხოვრება სამყაროს შექმნამდე?“ – **ნეტარი ავგუსტინე** პასუხობს: „ყველაზე კარგი პასუხი იქნება – არ ვიცი“. **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** მსჯელობს: „იგი ჭვრეტდა თავისი სიკეთის სანუკვარ ნათელს“; „რადგანაც შეუძლებელია ღმერთის უმოქმედობა და არასრულყოფილება, მაშ, რით იყო საღვთო გონი დაკავებული იქამდე, როცა დროთა სიცარიელეში გამეფებულმა უზენაესმა შექმნა სამყარო და ნაირგვარად მორთო? – იგი ჭვრეტდა თავისი სახიერების სანუკვარ ნა-

თელს; ეს სამმნათობი ღმერთის ის სრულყოფილი თანა-ნათელცისკროვანებაა, რომელიც უწყის მან, ერთმა ღმერთმა და მათ, ვისაც თავად გაენდო. სამყაროს წარმომშობი გონი – ღმერთი თავის დიად წარმოსახვებში ასევე განიხილავდა თავის მიერვე შექმნილი სამყაროს სახეებს [ფორმებს, ξαπῦηϋ] – სამყაროსი, რომელიც, მართალია, მომავალში შექმნა, მაგრამ მისთვის მაშინაც აწმყოს წარმოადგენდა. ღმერთს ყოველივე თვალწინ აქვს გადაშლილი: რაც იქნება, რაც იყო და რაც ამჟამად არის".[10]

შეკითხვაზე: „რით გამოიხატებოდა საღვთო ყოვლისშემძლეობა, როცა სამყარო არ არსებობდა?", **წმინდა მეთოდე პათარელი** შენიშნავს: „ღმერთი ყოვლისშემძლეა თავისსავე შექმნილისგან სრულიად დამოუკიდებლად".

ანგელოზთა სამყაროს შექმნა, მათი ბუნება და დანიშნულება

ქმნილ არსებათა კიბის ზედა, უმაღლეს საფეხურზე წმინდა, უხორცო სულები დგანან. ისინი, ჩვენთან შედარებით, არა მხოლოდ აღმატებული და სრულყოფილი არსებანი არიან, არამედ ფრიად მნიშვნელოვან ზეგავლენასაც ახდენენ ადამიანთა ცხოვრებაზე, თუმცა მოქმედებენ ჩვენთვის უხილავად.

რა არის ჩვენთვის ცნობილი მათზე, როგორ და როდის წარმოიშვნენ, ყველას ერთნაირი ბუნება მიენიჭა თუ არა და როგორია ის; რისთვის არიან მოწოდებულნი და როგორ არსებობენ?

ანგელოზები წმინდა წერილში

„ანგელოზი" მაუწყებელს ნიშნავს (ბერძნ. სიტყვიდან αγγελλω – უწყება). ძირითადად ამ სიტყვით განისაზღვრება კაცობრიობის მიმართ მათი მსახურების შინაარსი. და კაცთა მოდგმამაც, ჯერ კიდევ სამოთხეში ყოფნის დღეებიდან, იცოდა მათი არსებობის შესახებ. ეს ფაქტი ასახულია არა მარტო იუდეურ, არამედ სხვა რელიგიებშიც.

ცოდვით დაცემული ადამიანების სამოთხიდან განდევნის შემდეგ ედემის ბაღის შესასვლელთან დადგა ***ქერუბიმი***, ***„...მოტყინარე მახჳლი იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხორებისასა"*** (დაბ. 3, 24). აბრაამმა, როცა თავისი მსახური ნაქორთან გაგზავნა, დააიმედა ის, რომ უფალი თავის ანგელოზს ***„წარავლენდა წინაშე მისსა"*** და ისიც გზას კეთილად განვლიდა (იხ. დაბ. 24, 7). იაკობი ანგელოზებს ხედავდა ძილშიც (როცა მესოპოტამიაში მიმავალმა სიზმრად საიდუმლო კიბე იხილა, – დაბ. 28) და ცხადშიც (როდესაც საკუთარ სახლში, ესავთან მიმავალმა დაინახა ღვთის ანგელოზთა ბანაკი, – დაბ. 32, 1, 2). ფსალმუნთა წიგნში ანგელოზები ბევრჯერ იხსენიებიან,

მაგალითად, ***„აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი...“***(ფს. 148, 2); ***„რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა“*** (ფს. 90, 11). მათ შესახებ, აგრეთვე, ვკითხულობთ იობისა და წინასწარმეტყველთა წიგნებში. უფლის ტახტს გარშემორტყმული **სერაბიმნი** ესაია წინასწარმეტყველს ეჩვენენ (იხ. ეს. 6), **ქერუბიმნი** კი ეზეკიელ წინასწარმეტყველმა უფლის სახლის ხილვისას ნახა (იხ. ეზეკ. 10).

ანგელოზთა შესახებ ბევრ ცნობას გვაწვდის და მათ მრავალგზის ახსენებს ახალი აღთქმის გამოცხადება. მაგალითად, ანგელოზმა აუწყა ზაქარიას ნათლისმცემლის ჩასახვა; ამცნო ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს მაცხოვრის შობა; იგი ეცხადებოდა ძილში იოსებს; ანგელოზთა მრავალრიცხოვანმა მხედრობამ გალობით განადიდა ქრისტეს შობა; ანგელოზმა ახარა მწყემსებს მაცხოვრის შობა; შეაჩერა ჰეროდესთან დასაბრუნებლად გამზადებული მოგვნი. ისინი ემსახურებოდნენ იესო ქრისტეს მისი უდაბნოში გამოცდის დროს; გეთსამანიის ბაღში მოევლინა მაცხოვარს ანგელოზი, რათა განემტკიცებინა იგი; ანგელოზებმა ამცნეს მენელსაცხებლე დედებს იესო ქრისტეს აღდგომა, მოციქულებმაც უფლის ამაღლებისა და მეორედ მოსვლის შესახებ მათგან შეიტყეს; მათვე ახსნეს პეტრესა და სხვა მოციქულებს ჯაჭვნი (იხ. საქმ. 5, 19), იგივე განმეორდა ცალკე პეტრე მოციქულის მიმართაც (იხ. საქმ. 12, 7-15). ანგელოზი მოევლინა კორნილიუსს და მოუწოდა, საღვთო წერილის მასწავლებლად პეტრე მოციქული მიეწვია (იხ. საქმ. 10, 3-7); აუწყა პავლე მოციქულს, რომ მას კეისრის წინაშე წარდგომა ელოდა (იხ. საქმ. 27, 23-24). ანგელოზთა ხილვა საფუძვლად უდევს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მიერ აპოკალიფსისში აღწერილ გამოცხადებებს.

ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲗᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ

სარწმუნოების სიმბოლოში ვკითხულობთ: ***„მრწამს ერთი ღმერთი... შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ,*** *ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა“*. უხილავი, ანგელოზთა სამყარო, ღმერთმა ხილულ სამყაროზე უწინარეს შექმნა. ***„ოდეს იქმნნეს ვარსკულავნი, მაქებდეს მე ჴმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“***(იობ. 38, 7), — ეუბნება უფალი იობს. პავლე მოციქული წერს: ***„რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჴელმწიფებანი, — ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა“*** (კოლ. 1, 16). ეკლესიის ზოგიერთი მამის აზრით, დაბადების წიგნის პირველ სიტყვებში – ***„დასაბამად ქმნნა ღმერთან ცაჲ და ქუეყანაჲ“*** – ლაპარაკია არა ფიზიკურ **ცაზე**, რომელიც შემდგომ შეიქმნა, არამედ ამ სიტყვაში უხილავ, ზეციურ ძალთა საცხოვრისი მოიაზრება. ეკლე-

სიის ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ ღმერთმა ანგელოზები ხილულ სამყაროზე გაცილებით ადრე შექმნა **(წმინდა ამბროსი მედიოლანელი, ნეტარი იერონიმე, გრიგოლ დიდი, ღირსი ანასტასი სინელი)** და, რომ სამყაროს შექმნის დროს ისინი უკვე წარდგომილნი იყვნენ შემოქმედის წინაშე და ემსახურებოდნენ მას. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამგვარად მსჯელობს: „საღვთო სახიერება არ დასჯერდა საკუთარი თავის ჭვრეტას, სიკეთე მას სულ უფრო და უფრო უნდა განეფინა, რათა შეძლებისდაგვარად ბევრს რგებოდა იგი (ასეთია უზენაესი სიკეთის დამახასიათებელი თვისება). ამიტომ ღმერთმა ჯერ ანგელოზთა ზეციური ძალები მოიფიქრა – და ზრახვა საქმედ იქცა, რომელიც სიტყვით აღსრულდა და სულის მიერ განსრულდა... სათნო ეყვნენ რა მას პირველი ქმნილებანი, შემდგომ სხვაგვარი, ნივთიერი და ხილული სამყარო მოიაზრა. სხვა სიტყვებით – მოიფიქრა ცისა და დედამიწის მწყობრი შემადგენლობა და ისიც, რაც არსებობს მათ შორის“. **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის** ამ აზრს იმეორებს **ღირსი იოანე დამასკელიც.**[11]

ანგელოზთა ბუნება

ანგელოზები თავიანთი ბუნებით გონიერი, მოქმედი სულები არიან, აქვთ ნება და ცოდნა; ემსახურებიან ღმერთს, ადიდებენ მას და აღასრულებენ მის განგებულებით ნებას. ისინი უხორცონი არიან და უხილავ სამყაროში მკვიდრობენ, ამიტომ არ ძალუძს მათი დანახვა ჩვენს ხორციელ მზერას. **ღირსი იოანე დამასკელი** გვასწავლის: „როდესაც ანგელოზები ღვთის ნებით ეცხადებიან ღირსეულ ადამიანებს, ჩნდებიან არა ნამდვილი სახით, არამედ იმგვარად გარდასახულნი, რომ მისი დანახვა შეძლონ ხორციელმა არსებებმა“.[12] ტობითის წიგნში მოთხრობილია, თუ რა უთხრა ტობითსა და მის ძეს თანამდევმა ანგელოზმა თავისთავზე: ***„ყოველთა დღეთა გეჩუენებოდე თქუენ და არა ვჭამდ, არცა ვსუემდ, არამედ ხილვით ხოლო ხედვიდით თქუენ“*** (ტობ. 12, 19).

ღირსი იოანე დამასკელი მსჯელობს: „თუმცა ანგელოზს ჩვენთან შედარებით უსხეულო და უნივთო ეწოდება, ერთიანი, უდარებელი ღმერთის მიმართ ყოველივე ტლანქია და ნივთიერი. მხოლოდ ღმერთია სავსებით უნივთო და უსხეულო“.[13]

ანგელოზთა სრულყოფილების ხარისხი

ანგელოზები უაღრესად სრულყოფილი სულები არიან. თავიანთი სულიერი ძალებით ადამიანზე მაღლა დგანან, მაგრამ, როგორც ქმნილ არსებებს, მათაც შეზღუდულობის ბეჭედი აზით. უხორცონი არიან და ადამიანებთან შედარებით ნაკლებ ექვემდებარებიან ადგილსა და სივრცეს;

ასე ვთქვათ, ფრენით მყისიერად გადიან თვალუწვდენელ სივრცეებს და უმალ ჩნდებიან სამოქმედო ასპარეზზე. მაგრამ იმის თქმა არ შეიძლება, თითქოს ანგელოზები ყველგანმყოფნი იყვნენ და სივრცისა და ადგილისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობდნენ. წმინდა წერილში ასახულია, ანგელოზები როგორ ეშვებიან ზეციდან მიწაზე, ან მიწიდან ზეცად როგორ ადიან. მაშასადამე, მათ არ შეუძლიათ ერთდროულად ყოფნა ცაშიც და დედამიწაზეც.

წმინდა წერილი ადასტურებს, რომ ანგელოზები უკვდავნი არიან, მათ ***„არცალა მერმე სიკუდილად ჴელ-ეწიფების...“*** (ლუკა, 20, 36). მაგრამ ეს არ არის საღვთო, ანუ თვითმყოფადი და უპირობო უკვდავება. ადამიანთა სულების მსგავსად, მათი უკვდავებაც მთლიანად ღვთის ნებასა და წყალობაზეა დამოკიდებული.

ანგელოზებს, როგორც უხორცო სულებს, ფრიად ხელეწიფებათ შინაგანი **თვითგანვითარება**. მათი გონება ადამიანურთან შედარებით უფრო აღმატებულია. პეტრე მოციქულის სიტყვებით, მათი ძალა და შესაძლებლობანი ყოველგვარ მიწიერ მთავრობასა და უფლებას აჭარბებს (შდრ. 2 პეტ. 2, 11). ანგელოზის ბუნება უფრო სრულია, ვიდრე ადამიანისა. ამას ფსალმუნთმთქმელიც ამბობს, როცა ადამიანის განდიდება სურს. იგი შენიშნავს, რომ ღმერთმა მას „მცირედ რაიმე დააკლო“ ანგელოზებთან შედარებით (იხ. ფს. 8, 5).

მაგრამ მათ ამ აღმატებულ თვისებებსაც აქვს თავისი საზღვრები. წმინდა წერილი მიუთითებს, რომ ანგელოზები ვერ სწვდებიან საღვთო არსების სიღრმეებს, ეს მარტოოდენ „სულმა ღვთისამ“ იცის ***(„...ევრეცა ღმრთისაჲ არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან“*** – 1 კორ. 2, 11); მათ არ უწყიან, რა იქნება სამომავლოდ – ესეც მხოლოდ საღვთო ცოდნაა ***(„ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა...“*** – მარკოზი, 13, 32); აგრეთვე, სურვილის მიუხედავად, ისინი ბოლომდე ვერ აცნობიერებენ გამოსყიდვის საიდუმლოს, ***„... რომლისათჳს გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად“*** (1 პეტ. 1, 12); ვერ ხვდებიან ყველა ადამიანურ განზრახვას (შდრ. 3 მეფ. 8, 39); დაბოლოს, არ შეუძლიათ ღვთის ნების გარეშე, დამოუკიდებლად აღასრულონ სასწაულები ***(„კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისაჲ, რომელმან ყვის საკჳრველი მხოლომან“*** – ფს. 71, 18).

ანგელოზთა რიცხვი; ანგელოზთა დასები

წმინდა წერილის მიხედვით უზარმაზარია ანგელოზთა სამყარო. როდესაც დანიელ წინასწარმეტყველმა სიზმარში „ძუელთა დღეთა“ იხილა, მას თვალწინ გადაეშალა „ათასნი ათათასნი“, რომელიც ***„ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი წარდგომილ იყვნეს წინაშე მისსა სამსჯავროს“*** (დან.

7, 9, 10). ძე ღვთისას ამა სოფლად მოვლინებას ადიდებდა ანგელოზთა ***„... იმრავლე ერთა ცისათჲ...“*** (ლუკა, 2, 13).

„წამოიდგინე, – ამბობს **წმინდა კირილე იერუსალიმელი,** – რაოდენ მრავალრიცხოვანნი არიან რომაელნი და ამჟამად მცხოვრები სხვა უხეში ხალხები. იფიქრე – ასი ან ათასწლეულის განმავლობაში რამდენი ადამიანი აღესრულა. წარმოიდგინე – ადამიდან მოყოლებული დღევანდლამდე რამდენი დასამარდა – უზარმაზარია მათი რიცხვი. მაგრამ ანგელოზთა რაოდენობა მასთან შედარებით გაცილებით დიდია. კაცთა მოდგმა მხოლოდ ერთი ცხოვარია, როცა ანგელოზნი ოთხმოცდაცხრამეტნი არიან. დიდ სივრცეს მრავალრიცხოვანი მკვიდრნიც უნდა ჰყავდეს. ჩვენ მიერ დასახლებული დედამიწა ცის შუაგულში არსებულ რაღაც წერტილს მოგვაგონებს. რამდენადაც გარემომცველი ცა აღემატება სივრცობრივად დედამიწას, იმდენადვე მეტია ზეციურ მკვიდრთა რიცხვიც. ცანი ცათანი ანგელოზთა წარმოუდგენელ რაოდენობას იტევს. თუ დაწერილია, რომ ***„ათასნი ათათასნი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი წარდგომილ იყვნეს წინაშე მისსა“*** (დან. 7, 10) – ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წინასწარმეტყველმა ვეღარ შეძლო უფრო აღმატებული რიცხვის დასახელება“.[14]

ანგელოზთა ამგვარი მრავალრიცხოვნება ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ ნივთიერი სამყაროს მსგავსად ზეციურ ძალთა სამყაროშიც არსებობს **სრულყოფის** განსხვავებული ხარისხები, ამიტომაა სხვადასხვა საფეხურები, ანუ ზეციურ ძალთა **იერარქიული ხარისხები**. მაგალითად, საღვთო წერილი ზოგ მათგანს „ანგელოზს“ უწოდებს, სხვას – „მთავარანგელოზს“ (იხ. 1 თეს. 4, 15; იუდა 4, 9).

მართლმადიდებელი ეკლესია სახელმძღვანელოდ მიმართავს ძველი ეკლესიის მწერალთა და მამათა მოსაზრებებს, განსაკუთრებით **წმინდა დიონისე არეოპაგელის** ავტორობით შექმნილ თხზულებას „ზეციური იერარქიის შესახებ“ და მათზე დაყრდნობით ანგელოზთა სამყაროს ცხრა ხარისხად ან დასად ყოფს; მათ თავის მხრივ სამ იერარქიულ ტრიადად (მწყობრად) ანაწილებს, რომელთაგან თითოეული სამი დასისგან შედგება. პირველ იერარქიულ ტრიადაში ღმერთთან ყველაზე დაახლოებულნი: საყდარნი, ქერუბიმნი და სერაბიმნი ერთიანდებიან. მეორე, შუა ტრიადაში – უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი. ჩვენთან ყველაზე ახლოს მდგომ მესამე ტრიადაში კი ანგელოზნი, მთავარანგელოზნი და მთავრობანი,[15] ანგელოზთა ცხრა დასად გადანაწილებას ვხვდებით „მოციქულთა კანონებში“, იგივეს იმეორებენ „მოციქულთა დადგენილებანი“, **წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი, წმინდა იოანე ოქროპირი,** მოგვიანებით – **წმინდა გრიგოლ დიოლოგოსი, ღირსი იოანე დამასკელი** და სხვანი. აი, **წმინდა გრიგოლ დიოლოგოსის** სიტყვები: „საღვთო წერილის მიხედვით ვიცით, რომ არსებობენ ანგელოზნი,

მთავარანგელოზნი, ძალნი, უფლებანი, მთავრობანი, ხელმწიფებანი, საყდარნი, ქერუბიმნი და სერაბიმნი. ამიტომ ვაღიარებთ ანგელოზთა ცხრა დასს. ანგელოზთა და მთავარანგელოზთა არსებობა წმინდა წერილის თითქმის ყველა გვერდზე დასტურდება. როგორც ცნობილია, წინასწარმეტყველთა წიგნებში ხშირად ახსენებენ ქერუბიმებსა და სერაბიმებს. კიდევ ოთხი დასის სახელი მოჰყავს პავლე მოციქულს ეპისტოლეებში ეფესელთა და კორინთელთა მიმართ: ***„უზეშთაეს ყოველთა მთავრობათა და ხელმწიფებათა და ძალთა და უფლებათა...“*** (ეფ. 1, 21) და ***„...ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ხელმწიფებანი...“*** (კოლ. 1, 16). როდესაც ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ნახსენებ ოთხ დასს: მთავრობებს, უფლებებს, ძალებსა და ხელმწიფებებს დაემატება საყდარნი, მივიღებთ ცალკე ხუთ დასს. ხოლო ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, ქერუბიმთა და სერაბიმებთან ერთად ცხრა დასი გამოვა“.[16]

და მართლაც, წმინდა წერილის წიგნებში გვხვდება ზემოჩამოთვლილი დასები, ოღონდ ცხრაზე მეტი არ მოიხსენიება. აი, ადგილები სადაც ნახსენები არიან ქერუბიმნი: დაბადება – თავი მე-3, ფსალმუნნი – 79-ე და 98-ე, ეზეკიელი – თავები პირველი და მე-10; სერაბიმნი: ესაია – თავი მე-6; ძალნი: ეპისტოლე ეფესელთა მიმართ – თავი პირველი და რომაელთა მიმართ – თავი მე-8; საყდარნი, მთავრობანი, ხელმწიფებანი, უფლებანი: კოლასელთა მიმართ – თავი პირველი, ეფესელთა მიმართ – თავი პირველი და მე-3; მთავარანგელოზნი: 1 ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ – თავი მე-4 და იუდას ეპისტოლე – მე-9 მუხლი; ანგელოზნი: პეტრეს 1 ეპისტოლე – თავი მე-3 და რომაელთა მიმართ ეპისტოლე – თავი მე-8 და სხვა. მაშასადამე, ეკლესიის სწავლებით, ანგელოზთა დასთა რაოდენობა ჩვეულებრივ ცხრა რიცხვით შემოიფარგლება.

ეკლესიის ზოგიერთი მამა გამოთქვამს პირად, კეთილწესიერ თვალსაზრისს, რომ ანგელოზთა ცხრა დასი მხოლოდ საღვთო წერილში გამოცხადებულ სახელებსა და დასებს მოიცავს, მაგრამ მათ გარდა არსებობს ანგელოზთა ბევრი ისეთი დასი და სახელიც, რომელიც სააქაოდ არ გვეუწყა და უკვე საიქიოდ გახდება გასაგები. ამ მოსაზრებას ავითარებენ **წმინდანები იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტე, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. ოქროპირი ამბობს:** „არიან, ჭეშმარიტად არიან სხვა ძალნი, რომელთა სახელებიც კი არ ვიცით... ზეცად მკვიდრობენ არა მარტო ანგელოზნი, მთავარანგელოზნი, საყდარნი, ხელმწიფებანი, მთავრობანი, არამედ იქვეა ურიცხვი განსხვავებული გვარი და წარმოუდგენლად უამრავი კლასი, რომელთა აღწერა სიტყვით საერთოდ შეუძლებელია. საიდან ჩანს, რომ ზემოთ ნახსენებზე მეტნი ძალნი არსებობენ და რომ ზოგი მათგანის სახელიც კი არ ვიცით? პავლე მოციქული საუბრობს რა ერთ თემაზე,

იქვე ახსენებს მეორესაც, – როდესაც ქრისტეს შესახებ ამოწმებს: ***„...და დასუა მარჯუენით მისა ზეცათა შინა, უზეშთაეს ყოველთა მთავრობათა და ქელმწიფებათა და ძალთა და უფლებათა და ყოვლისავე სახელისა, რომელ სახელ-დებულ არს არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას“*** (ეფ. 1, 20, 21). ხედავთ, რომ არსებობს რაღაც სახელები, რომლებიც ახლა არ ვიცით, მაგრამ შემდგომში გავიგებთ. ამიტომაც თქვა: „ყოვლისავე სახელისა, რომელ სახელდებულ არს არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას“ – ეს მსჯელობანი ეკლესიის მიერ კერძო მოსაზრებებად განიხილება.

საერთოდ, ეკლესიის ძველი მწყემსები მიიჩნევდნენ, რომ ზეციური იერარქიის შესახებ სწავლება საიდუმლოა. **წმინდა დიონისე** ნაშრომში „ზეციური იერარქიის შესახებ“ ასე მსჯელობს: „ზეციურ არსებათა რამდენი დასი არსებობს, როგორია ისინი და რარიგად აღესრულება იერარქიის საიდუმლო, ეს ზუსტად მხოლოდ ღმერთმა უწყის – იგია მიზეზი ამ იერარქიისა. საკუთარი ძალმოსილება და ნათელი ზეციურმა არსებებმაც იციან, მათვე უწყიან, თუ ვინ არიან წმინდა და არაამქვეყნიურ დასთა მთავარნი. ჩვენთვის მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რა ცოდნაც ღმერთის წყალობით გამოგვიცხადეს ანგელოზებმა თავიანთ თავზე“.[17] ამგვარადვე მსჯელობს **ნეტარი ავგუსტინეც**: „შეუორგულებლად მწამს, რომ ზეციურ სავანეებში არსებობენ საყდარნი, ხელმწიფებანი, მთავრობანი და უფლებანი; ისინი რომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან – ესეც უეჭველად მიმაჩნია, მაგრამ როგორნი არიან და ზუსტად რითი განირჩევიან – ეს არ ვიცი“.

წმინდა წერილში ზოგ უმაღლეს ანგელოზს საკუთარი სახელი აქვს მინიჭებული. კანონიკურ წიგნებში ორი ასეთი სახელი გვხვდება: „მიქაელი“ (ღვთისებრი, იხ. დან. 10, 13; 12, 1; იუდა, 1, 9; გამოცხ. 12, 7, 8) და „გაბრიელი“ (კაცი ღვთისა, იხ. დან. 8, 16; 9, 21; ლუკა, 1, 19, 26). არაკანონიკურ წიგნებში ანგელოზთა სამი სახელია ნახსენები: „რაფაელი“ (ღვთის შემწეობა, იხ. ტობ. 3, 16; 12, 12-15), „ურიელი“ (ცეცხლი ღვთისა, იხ. 3 ეზრ. 4, 1; 5, 20) და „სელაფიელი“ (ღვთისადმი ლოცვა, იხ. 3 ეზრ. 5, 16). გარდა ამისა, კეთილწესიერი გადმოცემით ვიცით კიდევ ორი ანგელოზის სახელი: „იეგუდიელი“ (დიდება ღვთისა) და „ვარახიელი“ (კურთხევა ღვთისა). ისინი წმინდა წერილში არ გვხვდება (მხოლოდ ეზრას მე- 3 წიგნში (4, 36) იხსენიება „იერომიელი“ – საღვთო სიმაღლე). ამრიგად, მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ჩაწერილი სიტყვების შესაბამისად გამოცხადებულია შვიდი უმაღლესი ანგელოზის სახელი. ***„...მადლი თქუენდა და მშჳდობა ღმრთისაგან, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, და შჳდთა მათ სულთაგან, რომელნი წინაშე საყდარსა მისსა არიან“***(გამოცხ. 1, 4).

ანგელოზთა მსახურება

დასასრულ, მაინც რა არის სულიერი სამყაროს არსებათა დანიშნულება? ცხადია, ღმერთმა ისინი იმისთვის განაწესა, რომ მისი დიდება და ბრწყინვალება უსრულყოფილესად აესახათ და საღვთო ნეტარების თანაზიარნი ყოფილიყვნენ. თუ ხილულ ცაზე ითქვა, რომ „ცანი უთხრობდნენ დიდებასა შენსა“, საამისოდ სულიერი ზეცა ხომ უფრო გამოდგება. ამიტომ **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** მათ „სრულყოფილი ნათლის ციმციმს“, ან „მეორე ნათელს“ უწოდებს.

კაცთა მოდგმასთან შედარებით უფრო დაახლოებული დასთა ანგელოზები წმინდა წერილში გვევლინებიან, როგორც ღვთის ნების მაუწყებლები. ისინი წარმართავენ ადამიანებს და მათ გადარჩენას ემსახურებიან. პავლე მოციქული წერს: ***„ანუ არა ყოველნივე არიანა მოხარკე სულებ, მსახურად მოვლინებულ მათთჳს, რომელთა-იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ?“*** (ებრ. 1,14).

ანგელოზები მარტო ღვთისადმი სადიდებელს არ აღავლენენ, ისინი ემსახურებიან მას, განაგოს ნივთიერი და გრძნობადი სამყაროს საქმენი. ამის შესახებ ხშირად ლაპარაკობენ წმინდა მამები: „ერთნი დიადი ღმერთის წინაშე წარდგომილ არიან, სხვანი თანაშემწეობენ და მთელი სამყარო უპყრიათ“.[18] ანგელოზები „დადგინებულნი არიან, რათა მართონ სტიქიონნი და ზეცანი, სამყარო და ყოველივე მასში არსებული“ (ათინაგორა ათენელი); „თითოეული სამყაროს რაღაც ნაწილის მმართველად დადგინდა, ანუ სამყაროში მხოლოდ ერთ რამეს მიუჩინეს – თუ როგორ, ეს მხოლოდ ყოველთა განმაწესებელმა და დამადგინებელმა უწყის. ყოველთა აღმაშენებლის წამისყოფით ანგელოზები ყოველივეს ერთი საბოლოო მიზნისაკენ წარმართავენ“.[19] ზოგ საეკლესიო მწერალთან გვხვდება აზრი განსაკუთრებულ ანგელოზთა არსებობის შესახებ, რომლებიც ბუნების ორგანული, არაორგანული და ცხოველთა სამყაროების მეთვალყურეებად იქნენ დადგენილნი (ორიგენე, ნეტარი ავგუსტინე). ეს აზრი დასაბამს აპოკალიფსისიდან იღებს, სადაც ლაპარაკია ღვთის ნების თანახმად სხვადასხვა მიწიერ სტიქიონთა მმართველ ანგელოზებზე. საიდუმლოთა მხილველი გამოცხადებაში წერს: ***„და მესმა ანგელოზისა მისვან წყალთაჲსა, რომელი იტყოდა...“*** (გამოცხ. 16, 5), ***„და შემდგომად ამისა ვიხილენ ოთხნი ანგელოზნი, მდგომარენი ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა. და ეპყრნეს ოთხნი იგი ქარნი ქუეყანისანი, რაჲთა არა ქროდიან ქუეყანასა ზედა, არცა ზღუასა, არცა ხეთა“*** (გამოც. 7, 1) ***„და სხუაჲ, ანგელოზი გამოვიდა საკურთხეველისაგან, რომელსა აქუნდა კელმწიფებაჲ ცეცხლსა ზედა, და ჴმა-უყო ჴმითა დიდითა...“*** (გამოცხ. 14, 18). დანიელ წინასწარმეტყველის ხილვის თანახმად, არიან ანგელოზები, რომელთაც ღმერთი დედამიწაზე ხალხებისა და სამეფოების ბედის დაცვას ანდობს (იხ. დან. 10; 11; 12).

მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენით, თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს თითოეულ ადამიანს, თუ მან იგი თავისი უწმიდური ცხოვრებით არ განაგდო. უფალმა იესო ქრისტემ ბრძანა: ***„ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყჳ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა“*** (მათე, 18, 10).

ადამიანი – გვირგვინი შესაქმისა

ადამიანი მიწიერ ქმნილებათა კიბის უმაღლეს საფეხურზე დგას და თავისი მდგომარეობით ყოველ მიწიერ არსებაზე მეუფებს. თავად მიწიერი, ზეციურ არსებებს ნიჭით უახლოვდება: ***„დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა...“*** (ფს. 8, 6). მოსე წინასწარმეტყველი ადამიანის შექმნას ამგვარად აღწერს: მას შემდეგ, რაც მიწიერი არსებები შექმნა, ***„...თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღჳსასა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მჴეცთა ყოვლისა ქუეყანისა ყოველთა ქუეწარმავალთა მავალთა ქუეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი საჴედ თჳსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი...“***(დაბ. 1, 26, 27). უკვე თავისთავად ეს **საღვთო ბჭობა**, რასაც სხვა მიწიერ არსებათა შესაქმის დროს ადგილი არ ჰქონია, ნათლად მიანიშნებს, რომ ადამიანი დედამიწაზე განსაკუთრებული, გამორჩეული, აღმატებული და უსრულყოფილესი, სამყაროში უმაღლესი დანიშნულების მქონე ქმნილება უნდა ყოფილიყო. საღვთო ბჭობით დადგინდა, ადამიანი ღვთის **ხატად და მსგავსად** შექმნილიყო და ამით კიდევ უფრო იკვეთება აზრი ადამიანის მაღალი მოწოდებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ – იგი, მართლაც, ღვთის ხატად არის შექმნილი! ყოველ ხატში აუცილებლად პირველსახესთან მსგავსება იგულისხმება. მაშასადამე, ღვთის ხატის არსებობა ადამიანში ადასტურებს, რომ მის სულიერ ბუნებაში თავად საღვთო თვისებებია ასახული. დასასრულ, დაბადების წიგნის მეორე თავში ადამის შექმნის ერთგვარად ზედმიწევნითი გადმოცემა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ადამიანის ბუნების გამორჩეულ უპირატესობებს: ***„და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქუეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“***(დაბ. 2, 7). აქ განირჩევა ორგვარი ქმედება ან ქმედების ორი მხარე, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, ერთდროულად მიმდინარეობდნენ; ესენია – სხეულის შექმნა და მისი განცხოველება. **ღირსი იოანე დამასკელი** შენიშნავს: „თანადროულად შეიქმნა სული და სხეული და არა ჯერ სული და შემდგომ სხეული, როგორც ორიგენე ლაყბობს“.[20] დაბადების წიგნის მიხედვით, ღმერთი ადა-

მიანს სრულიად განსაკუთრებულად, უკვე არსებული მიწისა და სტიქიონთა საწყისებიდან ქმნის. ამას ახორციელებს თავისი უშუალო ქმედებით და არა ოდენ ბრძანებით, ან სიტყვით, როგორც ეს სხვა არსებათა შესაქმის დროს მოხდა. ეს მიანიშნებს, რომ თავისი სხეულებრივი ორგანიზაციით ადამიანი შექმნიდანვე არის ყველა ქმნილებაზე აღმატებული არსება. შემდეგ ნათქვამია, რომ ღმერთმა ***„...შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“*** (დაბ. 2, 7). ხატოვანი გამოთქმით, თავად საღვთო ბაგეთაგან სიცოცხლის სულის მიმღები ადამიანი არის მიწიერისა და ზეციურის, მატერიალურისა და სულიერის ცხოველი ნაზავი.

ამიტომ უთმობს წმინდა წერილი ადამიანის **სხეულის** მნიშვნელობას განსაკუთრებულ ყურადღებას. სხეული სულის თანამგზავრი, მისი ორგანო და თანამშრომელიც კი უნდა იყოს. თავად სულზეა დამოკიდებული, დამდაბლდეს და სხეულის მონა გახდეს, თუ ნათელმოსილ სულს დაუქვემდებაროს მორჩილ შემსრულებლად და თანაშემწედ ქცეული სხეული. სულის წყალობით შეიძლება, სხეული უწმინდურებისა და სიბილწის ცოდვის ჭურჭელი შეიქნას, ან მასთან ერთად ღვთის განდიდების თანამონაწილე გახდეს. ამას გვასწავლის წმინდა წერილი (იხ. რომ. 3, 14; გალ. 3, 3; 1 კორ. 9, 27; გალ. 5, 24; იუდა, 1, 7, 8 მუხლი; 1 კორ. 3, 16-17; 1 კორ. 6, 20). ხორციელი სიკვდილით ადამიანის სულსა და სხეულს შორის კავშირი საბოლოოდ არ წყდება. ოდესმე დადგება ჟამი და ადამიანთა სხეულები აღდგებიან, მიიღებენ განახლებულ სახეს და სამუდამოდ შეუერთდებიან თავიანთ სულებს, რათა მარადიულ ნეტარებას ან ტანჯვას ეზიარონ იმისდა მიხედვით, თუ მიწიერი ცხოვრების განმავლობაში რა მოიმოქმედეს ადამიანებმა – სიკეთე თუ ბოროტება (შდრ. 2 კორ. 5, 10).

უფრო ამაღლებულ თვალთახედვას გვინერგავს საღვთო წერილი **სულის** ბუნების შესახებ. მისი შექმნისას ღმერთს მიწიერი არაფერი აუღია – სული ადამიანს მან, როგორც შემოქმედმა, შთაბერვით მიანიჭა. ნათელია, რომ საღვთო წერილის მიხედვით სული არის სხეულისაგან და ყოველივე ნივთიერისა და სტიქიონთაგან სრულიად განსხვავებული – იგი არამიწიერია და გააჩნია არაამქვეყნიური, ზეციური ბუნება. ყოველივე მიწიერთან შედარებით ადამიანის სულის უდიდესი უპირატესობა უფალმა იესო ქრისტემ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: ***„რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თჳსისა?“*** (მათე, 16, 26). უფალი მოძღვრავდა მოწაფეებს: ***„ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ ჴორცნი, ხოლო სულისა ვერ ჴელ-ეწიფების მოკლვად“*** (მათე, 10, 28).

სულის მაღალ ღირსებაზე **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** ამგვარად მსჯელობს: „სული საღვთო შთაბერვაა, იგი ზეციურია და იძულებულია,

მტვერს შეერიოს; ჩაუქრობელია ღვთაებრივი ნათელი, თუმც კი მღვიმეშია გამომწყვდეული... ბრძანა სიტყვამ (ღმერთმა) და აიღო ახალშექმნილი მიწის პეშვი, უკვდავი ხელებით გამოძერწა ჩემი ხატება და მასში უხილავი ღვთაებრივი ნაკადი – სული წარმართა, რითაც თავის სიცოცხლესთან წილნაყარი გამხადა".[21]

ოღონდ წმინდა მამათა ამგვარ ამაღლებულ, ხატოვან გამოთქმებზე დაყრდნობით არ უნდა დავასკვნათ, რომ სული „ღვთაებრივია" (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და შესაბამისად იგი მუდამ მყოფობდა – მანამდეც, სანამ მიწიერ ადამიანში – ადამში განხორციელდებოდა (ამგვარი თვალსაზრისი გვხვდება ვ.ს. სოლოვიოვის მხარდამჭერ ერთ-ერთ თანამედროვე საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ მიმდინარეობაში). თავისთავად გამოთქმა „სულის ზეციური წარმომავლობა" არ ნიშნავს, რომ იგი არსით ღვთიურია. უბრალოდ გამოთქმა „შთაბერა სული სიცოცხლისა" არის ადამიანური აღქმისათვის მისადაგებული ანთროპომორფული ფრაზა და არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ღმერთმა სული მას თავისი საღვთო სუბსტანციიდან მიანიჭა. არც სუნთქვაა **საკუთრივ** ადამიანის, როგორც ფიზიკური არსების, ელემენტების ამოსუნთქვა. ასევე არ შეიძლება ბიბლიური გამონათქვამიდან დავასკვნათ, რომ სული საღვთო არსიდან წარმოიშვა და მისი შემადგენელი ნაწილია. **წმინდა იოანე ოქროპირი წერს:** „არიან უგუნურნი, რომლებიც საკუთარ მოსაზრებებს ისე გაუტაციათ, რომ ღვთისთვის სათნოდ აღარაფერს მოიაზრებენ. (წმინდა წერილში) გამოთქმათა მისადაგებას უყურადღებოდ ეკიდებიან და კადნიერად ლაპარაკობენ სულის საღვთო არსებიდან წარმოქმნაზე. ჰოი, სიშლეგევ! ჰოი, უგუნურებავ! რამდენი დამღუპველი გზა უჩვენა ეშმაკმა თავისი მსახურების მოსურნეთ! ამის გასაგებად შეხედე, როგორ ურთიერთსაპირისპიროდ არის ეს ხალხი მომართული: ერთნი ჩასჭიდებიან გამოთქმას „შთაბერა" და ამბობენ, რომ სულები საღვთო არსიდან წარმოიშვნენ; მეორენი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ სულები შეიძლება უდაბლეს პირუტყვთა არსად გარდაიქმნან. ამ სიგიჟეზე უარესი რა შეიძლება იყოს?!"[22]

თუ როგორ უნდა გავიგოთ ანთროპომორფული გამოთქმები ღმერთზე, ამის შესახებ ვისაუბრეთ თავებში: „საღვთო თვისებები" და „ღმერთი – სული". აქ კი გამოვიყენოთ **ნეტარი თეოდორიტეს** მსჯელობა: „როდესაც მოსეს მონათხრობში ვისმენთ, რომ ღმერთმა აიღო მიწიდან მტვერი და შექმნა ადამიანი, ამ გამოთქმის აზრის გამოძიებისას ვხვდებით, თუ რაოდენ გამორჩეულად კეთილგანწყობილია ღმერთი კაცთა მოდგმის მიმართ. შესაქმის აღწერისას დიდი წინასწარმეტყველი შენიშნავს, რომ ღმერთმა ყოველი სხვა ქმნილება „თქუა" და შექმნა, ადამიანი კი თავისი ხელებით გამოძერწა. როგორც [უფლის] „ნათქვამში" ვგულისხმობთ მხოლოდ ნებას და არა ბრ-

ძანების გაცემას, მსგავსადვე ხელებით ქმედება სხეულის აგების საქმისადმი მისი უდიდესი ყურადღების მიმანიშნებელია. საღვთო ნებით ახლაც ისახება ნაყოფი დედის წიაღში და ბუნება დასაბამითვე მის მიერ დადგენილ კანონებს აღასრულებს, მისივე ნებით შეიქმნა მიწისაგან ადამიანის სხეული და მტვერი ხორცად იქცა". სხვაგან **ნეტარი თეოდორიტე** უფრო განზოგადებული ფორმით მსჯელობს: „არ ვამბობთ, თითქოს ღმრთეებას ხელები ჰქონდეს... მაგრამ ვამტკიცებთ, თითოეული ამგვარი გამოთქმა მიანიშნებს, რომ სხვა ქმნილებებთან შედარებით საღვთო მზრუნველობა ადამიანის მიმართ მეტია".[23]

სული, როგორც სხეულისაგან განსხვავებული, თვითმყოფადი სუბსტანციაა

სულის თვითმყოფადობისა და თვითღირებულებათა გასააზრებლად ეკლესიის ძველი მამები და მასწავლებლები ზედმიწევნით მიჰყვებოდნენ წმინდა წერილს. ისინი განმარტავდნენ და ცხადყოფდნენ, თუ რა განსხვავებაა სულსა და სხეულს შორის, რათა უკუეგდოთ მატერიალისტური აზრი, რომლის მიხედვითაც სული საკუთარ სუბსტანციას, ანუ ბუნებას მოკლებულია და მხოლოდ სხეულის ნაწილთა ჰარმონიულ გამოხატულებას, ან სხეულის ფიზიკური ქმედების შედეგს წარმოადგენს. ეკლესიის მამათა უბრალო დაკვირვებებიც ცხადყოფს, რომ:

ა) სულს ახასიათებს სხეულებრივ მისწრაფებათა მართვა, სხეული კი ბრძანებას ემორჩილება (ათინაგორა და სხვანი);

ბ) სხეული იარაღი თუ ინსტრუმენტია ხელოვანის ხელში, თავად **ხელოვანი** კი სულია (წმინდა ირინეოს ლიონელი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, წმინდა კირილე იერუსალიმელი და სხვანი);

გ) ძილის დროს სული ერთგვარად ივიწყებს სხეულის არსებობას, მისგან **განყენებულად** შრომობს, ქმნის, ოცნებობს და აზროვნებს (ტერტულიანე);

დ) სული სხეულს უპირობოდ არ ემორჩილება, შეუძლია მისთვის უცხო და მტრულ **მისწრაფებებს შეებრძოლოს** და მათზე გამარჯვება მოიპოვოს. ამით დასტურდება, რომ სული და სხეული ერთი და იგივე არ არის. სული უხილავი, ყოველივე სხეულებრივზე აღმატებული, გამორჩეული ბუნების მქონეა (ორიგენე);

ე) სულს ხელს ვერ შეახებ, იგი **მოუხელთებელია**; სისხლი, ჰაერი ან ცეცხლი კი არ არის, არამედ თვითმოძრავი საწყისია (ლაქტანციუსი);

ვ) სული არის ძალა, რომელსაც ორგანიზმის ყველა ნაწილი მოჰყავს სრულ **ერთობასა და თანხმობაში** (წმინდა ათანასე დიდი, წმინდა ბასილი დიდი);

ზ) სული **გონიერია**, არის **თვითშემცნობი** და აქვს **თავისუფალი ნება** (ორიგენე და სხვანი);

თ) ადამიანი სხეულით დედამიწაზეა, გონებით **ზეციურზე** ფიქრობს და მას შეჰყურებს. სხეულით მოკვდავი უკვდავებაზე მსჯელობს; არცთუ იშვიათად სათნოებათა სიყვარულის გამო ტანჯვასა და სიკვდილზე მიდის. სხეულით წარმავალია, გონებით კი მარადიული. **მიილტვის მარადისობისაკენ** და არ აინტერესებს, რა ხდება მის ფერხთით – სხეული კი მსგავსს ვერაფერს განიზრახავდა (წმინდა ათანასე დიდი);

ი) სულის ბუნებაზე საუბრისას ეკლესიის წმინდა მამები და მასწავლებლები მიუთითებენ, რომ იგი **მარტივია** და **უნივთო,** სხეულისა კი პირიქით – შედგენილია და მატერიალური, ტლანქი. საერთოდ, უხილავი და ყოველგვარ ფორმას მოკლებული სული სხეულისათვის მისაღები საზომებით (სივრცე, წონა და ასე შემდეგ) არ განიზომება (ორიგენე და სხვანი).

სხეულის მდგომარეობა სულზეც აისახება. მას შეუძლია სულის ქმედებათა დასუსტება და გამრუდებაც კი. ასე ხდება დაავადებების, სიბერის ან სიმთვრალის დროს. ამ მოვლენის განხილვისას ეკლესიის მამები სხეულს ხშირად ადარებენ მართვად იარაღს. სულის განსხვავებული სიმძაფრით გამოვლენა სხეულში მხოლოდ ამ უკანასკნელის, როგორც იარაღის, გაუმართაობაზე მეტყველებს. სხეულში სულის გამოსავლენად არახელსაყრელი მდგომარეობა შეიძლება მივამსგავსოთ ზღვაზე უცებ ამოვარდნილ ქარიშხალს, რომელიც მესაჭეს მისი ოსტატობის გამოვლენაში უშლის ხელს. ამის მაგალითად, აგრეთვე, გამოდგება აუწყობელი ქნარი, რომელიც ყველაზე დახვეწილი მუსიკოსის ხელშიც კი ვერ გამოსცემს კეთილხმოვანებას (ლაქტანციუსი). არც უხეირო ცხენები აძლევენ მხედარს სიჩაუქის გამოვლენის საშუალებას (ნეტარი თეოდორიტე).

ზოგი ძველი მამა **(წმინდა ამბროსი მედიოლანელი, პაპი გრიგოლ დიდი, ღირსი იოანე დამასკელი)** აღიარებდნენ სულის არამატერიალურ ბუნებას (განსხვავებით სხეულისგან) და იმავდროულად თვლიდნენ, რომ ის გარკვეულწილად მაინც სხეულებრივი, ანუ ნივთიერი ბუნებისაა. ამ სავარაუდო თვისების წარმოჩენით მამებს სურდათ, ეჩვენებინათ, რომ ადამიანისა და ანგელოზის სულიერება განსხვავდება უწმინდესი საღვთო სულიერებისაგან, რომელთან შედარებითაც ყოველივე ნივთიერი და ტლანქი გვეჩვენება.

ᲮᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საღვთო წერილში ბოლომდე არ არის ახსნილი თითოეული ადამიანის სულის წარმომავლობა; ეს „საიდუმლოა, რომელიც მხოლოდ ღმერთმა უწყის“ **(წმინდა კირილე ალექსანდრიელი).** არც ეკლესია გვთავაზობს ამ საკითხის შესახებ მკაცრად განსაზღვრულ სწავლებას. მან მხოლოდ გად-

აჭრით უარყო პლატონის ფილოსოფიიდან მემკვიდრეობით მიღებული ორიგენესეული თვალსაზრისი სულთა წინასწარი არსებობის შესახებ, რომლის თანახმადაც ისინი დედამიწაზე ზეციური სამყაროდან მოდიან. ორიგენესა და ორიგენისტების ეს სწავლება დაგმო V მსოფლიო კრებამ.

მაგრამ აღნიშნული კრების განჩინება არ ადგენს შემდეგს – იქმნება თუ არა ადამიანის სული მშობელთა სულებისაგან და მხოლოდ ამ გაგებით არის იგი ახალი საღვთო ქმნილება, თუ უშუალოდ თავად ღმერთი ქმნის თითოეულ სულს, რომელიც გარკვეულ მომენტში უერთდება შექმნის პროცესში მყოფ, ან უკვე შექმნილ სხეულს. ეკლესიის მამათა **(წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი, წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა ეფრემ ასური, ნეტარი თეოდორიტე)** აზრით, თითოეულის სულს თავად ღმერთი ქმნის. ამასთან, ზოგი მათგანის თვალსაზრისით, სულის სხეულთან შეერთება სხეულის შექმნიდან მეორმოცე დღეს ემთხვევა. რომაულ-კათოლიკური ღვთისმეტყველება გადაჭრით მიემხრო ღმერთის მიერ თითოეული სულის შექმნის თვალსაზრისს – იგი დოგმატური სახით გადმოცემულია პაპის ზოგიერთ ბულაში. პაპმა ალექსანდრე VII ამას დაუკავშირა სწავლება ყოვლადწმიდა ქალწულ ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვაზე. ეკლესიის ზოგიერთი მამა და მასწავლებელი **(ტერტულიანე, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, ღირსი მაკარი, ანასტასი მღვდელი)** თვლის, რომ ორივე სუბსტანცია – სული და სხეული, ერთდროულად იღებს დასაბამს და ვითარდება: სული იქმნება მშობელთა სულებიდან, როგორც სხეული – მათივე სხეულებიდან. აქ „შექმნაში“ მოიაზრება საღვთო შემოქმედებითი ძალის მოქმედება ფართო გაგებით, რომელიც ყოველგვარი სიცოცხლისათვის დამახასიათებელი და აუცილებელია. ასეთი შეხედულების არსებობის საფუძველს ღმერთის მიერ პირველმშობელი ადამის სახით მთელი კაცთა მოდგმის შექმნა გვაძლევს: ***„და შექმნა ერთისაგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი...“*** (საქმ. 17, 26). აქედან გამოდის, რომ ადამში პოტენციურად ჩაიდო თითოეული ადამიანის სული და სხეული. მაგრამ საღვთო განჩინებით, სულისა და სხეულის შექმნა და განგება ხორციელდება ყოვლისმპყრობელი ღმერთის მიერ: ***„...რამეთუ იგი თავად მოსცემს ყოველთა ცხორებასა და სულსა ყოვლით კერძო“*** (საქმ. 17, 25), ანუ უფალი შექმნას განაგებს.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს: „თავდაპირველად მტვრისგან შეზავებული ჩვენი სხეული შემდგომში ადამიანთა სხეულების ნაკადად გადაიქცა. პირველქმნილი ძირიდან არ წყდება ერთ ადამიანში სხვათა დატევნა. ასევეა ღვთივშთაბერილი სულიც – იგი შექმნის მომენტიდან ხდება ადამიანის შემადგენელი ნაწილი, იბადება ხელახლა, პირველსაწყისი თესლიდან მრავალთათვის გასცემს წილს (ცხადია, აქ გრიგოლ ღვთისმე-

ტყველმა სულიერი თესლი იგულისხმა) და ყოველთვის ინარჩუნებს მარადიულ სახეს მოკვდავში... როგორც ჩაბერვა გამოსცემს ხმებს მუსიკალური საკრავის სიდიდის მიხედვით, ასევეა სულიც – საპყარ სხეულში იგი უძლურია, ჯანსაღში კი მთელი თავისი გონიერებით წარმოჩინდება“.[24] ამავე აზრს იზიარებს **წმინდა გრიგოლ ნოსელიც.**

მამა იოანე კრონშტადტელი თავის დღიურებში ამგვარად მსჯელობს: „რა არის ადამიანთა სულები? ეს იგივე სული ან ღვთაებრივი სუნთქვაა, რომელიც ღმერთმა ადამს შთაბერა და მისგან წამოსული დღევანდლამდე განეფინება მთელ კაცთა მოდგმას. ამიტომაც ყველა ადამიანი ერთი კაცის ტოლფასია – ისინი კაცობრიობის ერთი ხის შემადგენელი ნაწილები არიან. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ბუნების ერთიანობის ყველაზე უშუალოდ გამომხატველი მცნება: ***„...შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი – ვითარცა თავი თჳსი“*** (ლუკა, 10, 27). ანუ: განა არის ჩემს მსგავს, სისხლით მონათესავე ადამიანზე უფრო ახლობელი ჩემთვის? ამ მცნების აუცილებლად აღსრულება სრულიად ბუნებრივია“.[25]

სულის უკვდავება

სულის უკვდავების რწმენა განუყოფელია საერთოდ რელიგიისაგან და, მით უფრო, ქრისტიანული სარწმუნოებისაგან, რომლის ერთ-ერთ ძირითად საგანსაც მასზე სწავლება შეადგენს.

იგი არ შეიძლებოდა **ძველი აღთქმისათვის** უცხო ყოფილიყო – ამას გამორიცხავს ეკლესიასტეს სიტყვები: ***„მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“*** (ეკლ. 12, 7). ***„ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, რამეთუ, რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“*** (დაბ. 2, 17) – დაბადების წიგნის მესამე თავის მთელი თხრობა (ღვთისგან გაფრთხილების ამ სიტყვებთან ერთად) პასუხობს შეკითხვას, თუ როგორ გამოჩნდა სამყაროში სიკვდილი. ასე რომ, თავად ეს ნაამბობი გვევლინება უკვდავების **იდეის** ამსახველად. ევას სიტყვებია: ***„ხოლო ნაყოფისაგან ხისა, რომელ არს შორის სამოთხისა, თქუა ღმერთმან, არა სჭამოთ მისგანი, არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკუდეთ“*** (დაბ. 3, 3); მაშასადამე ადამიანის უკვდავება შესაძლებელი იყო – იგი ამისთვის იყო მოწოდებული. იმავე აზრს ღმერთის სიტყვებით გამოხატავს ფსალმუნთმთქმელი: ***„მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი თქუენ ყოველნი; ხოლო თქუენ ვითარცა კაცნი მოსწყდებით და ვითარცა ერთი მთავართაგანი დაეცემით“*** (ფს. 81, 6, 7). იძულებულნი ვართ, ხაზი

გავუსვათ ძველ აღთქმაში არსებულ მაგალითებს უკვდავების ეჭვშეუვალობაზე, რადგან ერთ-ერთი არსებული მოსაზრების თანახმად, ებრაელებს სულის უკუდავება არ სწამდათ. მოსეს ნაამბობი საწინააღმდეგოს ადასტურებს: ენოქის შესახებ იგი შენიშნავს: ***„...არა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან“*** (დაბ. 5, 24). ესე იგი, ისე გადასახლდა ღმერთთან, რომ სიკვდილი არ უხილავს. აბრაამის (შდრ. დაბ. 25, 8), აარონისა და მოსეს (შდრ. 2 შჯ. 32, 50) სიკვდილზე ბიბლიური გამოთქმა ***„შეეძინა ერსა თჳსსა“*** უაზრობაა გავიგოთ, როგორც მათი დაკრძალვა თავიანთი ხალხის გვერდით ერთ საფლავში ან ერთ მიწაში. ამათგან თითოეული – ძველი აღთქმის მართალი – აღესრულა არა წინაპართა მიწაზე, არამედ ახალი გადასახლების ადგილას (აბრაამი) და მოგზაურობის დროს (აარონი, მოსე). პატრიარქი იაკობი მას შემდეგ, რაც მხეცთაგან თავისი ძის დაგლეჯის ამბავი შეიტყო, ამბობს: ***„...შთავიდე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთად...“*** (დაბ. 37, 35), – ცხადია, ჯოჯოხეთში არა საფლავი, არამედ სულის სამყოფელი იგულისხმება. ძველ აღთქმაში სიკვდილის შემდგომ სულის მდგომარეობა გამოისახებოდა, როგორც ჯოჯოხეთში შთასვლა – იქ, სადაც უცხოა სიხარული და არ ისმის ღვთისადმი აღვლენილი ქება-დიდება. ყოველივე ამის შესახებ ვიგებთ იობისა და ფსალმუნთა წიგნების გარკვეული ადგილებიდან.

უკვე ძველ აღთქმაში, მაცხოვრის მოსვლის დროის მოახლოებასთან ერთად, კრთება იმედი, რომ მართალი ადამიანების სულებს ასცდებათ ასეთი პირქუში არსებობა. მაგალითად, წიგნში „სიბრძნე სოლომონისა“ ვკითხულობთ: ***„მართალნი სულნი კელთა შინა ღმრთისათა და არა შეეხოს მათ ტანჯვა“*** (სიბრ. 3, 1) და ***„მართალნი საუკუნოდ ცხონდნენ, და უფლისა მიერ არს სასყიდელი მათი და ზრუნვა მათთჳს მაღლისა მიერ“*** (სიბრ. 5, 6). ფსალმუნთა ამ სიტყვებში კი ნათლად და გარკვევით იგრძნობა ჯოჯოხეთიდან ადამიანთა სულების სამომავლოდ გამოხსნის სასოება: ***„...და კორცთაცა ჩემთა დაიმკჳდრონ სასოებით. რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა“*** (ფს. 15, 9, 10; იხ. 48, 16).

ძველი აღთქმისეული იმედი ჯოჯოხეთიდან გამოხსნისა **ახალ აღთქმაში** განხორციელდა: **ძე ღვთისა *„აჴდა მაღალსა, წარმოტყუენა ტყუე და მისცა იგი ნიჭად კაცთა“*** (ეფ. 4, 8, 9). გამოსათხოვარ საუბარში უფალმა ბრძანა, რომ მიდის, რათა ***„განგიმზადო თქუენ ადგილი“*** იმისათვის, რომ ***„სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ“*** (იხ. იოანე, 14, 2, 3); ავაზაკს კი მიუგო: ***„...დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“*** (ლუკა, 23, 43).

ახალ აღთქმაში სულის უკვდავება უფრო **სრულად** ცხადდება და საკუთრივ ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეად-

გენს. ეს რწმენა ასულდგმულებს ქრისტიანს და მის სულს ძე ღვთისას სამეფოში მარადიული ცხოვრების იმედით აღავსებს: ***„რამეთუ ჩემდა ცხორება ქრისტე არს,*** – წერს პავლე მოციქული, – ***და სიკუდილი – შესაძინელ. ხოლო ცხორებაჲ ესე კორციითა ამით ესე არს ჩემდა ნაყოფ საქმისა, და რომელი გამოვირჩიო, არა უწყი. ხოლო შეპყრობილ ვარ ორთა ამათგან: გული მეტყჳს განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად უფროჲს და უმჯობეს ფრიად“*** (ფლპ. 1, 21-23). ***„რამეთუ უწყით, ვითარმედ უკუეთუ ქუეყანისა ესე სახლი, საყოფელი ჩუენი, დაირღუეს, აღშენებული ღმრთისა მიერ მაქუს ჩუენ სახლი კელით-უქმნელი, საუკუნოჲ ცათა შინა. და რამეთუ ამას შინა ვკუნესით და საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსად გუსურის“*** (2 კორ. 5, 1, 2).

ეკლესიის წმინდა მამები და მასწავლებლები, თავისთავად ცხადია, ერთხმად ქადაგებდნენ სულის უკვდავებაზე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი ერთი ნაწილი მის ბუნებით უკვდავებას აღიარებდა, მეორე და უმრავლესობა კი თვლიდა, რომ სულის უკვდავება საღვთო მადლის წყალობის შედეგია: „უფალს ნებავს, რომ იგი (სული) ცოცხლობდეს“ **(წმინდა იუსტინე მოწამე);** „სული უკვდავია მადლის წყალობით – იგი აქცევს მას უკვდავად“ **(წმინდა კირილე იერუსალიმელი** და სხვანი). ამით ეკლესიის მამები განასხვავებდნენ ადამიანურსა და საღვთო უკვდავებას: ღმერთი უკვდავია თავისი **ბუნებითი არსით** და წმინდა წერილის მიხედვით მას ***„... მხოლოსა აქუს უკუდავებაჲ...“*** (1 ტიმ. 6, 16).

დაკვირვება ცხადყოფს, რომ რწმენა სულის უკვდავებისა და რწმენა ღვთისა შინაგანად ყოველთვის იმდენად განუყოფელნი არიან, რომ პირველი მათგანის სიმძაფრეს მეორის ხარისხი განაპირობებს. რომელ ადამიანშიც მეტად ცოცხლობს ღვთისადმი რწმენა, მას მით უფრო მყარად და შეუორგულებლად სჯერა სულის უკვდავებისა. და პირიქით, რაც უფრო სუსტია და უსიცოცხლო რწმენა ღვთისა, მით უფრო მეტი ორჭოფობითა და ყოყმანით მიეახლება ადამიანი სულის უკვდავების ჭეშმარიტებას. ხოლო ვინც საერთოდ დაკარგა ან თავისთავში ჩაახშო ღვთისადმი რწმენა, მას ჩვეულებრივ უკვე აღარ სჯერა სულის უკვდავებისა და საიქიო ცხოვრებისა. ეს გასაგებიცაა: რწმენის ძალას ადამიანი თავად სიცოცხლის წყაროსგან – ღმერთისგან იღებს. ამ ცხოველმყოფელი ძალის ნაკადთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ადამიანის აღვსებას რწმენის ძალით უკვე ვეღარ შეძლებს ნებისმიერი გონივრული დასაბუთება თუ მტკიცება.

შეიძლება სხვაგვარადაც დავასკვნათ: თავად ქრისტიანული სარწმუნოება იმ აღმსარებლობებსა და მსოფლმხედველობებში არის დასუსტებული, სადაც ითრგუნება სულის საიქიო ცხოვრებაზე რწმენის ძალა და არ ხდება მიცვალებულთა მოხსენიება. ვინც ღმერთისა ირწმუნა და საღვთო

სიყვარული გააცნობიერა, ფიქრითაც კი არ დაუშვებს, თითქოს ზეციერ მამას მისი სიცოცხლის შეწყვეტა ნებავდეს და თავისთან კავშირის ნებას არ აძლევდეს. ასეთი ადამიანი იმ ბავშვს მოგვაგონებს, რომელსაც დედა უყვარს და არ დაიჯერებს, თითქოს მის მოყვარულ მშობელს მისი სიცოცხლე არ სურდეს.

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიაში, კერძოდ მის ცხოვრებასა და სწავლების სისტემაში, სულის უკვდავების შეგნება ცენტრალურ ადგილს იკავებს. ეკლესიის განაწესის სულისკვეთება, აგრეთვე საღვთისმსახურო წიგნთა და ლოცვათა შინაარსი იცავს და აცხოველებს მორწმუნეებში ამ შეგნებას, ემსახურება გარდაცვლილ ახლობელთა სულების საიქიო ცხოვრებისა და თავად ჩვენი უკვდავების რწმენის განმტკიცებას. რწმენა სულის უკვდავებისა ნათელ სხივად გასდევს მართლმადიდებელი ქრისტიანის მთელ ცხოვრებას.

სამშვინველი და სული

წმინდა წერილში ადამიანის სულიერი საწყისი (სხეულებრივი საწყისის საპირისპიროდ) აღინიშნება ორი, თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობის ტერმინით: „სამშვინველი“ და „სული“. მაგალითად, პავლე მოციქული ამ სიტყვებს ურთიერთსანაცვლოდ და მსგავსი მნიშვნელობით ხმარობს. ეს ჩანს შემდეგი ორი ტექსტის შედარებიდან: ***„...ადიდეთ უკუე ღმერთი ჴორცითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი-იგი არს ღმრთისაჲ“*** (1 კორ. 6, 20) და ***„...განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან შეგინებისა ჴორცთაჲსა და სულისა...“***(2 კორ. 7, 1). ამასთან, მისივე ეპისტოლეებში ორ ადგილას არის ნახსენები სამშვინველი და სული ერთად. ისმის კითხვა: ხომ არ გვეუბნება მოციქული, რომ ადამიანის ბუნების შემადგენელ ნაწილად სამშვინველის გარდა სულიც გვევლინება? ზოგი წმინდა მამის ნაწერებში, განსაკუთრებით კი ასკეტური ხასიათის თხზულებებში, სული და სამშვინველი აგრეთვე განირჩევა ერთმანეთისგან. ზემონახსენები ციტატებიდან პირველი არის პავლე მოციქულის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ: ***„რამეთუ ცხოველ არის სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ძლიერ და უმკუეთელეს უფროჲს ყოვლისა მახჳლისა ორპირისა: და მისწუდების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჯველისა და სულისა, ნაწევართა და ტჯნთა, და განმკითხველ გონებათა და ზრახვათა გულისათა“*** (ებრ. 4, 12), მეორე კი მისსავე ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ: ***„...სული თქუენი, სამშჯველი და გუამი უბიწოდ მოსლვასა მის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა დაჰმარხენინ“*** (1 თეს. 5, 23). ჯერ ერთი, ადვილად ჩანს, რომ „სულში“ იგულისხმება არა სამშვინველისაგან დამოუკიდებელი, ცალკე სუბსტანცია, არამედ მხოლოდ მისი უაღრესად შინაგანი, იდუმალებით მოცული მხარე. აქ შეიძლება პარალელი გაივლოს, ერთი მხრივ, სამშვინველისა და სუ-

ლის, მეორე მხრივ კი, სხეულის ასოთა და ტვინის ურთიერთდამოკიდებულებასთან: ეს უკანასკნელი არის სხეულებრივი არსების ნაწილი, ანუ შემცველში შემავალი; ცხადია, მოციქულის მიერ სულიერი არსების ფარულ ნაწილად სულიც ამგვარადვე მოიაზრება. მეორეც, სიტყვაში „სული“ სავარაუდოდ იგულისხმება სამშვინველის ის განსაკუთრებული, გამორჩეულად აგებული ფარული ნაწილი, რომელიც ქრისტიანში სულიწმიდის მადლის მოქმედებით იქმნება. ეს ის სულია, რომლის შესახებ მოციქული სხვაგან ამბობს: ***„სულსა ნუ დაავსებთ“*** (1 თეს. 5, 19) და ***„...სულითა მდუღარე იყვენით...“*** (რომ. 12, 11). ასე რომ, მოციქული აქ მიმართავს არა საერთოდ ადამიანებს, არამედ მხოლოდ მორწმუნე ქრისტიანებს. მოციქულთან ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება შეპირისპირება „სულიერი ადამიანისა“ „მშვინვიერ“ ანუ ხორციელ ადამიანთან (მაგალითისათვის იხ. 1 კორ. 2, 14, 25). სულიერ ადამიანს აღორძინებული სამშვინველი აქვს, იგი თავისთავში მადლის თესლს აღვივებს, აღმოაცენებს და სულიერ ნაყოფს გამოიღებს. თავისი სულიერი ცხოვრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებით შეიძლება სულიერი ადამიანიც ხორციელის ანუ მშვინვიერის დონემდე დავიდეს (***„...ესრეთ უცნობელ ხართ, იწყეთ სულიერად და აწ ჴორციელად აღასრულებთ?“*** – გალ. 3, 3). ამიტომ, უსაფუძვლოა ჩავთვალოთ, თითქოს პავლე მოციქულის აზრები ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის ბუნების ორგვარი შედგენილობის შესახებ სწავლებას.

აზრს, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება მშვინვიერთან შედარებით არის უმაღლესი, მადლმოსილი ფორმა, სავარაუდოდ, უკვე პირველი საუკუნეებიდან იზიარებდნენ ქრისტიანობის ის მასწავლებლები და ეკლესიის მამები, რომლებიც სამშვინველის გარდა სულის არსებობასაც გამოყოფდნენ (ასეთები არიან: **იუსტინე მოწამე, ტატიანე სირიელი, ირინეოს ლიონელი, ტერტულიანე, კლიმენტი ალექსანდრიელი, გრიგოლ ნოსელი, ეფრემ ასური,** აგრეთვე, გვიანდელ ხანაში მოღვაწე მწერლები). ეკლესიის მამათა და მასწავლებელთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა პირდაპირ აღიარებს, რომ ადამიანური ბუნება ორი ნაწილისაგან – სხეულისა და სულისგან – შედგება **(წმინდა კირილე იერუსალიმელი, წმინდა ბასილი დიდი, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი ავგუსტინე, ღირსი იოანე დამასკელი).** ნეტარი თეოდორიტე წერს: „აპოლინარიუსის (იგულისხმება ერეტიკოსი აპოლინარიუსი) სწავლებით, ადამიანი შედგება სამი ნაწილისაგან: სხეულის, ცხოველური სულისა და მოაზროვნე სულისგან, რომელსაც გონს უწოდებს. მაგრამ საღვთო წერილი იცნობს მხოლოდ ერთ სულს და არა ორს, რაც ნათლად არის ნაჩვენები პირველი ადამიანის შესაქმის ისტორიაში. ღმერთმა მტვრისგან შექმნა სხეული და შთაბერა სული – ამით გვაჩვენა, რომ ადამიანში ორი საწყისია და არა სამი“.

ღვთის ხატი ადამიანში

ღვთივსულიერი მწერალი ადამიანის შესაქმის შესახებ მოგვითხრობს: ***„და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ... და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“*** (დაბ. 1, 26-27).

მაინც რას ნიშნავს ღვთის ხატება ჩვენში? ეკლესიური სწავლება მხოლოდ იმას შეგვაგონებს, რომ ადამიანი საერთოდ არის შექმნილი „ხატად“, მაგრამ არ მიუთითებს, თუ ჩვენი ბუნების რომელ ნაწილშია იგი დამკვიდრებული. ეკლესიის მამები და მასწავლებლები ამ შეკითხვაზე განსხვავებულად პასუხობდნენ: ერთნი ღვთის ხატებას გონებაში პოულობდნენ, მეორენი თავისუფალ ნებაში, მესამენი კი მას უკვდავებაში ხედავდნენ. ამ აზრთა შეჯამებით სრულად წარმოვიდგენთ, თუ რას ნიშნავს წმინდა მამათა სწავლების მიხედვით ღვთის ხატი ადამიანში.

ღვთის ხატი, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ სულში უნდა დავინახოთ და არა სხეულში. ღმერთი თავისი ბუნებით სრულიად უნივთო, ყოველგვარი სხეულისაგან თავისუფალი, უსპეტაკესი სულია. ამიტომაც განეკუთვნება ღვთის ხატის ცნება მარტოოდენ უნივთო სულს. ამ გაფრთხილების შეხსენებას ეკლესიის ბევრი მამა თვლის საჭიროდ.

ღვთის ხატის ტარების დასტურია ადამიანის სულის ისეთი მაღალი თვისებები, როგორებიცაა უკვდავება – პირველ რიგში, თავისუფალი ნება, გონება, წმინდა, უანგარო სიყვარულის ნიჭი.

ა) დაუსაბამო ღმერთმა ადამიანის სულს უკვდავება მიანიჭა, მაგრამ იგი უკვდავია არა ბუნებითად, არამედ საღვთო მადლით;

ბ) ღმერთი თავის ქმედებებში სრულიად თავისუფალია – მან ადამიანსაც მიანიჭა თავისუფალი ნება და მისცა გარკვეულ ფარგლებში თავისუფლად მოქმედების უნარი;

გ) ღმერთი ყოვლადბრძენია. ადამიანურ გონებასაც შეუძლია, არ შემოიფარგლოს მხოლოდ მიწიერი, ცხოველური მოთხოვნილებებით, საგანთა ხილული მხარის გაცნობით და სიღრმისეულად ჩასწვდეს, შეიმეცნოს და ახსნას მათი ფარული აზრი. ადამიანურ გონებას ძალუძს, ამაღლდეს უხილავისკენ და აზრი წარმართოს ყოველივე არსებულის მიზეზის – ღმერთისკენ. გონება ადამიანურ ნებას გააზრებულსა და ჭეშმარიტად თავისუფალს ხდის. ადამიანს შეუძლია აირჩიოს თავისი უმაღლესი ღირსებისთვის საკადრისი და არა ის, რისკენაც ქვენა ბუნება მოუხმობს;

დ) ღმერთმა ადამიანი თავისი სახიერების გამო შექმნა. თავის სიყვარულს ყოველთვის უზიარებდა და უზიარებს მას და საღვთო შთაბერვით სულის მიმღები ადამიანიც მიისწრაფვის მონათესავე უმაღლესი საწყისისკენ – ღმერთისკენ, ეძებს და ნატრობს მასთან ერთობას. გარკვეულწილად ამის

მიმანიშნებელია მისი სხეულის ზეაღმართული, სწორი მდგომარეობა და ცისკენ მიპყრობილი მზერა. ამრიგად, ღვთის ხატი ადამიანში ღვთისკენ სწრაფვასა და მისდამი სიყვარულში ვლინდება.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ სულის ყოველი კეთილშობილი თვისება და უნარი ღვთის ხატის ასახვას წარმოადგენს.

განსხვავდება თუ არა ერთმანეთისაგან **„ხატი ღვთისა“** და **„მსგავსება ღვთისა“**? ეკლესიის წმინდა მამებისა და მასწავლებელთა უმეტესობა პასუხობს, რომ განსხვავდება. ისინი ხატს ღვთისას თავად სულის ბუნებაში პოულობენ, მსგავსებას კი ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაში, მასში სათნოებათა, სიწმინდისა და სულიწმიდის ნიჭთა დამკვიდრებაში ხედავენ. ამრიგად, ღვთის ხატი ჩვენ უფლისაგან გვეძლევა შექმნისთანავე, ხოლო მსგავსება ჩვენ თავად უნდა შევიძინოთ: ღმერთი მხოლოდ ამის შესაძლებლობას გვაძლევს. გახდე „მსგავსი“, დამოკიდებულია ჩვენს ნებაზე და სათანადო მოღვაწეობით შესაძლებელი ხდება ამის მიღწევა. ამიტომაც არის ნათქვამი საღვთო „ბჭობაზე“: „ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“, ხოლო თავად შექმნაზე: ***„ხატად ღმრთისა შექმნა იგი“*** (დაბ. 1, 26, 27). **წმინდა გრიგოლ ნოსელის** მსჯელობის თანახმად, ჩვენ საღვთო „ბჭობით“ მოგვეცა შესაძლებლობა, მისი „მსგავსნი“ გავხდეთ.

ადამიანის დანიშნულება

შემოქმედმა ადამიანი მთელ მიწიერ სამყაროზე აამაღლა, მიანიჭა გონება და თავისუფლება, განაშვენა თავისი ხატებით და ამით მისი განსაკუთრებული, მაღალი დანიშნულება გამოკვეთა. ადამიანის სულიერი თვალთახედვა ღმერთისა და სულიერი სამყაროსკენ არის მიმართული, სხეულებრივი კი ნივთიერ სამყაროს აღიქვამს.

1. ადამიანის პირველი დანიშნულება ღვთის განდიდებაა. იგი მოწოდებულია, უერთგულოს ღმერთთან არსებულ კავშირს, შეიცნოს და განადიდოს შემოქმედი, სულით ისწრაფვოდეს მისკენ, ხარობდეს მასთან ერთობით და მასში ცხოვრობდეს. ***„აღავსო ისინი ცოდნითა და სწავლით, – ამბობს ბრძენი ზირაქის ძე ღვთისვან ადამიანებისათვის ბოძებულ ნიჭზე, – დაადგა თვალი მათ გულებს და თჳსთა საქმეთა სიდიადე უჩვენა მათ, რათა ადიდონ სახელი წმიდისა და მოუთხრონ საქმეთა მისთა სიდიადე ზე“*** (ზირ. 17, 7, 8). თუკი ყოველი ქმნილება მოწოდებულია, შეძლებისდაგვარად განადიდოს შემოქმედი (შდრ. ფს. 148), მით უმეტეს, ადამიანის, როგორც შესაქმის გვირგვინის, უეჭველი დანიშნულებაა, იყოს დედამიწაზე გონიერი, მოაზროვნე, ერთგული და სრულყოფილი იარაღი **სადიდებელად** ღვთისა.

2. ამისთვის ადამიანი თავისი პირველსახის ღირსი უნდა შეიქნას. სხვა სიტყვებით – იგი მოწოდებულია, ვიდოდეს სრულყოფილებისაკენ, გაუ-

ფრთხილდეს თავისთავში ღვთის მსგავსებას – ააღორძინოს და განაძლიეროს იგი. მისი დანიშნულებაა, კეთილ საქმეთა აღსრულებით განავითაროს და სრულქმნას ზნეობრივი ძალები. ადამიანი უნდა ზრუნავდეს, თავისთვის მოიპოვოს ჭეშარიტი სიკეთე – ღმერთთან ნეტარება. ამიტომ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ღმერთთან **ნეტარება** ადამიანის არსებობის მიზანია.

3. ადამიანის ფიზიკური მზერა უშუალოდ სამყაროსკენ არის მიმართული. დაბადების წიგნის პირველი თავის მიხედვით, ადამიანი მიწიერ ქმნილებათა გვირგვინად და ბუნების მეუფედ არის დადგენილი. რით გამოიხატება ეს? ამის შესახებ საუბრობს მიტროპოლიტი მაკარი ნაშრომში „მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველება“: „ადამიანი, როგორც შვილი და მემკვიდრე ზეციერი მამის სახლში და შექმნილი ღვთის ხატად, დადგენილ იქნა შემოქმედსა და მიწიერ ქმნილებათა შორის ერთგვარ შუამავლად; მისი მოწოდებაა იყოს **წინასწარმეტყველი**, რათა სიტყვითა და საქმით ამცნოს დედამიწას უფლის ნება; ის **მღვდელმთავარია** – შეუძლია ყოველი მიწიერის სახელით აღავლინოს ღვთისადმი ქება, შესწიროს სამადლობელი მსხვერპლი და აუწყოს დედამიწას ზეციური კურთხევანი. ადამიანის დანიშნულებაა, იყოს თავკაცი და **მეფე** – დაიტიოს თავისთავში ყოველი ხილული ქმნილების არსებობის მიზანი და როგორც შუამავალმა, შეძლოს ყოველივეს ღმერთთან შეერთება. ამით შეინარჩუნოს მიწიერ ქმნილებათა მთელი ჯაჭვის მწყობრი კავშირი და წესრიგი“.[26]

ასეთადაც იყო შექმნილი პირველი ადამიანი – მას შეეძლო, თავისუფლად, კეთილი ნებით, სიხარულით, სულის მოწოდებითა და არა იძულებით აღესრულებინა თავისი დანიშნულება.

დედამიწაზე ადამიანის მეფურ მდგომარეობაზე დაფიქრებული ფსალმუნთმთქმელი აღტაცებით დიდებისმეტყველებს შემოქმედზე: ***„უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკჳრველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ ამაღლდა დიდადშუენიერებაჲ შენი ზესკნელს ცათა. რამეთუ ვიხილნე მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოვარე და ვარსკულავები, რომელ შენ დააფუძნენ. რა არს კაცი, რამეთუ მოიკჳსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას? დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა, დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან ჰყავ იგი. და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა კელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერჴთა მისთა. უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკჳრველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა“*** (ფს. 8, 2, 4-7, 10).

ქმნილების სიდიადიდან შემოქმედის უდარეგელ სიდიადემდე

მოციქული გვასწავლის: ***„რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების...“*** (რომ. 1, 20).

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სამყაროს სიღრმისეულად შეცნობის მოსურნე უდიდესი მოაზროვნენი გაოგნებულნი ქვავდებოდნენ მისი დიადი, ჰარმონიული, მშვენიერი და გონივრული მოწყობის წინაშე. მათ იპყრობდა კეთილკრძალული ფიქრი, თუ რაოდენ კეთილი, დიადი და ყოვლადბრძენია შემოქმედი. წმინდა ბასილი დიდი თავის თხზულებაში „საუბრები ექვსთა დღეთა“ განიხილავს დაბადების წიგნის დასაწყის სიტყვებს: ***„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲდა ქუეყანაჲ“*** (დაბ. 1, 1) და მსმენელებს მოუწოდებს: „განვადიდოთ სამყაროს შემოქმედის ზესიბრძნე და ოსტატობა – იგი საუკეთესოთა შორის საუკეთესო ხელოვანია. ხილული სილამაზის წყალობით შევიცნოთ ყოველივე მშვენიერზე აღმატებული (ღმერთი). ამ გრძნობადი და შეზღუდული სხეულების სიდიადიდან დავასკვნათ, რაოდენ აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას უდიადესი და დაუსაბამო (ღმერთი)“. შემდეგ, მეორე საუბარზე გადასვლისას, წმინდანი თითქოს ჩერდება, შესაქმის სიღრმეებში შემდგომი შეღწევის ცდას უიმედოდ შეჰყურებს და ამბობს: „თუკი ასეთია წმიდათაში შესასვლელი და ასე ღირსად პატივსაცემი და დიდებული ტაძარის წინკარი... მაშინ როგორიღა იქნება წმიდათაწმიდა? ვინ არის საკურთხეველში შესვლის ღირსი? ვინ გაუსწორებს მზერას იდუმალებით მოცულს?!“[27]

IV. ღმერთი – სამყაროს განმგებელი

ღვთის განგებულება საერთოდ სამყაროზე

„...მამაჲ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ“ (იოანე, 5, 17) – უფალ იესო ქრისტეს ამ სიტყვებში ჩანს სამყაროზე საღვთო განგებულების უწყვეტობის ჭეშმარიტება. მართალია, ***„...აკურთხა ღმერთმან დღე მეშჳდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა...“*** (დაბ. 2, 3), მაგრამ მას სამყარო ბედის ანაბარა არ მიუტოვებია. ღმერთი ***„...თავად მოსცემს ყოველთა ცხორებასა და სულსა ყოვლით კერძო. რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ...“*** (საქმ. 17, 25, 28). სამყაროს არსებობა ღვთიური ძალის ხელთაა, იგი მონაწილეობს ქმნილ ძალთა ყოველ ქმედებაში. ღვთის ცხოველი ნების წყალობით ხდება ეგრეთ წოდებულ ბუნების კანონთა მუდმივობის შენარჩუნება, სხვანაირად ისინი უძლურნი და უმოქმედონი იქნებოდნენ.

ღვთის განგებულება ყოველივეს მოიცავს სამყაროში: უფალი განაგებს არა მარტო დიადსა და უზარმაზარს, არამედ მცირეს და ერთი შეხედვით უმნიშვნელოსაც კი; განაგებს ცასა და დედამიწას, ანგელოზებსა და ადამიანებს და მათთან შედარებით უმცირეს ქმნილებებსაც: ფრინველებს, ბალახს, ყვავილებს, ხეებს. მთელი წმინდა წერილი გაჯერებულია საღვთო დაუღალავი განგებულებითი მოღვაწეობის შესახებ მაგალითებით.

ღმერთის სურვილით დგას სამყაროს უკიდეგანო სივრცე. უფალი აღავსებს ცასა და დედამიწას (იხ. იერ. 23, 24), გარე-მიიქცევს პირს და შეძრწუნდებიან ყოველნი (იხ. ფს. 103, 29).

საღვთო განგებულებით ცოცხლობს მცენარეთა სამყარო. ღმერთმა ***„... შემოსნის ცანი ღრუბლითა და განუმზადის წჳმაჲ ქუეყანასა, რომელმან აღმოაცენის თივაჲ მთათა და მწუანე სამსახურებელად კაცთა“*** (ფს. 146, 8). იგი მზრუნველობას არ აკლებს მინდვრის შროშანებსაც – ანიჭებს მათ და სხვა ყვავილებს გამაოგნებელ სილამაზეს (იხ. მათე, 6, 29).

საღვთო განგებულება განეფინება მთელ ცხოველთა სამყაროს. ***„თუალნი ყოველთანი შენდამი ესვენ, და შენ მოსცი საზრდელი მათი ჟამსა. აღაღებ შენ კელსა შენსა და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ“*** (ფს. 144, 15, 16). ღმერთი ზრუნვის გარეშე არ ტოვებს პატარა ჩიტებსაც კი: ***„...ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა“***(მათე, 10, 29).

საღვთო მამობრივი განგებულება დედამიწაზე ყველაზე მეტად ადამიანზე ვრცელდება. ღმერთმა იცის თითოეულის ზრახვანი (იხ. ფს. 138,

2), გულისთქმანი (იხ. ფს. 7, 10) და სულთქმანი (იხ. ფს. 77, 11). ღმერთი საჭიროებისამებრ მიაგებს ყველას და არ ელოდება მათ თხოვნას (იხ. მათე, 6, 32), აყურადებს მვედრებელის ლოცვას, ასრულებს მის ყოველგვარ სათხოვარს, თუკი ის წრფელია და სარწმუნოებიდან მომდინარე (იხ. მათე, 17, 20) და სასიკეთოდ წაადგება ადამიანს ღვთის სასუფევლის ძიებაში (იხ. მათე, 6, 33). უფალი გზააბნეული ადამიანის მეგზური ხდება (იხ. იგავნი, 20, 24); აღატაკებს და ამდიდრებს, ამცირებს და განადიდებს, თავად მიაყენებს ჭრილობებს და თავადვე აშუშებს, დასცემს და განკურნავს (იხ. იობი, 5, 18). მას უყვარს მართალნი, მაგრამ სწყალობს ცოდვილთაც: ***„არა სრულიად განრისხნეს, არცა უკუნისამდე ძჯრი იკსენოს“*** (ფს. 102, 9); დიდხანს ითმენს, რათა მისმა სიკეთემ ისინი „სინანულად მოიყვანოს“ (იხ. რომ. 2, 4). სამყაროში უფლის ეს ყოვლისმომცველი, დაუღალავი მოღვაწეობა სარწმუნოების სიმბოლოში (მრწამსში) გამოიხატება მამა ღმერთის სახელდებით – „ყოვლისამპყრობელი“.

რაც შეეხება იმ მოჩვენებით უსამართლობას, რასაც ხშირად ვხედავთ სათნო ადამიანების ტანჯვისა და უკეთურთა კეთილდღეობის ცხოვრების მაგალითებში, ამის თაობაზე **წმინდა იოანე ოქროპირი** შემდეგი სიტყვებით გვმოძღვრავს: „თუ ზეციური სასუფეველი განგვიღეს და საიქიო ცხოვრებაში მისაგებელი გვიჩვენეს, აღარც კი ღირს გაარკვიო, თუ რატომ ეწამებიან სააქაოში მართალნი, უკეთურნი კი განცხრომას მისცემიან. თუ საიქიოში თითოეულს დამსახურებისამებრ მიეგება, რატომღა უნდა შეგაწუხოს სააქაო ბედნიერმა ან უბედურმა ამბებმა?! ღმერთი მისდამი მორჩილთ ასეთი უბედურებებით, როგორც მამაც მეომრებს, ისე აწრთობს. შედარებით სუსტებს, დაუდევრებსა და სიძნელეთა ამტანობას მოკლებულ ადამიანებს კეთილი საქმეების კეთებისთვის წვრთნის“.[1] და მართლაც, თავადაც ვხედავთ, რომ კაცთა მიერ გადატანილი უბედურებანი და განსაცდელნი ხშირად საუკეთესო მასწავლებლად და აღმზრდელად გვევლინებიან.

საღვთო განგებულება თავისი არსით უწყვეტი და განუყოფელი ქმედებაა სამყაროზე, მაგრამ ჩვენი გონებაშეზღუდულობა ამას სამყაროში არსებული მრავალფეროვანი და ცვალებადი სახეებისა და ფორმების საშუალებით აღიქვამს. განგებულებითი ქმედებების ძირითადი ფორმები გადმოცემულია „ვრცელ მართლმადიდებლურ კატეხიზმოში“, რომლის თანახმადაც ღვთის განგებულება:

„ა) არის ყოვლისშემძლეობის, ზესიბრძნისა და სახიერების განუწყვეტელი მოქმედება, რომლითაც ღმერთი იცავს ქმნილებათა არსებობასა და ძალებს;

ბ) წარმართავს ქმნილებებს კეთილი მიზნებისაკენ;

გ) გვევლინება ყოველი სიკეთის თანამონაწილედ;

დ) აღკვეთს სიკეთისგან განდგომით წარმოშობილ ბოროტებას ან გამოასწორებს და კეთილად დაასრულებს მას“.[2]

საღვთო განგებულების მოქმედება, ასე ვთქვათ, არც შესაქმისთანავე დაწყებული ჩარევაა სამყაროს ცხოვრების დინებაში და არც ღვთის ნების ცალკეული შეჭრა მასში. სამყაროს ცხოვრება მუდამ უფლის მარჯვენას უპყრია. „სამყარო თვალის დახამხამებაში შეწყვეტდა არსებობას, ღმერთს თავისი განგებულება რომ წაერთმია“ (ნეტარი ავგუსტინე). „ყოვლადძლიერი და უწმიდესი სიტყვა მამისა გარს უვლის ყოველივეს, ყველგან წარმოაჩენს თავის ძალას და განწმენდს ხილულსა და უხილავს; ყოველივეს მოიცავს და იტევს, არაფერზე იშურებს ძალ-ღონეს, ყველას ყველაფერში განაცხოველებს და იცავს თითოეულ არსებას და ყველას ერთად“.[3]

აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი, რომლის გაფიქრებაც ადამიანს კეთილკრძალულებით აღაფრთოვანებს: შემოქმედმა, რომლის მარჯვენასაც უპყრია ყოველივე, შესაქმისთანავე ყველა ორგანულ არსებას, და მათ შორის მცენარეულ სამყაროსაც, მიანიჭა თავიანთი ბუნებისა და მოწყობის შესაბამისი ზრდა-განვითარების, საკუთარ ძალთა გამოყენებისა და გარემოთი სარგებლობის **თავისუფლება**. უფრო ფართო თავისუფლება შემოქმედმა დედამიწის უმაღლეს, გონიერ და ზნეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ქმნილებას – ადამიანს უბოძა.

საღვთო განგებულება განეფინება ყოველივეს: თავისთავში მოიცავს და საერთო განგებულებითი გეგმით წარმართავს ბუნებრივ და ინსტინქტურ სწრაფვათა მრავალგვაროვნებას თუ მოაზროვნე სამყაროსთვის დამახასიათებელ ლტოლვას ზნეობრივი თავისუფლებისაკენ. საღვთო სიკეთე აწესრიგებს და კურნავს სამყაროსეულ მრავალგვარ მისწრაფებათა ურთიერთშეჯახებისას წარმოქმნილ ყოველგვარ არასრულყოფილებას, ტანჯვასა და სნეულებას, იგი აცხრობს მტრობას და მთელი სამყაროს ცხოვრებას მისთვის განსაზღვრული კეთილი მიზნისაკენ წარმართავს. თავის მიერვე შექმნილ გონიერ არსებებს კი უფლის მარადი განდიდებისაკენ სავალ გზას უხსნის.

თუნდაც, კაცობრიობამ როგორც სურს, ისე დაამახინჯოს აზრი სამყაროში თავისი დანიშნულების შესახებ; დაეცეს, რამდენჯერაც უნდა; თუნდაც, მიემხრონ ადამიანთა მასები ბოროტ ბელადებს და მათი წინამძღოლობით უარყონ ღვთის მცნებები; განუდგნენ უფალს ისე, როგორც ახლა ვხედავთ ამას, – სულ ერთია, სამყაროს ისტორია მაშინ დასრულდება, როცა მიიღწევა საღვთო განგებულებით დადგენილი მიზანი – დადგება საღვთო სიმართლის ზეიმი, რის შემდეგაც განიღება **სასუფეველი დიდებისა**, სადაც ***„...იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“*** (1 კორ. 15, 28).

სამყაროში ღვთის დიდების, ზესიბრძნისა და სახიერების მჭვრეტელი პავლე მოციქული ღაღადებს:

„ჲ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ!... რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო მას? ანუ ვინ წინაწარ მი-რაჲმე-სცა მას და კუალად მიეგო მას? რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი. მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ (რომ. 11, 33-36).

ღვთის განგებულება ადამიანის მიმართ მის დაცემამდე

შემოქმედმა შექმნა კაცი და პირველქმნილი ადამიანები თავისი განგებულების მიღმა არ დატოვა. საღვთო მადლი მუდამ მკვიდრობდა ჩვენს პირველმშობლებში, ის წმინდა მამათა გამოთქმით, მათი ზეციური სამოსი იყო. ისინი სრულად შეიგრძნობდნენ ღვთის სიახლოვეს. თავად ღმერთი იყო მათი პირველი აღმზრდელი და მასწავლებელი. უფალი ღირს-ყოფდა მათ, ყოფილიყვნენ მისი უშუალო გამოცხადებათა მოწმენი, ევლინებოდა, ესაუბრებოდა და თავის ნებას აუწყებდა.

დაბადების წიგნის მე-2 და მე-3 თავები გვამცნობენ პირველ ადამიანთა ცხოვრებას.

ღმერთმა ადამი და ევა დაადგინა, რათა ემუშაკათ და დაეცვათ სამოთხე ანუ ედემის ბაღი („სიტკბოებათა სამოთხე“), სადაც იზრდებოდა ყოველი ხე „შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად“. ედემის ბაღის დარ მშვენიერ ადგილს პირველ ადამიანებში უნებურად უნდა აღეძრა სიხარულის გრძნობა და მათი აზრები სამყაროს უსრულყოფილესი ხელოვნის – ღმერთისკენ აღეტაცებინა. შრომა კი მათი ფიზიკური და ასევე სულიერი ძალების განვითარების ხელშემწყობი უნდა გამხდარიყო.

როგორც შესაქმისაღმწერი მოგვითხრობს, ღმერთმა ადამიანს მიუყვანა ყოველი ცხოველი, რათა სახელები დაერქმია მათთვის. ცხადია, ამით მას, ერთი მხრივ, ცხოველთა სამყაროს სიუხვისა და მრავალფეროვნების გაცნობის საშუალება მისცა, მეორე მხრივ კი, დაეხმარა, განევითარებინა გონებრივი მონაცემები, რათა სრულად შეეცნო საკუთარი თავი თვალწინ გადაშლილ სამყაროში და შეეგნო თავისი მეფური უპირატესობა ყველა მიწიერ არსებაზე.

გასაგებია, რომ პირველ ადამიანებში სულიერად ყრმა და უბრალოებით აღსავსე პირველყოფილ მდგომარეობას ზნეობრივი სისუფთავეც თან სდევდა. ღვთისადმი ზნეობრივად მიმსგავსებისა და მასთან შეძლებისდაგვარად მჭიდრო ერთობის დასამყარებლად მიმართულ ძალთა სწრაფად და ჰარმონიულად განვითარებისთვის მათ ყველა მონაცემი ჰქონდათ.

ეს იყო სუფთა, ნათელი, ჯანსაღად მოაზროვნე გონება. მაგრამ ამასთან, შეზღუდული და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოკლებული, რაც

ცოდვით დაცემით გამოჩნდა კიდეც. მისთვის აუცილებელი იყო შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

ზნეობრივი თვალთახედვით, პირველქმნილი ადამიანი სუფთა და უბიწო იყო. სიტყვებს: ***„...და იყვნეს ორნივე შიშველ; ადამ და ცოლი მისი, და არა ჰრცხუენოდა“*** (დაბ. 2, 25), **ღირსი იოანე დამასკელი** განმარტავს, როგორც „უვნებობის მწვერვალს“. თუმცა პირველი ადამიანების სისუფთავე არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს თავიდანვე ჰქონდათ ყველა სათნოება და სრულყოფა უკვე აღარ სჭირდებოდათ. არა, თუმც შემოქმედის ხელიდან გამოსული ადამი და ევა სუფთანი და უბიწონი იყვნენ, შემდგომში მათ სიკეთეში განმტკიცება და ღვთის შემწეობით სულიერად ამამაღლებელი პირადი მოღვაწეობა ელოდათ. როგორც **წმინდა ირინეოს ლიონელი** გამოთქვამს: „მყოფობის მიმღები ადამიანი უნდა გაზრდილიყო, შემდეგ კი დავაჟკაცებული, გაძლიერებული, სრულქმნილი და განდიდებული ღირსიც გახდებოდა ღვთის ხილვისა“.[4]

ადამიანი ღვთის ხელიდან უზადო სხეულით გამოვიდა. უეჭველია, ამ გამაოგნებლად მოწყობილ ორგანიზმს არც შინაგანი ნაკლი მიუღია შემოქმედისგან და არც გარეგანი. მასში იყო ახალი, დაუზიანებელი ძალები, არ არსებობდა ოდნავი გაუმართობაც კი და არ ეკარებოდა სნეულება და ტანჯვა, რომელთაც დაბადების წიგნი განიხილავს, როგორც სასჯელს ჩვენი წინაპრების დაცემისა და ცოდვის ჩადენისათვის.

დაბადების წიგნი, აგრეთვე, საიდუმლოდ მიანიშნებს ცხოვრების ხეზე, რომლის ნაყოფის ჭამა პირველ ადამიანებს ცოდვით დაცემამდე შეეძლოთ – ის მათ ფიზიკური სიკვდილისაგან იცავდა. ადამიანისთვის სიკვდილი გარდაუვალი რამ არ ყოფილა. **წმინდა თეოფილე ანტიოქიელის** თანახმად: „ღმერთმა შექმნა ადამიანი არც სრულად მოკვდავი და არც უკვდავი, არამედ როგორც ერთის, ისე მეორის მიმღები“[5].

რაოდენ სრულიც უნდა ყოფილიყო ადამიანის ბუნებრივი ძალები, იგი მაინც შეზღუდულ არსებად რჩებოდა და ყოველივე ქმნილის მსგავსად მასაც იმთავითვე სჭირდებოდა, რათა ღმერთს – ყოველივე სიცოცხლის წყაროს – განემტკიცებინა ისინი. სიკეთის გზაზე შემდგარი ადამიანის გასაძლიერებლად საჭირო გახდა შესაფერისი საშუალებების გამოყენება. თავდაპირველად ასეთი საშუალება იყო მცნება – **არ ეჭამათ ნაყოფი** კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან. ეს იყო მცნება **მორჩილებისა**. თავისუფალი ნებით მორჩილება ზნეობრივი წინსვლის გზაა. იქ, სადაც კეთილნებობითი მორჩილებაა:

ა) იხშობა საკუთარი უცდომელობის რწმენისაკენ მიმავალი გზა;

ბ) პატივს მიაგებენ და ენდობიან მაღლა მდგომთ;

გ) არის თავშეკავებაც.

მორჩილება კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს გონებაზე და ბოჭავს მისეულ სიამაყეს, ასევე მოქმედებს გრძნობებზე და თრგუნავს საკუთარი თავისადმი სიყვარულს, და ნებაზე – აქ ის ადამიანის თავისუფლებას სიკეთისკენ წარმართავს. ადამიანს ამ გზაზე თან სდევს საღვთო მადლი და აძლიერებს მას. ეს გზა უნდა გაევლოთ პირველ ადამიანებს – ჩვენს პირველმშობლებსაც.

„ღმერთმა შექმნა ადამიანი ბუნებით უცოდველი და ნებით თავისუფალი. უცოდველი არა იმიტომ, თითქოს ცოდვას არ მიიღებდა, – მხოლოდ ღმრთეებას ვერ ეკარება ცოდვა, – არამედ, იმიტომ რომ ცოდვის ქმნა დამოკიდებული იყო არა მის ბუნებაზე, არამედ თავისუფალ ნებაზე. საღვთო მადლის შეწევნით მას შეეძლო სიკეთეში დარჩენა და წინსვლა. თავისი თავისუფლებით და ღვთის დაშვებით ასევე შეეძლო სიკეთისგან განდგომა და ბოროტებაში ყოფნა“.[6]

ძნელია და თითქმის შეუძლებელიც კი, ჩვენმა თანამედროვემ წარმოიდგინოს ადამიანის ის ჭეშმარიტი სამოთხისეული, სულიერი ყრმობის მდგომარეობა, რომელშიც თავს იყრიდა ზნეობრივი სისუფთავე, ნათელი გონება, პირველქმნილი სრულყოფილება და ღვთისადმი სიახლოვე. მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს ზუსტად ასეთ მდგომარეობაზე ადამიანებისა, რომლებიც, პოეტების გამოთქმით, კაცობრიობის „ოქროს ხანაში“ არსებობდნენ (ჩინური, ინდური, სპარსული, ბერძნული და სხვა გადმოცემანი). ქრისტიანობის ეპოქამდელი დიდი მოაზროვნენი ამტკიცებდნენ, რომ ძველად მცხოვრებნი, გვიანდელ ადამიანებთან შედარებით, უფრო სუფთა და ზნეობრივად სრულნი იყვნენ (სოკრატე); მათი აზრით, უძველესი რელიგიური გადმოცემანი და ცნებანი უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე გვიანდელი – წარმართული. ეს იმიტომ, რომ პირველი ადამიანები ღმერთთან უფრო ახლოს იყვნენ, იცნობდნენ მას, როგორც შემოქმედსა და მამას (პლატონი; იგივეს იმეორებს ციცერონიც).

V. ბოროტება და ცოდვა სამყაროში

ბოროტება და უბედურებანი

ჩვენს სასაუბრო ენაში ბოროტება ორი სახის მოვლენას ეწოდება. ხშირად ამ სიტყვაში იგულისხმება საერთოდ ყველაფერი, რაც უბედურებისა და ტანჯვის წყაროა. მეორე, უფრო ზუსტი და პირდაპირი გაგებით, **ბოროტება ეწოდება ნების არასწორად წარმართვითა და ღვთის მცნებათა დარღვევით გამოწვეულ ზნეობრივი ხასიათის უარყოფით მოვლენებს.**

ფიზიკური სამყაროს უბედურებანი, მაგალითად, მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, მეწყერი და სხვა, ცხადია, თავისთავად არც კეთილია და არც ბოროტი. სამყაროს საერთო სისტემაში ისინი აღიქმებიან ისე, როგორც ფერწერაში ნათელ საღებავებზე ლაქის დანახვა, ან საამო ბგერათა წყობაში უხეში ხმების გაგონება და სხვა. – ასე წარმოიდგენდნენ ამ მოვლენებს წმინდა მამები **(ნეტარი ავგუსტინე და გრიგოლ ღვთისმეტყველი).** შეუძლებელია უარყო, რომ სტიქიური მოვლენები ხშირად მგრძნობიარე ქმნილებათა და ადამიანთა უბედურებისა თუ მწუხარების მიზეზი ხდება, მაგრამ გვმართებს კეთილკრძალულებითი გრძნობით მოვიხაროთ ქედი სამყაროს ყოვლადბრძნული მოწყობის წინაშე, სადაც ბრმა სტიქიურ ძალთა და ორგანულ ქმნილებათა უსასრულოდ მრავალფეროვანი, ურთიერთსაწინააღმდეგო და ყოველ წამს ურთიერთშეჯახებული მისწრაფებანი თანხმდებიან, ჰარმონიაში მოდიან და სამყაროს უწყვეტი განახლებისა და განვითარების წყაროდ იქცევიან.

მწუხარება და ცოდვა

უსიამოვნო, პირქუში მხარეები ჩვენი ადამიანური ცხოვრების მხიარულ მომენტებს გარკვეულწილად უფრო მძაფრად აღქმადსა და ძვირფასს ხდის. მაგრამ თავად საღვთო წერილი გვეუბნება, რომ მძიმე ტანჯვა და სნეულება არ უნდა მივიჩნიოთ სრულიად კანონიერ და ბუნებრივ მოვლენებად, ისინი უფრო ნორმიდან გადახვევას წარმოადგენენ. ზნეობაში ბოროტების გაჩენით დაიწყო კაცთა მოდგმის ტანჯვა – იგი ჩვენს ცხოვრებაში შემოსული ცოდვის შედეგია. ამას ადასტურებს ბიბლიის პირველივე გვერდები: ***„...განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი, მწუხარებით ჰშვნე შვილნი...“*** (დაბ. 3, 16) – ეს სიტყვები ევასთვის იყო განკუთვნილი, მისი დაცემის შემდგომ; ადამს კი ღმერთმა უთხრა: ***„...წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მას ყოველთა***

დღეთა ცხორებისა შენისათა“ (დაბ. 3, 17). მწუხარება მოევლინა ადამიანებს, როგორც მათი დასჯის, შეგონებისა და გამოსწორების საშუალება. **წმინდა ბასილი დიდის** გამოთქმით, ტანჯვა და სიკვდილი „აღკვეთს ცოდვათა გაღრმავებას“. საღვთო წერილი მრავალ მაგალითს გვთავაზობს მწუხარებასა და ცოდვას, როგორც მიზეზსა და შედეგს, შორის ურთიერთკავშირის გააზრებისთვის. ***„მიიღეთ სწავლაჲ, ნუუკუე განრისხნეს უფალი...“*** (ფს. 2, 12), ***„კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე, რაჲთა ვისწავლნე მე სიმართლენი შენნი“*** (ფს. 118, 71). თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სნეულებათა და მწუხარებათა მიზეზნი უმრავლეს შემთხვევაში თავად ადამიანები არიან. ფიზიკურ კეთილდღეობას გამოდევნებულნი იქმნიან თავიანთი არსებობისთვის ხელოვნურ, არანორმალურ პირობებს, სასტიკ ორთაბრძოლაში ერთვებიან რაღაც დემონური განწყობის, სიამაყის, შურისგებისა და სიავის გამო.

როგორც საღვთო წერილი გვასწავლის, ზნეობრივი ბოროტების შედეგი ადამიანიდან ცხოველთა სამყაროსა და ყველა ქმნილებაზე ვრცელდება. ***„უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე,*** – წერს პავლე მოციქული და განმარტავს, – ***რამეთუ ამაოებასა დაემორჩილა დაბადებული არა ნებსით, არამედ მის მიერ, რომელმან-იგი დაამორჩილა, სასოებით, რამეთუ თჳთ იგიცა დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა“***(რომ. 8, 22, 20).

ზნეობრივი ბოროტების არსი

წმინდა მამები აღნიშნავენ, რომ ბოროტებას არ გააჩნია არსი, მას ღვთის მიერ შექმნილი ელემენტებისა და სამყაროს ძალთა მსგავსი ნამდვილი, დამოუკიდებელი მყოფობა არ ახასიათებს. იგი არის მხოლოდ ცოცხალ არსებათა მიდრეკა შემოქმედის მიერ დადგენილი მდგომარეობის საპირისპირო მხარეს. ამიტომაც ბოროტების მიზეზი ღმერთი კი არა, თავად ის არსებანი არიან, რომლებმაც თავი აარიდეს საკუთარი ნების შეთნხმებას საღვთო ნებასთან. ბოროტება არის ღვთის ნების, მისი მცნებებისა და ადამიანის სინდისში ჩაწერილი ზნეობრივი კანონების დარღვევა. ამ დარღვევას **ცოდვა** ეწოდება.

ბოროტების წარმოშობა

მაინც საიდან წარმოიშვა ზნეობრივი ბოროტება? ღმერთმა სამყარო სუფთა, სრულყოფილი და ბოროტებისგან თავისუფალი შექმნა. საღვთო წერილის მიხედვით, ბოროტება სამყაროში შემოვიდა დაცემის შედეგად, რომელიც ჯერ უსხეულო სულთა სამყაროში, შემდეგ კი კაცთა მოდგმაში აღმოცენდა და მთელ ცოცხალ ბუნებაზე აისახა.

დაცემა ანგელოზთა სამყაროში

ბნელ და ბოროტ სულთა სამყარო

საღვთო წერილის თანახმად ცოდვის საწყისი ეშმაკიდან მოდის. ***„რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს...“*** (1 იოანე, 3, 8). სიტყვა „ეშმაკი“ ცილისმწამებელს (ბერძნ. διαβολος – ცილისწამება, მოტყუება) ნიშნავს. წმინდა წერილის მინიშნებათა ურთიერთშედარებით ვხედავთ, რომ ეს არის ბოროტებისკენ მიდრეკილი ერთ-ერთი გონიერი სული, ანგელოზი. მას, როგორც ყველა გონიერ არსებას, ჰქონდა თავისუფლება, რომელიც სიკეთეში სრულყოფის მისაღწევად მიეცა, მაგრამ „არ დარჩა ჭეშმარიტებაში“ და განუდგა ღმერთს. მაცხოვარმა მის შესახებ ბრძანა: ***„...რამეთუ იგი კაცის-მკვლელი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა. ოდეს იტყჳნ ტყუვილსა, თჳსისაგან გულისა იტყჳნ, რამეთუ მტყუვარ არს, და რამეთუ მამაჲცა მისი მტყუვარი არს“*** (იოანე, 8, 44). ამას სხვა ანგელოზთა დაცემა მოჰყვა. მოციქულების – იუდასა და პეტრეს ეპისტოლეებში ვკითხულობთ ანგელოზებზე, რომლებმაც ***„...არა დაიმარხნეს თჳსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს სამკჳდრებელი მათი...“*** (იუდა, 1, 6; შდრ. 2 პეტ. 2, 4).

რა მიზეზით მოხდა ცოდვით დაცემა ანგელოზთა სამყაროში? იმავე საღვთო გამოცხადებიდან ვასკვნით, რომ ამის მიზეზი **ამპარტავნება** იყო. ***„ცოდვის სათავე მზვაობაა“*** – ამბობს ზირაქის ძე (იხ. ზირ. 10, 13). პავლე მოციქული აფრთხილებს ტიმოთე მოციქულს, არ დაადგინოს ეპისკოპოსად ვინმე ახალმოქცეული და დასძენს: ***„...რაჲთა არა განლაღნეს და საშჯელსა შევარდეს ეშმაკისასა“*** (1 ტიმ. 3, 6).

ძველი აღთქმის გამოცხადებაში სულ რამდენიმე ადგილას არის ნახსენები ბოროტ სულთა შესახებ. აი, ისინი: დაბადების წიგნის მესამე თავში ვკითხულობთ პირველ ადამიანთა შემაცდენლის, „გველის“ თაობაზე; იობის წიგნის პირველ თავში მოთხრობილია სატანის ქმედებებზე მართალის ცხოვრებაში; მეფეთა პირველი წიგნიდან ვიგებთ, რომ საულს ***„შეუხდა სული უკეთური“***, როდესაც მას ***„სული უფლისა განეშორა“*** (1 მეფ. 16, 14); ნეშტთა წიგნში წერია, რომ მეფე დავითმა მოისურვა, ჩაეტარებინა ხალხის აღწერა: ***„აღდგა შემასმენელი ეშმაკი იზრაელსა ზედა და აღძრა დავითი აღრაცხად იზრაელისა“*** (1 ნეშტ. 21, 1); ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ იხილა მან მღვდელმთავარი იესუ, რომელსაც ეშმაკი უპირისპირდებოდა; წიგნში „სიბრძნე სოლომონისა“ წერია: ***„შურითა ეშმაკისათა სიკუდილი სოფელსა შემოჴდა...“*** (სიბრძ. 2, 24). ასევე: ***„უზორვიდეს იგინი ეშმაკთა და არა შესწირვიდეს ღმრთისა ღმერთთა მათ...“*** (2 შჯ. 32, 17).

ახალი აღთქმის გამოცხადებაში შეუდარებლად უფრო სრულად არის წარმოდგენილი სატანისა და მისი ანგელოზების ქმედებანი. იქიდან ვიგებთ, რომ სატანა და ბოროტი სულები გამუდმებით ითრევენ ადამიანებს ბოროტ საქმეებში. სატანა გაკადნიერდა და თავად უფალი იესო ქრისტე გამოსცადა უდაბნოში. ბოროტი სულები იჭრებიან ადამიანთა სულებში და სხეულშიც კი, რასაც ადასტურებს სახარებისეული ბევრი მოვლენა და მაცხოვრის სწავლება. ადამიანებში ბოროტ სულთა ჩასახლების შესახებ ვიცით მაცხოვრის მიერ ეშმაკეულთა განკურნების მრავალი მაგალითიდან. უკეთური სულები ერთგვარად ჩასაფრებულნი არიან, რათა დაუდევარნი ბოროტებაში ჩაითრიონ. ***„ხოლო რაჟამს სული იგი არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალენ ურწყულთა ადგილთა და ეძიებენ განსუენებასა და არა პოვის. მაშინ თქჳს: მივიქცე სახლად ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ; და მო-რა-ვიდის, პოვის იგი მოცალე, განშუენებული და შემკული. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დაემკჳდრს მუნ. და იქმნის უკანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა...“*** (მათე, 12, 43-45). საპყარი დედაკაცის განკურნების თაობაზე მაცხოვარმა სინაგოგის მთავარს უთხრა: ***„ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა, ესერა ათრვამეტი წელი არს; არა ჯერ-იყოა განკსნად საკრველთაგან მისთა დღესა შაბათსა?“*** (ლუკა, 13, 16).

წმინდა წერილი ბოროტ სულებს უწოდებს, აგრეთვე: „უწმინდურ სულებს“, „ბოროტების სულებს“, დემონებს, ეშმაკის ანგელოზებს, სატანის ანგელოზებს. ხოლო მათ მთავარს, ეშმაკს იხსენიებს სახელებით: „მაცდური“, „სატანა“, „ბელზებელი“, „ბელიარი“, „ავსულთა თავადი“, „მთიები“ და სხვა.

დაბადების წიგნის მესამე თავი მოგვითხრობს, რომ ეშმაკმა მიიღო გველის სახე და პირველ ადამიანთა შეცდენისა და ცოდვით დაცემის მიზეზი შეიქნა. აპოკალიფსისში ის მოხსენიებულია, როგორც ***„...ვეშაპი ... დიდი, გუელი დასაბამისაჲ...“*** (გამოცხ. 12, 9).

სატანასა და მის ანგელოზებს აეკრძალათ ზეციურ ნათელ სავანეებში მკვიდრობა. ***„...ვხედვედ ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა“*** (ლუკა, 10, 18) – უთხრა მოწაფეებს მაცხოვარმა. ზეციური სამყაროდან გადმოგდებული ეშმაკი და მისი მსახურნი ცისქვეშეთში და დედამიწაზე ადამიანებს შორის მოქმედებენ და სამფლობელოდ თითქოს ჯოჯოხეთი და ქვესკნელი გაიხადეს. მოციქული მათ „ბნელსა მის ამის საწუთროს“ მთავრობებს, უფლებებსა და სოფლის განმგებლებს უწოდებს (იხ. ეფ. 6, 12); ეშმაკს ჰაერში გამეფებულ თავადს ადარებს (იხ. ეფ. 2, 2), მის მსახურთ, დაცემულ ანგელოზებს კი, ცისქვეშეთში უკეთურ სულებად იხსენიებს (იხ. ეფ. 6, 12).

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ?

შემოქმედმა ადამიანი შექმნა და სამი უდიდესი ნიჭი – თავისუფლება, გონება და სიყვარული უბოძა. ეს ნიჭნი აუცილებელია ადამიანის სულიერი ზრდისა და ნეტარებისთვის. მაგრამ სადაც თავისუფლებაა, იქვე დასაშვებია არჩევანის გაკეთებისას ორჭოფობა და ცდუნება. **გონების** საცდური გონითი [ჭკუით] ამპარტავნებაა. ეს ნიშნავს, საღვთო ზესიბრძნისა და სიკეთის შეცნობის ნაცვლად, ბოროტისა და კეთილის გაგება უფლის გარეშე სცადო; მოისურვო, თავად გახდე „ღმერთი“. **სიყვარულის** გრძნობის საცდურია ღმერთისა და მოყვასის ნაცვლად გიყვარდეს საკუთარი თავი და ყოველივე ის, რაც ქვენა სურვილებს დაგიკმაყოფილებს და წარმავალ განცხრომაში გამყოფებს. პირველმა ადამიანმა ვერ გაუძლო ამ ცდუნებებს...

ვისარგებლოთ მამა იოანე კრონშტადტელის ამ თემასთან დაკავშირებული აზრებით: „რატომ დაუშვა ღმერთმა თავისი საყვარელი არსების, ყოველი მიწიერი ქმნილების გვირგვინის – ადამიანის დაცემა? პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთია: თუ დაცემის ნებას წაართმევდა, მაშინ საჭიროც აღარ იქნებოდა მისი შექმნა ღვთის ხატად და მსგავსად. მისთვის ზედმეტი გახდებოდა ღვთის ხატის განუშორებელი თვისების – თავისუფალი ნების მინიჭება. ასეთი ადამიანი დაემორჩილებოდა აუცილებლობის კანონს, ისევე, როგორც უსულო ქმნილებანი: მზე, ცა, ვარსკვლავები, დედამიწა, ყოველგვარი სტიქია და უტყვი ცხოველები. მაგრამ მაშინ ხომ აღარ იქნებოდა დედამიწაზე მიწიერ ქმნილებათა მეუფე, საღვთო სახიერების, ზესიბრძნის, შემოქმედებითი ყოვლისშემძლეობისა და განგებულების მეხოტბე?! მაშინ ადამიანი ვერაფრით შეძლებდა, დაემტკიცებინა შემოქმედისთვის თავისი ერთგულება, თავდადება და თავგანწირული სიყვარული; მაშინ არ იქნებოდა მისთვის ბრძოლის ღვაწლი, დამსახურება და უხრწნელი გვირგვინი გამარჯვებისათვის; ვეღარ ეზიარებოდა მარადიულ ნეტარებას, რომელიც ღვთისადმი ერთგულებისა და თავდადების ჯილდოა და ვერ ჰპოვებდა მიწიერ ცხოვრებაში შრომისა და მოღვაწეობის შემდგომ მარადიულ განსვენებას“.[1]

ᲪᲝᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

შესაქმისაღმწერელი არ გვაუწყებს, დიდხანს ცხოვრობდნენ თუ არა პირველი ადამიანები სამოთხეში ნეტარი ცხოვრებით. მათ დაცემაზე საუბრისას მიუთითებს, რომ ისინი თავად კი არ შეცდნენ, არამედ ეს **მაცდურმა** ჩაადენინა:

„ხოლო გუელი იყო უგონიერეს უფროჲს ყოველთა მკ[ე]ცთა ქუეყანასა ზედა, რომელნი ქმნნა უფალმან ღმერთმან და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: რად რამეთუ თქუა უფალმან ღმერთმან: არა სჭამოთ ყოვლისგან ხისა სამოთხისა. და ჰრქუა დედაკაცმან გუელსა: ყოვლისაგან ნაყოფისა ხისა სამოთხისა ვჭამოთ. ხოლო ნაყოფისაგან ხისა, რომელ არს შორის სამოთხისა, თქუა ღმერთმან, არა სჭამოთ მისგანი, არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკუდედ. და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: არა სიკუდილით მოჰკუდეთ. რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგანი, განგეხუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათჳს ხილვად და შუენიერ განცდად. და მიმღებელმან დედაკაცმან ნაყოფისაგან ჭამა და მისცა ქმარსაცა მისსა მის თანა და ჭამეს“ (დაბ. 3, 1-6).

ქრისტიანული ეკლესია გველ-მაცდურში ყოველთვის ეშმაკს გულისხმობდა. მის მიერ მიღებული ეს სახე ყველაზე მეტად შეეფერება შემპარავ, მოხერხებულ და შხამიან მაცდურს. ამას ნათლად გვაგებინებს მაცხოვრის სიტყვები ეშმაკზე: ***„...იგი კაცის-მკვლელი იყო დასაბამითგან...“*** (იოანე, 8, 44). იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში მას ***„...ეგე შაჰი იგი დიდი, გუელი დასაბამისაჲ...“*** ეწოდება (გამოცხ. 12, 9); სოლომონის სიბრძნის წიგნში ნათქვამია: ***„შურითა ეშმაკისათა სიკუდილი სოფელსა შემოჴდა...“*** (სიბრ. 2, 24).

რატომ იყო ნაყოფის შეჭმა ცოდვა?

ადამიანს თავისუფალი ნების გამოსაცდელად აეკრძალა (ნაყოფის) შეჭმა. გველის მიერ ცდუნებულმა პირველმშობლებმა დააშავეს, რადგან დაარღვიეს ღვთის პირდაპირი მცნება: არ ეჭამათ ერთი ხის მიმზიდველი ნაყოფი. ამ მცნების შესრულებაში თავს იყრიდა ისეთი უშუალო და ბუნებრივი სათნოებანი, როგორებიცაა ღვთისადმი **მორჩილება**, უფლის სიტყვის **ნდობა**, **სიმდაბლე** და **თავშეკავება**. შეჭმამ მაშინვე გამოიწვია ადამიანთა ზნეობრივი და ფიზიკური დაცემა და მისგან გამომდინარე სავალალო შედეგების მთელი წყება.

ცოდვით დაცემის ზნეობრივი შედეგები

ნაყოფის შეჭმა ზნეობრივი გამრუდების მხოლოდ დასაწყისი, მისი პირველი ბიძგი იყო. იგი იმდენად აშკარა და დამღუპველი აღმოჩნდა, რომ ადრინდელი სიწმინდისა და სიწრფელისაკენ მიბრუნება შეუძლებელი გახადა. პირიქით, თავი იჩინა ღვთისგან კიდევ უფრო მეტად განდგომის მიდრეკილებამ. ეს გამოჩნდა მაშინ, როცა ადამმა და ევამ შენიშნეს თავიანთი სიშიშვლე, გაიგონეს სამოთხეში უფლის ხმა და დაემალნენ, შემდეგ

იწყეს თავის მართლება, რითაც მხოლოდ გაამძაფრეს საკუთარი დანაშაული. ღვთისადმი ადამის პასუხებიდან ჩანს, რომ მას ჯერ სურს ღვთის მზერას გაექცეს, შემდეგ ცდილობს, დაფაროს დანაშაული და ტყუის, როცა ამბობს, რომ ღმერთს მხოლოდ სიშიშვლის გამო დაემალა. ბოლოს თავს იმართლებს და უნდა თავისი დანაშაული ცოლს გადააბრალოს.

ქრისტიანული მწერლობის უძველეს ძეგლში, სახელწოდებით „ეპისტოლე დიოგნეტესადმი“, ვკითხულობთ: „ცოდნა ანუ შემეცნება განუშორებელია ცხოვრებისაგან. ამის სიმბოლო იყო სამოთხეში გვერდიგვერდ დარგული ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა. ეს ნიშნავდა, რომ ღმერთი არ კრძალავდა ცოდნის მიღებას, ოღონდ ითხოვდა – მისი გაგების მსურველთ კეთილი ცხოვრებით, ანუ ღვთის მცნებებით ეცხოვრათ. პირველი ადამიანების ცოდვა თუ დანაშაული იყო არა თავისთავად ცოდნის შეძენის მონდომება, არამედ სურვილი, მიეღოთ იგი კეთილი ცხოვრების გარეშე, არა ღვთის მცნებების აღსრულებით, პირიქით, ურჩობის ნიადაგზე“.[2]

ამრიგად, მცნების პირველი დარღვევისთანავე ადამიანში მყისიერად შევიდა ცოდვის საწყისი, „ცოდვის კანონი“ (νόμος της αμαρτιας). მან დააზიანა მისი ბუნება, სწრაფად დაიწყო მასში ფესვების გადგმა და დამკვიდრება. ადამიანის ბუნებაში შემოსული ცოდვის საწყისის შესახებ პავლე მოციქული წერს: ***„რამეთუ უწყი, ვითარმედ არარაჲ დამკჳდრებულ არს ჩემ თანა, ესე იგი არს, ჴორცთა შინა ჩემთა კეთილი, რამეთუ ნებაჲ იგი წინა მიც მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა ვჰპოებ. რამეთუ თანა-მნებავს მე შჯულსა ღმრთისასა შინაგანითა მით კაცითა. და ვხედავ სხუასა შჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი-იგი წინა-განეწყვების შჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყუენავს მე შჯულითა მით ცოდვისაჲთა, რომელი-იგი არს ასოთა შინა ჩემთა“***(რომ. 7, 18, 22, 23). ადამიანში გაბატონდა ცოდვისადმი მიდრეკილებანი და იგი ***„ცოდვის მონად“*** აქცია (შდრ. რომ. 6, 6). დაიბინდა მისი გონება და გრძნობა; ამიტომ ადამიანის ზნეობრივმა თავისუფლებამ ხშირად იწყო მიდრეკა ბოროტებისკენ და არა სიკეთისკენ. ადამიანთა მისწრაფებას, ეღვაწათ ცხოვრებაში, **გულისთქმა და სიამაყე** დაედო საფუძვლად. მათ შესახებ ვკითხულობთ: ***„ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-ღა რაჲ არს სოფლისაჲ ამის... რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულის თქუმაჲ ჴორცთაჲ და გულის თქუმაჲ თუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს“*** (1 იოანე, 2, 15, 16). ხორციელი გულისთქმის დროს ხდება დამონება მდაბალი, ხორციელი სურვილებისადმი, სუსტდება სულის გავლენა სხეულზე; თვალთა გულისთქმა გულისხმობს ცრუ კერპებისა და მავნე ჩვევებისკენ მიდრეკას, აჩენს ამსოფლიურ სიხარბეს, სიძუნწესა და შურს. „სილაღე ამის ცხორებისა“ ნიშნავს საკუთარი უცდომელობის გრძნობას, ეგოიზმს,

მზუაობრობას, სუსტებისა და ღარიბებისადმი ზიზღს, თავმომწონეობას, პატივმოყვარეობას.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ გამოკვლევებსაც მიჰყავს მკვლევარნი იმ დასკვნამდე, რომ გულისთქმა და სიამაყე (ანუ სხვებთან შედარებით საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა) თანამედროვე დაცემული ადამიანის მისწრაფებათა მთავარი საყრდენნი არიან მაშინაც კი, როცა ისინი სულში ღრმად ჩაკარგულნი და აზრობრივად ჩამოუყალიბებელნი ჩანან.

ცოდვით დაცემის ფიზიკური შედეგები

ასეთ შედეგებად მოგვევლინა სნეულებანი, ჯაფა, სიკვდილი. ისინი მივიღეთ, როგორც ზნეობრივი დაცემის, ღმერთისგან გაუცხოებისა და მისგან ადამიანთა განდგომის ბუნებრივი შედეგი. ადამიანები დაემორჩილნენ **სამყაროს ხრწნად საწყისებს**, სადაც ლპობა და სიკვდილი მოქმედებს; განეშორნენ ცხოვრებისა და ყოველი ძალის მუდმივი განახლების წყაროს – ღმერთს. როცა უფალმა იესო ქრისტემ განკურნა უძლურებაში მყოფი, იქვე მიუთითა სნეულების დამოკიდებულებაზე ცოდვასთან: ***„...აჰა ცოც ხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რაჲთა არა უძჯრესი რაჲმე გეყოს შენ“*** (იოანე, 5, 14).

ცოდვასთან ერთად კაცთა მოდგმაში სიკვდილი შემოვიდა. ადამიანის სული შექმნილია უკვდავად, სხეულიც შეიძლებოდა ასეთად დარჩენილიყო, ღმერთს რომ არ განშორებოდა. ***„...ღმერთმან სიკუდილი არ დაჰბადა...“*** – ამბობს წიგნი „სიბრძნე სოლომონისა“ (იხ. სიბრ. 1, 13). როგორც **ნეტარმა ავგუსტინემ** ზუსტად გამოხატა: „ადამიანის სხეულს არ გააჩნია „სიკვდილის შეუძლებლობა“, მაგრამ ჰქონდა „შესაძლებლობა არ მომკვდარიყო“, რომელიც დაკარგა“. შესაქმისაღმწერელი გვაუწყებს, რომ სამოთხეში **ცხოვრების ხის** ნაყოფის ჭამით მიიღწეოდა „შესაძლებლობა არ მომკვდარიყვნენ“, რაც პირველმა ადამიანებმა დაკარგეს სამოთხიდან განდევნის გამო. ***„...ვითარცა-იგი ერთისა ამის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით — სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“*** (რომ. 5, 12). მოციქული სიკვდილს „როჭიკს“, ანუ ცოდვის სასყიდელს უწოდებს: ***„...საგზალი ცოდვისაჲ სიკუდილი არს...“***(რომ. 6, 23).

უგნურებანი და სიკვდილი, როგორც სასჯელი ღვთისა

ფიზიკური უბედურებანი ცოდვის შედეგსა და, იმავდროულად, საღვთო სასჯელსაც წარმოადგენს. ეს ასახულია ღვთის სიტყვებში, რომლითაც მან პირველმშობლებს მიმართა სამოთხიდან განდევნისას. ცხადია, სასჯელი არსებობს, როგორც ადამიანის შემდგომი და საბოლოო დაცემისაგან შემაკავებელი საშუალება.

წმინდა კირილე ალექსანდრიელი დაცემული ადამიანისთვის ჯაფისა და სნეულებათა მნიშვნელობაზე ამბობს: როდესაც ადამიანმა „მოიწია გამომფიტავი მარხვა და მწუხარება, ხვედრად ერგო სნეულებანი, ტანჯვა-ვაება და სხვა ცხოვრებისეული სიავენი – ამით მას ერთგვარად ლაგამი ამოედო. იმისთვის, რომ კეთილგონივრულად ვერ შეინარჩუნა უშრომელი და უდარდელი ცხოვრება, მას ეძლევა სხვადასხვა განსაცდელი, რათა ტანჯვით **განიკურნოს** იმ სნეულებათაგან, რომლებიც ნეტარებაში მყოფს დაატყდა თავს“.[3]

ეს წმინდა მამა აგრეთვე სიკვდილის შესახებაც მსჯელობს: „რჯულმდებელი (ღმერთი) სიკვდილით აჩერებს ცოდვის გავრცელებას და ამით თვით სასჯელში თავის კაცთმოყვარეობას ავლენს. მიცემული მცნების დარღვევა მან სიკვდილთან დააკავშირა და ამიტომ დაადო ასეთი სასჯელი განდგომილს, მაგრამ ღმერთი ყოველივეს ისე აწესრიგებს, რომ თვით სასჯელი გადარჩენას ემსახურება. სიკვდილი შლის ამ ჩვენს ცოცხალ ბუნებას და, ამგვარად, ერთი მხრივ, აჩერებს ბოროტების მოქმედებას, მეორე მხრივ კი, ადამიანს კურნავს სნეულებისაგან, ათავისუფლებს ჯაფისგან, აქრობს მის დარდსა და საზრუნავს და განასრულებს სხეულის ტანჯვას. ასეთი კაცთმოყვარეობით შეაზავა მსაჯულმა თავად სასჯელი“.[4]

ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲤᲔᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲝᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲔᲛᲘᲡ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ცოდვის საბოლოო, უკანასკნელი და ყველაზე მთავარი შედეგი იყო არა სნეულებანი და ფიზიკური სიკვდილი, არამედ სამოთხიდან განდევნა, რაც ღვთის სასუფევლის დაკარგვას ნიშნავდა. ადამის სახით მთელმა კაცობრიობამ დაკარგა მისთვის მოსალოდნელი მომავალი ნეტარება, რაც სამოთხეში ყოფნისას ნაწილობრივ განიცადეს ადამმა და ევამ. მარადიული ცხოვრების ხილვის სანაცვლოდ კაცობრიობამ სიკვდილი, მის უკან ჯოჯოხეთი, ბნელეთი და ღვთისაგან განრინება მიიღო. ამიტომ არის ძველი აღთქმის წმინდა წიგნები საიქიო ცხოვრებაზე პირქუში აზრებით სავსე. ***„რამეთუ არა არს, ვინ სიკუდილსა შინა მოგიკსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“*** (ფს. 6, 6) – ეს არის არა უკვდავების უარყოფა, არამედ საიქიოში უიმედო არსებობაზე ფიქრი. ასეთ შეგნებასა და დარდს მხოლოდ მაცხოვრის მოსვლა და სამომავლო გამოხსნის იმედი ამსუბუქებდა. ***„ვიცი, რამეთუ საუკუნე არს, რომელსა დაჰსნა ჩემი ეგულებოს, ქუეყანით აღდგინებად ტყავი ჩემი, რომელმან თავს-იხსნა ესენი, რამეთუ უფლისა მიერ აღესრულნეს ესენი ჩემ ზედა“*** (იობ. 19, 25, 26). ***„ამისთჳს განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენაჲ ჩემი, უფროჲსღა და ჴორცთაცა ჩემთა დაიმკჳდრონ სასოებით. რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა“*** (ფს. 15, 9, 10).

ღვთის მოწყალება დაცემული ადამიანისადმი

დაცემის შემდგომ ღმერთმა არ განაგდო ცოდვილი ადამიანი. უფალს არ წაურთმევია ადამიანისთვის არც ცხოველთა სამყაროსგან მისი განმასხვავებელი ხატი ღვთისა, არც თავისუფალი ნება, სულიერ საწყისთა შემმეცნებელი გონება და სხვა. ღმერთი ადამიანს მოექცა, როგორც მკურნალი და აღმზრდელი – სამოსით დაფარა მისი სიშიშვლე. კაცთა ზესთამჩენობისა და სიამაყის, ხორციელ გულისთქმათა და ვნებათა დასაცხრობად სამკურნალო და, ამასთან, აღმზრდელობითი მნიშვნელობის საშუალებები – შრომა და სნეულებანი გამოიყენა (ჩვენ თავად განვიცდით შრომის აღმზრდელობით გავლენას და ვგრძნობთ, თუ როგორ განწმედს სულს სნეულება). ღმერთმა ადამიანი ფიზიკურ სიკვდილს დაუქვემდებარა, რათა აეცილებინა მისთვის საბოლოო, სულიერი სიკვდილი, ანუ მასში ცოდვის საწყისების უკიდურესი, სატანურ ზღვარს მიღწეული განვითარება.

მაგრამ მწუხარებისა და სიკვდილის ბუნებრივი ლაგამი ბოლომდე ვერ ამოძირკვავს თავად ბოროტების საწყისს. იგი მხოლოდ მის განვითარებას აფერხებს. ადამიანისათვის უკიდურესად აუცილებელი იყო ისეთი ძალა, ზებუნებრივი შემწეობა, რომელიც თავად კაცობრიობაში შინაგან გადატრიალებას მოახდენდა და განუხრელი, სულ უფრო ღრმად დაცემის ნაცვლად მას ცოდვაზე გამარჯვებისა და ღმერთისკენ თანდათანობითი ზესვლის შესაძლებლობას მისცემდა.

საღვთო განგებულებამ წინასწარ განჭვრიტა ადამიანის ჯერ კიდევ განუმტკიცებელი თავისუფალი ნების დაცემა და მისი აღდგინებაც ასევე წინასწარ მოაწყო. ადამის ცოდვით დაცემა არ იქცა კაცობრიობის გამოუსწორებელ დაღუპვად. ღვთის წინასაუკუნო განჩინების თანახმად, მის ამაღორძინებელ ძალად დედამიწაზე გარდამომხდარი ძე ღვთისა იქცა.

პირველქმნილი ცოდვა

პირველქმნილ ცოდვაში იგულისხმება ადამის ცოდვა, რომელიც თაობებს გადაეცემა და მას ტვირთად აწევს. ქრისტიანული მსოფლმხედველობის სისტემაში პირველქმნილ ცოდვაზე სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასზე რიგი სხვა დოგმატებია დაფუძნებული.

საღვთო წერილი გვასწავლის, რომ ადამის სახით „ყველამ ვცოდეთ“. ***„...ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოკდა და ცოდვისა ძლით – სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“*** (რომ. 5, 12). ***„ვინმე უკუე წმიდაჲ იყოს მწინკულევანებისაგან? არამედ არავინ... და აღრაცხილ თთუენი მისნი მის მიერ...“*** (იობი, 14, 4, 5). ***„რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა დედამან ჩემმან“*** (ფს. 50, 7); *„თესლ ხრწნილებისა ჩემში არს“* (მე-2 ლოცვა ძილად მისვლის ლოცვებიდან).

ძველი ქრისტიანული ეკლესიის საერთო რწმენა პირველქმნილი ცოდვის არსებობის შესახებ ასახულია ყრმათა მონათვლის ძველ ტრადიციაში. 252 წელს კართაგენის ადგილობრივმა კრებამ 66 ეპისკოპოსის შემადგენლობით და **წმინდა კვიპრიანეს** თავმჯდომარეობით დაადგინა ერეტიკოსთა წინააღმდეგ, რომ: „არ უნდა დაუშალონ ყრმას (ნათლისღება). ის ახლად დაიბადა და როგორც ადამის ხორციდან წარმოქმნილს, სხვა ცოდვა არ გააჩნია, გარდა იმ ძველთაგანვე სასიკვდილო, გადამდები სენისა, რომელიც დაბადებით მიიღო. ეს მით უფრო ჯეროვანია, რადგან მას მიეტევება არა საკუთარი, არამედ სხვათა ცოდვანი“.

„აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლე“ ცოდვით დაცემის შედეგს ასე განსაზღვრავს: „დანაშაულის შედეგად დაცემული ადამიანი დაემსგავსა უტყვ ქმნილებას. დაებინდა გონება, დაკარგა სრულყოფილება და უვნებობა, მაგრამ არ დაუკარგავს ყოვლადსახიერი ღმერთისგან ბოძებული ბუნება და ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ადამიანი კი არა, უგუნური (არსება) იქნებოდა. მან შეინარჩუნა ის ბუნება, როგორითაც შეიქმნა, და თავისუფალი, ცოცხალი, ქმედითი ძალა. ასე რომ, შეეძლო სიკეთის არჩევა და ქმნა, აგრეთვე ბოროტისაგან განდგომა და მისთვის ზურგის შექცევა“.[5]

ძველი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ცოდვის მემკვიდრეობითობას უარყოფდნენ პელაგიუსი და მისი მიმდევრები (პელაგიანელთა ერესი). პელაგიუსი ამტკიცებდა, რომ თითოეული ადამიანი უბრალოდ იმეორებს ადამის ცოდვას – ის ნების სისუსტის გამო ბაძავს ადამის მაგალითს და პიროვნულად ხელახლა ეცემა ცოდვით. რაც შეეხება მის ბუნებას, იგი პირველქმნილი ადამის მსგავსი უბიწო და სუფთა დარჩა, ანუ ისეთი, როგორიც შეიქმნა. თანაც ამ ბუნებას სნეულებანი და სიკვდილი პირველქმნილი ცოდვის შედეგად არ მიუღია – ისინი შესაქმისთანავე მის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდნენ.

დიდი ძალითა და დამაჯერებლობით შეეწინააღმდეგა პელაგიუსს ნეტარი ავგუსტინე. მან დამადასტურებელ მაგალითებად მოიყვანა:

ა) საღვთო გამოცხადების მტკიცებანი პირველქმნილი ცოდვის შესახებ;

ბ) ეკლესიის ძველ მწყემსთა სწავლებანი;

გ) ყრმათა ნათლობის ძველი ტრადიცია;

დ) ადამიანების, მათ შორის ყრმათა, ტანჯვა და უბედურებანი, როგორც მათი საყოველთაო, მემკვიდრეობითი ცოდვის არსებობის შედეგი.

მაგრამ ნეტარი ავგუსტინე ვერ ასცდა საპირისპირო უკიდურესობას, როცა გამოთქვა აზრი, რომ დაცემულ ადამიანში სრულებით განადგურდა სიკეთის დამოუკიდებლად ქმნის თავისუფლება, თუ ამაში მას საღვთო მადლი არ დაეხმარა.

შემდგომ, ამ პაექრობის საფუძველზე, დასავლეთში ორი მიმართულება წარმოიშვა: ერთს გაჰყვა რომაული კათოლიციზმი, მეორეს კი პროტესტანტიზმი. რომაული კათოლიციზმის ღვთისმეტყველნი თვლიან, რომ ადამიანს საღვთო მადლმოსილების **ზებუნებრივი ნიჭი** ცოდვით დაცემის შედეგად წაერთვა, რის შემდეგაც იგი თავის „ჩვეულებრივ“ მდგომარეობაში დარჩა, მაგრამ მისი ბუნება არ დაზიანებულა, მხოლოდა აღრევა მოხდა: ხორცმა ანუ სხეულებრივმა მხარემ გაიმარჯვა სულიერზე; პირველქმნილ ცოდვას კი ყველა ადამიანზე გადააქვს ადამისა და ევას „დანაშაული“ ღვთის წინაშე. სხვა დასავლური მიმართულება პირველქმნილ ცოდვაში ადამიანური ბუნების სრულ გამრუდებასა და თავად მისი საწყისების უკიდურესად სიღრმისეულ ხრწნას ხედავს (ლუთერისა და კალვინის თვალსაზრისი). რაც შეეხება უახლეს პროტესტანულ სექტებს, მათ თავიანთ მხრივ ხელი ჰკრეს ლუთერისეულ უკიდურესობას და პირველქმნილი მემკვიდრეობითი ცოდვის სრულ **უარყოფამდე** მივიდნენ.

პირველი ადამიანების ცოდვის მემკვიდრეობითობაზე სწავლებისა და, კერძოდ, ადამიანის დაცემულ ბუნებაში ამ ცოდვით გამოწვეული შედეგების შესახებ აღმოსავლეთის ეკლესიის მწყემსთა შორის წინააღმდეგობანი არ ყოფილა.

მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება არ იზიარებს ნეტარი ავგუსტინეს სწავლების უკიდურესობებს. მაგრამ მისთვის ასევე უცხოა რომაულ-კათოლიკური საღვთისმეტყველო თვალსაზრისი, რომელიც აშკარად ფორმალური ხასიათით გამოირჩევა. რომაულ-კათოლიკური სწავლება შემდეგი ძირითადი დებულებებისაგან შედგება:

ა) ადამის ცოდვა ღვთის უსაზღვროდ დიდი **შეურაცხყოფაა;**

ბ) შეურაცხყოფას ღვთის **რისხვა** მოჰყვა;

გ) საღვთო რისხვა გამოიხატა საღვთო მადლმოსილების **ზებუნებრივ ნიჭთა წართმევით**;

დ) მადლის დაკარგვამ გამოიწვია სულიერი საწყისის დამორჩილება **ხორციელისადმი** და მისი ცოდვაში დანთქმა. აქედან მოდის ძე ღვთისას მიერ აღსრულებული გამოსყიდვის თავისებური გააზრება, რომლის თანახმად დარღვეული წესრიგის აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ღმერთის დაკმაყოფილება მიყენებული შეურაცხყოფისათვის. ამ სახით კაცობრიობას მოეხსნებოდა დანაშაული და აღარ აღსრულდებოდა მისი თანამდევი სასჯელი.

მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში პირველ ადამიანთა ცოდვა სხვაგვარად არის გააზრებული.

პირველი დაცემის შემდეგ თავად ადამიანის სული განეშორა ღმერთს, ვეღარ აღიქვა მისთვის განკუთვნილი საღვთო მადლი, აღარ ესმოდა, თუ

როგორ მოუხმობდა ღვთაებრივი ხმა. ამ მიზეზით მოხდა მასში ცოდვის შემდგომი დამკვიდრება.

მაგრამ ღმერთს არასოდეს წაურთმევია კაცობრიობისათვის თავისი წყალობა, შემწეობა და მადლი. ეს განსაკუთრებით რჩეულ ერს ეხება – მისგან გამოვიდნენ ისეთი დიდი მართალნი, როგორებიც იყვნენ მოსე, ელია, ელისე და გვიანდელი წინასწარმეტყველნი. პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში ჩამოთვლის ძველი აღთქმის მართალთა მთელ კრებულს და ამბობს: ***„რომელთა ღირს-სვე არა იყო სოფელი ესე...“*** (ებრ. 11, 38). ისინი სრული ვერ შეიქნებოდნენ საღვთო მადლისა და ზეგარდამო ნიჭის მიუღებლად. წიგნში „საქმენი მოციქულთა“ მოყვანილია პირველმოწამე სტეფანეს სიტყვა, სადაც ის დავითზე ლაპარაკობს: ***„რომელმან პოა მადლი წინაშე ღმრთისა და ითხოა პოვნად საყოფელი ღმრთისა იაკობისი“*** (საქმ. 7, 46), – ანუ ღმერთისთვის ტაძრის აგება ითხოვა. წინასწარმეტყველთა შორის უდიდესი, წმინდა იოანე ნათლისმცემელი ჯერ კიდევ დედის მუცელში აღივსო სულიწმიდით (შდრ. ლუკა, 1, 15). თუმცა, არც ძველი აღთქმის მართალთ ასცდათ დაცემული ადამიანის სიკვდილისშემდგომი ხვედრი – ისინი ზეციური ეკლესიის შექმნამდე, ანუ ქრისტეს აღდგომასა და ამაღლებამდე, ჯოჯოხეთში უნდა ყოფილიყვნენ. უფალმა იესო ქრისტემ დახსნა ჯოჯოხეთის კლიტენი და ზეციური სასუფევლის გზა გვიჩვენა.

არ შეიძლება ცოდვათა, მათ შორის პირველქმნილის, არსი მხოლოდ სულიერზე ხორციელი საწყისის ბატონობაში დავინახოთ, როგორც ამას რომაელი ღვთისმეტყველები წარმოგვიდგენენ. ცოდვისადმი მრავალი მიდრეკილება, თვით უმძიმესიც კი, **სულიერი** ხასიათის თვისებებს მიეკუთვნებიან. მაგალითად, სიამაყე, რომელიც მოციქულის სიტყვებით, გულისთქმასთან ერთად მთელი სამყაროს ცოდვათა წყაროა (იხ. 1 იოანე, 2, 15-16). ცოდვას ბოროტი სულებიც სჩადიან, ისინი კი სრულიად უხორცონი არიან. წმინდა წერილში სიტყვით „ხორცი“ აღინიშნება ქრისტესთან აღორძინებული ცხოვრების საპირისპირო, აუღორძინებელი მდგომარეობა. ***„შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს“***(იოანე, 3, 6). რასაკვირველია, ამით არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ სხვადასხვა ვნებანი და ცოდვითი მიდრეკილებანი თავიანთ დასაბამს ხორციელი საწყისიდან იღებენ, რასაც, ასევე, წმინდა წერილი მიუთითებს (იხ. რომ. 7).

ამრიგად, პირველქმნილი ცოდვა მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში მოიაზრება, როგორც თავად მიდრეკილება ცოდვისაკენ, რომელიც კაცთა მოდგმაში შემოვიდა და მის სულიერ სნეულებად იქცა.

VI. ღმერთი – სამყაროს გამომხსნელი

განგებულება ჩვენი გადარჩენისა

ძველი აღთქმის საღვთო გამოცხადება მოგვითხრობდა დაცემული ადამიანისადმი ღვთის **მოწყალებაზე**. ახალი აღთქმის გამოცხადება კი გვაუწყებს ღვთის მიერ სამყაროსთვის გაცხადებული უდიდესი **სიყვარულის** შესახებ.

„კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი... გამოგჳრჩინა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლის დაბადებისა, რაჲთა ვიყვნეთ ჩუენ წმიდა და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით. გუაუწყა ჩუენ საიდუმლოჲ იგი ნებისა მისისაჲ... განგებულად აღვსებისა მის ჟამთაჲსა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაჲ-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (ეფ. 1, 3, 4, 9, 10).

„რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოანე, 3, 16).

„ხოლო ღმერთმან, რამეთუ მდიდარ არს წყალობითა, მრავლითა სიყუარულითა მისითა, რომლითა-იგი შემიყუარნა ჩუენ, და რამეთუ ვიყვენით ჩუენ მკუდარ შეცოდებითა, ქრისტეს თანა განგუაცხოველნა...“ (ეფ. 2, 4, 5).

„...ესე არს სიყუარული, არა რამეთუ ჩუენ შევიყუარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემიყუარნა და მოავლინა ძე თჳსი მლხინებელად ცოდვათა ჩუენთა“ (1 იოანე, 4, 10).

„ჩუენ გჳყუარს იგი, რამეთუ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ“ (1 იოანე, 4, 19).

კაცთა მოდგმის განმზადება მაცხოვრის მისაღებად

„ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან, და იქმნა იგი შჯულსა ქუეშე, რაჲთა შჯულსა ქუეშე მყოფნი გამოიჴსნნეს, და რაჲთა შვილებაჲ იგი მოვიღოთ“ (გალ. 4, 4, 5).

რას ნიშნავს ***„აღსასრული ჟამთაჲ“***, რომელიც გამოსყიდვისთვის იყო განსაზღვრული? პავლე მოციქულის ეპისტოლეში გალატელთა მიმართ ზემომოყვანილ სიტყვებს წინ უსწრებს მუხლები, სადაც საუბარია დროის პერიოდზე მაცხოვრის **მოსვლამდე: *„ეგრეცა ჩუენ, ვიდრე-იგი ყრმაღა ვიყვენით...“*** (გალ. 4, 3). მაშასადამე, მოციქული ძველი აღთქმის ეპოქას უწოდებს ყრმობის, აღზრდისა და მოსეს რჯულით განმტკიცების ხანას, რომელიც მაცხოვრის მოსვლით დასრულდა.

ამ მოსამზადებელი პერიოდის გასააზრებლად ვიხელმძღვანელოთ იგავით **უძღები შვილის** შესახებ: მამა დარდობდა საყვარელი შვილის სახლიდან წასვლას, მაგრამ არ ხელყოფდა მის ღირსებებსა და თავისუფლებას. ელოდა, როდის იგემებდა შვილი ბოროტების მთელ სიმწარეს, გაახსენდებოდა და მოენატრებოდა მამისეულ სახლში უზრუნველი ცხოვრება და თავისი ნებით გადაუხსნიდა სულს მამის სიყვარულს. ასე დაემართა კაცთა მოდგმასაც. ***„...სული ჩემი ვითარცა ქუეყანად ურწყული შენდამი“***(ფს. 142, 6) – ალბათ, ასე იტყოდა კაცობრიობა, რომელმაც სრულად იგემა ღვთისგან გაუცხოების სიმწარე და შეიქნა ***„ქუეყანად ურწყული“***. ღმერთმა არ მიატოვა ადამიანები, საბოლოოდ არ შეაქცია ზურგი და ცოდვით დაცემის პირველივე დღეებიდან ზრუნავდა მათი სამომავლო გამოხსნისთვის.

1. ღმერთმა წარღვნით აღკვეთა პირველყოფილი კაცობრიობის დანაშაულებანი. გადარჩენილი ნოეს შთამომავლობიდან ჯერ აირჩია ერთი შტო, რომელიც კეთილმსახური იქნებოდა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისადმი და დაიცავდა მისდამი და მაცხოვრის სამომავლო მოსვლისადმი რწმენას. ეს იყო აბრაამის, ისააკისა და იაკობის შტო; შემდგომში მთელი ებრაელი ხალხი გახდა რჩეული. მათზე ზრუნვით გამოიყვანა ისინი მონობიდან ღმერთმა, დაიფარა უდაბნოში, დაასახლა რძისა და თაფლის მდინარეებიან მიწაზე, დაუდგინა წინადაცვეთის მცნება და სინას რჯულისკანონი, მისცა მსაჯულნი და წინასწარმეტყველნი. უფალი აფრთხილებდა, სჯიდა და ისევ იწყალებდა; მანვე დააბრუნა ერი ბაბილონის ტყვეობიდან და, ბოლოს, მისგან განამზადა რჩეული, რომელიც სამომავლოდ ძე ღვთისას დედა გახდა.

იუდეველი ხალხის რჩეულობას ადასტურებს უფალი იესო ქრისტე, როდესაც სამარიტელ დედაკაცს მიანიშნებს: ***„...ცხორებაჲ ჰურიათაგან არს“*** (იოანე, 4, 22). იგივეს მრავალჯერ ამოწმებს მოციქულთა ეპისტოლენი: სტეფანე პირველმოწამისა და პეტრე მოციქულის სიტყვები („საქმენი მოციქულთა“), პავლე მოციქულის ეპისტოლენი რომაელთა და გალატელთა მიმართ და წმინდა წერილის სხვა ადგილები.

2. მაცხოვრის მისაღებად ადამიანები განამზადა:

ა) ღვთის ნუგეშისმცემელმა აღთქმებმა;

ბ) მისი მოსვლის შესახებ წინასწარმეტყველებებმა.

ღვთის აღთქმები ჯერ კიდევ სამოთხიდან დაიწყო. უკვე მაშინ შეიძინა საიდუმლო შინაარსი გველისათვის ნათქვამმა ღვთის სიტყვებმა „ცოლის თესლზე“: ***„და მტერობაჲ დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა. და შორის თესლისა შენისა და თესლისა მისისა. ივი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“***(დაბ. 3, 15). მესიის შესახებ წინასწარმეტყველებათა მომრავლებასთან ერთად სარწმუნოების რჩეულთათვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ცოლის თესლის შესახებ მიცემული აღთქმა ეხებოდა მაცხო-

ვარს, რომელიც ივნებდა ეშმაკის გარე-მიდგომილებით (იხ. ფს. 21), მაგრამ დაამარცხებდა მას (გამოცხ. 12, 9: ***„და გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისაჲ, რომელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა...“***).

შემდეგი აღთქმა მიეცა აბრაამს: ***„და იკურთხეოდიან შენდა მომართ და ნათესავისა შენისა მომართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი...“*** (დაბ. 22, 18). იგივე განმეორდა ისააკთან და იაკობთან (იხ. დაბ. 26, 4; 28, 14). იუდეველთათვის, მათი ტყვეობისა და სხვა უბედურებათა ჟამს, სამყაროს მაცხოვრის შესახებ აღთქმის ნამდვილი მნიშვნელობა თანდათანობით იკვეთებოდა.

წინასწარმეტყველებათაგან აღსანიშნავია: იუდას დალოცვა – პატრიარქმა იაკობმა სიკვდილის წინ დალოცა ერთ-ერთი ძე და უფრო გარკვევით იწინასწარმეტყველა მაცხოვრის შესახებ: ***„არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან და წინამძღუარი წყვილთაგან მისთა ვიდრემდე მოვიდეს*** [შემრიგებელი], ***რომლისა-იგი განმზადებულ არს და იგი არს მოლოდება წარმართთა“*** (დაბ. 49, 10). ანუ, იუდას ტომის მმართველობა არ შეწყდება, სანამ არ მოვა შემრიგებელი – „მოლოდება წარმართთა“. აქედან გამომდინარე, იუდას ტომის ძალმოსილების დამხობა გახდება მაცხოვრის მოსვლის ცხადი ნიშანი. ძველი იუდეველი მასწავლებლები სახელს „შემრიგებელი“ აკუთვნებენ მესიას, რომელსაც ელიან (ებრ. შილო – შემრიგებელი).

შემდგომი წინასწარმეტყველება მოსეს ეკუთვნის. მან თავის ხალხს ასეთი სიტყვებით მიმართა: ***„წინაჲსწარმეტყუელი ერთი აღგიდგინოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ძმათაგანივე შენთაჲ, ვითარცა-ესე მე მისი“*** (2 შჯ. 18, 15). მოსეს შემდგომ ებრაელებს მრავალი დიდი წინასწარმეტყველი ჰყავდათ, მაგრამ ამ სიტყვებში არც ერთ მათგანს არ გულისხმობდნენ. მეორე რჯულის წიგნიდანვე დასტურდება, რომ იგი მოსეს დროს დაიწერა: ***„და არღარა აღდგა წინაჲსწარმეტყუელი შორის ისრაჱლსა მსგავსად მოსესა...“*** (2 შჯ. 34,10). თავად უფალმა იესო ქრისტემ მოსეს ამ სიტყვებში თავისი თავი იგულისხმა: ***„უკეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთჳს დაწერა“*** (ინ. 5, 46).

შემდგომ მოდის ფსალმუნთა მრავალი წინასწარმეტყველება. მათგან ყველაზე შთმბეჭდავი ნიმუშია 21-ე ფსალმუნი, რომელსაც ძველი რაბინები მესიის ხოტბას უწოდებდნენ. მასში ასახულია ის მძიმე და მტანჯველი ვნებანი, რომლებიც მაცხოვარმა ჯვარზე გაკვრით იტვირთა: ***„ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; რაჲსთვის დამიტევე მე?... ყოველნი, რომელნი მხედვიდეს მე, მეკიცხევდეს მე, იტყოდეს ბაგითა და ხრიდეს თავსა. ესვიდა უფალსა, იხსენინ იგი, აცხოვენენ იგი, რამეთუ ჰნებავს იგი. ხოლო მე ვითარცა წყალი დავითხიე და განიბნინეს ყოველნი ძუალნი ჩემნი... განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“.*** ფსალმუნის დასასრულს იხსენიება მოზეიმე ეკლესია: ***„შენ მიერ არს ქებაჲ ჩემი***

ეკლესიასა შინა დიდსა; ... აღთქუმანი ჩემნი აღვასრულნე... ჰამონ დავრდომილთა და განძღენ ... ცხონდენ გულნი მათნი უკუნითი-უკუნისამდე“(ფს. 21, 2, 8, 9, 15, 19, 26).

ასეთ წინასწარმეტყველებას განეკუთვნება ბევრი სხვა ფსალმუნიც: ერთნი მაცხოვრის ვნების შესახებ გვაუწყებენ (იხ. 39, 68, 108, 40, 15, 8), მეორენი მის განდიდებაზე ღაღადებენ (იხ. 2, 109, 44, 67, 117, 96, 94).

დაბოლოს, ძველი აღთქმის ეპოქის დასასრულის მოახლოებასთან ერთად ეგრეთ წოდებული დიდ და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ვხვდებით მრავალ უწყებას, რომლებიდანაც სულ უფრო ცხადი ხდება ძე ღვთისას სამომავლოდ მოსვლა. წინასწარმეტყველებანი ახსენებენ ღვთის წინამორბედს, ასახელებენ მაცხოვრის შობის დროს, ადგილსა და პირობებს, აღწერენ მის სულიერ და სხეულებრივ ხატს (სიმშვიდე, თავმდაბლობა და სხვა), უფლის დასჯის წინმსწრებ მოვლენებს, მის ტანჯვას, აღდგომასა და სულიწმიდის გარდამოსვლას, ახალი აღთქმის არსს და უფლის მოსვლის სხვა მხარეებს.

განსაკუთრებულია ესაია წინასწარმეტყველის წიგნის 53-ე თავში გადმოცემული წინასწარმეტყველება, რომელშიც მაცხოვრის ჯვარზე ვნებანი არის ასახული. ესაია წინასწარმეტყველი ქრისტე-მესიის გამომსყიდველ ტანჯვას ამგვარად აღწერს:

„უფალო, ვის ჰრწმენა სასმენელი ჩუენი და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა? მიუთხართ წინაშე მისსა, ვითარცა ყრმაჲ და ვითარცა ძირი ქუეყანასა წყურიელსა; არა არს სახე მისი, არც დიდებაჲ, და ვიხილეთ იგი და არა აქუნდა სახე მისი, არცა სიკეთე, არამედ სახე მისი უპატივო და მოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა. კაცი მყოფი წყლულებასა შინა და მეცნიერი თავს-დებად გუემულებასა, გარემიიქცია პირი მისი, უპატივო იქმნა და არ შეირაცხა. ესე გუემულებათა ჩუენთა იტჯრთავს და ჩუენ ძლით ლმობილ არს, და ჩუენ შეჰვრაცხეთ იგი ყოფად ტკივილსა შინა და წყლულებასა შინა ღმრთისა მიერ და განბოროტებასა შინა. ხოლო იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათჳს და გუემულ არს უსჯულოებათა ჩუენთათჳს, წურთა მშჳდობისა ჩუენისა მის ზედა, წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით. ყოველნი, ვითარცა ცხოვარნი, შევსცეთით. კაცი გზასა შესცთა და უფალმან განსცა იგი ცოდვათა ჩვენთათჳს. და ივი განბოროტებისათჳს არა აღალებს პირსა თჳსსა, ვითარცა ცხოვარი, კლვად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი, წინაშე მრისველისა თჳსისა უკმოჲ, ეგრეთ არა აღალებს პირსა თჳსსა. სიმდაბლესა შინა მსჯავრი მისი აღებულ იქმნა, ნათესავი მისი ვინ მიუთხრას, რამეთუ აღებულ არს ქუეყანისაგან ცხორებაჲ მისი, უსჯულოებათაგან ერისათა მოვიდა სიკუდიდ. ...და უსჯულოთა თანა შეირაცხა, და მან ცოდვანი მრავალნი აღიხუნა, და ცოდვათა მათთათჳს მიეცა“ (ეს. 53, 1-8, 12).

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ლაპარაკია გამოცხადებაზე, რომელიც მას გაბრიელ მთავარანგელოზმა აუწყა. აქ ნახსენები ვადა, სამოცდაათჯერ შვიდი (490 წელიწადი), იქნება პერიოდი, რომელიც დაიწყება იერუსალიმის აღდგენის ბრძანებით და დასრულდება ქრისტეს სიკვდილითა და ძველი აღთქმის, ანუ იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშეწირვის, შეწყვეტით (იხ. დან. 9, 2-27).

აღთქმანი და წინასწარმეტყველებანი, ერთი მხრივ, სულიერად ამხნევებდა რჩეულ ერს, განსაკუთრებით შეუპოვარს ხდიდა ცხოვრების მძიმე პერიოდში, განუმტკიცებდა რწმენასა და იმედს; მეორეც, განამზადებდა ხალხს, რათა ამ წინასწარმეტყველებებიდან გაეგოთ აღთქმული დროის მოახლოება და ეცნოთ მაცხოვარი წინასწარ აღწერილი მისი ხატების მიხედვით.

ამ წინასწარმეტყველებათა წყალობით იუდეველთა შორის ღვთისმოშიში ადამიანები ფხიზლობდნენ და გაფაციცებით ელოდნენ მაცხოვრის მოსვლას. სახარებიდან ვიგებთ, რომ ასე ელოდა მას სვიმეონ ღვთისმიმქუმელი, რომელსაც ეუწყა, რომ უფლის მესიის ხილვამდე არ მოკვდებოდა (იხ. ლუკა, 2, 26); მოლოდინი ჩანს სამარიტელი დედაკაცის მაცხოვრისადმი პასუხშიც: ***„...ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი“*** (იოანე, 4, 25); იოანე ნათლისმცემელთან მისული იუდეველების შეკითხვაში: ***„არა ხარ შენ ქრისტე...?“*** (იოანე, 1, 25); მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სიტყვებში თავისი ძმის, სვიმონისადმი, მას შემდეგ, რაც პირველად შეხვდა ქრისტეს: ***„...ვპოეთ მესია...“*** (იოანე, 1, 41); იოანე მახარებელი მოგვითხრობს, რომ ასეთივე შინაარსის სიტყვა უთხრა ფილიპემ ნათანაელს, როდესაც მათ მოუხმეს – მოციქულები გამხდარიყვნენ (იხ. იოანე, 1, 44, 45); ამასვე ადასტურებს ხალხის განწყობა უფლის იერუსალიმში შესვლის დროს.

3. ნათქვამს უნდა დავურთოთ, რომ არა მარტო იუდეველნი იყვნენ განმზადებულნი მაცხოვრის მისაღებად – მას, შედარებით ნაკლებად, მაგრამ **მთელი მსოფლიოც** ელოდა.

შემორჩენილია წარმართული სამყაროს თქმულებანი (თუმცა დამახინჯებული ფორმით) ადამიანის წარმოშობასა და მის პირველყოფილ ბედნიერ მდგომარეობაზე (ოქროს საუკუნე). ზოგი ლეგენდა მოგვითხრობს პირველმშობელთა დაცემაზე სამოთხეში, წარღვნაზე, როგორც ადამიანთა უკეთურების შედეგზე, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებობს გადმოცემა კაცთა მოდგმის გამომსყიდველისა და მისი სამომავლოდ მოსვლის მოლოდინის შესახებ. ამის მაგალითებს ვხვდებით პლატონის, პლუტარქეს, ვირგილიუსის, ოვიდიუსის, სტრაბონის თხზულებებში და ძველი მსოფლიოს რელიგიის ისტორიის მატიანეში (მაგალითად, ციცერონისა და ვირგილიუსის მიერ ნახსენები სიბილას წინასწარმეტყველება).

წარმართებმა რჩეული ერი ურთიერთმიმოსვლით, ვაჭრობით, ზღვაოსნობითა და ომებით გაიცნეს. ეს კავშირები განსაკუთრებით განმტკიცდა ასირიისა და ბაბილონის ტყვეობაში იუდეველთა ყოფნის დროს. ძველი აღთქმის პერიოდის დასასრულისათვის ძველი მსოფლიოს სამი ნაწილის ქვეყნებში ებრაელთა გაფანტვამ ხელსაყრელი პირობები შექმნა, რათა ერთი ღმერთისადმი რწმენის ნათელი და გამომსყიდველის მოსვლის იმედი სხვა ხალხებშიც გავრცელებულიყო.

ქრისტეს შობამდე ორი ასწლეულით ადრე ებრაული წმინდა წიგნები ბერძნულ ენაზე გადათარგმნეს. ამ წიგნებით სარგებლობდა მრავალი წარმართი მეცნიერი, მწერალი თუ განათლებული ადამიანი, რასაც მრავალგზის ადასტურებენ ძველი ქრისტიანი მწერლები.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ რჩეული ერის გარდა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ ერთი ღმერთისადმი რწმენას და მზად იყვნენ მიეღოთ სახარება. ამას ადასტურებს დაბადების წიგნში ნაამბობი მელქისედეკისა და იობის ცხოვრება, მოსეს სიმამრის იოფორი მადიამელისა და მესიის წინასწარმეტყველ ბალაამის (***„უჩუენო მას და არა აწ ვნატრო და არა მახლობელად...*** – რიცხ. 24, 17) ისტორია, ნინევიელთა სინანული იონას ქადაგების შემდგომ. ფაქტია, რომ ქრისტეს ეკლესია მოციქულთა ქადაგებით წარმართული სამყაროს ყველა ქვეყანაში სწრაფად დაფუძნდა, მაშასადამე, მათ მცხოვრებთა შორის მრავალი საუკეთესო ადამიანი მაცხოვრის სახარების მისაღებად მზად იყო. ქრისტე ზოგჯერ თავად იუდეველებშიც ვერ პოულობდა ისეთ რწმენას, როგორიც წარმართებს ჰქონდათ.

„...ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ...“ (გალ. 4, 4). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დროისთვის:

ა) კაცთა მოდგმამ ადამის კვალდაკვალ სრულად იგემა ნაყოფი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან (მხოლოდ სულიერად) და გამოცდილებით შეიგნო სიკეთის ქმნის სიტკბო და ბოროტმოქმედების სიმწარე;

ბ) კაცობრიობის ერთმა, უდიდესმა ნაწილმა, მიაღწია უკეთურებისა და გარყვნილების უკიდურეს ზღვარს;

გ) ადამიანთა მცირე, მაგრამ საუკეთესო ნაწილში, გამძაფრდა აღთქმული მოლოდინის გრძნობა, გაიზარდა დაუოკებელი წყურვილი და სურვილი – ეხილათ გამომხსნელი, შემრიგებელი, მაცხოვარი და მესია;

დ) უფლის ნებით მომზადდა პოლიტიკური ვითარება – კაცობრიობის ცივილიზებული ნაწილი გაერთიანდა რომის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ; ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სარწმუნოებისა და ქრისტეს ეკლესიის გავრცელებას.

მხოლოდ ყოველივე ამის შემდგომ **მოევლინა დედამიწას აღთქმული და ნანატრი ძე ღვთისა.**

ძე ღვთისას მოსვლა და განხორციელება დედამიწაზე

„პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა. ...სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის...“ (იოანე, 1, 1-3, 14).

ასე ქადაგებს და ღვთისმეტყველებს იოანე მახარებელი თავისი სახარების პირველ სტრიქონებში. მართლმადიდებელი ეკლესია ამ კეთილუწყებას სახარებათა საკითხავების დასაწყისში ათავსებს და მათ საღვთო ლიტურგიაზე, წმინდა აღდგომის დღეს გვთავაზობს, ანუ ამით იწყებს სახარების საკითხავების წლიურ ციკლს.

„...დიდ არს ღმრთის მსახურებისა საიდუმლოჲ; ღმერთი გამოჩნდა ჴორცითა...“ (1 ტიმ. 3, 16).

„გამოუთქმელი, შესაცნობად მიუწვდომელი, უხილავი, ამოუცნობი“ ღმერთი, წმინდა სამების მეორე პირი განკაცდა ღმერთკაც იესო ქრისტეს სახით და ადამიანად მოევლინა დედამიწას.

განხორციელებული ძე ღვთისას **ღმერთკაცობრიობის** შესახებ ქადაგება არის თავად მაცხოვრის სიტყვებისა და მთელი სამოციქულო კეთილუწყების შინაარსი. იგი შეადგენს ოთხივე სახარებისა და ყველა სამოციქულო ეპისტოლის არსს, ქრისტიანობისა და ეკლესიის სწავლების საფუძველს.

უფალი იესო ქრისტე – ღმერთი ჰეშმარიტი

სახარება გვაუწყებს, რომ ძე ღვთისა ზეციდან გარდამოხდა და დედამიწას მოევლინა, განხორციელდა და განკაცდა.

რწმენა იესო ქრისტესი, რომ იგია ძე ღვთისა, არის საძირკველი, ანუ ეკლესიის ქვაკუთხედი, როგორც ამას უფალი ბრძანებს: ***„...ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“*** (მათე, 16, 18).

მარკოზ მახარებელი თავის თხრობას ამ კეთილუწყებით იწყებს: ***„დასაბამი სახარებისაჲ იესუ ქრისტესი, ძისა ღმრთისაჲ“*** (მარკოზი, 1, 1).

იოანე მახარებელი თავისი სახარების ძირითად ტექსტს სარწმუნოების იმავე ჭეშმარიტებით ასრულებს: ***„ხოლო ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა“*** (იოანე, 20, 31); ამდენად, სახარების მიზანი იყო ქადაგება იესო ქრისტეზე, როგორც ღმერთზე.

„...შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“ (ლუკა, 1, 35), – ასე ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს.

„...ესე არს ძე ჩემი საყუარელი...“ (მარკოზი, 9, 7), – გვეუწყა მაცხოვრის ნათლისღებისა და ფერისცვალების დროს.

„...შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა...“ (ლუკა, 4, 41), – ამ სიტყვების წყალობით დაიდო აღთქმა, რომ სვიმონის ეს აღიარება ქრისტეს ეკლესიის ქვაკუთხედი გახდებოდა.

თავად უფალმა იესო ქრისტემ დაადასტურა, რომ იგი მამა ღმერთის ძეა: ***„ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების“*** (მათე, 11, 27), – აქ უფალი თავის თავზე, როგორც მამა ღმერთის ერთადერთ ძეზე საუბრობს.

სიტყვები „ძე ღვთისა“ რომ არ იქნეს გაგებული გადატანითი ან პირობითი მნიშვნელობით, წმინდა წერილი მას თან ურთავს სიტყვას „მხოლოდშობილი“, ანუ ერთადერთი შობილი მამისაგან.

„და სიტყუაჲ იგი კორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენს შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ...“ (იოანე, 1, 14; იხ. აგრეთვე: 1, 18).

„რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოანე, 3, 16).

წმინდა წერილი, ასევე, ამატებს სიტყვას „ჭეშმარიტი“ და ქრისტეს უწოდებს ჭეშმარიტი ღმერთის ჭეშმარიტ ძეს: ***„ხოლო ვიცით, რამეთუ ძჱ ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი, ცხორებაჲ საუკუნოჲ“*** (1 იოანე, 5, 20).

წმინდა წერილში ძე ღვთისას სახელს ზოგჯერ თან ახლავს სიტყვა ***„თჳსი“*** (ბერძნ. ἴδιος – საკუთარი): ***„რომელმან-იგი ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ ყოველთათჳს მისცა იგი, ვითარ უკუე არა მითურთ ყოველივე მოგუანიჭოს ჩუენ?“*** (რომ. 8, 32).

ღვთის მხოლოდშობილი ძე კაცობრივი სხეულითაც ჭეშმარიტი ღმერთია. როგორც მოციქული ამბობს: ***„რომელთანი იყვნეს მამანი და რომელთაგან ქრისტე ჴორციელად, რომელი-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა, კურთხეულ უკუნისამდე. ამინ“*** (რომ. 9, 5).

ამრიგად, განკაცებულ ქრისტეში წარმოდგენილია მთელი საღვთო სავსება: ***„რამეთუ მას შინა დამკჳდრებულ არს ყოველივე სავსებაჲ ღმრთეებისაჲ ჴორციელად“***(კოლ. 2, 9).

ეს ჭეშმარიტება ქრისტიანული რწმენის საფუძველია – ყოველი ქრისტიანის შეგნებაში მის დასამკვიდრებლად ნიკეაში მოწვეულ იქნა I მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც მსოფლიო ეკლესიის სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი) შეადგინა.

უფალ იესო ქრისტეს კაცობრივი ბუნების შესახებ

ქრისტე მაცხოვარი არის სრული ღმერთი და, იმავდროულად, სრული ადამიანი.

როგორც ადამიანი, იგი იშვა მაშინ, როდესაც მისი დედის, მარიამისთვის ***„...აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი“*** (ლუკა, 2, 6); იგი თანდათანობით ***„...აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა...“*** (ლუკ. 2, 40); როგორც მარიამის შვილი, ის დედასა და მის დამწინდველს ***„...იყო დამორჩილებულ...“*** (ლუკა, 2, 51); როგორც ადამიანი, მოინათლა იორდანეში იოანესგან, გადარჩენის შესახებ ქადაგებით შემოიარა ქალაქები და დაბები; აღდგომამდე არავინ დაეჭვებულა, რომ ის ადამიანია: მას ჰშიოდა და სწყუროდა, სჭირდებოდა ძილი და დასვენება, გრძნობდა ტკივილსა და განიცდიდა ფიზიკურ ტანჯვას.

უფალი ცხოვრობდა ადამიანისათვის ჩვეული ფიზიკური და სულიერი ცხოვრებით. თავის სულიერ ძალებს აძლიერებდა მარხვითა და ლოცვით. მისთვის უცხო არ იყო ადამიანური გრძნობები: სიხარული, მრისხანება თუ დარდი; იგი ღიად გამოხატავდა „აღშფოთებას“, წუხილს; ცრემლები მოერია, როდესაც ლაზარეს სიკვდილი შეიტყო. სახარება აღწერს უფლის უმძაფრესი სულიერი ბრძოლის სურათს გეთსამანიის ბაღში მისი დატყვევების წინა ღამეს: ***„...შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე...“*** (მათე, 26, 38), – უთხრა უფალმა მოწაფეებს.

იესო ქრისტეს გონიერი, დინჯი ადამიანური ნება ყოველ მისეულ კაცობრივ მისწრაფებას მთლიანად უმორჩილებს მისსავე ღვთიურ ნებას. ეს გამაოგნებელი სიცხადით აისახა უფლის ვნებებში, რომელიც ჯერ კიდევ გეთსამანიის ბაღში დაიწყო: ***„...მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმკედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“*** (მათე, 26, 39), ***„...ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!“*** (ლუკა, 22, 42).

მაცხოვრის ჭეშმარიტად სრული კაცობრივი ბუნების შესახებ საუბრობენ წმინდა მამები – **კირილე ალექსანდრიელი:** „თუ მიღებულ ბუნებას არ გააჩნდა ადამიანის გონება, მაშინ გამოდის, რომ ეშმაკს თავად ღმერთი შებრძოლებია და მასვე მოუპოვებია გამარჯვება. თუ ღმერთმა გაიმარჯვა, მაშინ მე, რომელსაც ამისთვის არაფერი გამიკეთებია, მისგან სარგებელს არც უნდა ველოდო; როგორ უნდა გა-

ვიხარო და ვიამაყო სხვისი ნადავლით"; **კირილე იერუსალიმელი:** „თუ განკაცება მოჩვენებითია, მაშინ გამოხსნაც ოცნება ყოფილა". ამგვარადვე მსჯელობდნენ სხვანიც.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲪᲓᲝᲛᲘᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲐᲪ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ – ᲦᲛᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ

ეკლესია ყოველთვის მკაცრად იცავდა უფალ იესო ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ სწორ სწავლებას, რადგანაც მისადმი რწმენას გადარჩენისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა.

ამ საკითხის შესახებ მრავალგვარი ცდომილება არსებობდა – ისინი ორ ჯგუფად ერთიანდებიან: ერთნი უარყოფენ ან აკნინებენ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთს, მეორენი კი მას – როგორც ადამიანს.

1. როგორც უკვე ითქვა (იხ. თავი ყოვლადწმიდა სამების მეორე პირის შესახებ), ქრისტე – ღმერთი უარყო იუდეური ურწმუნოების სულმა, რომელიც მოციქულთა ეპოქაში ებიონის მწვალებლობაში აისახა (მისი სახელი დაერქვა მწვალებელთა ჯგუფს – ებიონიტებს). III საუკუნეში მსგავს სწავლებას ავრცელებდა პავლე სამოსატელი, რომელიც ანტიოქიის ორ კრებაზე ამხილეს. რამდენადმე სხვაგვარი იყო არიოზის ცრუსწავლება და IV საუკუნის არიანული ერესის ნაირგვარი განმარტებანი. მათი მტკიცებით, ქრისტე უბრალო ადამიანი არ არის, იგი ძეა ღვთისა, მაგრამ არა შობილი, არამედ ქმნილი და ყველა შექმნილ სულზე უფრო სრულყოფილი. არიოზის ერესი დაგმო I მსოფლიო კრებამ 325 წელს, ხოლო IV-V საუკუნეებში არიანელობა დეტალურად განიხილეს და უკუაგდეს ეკლესიის დიდმა მამებმა.

V ასწლეულში აღმოცენდა თეოდორე მოფსუესტელის ერესი, რომელსაც მიემხრო კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსი ნესტორი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უფალი იესო ქრისტე მხოლოდ „ატარებს" ღვთაებრივ საწყისს და ამიტომაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უწოდებდნენ ქრისტესმშობელს და არა ღვთისმშობელს. ნესტორის თანახმად, ქრისტე თავისთავში აერთიანებდა ორ ბუნებას და ორ განსხვავებულ პირს – ღვთაებრივსა და კაცობრივს, რომელთაც ჰქონდათ ურთიერთშეხება, მაგრამ დამოუკიდებლად არსებობდნენ. ამავე სწავლებით, იესო ქრისტე დაბადებით იყო ადამიანი და არა ღმერთი. ნესტორის მთავარ მამხილებლად გამოვიდა **წმინდა კირილე ალექსანდრიელი.** ნესტორიანელობა ამხილეს და დაგმეს III მსოფლიო კრებაზე.

2. მეორე ჯგუფის ცდომილებებში უარყოფილია ან დაკნინებული იესო ქრისტე – ადამიანი. პირველი ასეთი ერეტიკოსები იყვნენ დოკეტები; ისინი ხორცსა და მატერიას ბოროტ საწყისად აღიარებდნენ და შეუძლებლად მიიჩნევდნენ, რომ ღმერთი მათ შეერთებოდა. ამ მოსაზრებით ისინი ქრისტეს ხორცს მოჩვენებითს, წარმოსახვითს უწოდებდნენ (ბერძნ. δοκεω – ვეჩვენები).

მსოფლიო კრებათა ეპოქაში მაცხოვრის კაცობრივ ბუნებას მცდარად განმარტავდა კაპადოკიის ეპისკოპოსი აპოლინარიუსი. იგი იესო ქრისტეში აღიარებდა ძე ღვთისას განხორციელების ჭეშმარიტებას, მაგრამ მისი მტკიცებით, მაცხოვრის კაცობრივი ბუნება არასრული იყო. უფრო ზუსტად, იგი ამბობდა, რომ კაცობრივი ბუნება სამი ნაწილისგან შედგებოდა და ასწავლიდა, რომ იესო ქრისტეს ჰქონდა ადამიანური სამშვინველი და სხეული, ხოლო სული (ან „გონი“) – ღვთაებრივი. მისი აზრით, ეს უკანასკნელი შეადგენდა მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებას, რომელიც მას ჯვარზე ტანჯვის დროს განეშორა. ამ „ბრძნობის“ უარსაყოფად წმინდა მამები განმარტავდნენ, რომ ადამიანის არსებას ძირითადად მისი თავისუფალი სული შეადგენს; ზუსტად სული დაეცა, რადგან თავისუფალი იყო; რაც დაზიანდა, გადარჩენაც მას სჭირდებოდა. ამიტომაც მაცხოვარს დაცემული ადამიანის აღსადგენად თავად ჰქონდა კაცობრივი ბუნების ეს არსებითი ნაწილი. ანუ, იგი ფლობდა ადამიანური სულის არა ოდენ დაბალ, არამედ მაღალ მხარეებსაც. V საუკუნის ერესი, რომელმაც ასევე დაამცირა ქრისტე–ადამიანი, მონოფიზიტობა იყო. იგი აღმოცენდა ალექსანდრიელ მონოზონთა გარემოში და მიმართული იყო მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების დამამცირებელი ნესტორიანელობის წინააღმდეგ. მონოფიზიტები თვლიდნენ, რომ იესო ქრისტეში ხორციელი საწყისი შთანთქა სულიერმა, ადამიანური – ღვთაებრივმა და ამიტომ აღიარებდნენ ისინი ქრისტეს ერთბუნებოვნებას. მონოფიზიტობა, რომელსაც აგრეთვე ევტიქის ერესი ეწოდებოდა, უკუგდებულ იქნა ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე.

უარყოფილი მონოფიზიტური ერესის განშტოება იყო მონოთელიტების სწავლება (ბერძნ. θελημα – სურვილი, ნება), რომლის მიხედვით ქრისტეში ერთი ნება მოიაზრებოდა. იმის შიშით, რომ არ ეცნოთ ქრისტეს ადამიანური ნება და ამით დაეშვათ ორი პირის არსებობა, მათ ქრისტეში მარტო ღვთაებრივი ნება აღიარეს. მაგრამ, როგორც ეკლესიის მამებმა ცხადყვეს, ასეთმა სწავლებამ გააუფასურა ქრისტეს მიერ კაცობრიობის გადასარჩენად გაღებული მსხვერპლის მნიშვნელობა და დააკნინა კაცობრივი თავისუფალი ნების საღვთო ნებისადმი დამორჩილების ღვაწლი: ***„...ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!“*** (ლუკა, 22, 42), – ასე ლოცულობდა უფალი. მონოთელიტური ცდომილება უარყო VI მსოფლიო კრებამ.

ძველი ეკლესიის ისტორიაში არსებული ცდომილებების ორივე მიმართულება აგრძელებს არსებობას და ღიად თუ დაფარულად იმკვიდრებს ადგილს ბოლო საუკუნეების პროტესტანტიზმში, რომელიც ძირითადად ამ მიზეზთა გამო თავს არიდებს მსოფლიო კრებების დოგმატური განწესებების აღიარებას.

უფალ იესო ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნების შეერთების გვარობა

სამ მსოფლიო კრებაზე: ეფესოს III (ნესტორის წინააღმდეგ), ქალკედონის IV (ევტიქის წინააღმდეგ) და კონსტანტინოპოლის VI (მონოთელიტების წინააღმდეგ), ეკლესიამ განაცხადა დოგმატი, რომლის თანახმად უფალი იესო ქრისტე **ერთჰიპოსტასოვანი** და ორბუნებოვანია (ღვთაებრივი და კაცობრივი), ამასთან აქვს ორი ნება, რომელთაგან კაცობრივი მთლიანად ემორჩილება საღვთო ნებას.

431 წელს ეფესოს III კრებაზე მოიწონეს **წმინდა კირილე ალექსანდრიელის** სარწმუნოების გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, „უფალ იესო ქრისტეს ერთიან ჰიპოსტასში შეერთებულია ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება. ამ განსხვავებულ ბუნებათა შეერთების გზა გამოუთქმელია და ამოუხსნელი“.

ქალკედონის IV კრებამ, 451 წელს, წერტილი დაუსვა მონოფიზიტობას და ზუსტად ჩამოაყალიბა უფალ იესო ქრისტეში ორი ბუნების შეერთების გვარობა და ამ შეერთების არსი საიდუმლოდ და ამოუხსნელად გამოაცხადა. ქალკედონის კრების განჩინება ამბობს: „წმინდა მამათა მიმდევარნი, ყველანი ერთხმად აღვნიშნავთ: აღიარებულ იქნას ერთი და იგივე ძე, უფალი იესო ქრისტე, როგორც სრული ღმერთი და სრული ადამიანი, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანი – იმავე სხეულისა და გონიერი სულისაგან. მამისა თანაარსი ღვთაებრივად და ჩვენი – კაცობრივად. ჩვენი მსგავსია ყველაფრით, გარდა ცოდვისა. იგი იშვა უწინარეს საუკუნეთა მამისაგან ღვთაებრივად, ხოლო ბოლო ჟამს ჩვენთვისა და ჩვენი გადარჩენისთვის იშვა კაცობრივად ქალწულ ღვთისმშობელ მარიამისაგან. ვაღიარებთ ერთსა და იმავე ქრისტეს, ძეს, უფალს, მხოლოდშობილს, რომელშიც ორი ბუნება შეიცნობა **შეურევნელად, უცვლელად, განუყოფელად და განუშორებლად...** არა ორ პიროვნებად განკვეთილს ან განყოფილს, არამედ ერთსა და იმავე ძეს და მხოლოდშობილ სიტყვას ღვთისას, უფალ იესო ქრისტეს, როგორც (ასწავლიდნენ) ძველად წინასწარმეტყველნი და როგორც თავად უფალმა იესო ქრისტემ გვასწავლა და როგორც მამათა სიმბოლომ გადმოგვცა“.[1]

ბუნებათა შეერთების გვარობას ქალკედონის განჩინება შემდეგი სიტყვებით განმარტავს:

„**შეურევნელად, უცვლელად** (ან გარდაუქმნელად)“ – ქრისტეში ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნებანი არ ერწყმიან და არ ხდება მათი ურთიერთში გარდაქმნა.

„**განუყოფელად და განუშორებლად**“ – ორი ბუნება შეერთებულია სამარადჟამოდ, მაგრამ ისინი არ ქმნიან ორ პირს, რომელნიც მხოლოდ ზნეობრივად არიან შეერთებულნი, როგორც ამას ნესტორი ასწავლიდა;

არამედ განუყოფელნი არიან ჩასახვის მომენტიდან (ჯერ ადამიანი კი არ შეიქმნა და შემდგომ შეუერთდა მას ღმერთი, არა – ღმერთი-სიტყვა დაეშკვიდრა ქალწულ მარიამის წიაღში და შეისხა განსულიერებული კაცობრივი ხორცი); განუყოფელნი არიან ჯვარცმული მაცხოვრის ტანჯვისა და სიკვდილის, აღდგომისა და ამაღლების დროს და ასე დარჩებიან უკუნითი უკუნისამდე. განღმრთობილი ხორცით მოვა უფალი იესო ქრისტე თავისი მეორედ მოსვლის ჟამს.

დასასრულ, 680 წელს, VI მსოფლიო კრებამ (კონსტანტინოპოლის III) დაადგინა: აღიარებულ იქნეს ქრისტეში ორი ნება და ორი ქმედება „... ორი ბუნებითი ნება ურთიერთს არ ეწინააღმდეგება... მისი კაცობრივი ნება არ უპირისპირდება და ებრძვის, არამედ მთლიანად დამორჩილებულია მის საღვთო, ყოვლისშემძლე ნებას“.

ღვთაებრივ ბუნებასთან შეერთებული კაცობრივი ბუნება, ან წმინდა მამათა გამოთქმით – „ხორცი უფლისა“, გამდიდრდა საღვთო ძალებით და თავისი თვისებებიდანაც არაფერი მოჰკლებია – იგი თანაზიარი გახდა საღვთო **ღირსებისა და არა არსისა**. VI მსოფლიო კრების თანახმად, განღმრთობილი „ხორცი“ არ გამქრალა, იგი დარჩა „საკუთარ საზღვრებში“.

შესაბამისად, ქრისტეში არც **კაცობრივი ნება** შეუცვლია ღვთაებრივ ნებას. ის არ განადგურებულა, არამედ დარჩა სრული და ქმედითი და უფალმა მთლიანად დაუქვემდებარა ის ღვთაებრივ ნებას, რომელიც მას და მამას ერთი აქვთ: ***„რამეთუ გარდამოვჴედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ“*** (იოანე, 6, 38).

ღირსი იოანე დამასკელი თავის ნაშრომში „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ ასე მსჯელობს უფალ იესო ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნების შეერთების შესახებ: „როგორც ვაღიარებთ უცვლელ და გარდაუქმნელ განკაცებას, ასევე აღვიქვამთ **ხორცის განღმრთობის** მოვლენასაც, რადგან იმ მიზეზით, რომ სიტყვა განხორციელდა, მას არ გადაულახავს თავისი საღვთო საზღვრები და არ დაუკარგავს მისთვის ნიშანდობლივი ღვთივმშვენიერი ღირსებანი. არც განღმრთობილი ხორცის ბუნება გარდაქმნილა და არც მისი ჩვეული თვისებები შეცვლილა, რადგან შეერთების შემდგომაც დარჩნენ შეურევნელი ბუნებანი და მათი თვისებები კი – უვნებელნი. უფლის ხორცი სიტყვასთან სრულიად შეურევნელი, ანუ ჰიპოსტასური შეერთებით გამდიდრდა საღვთო ძალებით და, ამასთან, თავისი ბუნებითად ჩვეული თვისებები ოდნავადაც არ დაუკარგავს, რადგანაც ღვთაებრივ ქმედებებს საკუთარი ძალით არ ასრულებდა. ეს მისი საშუალებით ხდებოდა მასთან შეერთებული ღმერთ-სიტყვის ძალის გამოვლენა. გავარვარებული რკინაც წვავს, მაგრამ დაწვის ძალა მისი ბუნებითი თვისება კი არ არის, მან ეს შეიძინა ცეცხლთან შეერთების შედეგად“.

ქრისტეში ორი ბუნების შეერთებას ღირსი იოანე დამასკელი განსაზღვრავს, როგორც „ურთიერთშეერთებულს“.[2]

რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ქრისტეში ორი ბუნების შეერთების გვაროვნების გამოძიებისას კრებებსა და ეკლესიის მამებს ერთი მიზანი ჰქონდათ – გაემიჯნათ სარწმუნოება ერეტიკოსთა ცდომილებებისაგან. ამასთან, მათ არ უცდიათ, ბოლომდე გაეხსნათ თავად შეერთების, ანუ ქრისტეში ადამიანური ბუნების იდუმალი გარდასახვის არსი. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ქრისტე კაცობრივი სხეულით დაჯდა მარჯვენით მამისა და კაცობრივი ხორცითვე მოვა დიდებით განსჯად სოფლისა და მის მეუფებას არ ექნება დასასრული. მთელ მსოფლიოში მორწმუნენი ყოველთვის ევქარისტიის საიდუმლოს საშუალებით ეზიარებიან უფლის ცხოველმყოფელ ხორცსა და სისხლს.

იესო ქრისტეს კაცობრივი ბუნების უცოდველობის შესახებ

V მსოფლიო კრებამ დაგმო თეოდორე მოფსუესტელის ცრუსწავლება. იგი ამტკიცებდა, თითქოს იესო ქრისტესთვის უცხო არ იყო შინაგანი ცდუნებანი და ვნებათა ჭიდილი. თუ საღვთო წერილი ამბობს, რომ ძე ღვთისა მოვიდა ***„...ხორცთა მათ ცოდვისათა...“*** (რომ. 8, 3), ამით მხოლოდ ხაზს უსვამს, რომ ეს ხორცი ჭეშმარიტად კაცობრივი იყო. მაგრამ იგი არ ატარებდა ცოდვას, პირიქით, სრულიად სუფთა იყო ყოველგვარი ცოდვისაგან – პირველქმნილი იქნებოდა იგი თუ ნებელობითი. უფალი თავისი მიწიერი ცხოვრების ჟამს ყოველგვარი ცოდვიანი სურვილისა და შინაგანი ცთუნებისაგან თავისუფალი იყო, რადგან კაცობრივი ბუნება მასში არსებობს არა დამოუკიდებლად, არამედ ჰიპოსტასურად არის ღმერთთან შეერთებული.

ქრისტეს ჰიპოსტასის ერთიანობა

ორი ბუნების შეერთებით ქრისტე-ღმერთკაცში არსებობს ერთი პირი, ერთი პიროვნება, ერთი ჰიპოსტასი. ამის ცოდნა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ პიროვნების ერთიანობით არის განპირობებული აზროვნებისა და შეგნების ერთიანობა. ქალკედონის მრწამსის განსაზღვრაში ვკითხულობთ: „... (ვაღიარებთ) ერთსა და იმავე ძეს და მხოლოდშობილ სიტყვას ღვთისას და არა ორ პირად გაჭრილს და განყოფილს...“. სიტყვა-ღმერთის განუყოფელი, ერთიანი ჰიპოსტასი ღვთაებრივ ჰიპოსტასს წარმოადგენს. ეს ჭეშმარიტება გამოითქვა იოანეს სახარების პირველ თავში: ***„პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“*** (იოანე, 1, 1), აგრეთვე, ***„და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის...“***(იოანე, 1, 14). ამ მიზეზით წმინდა წერილში ზოგან

ქრისტე-ღმერთს ადამიანისთვის დამახასიათებელი, ზოგან კი ქრისტე-ადამიანს ღვთაებრივი თვისებები მიეწერება. მაგალითად: ***„...უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს-ეცუა“*** (1 კორ. 2, 8). აქ ჯვარცმულად მოიხსენიება უფალი დიდებისა, ღმერთი („უფალი დიდებისა“ რომ ღმერთს აღნიშნავს, ამას ფსალმუნში ვკითხულობთ: ***„ვინ არს ესე, მეუფჱ დიდებისაჲ? უფალი ძალთაჲ თავადი არს მეუფჱ დიდებისაჲ“*** – ფს. 23, 10). ქრისტეს ჰიპოსტასის ერთიანობის ჭეშმარიტებას, როგორც საღვთო ჰიპოსტასისას, განმარტავს **ღირსი იოანე დამასკელი** ნაშრომში „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“.[3]

ქრისტესადმი ერთიანი თაყვანისცემის შესახებ

უფალ იესო ქრისტეს, როგორც ერთ პირსა და ღმერთკაცს, შეჰფერის ერთიანი, განუყოფელი თაყვანისცემა ღვთაებრივადაც და ადამიანურადაც, რადგან მასში ეს ორი ბუნება განუყოფლადაა შეერთებული. V მსოფლიო კრების მამები განმარტავენ (მე-9 მუხლი მწვალებელთა წინააღმდეგ): „თუ ვინმე იტყვის, რომ ქრისტეში უნდა თაყვანისიცემებოდეს მის ბუნებათაგან თითოეული და ამით შემოაქვს ორი თაყვანისცემა: ღმერთი სიტყვისადმი და ადამიანისადმი ცალ-ცალკე და არ სცემს თაყვანს ერთიანი თაყვანისცემით სიტყვას, რომელიც კაცობრივ ბუნებაში განხორციელდა, გაითავისა და დაისაკუთრა იგი, როგორც ეს ყოველთვის სწამდა ეკლესიას და აღიარებდა მას უწყვეტი გადმოცემის საფუძველზე – შეჩვენებულ იქნეს!“

ამ კრების განჩინებიდან გამომდინარე, ეკლესიის სულსა და პრაქტიკასთან შეუსაბამოდ წარმოგვიდგება რომაული კათოლიციზმის მიერ შემოტანილი **„იესოს გულის“ კულტი**. V მსოფლიო კრების ზემომოყვანილი განჩინება უარყოფს მაცხოვრის ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების ცალკ-ცალკე თაყვანისცემას, ამასთან, იგი გარკვეულწილად შეგვაგონებს, რომ პატივი და თაყვანისცემა ეკუთვნის მთლიანად ქრისტეს და არა მისი არსების ნაწილებს. მაშინაც, თუკი „გულს“ გავაიგივებთ მაცხოვრის სიყვარულთან, უნდა ითქვას, რომ არც ძველ, არც ახალ აღთქმაში, არასოდეს უციათ თაყვანი ღვთიური სიყვარულის ზესიბრძნისათვის, შემოქმედებითი თუ განგებულებითი ძალისა ან სიწმინდისათვის ცალ-ცალკე. ეს მით უფრო აღსანიშნავია ხორციელი საწყისის ნაწილებთან მიმართებაში. არის რაღაც არაბუნებრივი, როდესაც გამოაცალკევებ უფლის საერთო ხორციელი ბუნებიდან გულს, რათა მის წინაშე ილოცო და ქედი მოიხარო. ჩვეულებრივ, ყოფით ურთიერთობებშიც ასეა: რაოდენ ახლობელნიც არ უნდა იყვნენ ადამიანები (მაგალითად, დედა-შვილი), ისინი არასოდეს მიუძღვნიან თავიანთ გრძნობას საყვარელი ადამიანის მხოლოდ გულს – მათ მთლიანად პიროვნება უყვართ.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დოგმატები

ღმერთი-სიტყვის განკაცების დოგმატს უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება ორი დოგმატი ღვთისმშობლის შესახებ, ესენია: ღვთისმშობლის მარადისქალწულობა და მისი ღვთისმშობლად სახელდება.

ისინი უშუალოდ გამომდინარეობენ უფლის ჰიპოსტასური ერთიანობის დოგმატის, უფრო ზუსტად – **საღვთო ჰიპოსტასის** განხორციელების დოგმატიდან.

ღვთისმშობლის მარადისქალწულობა

უფალ იესო ქრისტეს ქალწულისაგან შობას ჩინებულად და პირდაპირ ადასტურებს ორი მახარებელი: მათე და ლუკა. ეს დოგმატი შეტანილია პირველი მსოფლიო კრების სარწმუნოების სიმბოლოში, სადაც ვკითხულობთ: ***„ჩვენთჳს, კაცთათჳს და ჩუენისა ცხოვრებისათჳს გარდამოხდა ზეცით, და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა“.*** ღვთისმშობლის **მარადისქალწულობა** სახარებაში მოყვანილი მისივე სიტყვებით მტკიცდება, საიდანაც ჩანს, რომ მარიამს შეგნებული აქვს საკუთარი **რჩეულობის განუზომელი სიდიადე და სიმაღლე: *„...ადიდებს სული ჩემი უფალსა, ...რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესავნი; რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან...“*** (ლუკა, 1, 46, 48, 49). ყოვლადწმიდა ქალწული გულსა და გონებაში იმარხავდა გაბრიელ მთავარანგელოზის მოკითხვასა და მართალი ელისაბედის მონახულებისას მის შთაგონებულ ნათქვამს: ***„და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა?“*** (ლუკა, 1, 43); ახსოვდა ტაძარში მისვლისას მოსმენილი მართალი სვიმეონის სიტყვები ყრმა იესოსადმი და, იმავდროულად, მართალი ანას წინასწარმეტყველება. მახარებელი გადმოგვცემს ბეთლემის მწყემსთა მონათხრობს მათთვის ანგელოზის ნათქვამისა და ანგელოზთა დიდებისმეტყველების შესახებ, თანაც დასძენს: ***„ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა შინა თჳსსა“*** (ლუკა, 2, 19). იგივე მახარებელი მოგვითხრობს დედაღვთისას საუბარზე თორმეტი წლის ყმაწვილ იესოსთან, პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში ყოფნის შემდგომ და დასძენს: ***„... ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა“*** (ლუკა, 2, 51). მახარებლები აგრეთვე გვამცნობენ, თუ როგორ ესმოდა მარიამის ამა სოფლად მსახურების სიდიადე მის ქმრად წოდებულ მართალ იოსებს, რომლის ქმედებანიც არაერთხელ წარმართა ანგელოზმა.

ერეტიკოსნი და მკრეხელნი უარს აცხადებენ აღიარონ ღვთისმშობლის მარადისქალწულობა იმ მოტივით, რომ სახარებაში ნახსენებია იესოს

„ძმები და დები“. ამას თუნდაც სახარებიდან შემდეგი მონაცემების ურთიერთშეჯერება განაქარწყლებს:

ა) მახარებლები ასახელებენ ოთხ „ძმას“: იაკობს, ოსიას, სიმონსა და იუდას, აგრეთვე, სულ მცირე, სამ „დას“, როგორც შემდეგი სიტყვებიდან დასტურდება: ***„...დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიანა?...“*** (მათე, 13, 56);

ბ) თორმეტი წლის იესოს იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ ნაამბობში მახარებლები ახსენებენ „ნათესავთა და მეცნიერთა“, რომელთა შორისაც ეძებდნენ მას. აქვე ვიგებთ, რომ მარიამი და იოსები შორეული გალილეადან ყოველწლიურად დადიოდნენ იერუსალიმში, რაც არ გვაძლევს საბაბს, ვივარაუდოთ, თითქოს მარიამს სხვა, უმცროსი შვილებიც, ჰყავდა. ასე განვლო უფლის დედამიწაზე ცხოვრების პირველმა თორმეტმა წელიწადმა;

გ) და აღნიშნული მოგზაურობიდან ოცი წლის შემდეგ უფლის ჯვარცმასთან მდგომი მარიამი მარტო აღმოჩნდა. ძე ღმერთმა დედა იოანე ღვთისმეტყველს ჩააბარა. ***„...და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა“*** (იოანე, 19, 27). ცხადია, და ასეც ესმოდათ ძველ ქრისტიანებს, რომ მახარებლები ლაპარაკობენ იესო ქრისტეს „ნახევარ“ და-ძმებსა ან ბიძაშვილებზე.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი ღვთისმშობელია

ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ღვთისმშობლად **სახელდება უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება ძე ღვთისას განკაცების დოგმატს. ამ წოდებით ეკლესია ადასტურებს, რომ სწამს ღმერთი-სიტყვის ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი განკაცება. აღიარებს, რომ უფალ იესო ქრისტეში ღმერთი შეუერთდა ადამიანს ქალწულ მარიამის წიაღში მისი ჩასახვისთანავე, მიიჩნევს, რომ იესო ქრისტე სრული ადამიანი და სრული ღმერთია.**

გარდა ამისა, ქალწულ მარიამის განსადიდებლად და საქებრად ყველაზე მეტად შესაფერისია მისი ღვთისმშობლად სახელდება.

სახელი „ღვთისმშობელი“ უშუალოდ წმინდა წერილიდან წარმოდგება. პავლე მოციქული წერს: ***„ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან...“*** (გალ. 4, 4), ანუ გვაუწყებს ჭეშმარიტებას, რომ დედაკაცმა შვა ძე ღვთისა. ***„...ღმერთი გამოჩნდა კორცითა...“*** (1 ტიმ. 4, 16), სხვაგვარად – ღმერთმა-სიტყვამ ხორცი ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან შეისხა.

ხარების შემდგომ ქალწული მარიამი შეხვდა მართალ ელისაბედს, რომელიც ***„...აღივსო სულითა წმიდითა... და კმა-ყო კმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა***

შენისაჲ! და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა? და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულებაჲ თქ-მულთაჲ მათ მისა მიმართ უფლისა მიერ“ (ლუკა, 1, 41-43, 45). ამრიგად, სულიწმიდით აღვსილი ელისაბედი მარიამს ზეციერი უფალი ღმერთის დედად მოიხსენიებს. ელისაბედი რომ უფალში ზეციერ ღმერთს გულისხმობს, შემდეგი სიტყვებიდან დასტურდება: ***„...ჰრწმენეს ... თქმულთაჲ მათ მისა მიმართ უფლისა მიერ“*** (ლუკა, 1, 45).

ქალწულისაგან ღმერთის შობის შესახებ ძველი აღთქმის წმინდა წერილიც იუწყება:

წინასწარმეტყველი ეზეკიელი მოგვითხრობს თავის ხილვას: ***„და თქუა ჩემდამო უფალმან: ბჭე ესე დაკშულ იყოს, არა განეღოს და არცა ერთი ვინ არა განვიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაილისაჲ შევიდეს მის მიერ, და იყოს დაკშულ“*** (ეზეკ. 44, 2).

ესაია წინასწარმეტყველი გვაუწყებს: ***„აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი. რამეთუ ყრმა იშვა ჩუენდა ძე, და მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავ-რობაჲ იქმნა მკარსა ზედა მისსა და ჰრქჳან სახელი მისი – დიდისა განზრახ-ვისა ანგელოზი, საკვირველი თანგანმზრახი, ღმერთი ძლიერი, კელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნოსა“*** (მათე, 1, 23; ეს. 9, 6).

ქრისტეს ეკლესიის პირველ საუკუნეებში ქალწულ მარიამისაგან ღმერთი-სიტყვის განხორციელებისა და შობის ჭეშმარიტება ქრისტიანული კათოლიკე სარწმუნოების ქვაკუთხედი გახდა. ამიტომ ამბობენ მოციქულთა მოწაფენი: „ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე მარიამის წიაღში იყო“; „ღმერთმა ხორცი ქალწულ მარიამისაგან მიიღო“ **(წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი, ირინეოს ლიონელი).** ამავე აზრს ავითარებენ **წმინდა დიონისე ალექსანდრიელი და ალექსანდრე ალექსანდრიელი** (III-IV სს.); ხოლო IV საუკუნის მამები: **წმინდა ათანასე დიდი, ღირსი ეფრემ ასური, წმინდა კირილე იერუსალიმელი, წმინდა გრიგოლ ნოსელი** ყოვლადწმიდა ქალწულს ღვთისმშობლად მოიხსენიებენ.

V საუკუნეში III მსოფლიო კრებაზე ეკლესიამ საზეიმოდ გამოაცხადა ყოვლადწმიდა ქალწული ღვთისმშობლად. ამასთან, ნესტორის ერესთან დაკავშირებით მიიღო და დაადასტურა **წმინდა კირილე ალექსანდრიელის** შემდეგი სიტყვები: „ვინც არ აღიარებს, რომ ემანუილი არის ჭეშმარიტი ღმერთი და, ამიტომ, ყოვლადწმიდა ქალწული – ღვთისმშობელი, რადგანაც მან ხორციელად შვა განხორციელებული სიტყვა ღვთისა, – შეჩვენებულ იქნეს!“

ნეტარი თეოდორიტე, რომელსაც ნესტორთან თავდაპირველად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, შემდგომში გმობდა მის მწვალებლურ ახირებას და წერდა: „ნესტორის მიერ სიახლეთა შემოტანის პირველი საფეხ-

ური იყო აზრი, თითქოს წმინდა ქალწული, რომლისგანაც მიიღო ხორცი და იშვა ხორციელად ღმერთი-სიტყვა, არ უნდა ვაღიაროთ ღვთისმშობლად, არამედ ქრისტესმშობლად. ეს მაშინ, როცა ჭეშმარიტი სარწმუნოების ძველი და ძველთაძველი მაუწყებლები ასწავლიდნენ: სამოციქულო გადმოცემის თანახმად დედა ღვთისა ღვთისმშობლად მოიხსენიონ და აღიარონ“.

რომის ეკლესიის მიერ ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვისა და ხორციელი ამაღლების დოგმატთა აღიარების შესახებ

უბიწო ჩასახვის დოგმატი აღიარა პაპმა პიუს IX 1854 წელს გამოცემულ ბულაში. დოგმატის განმარტებით, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი ჩასახვისთანავე განიწმინდა პირველმშობელთა ცოდვისაგან. დოგმატი პირდაპირი შედეგია პირველქმნილ ცოდვაზე რომის სწავლებისა, რომლის მიხედვით, პირველმშობელთა ცოდვის შედეგად კაცობრიობას წაერთვა მადლმოსილების ზებუნებრივი ნიჭი. მაგრამ აქვე ჩნდებოდა საღვთისმეტყველო ხასიათის კითხვა: თუ მთელმა კაცობრიობამ დაკარგა მადლმოსილება, მაშინ როგორღა გავიგოთ მთავარანგელოზ-მახარებლის სიტყვები მარიამისადმი: ***„...გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. ...რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა“*** (ლუკა, 1, 28, 30). მაშინ იძულებულნი გახდნენ, განემარტათ, რომ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი „მადლმოსილების დაკარგვის“ საერთო კანონიდან **გამონაკლისს** წარმოადგენდა და ადამის ცოდვის დანაშაული მასზე არ გავრცელებულა; და რადგანაც იგი დაბადებიდანვე უბიწოდ ცხოვრობდა, მაშასადამე, მან, როგორც გამონაკლისმა, ზებუნებრივი **ნიჭი** – სიწმინდის მადლი – დაბადებამდე, უფრო ზუსტად – ჩასახვისთანავე მიიღო. ასე დაასკვნეს ლათინმა ღვთისმეტყველებმა და ამ გამონაკლისს ღვთისმშობლის „პრივილეგია“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ამ დოგმატის აღიარებას დასავლეთში წინ უძღოდა საღვთისმეტყველო ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც დაიწყო XII საუკუნიდან (სწავლების გაჩენიდან) და გაგრძელდა XVII საუკუნემდე, როცა იეზუიტებმა ის რომაულ-კათოლიკურ სამყაროში გაავრცელეს.

„საიუბილეო“, 1950 წელს, რომის პაპმა პიუს XII-მ საზეიმოდ გამოაცხადა მეორე დოგმატი – ღვთისმშობლის ზეცად ხორციელი ამაღლების შესახებ. დოგმატური თვალსაზრისით იგი რომაულ ღვთისმეტყველებაში მიღებული უბიწო ჩასახვის დოგმატს ეფუძნება და პირველქმნილ ცოდვაზე რომაული სწავლებიდან გამომდინარე ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს. ამ დოგმატის მიხედვით, ღვთისმშობელს, როგორც პირველქმნილი ცოდვის საერთო კანონიდან გამონაკლისს, ჩასახვისთანავე მიეცა ზებუნებრივი ნიჭნი, რომლებიც ცოდვით დაცემამდე ჰქონდათ პირველმშობლებს: სიმართლე და უკვდავება. ასე რომ, ღვთისმშობელი არ უნდა დაქვემდებარებოდა სხეულით

სიკვდილის კანონს. და თუ იგი მაინც აღსრულდა, რომაელ ღვთისმეტყველთა მსჯელობით, მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავისი ძის მსგავსად, სიკვდილი კეთილნებელობით მიიღო. მაგრამ სიკვდილმა მასზე ვერ იბატონა.

ორივე დოგმატის გამოცხადება „დოგმატთა განვითარების“ რომაული თეორიის შესაბამისად მოხდა. მართლმადიდებელი ეკლესია არ იღებს პირველქმნილ ცოდვაზე ლათინთა მსჯელობის სისტემას; იგი აღიარებს პიროვნულად სრულად უბიწო და სრულად წმინდა ღვთისმშობელს, რომელიც უფალმა იესო ქრისტემ თავისი შობით ღირს-ქმნა – ყოფილიყო ქერუბიმებზე უპატიოსნესი და უზაესთაეს სერაბიმებზე აღმატებული. ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესია უსაფუძვლოდ მიიჩნევდა და მიიჩნევს რომაული კათოლიციზმის განმარტებებით დადგენილი უბიწო ჩასახვის დოგმატის მიღებას. მაგრამ პატივს მიაგებს ღვთისმშობლის ჩასახვას, ისე როგორც პატიოსანი წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა – იოანესი. ერთი მხრივ, ვხედავთ, რომ ღმერთს ცოდვით დაცემის შემდგომაც არ წაურთმევია კაცობრიობისათვის მადლმოსილი ნიჭნი, როგორც ამას 50-ე და 70-ე ფსალმუნები გადმოგვცემენ: ***„...სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. ...სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე“*** (ფს. 50, 13, 14); ***„შენდამი განვმტკიცენ საშოჲთგან, დედის მუცლით ჩემითგან შენ ხარ ჩემი მფარველი; შენდამი არს გალობაჲ ჩემი მარადის“*** (ფს. 70, 6). მეორე მხრივ, წმინდა წერილის სწავლების თანახმად, ადამში მთელმა კაცობრიობამ იგემა აკრძალული ნაყოფი: მისი სახით ***„...ყოველთა შესცოდეს“*** (რომ. 5, 12). მხოლოდ ღმერთკაც-ქრისტეთი იწყება ახალი კაცობრიობა, მან გაათავისუფლა ადამიანი ადამის ცოდვისაგან. ამიტომ ეწოდა მას ***„...პირმშო მრავალთა შორის ძმათა“***(რომ. 8, 29), ანუ კაცთა მოდგმაში პირველი, **ახალი ადამი**. „ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დაიბადა, როგორც ყველა, ადამის ცოდვის თანაზიარად და კაცთა მოდგმასთან ერთად გაინაწილა გამოსყიდვის აუცილებლობა“.[4] მთავარანგელოზის ხარებამდე ქალწულ მარიამის უბიწო, წმინდა ცხოვრება და პირადი უცოდველობა იყო ნაყოფი მისი სულიერი შრომისა და მასზე უხვად გარდამოსული მადლისა: ***„...ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა“*** (ლუკა, 1, 30) – ეუბნება მას მთავარანგელოზი მოკითხვისას („ჰპოვე“ – ანუ მიაღწიე, მოიპოვე, დაიმსახურე). ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილმა განამზადა, როგორც ღირსეული ჭურჭელი ღმერთი-სიტყვის დედამიწაზე მოსავლენად. სულიწმიდის გარდამოსვლამ ***(„...სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა...“*** – ლუკა, 1, 35) სრულად განწმინდა ქალწულ მარიამის წიაღი ღმერთ-სიტყვის მისაღებად.

უნდა ვაღიაროთ, რომ თავად წინასწარი „პრივილეგიის“ პრინციპი როგორღაც არ ესადაგება ქრისტიანული აზროვნების წესს, რადგან ***„არა არს თუალთ-ღებაჲ ღმრთისა თანა“*** (რომ. 2, 11).

რაც შეეხება ღვთისმშობლის დასაფლავების შემდგომ მისი ხორციელად ამაღლების შესახებ გადმოცემას, მისდამი რწმენა არსებობს მართლმადიდებელ ეკლესიაში და გამოხატულია ღვთისმშობლის მიძინების სადღესასწაულო მსახურებაში. აგრეთვე, აღმოსავლეთის პატრიარქთა 1672 წლის იერუსალიმის კრების აღსარებაში. **ღირსი იოანე დამასკელი** მიძინების შესახებ მე-2 სიტყვაში მოგვითხრობს, რომ როდესაც იმპერატორმა დედოფალმა პულხერიამ (V საუკუნე) ააგო ტაძარი კონსტანტინოპოლში, სთხოვა იერუსალიმის პატრიარქს, ქალკედონის კრების მონაწილე იუბენალს, მისთვის ებოძებინა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ნაწილები ტაძარში დასაბრძანებლად. მაგრამ იუბენალმა უპასუხა, რომ ძველი გადმოცემით, ღვთისმშობელი მარიამის სხეული აყვანილ იქნა ზეცად და თან დაურთო ცნობილი ამბავი, თუ როგორ სასწაულებრივად შეიკრიბნენ მოციქულები ღვთისმშობლის დაკრძალვაზე; როგორ გაიხსნა საფლავი თომა მოციქულის მოსვლის შემდგომ და მასში სხეული არ აღმოჩნდა; და როგორ დაადგინეს მოციქულებმა, რომ მისი სხეული ზეცად ამაღლდა. საეკლესიო წერილობითი მოწმობანი მოცემულ საკითხზე შედარებით გვიანი დროით თარიღდება (არა უადრეს VI საუკუნისა) და მართლმადიდებელი ეკლესია, მათდამი მთელი თავისი პატივისცემის მიუხედავად, დოგმატური ხასიათის წყაროდ არ მიიჩნევს. ეკლესიამ მიიღო გადმოცემა ღვთისმშობლის ხორციელი ამაღლების შესახებ, მაგრამ არ მიაკუთვნა და არც აკუთვნებს ამ კეთილწესიერ გადმოცემას ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად ჭეშმარიტებებს – დოგმატებს.

ყოვლადწმიდა ქალწულის გულის კულტი რომის ეკლესიაში

იესოს გულის თაყვანისცემასთან ერთად, რომის ეკლესიამ დაადგინა და საყოველთაოდ გაავრცელა ყოვლადწმიდა ქალწულის „უბიწოდ ჩასახული გულის“ კულტი. მასზე ძირითადად იმავეს თქმა შეიძლება, რაც უკვე იესოს გულის თაყვანისცემასთან დაკავშირებით აღინიშნა.

გამოსყიდვის დოგმატი

„...ჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიღუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იოანე, 1, 29).

გადარჩენის (ცხონების) დოგმატი – ქრისტიანობის **ცენტრალური დოგმატია**. ქრისტე არის გამომსყიდველი და მაცხოვარი კაცთა მოდგმისა. ძველი აღთქმა ცხადად გადმოგვცემს, რომ ადამიანების **განმზადება** ამქვეყნად ძე ღვთისას მოსასვლელად კაცობრიობის მთელი წინა ისტორიის მანძილზე ხდებოდა. კაცობრიობის ისტორია უფლის აღდგომისა და ამაღლების შემდგომ არის მორწმუნეთა მიერ უკვე აღსრულებული მათი გადარ-

ჩენის **განხორციელება,** აღქმა და შეთვისება. გადარჩენის უდიდესი საქმე დამთავრდება ან განსრულდება სამყაროს დასასრულთან ერთად. კაცობრიობის ისტორიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ჯვარი და აღდგომა.

ადამიანის გონება ვერ აღიქვამს ჩვენი მაცხოვრის მიერ აღსრულებული ღვაწლის მთელ სავსებას. არც აღწერით და არც ჩამოთვლით მას არ ძალუძს, დაიტიოს დედამიწაზე ქრისტეს მსახურების სიდიადე, სივრცე, ძალა თუ მნიშვნელობა. შეუძლებელია, გაზომო მთელი ზესიმდიდრე ქრისტეს სიყვარულისა. ამ სიყვარულის ძალით ანუგეშებდა იგი დაცემულებსა და ცოდვილებს, კურნავდა სნეულებს და სასწაულებს ახდენდა, ლოცულობდა მთელ მსოფლიოზე; ბოლოს კი – კვდებოდა, როგორც უდანაშაულო მსხვერპლი და თან თავის ჯვარმცმელებს ლოცავდა. ქრისტემ თავისთავზე აიღო ამა სოფლის ცოდვანი, იტვირთა ყველა ადამიანის დანაშაული – იგი კრავია, სოფლისათვის შეწირული. ამიტომაც ვერ ვახერხებთ ჩვენთვის ჩვეული ცნებებით ავსახოთ უფალ იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და ჯვარზე სიკვდილის შედეგები.

განა ძალგვიძს ფიქრებით მოვიცვათ და ყოველდღიური ცნებებით გამოვხატოთ ჩვენი გადარჩენის მთელი იკონომია?! ჩვენ ხომ სიტყვები არ გვეყოფა საღვთო საიდუმლოთა გადმოსაცემად?!

„დიდებისმეტყველებთ მორწმუნენი მიუწვდომელსა ჯვარცმასა და გამოუთქუმელსა აღდგომასა შენსა: დღეს სიკვდილი და ჯოჯოხეთი შეიკრა, კაცთა მოდგმა უხრწნელებაში შეიმოსა“ (კვირის ცისკრის მეორე საგალობელის შემდგომი საკითხავი, ხმა მე-3).

მაგრამ, როგორც მოციქულთა ნაწერებიდან ვხედავთ, მათთვის სრულიად ცხადი იყო ჩვენი სარწმუნოების გულის – **ცხონების ჭეშმარიტების არსი**. მასზე აფუძნებდნენ ისინი მთელ თავიანთ მოძღვრებას, ხსნიდნენ ყველა მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში, ამ ჭეშმარიტებაზე ამყარებდნენ ეკლესიისა და მთელი სამყაროს შემდგომ ხვედრს.

მოციქულები განუწყვეტლივ გვახარებენ ამის შესახებ, ზედმიწევნითი ახსნის გარეშე ხშირად იუწყებიან ქადაგებებსა თუ წერილებში, რომ ქრისტემ ჩვენ გამოგვიხსნა (შდრ. ტიტე, 3, 5); იყენებენ ნაირგვარ გამოთქმას: ***„ქრისტემან ჩუენ მოგუყიდნა წყევისა მისგან შჯულისა...“*** (გალ. 3, 13); ქრისტემ „განგვამართლა“ ჩვენ, ***„რამეთუ სასყიდლით სყიდულ“*** ვართ (იხ. 1 კორ. 6, 20); ქრისტემ „ცოდვანი ჩვენნი წარხოცნა“ ***„და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩუენთაჲ...“*** (1 იოანე, 2, 2); მანვე „შეგვარიგა ღმერთთან“; იგი არის ***„...ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“*** (იოანე, 1, 29); ის არის ერთადერთი „სჯულმდებელი“ (შდრ. ებრ. 8, 6); მან ***„...აკოცა ჩუენთჳს კელით წერილი ბრძანებით... და იგი აღიღო შორის და შეჰმსჭუალა ჯუარსა“*** (კოლ. 2, 14); „მან ჩუენთვის შეჰფიცა“; ***„უკეთუ მტერ რაჲ ვიყუენით, დავეგუენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისაჲთა...“***(რომ. 5, 10); „მისი სისხლით ვართ განწმენდილნი“. ამ

და სხვა თავისუფლად შერჩეულ გამონათქვამებში მოციქულებმა გამოხატეს გადარჩენის ჭეშმარიტება, რაც მათთვის აშკარა იყო. იგი მარტივად და გასაგებად აღწევდა მოციქულთა ბაგეებიდან მორწმუნეთა გულებში, რათა მათაც სცოდნოდათ, თუ ***„...რა-იგი არს განგებულებაჲ იგი საიდუმლოჲსაჲ მის დაფარულისაჲ საუკუნითაგან ღმრთისა თანა, რომელმან ყოველივე დაჰბადა იესუ ქრისტეს მიერ“*** (ეფ. 3, 9). ამიტომ მივმართოთ მოციქულთა სწავლებას.

მოციქულთა სწავლებით განსაკუთრებით ყურადსაღებია, განვასხვაოთ ძველი ადამიანის გადარჩენის ფაქტი ზოგადად (რაც უკვე აღსრულდა) იმ ჭეშმარიტებისგან, რომლის თანახმადაც, აუცილებელია ნაწყალობევი გადარჩენის პირადი აღქმა და შეთვისება თითოეული მორწმუნის მიერ, და რომ ცხონება დამოკიდებულია თავად ადამიანის ძალისხმევაზე. ***„რამეთუ მადლითა ხართ გამოკსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს“*** (ეფ. 2, 8) – წერს პავლე მოციქული და გვასწავლის: ***„...შიშით და ძრწოლით თჳსსა ცხორებასა იქმოდეთ“*** (ფლპ. 2, 12).

გადარჩენით ადამიანი ღმერთთან მარადიულ ცხოვრებას, ზეციური სამეფოს მკვიდრობას მოიპოვებს, ამასთან, ***„...ყოველსა მეძავსა და არაწმიდასა და ანგაჰრსა... არა აქუს მკჳდრობა სასუფეველსა ქრისტჱსსა და ღმრთისასა“*** (ეფ. 5, 5; აგრეთვე: გამოცხ. 21, 27). ღმერთი ნათელია და არა არს ბნელი მასში. ღვთის სასუფეველში შემსვლელი უნდა იყოს შვილი ნათლისა. ამიტომ არის აუცილებელი იქ დასამკვიდრებლად სულის სისუფთავე, სიწმინდით შემოსვა, ***„...რომლისა თჳნიერ ვერვინ იხილოს უფალი“*** (ებრ. 12, 14).

ძე ღვთისა მოვიდა ამა სოფლად, რათა, ერთი მხრივ, ამგვარი სისავსით **გაეხსნა გზა** კაცობრიობის გადასარჩენად და თითოეული ჩვენგანის გული ღვთის სასუფევლის მისაღებად წარემართა; და, მეორე მხრივ, **რათა დახმარებოდა და განემტკიცებინა ცხონების გზაზე მავალნი პირადი სულიერი სისუფთავისა თუ სიწმინდის მოპოვებაში**. პირველი მხარე მთლიანად აღასრულა ქრისტემ. მეორე, მართალია, თავად ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ მისი განხორციელება ხდება სულიწმიდის მიერ **ქრისტეს მადლის** მოქმედებით.

გადარჩენის საეკლესიო იკონომია

სამყაროს მდგომარეობა მაცხოვრის მოსვლის წინ

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებსა და, ნაწილობრივ, დავითის ფსალმუნებში, რჩეული ებრაელი ერი და მისი სახით კი მთელი კაცობრიობა მოხსენიებულია, როგორც „საღვთო ნარგავები“, საღვთო ვენახი, რომელმაც ნაყოფი უნდა გამოიღოს. უფალი იცავს და უფრთხილდება თავის

ნარგავებს და ელის მისგან ნაყოფს. მაგრამ როგორ მოექცეს ხეხილის ბაღს, როდესაც იგი ნაყოფს არ იძლევა და სნეულება შეჰყრია? გაუფრთხილდეს მაშინაც, როცა ის თავის დანიშნულებას აღარ ამართლებს?

„...ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მათე, 3, 10), – აფრთხილებდა და ამხელდა წმინდა იოანე ნათლისმცემელი უფლის მოსვლის წინ.

უფალმა ამ საკითზე საუბრისას მოწაფეებს შესთავაზა იგავი ლეღვის ხის შესახებ***: „...ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაკესა თჳსსა, მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა. და ჰრქუა ვენაკისა-მოქმედსა მას: ესერა სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა და არა ვჰპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად? ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოკნო მას გარემო და სკორე დაუდვა, ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი“*** (ლუკა, 13, 6-9).

ამ ლეღვის ხეს წააგავდა უნაყოფო კაცთა მოდგმა. ერთხელ იგი უკვე გაანადგურა წარღვნამ. ახლა თავად განიმზადა მარადიული ცხოვრებისა და ღვთის სასუფევლის დაკარგვა, რადგან არ შეასრულა თავისი დანიშნულება და ბოროტებაში დაინთქა.

„...არა ჴელ-ეწიფებისა მეკეცესა მას თიჯისა მის მისვე შეზელილისაგან შესაქმედ... უკუეთუმცა უნდა ღმერთსა ჩუენებად რისხვაჲ თჳსი და უწყებად ძალი თჳსი, რომელ დაუთმენიეს მრავლითა სულგრძელებითა ჭურთა მათ ზედა რისხვისათა, განმზადებულთა წარსაწყმედელად, და რაჲთა აჩუენოს სიმდიდრე იგი დიდებისა მისისაჲ ჭურთა მათ ზედა წყალობისათა, რომელნი-იგი წინაწარ განჰმზადნა სადიდებლად“ (რომ. 9, 21-23).

კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლებმა გააცნობიერეს თავიანთი შეუსრულებელი მოვალეობა და ადრინდელი თაობების მძიმე ვალი. კაცთა მოდგმა **მოვალე** იყო, მაგრამ ვალს ვერ იხდიდა. ამან გამოიწვია მასში **დანაშაულის შეგრძნება** და დამნაშავეობის დამთრგუნველი განცდა, რაც ყველაზე მძაფრად ებრაელ ხალხში გამოჩნდა. ადამიანები მსხვერპლშეწირვით ცდილობდნენ ცოდვათა წარხოცას, ღმერთს უძღვნიდნენ საუკეთესოს, რაც გააჩნდათ, მაგრამ მსხვერპლშეწირვას **ადამიანების ზნეობრივი გარდაქმნა არ შეეძლო.**

მოვიყვანთ ნაწყვეტს **მართალი იოანე კრონშტადტელის** სიტყვიდან უფლის ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით: „ჩავწვდეთ ჯვრის საიდუმლოს შინაარსს... უფლის უცვლელი, პირუთვნელი სამართლით სოფელი, ანუ კაცთა მოდგმა, განწირული იყო მარადიული სიკვდილისათვის, წამებისათვის, რომ ძე ღვთისა კეთილნებელობითა და უკიდეგანო

სახიერებით არ გამხდარიყო შუამავალი და გამომსყიდველი დამნაშავე წაბილწული, ცოდვიანი და გახრწნილი კაცობრიობისა. კაცთა მოდგმა ადამიანთა მკვლელის – გველის ვერაგობამ უბედურებისა და დაღუპვის საშინელ უფსკრულში გადაჩეხა. შესაძლებელი რომ გამხდარიყო ადამიანების შერიგება და გამოსყიდვა, საჭირო შეიქნა ძე ღვთისას გარდამოსვლა ამა სოფლად. მას უნდა მიეღო კაცობრივი სხეული და სული, გამხდარიყო ღმერთკაცი, რათა თავისი პიროვნებით, თავისი კაცობრივი ბუნებით სრულად აღესრულებინა ღვთის სამართალი, რომელიც კადნიერად დაარღვია ადამიანურმა უსამართლობამ. მას იოტამდე უნდა აღესრულებინა საღვთო რჯული, გამხდარიყო უდიდესი მართალი უსამართლო კაცობრიობის სანაცვლოდ, ესწავლებინა ადამიანებისათვის სიმართლე, ყოველგვარი ცოდვის მონანიება და სინანულის ნაყოფის მიღება. მან ეს აღასრულა. იგი იყო სრულიად უცოდველი – ერთიანი, სრული, ღმერთთან ჰიპოსტასურად შეერთებული კაცი“[5].

სამყაროს საყოველთაო ხსნა ქრისტეს მიერ

როგორ განხორციელდა მთელი კაცობრიობის არსებობის გამართლება და რაში მდგომარეობს ის? განხორციელდა **ღვთის განკაცებით**, უფალ იესო ქრისტეს ცხოვრების ყველა მოვლენასთან ერთად. სიწმინდის ნათელი მოეფინა დედამიწას. ყოვლადუბიწო, ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის – ღვთისმშობლის სახით განიწმინდა მთელი კაცობრიობა. იორდანეში მაცხოვრის ნათლისღებისა და მისი ამქვეყნიური ცხოვრების კვალდაკვალ განიწმინდა თავად დედამიწის ბუნება. იესო ქრისტეს მიერ სახარების სწავლებამ და მისმა გულმოწყალებამ ისეთი ძალით აღანთო რწმენა და სიყვარული მოწაფეთა გულებში, რომ მათ მიატოვეს ყველაფერი და გაჰყვნენ მას. ქრისტეს „უაღმატებულესი“ სიყვარული ყველაზე მძაფრად ჯვარზე ნებით სიკვდილში ჩანს. ამის შესახებ პავლე მოციქული მოგვითხრობს: ***„...სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი-ივი მოცემულ არს ჩუენდა. რამეთუ ქრისტე, ვიდრე-იგი ჩუენ უძლურღა ვიყვენით, ჟამსა ოდენ უღმრთოთათჳს მოკუდა. ...ვინ უწყის, ნუუკუე და იკადრისცა ვინმე სიკუდილი. ხოლო გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე-იგი ცოდვილღა ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა“*** (რომ. 5, 5-8). ამრიგად, მიღწეულ იქნა, რომ ჩვენ – მტერნი ***„...დავეგენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისაჲთა...“*** (რომ. 5, 10); ***„...ერთისა მის სიმართლისათჳს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა“***(რომ. 5, 18). აი, რატომ არის, რომ პავლე მოციქული თავის ღვთივსულიერ ნაწერებში ასე ხშირად აერთიანებს ან ურთიერთშემცვლელად იყენებს სიტყვებს: „ჩვენ ქრისტეს სიყვარუ-

ლით ვართ გამოხსნილნი“ და „ჩვენ გამოხსნილი ვართ ქრისტეთი, ან მისი სიკვდილით, ან სიმართლით“ – ყველა ამ ფრაზაში გამოიხატება **ქმედითი, გულმოწყალე, თანამგრძნობი, კაცთმოყვარე, თვითშემწირველი სამსხვერპლო სიყვარული ღვთისა.**

1. სამყაროს საყოველთაო გადარჩენის ეს იკონომია ახალი აღთქმის წმინდა წერილში გადმოცემულია მსგავსი მნიშვნელობის ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა: გამართლება, შერიგება, გამოსყიდვა, ლმობიერყოფა, მიტევება, გამოხსნა. აი, ზოგიერთი ფრაზა, რომელიც საყოველთაო გადარჩენის იკონომიას ეხება:

„...აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იოანე, 1, 29).

„...იგი არს მიმტევებელი ცოდვათა ჩუენთაჲ და არა ხოლო ცოდვათა ჩუენთაჲ, არამედ ყოვლისა სოფლისათაჲ“ (1 იოანე, 2, 2).

„...ყოველთათჳს მოკუდა, რაჲთა ცხოველნი იგი არღარა თავთა თჳსთათჳს ცხოველ იყუნენ, არამედ მათთჳს მომკუდრისა მის და აღდგომილისა“ (2 კორ. 5, 15).

„...ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე, რომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად ყოველთა საწამებელად ჟამთა თჳსთა“ (1 ტიმ. 2, 5, 6).

„...ვესავთ ღმერთსა ცხოველსა, რომელ არს მაცხოვარი ყოველთა კაცთაჲ, უფროჲსლა მორწმუნეთაჲ“ (1 ტიმ. 4, 10).

2. გარდა ამისა, ქრისტეს სიკვდილითა და ჯოჯოხეთში მისი შთახდომით მოხდა გარდაცვლილ პირველმშობელთა, წინასწარმეტყველთა და ქრისტიანობამდელი სამყაროს მართალთა სულების გამოხსნა (შდრ. 1 პეტ. 3, 19-20; 4, 6; ეფ. 4, 8-10). ამიტომ ენიჭება უფლის ჯვარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი აღთქმის სამყაროსათვის, რაც ქრისტეს ჯვარზე სიკვდილთან არის დაკავშირებული. ქრისტე აღესრულა ჯვარზე: ***„...რაჲთა სიკუდილიღა მოიწიოს გამოსაჴსრად პირველისა მის შჯულისა გარდასრულთა...“*** (ებრ. 9, 15). ჩვენს მართლმადიდებლურ საკვირაო საგალობლებში ჩადებულია ასეთივე საიდუმლო, ჭეშმარიტი შინაარსი ჯოჯოხეთზე გამარჯვებისა და სულთა გამოხსნისა: „დღეს აღსდეგ საფლავისაგან, მოწყალე, და გამომიხსნენ ჩუენ ბჭეთაგან სიკუდილისათა, დღეს ადამს უხარის, და განცხრების ევა, წინასწარ-მეტყველთა თანა და მამათ მთავართა, რამეთუ აღსდეგ შენ, ცხოვრების მომცემელო, და ჩუენ შენ თანა აღმადგინენ საფლავთაგან, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა.“ (კვირის კონდაკი, ხმა 3).

3. ჯოჯოხეთიდან გამოხსნით, აგრეთვე, მოიხსნა ის წყევლა, რომელიც, ძველი აღთქმის წერილის თანახმად, დაედოთ სამოთხიდან განდევნილ ად-

ამსა და ევას და მათ შთამომავლობას (იხ. დაბ. თავ. 3); აგრეთვე მოსეს წყევლა, რომელიც მიცემული რჯულის ჯიუტად უარმყოფელებისკენ იყო მიმართული (იხ. 2 შჯ. თავ. 28).

პირობნული გარდაქმნა და ახალი ხსოვრება ქრისტესთან

საღვთო საყოველთაო იკონომიის იდეიდან პირად გადარჩენაზე ყურადღების გადატანისკენ ცხადად მოუწოდებს პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვები: ***„რამეთუ ღმერთი იყო ქრისტეს თანა, სოფელი დააგო თავსა თჳსსა და არა შეურაცხნა მათ ცოდვანი მათნი და დადვა ჩუენ თანა სიტყუაჲ იგი დაგებისაჲ. ...გევედრებით ქრისტესთჳს: დაეგენით ღმერთსა“*** (2 კორ. 5, 19, 20).

ზემომოყვანილი ტექსტიდან ვხედავთ, რომ ადამიანის პირადი გადარჩენის იდეა წმინდა წერილში ჩვეულებრივ იმავე ტერმინებითა და სიტყვებით (მაგალითად: განმართლება, გამოსყიდვა, შერიგება) გამოიხატება, როგორც სამყაროს გადარჩენის საკითხი, ამ ცნების ფართო გაგებით. ოღონდ სიტყვები აქ უფრო ვიწრო მნიშვნელობით არის გამოყენებული – მოციქულები ამჯერად ლაპარაკობენ ადამიანებზე, რომლებმაც იწამეს ქრისტე და მიიღეს წმინდა ნათლობა. გადარჩენის ორივე სახის გამომხატველი საერთო ფრაზების მაგალითებად გამოდგება:

„...წყალობითა თჳსითა მიჴსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაჲთა და განახლებითა სულისა წმიდისაჲთა, რაჲთა განვმართლდეთ მადლითა მით მისითა და მკჳდრ ვიქმნნეთ სასოებასა მას ცხორებისა საუკუნოჲსასა“ (ტიტე, 3, 5, 7).

„...ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითაცა-იგი აღიბეჭდენით დღედ გამოჴსნისა“ (ეფ. 4, 30), – ანუ იგულისხმება ნათლისღებისა და სულიწმიდის ბეჭდის მიღების დღე.

მაგრამ პირად გადარჩენაზე გამონათქვამებს შორის ცენტრალურ ადგილზე დგას ცნება „ქრისტეს თანა აღდგომა“. ნათლისღების საიდუმლოთი ხდება პირადი აღდგომა ქრისტესთან – ***„მის თანა დაეფლენით ნათლისღებითა მით...“***(კოლ. 2, 12).

პეტრე მოციქულის სიტყვებით: ***„...თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებაჲ ... აღდგომითა იესუ ქრისტესითა“*** (1 პეტ. 3, 21). მოციქულის ეს ეპისტოლე სხვა არაფერია, თუ არა ქადაგება ქრისტეს აღდგომაზე.

მოციქულთა ნაწერებში წყლით ნათლისღებას ეწოდება, ასევე, **ახალი დაბადება, შვილება, განწმენდა. *„...არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით, არამედ განჰმართლდით სახელითა უფლისა იესუჲსითა...“*** (1 კორ. 6, 11); ***„...რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“*** (გალ. 3, 27).

აქედან ცხადი ხდება, რომ **ჯვარი და უფლის აღდგომა** განუყოფელია გამოსყიდვის საიდუმლოში. ამ ჭეშმარიტებას სრულად იტევს აღდგომის სა-გალობლები. მათში იკვეთება ქრისტეს აღდგომის მნიშვნელობა სამყაროსთ-ვის, აღიარებულია მისი ძალა არა მხოლოდ ქრისტიანის პირად გადარჩე-ნაში, არამედ მთელი მსოფლიოს სრული, საბოლოო გამართლების საქმეში: „პასქა უხრწნელი, მხსნელი სოფლისა“ (აღდგომის ეკსაპოსტილარიუმი). ჯვრის ძალით განიწმინდა სოფელი ცოდვისაგან და შეურიგდა ღმერთს. **აღდგომამ** ახალი ცხოვრება მოიტანა ამა სოფლად.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲒᲐᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ“ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ჯვრისა და აღდგომის განუყოფელ კავშირს მოციქულები ჩვეულებრივ ერთი ცნებით გამოხატავენ. ეს არის „გამოსყიდვა“ (საღვთისმეტველო ტერ-მინოლოგიაც მას ამავე მნიშვნელობით იყენებს), რაც პირდაპირ აღნიშნავს „გამოსასყიდს“, „საფასურის გადახდას“. ეს საკმაოდ ნათელი და ცოცხალი ცნება ყველასათვის გასაგებად ხელმისაწვდომია. მაგრამ ამ სიცხადემ ხელი ვერ შეუშალა კითხვების წარმოშობას, რომლებიც არსობრივად გადარჩე-ნასაც კი არ ეხება (მით უმეტეს, რომ ამ ტერმინს მხოლოდ სიმბოლური, ალეგორიული დატვირთვა აქვს). შემდგომი კითხვების თავიდან ასაცილე-ბლად **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი** სიტყვა „გამოსყიდვის“ აზრს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„ჩვენთვის დათხეული ეს დიადი და ყოვლად ჩინებული სისხლი ღმრთი-სა, მღვდელთმთავრისა და მსხვერპლისა, ვისთვის და რისთვის დაიღვარა? ჩვენ, მაცდურის ტყვეობაში ჩავარდნილები, ცოდვას მივეყიდეთ და გემოთ-მოყვარების ფასად დაზიანება შევიძინეთ. თუ გამოსასყიდს დამატყვევებ-ელს უხდიან, მაშინ ისმის კითხვა, ვის და რა მიზეზით გადაუხადეს ასეთი საფასური? თუ მაცდურს, ეს ხომ შეურაცხმყოფელია! ყაჩაღი იღებს გამოსასყიდ ფასს არა მარტო **ღვთისაგან**, არამედ იღებს **თავად ღმერთს**. მტანჯველი იღებს იმდენად განუზომელ საფასურს, რომ ალბათ, სამარ-თლიანი იქნებოდა ჩვენი დანდობა მისგან! თუ ეს საფასური მამა ღმერთს ეკუთვნის, გაუგებარია, როგორ? ჩვენ მის ტყვეობაში არ ვყოფილვართ. თანაც რა მიზეზით უნდა იყოს სათნო მხოლოდშობილი ძის სისხლი მა-მისათვის, რომელმაც არ მიიღო მამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვა და ადამიანის მსხვერპლი ცხვრით შეცვალა? აქედან ჩანს, რომ მამა იღებს (მსხვერპლს) არა იმიტომ, რომ ითხოვს ან სჭირდება იგი; ამას ღმერ-თი განგებულებით აკეთებს, რადგან ადამიანს სჭირდებოდა განწმენდა. ამისთვის ღმერთი უნდა განკაცებულიყო, მას თავად უნდა გამოევსენით, ეძლია მტანჯველი და **ავეყვანეთ თავისთან.** შუამავლად ძე [მოავლი-

ნა], რომელიც ყველაფერში დაემორჩილა მამას და ყოველივე მოაწყო მის პატივსაცემად“.[6]

წმინდა გრიგოლის ამ საღვთისმეტყველო მსჯელობაში სრულად იკვეთება პეტრე მოციქულის პირველ ეპისტოლეში გატარებული იდეა: ***„...იხსნენით თქუენ ამაოჲსა მისგან მამათა მოცემულისა სლვისა. ...პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესითა, წინაწარ უწყებულისა უწინარეს სოფლის დაბადებისა, ხოლო გამოჩინებულისა უკუანაჲსკნელთა ამათ ჟამთა თქუენთჳს“*** (1 პეტ. 1, 18-20).

ცნების – „გამოსყიდვა“, საღვთისმეტყველო განმარტებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსგავსი შინაარსის ბერძნული სიტყვების ფილოლოგიურ ანალიზს.

ახალი აღთქმის ბერძნულ ტექსტში ამ ცნებას ორი სიტყვა შეესაბამება და თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პირველი არის απολύτρωσις – სასყიდელი. მაშინდელი მსოფლიო ადამიანების გამოსყიდვის სამ ფორმას იცნობდა. ბერძნული ლექსიკონების მიხედვით, ესენია: ტყვეობიდან გამოხსნა, საპრყობილიდან გამოყვანა (მაგალითად, ვალების გასტუმრებით) და მონობიდან გამოსყიდვა. მოციქულები ამ სიტყვის გამოყენებით ცდილობენ გამოხატონ ქრისტეს ჯვართან დაკავშირებული ჩვენი გადარჩენის აღსრულების მომენტი – ცოდვის სამყაროდან, ეშმაკის ძალისა და წყევისაგან განთავისუფლებისა და ჯოჯოხეთის ბორკილებიდან მართალთა დახსნის ჟამი. ცოდვის ტყვეობიდან, ჯოჯოხეთიდან და ეშმაკისაგან გამოხსნა – ეს „გამოსყიდვის“ სამი ერთნაირი ფორმაა.

მეორე სიტყვა αγοράζω აღნიშნავს „თავისთვის ყიდვას“ (იხ. მათე, 13, 44, 46; 14, 15; 21, 12; 25, 9, 10; 27, 7; მარკოზი, 6, 36, 37; 11, 15; 15, 46; 16, 1; ლუკა, 9, 13; 14, 18, 19; 17, 28; 22, 36; იოანე, 4, 8; 6, 5; 13, 29; 1 კორ. 6, 30; გამოცხ. 3, 18; 13, 17; 18, 11), ბაზრობაზე ყიდვას (αγορα – სავაჭრო უბანი (იხ. მათე, 11, 16; 20, 3; 23, 7; მარკოზი, 6, 56; 7, 4; 12, 38; ლუკა, 7, 32; 11, 43; 20, 46; საქმ. 16, 19; 17, 5, 17). ეს ტერმინი მხოლოდ მორწმუნე ქრისტიანთა მისამართით გამოიყენება. ამ შემთხვევაში მას განსაკუთრებით მდიდარი დატვირთვა აქვს. იგი ზმნური ფორმითა და მსგავსი მნიშვნელობით სამჯერ გვხვდება მოციქულთა ნაწერებში (იხ. აგრეთვე: გალ. 3, 13; 4, 5; 2 პეტ. 2, 1; გამოცხ. 14, 3, 4):

„არა უწყითა, რამეთუ კორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან, და არა ხართ თჳსთა თავთანი? რამეთუ სასყიდლით სყიდულ ხართ...“ (1კორ. 6, 19, 20).

„სასყიდლით სყიდულ ხართ; ნუ იქმნებით მონა კაცთა“ (1 კორ. 7, 23).

„...დაიკალ და გჳყიდენ ჩუენ ღმრთისა სისხლითა შენითა...“ (ზეციური გალობა კრავისადმი – გამოცხ. 5, 9).

ეს ზმნა ყველგან აღნიშნავს, რომ ქრისტემ ჩვენ თავისთვის გვიყიდა, რათა მთლიანად მისი საკუთრება ვყოფილიყავით, ისე როგორც მონები ეკუთვნიან პატრონს. ჩვენ გვმართებს დაფიქრება იმ სიღრმეზე, რისი გამოხატვაც მოციქულებმა ამ სიტყვით სცადეს.

ერთი მხრივ, სახელი „ქრისტეს მონები“ აღნიშნავს საკუთარი თავის სრულ, უპირობო გადაცემას მორჩილებაში მისდამი, ვინც ყველანი გამოგვისყიდა. ზუსტად ამას გრძნობდნენ მოციქულები; ეს რომ ირწმუნო, საკმარისია წაიკითხო რამდენიმე სამოციქულო ეპისტოლის დასაწყისი მუხლები, სადაც პირველივე სიტყვებში ისინი თავიანთ თავს მონებს (ან მსახურებს, ბერძნ. δούλος) უწოდებენ: ***„სჳმეონ-პეტრე, მონაჲ და მოციქული იესუ ქრისტესი...“*** (2 პეტ. 1, 1); ***„იუდა, იესუ ქრისტეს მონაჲ და ძმაჲ იაკობისი...“*** (იუდა, 1, 1); ***„პავლე, მონაჲ იესუ ქრისტესი, ჩინებული მოციქული...“*** (რომ. 1, 1); ***„პავლე და ტიმოთე, მონანი იესუ ქრისტესნი...“*** (ფლპ. 1, 1). მოციქულთა სწავლებით ჯეროვანია, ასეთი თვითშეგნება გააჩნდეს ყოველ მორწმუნეს; წმინდა ეკლესია საღვთისმსახურო ენაზე ყოველთვის უწოდებდა და უწოდებს თავის წევრებს, აგრეთვე, „ღვთის მონებს“ (მსახურებს).

მაგრამ არსებობს მეორე მხარეც: თავის უკანასკნელ საუბარში მაცხოვარი ასე მიმართავს მოწაფეებს: ***„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ“*** (იოანე, 15, 14) და იქვე მათ მოუხმობს ***„შვილნო!...“*** (იოანე, 13, 33); ***„ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ...“***(იოანე, 15, 9). მოციქულებიც ასწავლიან: ***„... მიგიღებიეს სული იგი შვილებისაჲ...“*** (რომ. 8, 15); ***„...ვართ შვილნი ღმრთისანი. ხოლო უკუეთუ შვილ, მკჳდრცა, მკჳდრ ღმრთისა თანა და თანამკჳდრ ქრისტესა...“*** (რომ. 8, 16, 17). წმინდა იოანე მოციქული, ვინც თავი მიაყრდნო ქრისტეს მკერდზე, შთაგონებით ღაღადებდა: ***„საყუარელნო, აწ შვილნი ღმრთისანი ვართ და არღარა გამოჩინებულ არს, რაჲ ყოფად ვართ. გარნა ვიცით, რამეთუ უკუეთუ გამოცხადნეს, მგავსად მისსა ვიყვნეთ, რამეთუ ვიხილოთ იგი, ვითარცა იგი არს“***(1 იოანე, 3, 2).

„რამეთუ განმწმედელი იგი და განწმედილი იგი ერთისაგან არიან ყოველნი“, ამიტომაც უწოდებს ქრისტე განწმედილებს თავის „ძმებს“ (იხ. ებრ. 2, 11). და რაც ყველაზე მთავარია, ის არის ***„...წინამძღუარი იგი ცხორებისა ჩუენისაჲ...“*** (ებრ. 2, 10), ახალი აღთქმის მღვდელთმთავარი: ***„...ჯერ-იყო მისა ყოვლითავე ძმათა მსგავსებაჲ, რაჲთა მოწყალე ექმნეს და სარწმუნო მღდელთმოძღუარ ღმრთისა მიმართ, რაჲთა ულხინებდეს ცოდვათა ერისათა. რამეთუ რომლითა-იგი ივნო თავადმან და გამოიცადა, ძალუც, რომელნი-ივი განიცადებოდიან, მათდაცა შეწევნად“*** (ებრ. 2, 17, 18). ჩვენ მისგან გამოვითხოვთ ცოდვათა მიტევებას, რადგან ზეციერი მამა თა-

ვად არავის განსჯის – მან სამსჯავრო სრულად გადასცა ძეს. ამით ყველას მიეცა შესაძლებლობა, რომ ემსახურონ როგორც მამას, ისე ძეს. თავად ქრისტემ ამაღლების წინ განაცხადა: ***„...მომეცა მე ყოველი ხელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“*** (მათე, 28, 18). აი, რატომ არის თითქმის ყოველი ჩვენი ლოცვა – აღვლენილი ჩვენთვის, ჩვენი წინაპრების ანუ ძმებისა, ცოცხალთა თუ მკვდართა მოსახსენიებლად მიმართული ძე ღვთისადმი. ჩვენ ღვთის სახლში ვიმყოფებით და, ამასთანავე, ქრისტეს სახლში ვართ. ამიტომაც არის ამ სახლის ყველა ზეციერ წევრთან ურთიერთობა ჩვენთვის ადვილი, სიხარულის მომტანი და გადამრჩენი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, მოციქულნი, წინასწარმეტყველნი, მოწამენი, იერარქნი და ღირსი მამანი – აი, ერთიანი ეკლესია ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ამისთვის გამოგვისყიდა ქრისტემ.

ასეთია დიადი შედეგები ქრისტეს მიერ ჩვენი გამოსყიდვისა, რომელიც აღსრულდა ჯვარზე და ქრისტეს აღდგომით დაიბეჭდა! ამასვე მიანიშნებს „ახალი გალობა“ საყდარზე მჯდომი კრავის წინაშე, რომელიც მოციქულ იოანე ღვთისმეტყველს გამოცხადებით ეუწყა: ***„...დაიკალ და გჳყიდენ ჩუენ ღმრთისა სისხლითა შენითა...“*** (გამოცხ. 5, 9); ჩვენ **ღვთისათვის** გამოგვისყიდეს.

ამიტომ ნუ შეგვაშფოთებს, როდესაც ვაკვირდებით მსოფლიოს სავალალო სულიერ მდგომარეობას. ვიცით, რომ ეკლესიის შვილნი გამოხსნილნი არიან ქრისტეს მიერ და რომ უკვე აღსრულდა სამყაროს გადარჩენა (ამ სიტყვის ფართო, ესქატოლოგიური მნიშვნელობით). როგორც მოციქული გვასწავლის: ***„რამეთუ სასოებით ვცხონდებით. ხოლო სასოებაჲ ხილული არა არს სასოება, რამეთუ რომელსა-იგი ვინმე ხედავს, რასადა-მე ესავს? ხოლო ჩუენ, რომელსა არა ვხედავთ, ვესავთ, რამეთუ მოთმინებით მოველით“*** (რომ. 8, 24, 25). მსოფლიოს სულიერი ძალები შესაძლოა დაფარულია, მაგრამ ისინი არ დაშრეტილა. ქრისტეს ეკლესიის ზეციური და მიწიერი სხეული იზრდება და საიდუმლოებით მოცული დღისკენ მიჰყავს სამყარო; ამ დღეს მოხდება გამარჯვების მომტანი და დიდებული გამოცხადება ძისა კაცისა და ძისა ღვთისა. დიადი და მართალი სამსჯავროს შემდგომ გაცხადდება სამყაროს განახლება და გარდასახვა, ხოლო ტახტზე მჯდომარე ღმერთი ბრძანებს: ***„...აჰა ესერა ყოველსავე ახალ-ვჰყოფ...“*** (გამოცხ. 21, 5), და იქნება ახალი ცა და ახალი მიწა, ამინ!

შუა საუკუნეების დასავლეთის საღვთისმეტყველო მეცნიერების მიდგომით, გამოსყიდვის ჭეშმარიტების განმარტება გართულდა და არაერთმნიშვნელოვანი გახდა. მოციქულთა ხატოვანი გამოთქმები რომაულმა კათოლიციზმმა სიტყვასიტყვით გაიგო და მეტად ვიწრო მნიშვნელობა მიანიჭა – მან „გამოსყიდვა“ განმარტა, როგორც „დაკმაყოფილება“, „სატისფაქცია“. ანუ ეს ნიშნავს ღმერთის დაკმაყოფილებას შეურაცხყოფისათ-

ვის, უფრო ზუსტად, „ღმერთის (წმინდა სამების სახით) დაკმაყოფილებას მისთვის ადამის ცოდვით მიყენებული შეურაცხყოფისათვის“. აშკარაა, რომ ამგვარ შეხედულებას საფუძვლად უდევს ლათინთა თავისებური სწავლება პირველქმნილ ცოდვაზე, რომლის თანახმადაც, ადამის ცოდვით დაცემით ადამიანმა „უსაზღვროდ შეურაცხყო“ ღმერთი და ამით მისი რისხვა გამოიწვია. საჭირო გახდა დანაშაულის მოსახსნელად და ღმერთის ლმობიერსაყოფად მისი სრული დაკმაყოფილება. ეს აღასრულა მაცხოვარმა ჯვარზე სიკვდილით, რითაც ღმერთი უსაზღვროდ და სრულად დაკმაყოფილდა.

გამოსყიდვის ეს ცალმხრივი განმარტება დღევანდლამდე გამეფებულია ლათინთა ღვთისმეტყველებაში. პროტესტანტიზმში მან უკურეაქცია გამოიწვია, რასაც მოგვიანებით სექტების მიერ გამოსყიდვის დოგმატის სრული უარყოფა მოჰყვა და ქრისტეს ცხოვრებისა და ჯვარზე სიკვდილის მნიშვნელობას მხოლოდ მორალური, სამაგალითო-სასწავლო დატვირთვა მიენიჭა.

ტერმინი „დაკმაყოფილება“ (σδξβλεςβξπενθε) ნაწილობრივ, მაგრამ შეცვლილი სახით დამკვიდრდა რუსულ მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაშიც. გამოთქმა „საღვთო სიმართლის დაკმაყოფილება“, უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი აღთქმისთვის უცხო არ არის, როგორც ეს მაცხოვრის სიტყვებიდან ჩანს: ***„...ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე...“*** (მათე, 3, 15). მოცემულ ფრაზასთან აზრობრივად ახლოს დგას სიტყვა **„ღხენა“** (σμθλξρςθβλενθε) – იგი უფრო სრული, ნამდვილად ბიბლიური ხასიათის ტერმინია და გამოსყიდვის მართლმადიდებლური კუთხით გაგების საშუალებას იძლევა. ამ სიტყვას ვხვდებით იოანე მოციქულის პირველ ეპისტოლეშიც: ***„ესე არს სიყუარული, არა რამეთუ ჩუენ შევიყუარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემიყუარნა და მოავლინა ძე თჳსი მლხინებელად (ბერძნ.*** ιλασμός***) ცოდვათა ჩუენთა“*** (1 იოანე, 4, 10; აგრეთვე: 1 იოანე, 2, 2 და ებრ. 2, 17).

უფლის სამმხრივი მსახურება

უფალ იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული გადარჩენის უფრო სრულად გასაშუქებლად დოგმატური სისტემები, ძველი ჩვეულების თანახმად, მას უფლის სამგვარ მსახურებას უკავშირებენ: ქრისტე განიხილება, როგორც მღვდელთმთავარი, როგორც წინასწარმეტყველი და როგორც მეფე, ანუ მის მსახურებას **სამმხრივი** ეწოდება.

წინასწარმეტყველის, მღვდელთმთავრისა და მეფის მსახურებას საერთო ნიშანი აქვს: ძველი აღთქმის ჟამს ასეთ სამსახურში ჩადგომას თან ახლდა მირონცხება და მისი აღსრულებისათვის ღირსქმნილნი სულიწმიდის ძალით ძლიერდებოდნენ.

თავად სახელი „ქრისტე“ ნიშნავს „ცხებულს“ (სახელი იესო – „მაცხოვარს“). როდესაც ნაზარეთის სინაგოგაში კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებს, მაცხოვარმა მათში თავისი თავი იგულისხმა: ***„სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მახარებელად გლახაკთა, მომავლინა მე განკურნებად შემუსვრილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმათა ახილვად, განვლინებად მომსრვალთა განტევებითა, და ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული“*** (ლუკა, 4, 18, 19;აგრეთვე: ეს. 61, 1, 2).

ქრისტე – მღვდელთმთავარი

უფალი იესო ქრისტე არა ოდენ კრავია ღვთისა, ამა სოფლის ცხოვრებისათვის შეწირული, ამასთან ის მსხვერპლის მიმტანი და შემწირველი მღვდელმთავარიც არის. ქრისტეა *„შემწირველი და შეწირული, მიმღები და გამცემი“* („ქერუბიმთა“ საგალობელი ლიტურგიაზე) – თავად ეწირება და სწირავს მსხვერპლს, იღებს და მას სხვებს გადასცემს.

უფალი, როგორც **მღვდელმსახური** დედამიწაზე, ყველაზე აშკარად მამისადმი ლოცვის დროს ჩანს (ამ ლოცვას „სამღვდელმთავრო“ ეწოდება), რომელიც მოწაფეებთან გამოსათხოვარი საუბრის შემდეგ, მეომართაგან მისი დატყვევების ღამეს, გეთსამანიის ბაღში განმარტოებით წარმოთქვა: ***„და მათთჳს წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვნენ წმიდა ჰეშმარიტებით. და არა ამათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ“*** (იოანე, 17, 19, 20).

ქრისტე-მღვდელმთავრის მსახურებას განმარტავს პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (თავნი 5-10). იგი მას ადარებს ძველი აღთქმის მღვდელმსახურებს და მიუთითებს მაცხოვრის შეუდარებლად დიდ უპირატესობებზე, კერძოდ:

ა) აარონის წესით მღვდელთმთავარნი, როგორც მოკვდავნი, მრავლად უნდა ყოფილიყვნენ დადგინებულნი; ამ მიზეზით ერთი ვერ იქნებოდა. ქრისტეს კი, მელქისედეკის წესით, ***„...დადგრომისათჳს მისისა უკუნისამდე წარუვალად აქუს მღვდელობაჲ იგი“*** (ებრ. 7, 24);

ბ) მათ მსხვერპლი გამუდმებით უნდა შეეწირათ, ხოლო ქრისტემ ***„... ერთ-გზის ყო ესე და თავი თჳსი შეწირა“***(ებრ. 7, 27);

გ) ისინი თავად იყვნენ უძლურნი, ქრისტე-მღვდელმთავარი კი არის ***„... ძე, უკუნისამდე განსრულებული“*** (ებრ. 7, 28);

დ) ისინი ქმნილი, მიწიერი კარვის მღვდლები იყვნენ, ქრისტე კი ზეციური, ხელთუქმნელი კარვის მღვდლობას აღასრულებს (შდრ. ებრ. 9, 24);

ე) მათ წმიდათაში დეკეულისა და ვაცის სისხლი შეჰქონდათ, ქრისტე ***„...თჳსითა სისხლითა შევიდა ერთგ-გზის სიწმიდესა მას და საუკუნოჲ გამოჴსნაჲ პოვა“*** (ებრ. 9, 12);

ვ) ისინი ძველი აღთქმის მღვდლები იყვნენ, ქრისტე – ახალი აღთქმისა (შდრ. ებრ. 8, 6).

ᲥᲠᲘᲡᲢᲔ – ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

(ᲣᲤᲚᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ, ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ)

უფალმა იესო ქრისტემ, როგორც მახარებელმა, მოძღვარმა და წინასწარმეტყველმა, ადამიანებს მათთვის გასაგებად, მთელი სისავსითა და სიცხადით აუწყა ზეციერი მამის ნება სოფლის გადარჩენისა და მისცა მათ კაცთა მოდგმის გამომხსნელი, მაცხონებელი, ახალი, უსრულყოფილესი რჯული რწმენისა და ღვთისმსახურებისა. ჯერ თავად უფალმა აღასრულა ეს მსახურება, შემდეგ კი მისგან მოწაფეებმა გაავრცელეს ყველგან და სამარადჟამოდ გადასცეს ეკლესიას.

უფალი **სარწმუნოების, ცხოვრებისა და კეთილმსახურების** მახარებელი იყო. სახარებისეული სარწმუნოება გვასწავლის:

ა) რომ ღმერთი ჩვენი ყოვლადსახიერი მამაა, გვმართებს მას, როგორც შვილებმა, მივმართოთ: „მამაო ჩვენო!“ ეს ახალი, უსრულყოფილესი ცნება ღმერთის შესახებ მაცხოვარმა ადამიანებს თავის ვნებათა წინ, ლოცვის დროს განუცხადა: ***„გამოუცხადე სახელი შენი კაცთა...“*** (იოანე, 17, 6) და ***„...ვაუწყე სახელი შენი...“*** (იოანე, 17, 26);

ბ) რომ ღმერთი-სიტყვა, მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ამა სოფლად კაცთა გადასარჩენად და ღმერთთან მათ ხელახლა შესაერთებლად მოვიდა;

გ) რომ სულიწმიდა ჩვენი ნუგეშინისმცემელი და განმწმედელია;

დ) ადამიანის ბუნებისა და დანიშნულების, ცოდვისა და მონანიების, გადარჩენის საშუალებების, განწმენდისა და აღორძინების შესახებ;

ე) ღვთის სასუფეველსა და ახალი აღთქმის ეკლესიაზე;

ვ) უკანასკნელ საყოველთაო სამსჯავროზე, ადამიანებისა და სამყაროს საბოლოო ხვედრზე.

ძველ აღთქმასთან შედარებით, გაცილებით სრულად და ამაღლებულად წარმოგვიდგება **სახარებისეული სწავლება ცხოვრებასა და კეთილმსახურებაზე**. იგი არის ღმერთისა და მოყვასისადმი სიყვარულის უმთავრესი მცნება და ჩვენში, როგორც ღვთის შვილებში, მამისადმი სრული ერთგულების გრძნობას აღძრავს. ამ საოცრად სრულყოფილი, ზნეობრივი რჯულის მრავალი მცნება თავმოყრილია მთაზე ნაქადაგებში, ეს მცნებებია: წყენის მიტევება და მტრის სიყვარული; თავგანწირვა და თავმდაბლობა; როგორც ხორციელი, ისე სულიერი ჭეშმარიტი უბიწოება; ურთიერთსამსახური თავად მაცხოვრის მაგალითზე და ქრისტიანისადმი სხვა ზნეობრივი ხასიათის მოთხოვნები.

ძველი აღთქმის რჯული მცნებათა აღსრულებას ძირითადად მიწიერი, დროებითი კეთილდღეობის მოსაპოვებლად მოუწოდებს, სახარებისეული

რჯული კი მიუთითებს ამაღლებულ მისწრაფებებსა და მარადიულ, სულიერ სიკეთეებზე.

მაცხოვარს ძველი აღთქმის რჯული არ გაუუქმებია – მხოლოდ აამაღლა, სრულყოფილად განმარტა და მისი საუკეთესო მხარენი წარმოაჩინა. ახალი აღთქმის დადგომით გაუქმდა მხოლოდ იუდეურ წეს-ჩვეულებათა კანონი.

ძველი აღთქმისადმი ქრისტიანების დამოკიდებულებაზე ნეტარი თეოდორიტე ასე მსჯელობს: „დედები ჯერ ძუძუს აწოვებენ ახალშობილებს, შემდეგ მსუბუქ საზრდოს აძლევენ და, ბოლოს, მოზარდებსა და ყმაწვილებს მაგარი საკვებით კვებავენ. ასევეა ღმერთიც – იგი თანდათანობით უმხელდა ადამიანებს სრულყოფილ ცოდნას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ პატივს მივაგებთ ძველ აღთქმას, როგორც დედას, რომლის რძით უკვე აღარ ვიკვებებით. სრულყოფილთათვის ზედმეტია დედის რძე, თუმცა მართებთ პატივი მიაგონ, რადგან მისგან აღიზარდნენ. ასევე ჩვენც, მართალია, აღარ ვასრულებთ წინადაცვეთას, შაბათის წესს, მსხვერპლშეწირვას, სხურებას, მაგრამ ძველი აღთქმიდან სხვაგვარ სარგებელს ვიღებთ; იგი სრულად გვასწავლის კეთილმსახურებას, ღვთისადმი რწმენას, მოყვასის სიყვარულს, თავშეკავებას, სამართლიანობას, სიმამაცესა და, რაც მთავარია, მისაბაძ მაგალითებად გვისახავს ძველ წმინდანებს“.[7]

სახარების რჯული გვეუწყა სამარადისოდ – ბოლო ჟამამდე, და იგი არ გარდავა, არც გამოიცვლება. ძველი აღთქმა მხოლოდ ერთ ერს ეკუთვნოდა, სახარების რჯული კი ყველას საკუთრებაა.

ამიტომ უწოდებენ მამები სახარებისეულ სარწმუნოებასა და სწავლებას „კათოლიკეს“ (ბერძნ. καθολικός – საყოველთაო), ანუ მთელ კაცობრიობაზე განფენილს.

ქრისტე – მსოფლიოს მთავარი და მეუფე

(ქრისტეს, როგორც მეფის, მსახურება)

შემოქმედი და მეუფე ცისა და ქვეყნისა – ძე ღვთისა, არის მარადიული მეფე ღვთაებრიობით, **არის მეფე ღმერთკაცობრიობითაც**. იგი ასეთი იყო დედამიწაზე მსახურების დროს, ჯვარზე აღსრულებამდე და ასეთად დარჩა აღდგომის შემდგომ განდიდებულიც.

ქრისტეს, როგორც მეფის შესახებ, იუწყებოდნენ წინასწარმეტყველნი. ესაია წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ: ***„რამეთუ ყრმა იშვა ჩვენდა ძე, და მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ იქმნა მკარსა ზედა მისსა და ჰრქუან სახელი მისი – დიდისა განზრახვისა ანგელოზი, საკვირველი თანგანმზრახი ღმერთი ძლიერი, კელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნოსა. რამეთუ მოვიღო მშვიდობაჲ მთავართა ზედა, მშვიდობაჲ და სიმართლე მისა. დიდ არს მთავრობა მისი, და მშვიდობისა მისისა არა არს საზღ-***

ვარ. საყდარსა ზედა დავითისსა დაჯდეს და მეფობასა მისსა წარმართებად მისსა...“ (ეს. 9, 6, 7).

მაცხოვრის, როგორც მეფის (ხელმწიფის), მსახურება აღდგომამდე გამოიხატებოდა:

ა) მის მიერ აღსრულებულ სასწაულებსა და ბუნებაზე მბრძანებლობაში;

ბ) ჯოჯოხეთის ძალებზე ბატონობაში, რასაც ადასტურებს ეშმაკთა განდევნის მრავალი მაგალითი და ამასვე მოწმობს უფლის სიტყვები: ***„... ვხედევდ ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა“*** (ლუკა, 10, 18);

გ) სიკვდილზე მბრძანებლობაში, – ამის მაგალითებია ნაინელი ქვრივის ძის, იაიროსის ქალიშვილისა და ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინება.

უფალი იესო ქრისტე თავისთავის მეფეს უწოდებს; ეს მოხდა აღდგომამდე, პილატეს სამსჯავროზე: ***„...მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს“*** (იოანე, 18, 36).

აღდგომის შემდგომ უფალი მოწაფეებს დიდებით მოევლინა და ამცნო: ***„...მომეცა მე ყოველი ხელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“*** (მათე, 28, 18). ამაღლების მერე ღმერთკაცი ქრისტე არის მთავარი ცის, ქვეყნისა და ჯოჯოხეთის მკვიდრთა.

უფალ იესო ქრისტეს, როგორც მეფის, მთელი ძალმოსილება გამოჩნდა მაშინ, როდესაც იგი შთახდა ჯოჯოხეთს, წარტყვევნა იგი, დაამსხვრია მისი ბორკილები, აღდგა მკვდრეთით და სიკვდილზე გაიმარჯვა, ბოლოს კი ამაღლდა და განაღო ცათა სასუფეველი ყველასთვის, ვინც იგი იწამა.

რატომ უნდა გვესმოდეს „ადამიანის განღმრთობა ქრისტეს მიერ“?

უფალ იესო ქრისტეს კაცობრივი ბუნება ღვთაებრივ ბუნებასთან შეერთებით საღვთო თვისებებს ეზიარა და გამდიდრდა; ანუ განიღმრთო არა მარტო უფლის კაცობრივი ბუნება – მის მიერ და მასში განიღმრთო **ჩვენი** კაცობრივი ბუნებაც, რადგან მან „თავადმან მსგავსად მოიღო“ ჩვენი სისხლი და ხორცი (იხ. ებრ. 2, 14), უაღრესად მჭიდროდ შეუერთდა კაცთა მოდგმას და თავის მხრივ, ისიც ღმერთთან შეაერთა. რადგან უფალმა ხორცი მარადისქალწულ მარიამისაგან შეისხა, საეკლესიო წიგნები ღვთისმშობელს მეტად ხშირად ჩვენი განღმრთობის წყაროს უწოდებენ: „მისა მიერ განღმრთობილ ვართ“. ჩვენი განღმრთობა აგრეთვე ხდება ქრისტეს სისხლისა და ხორცის ღირსეულად ზიარებით. მაგრამ გვმართებს, დავიცვათ ამ ტერმინის გამოყენების საზღვრები, რადგან ახალი დროის რელიგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში (დაწყებული ვ. სოლოვიოვიდან) შეინიშნება ქალკედონის დოგმატის შინაარსის უმართე-

ბულოდ გავრცობის ტენდენცია. ტერმინი „განღმრთობა“ და „ღმერთკაცობრივობა“ ერთსა და იმავეს არ ნიშნავს – ქრისტეს მიერ „განღმრთობილი“ პირად „ღმერთკაცობას“ ვერ მიაღწევს. ქრისტეს ეკლესიას იმიტომ ეწოდება ღმერთკაცობრივი სხეული, რომ მისი თავი ქრისტე – **ღმერთია**, სხეული კი ქრისტეს მიერ აღორძინებული **კაცობრიობა.** თავად მთელი კაცობრიობა და თითოეული ადამიანი იმავე ბუნებისა რჩება, რომლითაც და რომლისთვისაც შეიქმნა. ქრისტეშიც ადამიანური სულისა და სხეულის ბუნება ღვთაებრივით არ შეცვლილა, მხოლოდ შეუერთდა მას „შეუცვლელად და შეურევნელად“. „რადგან არასოდეს ყოფილა და არც იქნება სხვა ქრისტე, შედგენილი ღვთაებრივისა და კაცობრივისგან, სრული ღმერთი და სრული ადამიანი“.[8]

ქრისტეს აღდგომა და მისი ნაყოფნი ხსნისა

აღდგომა ქრისტესი – **ჩვენი ქრისტიანული, მართლმადიდებლური სარწმუნოების ეს საფუძველი და გვირგვინი** – არის ის პირველი, უმთავრესი და დიადი ჭეშმარიტება, რომლის ხარებითაც იწყებდნენ მოციქულები ქადაგებას სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ. ქრისტეს სიკვდილით აღსრულდა ჯვარზე ჩვენი გამოსყიდვა და მისივე აღდგომით **გვებოძა მარადიული ცხოვრება**. ამიტომაც არის ქრისტეს აღდგომა ეკლესიის მუდმივი დღესასწაული, დაუდუმებელი ზეიმი, რომელიც თავის მწვერვალს ქრისტეს აღდგომის წმინდა დღეს აღწევს: „ქრისტე აღდგა, გიხაროდენ!“ (აღდგომის კანონი).

აი, ქრისტეს აღდგომის გამომხსნელი ნაყოფნი:

ა) ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება;

ბ) ზეციერ წმინდანთა ნეტარება და ზეციური ეკლესიის არსებობის დასაწყისი;

გ) სულიწმიდის გარდამოსვლა და ქრისტეს ეკლესიის შექმნა დედამიწაზე.

ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება

სამოთხის დაკარგვის შემდგომ ადამიანი შეიძლება არსებობდეს ორი ფორმით, ესენია: მიწიერი, ანუ ხორციელი და საიქიო ცხოვრება.

მიწიერი ცხოვრება სხეულის სიკვდილით მთავრდება. ხოლო სული ხორციელი სიკვდილის შემდგომაც არსებობს, მაგრამ მისი საიქიო მდგომარეობა, საღვთო წერილისა და ეკლესიის მამათა სწავლებით, ყველასთვის ერთნაირი არ არის. ძე ღვთისას დედამიწაზე მოსვლასა და მის მკვდრეთით აღდგომამდე მიცვალებულთა სულები ღვთისაგან განგდებულნი, განკიცხულნი იყვნენ და ბნელეთში, ჯოჯოხეთში, ქვესკნელში (ებრ. შეოლ) მკვიდრობდნენ (შდრ. დაბ. 37, 35). იქ ყოფნა ჰგავდა სულიერ სიკვდილს,

როგორც ძველი აღთქმის ფსალმუნში ვკითხულობთ: ***„...არა არს, ვინ სიკუდილსა შინა მოიკსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“*** (ფს. 6, 6). ჯოჯოხეთში იყვნენ დამწყვდეულნი ძველი აღთქმის მართალთა სულები, რომლებიც მაცხოვრის ამა სოფლად მოსვლის იმედით ცხოვრობდნენ. როგორც პავლე მოციქული განმარტავს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში: ისინი სიკვდილის შემდეგ მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ გამოსყიდვასა და გათავისუფლებას. ასე გრძელდებოდა ქრისტეს აღდგომამდე, ახალი აღთქმის დადგომამდე. ***„და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებით და არღა მოიღეს აღნათქუემი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინაწარ განიგულა, რაჲთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ“*** (ებრ. 11, 39, 40). ჩვენი გამოხსნა მათი გამოხსნაც იყო.

ჯვარზე სიკვდილის შემდეგ ქრისტე თავისი კაცობრივი სულითა და ღვთაებრივი ბუნებით ჯოჯოხეთს შთახდა. იმავდროულად, მისი სხეული საფლავში განისვენებდა. მან ჯოჯოხეთის ტყვეებს გადარჩენა ახარა და ძველი აღთქმის ყველა მართალი ზეციური სამეფოს ნათელ სავანეებში აიყვანა.[9] ამის შესახებ ვკითხულობთ პეტრე მოციქულის პირველ ეპისტოლეში: ***„რამეთუ ქრისტემანცა ერთ გზის ცოდვათა ჩუენთათჳს ივნო, მართალმან მან ცრუთათჳს, რაჲთა ჩუენ წარგუაჲდგინნეს ღმრთისა, მოკუდა ჴორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა“*** (1 პეტ. 3, 18, 19) და შემდგომ: ***„რამეთუ ამისთჳს ეხარა მკუდართა, რაჲთა ისაჯნენ კაცობრივ ჴორცითა და ცხონდენ ღმრთისა მიერ სულითა“*** (1 პეტ. 4, 6). ამავე საკითხზე მსჯელობს პავლე მოციქული და თან ფსალმუნის მუხლს იშველიებს: ***„აღჰკედ მაღალსა, წარმოსტყუენე ტყუე და მოიღე ნიჭები კაცთა შორის...“*** (ფს. 67, 19), ***„ხოლო „აღსლვაჲ-იგი რაჲ-მე არს, არა თუ ესე, რამეთუ შთაჴდა იგი პირველად ქუესკნელთა ქუეყანისათა? რომელი გარდამოჴდა, იგივე არს, რომელი ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა, რაჲთა აღავსნეს ყოველნი“*** (ეფ. 4, 9, 10).

წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით: „დაატყვევა, განაქარვა, წარტყვევნა, მოკლა, დაამხო და შეკრა უფალმა ჯოჯოხეთი თავისი შთახდომით“.[10]

ჯოჯოხეთის კლიტეთა დამტვრევითა და ჯოჯოხეთის გარდაუვალობის განქარვებით თავად სიკვდილის ძალა განადგურდა: ჯერ ერთი, მართალთათვის იგი გახდა მხოლოდ „მიწიერიდან ზეციურში“, უკეთეს ცხოვრებაში, ღვთის სასუფევლის ნათელში დასამკვიდრებლად გადასასვლელი. მეორეც, ხორციელი სიკვდილი ჩვენთვის დროებით მოვლენად იქცა, რადგან ქრისტეს აღდგომით საყოველთაო აღდგომისაკენ მიმავალი გზა განგვეღო. ***„ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა“***(1 კორ. 15, 20). ქრისტეს აღდგომა ჩვენი აღდგომის საწინდარია: ***„... ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ევრეთცა ქრისტეს მიერ***

ყოველნი ცხოველ იქმნენ. ხოლო თჳთოეული თჳსითა წესითა: პირველად ქრისტე და მერმე ქრისტესნი იგი მოსლვასა მას მისსა“ (1 კორ. 15, 22, 23), შემდეგ სიკვდილი საბოლოოდ განქარდება: ***„უკუანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს – სიკუდილი“*** (1 კორ. 15, 26).

ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვების შესახებ განსაკუთრებული სიხარულით გვაუწყებს წმინდა აღდგომის ტროპარი: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“.

ქრისტე, ***„...რომელი ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა...“*** (ეფ. 4, 10), ყოველივეს აღავსებს.

წმინდანთა ნეტარება ზეცად და ქრისტეს დიადი სამეუფოს – მოზეიმე ზეცაშრი ეკლესიის – დაარსება

მამასთან აღსლვის წინ უფალი იესო ქრისტე მოციქულებს ეუბნებოდა: ***„საბლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ“*** (იოანე, 14, 2, 3); მაცხოვარი ასე ევედრებოდა მამას: ***„მამაო, რომელნიესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაც მე ვიყო, ივინიცა ჩემ თანა იყვნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა“*** (იოანე, 17, 24); მოციქულებიც მოისურვებენ ***„...განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად...“***(ფლპ. 1, 23), რადგან იციან, რომ ექნებათ სამკვიდრებელი ზეცად, ***„...საბლი ჴელით-უქმნელი საუკუნოჲ ცათა შინა“***(2 კორ. 5, 1).

წმინდანთა ზეცად ცხოვრება ასახულია აპოკალიპსისში: წმინდა იოანე ღვთისმეტყველს თვალწინ წარმოუდგა ზეცაში ***„...საყდარნი ოც და ოთხნი, და საყდართა მათ ზედა ოც და ოთხნი მღდელნი მსხდომარენი, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, და თავთა მათ ზედა გჳრგჳნნი ოქროჲ სანი“*** (გამოცხ. 4, 4); აგრეთვე, ზეციური საკურთხევლის ქვეშ იხილა ***„...სულნი იგი მკუდართანი სიტყჳსათჳს ღმრთისა და წამებისათჳს კრავისა მის, რომელ აქუნდა“*** (გამოცხ. 6, 9); ***„და შემდგომად ამისა ვიხილე, და აჰა ერი ფრიადი, რომლისა აღირაცხუვად ვერვინ შემძლებელ იყო, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ერთა და ენათა, მდგომარენი წინაშე საყდრისა და წინაშე კრავისა, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკებითა, და ჴელთა მათთა აქუნდა ფინიკები. და ჰმობდეს ჰმითა დიდითა და იტყოდეს: მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ, მჯდომარისა საყდართა ზედა, და კრავისა“*** (გამოცხ. 7, 9-10).

ზეციური სახლის ნათელ სავანეებს წმინდა წერილი უწოდებს „ქალაქს ღმრთისა ცხოველისა“, „სიონის მთას“, „ზეციურ იერუსალიმს“ და ეკლესიას „პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა“ (იხ. ებრ. 12, 22, 23).

ასე განიღო ქრისტეს ზეციური დიადი სამეფო. მასში შევიდნენ ძველი აღთქმის მართალთა და კეთილმსახურთა სულები, რომელთა შესახებაც მოციქულმა გვამცნო: ***„...ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებით და არღა მოიღეს აღთქუმი იგი*** (ანუ, ძე ღვთისას ამა სოფლად მოსვლასა და საერთო გადარჩენამდე)***, ...რაჲთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ“*** (ებრ. 11, 39, 40) (ანუ, მიაღწიონ სიხარულსა და ნეტარებას ქრისტეს ზეციურ ეკლესიაში). ამ სამეფოში ახალი აღთქმის მკვიდრნი შეიქნენ ისინი, ვინც ქრისტე პირველებმა იწამეს. ესენი არიან: მოციქულნი, პირველმოწამენი, აღმსარებელნი... და ასე ივსება ზეციური სახლი, ზეციური იერუსალიმი, ბეღელი ღვთისა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, მანამ, სანამ სრულ სავსებას არ მიაღწევს. **წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი** ასე გვასწავლის: „ამა სოფლად უნდა დაიბადოს ყველა ღვთისაგან რჩეული და მათ უნდა აღავსონ პირმშოთა ეკლესია, ზეციური იერუსალიმი. ქრისტეს სხეული სავსებას მაშინ მიაღწევს, როდესაც თავისთან ღვთის ყველა რჩეულს, ძე ღვთისას ხატების მსგავსებს – ნათლისა და დღის შვილებს მიიღებს. ყოველი ასეთი ზემოხსენებული, მოხვედრილი გადარჩენილთა რიცხვში, შეუერთდება და შეეთვისება ქრისტეს სხეულს; და ქრისტეს სხეულს უკვე ერთი წევრიც აღარ დააკლდება. ჭეშმარიტად ისეა, როგორც პავლე მოციქული გვიხსნის: ***„ვიდრედმდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა... მამაკაცად სრულად... სავსებისა მის ქრისტესისა“*** (ეფ. 4, 13). ისინი, ერთად შეკრებილნი, შეადგენენ ქრისტეს სრულ სხეულს. მაშინ გარე სამყარო, ზეციური იერუსალიმი, რომელიც არის პირმშოთა ეკლესია, აღივსება და საღვთო ეკლესიის სასძლოს სხეული, რომელიც ქრისტე ღმერთის სხეულია, მთელი სავსებითა და სრულყოფილებით გაცხადდება“.[11]

წმინდა წერილის სწავლებით, მართალთა სულების ზეციურ ნეტარებაში იგულისხმება:

ა) ჯაფისაგან გათავისუფლება და მოსვენება;

ბ) უზრუნველობა და ტანჯვას განშორება (იხ. გამოცხ. 14, 13; 7, 16);

გ) მამამთავართა და სხვა წმინდანებთან მარადის ახლო ურთიერთობა;

დ) ურთიერთშორის და ანგელოზთა გუნდებთან ურთიერთობა;

ე) კრავის საყდრის წინაშე დგომა, მისი განდიდება და მსახურება;

ვ) ქრისტესთან ურთიერთობა და მის მეუფებაში თანამონაწილეობა;

ზ) ყოვლისმპყრობელი ღმერთის პირის ჭვრეტის სიხარული.

მართალთა სულების ზეციური ნეტარება დამოკიდებულია მათი სულიერი სრულყოფის ხარისხზე. საერთოდ, ეკლესიის სწავლებით, ნეტარება

ჯერ კიდევ არ არის სრული და სრულყოფილი – იგი იმ მარადიული ნეტარების საწყისი მდგომარეობაა, რომელიც საყოველთაო სამსჯავროს შემდგომ დაისადგურებს.[12]

სულიწმიდის გარდამოსვლა და ქრისტეს ეკლესიის დაარსება დედამიწაზე

უფალმა იესო ქრისტემ თავისი ტანჯვის წინ მოწაფეებს აღუთქვა სულიწმიდა-ნუგეშინისმცემლის გამოგზავნა, რომელიც მარადის მათთან დარჩებოდა – ეს იქნებოდა სული ჭეშმარიტებისა, რომელიც ასწავლიდა და შეახსენებდა ყოველივეს, რაც თავად მაცხოვარმა იქადაგა, და აუწყებდა მომავალს. აღდგომის შემდგომ უფალი გამოეცხადა მოწაფეებს და გადასცა მათ სულიწმიდის მადლმოსილი ძალა სიტყვებით: ***„...მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“*** (იოანე, 20, 22, 23); აღთქმის თანახმად, უფალმა თავისი ამაღლებიდან მეათე და აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოწაფეებზე ცეცხლოვანი ენების სახით სულიწმიდა გარდმოავლინა.

დედამიწაზე სულიწმიდის გარდამოსვლამ, ჯერ ერთი, მოციქულებს განჭვრეტის, კურნების, წინასწარმეტყველების, ენათა გაგების **განსაკუთრებული ნიჭნი** მიჰმადლა და, მეორე, ქრისტეს ერთგულნი აღივსნენ მადლმოსილი ძალებით; ისინი მათ სულიერი სრულყოფისა და გადარჩენის გზაზე მიუძღვიან.

სულიწმიდით, მისი ღვთიური ძალით მოგვენიჭა ***„...ძალი საცხორებელად და ღმრთისა სამსახურებელად...“*** (2 პეტ. 1, 3). **ეს მადლმოსილი ნიჭნი უფლის მიერ დედამიწაზე შექმნილ წმინდა ეკლესიაშია.** ისინი ჩვენი გადარჩენისა და განწმენდის საშუალებებად გვევლინებიან.

გადარჩენის ამ საშუალებათა განხილვა წარმოადგენს დოგმატური ღვთისმეტყველების მომდევნო ნაწილის – **„ქრისტეს ეკლესიის“ თემას.**

VII. ქრისტეს ეკლესია

ცნება ქრისტეს მიწიერი ეკლესიის შესახებ

სიტყვა ეკლესია ზედმიწევნით **„კრებულს“** ნიშნავს (ბერძნ. εκκαλεω – ვიწვევ, ვკრებ). ასეთივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა იგი ძველ აღთქმაშიც.

ახალ აღთქმაში ამ სახელდებას შეუდარებლად უფრო ღრმა და საიდუმლო შინაარსი აქვს, რომელიც, ძნელია, სიტყვებით მოკლედ ჩამოაყალიბო. ეკლესიის ხასიათის ახსნა ყველაზე კარგად ბიბლიაში მოყვანილი მიმსგავსებებით შეიძლება.

ახალი აღთქმის ეკლესია არის საღვთო ახალი ნერგი, ბაღი ღვთისა, ვენახი ღვთისა. უფალმა იესო ქრისტემ თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით, ჯვარზე სიკვდილითა და აღდგომით კაცობრიობას ახალი, მადლმოსილი ძალები შესძინა და განახლებული, უხვად ნაყოფისმომცემელი ცხოვრება შეუქმნა. ეს ძალები არსებობს წმინდა ეკლესიაში – „ქრისტეს სხეულში“.

წმინდა წერილი მდიდარია ეკლესიის ნათლად გამომსახველი მაგალითებით:

ვაზი და მისი რტოები: ***„მე ვარ ვენაკი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაჲთა უფროჲსი ნაყოფი გამოიღოს. დაადგერით თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა: ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ კელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკუეთუ არა ეგოს ვენაკსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენაკი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჰმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას. ამით იდიდოს მამაჲ ჩემი, რაჲთა ნაყოფი მრავალი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე“*** (იოანე, 15, 1, 2, 4-6, 8).

მწყემსი და სამწყსო: ***„ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ. ...ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საპოვარი პოვოს. მე ვარ მწ-***

ყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიცნიან ჩემთა მათ. ...სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს. და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე, 10, 1, 2, 7, 9, 11, 14-16).

თავი და სხეული: ***„...ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა. რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“*** (ეფ. 1, 22, 23).

მშენებარე შენობა: ***„ამიერითგან უკუე არღარა ხართ უცხო და მწირ, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინაწარმეტყუელთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ, რომლითა ყოველი შენებული, შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ, რომელსა ზედა თქუენცა თანა-აღშენებულ ხართ სამკჳდრებელად ღმრთისა სულითა“*** (ეფ. 2, 19-22).

სახლი, ოჯახი: ***„...ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სლვაჲ, რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“*** (1 ტიმ. 3, 15); ***„ხოლო ქრისტე, – ვითარცა ძე სახლსა ზედა მისსა; რომლისა სახლ ვართ ჩუენ, უკუეთუ კაცნიერებაჲ იგი და სიქადული სასოებისაჲ მის ვიდრე აღსასრულადმდე მტკიცედ შევიკრძალოთ“***(ებრ. 3, 6).

აქვე აღსანიშნავია სხვა სახარებისეული სახეები: მესათხევლეთა ბადე, დათესილი მინდორი, ვენახი ღვთისა.

ეკლესიის მამები ხშირად მიწიერ ეკლესიას ზღვაში მცურავ გემსაც ადარებენ.

პავლე მოციქული ეკლესიის ცხოვრებას ქრისტესთან ადარებს ქორწინებას, ცოლ-ქმრულ ურთიერთობას და თავის შეხედულებას შემდეგი სიტყვებით ასრულებს: ***„საიდუმლო ესე დიდი არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“*** (ეფ. 5, 32). ეკლესიის ცხოვრება თავისი არსით საიდუმლოა, მისი დინება სრულად არც ერთ „ისტორიაში“ არ ჯდება. ეკლესია მთლიანად განსხვავდება ამქვეყნად არსებული ნებისმიერი ორგანიზებული საზოგადოებისაგან.

ეკლესიის არსებობის დასაწყისი, მისი ზრდა და დანიშნულება

ქრისტეს ეკლესიამ არსებობა დაიწყო მაშინ, როდესაც ***„...მოიწია აღსასრული ჟამთაჲ...“*** (გალ. 4, 4), ანუ როცა ამქვეყნად ძე ღვთისა მოვიდა და სამყარო გამოიხსნა.

მისი არსებობა სრული სახითა და მნიშვნელობით, სულიწმიდის ნიჭთა სისავსით დაიწყო უფლის ამაღლების შემდგომ, სულთმოფენობის დღეს. მაშინ მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ იერუსალიმში დაახლოებით სამი ათასი კაცი მოინათლა და შემდგომადაც ***„...უფალი შესძინებდა ცხოვნებულთა დღითი-დღედ ეკლესიასა“*** (საქმ. 2, 47). ამ დროიდან იერუსალიმის, მოგვიანებით კი პალესტინის ტერიტორიები, აგრეთვე მთელი რომის იმპერია და მისგან დამოუკიდებელი ქვეყნები თანდათანობით აღივსო ქრისტიანული თემებით – ეკლესიებით. სახელი „ეკლესია“ განუყოფელი იყო თითოეული ქრისტიანული თემის, სახლისა და ოჯახისგანაც კი. ეს მიუთითებს ამ ნაწილების მთელთან – ქრისტეს ეკლესიის სხეულთან ერთიანობაზე.

„ქრისტეს სხეული“ – ეკლესია ***„...ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა“*** (კოლ. 2, 19). მოციქული ნაგებობას ადარებს ეკლესიას და თან ამტკიცებს, რომ მისი მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა, იგი გრძელდება: ***„...ყოველი შენებული, შენაწევრებული, ორძის ტაძრად წმიდად უფლისა მიერ“*** (ეფ. 2, 21). ეს ზრდა მიწიერი ეკლესიის მარტო ხილულ, რაოდენობრივ მატებას არ გულისხმობს; იგი უფრო **სულიერ ზრდას, წმინდანებად შერაცხვასა** და ზეციერ-მიწიერი სამყაროს სიწმინდით აღვსებას ეხება. ეკლესიის მიერ აღესრულება მამა ღმერთისგან განსაზღვრული განგებულება ***„...აღვსებისა მის ჟამთაჲსა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაჲ-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“*** (ეფ. 1, 10).

ეკლესიის მიწიერ ზრდაში მოიაზრება მისი საღვთისმსახურო და კანონიკური ურთიერთობების განვითარება, წმინდა მამათა თხზულებებით გამდიდრება, ამქვეყნიური არსებობისთვის აუცილებელი გარეგნული ფორმების გაფართოება.

ეკლესია ჩვენი სულიერი სახლია. ქრისტიანის ფიქრები და ქმედებანი მჭიდროდ უკავშირდება მას, როგორც მშობლიურ სახლს და უფრო მეტსაც კი; სანამ ამქვეყნად ცხოვრობს, ადამიანმა უნდა იღვაწოს თავის საცხონებლად, მისთვის ბოძებული მადლმოსილი საშუალებები გამოიყენოს განწმედისათვის. ეკლესია თავის შვილებს ზეციური სამშობლოსათვის ამზადებს.

თუ როგორ და რა ჩვეული თანმიმდევრობით ხდება საღვთო მადლის მოქმედებით ადამიანის სულიერი აღორძინება და ზრდა, რა დაბრკოლებათა გადალახვა მართებს მას ცხონების გზაზე, როგორ უნდა მიესადაგოს აუცილებელი პირადი ძალისხმევა საღვთო მადლმოსილ შემწეობას – ყოველივე ამას გვამცნობს საღვთისმეტყველო და სასულიერო მეცნიერებათა განსაკუთრებული დარგები, რომელთაც **ზნეობრივი** ღვთისმეტყველება და **ასკეტიკა** ეწოდება.

დოგმატური ღვთისმეტყველება „ქრისტეს ეკლესიის“ საკითხზე იმ მადლმოსილი პირობებისა და საიდუმლო-მადლისმიერ საშუალებათა განხილვით შემოიფარგლება, რომელთაც ეკლესია ქრისტეთი ცხონების მიზნის მისაღწევად გვიბოძებს.

ეკლესიის თავი

მაცხოვარმა ამაღლების წინ უფლებამოსილება მოციქულებს მიანიჭა და სრულიად გარკვევით უთხრა, რომ გააგრძელებდა ეკლესიის უხილავად მართვასა და ყოველთა მწყემსად ყოფნას: ***„...მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“*** (მათე, 28, 20). მაცხოვარი ასწავლიდა, რომ მას, როგორც მწყემსს კეთილს, მართებს იზრუნოს იმ სამწყსოზეც, რომელიც მის ეზოს არ ეკუთვნის, რათა ***„...იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“*** (იოანე, 10, 16); ***„...მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი...“*** (მათე, 28, 18, 19). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ეკლესიის უზენაესი მწყემსი თავად ქრისტეა. ეს უეჭველად უნდა შევიგნოთ, რათა არ დავივიწყოთ, რომ არსებობს მიწიერსა და ზეციურ ეკლესიებს შორის მჭიდრო კავშირი და შინაგანი ერთობა.

უფალი იესო ქრისტე არის ეკლესიის **დამფუძნებელი**: ***„...ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“*** (მათე, 16, 18).

იგი ამავე დროს **საფუძველია**, ქვაკუთხედია ეკლესიისა: ***„რამეთუ საფუძველი სხუაჲ ვერვის ჴელ-ეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“*** (1 კორ. 3, 11).

უფალი თავად არის **თავი** ეკლესიისა: მამა ღმერთმა ***„...ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა. რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“*** (ეფ. 1, 22, 23); ***„...თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უხუებისაჲთა შეწევნისაებრ საზომისა თჳთოეულისა ასოჲსა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებელად თავისა თქუენისა სიყუარულით“*** (ეფ. 4, 15, 16). ჩვენი სხეულის ნაწილების ერთობა შეადგენს სრულ და ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც თავი მართავს. ასეთივე სულიერი ორგანიზმია ეკლესიაც – მასში არ არსებობს ადგილი, სადაც ქრისტეს ძალები არ მოქმედებდნენ: იგი „აღსავსეა ქრისტეთი“ (წმინდა თეოფანე დაყუდებული).

ქრისტე თავის სამწყსოს, ანუ ეკლესიისათვის, არის ***„მწყემსი კეთილი“***. პავლე მოციქულის სიტყვებით, ჩვენ გვყავს ***„დიდი მწყემსი ცხოვართა“***.

უფალი იესო ქრისტე არის მწყემსმთავარი. ***„საზე ექმნენით სამწყსოს“*** – ევედრება პეტრე მოციქული, როგორც ***„ერთი მათგანი „თანა-ხუცესი“*** (ბერძნ. συνπρεσβυτερος) ეკლესიაში დადგენილ მწყემსებს, რათა ***„... გამოჩინებასა მას მწყემსთ მთავრისასა მოიღოთ დაუჭნობელი იგი დიდებისა გჳრგჳნი“*** (1 პეტ. 5, 4).

თავად ქრისტეა უხილავი, უზენაესი **ეპისკოპოსი** ეკლესიისა. წმინდა მოწამე ეგნატე ღმერთშემოსილი, მოციქულთა მოწაფე, უფალს „უხილავ ეპისკოპოსს“ უწოდებს (ბერძნ. επισκοπος αόρατος).

ქრისტე თავისი ეკლესიის მარადიული **მღვდელმთავარია**. როგორც პავლე მოციქულმა ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში გამოთქვა: ძველი აღთქმის მღვდელმთავარნი მრავლად არიან ***„...დადგინებულნი სიკუდილისაგან დაყენებითა დადგრომად. ხოლო ამას დადგრომისათჳს მისისა უკუნისამდე წარუვალად აქუს მღდელობაჲ იგი, ვინაჲცა ყოვლითურთ ცხორებად შემძლებელ არს მათდა, რომელნი-იგი მის მიერ მოუკდებიან ღმერთსა, და სამარადისოდ ცხოველ არს მეოხად მათთჳს“***(ებრ. 7, 23-25).

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების მიხედვით იგი არის: ***„... წმიდაჲ იგი და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არვინ დაჰჴშას, გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დაჴშული იგი“*** (გამოცხ. 3, 7).

ეკლესიის თვითშეგნებაში ყოველთვის ცოცხლობდა და ცოცხლობს ჭეშმარიტება, რომ თავად ქრისტეა თავი ეკლესიისა. ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებშიც ვკითხულობთ: „იესუ, სამწყსოსა შენისა მწყემსსა კეთილსა...“ (ძილად მისვლის ლოცვები. წმინდა ანტიოქეს ლოცვა).

ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია უარყოფს კიდევ ერთი, საერთო თავის არსებობას „ქრისტეს ამქვეყნიური მოადგილის“, „ქრისტეს ნაცვალის“, „ვიცე-ქრისტესა“ თუ „ქრისტეს ვიკარიუსის“ სახით. ასეთ სახელებს არქმევენ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში რომის ეპისკოპოსს და მასვე უწოდებენ ეკლესიის საფუძველს, უზენაეს მღვდელმთავარსა და მწყემსმთავარს. ამგვარი წარმოდგენა არ ეთანხმება არც საღვთო წერილს, არც საერთო-საეკლესიო ცნობიერებასა და გადმოცემას. იგი ორად გლეჯს მიწიერი და ზეციური ეკლესიების უშუალო ერთობას. მოადგილე ინიშნება შესაცვლელის არყოფნის შემთხვევაში. მაგრამ იესო ქრისტე ყოველთვის, ***„...ყოველთა დღეთა...“*** (მათე, 28, 20) უხილავად სუფევს ეკლესიაში.

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეზე საუბარში **წმინდა იოანე ოქროპირი** გვასწავლის:

„განხორციელებული ქრისტეს სახით ღმერთმა ერთი თავი დაუდგინა ყველას, ანგელოზებსა თუ ადამიანებს; ერთი საწყისი უბოძა ადამიანებსაც და ანგელოზებსაც: ერთს – განხორციელებული ქრისტე, მეორეს – ღმერთი

სიტყვა. უფალმა ყველა თავის ქვეშ შემოიკრიბა. ეს იგივეა, როდესაც სახლში რაღაც დამპალია და რაღაც მტკიცე და მას მთლიანად განაახლებენ, განამტკიცებენ უფრო მყარი საძირკვლის ჩაყრით. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ერთობა, მხოლოდ მაშინ დამყარდება სრულყოფილი კავშირი, როდესაც ყველა, ვისაც გარკვეულწილად უცილობელი კავშირი აქვს ზეცასთან, ერთი თავის ქვეშ შეიყრება“.[1]

ეპისკოპოსთა II მსოფლიო კრებამ საქმიანობის დასრულებისთანავე დაწერა ეპისტოლე პაპ დამასესა და რომის ეკლესიის სხვა ეპისკოპოსებისადმი, რომელიც ასე მთავრდება:

„ამრიგად, როდესაც სარწმუნოების სწავლება შეჯერდება და ჩვენში ქრისტიანული სიყვარულით განმტკიცდება, აღარ ვიტყვით იმას, რაც მოციქულმა გაკიცხა: ***„...მე პავლესი ვარ, ხოლო მე – აპოლოსი, ხოლო მე – კეფასი...“***(1 კორ. 1, 12), და ჩვენ ყველანი, ქრისტესნი გავხდებით, რამეთუ ქრისტე ჩვენ შორის არ განყოფილა. ამიტომ, ღვთის შეწევნით შევინახოთ ეკლესიის სხეული განუყოფლად და თამამად წარვდგებით უფლის წინაშე“.[2]

III მსოფლიო საეკლესიო კრების მთავარი მოქმედი პირი – **წმინდა კირილე ალექსანდრიელი,** ამ კრების საქმეებში შეტანილ „წმინდა მრწამსისადმი ეპისტოლეში“ წერს:

„უწმინდესი მამანი... ოდესღაც ნიკეაში შეიკრიბნენ და ღირსად პატივსაგები მსოფლიო კრების სიმბოლო შეადგინეს. მაშინ მათთან ერთად ბრძანდებოდა თავად ქრისტე. ***„რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათა“*** (მათე, 18, 20) – ეს მან ბრძანა. როგორ უნდა დაეჭვდე, რომ ამ წმინდა მსოფლიო კრებას ქრისტე უძღვებოდა?! აქ, ამ კრებაზე ხომ ერთგვარად მტკიცე და დაურღვეველი საფუძველი და საძირკველი დაიდო. აქედან კი მთელ სამყაროზე გავრცელდა ეს წმინდა და შეუბღალავი აღიარება. და თუ ეს ასეა, განა შეიძლებოდა, ქრისტე არ დასწრებოდა, როდესაც თავად იგია საძირკველი. ბრძენი პავლეს სიტყვებით: ***„...საფუძველი სხუად ვერვის ხელ-ეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი-ივი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“***(1 კორ. 3, 11).[3]

III მსოფლიო საეკლესიო კრების საქმეებში ასევე შესულია **ნეტარი თეოდორიტეს** საუბარი, სადაც იგი ნესტორის მიმდევარ ერეტიკოსებს მიმართავს:

ქრისტე ურწმუნოთათვის არის „ლოდ შებრკოლებისა და კლდე საცთურისა“ (იხ. 1 პეტ. 2, 7), ხოლო შეუორგულებელთათვის იგი, ესაიას სიტყვებით, პატიოსანი ქვა და საძირკველია (იხ. ეს. 28, 16); ქრისტე ღოდია, „რომელი შეურაცხყვეს მაშენებელთა“ და რომელიც „იქმნა თავკიდეთა“ (იხ. ფს. 117, 22; მათე, 21, 42; მარკოზი, 12,10; ლუკა, 20, 17; საქმ. 4,

11); ქრისტე საფუძველია ეკლესიისა. დანიელის წინასწარმეტყველებით, ქრისტე არის ლოდი, რომელიც ხელისუკვრელად მოსწყდა და ***„იქმნა მთა დიდ, აღავსო ყოველი ქუეყანა“*** (დან. 2, 35). ჩვენ მისთვის, მასთან ერთად და მისი ძალით ვიბრძვით. მის გამო გაგვაძევეს სამეფო ქალაქიდან, მაგრამ არ განუგდივართ ზეციური სასუფევლიდან, რამეთუ გვაქვს ზეციური იერუსალიმი, რომლის, პავლე მოციქულის სიტყვებით, ***„...ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს“***(ებრ. 11, 10).[4]

ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ იერუსალიმის პატრიარქი, წმინდა მღვდელმთავარი იუბენალი თავის ეპისტოლეში პალესტინის სასულიერო პირებისადმი წერს:

„როდესაც უმთავრესმა და მოციქულთაგან პირველმა პეტრემ ბრძანა: ***„შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ“***(მათე, 16, 15), მაშინ უფალმა მიუგო: ***„...ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა, რამეთუ ჴორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. და მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“*** (მათე, 16, 16-18). ასეთ **აღიარებაზე** დამყარდა ღვთის ეკლესია და იგი წმინდა მოციქულთაგან გადმოცემულ ამ რწმენას იცავდა და დაიცავს ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“.[5]

ქრისტეს მიწიერი ეკლესიის მჭიდრო კავშირი ზეცაში, წმინდანთა ეკლესიასთან

მოციქული მოძღვრავს მათ, ვინც ქრისტე ირწმუნა და ეკლესიას შემოუერთდა: ***„...მოსრულ ხართ თქუენ მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალჱმსა ზეცისასა, და ბევრეულსა ანგელოზთა კრებულსა და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულისა ყოველთაჲსა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთაჲსა. და შჯულისა მის საღმრთოჲსა შუა-მდგომელისა იესუჲსა...“***(ებრ. 12, 22-24). ჩვენ არ ვართ სიკვდილის გაუვალი უფსკრულით განყოფილი ჩვენი ერთმორწმუნე მიცვალებული მოძმეებისგან და ურთიერთსიახლოვე გვაქვს ღმერთთან, რომლის წინაშე ***„...ყოველნი ცხოველ არიან...“*** (ლუკა, 20, 38).

ეკლესია უგალობს ამ კავშირს უფლის ამაღლების დღესასწაულის კონდაკით: „სრულ-ჰყავ რა ცხორება ჩუენი, და ზეცისათა შეაერთე ქუეყანა, ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო, რომელი არა სადა განეშორები, მხსნელო, არამედ ჰგიე განუშორებლად, და ეტყოდი სიყუარულითა მათ შენითა: მე მხოლო ვარ თქუენ თანა და ვერვინ შემძლებელ არს ვნებად თქუენდა“.

რასაკვირველია, არის განსხვავება ქრისტეს მიწიერ ეკლესიასა და წმინდანთა ზეციურ ეკლესიას შორის: მიწიერ ეკლესიაში მყოფნი ჯერ კიდევ არ გამხდარან ზეციური ეკლესიის წევრნი.

„აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლე“ (XVII საუკუნე) პასუხს სცემს კალვინისტების სწავლებას ერთიანი, უხილავი ეკლესიის შესახებ და ამ საკითხზე მართლმადიდებლურ სწავლებას შემდეგნაირად აყალიბებს: „გვწამს ისე, როგორც გვასწავლის ასეთად სახელდებული და ჭეშმარიტად ასეთი წმინდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესია, რომელიც ყველგან არსებობს და მოიცავს განურჩევლად ყველას, ვინც იწამა ქრისტესი, ამჟამად მოარულია და ჯერაც არ დამკვიდრებულა ზეციურ სამშობლოში. ჩვენ სულაც არ ვაიგივებთ (როგორც ზოგი მწვალებელი ფიქრობს) მოარულ ეკლესიას სამშობლოში დამკვიდრებულ ეკლესიათან მარტო იმიტომ, რომ არსებობს ერთიც და მეორეც, და რომ ორივენი ერთი მწყემსმთავრის – ღმერთის ორ სამწყსოს შეადგენენ და ერთი სულიწმიდით არიან განწმედილნი. მათი ასეთი აღრევა უადგილოა და შეუძლებელი. რამეთუ ერთი მათგანი იბრძვის, ჯერაც გზაშია, მეორე კი გამარჯვებას ზეიმობს; მან მიაღწია სამშობლოს და ჯილდო მიიღო. საბოლოოდ მას დაემსგავსება მთელი მსოფლიო ეკლესიაც“.[6]

და მართლაც, ამქვეყნიური და ზეციური სამყარო ხომ არსებობის ორი ფორმაა: იქ, ზეცაში, უსხეულობაა, ამქვეყნად კი ხორციელი სიცოცხლე და ფიზიკური სიკვდილია; იქ უკვე მიაღწიეს, აქ მისაღწევად ისწრაფვიან; აქ სწამთ ღმერთისა, იქ მის პირს ჭვრეტენ; აქ სასოებაა, იქ აღსრულება.

და მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება ამ ორი სფეროს – ზეციურისა და მიწიერის არსებობა მთლიანად განყოფილად წარმოვიდგინოთ. თუ ჩვენ ვერ შევწვდით ზეციერ წმინდანებს, ისინი ჩამოდიან ჩვენამდე. როგორც მეცნიერების სრულად შემსწავლელი ფლობს მის საწყისებს და როგორც ქვეყანაში შეჭრილ მხედართმთავარს უპყრია მისი საზღვრისპირა არე, ასევე ზეცას მიღწეულებმა იციან მათ მიერ განვლილი გზა და **არ წყვეტენ მებრძოლი ეკლესიის ცხოვრებაში მონაწილეობას.**

ამ სოფლიდან განსვლისას წმინდა მოციქულებმა შემოიძარცვეს მიწიერი სხეული, მაგრამ ეკლესიურ სხეულს არ განშორებიან. ისინი **იყვნენ ეკლესიის საფუძვლები და ასეთებად რჩებიან** კიდეც. ეკლესია არის ***„აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინაჲსწარმეტყველთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ“*** (ეფ. 2, 20). ისინი, ზეცად მყოფნი, აგრძელებენ ამქვეყნად მცხოვრებ მორწმუნეებთან ურთიერთობას.

ამგვარი შეხედულება იკვეთება როგორც აღმოსავლელ, ისე დასავლელ ძველ წმინდა მამათა ნააზრევში. აი, **წმინდა იოანე ოქროპირის** სიტყვები:

„ისევ მოწამეთა ხსენება, ისევ დღესასწაული და სულიერი ზეიმი. ისინი ეწამნენ, ჩვენ კი გვიხარია; ისინი იღვწოდნენ, ჩვენ ვზეიმობთ. მათი გვირ-

გვინი – საერთო დიდებაა, უმჯობესია ითქვას – მთელი ეკლესიის დიდება. იტყვი, თუ რატომ ხდება ეს? მოწამენი ჩვენი ნაწილი და ასონი არიან და ***„...თუ ევნებინ რაჲ ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ იდიდებინ ერთი ასოჲ, მის თანა იდიდებიედ ყოველნი ასონი“*** (1 კორ. 12, 26). თავი გვირგვინით შეიმკობა და მთელი სხეული ხარობს. ერთი იმარჯვებს ოლიმპიურ თამაშებში და მთელი ხალხი ზეიმობს და მას დიდი პატივით იღებს. თუ ოლიმპიურ თამაშებზე ასე კმაყოფილდებიან ისინი, ვისაც საერთოდ არ უღვაწია, მაშინ მით უფრო უნდა იღებდნენ მას (სიხარულს) მართლმორწმუნე მოსაგრენი. ჩვენ ფეხები ვართ, მოწამენი – თავნი არიან; მაგრამ ***„...ვერ ქელ-ეწიფების ... თავსა (ჰრქუას) ფერჯთა, ვითარმედ: არა მიჯმთ თქუენ“*** (1 კორ. 12, 21). განდიდებულია ნაწილი, მაგრამ დიდების უპირატესობა მას სხვა ასოთა კავშირისაგან არ განაყენებს. რამეთუ მაშინ იქნებიან გამორჩეულად განდიდებულნი, როდესაც მათთან კავშირს არ განუდგებიან... თუ მათ მეუფეს არ ეთაკილება, იყოს ჩვენი თავი, მით უფრო არ უნდა უარყონ მათ ჩვენს წევრებად ყოფნა. ამით სიყვარული გამოიხატება, ხოლო სიყვარული აერთიანებს და აკავშირებს განცალკევებულთ, მიუხედავად მათი განსხვავებული ღირსებებისა“.[7]

„რამეთუ მართლმორწმუნე მიცვალებულთა სულები, – ამბობს ნეტარი ავგუსტინე, – არ განეშორებიან ეკლესიას, რომელიც ქრისტეს სამეფოა. ამიტომაც სრულდება უფლის საკურთხეველზე მათი მოხსენიება ქრისტეს სხეულის შეწირვით... ეს რატომ მოხდებოდა, თუკი მართალნი სიკვდილის შემდგომ მისი წევრნი აღარ არიან?“

მამა იოანე კრონშტადტელი თავის თხზულებაში „ფიქრები ეკლესიაზე“ წერს: „აღიარე, რომ ყველა წმინდანი – ზეციერი მამის ერთიან სახლში მყოფნი – ჩვენი უფროსი ძმები არიან. ისინი ამქვეყნიდან ზეცად გადასახლდნენ, მაგრამ ყოველთვის ჩვენთან ერთად არიან ღმერთთან. მარადის გვასწავლიან, გვიძღვებიან მარადიული ცხოვრებისაკენ და ეს მათ მიერ შედგენილი საეკლესიო მსახურებების, საიდუმლოებების, წესების, სწავლებების, ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვებისა და დღესასწაულების საშუალებით ხდება. ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენთან ერთად მსახურებენ, გალობენ, საუბრობენ, გვასწავლიან, გვეხმარებიან სხვადასხვაგვარი ცდუნებისა და განსაცდელის ჟამს; მოუხმე მათ, როგორც შენთან ერთ ჭერქვეშ მცხოვრებთ; განადიდე, მადლობა შესწირე, ესაუბრე, როგორც ცოცხლებს და შენ ირწმუნებ ეკლესიას“.[8]

ეკლესია ლოცვით მიმართავს მოციქულებსა და მღვდელმთავრებს და უწოდებს მათ თავის „სუეტებს“, რომლებზედაც დღესაც დაფუძნებულია ეკლესია. „შენა ხარ სუეტი ეკლესიისა... სუეტნი ეკლესიისანი ხართ... შენ ხარ მწყემსი კეთილი და მოძღუარი სანატრელი, წმინდანო მღვდელმთა-

ვარნო..., თქუენ ხართ თუალნი ქრისტეს ეკლესიისა... თქუენ ხართ ვარსკვლავნი ეკლესიისა". ეკლესიის ცნობიერებით ზეცად ასული წმინდანები ეკლესიის ერთგვარ ცის თაღს ადგენენ: *„ვარსკულაო ბრწყინვალეო, მნათობო მოწამეთა შორის, გევედრებით სიწმიდესა შენსა მეოხ გვეყავ წინაშე ღუთისა"* (მოწამეთათვის საზოგადო მსახურებიდან); *„უფალმან ღმერთმან განგანათლა, წმინდაო მღუდელ-მთავარო, და უმაღლესსა ხარისხსა ზედა დაგადგინა სანთელი ბრწყინვალე, განგვანათლენ ქრისტიანენი, გევედრებით"* (მოწამე მღვდელმსახურთათვის მსახურებიდან). წმინდანებისადმი ამგვარად მიმართვის საფუძველი თავად საღვთო წერილში უნდა ვეძებოთ. წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ: ***„რომელმან სძლოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისასა..."*** (გამოცხ. 3, 12). მაშასადამე, წმინდანები არა მარტო იყვნენ წარსულში ეკლესიის სვეტები, ისინი ასეთად დარჩებიან მარადის.

ეკლესიის კავშირი წმინდანებთან და აგრეთვე მის სათავეში თავად უფალი ღმერთის ყოფნა განიხილება, როგორც ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლო მხარე. „ჯვარითა შენითა, ქრისტე, ერთ სამწყსოდ ჰქმენ ანგელოზნი და კაცნი ერთსა საყდარსა შინა. ცანი და ქუეყანა იხარებს და ღაღადებს, უფალო, დიდება შენდა" (ოქტოიხი, ხმა I, ოთხშაბათის ცისკარი, სტიქარონი).

ეკლესიის თვისებები

სარწმუნოების სიმბოლოს მეცხრე წევრი გვეუბნება, რომ ეკლესია ოთხი ძირითადი ნიშნით ხასიათდება: ***„მრწამს ... ერთი წმიდაჲ, კათოლიკჱ და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ".*** ეს არსებითი თვისებებია, რადგანაც მათ გარეშე ეკლესია, როგორც ასეთი, აღარ იქნებოდა.

ერთი ეკლესიის შესახებ

ბერძნულ ენაში სიტყვა **„ერთი"** გამოხატულია რიცხვითი სახელით (εν μιαν), მაშასადამე, სარწმუნოების სიმბოლო აღიარებს, რომ ეკლესია ***ერთია*** და:

ა) შინაგანად განუყოფელი;

ბ) გარეგნულად მის გვერდით არ არსებობს კიდევ სხვა ეკლესია.

ეკლესიის ერთობა ზედაპირული გაერთიანება არ არის, იგი შინაგან თანხმობასა და ერთსულოვნებაში მდგომარეობს. ***„ერთ ჴორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაჲთა; ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღება, ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის"***(ეფ. 4, 4-6).

მაცხოვარი ეკლესიას იგავთა საშუალებით აღწერს და ამასთან, საუბრობს ერთ სამწყსოზე, ცხოვართა ერთ სადგომზე, ერთ ვაზსა თუ ერთ მთავარ ქვაზე. უფალმა მოგვცა ერთი სწავლება, ერთი ნათლობა და ერთი ზიარება, მორწმუნეთა ქრისტეს მიერი ერთობა იყო მაცხოვრის სამღვდელმთავრო ლოცვის თემა მისი ჯვარზე ვნების წინ: ***„...ყოველნი ერთ იყვნენ...“*** (იოანე, 17, 21) – ასე ლოცულობდა უფალი.

ეკლესია ერთია როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად. მის **გარეგნულ** ერთობაში იგულისხმება სარწმუნოების ერთსულოვანი აღიარება, ერთი ღვთისმსახურება და საიდუმლოებანი, მოციქულებიდან მემკვიდრეობით გადმოცემული მადლმოსილი იერარქიის ერთობა და ერთიანი კანონიკური მოწყობა.

მიწიერ ეკლესიას აქვს ხილული და უხილავი მხარეები. უხილავია მისი თავი – ქრისტე, მისი განმაცხოველებელი სულიწმიდა. ეკლესიის შედარებით სრულყოფილ წევრთა სიწმინდეში უხილავად აღესრულება მისი საიდუმლო შინაგანი ცხოვრება. ეკლესია **ხილულიც** არის იმიტომ, რომ მისი წევრნი ცოცხალი ადამიანები არიან; მას ჰყავს ხილული იერარქია და ხილულად ასრულებს ლოცვასა და მღვდელმოქმედებებს; ღიად, სიტყვიერად აღიარებს ქრისტესადმი რწმენას.

ეკლესია ერთი მაშინაც იქნება, თუკი მის გვერდით გაჩნდება ეგრეთ წოდებული ქრისტიანული საზოგადოებები, რომლებიც მას არ ეკუთვნიან. ისინი ეკლესიის გარეთ დგანან და მასში არ ერთიანდებიან.

არ ირღვევა ეკლესიის ერთიანობა არადოგმატური ხასიათის დროებითი განხეთქილებების გამოც. ეკლესიათა შორის უთანხმოება არცთუ იშვიათად ჩნდება არასაკმარისი ცოდნისა და არასწორ მონაცემთა წყალობით. ურთიერთობათა დროებითი შეწყვეტა ხანდახან ცალკეული იერარქების პირადი ცდომილებების გამო ხდება, რომლებიც სათავეში უდგანან ამა თუ იმ ადგილობრივ ეკლესიას და არღვევენ მის კანონებს, ან ძველი ტრადიციით დადგენილი ერთი საეკლესიო ტერიტორიული ერთეულის მეორისადმი დაქვემდებარების წესს. მეტიც, ცხოვრება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ადგილობრივ ეკლესიაში მოხდეს ისეთი შიდა ძვრები, რომლებიც დააბრკოლებენ სხვა ეკლესიებთან მის ურთიერთობას მანამ, სანამ მასში არ გამოჩნდებიან და გაიმარჯვებენ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დამცველნი. დასასრულ, პოლიტიკურ გარემოებათა გამო შეიძლება ეკლესიათა შორის კავშირი დიდი ხნით მოიშალოს, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა ისტორიაში; ასეთ შემთხვევებში განყოფა მხოლოდ გარეგნულ ურთიერთობათა დონეზე ხდება. იგი არ ეხება და არ არღვევს შინაგან სულიერ ერთობას.

ერთი ეკლესიის ჭეშმარიტებას განსაზღვრავს მისი წევრების მართლმადიდებლური რწმენა და არა ამა თუ იმ მომენტში მათი რაოდენობა.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი II მსოფლიო საეკლესიო კრების წინ კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ წერდა:

„ეს ყანა ოდესღაც იყო მცირე და მოუსავლიანი... ეს არ ყოფილა ნათესი, რომლის გალეწვა, გათიბვა და ბეღელში (შენახვა) ღირდა, მასზე არ იდგა ზვინები, ძნები, მხოლოდ პატარა, ქორფა ბალახი ხარობდა, ისეთი, როგორიც სხვენზე იზრდება ხოლმე, რითაც ***„...არა აღივსო კელი თჳსი მომკალმან...“*** (ფს. 128, 7); მათ არ დალოცავენ მიმომსვლელნი. ასეთი იყო ჩვენი ყანა, ჩვენი მოსავალი! მაგრამ იგი დიდია, მსუყე და უხვი დაფარულთმხედველის თვალში... მაგრამ ის ხალხისთვის უცნობია, ერთ ადგილზე არ არის თავმოყრილი და ნელ-ნელა ივსება“.[9]

„სად არიან ისინი, – *ამბობს წმინდა გრიგოლი სხვა სიტყვაში*, – რომლებიც გვაყვედრიან სიღარიბეს და ამაყობენ სიმდიდრით; ეკლესიის ნიშნად ხალხთა სიმრავლეს თვლიან და ამრეზით შეჰყურებენ მცირე სამწყსოს; აფასებენ ღმერთს (წმინდანს მხედველობაში ჰყავს არიანელები, რომლებიც ასწავლიდნენ, რომ ძე ღვთისა მამა ღმერთზე ნაკლებია) და ზომავენ ადამიანებს; პატივს მიაგებენ ქვიშის მარცვალს და აკნინებენ მნათობებს; საგანძურში უბრალო ქვებს აგროვებენ და მარგალიტებს არად აგდებენ?“[10]

ეკლესიათა შორის შესაძლო უთანხმოებათა შეწყვეტის თხოვნა საეკლესიო ლოცვებშიც გვხვდება: *„დააცხრე განხეთქილება ეკლესიათა, დაშრიტენ აღძრვანი წარმართთანი... დაარღვიენ ძალითა სულისა შენისა წმიდისათა...“* (ევქარისტიული ლოცვა წმინდა ბასილი დიდის ლიტურგიაზე), *„...ყოველთა მეუფესა შემოქმედსა, დაუსაბამოსა უჟამოსა ბუნებასა, ცხოველს-მყოფელსა სახიერსა და კაცთ-მოყვარესა, სამებასა ერთ-არსებასა, დიდების-ვემტყველებთ და გევედრებით შენდობასა ბრალთასა, სოფლისა მშვიდობასა და ეკლესიათა ერთობასა“* (საკვირაო შუაღამიანის კანონი, ხმა 8, გალობა 9).

ეკლესიის სიწმინდე

უფალმა იესო ქრისტემ აღასრულა ამქვეყნიური მსახურებისა და ჯვარზე სიკვდილის ღვაწლი. ***„...ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს, რაჲთა წარუდგინოს თავადმან თავსა თჳსსა დიდებულად ეკლესიაჲ, რაჲთა არა აქუნდეს მწინკულევანებაჲ, არცა ნაოჭ ბრძყლისაჲ, არცა სხუაჲ რაჲ ესევითარი, არამედ რაჲთა იყოს წმიდაჲ და უბიწო“*** (ეფ. 5, 25, 27). ეკლესია წმინდაა მისი **თავის** – იესო ქრისტეს წყალობით, მასში **სულიწმიდისა** და მისი მადლმოსილი ნიჭების არსებობით, რომელთაც საიდუმლოთა ასრულების დროს, ან სხვა მღვდელმოქმედებებით ვეზიარებით; წმინდაა **ზეციურ ეკლესიასთან თავისი კავშირით.**

თავად ეკლესიის სხეულიც წმინდაა. ***„...უკუეთუ დასაბამი იგი წმიდაჲ არს, და თბეცა; და უკუეთუ ძირი იგი წმიდაჲ არს, და რტონიცა მისნი“*** (რომ.

11, 16). ვინც იწამა ქრისტესი, ისინი „ტაძარნი ღმრთისანი“, „ტაძარნი... სულისა წმიდისანი“ არიან (იხ. 1 კორ. 3, 16; 6, 19). ჭეშმარიტ ეკლესიაში ყოველთვის იყვნენ და არიან უმაღლესი სულიერი სიწმინდის მქონე, გამორჩეული ნიჭით მადლმოსილი ადამიანები: მოწამენი, ქალწულნი, მოსაგრენი, ღირსნი, მღვდელმთავარნი, მართალნი, ნეტარნი. ეკლესიას სააქაოდან გასული ყველა დროისა და ხალხის მართალთა ურიცხვი კრებული ჰყავს. ეკლესიაში ვლინდებიან სულიწმიდის განსაკუთრებული ნიჭნი როგორც ხილული ფორმით, ისე ამა სოფლის თვალთაგან დაფარულად.

ეკლესია წმინდაა თავისი მოწოდებითა და დანიშნულებით. წმინდაა მისი ნაყოფი: ***„...ნაყოფი თქუენი სიწმიდედ და აღსასრულსა – ცხორებაჲ საუკუნოჲ“***(რომ. 6, 22), – გვასწავლის მოციქული.

ეკლესია აგრეთვე სარწმუნოების სუფთა, უცდომელი **სწავლებით** არის წმინდა. ***„ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ“***, საღვთო წერილის მიხედვით, არის ***„სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“*** (იხ. 1 ტიმ. 3, 15). აღმოსავლური ეკლესიის პატრიარქები ეკლესიური სწავლების უცდომელობის თაობაზე ასე მსჯელობენ: „ეკლესიის უცდომელობის აღიარებით ჩვენ არაფერს სხვას არ ვამტკიცებთ, თუ არა ზუსტად იმას, რომ იგი უცვალებელი და დაარსებიდან იგივეა, როგორც საღვთო სწავლება“.[11]

ეკლესიის სიწმინდეს ვერ შებღალავს მასში რაიმე ამსოფლიურის შეჭრა ან ადამიანთა ცოდვები. ეკლესიის გარემოში მოხვედრილი ყოველივე ცოდვითი და ამქვეყნიური მისთვის მაინც უცხო რჩება და, როგორც სარეველები, მოკვეთისა და განადგურებისთვის არიან განწირულნი. აზრი, თითქოს ეკლესია მარტოოდენ მართალთა და წმინდანთაგან, ანუ უცოდველთაგან შედგებოდეს, არ ეთანხმება ქრისტესა და მისი მოციქულების პირდაპირ სწავლებას. მაცხოვარი თავის ეკლესიას ადარებს მინდორს, რომელზედაც იფქლი ღვარძლთან ერთად ხარობს (იხ. მათე, 13, 24-30); ბადეს, რომელსაც წყლიდან ამოჰყავს კარგიც და უვარგისი თევზიც (იხ. მათე, 13, 47-50); ეკლესიაში არიან სახიერი მონებიცა და ბოროტნიც (იხ. მათე, 25, 14-30), ბრძენნიცა და სულელი ქალწულებიც (იხ. მათე, 25, 1-12). „გვწამს, რომ კათოლიკე ეკლესიის წევრები ყველანი **ერთგულნი** და მხოლოდ ერთგულნი არიან, რადგან ისინი უეჭველად აღიარებენ ქრისტე მაცხოვარისადმი წმინდა რწმენას (რომელიც გადმოგვეცა თავად ქრისტესგან, წმინდა მოციქულთა და მსოფლიო კრებათაგან), თუნდაც ზოგი მათგანი სხვადასხვა ცოდვას ექვემდებარებოდეს... ეკლესია მათ ამხელს, სინანულისკენ მოუწოდებს და მაცხონებელი მცნებების გზით მიჰყავს. ისინი ამიტომაც რჩებიან და მიიჩნევიან კათოლიკე ეკლესიის წევრებად, მიუხედავად იმისა, რომ ცოდვას ექვემდებარებიან. მთავარია, არ განუდგნენ და უერთგულონ კათოლიკე მართლმადიდებლურ სარწმუნოებას“.[12]

მაგრამ არსებობს ზღვარი, რომელსაც გადალახავენ ცოდვილნი და მაშინ, როგორც მკვდარი ნაწილები, ისე მოიკვეთებიან ეკლესიის სხეულიდან. ეს მოხდება საეკლესიო მმართველობის **ხილული** ქმედებებით ან ღვთის სამსჯავროს **უხილავი ძალით**. ეკლესიას არ ეკუთვნიან უღმერთონი, ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განდგომილნი, შეგნებული სიჯიუტით გამორჩეული ცოდვილნი, რომლებიც ცოდვების მონანიებაზე უარს აცხადებენ.[13] მათ რიცხვში შედიან მწვალებლები, რომლებიც ამახინჯებენ სარწმუნოების ძირითად დოგმატებს, განდგომილნი, ანუ განხეთქილებაში გასულნი, რომლებიც თვითნებურად გამოეყვნენ ეკლესიას (ლაოდიკიის კრების 33-ე კანონი კრძალავს განდგომილებთან ლოცვას). **წმინდა ბასილი დიდი** განმარტავს: „ზოგს ძველი ერესი დაარქვეს, ზოგს განხეთქილება, ზოგს კი თვითნებური თავშეყრა. სარწმუნოებიდან გაუცხოებულებსა და მთლიანად მისგან ჩამოცილებულებს ერეტიკოსები უწოდეს. განხეთქილებაში მყოფნი საეკლესიო საკითხებსა და კურნების დაშვების თაობაზე განყოფილებს დაარქვეს. თვითნებური თავყრილობები – ეს არის კრება, რომელსაც შეადგენენ ურჩი მღვდელი ან ეპისკოპოსი და უმეცარი ხალხი“.[14]

ეკლესიის სიწმინდე **შეუთავსებელია** ცრუსწავლებასა და ერესებთან. ამიტომაც იცავს ეკლესია მკაცრად ჭეშმარიტების სიწმინდეს და თავისი გარემოდან თავადვე განკვეთს ერეტიკოსებს.

ეკლესიის კათოლიკობა

ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოს სლავურ თარგმანში ეკლესიას ეწოდება „საყოველთაო“, ბერძნულად „კათოლიკე“ (καθολικός). რას ნიშნავს ეს ბერძნული სიტყვა?

იგი ძველბერძნულ, ქრისტიანობამდელ ლიტერატურაში მეტისმეტად იშვიათად გვხვდება. მაგრამ ქრისტიანულმა ეკლესიამ ძველთაგანვე აირჩია ეს სიტყვა თავისი ერთ-ერთი უმთავრესი თვისების – სამყაროსეული ხასიათის აღსანიშნავად.

ისეთი სიტყვები, როგორებიცაა სამყარო (κόσμος) და დასახლებული დედამიწა – მსოფლიო (οικουμενη), ცხადია, არასაკმარისი აღმოჩნდნენ რაღაც ახალი, მხოლოდ ქრისტიანული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ცნების გამოსახატად. სარწმუნოების ძველ სიმბოლოებში სიტყვას „ეკლესია“ უეჭველად განსაზღვრავს სიტყვა „კათოლიკე“. ასეა იერუსალიმის სიმბოლოში: „ერთი წმინდა, კათოლიკე ეკლესია“, რომის სიმბოლოში: „წმინდა, კათოლიკე ეკლესია, წმინდანთა ერთობა“ და ასე შემდეგ. ძველ ქრისტიანულ წერილობით ძეგლებში ამ ტერმინს არაერთგზის იყენებს მოციქულთა მოწაფე, **წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი**. მაგალითად, „სადაც იესო ქრისტეა, იქვე არის კათოლიკე ეკლესია“.[15] ეს ტერმინი გვხვდება

ყველა მსოფლიო კრების აქტებში. ამ სიტყვის ზედმიწევნითი თარგმანია: ყოვლისმომცველობა, სისრულე ან სავსების უმაღლესი ხარისხი.

გარდა ამისა, გამოიყენებოდა ტერმინი οἰκουμενικος მნიშვნელობით „მსოფლიო“. მაგრამ ამ ორ სიტყვას ერთმანეთში არ ურევდნენ. მსოფლიო კრებებს ეწოდათ Οἰκονμενίκη Σύνοδος (οἰκονμενικος – მთელი დასახლებული დედამიწიდან. ფაქტობრივად იგულისხმება ის ტერიტორიები, რომლებზეც ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია იყო გავრცელებული).

ეკლესია კრებითია და კათოლიკე. მოციქულის სიტყვებით: იგი არის ***„ეკლესიაჲ... რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“*** (ეფ. 1, 23). ეს ცნება მიუთითებს, რომ ცხონებისაკენ მოხმობილია კაცთა მთელი მოდგმა და ამიტომ თითოეულს მართებს, გახდეს ქრისტეს ეკლესიის წევრი, თუმცა სინამდვილეში ყველა მას არ ეკუთვნის.

„ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო“ შეკითხვაზე: „რატომ ეწოდება ეკლესიას კრებითი ანუ კათოლიკე, ანუ საყოველთაო?“ პასუხობს: „იმიტომ, რომ იგი არ იფარგლება ადგილით, დროით, ხალხით, არამედ თავისთავში იტევს ყველგან და ყველა დროში მცხოვრებ ჭეშმარიტ მორწმუნეებს“.[16]

ეკლესია ადგილით შემოსაზღვრული არ არის. იგი მოიცავს დედამიწის ნებისმიერ ადგილზე მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელს. მეორე მხრივ, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეკლესია კრებითი ანუ კათოლიკე იყო მაშინაც, როცა მცირერიცხოვანი თემებისაგან შედგებოდა და მეერგასე დღესაც, როცა მისი საზღვრები სიონის მთასა და იერუსალიმს არ გასცილებია.

ეკლესია არც დროშია განსაზღვრული: მისი დანიშნულებაა, რწმენაში მოაქციოს ადამიანი „ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“. ***„...მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“*** (მათე, 28, 20). სული ნუგეშინისმცემელი ***„...თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე“*** (იოანე, 14, 16). ევქარისტიის საიდუმლო აღესრულება მანამ, ***„...ვიდრემდის მოვიდეს“***(1 კორ. 11, 26) უფალი ისევ ამქვეყნად. ეკლესია არ იზღუდება სამოქალაქო მოწყობის არც ერთი პირობით და არ არის დაკავშირებული რომელიმე ენასა თუ ხალხთან.

ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

ეკლესიას ეწოდება სამოციქულო, რადგან **ისტორიულად** მას მოციქულებმა ჩაუყარეს საფუძველი. მათვე გაავრცელეს ქრისტიანობა ქვეყნის კიდით-კიდემდე და თითქმის ყველამ თავისი ნაქადაგები მოწამებრივი სიკვდილით დაამოწმა. ამქვეყნად ქრისტიანობის თესლი მათი სიტყვითა და მათ მიერ დანთხეული სისხლის წყალობით ჩაითესა. პირადი რწმენის ძალით გააჩაღეს მათ სარწმუნოების ჩაუქრობელი ცეცხლი მთელ ქვეყნიერებაზე.

მოციქულებმა შემოინახეს და მთელ ეკლესიას გადასცეს **სწავლება ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ცხოვრებაზე** იმ სახით, როგორითაც თავიანთი მასწავლებლისა და უფლისაგან მიიღეს. მოციქულები სახარების მცნებების აღსრულების პირად მაგალითებს იძლეოდნენ. მათ ქრისტეს სწავლება ზეპირსიტყვიერად და წმინდა ნაწერების სახით გადასცეს მორწმუნეებს, რათა ამ უკანასკნელთ დაეცვათ იგი, ეღიარებინათ და მის შესაბამისად ეცხოვრათ.

მოციქულებმა უფლის მცნებებზე დაყრდნობით დაადგინეს საეკლესიო **მღვდელმოქმედებანი**, დასაბამი მისცეს ქრისტეს სისხლისა და ხორცის, ნათლისღებისა და ხელდასხმის საიდუმლოთა აღსრულებას.

მათვე დაადგინეს ეკლესიაში **ეპისკოპოსობის** მადლმოსილების **მემკვიდრეობითი გადაცემა**. ამის წყალობით ხდება მსახურების მადლმოსილების მემკვიდრეობით მიღება მთელი საეკლესიო იერარქიის მიერ, რომელიც მოწოდებულია იყოს მნე ***„...საიდუმლოთა ღმრთისათანი“*** (1 კორ. 4, 1).

მოციქულებმა დაადგინეს საეკლესიო ცხოვრების **კანონიკური სტრუქტურის** საფუძვლები და იზრუნეს, რათა ყველაფერი ყოფილიყო „ჯეროვნად და წესისამებრ“. ამის მაგალითებს გვაძლევს კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს მე-14 თავი, რომელშიც შესულია მითითებანი საეკლესიო-საღვთისმსახურო შეკრებათა შესახებ.

ყოველივე ზემოთქმული ისტორიულ მხარეს განეკუთვნება. მაგრამ არსებობს მეორე, **შიდა** მხარეც, რომელიც ეკლესიას „სამოციქულოს“ თვისებას ანიჭებს: მოციქულები არა მარტო იყვნენ, არამედ **რჩებიან კიდეც** ქრისტეს ეკლესიაში, **იმყოფებიან** მასში. იყვნენ მიწიერში, ახლა არიან ზეციურში და განაგრძობენ ამქვეყნიურ მორწმუნეებთან ურთიერთობას. ისინი ეკლესიის ისტორიულ ბირთვს შეადგენენ. მოციქულები დღესაც აგრძელებენ ეკლესიის სულით ცოცხალ, თუმცა უხილავ ბირთვად ყოფნას და მარადის ასეთად დარჩებიან. წმინდა იოანე ღვთისმეტყველი წერს: ***„...გითხრობთ თქუენ, რაჲთა თქუენცა ზიარებაჲ გაქუნდეს ჩუენ თანა და ზიარებაჲ ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესსა“*** (1 იოანე, 1, 3). ამ სიტყვებს ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორიც მოციქულის თანამედროვეთათვის ჰქონდა, რადგან გვარიგებს – **ვიქონიოთ ურთიერთობა** მოციქულთა დასთან – მათი სიახლოვე ხომ ყოვლადწმიდა სამებასთან ჩვენს სიახლოვეს **ბევრად აღემატება**.

მაშასადამე, ეკლესიის ისტორიული და შინაგანი მხარეებიდან გამომდინარე, მოციქულები მის **საფუძვლად** ითვლებიან. ამიტომაც არის ნათქვამი ეკლესიის შესახებ: ***„აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინაწარმეტყუელთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ“*** (ეფ. 2, 20). ეკლესიის წოდება „სამოციქულო“ მიანიშნებს, რომ

იგი დააფუძნა არა ერთმა მოციქულმა (რისი სწავლებაც დაიწყო რომის ეკლესიამ), არამედ თორმეტივემ ერთად; სხვა შემთხვევაში მას ერქმეოდა პეტრესი, იოანესი ან სხვა რომელიმე მოციქულის სახელი. თითქოს ეკლესია წინასწარ გვაფრთხილებდა, არ გვემსჯელა „ხორციელ“ შეხედულებებზე დაყრდნობით: ***„...მე პავლესი ვარ, ... ხოლო მე – აპოლოსი, ხოლო მე – კეფასი...“*** (1 კორ. 3, 4). აპოკალიფსისში ზეცით გარდამომავალი ქალაქის შესახებ ნათქვამია, რომ მას ***„...აქუნდეს ათორმეტნი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტნი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი“*** (გამოცხ. 21, 14).

სარწმუნოების სიმბოლოში აღნიშნული თვისებები: ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო – ეხება მებრძოლ ეკლესიას, მაგრამ სრულ დატვირთვას ეს თვისებები ზეციური და მიწიერი ეკლესიების ქრისტეს ერთ სხეულში გაერთიანების გაცნობიერებისას იძენს: ეკლესია ერთია ზეციურ-მიწიერი ერთობით, წმინდაა ზეციურ-მიწიერი სიწმინდით, კათოლიკეა და სამოციქულო თავისი უწყვეტი კავშირით მოციქულებსა და ყველა წმინდანთან.

წმინდა წერილსა და წმინდა გადმოცემაზე დაფუძნებულ, გასაგებად ნათელ მართლმადიდებლურ სწავლებას ეკლესიაზე წინ ეღობება თანამედროვე პროტესტანტიზმში გავრცელებული განსხვავებული წარმოდგენა, რომელიც მართლმადიდებლურ გარემოში შემოჭრას ცდილობს. მის თანახმად, არსებული ნაირგვარი ქრისტიანული წარმონაქმნები, ეგრეთ წოდებული აღმსარებლობები და სექტები, თუმცაღა განყოფილნი არიან ურთიერთისგან, მაინც ერთიან, **უხილავ ეკლესიას** შეადგენენ, რადგანაც თითოეული მათგანი აღიარებს ქრისტეს, ძეს ღვთისას და იღებს მის სახარებას. ამ შეხედულების გავრცელებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდით (ოღონდ მის გარეთ) არსებულ ქრისტიანთა რაოდენობა რამდენიმეჯერ აჭარბებს მის წევრთა რიცხვს. არცთუ იშვიათად ამ ეკლესიისგარე სამყაროშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ რელიგიური გულმოდგინება, რწმენა, ღირსეული ზნეობრივი ცხოვრება, ფანატიზმამდე აყვანილი დაჯერება საკუთარი სიმართლისა, მოწესრიგებულობა, ფართო საქველმოქმედო მოღვაწეობა. რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას ქრისტეს ეკლესიასთან?

რასაკვირველია, უსაფუძვლოა ეს აღმსარებლობები და სექტები **არაქრისტიანულ** რელიგიებთან გავათანაბროთ. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საღვთო წერილის კითხვა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს თითოეულზე, ვინც მისი საშუალებით რწმენის შესწავლასა და მასში განმტკიცებას ცდილობს. კეთილკრძალულებით ფიქრებს ღმერთ-შემოქმედზე, განმგებელსა და მაცხოვარზე მათთვისაც აქვთ ამამაღლებელი ძალა; არ შეგვიძლია ვამტ-

კიცოთ მათი ლოცვების სრული უნაყოფობა, თუკი ისინი გულწრფელად აღევლინება, რამეთუ ***„...ყოველთა შორის თესლთა, რომელსა ეშინის მისა ... სათნო მისა არს“*** (საქმ. 10, 35). ყველგანმყოფი საღვთო განგებულების სიკეთე მათზეც ვრცელდება; არც ისინი არიან ღვთის წყალობას მოკლებულნი. ეს აღმსარებლობები და სექტები ხშირად ზნეობრივი აღვირახსნილობების, მანკიერებებისა და დანაშაულობების შემაკავებელ ძალებად გვევლინებიან და ეწინააღმდეგებიან ათეიზმის გავრცელებას. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს, ისინი ეკლესიას მივაკუთვნოთ. ამ ეკლესიისგარე ქრისტიანული ფართო სამყაროს გარკვეული ნაწილი, კერძოდ კი მთელი პროტესტანტიზმი, უარყოფს ზეციურ ეკლესიასთან კავშირს, არ ცნობს ღვთისმშობლისა და სხვა წმინდანებისადმი ლოცვით თაყვანისცემას, არ იხსენიებს მიცვალებულებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მათ თავად დაარღვიეს კავშირი ქრისტეს ერთიან სხეულთან, რომელიც თავისთავში აერთიანებს ზეცისა და მიწის მკვიდრთ. ფაქტია, რომ ამ არამართლმადიდებლურმა აღმსარებლობებმა ამა თუ იმ ფორმით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ „დაარღვიეს“ კავშირი მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მის ისტორიულ ფორმასთან, თვითონ გაწყვიტეს მასთან ძაფები და „გამოეყვნენ“. ამ ფაქტის უგულებელყოფის ნება არ გვაქვს ჩვენც და მათაც. არამართლმადიდებლური აღმსარებლობების სწავლებანი შეიცავენ ერესებს, რომლებიც ეკლესიამ გადაჭრით უკუაგდო და დაგმო მსოფლიო კრებებზე. ქრისტიანობის ამ მრავალრიცხოვან განშტოებებს არაფერი აქვთ საერთო როგორც ქრისტეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, ისე ურთიერთთან, არც გარეგნულად და არც შინაგანად. სადღეისოდ გამოჩენილ აღმსარებლობათშორის გაერთიანებებს მხოლოდ გარეგნული ხასიათი აქვთ და სიღრმისეულად ვერ წვდებიან ამ აღმსარებლობათა ცხოვრებას. ტერმინი „უხილავი“ შეიძლება მარტოოდენ ზეციურ ეკლესიას მიესადაგოს. მიწიერი ეკლესია მიუხედავად იმისა, რომ აქვს უხილავი მხარეც (როგორც გემს, რომლის ნაწილი წყალშია ჩაძირული და თვალთაგან უხილავია), მაინც ხილულად რჩება იმიტომ, რომ შედგება ადამიანებისაგან და აქვს მოწყობისა და მღვდელმოქმედების ხილული ფორმები. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია მტკიცება, რომ ეს რელიგიური ორგანიზაციები წარმოადგენენ ეკლესიის „გვერდით“, „მომიჯნავე“, „დაახლოებულ“ და შესაძლოა „მასთან მდგომ“ და ზოგჯერ „მოწინააღმდეგე“ საზოგადოებებს. ყველა ისინი ქრისტეს ეკლესიის „გარეთ“ არიან: ზოგი მათგანი „გაემიჯნა“, სხვანი „ძლიერ დაშორდნენ“ მას. ერთნი, მართალია, მოსცილდნენ, მაგრამ ნათესაური, ისტორიული ძაფებით მაინც არიან მასთან დაკავშირებულნი; სხვებმა ეს ნათესაობაც დაკარგეს – მათში გამრუდებულია ქრისტიანობის სული და ძირეული საფუძვლები. ერთ მათგანზეც კი არ ვრცელდება

იმ მადლის მოქმედება, რომელიც ეკლესიაში სუფევს. ეს განსაკუთრებით ეხება საეკლესიო საიდუმლოებათა შედეგად ბოძებულ მადლს. ისინი არ იკვებებიან იმ საიდუმლო ტრაპეზიდან, რომელსაც ადამიანი **ზნეობრივი სრულყოფის საფეხურებზე** აჰყავს.

თანამედროვე კულტურული საზოგადების ტენდენცია, თანასწორი გახადოს ყველა აღმსარებლობა, მარტო ქრისტიანობით არ იფარგლება. იმავე გათანაბრების დაფაზე იდება არაქრისტიანული რელიგიებიც, და ეს იმის საფუძველზე, რომ თურმე მათ ყველას „ღმერთისკენ მივყავართ“ და თანაც მათ მიმდევართა საერთო რიცხვი გაცილებით აღემატება ქრისტიანობის აღმსარებელთა რაოდენობას.

ყველა ეს „გამათანაბრებელი“ და „გამაერთიანებელი“ შეხედულება მიუთითებს, რომ დავიწყებულია პრინციპი: შეიძლება არსებობდეს მრავალი სწავლება და აზრი, მაგრამ **ჭეშმარიტება ერთია.** ჭეშმარიტად ქრისტიანული, ეკლესიური ერთობა შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ თანამოაზრეობას და არა სხვაგვარად აზროვნებას. ეკლესია არის ***„...სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“*** (1 ტიმ. 3, 15).

საეკლესიო იერარქია

ქრისტეს ეკლესიის წევრები ღვთის ერთ სამწყსოს შეადგენენ – ყველა მოწოდებულია, ქრისტესთან აღასრულოს თავისი ცხონების საქმე. ყველა თანასწორია ღვთის სამსჯავროს წინაშე. მაგრამ როგორც სხეულის ნაწილებს აქვთ ორგანიზმის სიცოცხლისათვის აუცილებელი განსხვავებული დანიშნულება; როგორც სახლში, შენობაში თითოეულ დეტალს თავისი როლი აკისრია, ასევე ეკლესიაში არსებობს სხვადასხვა სახის მსახურება. ეკლესიის, როგორც ორგანიზაციის, უმაღლესი მსახურება იერარქიას ეკისრება. იგი გამოირჩევა რიგითი წევრობისაგან.

იერარქია დაადგინა უფალმა იესო ქრისტემ. ***„...მან მოსცნა რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაწარმეტყუელნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა, ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“*** (ეფ. 4, 11-13).

ეკლესიაში არავინ ადგენს თავის თავს იერარქიულ მსახურად – ამას მხოლოდ მოწოდებული და კანონიერად დადგენილი პირი ასრულებს ხელდასხმის საიდუმლოს საშუალებით. ***„...არავინ თავით თჳსით მოიღის პატივი, არამედ რომელი წოდებულ არნ ღმრთისა მიერ, ვითარცა-იგი აჰრონ“***

(ებრ. 5, 4). რა მაღალზნეობრივიც უნდა იყოს ადამიანი, მას არ შეუძლია იერარქიული მსახურების აღსრულება განსაკუთრებული კურთხევის გარეშე. ამიტომ შეუძლებელია პარალელის გავლება ზნეობრივი სიმაღლის ხარისხსა და იერარქიული სიმაღლის ხარისხს შორის. სასურველია, იყოს მათი სრული შესაბამისობა, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის.

მოციქულები

უფალმა იესო ქრისტემ ამქვეყნად მსახურების დროს თავის მიმდევართაგან თორმეტი მოწაფე – მოციქული (ბერძნ. ἀπόστολος – დესპანი) ამოირჩია და მათ განსაკუთრებული სულიერი ნიჭნი და უფლებანი უბოძა. აღდგომის შემდგომ უფალი გამოეცხადა მათ და უთხრა: ***„...ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ. და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეჰპყრობილ იყვნენ“*** (იოანე, 20, 21-23). ეს სიტყვები გვაუწყებს, რომ სამოციქულო მსახურება და მის კვალდაკვალ მწყემსის მოვალეობის აღსრულება აუცილებლად ზეციდან უნდა იქნეს მოვლინებული. ამ მსახურების მასშტაბები ჩანს ამაღლების წინ უფლის მიერ მოწაფეთათვის ნათქვამ სიტყვებში: ***„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“*** (მათე, 28, 19, 20). ამ სიტყვებში აღნიშნულია მოციქულთა სამგვარი მსახურება: სწავლება (მოიმოწაფენით), მღვდელმსახურება (ნათელ-სცემდით) და მართვა (ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი). „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ – უფალმა ამ სიტყვებით აკურთხა მწყემსობაზე თავისი მემკვიდრენი ყოველ დროში, „ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“, სანამ დასრულდება მიწიერი ეკლესიის არსებობა. ზემომოყვანილი სიტყვები უფლისა ***„...მიიღეთ სული წმიდაჲ“*** (იოანე, 20, 22) ადასტურებს, რომ ეს უფლებამოსილებანი, მწყემსისა, განუშორებლად არის შეერთებული სულიწმიდისმიერ მადლმოსილ, განსაკუთრებულ ნიჭებთან. სამივე იერარქიული მსახურება გაერთიანებულია ერთ ცნებაში – მწყემსობა. თავად უფლის გამოთქმის თანახმად: ***„...აძოენ კრავნი ჩემნი. ...დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი. ...დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“*** (პეტრე მოციქულისადმი, იოანე, 21, 15-17) და ***„...მწყსიდით თქუენ შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა“*** (მოციქულებისადმი, 1 პეტ. 5, 1).

მოციქულები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ იერარქია **ღვთისაგან არის დადგენილი**. თორმეტი მოციქულის დასში გამოკლებული იუდას

სანაცვლოდ მატათა მოციქულის ჩარიცხვა განსაკუთრებული წესით მოხდა (საქმ. თავი 1). ეს წესი – ღირსეულთა შერჩევა კენჭისყრისთვის – არის ლოცვა და კენჭისყრა. თავად მოციქულები თავიანთ მოადგილეებს – ეპისკოპოსებს **ხელდასხმით** ადგინებდნენ.

ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘ

პავლე მოციქული სწერს ტიმოთეს: ***„ნუ უდებ-ჰყოფ, რომელ-ეგე არს შენ თანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინაწარმეტყუელებითა, დასხმითა კელთა ხუცობისათა“*** (1 ტიმ. 4, 14); სხვა დროს კი ეუბნება: ***„...მოგახსენებ შენ განცხოველებად მკურვალედ მადლსა მას ღმრთისასა, რომელ არს შენ თანა დასხმითა კელთა ჩემთაჲთა“*** (2 ტიმ. 1, 6). კრეტისა და ეფესოს ეპისკოპოსებს: ტიტესა და ტიმოთეს ენიჭებათ უფლება, დაადგინონ პრესვიტერნი (ხუცესნი, მღვდელნი): ***„ამისთჳს დაგიტეე შენ კრიტს შინა, რაჲთა ნაკლულევანი იგი განაგო და დაადგინნე ქალაქად-ქალაქად ხუცესნი, ვითარცა-იგი მე გიბრძანე შენ“*** (ტიტე, 1, 5); დააჯილდოონ ისინი: ***„რომელნი კეთილად ძღოდიან ხუცესნი, ორის ნაწილის პატივის ღირს იყვნედ, უფროჲს ხოლო რომელნი შრომობდიან სიტყჳთა და მოძღურებითა. რამეთუ იტყჳს წიგნი: ჴარსა მეკალოესა არა დაუკრა პირი; და ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“*** (1 ტიმ. 5, 17, 18); აგრეთვე, უფლებამოსილნი არიან, განიხილონ პრესვიტერებზე შემოსული საჩივრები: ***„ხუცისათჳს შესმენასა ნუ თავსიდებ, გარნა ორითა და სამითა მოწამითა“*** (1 ტიმ. 5, 19).

მაშასადამე, მოციქულები, კერძოდ კი ისინი, ვისაც თავად უფალმა მოუხმო ეკლესიაში უზენაესი მსახურებისკენ, ადგინებდნენ ეპისკოპოსებს, რომლებიც მათი უშუალო მემკვიდრენი და საქმის გამგრძელებელნი ხდებოდნენ. მოციქულები თავიანთ და **ეპისკოპოსების** თანაშემწეებად ადგენდნენ **პრესვიტერებს**, ეპისკოპოსთა „ხელებს“, რომელთა ხელდახსმაც მოგვიანებით ეპისკოპოსებს დაეკისრათ.

ᲞᲠᲔᲡᲕᲘᲢᲔᲠᲔᲑᲘ

პრესვიტერები (πρεσβύτερος ზედმიწევნითი მნიშვნელობით „უხუცესნი“) მოციქულთა დროშიც და მის შემდგომადაც ყოველთვის იყვნენ და ახლაც წარმოადგენენ იერარქიის **მეორე** ხარისხს. როგორც „საქმენი მოციქულთა“ მოგვითხრობს, პავლემ და ბარნაბამ ლისტრაში, ანტიოქიასა და იკონიაში გავლისას ხელნი დაასხეს პრესვიტერებს თითოეული ეკლესიისათვის (იხ. საქმ. 14, 23). წინადაცვეთის საკითხის გადასაწყვეტად გაიგზავნენ ელჩები იერუსალიმში მოციქულებთან და იქაურ პრესვიტერებთან (იხ. საქმ. 15, 2); მოციქულთა კრებაზე პრესვიტერები მათთან ერთად იკავებენ ადგილებს (იხ. საქმ. 15, 6); იაკობ მოციქული კი გვარიგებს:

„უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა“ (იაკ. 5, 14). ამ დარიგებიდან ვხედავთ, რომ პრესვიტერები აღასრულებდნენ საეკლესიო მღვდელმოქმედებებს. აგრეთვე ვიგებთ, რომ ცალკეული თემის მთავარ ეკლესიაში შეიძლებოდა რამდენიმე პრესვიტერის ყოფნა მაშინ, როდესაც ქალაქისა და მისი მიმდებარე ოლქისთვის მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი დგინდებოდა. „საქმენი მოციქულთა“-ს 21-ე თავში გადმოცემულია შემდეგი: როდესაც პავლე მოციქული მესამე სამოციქულო მოგზაურობიდან დაბრუნდა იერუსალიმში და მოინახულა იაკობ მოციქული, იქ **ყველა** პრესვიტერი მივიდა (მაშასადამე, ისინი გარკვეულ საეკლესიო ხარისხს შეადგენდნენ). მათ გაიმეორეს სამოციქულო კრების დადგენილება, რომლის მიხედვითაც წარმართებს წინადაცვეთა არ ევალებოდათ და სთხოვეს პავლეს, განწმენდის რიტუალი ჩაეტარებინა, რათა მისთვის არავის ესაყვედურა იუდეველობაზე უარის თქმა.

სამოციქულო ეპისტოლეებში ყოველთვის არ განირჩევა სახელები „ეპისკოპოსი“ და „პრესვიტერი“. მაგალითად, წიგნში „საქმენი მოციქულთა“ წერია, რომ პავლე მოციქულმა ეფესოდან მილეტში თავისთან მიიწვია „ხუცესნი ეკლესიისანი“ (იხ. საქმ. 20, 17) და ასე დამოძღვრა: ***„ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ*** (სლავურ თარგმანში: **„ეპისკოპოსად“**) ***და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა“*** (საქმ. 20, 28). ოღონდ აქედან და მსგავსი გამონათქვამებიდან არ უნდა დავასკვნათ, თითქოს მოციქულთა ეპოქაში ორი ხარისხი – ეპისკოპოსისა და პრესვიტერისა (ხუცესისა) გაერთიანებული იყო. ასეთი მაგალითები მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ პირველ საუკუნეში საეკლესიო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ისე დახვეწილი, როგორც შემდგომ, და რომ სიტყვა „ეპისკოპოსი“ ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: ზოგჯერ უზენაესი იერარქიული ხარისხის აღსანიშნავად, ზოგჯერ კი ჩვეულებრივი, ზოგადი მნიშვნელობით – „დამკვირვებელი“ (επίσκοπος – დამკვირვებელი, ზედამხედველი. ბერძნული სიტყვის იმდროინდელი მნიშვნელობით). ჩვენს ყოფით ტერმინოლოგიაშიც ასეა, მაგალითად, სიტყვა „ინსპექტირება“ ძალიან ხშირად სულაც არ აღნიშნავს „ინსპექტორის“ თანამდებობაზე მყოფის საქმიანობას.

დიაკვნები

ეკლესიაში მესამე იერარქიულ ხარისხს **დიაკვნები** შეადგენენ. როგორც „საქმენი მოციქულთა“-ს მე-6 თავში ვკითხულობთ, იერუსალიმის თემმა აირჩია შვიდი მამაკაცი და მათ ხელი დაასხეს მოციქულებმა. მათი პირველი დანიშნულება იყო, მოციქულებს დახმარებოდნენ პრაქტიკული, გამოყენებითი

ხასიათის საქმეებში: ევალებოდათ ***„...მსახურებაჲ ტაბლებსა“*** (საქმ. 6, 2), საკვების დარიგება და ქვრივებზე ზრუნვა. დამტკიცდა, ამ შვიდ მამაკაცს სახელი „დიაკონი“ დარქმეოდათ (ეს ჯერ კიდევ არ ჩანს მე-6 თავში). მწყემსთა ეპისტოლეებიდან ვიგებთ, რომ დიაკვნებს ეპისკოპოსები ადგინებდნენ (იხ. 1 ტიმ. 3, 8-13). სადიაკვნო მსახურებისათვის ირჩეოდნენ ადამიანები – ***„...სავსენი სულითა წმიდითა და სიბრძნითა...“*** (საქმ. 6, 3). ისინი ქადაგებდნენ, როგორც წმინდა სტეფანე, რომელმაც თავისი სიტყვა ქრისტეს შესახებ მოწამებრივი სიკვდილით დაბეჭდა; წმინდა ფილიპე, რომელმაც საჭურისი მონათლა (იხ. საქმ. 8, 5, 38). პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში მოკითხვას უთვლის ***„...ეპისკოპოსთა თანა და დიაკონთა“*** (ფლპ. 1, 1), როგორც მადლმოსილი იერარქიული მსახურების მტვირთველებსა და ეპისკოპოსთა თანაშემწეებს. **წმინდა იუსტინე მოწამე** წერს: „ჩვენში ეგრეთ წოდებული დიაკონნი თითოეულ დამსწრეს ურიგებენ პურს, რომელზედაც სამადლობელი აღსრულდა, აგრეთვე ღვინოსა და წყალს და მიაქვთ მათთანაც, ვინც არ ესწრებოდა“.[17] მაშასადამე, დიაკვნებს მორწმუნეებთან დაჰქონდათ არა მარტო საკვები, არამედ ევქარისტიული ძღვენიც. მათი მსახურება ეკლესიაში ძველადაც და ახლაც საღვთისმსახურო-მადლმოსილი ხასიათისა იყო. 314 წელს, ნეოკესარიის კრებაზე „საქმენი მოციქულთა“-ზე დაყრდნობით დადგინდა, რომ დიაკონთა რაოდენობამ თემში, თუნდაც იგი მრავალრიცხოვან ქალაქში არსებობდეს, არ უნდა გადააჭარბოს შვიდს.* ძველ საეკლესიო ძეგლებში ხანდახან იხსენიებიან ეპისკოპოსები და დიაკვნები პრესვიტერების გარეშე. ალბათ იმიტომ, რომ ეპისკოპოსები თავად იყვნენ ქალაქის თემის წინამძღვარნი, პრესვიტერებს კი ქალაქგარე თემებში მსახურებას ანდობდნენ.

ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

განასხვავებენ საეკლესიო იერარქიის სამ ხარისხს. სამივე მათგანში აყვანა მარტოოდენ საკუთარი სურვილით არ შეიძლება. ამის ნებას ეკლესია იძლევა და ხარისხებში დადგინება ღვთის კურთხევით, მაგრამ ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმით აღესრულება.

---

* აქ საუბარია ნეოკესარიის წმინდა ადგილობრივი კრების მე-15 კანონით გამოტანილ დადგენილებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრულის კრებამ თავისი მე-16 კანონით გააუქმა ქალაქებში დიაკვნების რიცხვის შეზღუდვა იმის საფუძველზე, რომ ამ უკანასკნელი კრების მამები მსჯელობით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „საქმენი მოციქულთა“-ში მოხსენიებული შვიდი სულიწმიდით განბრძნობილი პირი თორმეტმა მოციქულმა გამოარჩია არა საეკლესიო საიდუმლოთა მსახურებისათვის (როგორც ნეოკესარიის კრების მამებმა ჩათვალეს), არამედ მეურნეობის გასაძღოლად. თავიანთი აზრის გასამყარებლად მათ მოიყვანეს აღნიშნული ადგილის (საქმ. 6, 3) წმინდა იოანე ოქროპირისეული განმარტებაც. ამით ტრულის წმინდა საეკლესიო კრების მამებმა დააკანონეს საეკლესიო ცხოვრებაში იმჟამად უკვე არსებული პრაქტიკა ქალაქებში დიაკვნების რიცხვის გასანუსაღვრელობის შესახებ. – რედ.

ეკლესიაში აუცილებელია მღვდლობის ამ სამი ხარისხის არსებობა. მაგრამ მცირე თემს ნება ეძლევა, ჰყავდეს მხოლოდ ერთი ან ორი იერარქი (მღვდელი, მღვდელი და დიაკონი, ორი მღვდელი). ოღონდ მთელ ეკლესიაში, თუნდაც ადგილობრივში, იერარქიის სისრულე აუცილებელია. მოციქულთა მოწაფე, **წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი** თავისი ეპისტოლეებით გვიჩვენებს, თუ როგორ ამოწმებს ამას ძველი ეკლესია. იგი წერს: „აუცილებელია, და ასეც იქცევით, არაფერი მოიმოქმედოთ ეპისკოპოსის გარეშე. ასევე დაემორჩილეთ პრესვიტერებს, როგორც ჩვენი სასოების – იესო ქრისტეს მოციქულებს. დაე, ღმერთმა ინებოს ჩვენი ცხოვრება მასში. ასევე დიაკვნებს, იესო ქრისტეს საიდუმლო მსახურებს. ყველამ ყოველმხრივ უნდა აჩვენოთ მათდამი თანადგომა, რადგან ისინი არიან ღვთის ეკლესიის მსახურნი და არა საჭმელ-სასმელისა... ყველამ პატივი მიაგეთ დიაკონთ, როგორც იესო ქრისტეს მცნებებს; ეპისკოპოსს, როგორც იესო ქრისტეს – ძეს მამა ღმერთისას; და პრესვიტერებს, როგორც საღვთო კრებულს, მოციქულთა დასს. **მათ გარეშე არ არსებობს ეკლესია**“.[18]

ეპისკოპოსები იერარქიის **უმაღლეს** ხარისხს შეადგენენ. ცხოვრება საერთოდ არ არსებობს მთავრობის გარეშე და პრესვიტერებისა და დიაკვნების ხარისხზე უმაღლესი, უმთავრესი იერარქიული ხარისხის არსებობაც თავად ცხოვრებისეული ლოგიკით არის ნაკარნახევი. ეს ძველი საეკლესიო ძეგლებიდანაც ცხადდება. იგივე წმინდა ეგნატე წერს: „სადაც ეპისკოპოსია, იქვე უნდა იყოს ხალხი, მსგავსად იმისა, რომ სადაც იესო ქრისტეა, იქ არის კათოლიკე ეკლესიაც“.[19] ტერტულიანეს გამოთქმით, „ეპისკოპოსების გარეშე ეკლესია არ არსებობს“.[20]

ეპისკოპოსთა შორის არიან უმთავრესნი მდგომარეობით და არა იერარქიული ან მადლისმიერი ღირსებით. ასევე იყო მოციქულთა გარემოშიც: მათ შორის ცნობილი იყვნენ გამორჩევით პატივმისაგებნი და სახელოვანნი, „სუეტებად“ აღიარებულნი (შდრ. გალ. 2, 9), მაგრამ ყველა არსობრივად და სამოციქულო ხარისხით თანასწორი იყო. ***„...ვჰგონებ, ვითარმედ არარაჲ დავაკლდი ფრიად მოციქულთა მათ“*** (2 კორ. 11, 5; აგრეთვე: 12, 11), – ორჯერ განაცხადა პავლე მოციქულმა და დასძინა: ***„...დალათუ არარაჲ ვარ“*** (2 კორ. 12, 11). მოციქულთა ურთიერთობანი აგებული იყო იერარქიული თანასწორობის საფუძველზე. ეხება რა სახელგანთქმულ მოციქულებთან – იაკობთან, პეტრესა და იოანესთან შესახვედრად იერუსალიმში თავის მოგზაურობას, პავლე მოციქული განმარტავს, რომ წავიდა „გამოცხადებით“ (იხ. გალ. 2, 2), ანუ დაეყრდნო მოციქულთა კრებით ცნობიერებას და არა რომელიმე მათგანის, თუნდაც ყველაზე სახელგანთქმულის პირად ნააზრევს. ***„...მათ, რომელნი-იგი ჰგონებდეს, ვითარმედ არიან რაჲმე, რომელნი-იგი ყოფილ ოდესმე იყვნეს, არარაჲ უმჯობეს ჩემსა. პირსა კაცისასა ღმერ-***

თმან არა თუალ-ახუნის“ (გალ. 2, 6). რაც შეეხება ცალკეულ პირებს, ამაზე პავლე მოციქული წერს: ***„და რაჟამს მოვიდა პეტრე ანტიოქიად, წინაშე პირსა მისსა აღუდეგ, რამეთუ შეკდომულ იყო“*** (გალ. 2, 11). აქ საქმე ეხებოდა წინადაუცვეთელ ქრისტიანებს. იერარქიული მადლმოსილების თანასწორობის პრინციპზე აგებული ამგვარი ურთიერთობანი სამარადჟამოდ დარჩა ეკლესიაში მოციქულთა მემკვიდრე-ეპისკოპოსებში.

ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

როდესაც მოციქულებს დასჭირდათ, მიემართათ უზენაესი ავტორიტეტული ხმისა და სამსჯავროსათვის (ეს მოხდა მაშინ, როდესაც ანტიოქიაში გაჩნდა მნიშვნელოვანი გაუგებრობანი მოსეს რჯულის წეს-ჩვეულებების გამოყენების თაობაზე), ისინი შეიკრიბნენ იერუსალიმში და ამ კრების დადგენილებანი მთელი ეკლესიისთვის სავალდებულოდ აღიარეს (იხ. საქმ. 15; საქმ. 16, 4). ეს იქცა მაგალითად იმისა, რომ ეკლესიის უმნიშვნელოვანესი საკითხები ყოველთვის კრებას უნდა გადაეწყვიტა.

მაშასადამე, ეკლესიის უზენაესი **სახელისუფლო ორგანო** და ავტორიტეტი არის **ეპისკოპოსთა კრება**: ადგილობრივ ეკლესიაში იგი ადგილობრივი ეპისკოპოსებისაგან დგება, ხოლო მსოფლიო საეკლესიო კრებებში მთელი ეკლესიის ეპისკოპოსები მონაწილეობენ.

ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲝᲑᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ

მოციქულებიდან მემკვიდრეობით მიღებული ეპისკოპოსობა და მისი უწყვეტობა ეკლესიის ერთ-ერთი არსებითი მხარეა და პირიქით – მემკვიდრეობითობის გარეშე მიღებული ეპისკოპოსობა ამა თუ იმ ქრისტიანულ დენომინაციას ართმევს ჭეშმარიტი ეკლესიის თვისებებს, თუნდაც მას სწორი დოგმატური სწავლება გააჩნდეს. ეკლესია დაარსებიდანვე ამგვარად უდგებოდა ამ საკითხს. ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიიდან“ ვიცით, რომ ძველად ყველა ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესია ინახავდა თავის ეპისკოპოსთა სიას, როგორც მემკვიდრეობითობის უწყვეტობის დამადასტურებელს.

„ჩვენ შეგვიძლია, – *წერს წმინდა ირინეოს ლიონელი,* – ჩამოვთვალოთ ისინი, ვინც მოციქულებმა ჩვენამდე დაადგინეს ეპისკოპოსებად ეკლესიაში, და მათი მემკვიდრენი“. მართლაც, იგი მემკვიდრეობითობის რიგით ჩამოთვლის რომის ეკლესიის ეპისკოპოსებს თითქმის II საუკუნის ბოლომდე.[21] მემკვიდრეობითობის მნიშვნელობაზე იმავე შეხედულებას გამოთქვამს ტერტულიანეც. იგი თავისი დროის მწვალებლებზე წერდა: „დაე, წარმოადგინონ თავიანთი ეკლესიების მთავრობანი და გამოაცხადონ ეპისკოპოსთა სია, რომელიც მემკვიდრეობით გრძელდებოდა ისე, რომ

პირველი მათგანი დაედგინა მოციქულს, ანდა მისი წინამორბედი ყოფილიყო რომელიმე მოციქული, ან მათ მოწაფეთაგან ვინმე, რომელსაც დიდხანს ჰქონდა ურთიერთობა მოციქულებთან, რადგან სამოციქულო ეკლესიები თავიანთ ეპისკოპოსთა სიას ზუსტად ასე ადგენენ. მაგალითად, სმირნის ეკლესია წარმოგვიდგენს პოლიკარპეს, რომელიც იოანემ დაადგინა; რომისა – პეტრეს მიერ ხელდასხმულ კლიმენტის. ასე და ამგვარად მიუთითებენ ეკლესიები თავად მოციქულთა მიერ ეპისკოპოსობაში აყვანილ პირებზე, როგორც მოციქულთა თესლიდან აღმოცენებულ შთამომავლობაზე".[22]

მწყემსობის დანიშნულება ეკლესიაში

„ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისათანი. ხოლო ჩემდა საწუხელებაარს, უკუეთუ თქუენ მიერ განვიკითხო... ...განმკითხველი ჩემი უფალი არს" (1 კორ. 4, 1, 3-4).

„ხუცესთა მათ თქუენ შორის ვჰლოცავ, ვითარცა თანა-ხუცესი და მოწამე ვნებათა ქრისტესთაჲ, და მერმისა მის გამოჩინებადისა დიდებისა ზიარი; მწყსიდით თქუენ შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა. იღუწიდით ნუ იძულებით, არამედ ნეფსით, ნუცა საძაგელისა შეძინებით, არამედ გულსმოდგინედ. ნუცა ვითარმცა ეუფლებოდეთ მნეთა მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას" (1 პეტ. 5, 1-3).

„მოიჯსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ჰხედევდით გამოსლვასა მას ცხორებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათა" (ებრ. 13, 7).

„დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღუძებენ სულთა თქუენთათჳს, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ; რაჲთა სიხარულით ამას ჰყოფდენ და არა სულთ-ითქუმიდენ, რამეთუ არა ადვილ არს ესე თქუენდა" (ებრ. 13, 17).

VIII. ეკლესიის საიდუმლონი

ეკლესიის ცხოვრება სულიწმიდით

ახალი ცხოვრება

ეკლესია ცოდვილი, უმეცარი მსოფლიოს გარემოცვაში არსებობს, მაგრამ ის თავად ახალ ქმნილებას წარმოადგენს და ახალ ცხოვრებას აშენებს. მისი თითოეული წევრი მოხმობილია, რომ შეითვისოს და თავის თავში შექმნას ეს ახალი ცხოვრება, მაგრამ მანამდე უნდა განუდგეს „ამა სოფელს“. როდესაც ლაპარაკია „სოფელთან“ კავშირის გაწყვეტაზე, ეს არ ნიშნავს მიწიერ ცხოვრებასა და დანარჩენ, ხშირად ურწმუნო, გარყვნილ კაცობრიობასთან ერთად არსებობაზე უარის თქმას. ***„...უკეთუ არა, თანაგიც სამე სოფელით გამოსვლად“***(1 კორ. 5, 10), – წერს პავლე მოციქული. მაგრამ ეკლესიაში შესასვლელად აუცილებელია, გამოხვიდე ეშმაკის ტყვეობიდან და გახდე ამ ცოდვილი ქვეყნისათვის მწირი და წარმავალი (შდრ. 1 პეტ. 2, 11), გაავლო მკვეთრი ზღვარი საკუთარ თავსა და „ამა სოფელს“ შორის; ამისთვის გმართებს, ღიად და პირდაპირ განუდგე ეშმაკს, რამეთუ შეუძლებელია იყო ორი ბატონის მსახური. აუცილებელია, საკუთარ თავში განწმინდო ***„...ძველი იგი ცომი, რაჲთა იყვნეთ ახალ თბე...“***(1 კორ. 5, 7). ამიტომ, ქრისტიანობის უძველესი წარსულიდან დაწყებული, ეკლესიის წიაღში შესვლას წინ უსწრებს განსაკუთრებული „განდგომა ეშმაკისაგან“, რომელსაც მოსდევს ნათლისღება, – რითაც ირეცხება ცოდვათა სიბილწე. ამის შესახებ დაწვრილებით ვკითხულობთ **წმინდა კირილე იერუსალიმელის** „განსასწავლ სიტყვანში“. კათაკმეველთათვის დარიგებებიდან ვიგებთ, რომ დღევანდელ მართლმადიდებლურ კურთხევანში შეტანილი „შეკრვის ლოცვები“, რომლებიც ეშმაკის განდევნას ემსახურებიან და მოსანათლავად განმზადებულთა მიერ თავად „სატანის უარყოფა“ თავიანთი შინაარსით ძალიან უახლოვდება ძველ ქრისტიანულ წესს. მხოლოდ შემდგომად ამისა განიღება მადლის სამეფოში შესასვლელი, ხდება **დაბადება ახალ ცხოვრებაში** „წყლისა და სულისაგან წმიდისა“ – როგორც მაცხოვარი ბრძანებდა ნიკოდიმოსთან საუბარში (იხ. იოანე, 3, 5-6). თუ როგორ ხდება ადამიანის ამ ახალ ცხოვრებაში შემდგომი ზრდა, ამასაც მაცხოვრის სიტყვებიდან ვიგებთ: ***„...ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა და დაიძინის; და აღდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ, რამეთუ თჳსით თავით ქუეყანაჲ ნაყოფსა გამოიღებს: პირველად წუელი,***

მერმე თავი, მაშინღა სავსე იფქლი თავსა მას შინა“ (მარკოზი, 4, 26-28). მაშასადამე, თუ მთელი ეს ახალი ცხოვრება ადამიანმა შინაგანად მიიღო, თუ გულწრფელად სურს მასში ყოფნა და მის შესანარჩუნებლად ძალისხმევას არ იშურებს – მაშინ იგი (ახალი ცხოვრება) **სულიწმიდის ძალით** საიდუმლოდ იწყებს მოქმედებას, თუმცა შესაძლოა, ეს უხილავი პროცესი ადამიანმა ვერც კი შეიგრძნოს.

მთელი საეკლესიო ცხოვრება განმსჭვალულია სულიწმიდის საიდუმლო ქმედებებით. *„სულისა წმიდისა მიერ ყოველი სული ცხოველ იქმნების. სულიწმიდითა გამოიხსნების ყოველი. მისა მიერ შთაბერილი ყოველი მსწრაფლ განიძარცვავს ამქვეყნიურს, აღფრთოვანდება, აღორძინდება, ზეაღიტაცება“* (ცისკრის საკვირაო ანტიფონი. ხმა მე-6). ამიტომ ყოველი საეკლესიო, საზოგადო, თუ პირადი ლოცვა სულიწმიდისადმი მიმართვით იწყება: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩუენ შორის...“ როგორც მიწაზე დაცემული წვიმა და ნამი აცოცხლებს, კვებავს და ზრდის ყოველ მცენარეს, ასევე მოქმედებენ სულიწმიდის ძალები ეკლესიაში.

მოციქულთა ნაწერებში სულიწმიდის მოქმედებას ეწოდება „გარდამეტებული ძალა“, „ღმრთეების ძალი“ (შდრ. 2 პეტ. 1, 3), „სული ქრისტესი“, მაგრამ ყველაზე ხშირად იგი აღინიშნება სიტყვით **„მადლი“.** ეკლესიაში შესულნი ვხვდებით მადლის სამეფოში, ჩვენ მოგვიხმობენ, რათა მივეახლოთ ***„...უკუე განცხადებულად საყდართა მათ მადლისათა, რაჲთა მოვიღოთ წყალობაჲ და ვპოოთ მადლი ჟამსა შეწევნისასა“*** (ებრ. 4, 16; იხ. აგრეთვე: ებრ. თავები: 10-13).

მადლი

სიტყვას – „მადლი“ (ბერძნ. χαρίς – სიხარული, კმაყოფილება, წყალობა, კეთილგანწყობა) წმინდა წერილში განსხვავებული მნიშვნელობები ენიჭება.

იგი ზოგჯერ აღნიშნავს ღვთის წყალობას ზოგადად: ***„...ღმერთმან ყოვლისა მადლისამან...“*** (1 პეტ. 5, 10). ამ ყველაზე ფართო გაგებით, მადლი არის ყველა დროში ღირსეულად მცხოვრებ ადამიანთა მიმართ ღვთის კეთილგანწყობა (როგორებიც არიან, მაგალითად, ძველი აღთქმის მართალნი: აბელი, ენოქი, აბრაამი, მოსე წინასწარმეტყველი და გვიანდელი წინასწარმეტყველნი).

ახალ აღთქმაში მადლის ცნება უფრო დაზუსტდა. განასხვავებენ მის ორ ძირითად მნიშვნელობას: პირველი – საღვთო ანუ ქრისტეს მადლში

იგულისხმება ჩვენი გადარჩენის მთელი განგებულება, რომელიც ძე ღვთისას ამქვეყნად მოსვლით, ჯვარზე სიკვდილით, აღდგომითა და ზეცად ამაღლებით აღსრულდა: ***„...მადლითა ხართ გამოკსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს: არა საქმეთაგან, რაჲთა არავინ იქადოს“*** (ეფ. 2, 8, 9). მეორე – მადლი ეწოდება სულიწმიდის ნიჭთ, რომლებიც ვლინდება და გარდამოდის ქრისტეს ეკლესიაში მისი წევრების განწმენდის, სულიერი ზრდისა და მათ მიერ ზეციური სასუფევლის მისაღწევად.

ამ მეორე, ახალიაღთქმისეული მნიშვნელობით, მადლი არის ზეციდან გარდამოვლენილი და ქრისტეს ეკლესიაში დავანებული ძალი ღვთისა, ამაღორძინებელი, მაცოცხლებელი, სრულმყოფი; მორწმუნე და ღვთისმოსავი ქრისტიანის წარმმართავი უფალ იესო ქრისტეს მიერ ბოძებული ცხონების მისაღებად.

ამიტომ მოციქულნი თავიანთ ნაწერებში ხშირად ხმარობენ ბერძნულ სიტყვას χαρίς – მადლი, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც სიტყვა δῦναμις – ძალა. ტერმინს „მადლი“ წმინდა ცხოვრებისათვის ზემოდან მონიჭებული „ძალის“ მნიშვნელობით სამოციქულო ეპისტოლეებში მრავალჯერ ვხვდებით (მაგალითად: 2 პეტ. 1, 3; რომ. 5, 2; რომ. 16, 20; 1 პეტ. 5, 12; 2 პეტ. 3, 18; 2 ტიმ. 2, 1; 1 კორ. 16, 23; 2 კორ. 13, 13; გალ. 6, 18; ეფ. 6, 24 და სხვა). პავლე მოციქული წერს: ***„...კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების...“*** (2 კორ. 12, 9).

უნდა გავითვალისწინოთ სიტყვა „მადლის“ უკვე ნახსენებ მნიშვნელობათა შორის განსხვავება და, აგრეთვე, ახალი აღთქმის წმინდა წერილში მისი უპირატესად საღვთო ძალად გააზრების გარემოება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან პროტესტანტიზმში დამკვიდრდა სწავლება, რომელიც მაცხოვრის მიერ ჯვარზე აღსრულებულ ღვაწლში – ჩვენი ცოდვებისგან გამოსყიდვის დიად საქმეში, მადლს მხოლოდ ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს. პროტესტანტების აზრით, მაცხოვრის ღვაწლით ცოდვებისგან გათავისუფლებული, მორწმუნე ადამიანები უკვე გადარჩენილებად ითვლებიან. მაგრამ მოციქულები გვასწავლიან, რომ ქრისტიანს საჩუქრად ებოძა გამართლება საერთო გამოსყიდვის მადლით. მაგრამ ამქვეყნად იგი, როგორც პიროვნება, ჯერ მხოლოდ „ცხორებულია“ (შდრ. 1 კორ. 1, 18) და ესაჭიროება მადლმოსილი ძალების მხარდაჭერა. ***„...მოუკედით სარწმუნოებითა მადლსა ამას, რომლითაცა ვდგათ...“*** (რომ. 5, 2); ***„რამეთუ სასოებით ვცხონდებით...“*** (რომ. 8, 24).

როგორ მოქმედებს მაცხონებელი მადლი ღვთისა?

ადამიანის სულიერი დაბადება, ასევე მისი შემდგომი სულიერი ზრდა ორი საწყისის ურთიერთქმედებით ხდება: ერთი მათგანია სულიწმიდის

მადლი, მეორე – მის მისაღებად გულის გახსნა, წყურვილი და სურვილი მისი შეთვისებისა ისე, როგორც წვიმის წყალს ისრუტავს გამოფიტული, გამომშრალი მიწა; სხვა სიტყვებით, საჭიროა ადამიანის პირადი ძალისხმევა, რათა მოიპოვოს, დაიმარხოს და აამოქმედოს სულში საღვთო ნიჭი.

ამ ორი საწყისის ერთობლივ მოქმედებაზე საუბრობს პეტრე მოციქული: ***„რომელმან-იგი ყოველივე თჳსისა ღმრთეებისა ძალი საცხორებელად და ღმრთისა სამსახურებელად მოგუანიჭა ჩუენ... და თქუენცა ესევე მოსწრაფებაჲ ყოველითურთ მოიპოეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებაჲ და სათნოებასა შინა – მეცნიერებაჲ, და მეცნიერებასა შინა – მარხვაჲ, მარხვასა შინა – მოთმინებაჲ, მოთმინებასა შინა – ღმრთის მსახურებაჲ და ღმრთისა მსახურებასა შინა – ძმათ მოყუარებაჲ და ძმათ მოყუარებასა შინა – სიყუარული. რამეთუ ესე რაჟამს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მეცნიერებასა. ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს და ვერ ხედავს იგი, რამეთუ დაავიწყდა განწმედაჲ იგი პირველთა მათ ცოდვათა მისთაჲ“*** (2 პეტ. 1, 3, 5-9). ასევე პავლე მოციქულთან ვკითხულობთ: ***„...შიშით და ძრწოლით თჳსსა ცხორებასა იქმოდეთ. რამეთუ ღმერთი არს, რომელი შეიქმს თქუენ თანა ნებასაცა და შეწევნასა სათნოებისათჳს“*** (ფლპ. 2, 12, 13), ანუ თავად იმოქმედეთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყოველივე საღვთო მადლით გეძლევათ. *„მეყავნ მე ღმერთ მფარველ და სახლ შესავედრებელ ცხოვრებისა ჩემისასა“* (საკვირაო ცისკრის წარდგომა, ხმა მე-3).

ამ წმინდა სწავლების შესაბამისად, კართაგენის (III საუკუნე) კრებამ განმარტა: „ვინც ამბობს, რომ საღვთო მადლს, რომლითაც განვმართლდებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, მხოლოდ ჩადენილი ცოდვების მიტევება შეუძლია და არ მოგვმადლებს შემწეობას, რათა შემდგომში აღარ ვცოდოთ, შეჩვენებულ იყოს! რამეთუ, საღვთო მადლი არა მარტო გვაძლევს ცოდნას, თუ რა უნდა ვაკეთოთ, არამედ სიყვარულს შთაგვბერავს, რათა შევძლოთ, აღვასრულოთ ის, რასაც შევიცნობთ“.[1]

მართლმადიდებელ მოსაგრეთ თავიანთი გამოცდილება კარნახობს, მთელი ძალით მოუწოდონ ქრისტიანებს, თავმდაბლად შეიგნონ თავიანთი უძლურება, რათა იმოქმედოს ღვთის მაცხონებელმა მადლმა. ამის თაობაზე შთამბეჭდავია **ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის** დარიგებანი (XI საუკუნე): „თუ ეშმაკის შეგონებით აზრად მოგივა, რომ შენი ცხონება მოხდება არა შენი ღმერთის ძალით, არამედ პირადი სიბრძნითა და ძალისხმევით, და თუკი ამ შეგონებებს სული დაეთანხმება – მას მადლი განეშორება. ჩვენს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მართებს სულს, მასში აღმოცენებულ ამ ძლიერ და უმძიმეს ბრძოლას ღვაწლით შეეწინააღმდეგოს. როგორც ნეტარი პავლე მოციქული ამბობს, სულმა უნდა იღაღადოს მთელი ხმით, კაცთა და ანგელოზთა

გასაგონად, რომ მოქმედებს არა თავად, არამედ ***„...მადლი ივი ღმრთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა“*** (1 კორ. 15, 10). მოციქულნი და წინასწარმეტყველნი, მოწამენი და იერარქნი, ღირსნი და მართალნი – ყველა აღიარებს სულიწმიდის ამგვარ მადლს. ისინი ასეთი აღიარებისათვის იღვწოდნენ და მისი (მადლის) შემწეობით აღასრულეს ***„ღვაწლი კეთილი და სლვაჲ თჳსი“***.[2]

„ქრისტიანის სახელის მატარებელს, – *ვკითხულობთ იმავე მამასთან,* – თუ გულით არ სწამს, რომ სარწმუნოებით ბოძებული საღვთო მადლი არის წყალობა ღვთისა... თუ იგი იმ მიზნით არ იღვწის, რომ პირველად საღვთო მადლი ნათლისღებით მიიღოს, ან თუ ჰქონდა და ცოდვის ჩადენის გამო დაკარგა, ისევ მოიპოვოს სინანულით, აღსარებითა და თავისი დამამდაბლებელი ცხოვრებით; და ამის ნაცვლად არიგებს მოწყალებას, მარხულობს, მღვიძარებს, ლოცულობს და ასე შემდეგ, და თან ფიქრობს, რომ მნიშვნელოვან სათნოებებსა და თავისთავად დასაფასებელ კეთილ საქმეებს ასრულებს, ამაოდ გაირჯება და დაშვრება“.[3]

რა მნიშვნელობა ენიჭება ქრისტანულ ღვაწლს? იგი იარაღია, რათა დაითრგუნოს ***„...გულის თქუმაჲ ხორცთაჲ და გულის თქუმაჲთუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ...“*** (1 იოანე, 2, 16). მისი საშუალებით განიწმინდება სულიერი ველი ქვათაგან, სარეველებისა და ჭაობის წუმპესგან და მომზადდება წმინდა ნათესისათვის, რომელსაც ზემოდან გარდამოსული საღვთო მადლი მორწყავს.

საღვთო განგებულება და მადლი

ნათქვამიდან გამომდინარე, გვმართებს, განვასხვავოთ ცნებანი: საღვთო განგებულება და საღვთო მადლი. საღვთო განგებულებას ვუწოდებთ ძალას, რომლის შემწეობითაც ხდება სამყაროს, შესაბამისად, კაცობრიობისა და თითოეული ადამიანის არსებობისა და ცხოვრების შენარჩუნება. საღვთო მადლი არის სულიწმიდის ძალა, რომელიც მოიცავს ადამიანის შინაგან არსებას და მას სულიერი სრულყოფისა და ცხონებისაკენ წარმართავს.

სამდუმლონი

ეკლესიის შიდაცხოვრება **იდუმალია**; იგი ყოველთვის არ შეესაბამება ეკლესიის **ისტორიას**, რომელიც მხოლოდ გარეგნულ ფაქტებს გადმოგვცემს და განსაკუთრებით მის ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ვნებებთან ჭიდილზე მოგვითხრობს. მის შიდაცხოვრებაში იგულისხმება ქრისტეს, როგორც მისი თავის, და ეკლესიის, როგორც უფლის სხეულის, საიდუმლო ერთობლივი ქმედება სულიწმიდით, ***„რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს...“*** (ეფ. 4, 16); ***„საიდუმლოჲ ესე დიდი არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“***(ეფ. 5, 32), – თქვა პავლე მოციქულმა

მაშასადამე, როდესაც მოციქულები ამბობდნენ, რომ ისინი არიან „მნენი საიდუმლოთა ღმრთისანი“: ***„ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისანი“*** (1 კორ. 4, 1; οἰκονομους μιστηριών θεον), მათ მხედველობაში ჰქონდათ თავიანთი მსახურებისა და მნეობის სხვადასხვა სახეები:

ა) მოწოდებითი ხასიათის ქადაგება;

ბ) ნათლობა მათი, ვინც ირწმუნა;

გ) ხელდასხმის საშუალებით სულიწმიდის გარდამოვლენა;

დ) ეკქარისტიის საიდუმლოთი მორწმუნეთა ერთიანობის განმტკიცება ქრისტესთან;

ე) მორწმუნეთა გულებში ღვთის სასუფევლის საიდუმლოს ღრმად ჩანერგვა, მათგან უფრო სრულყოფილთა ჩაღრმავება ***„...სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას...“*** (1 კორ. 2, 7).

ამრიგად, მოციქულთა საქმიანობა აღსავსე იყო საიდუმლო მხარეებით (μυστηριών), მაგრამ მათ შორის ცენტრალური და დამაგვირგვინებელი ადგილი **მღვდელმოქმედებებს** ეკავა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ეკლესიის ცხოვრებაში მადლმოსილი მნეობის ზოგმა განსაკუთრებულმა, ყველაზე მნიშვნელოვანმა ფორმამ და მღვდელმოქმედებათა ნაწილმა თანდათან მიიღო **უპირატესი** სახელდება „საიდუმლო“; **წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი,** მოციქულთა უშუალო მოწაფე, წერს, რომ დიაკვნები აგრეთვე არიან „მსახურნი იესო ქრისტეს საიდუმლოთა“.[4] წმინდა ეგნატეს ეს სიტყვები უკუაგდებს პროტესტანტი ისტორიკოსების მტკიცებებს, თითქოს ძველ ეკლესიაში ცნებებით „საიდუმლო“ და „საიდუმლონი“ არა-სოდეს განსაზღვრავდნენ საეკლესიო მღვდელმოქმედებებს.

„საიდუმლოებად“ სახელდებული მღვდელმოქმედებანი ისე გამოირჩევიან დანარჩენი საღვთისმსახურო წესებისა და ლოცვების ჯაჭვში, როგორც მწვერვალები დაბალ მთაგრეხილში.

საიდუმლოებში ლოცვანი ამა თუ იმ ფორმით გაერთიანებული არიან კურთხევებთან და სხვა განსაკუთრებულ ქმედებებთან. კურთხევანის სიტყვები, წარმოთქმული სამღვდელო გარეგნულ ქმედებათა თანხლებით, თითქოს სულიერი ჭურჭლებია, რომლებითაც იღებენ სულიწმიდის მადლს და მას შეუორგულებელ მორწმუნეებს – ეკლესიის წევრებს, ურიგებენ.

ამრიგად, **საიდუმლო არის მღვდელმოქმედება, რომლის დროსაც მორწმუნის სულს ხილული სახით გადაეცემა უხილავი საღვთო მადლი.**

ეკლესიაში სახელდება „საიდუმლო“ მიეკუთვნება შვიდ მსახურებას; ესენია: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება-ევქარისტია, სინანული, მღვდლობა, ქორწინება და ზეთის კურთხევა. „ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო“ თითოეული საიდუმლოს არსს ასე განსაზღვრავს:

„ნათლისღებით ადამიანი საიდუმლოდ იბადება სულიერ ცხოვრებაში; მირონცხებით ამაღორძინებელი და განმამტკიცებელი მადლი ენიჭება; ზიარებით სულიერ საკვებს იღებს; სინანული მას სულიერ სნეულებათაგან – ცოდვათაგან – კურნავს; მღვდლობით მიიღება მადლი, რათა სწავლების, ლოცვებისა და საიდუმლოთა საშუალებით სულიერად ააღორძინონ და აღზარდონ სხვები; ქორწინებით ბოძებული მადლი აკურთხებს ცოლ-ქმრობას, ბავშვების ბუნებრივ დაბადებასა და მათ აღზრდას; ზეთის კურთხევის დროს სულიერ სნეულებათაგან განკურნების გზით ხორციელი სნეულებანიც იკურნება“.[5]

თავად ეკლესიის, როგორც მთლიანობის, ქრისტეს სხეულისა და „ქრისტეს ცხოვართა“ ცხოვრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

ა) ქრისტეს სისხლისა და ხორცის, ანუ ევქარისტიის საიდუმლო;

ბ) ეკლესიის იერარქიულ საფეხურებზე მსახურებისათვის რჩეულ პირთა დადგინების საიდუმლო – ქიროტონია, რომელიც ქმნის ეკლესიისთვის აუცილებელ სტრუქტურას;

გ) ნათლისღების საიდუმლო, რომელიც უზრუნველყოფს ეკლესიის შემადგენლობას. ეკლესიის სიწმინდისა და ცხოვრების სავსებისათვის ასევე აუცილებელია დანარჩენი საიდუმლოებანი, რომელთა საშუალებითაც ხდება ცალკეულ მორწმუნეზე მადლის გადაცემა.

უნდა განვასხვავოთ საიდუმლოს „სინამდვილე“ (რომ იგი თავისთავადი, ჭეშმარიტად მადლმოსილი ძალაა) და საიდუმლოს „ქმედითობა“ (თუ რამდენად ღირსია საიდუმლოს მიმღები, მასზე გარდამოვიდეს მადლმოსილი ძალა). „საიდუმლო საჭურველია, რომელიც უეჭველად კეთილისმყოფლად მოქმედებს მასში მონაწილეებზე“.[6] მაგრამ მორწმუნეთა მიერ საიდუმლოთა მიღების შემდგომ მათი განმაახლებელი, მაცხოვნებელი ძალის მოქმედების ნაყოფიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღირსეულად მიეახლება ადამიანი საიდუმლოს; მისმა უღირსად მიღებამ შესაძლოა გამართლება კი არა, სასჯელი გამოიწვიოს. მადლი არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, თავისი მოქმედებით არ ლახავს მას. ხშირად ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ სარწმუნოებრივ საიდუმლოებში, არ იღებენ იმას, რისი მიცემაც ამ უკანასკნელთ შეუძლიათ: ან მადლის მისაღებად არა აქვთ გულები გახსნილი, ან არ გაუფრთხილდნენ მიღებულ საღვთო ძღვენს. აი, რატომ ხდება, რომ მონათლულ ადამიანებს, როდესაც ისინი არ ასრულებენ აღთქმებს, რომლებიც მათ (ან ნათლიებმა) დადეს ნათლისღების დროს, არა მარტო ერთმევათ უკვე მიცემული საღვთო მადლი, არამედ ხშირად ისინი ღვთის მტრები, მისი უარმყოფელნი, ურწმუნონი, „განდგომილნი“ ხდებიან და თავიანთ სულს ღუპავენ. ეს ცხოვრებისეული ფაქტები სულაც არ აკნინებს თვით საიდუმლოთა ღირსებას. მათი უდიდესი მონაპოვარნი

არიან: წმინდანები, მართალნი, სარწმუნოებისათვის წამებულთა დასნი, აღმსარებელნი, მოსაგრენი, სასწაულთმოქმედნი – ჯერაც ამქვეყნად „მიწიერ ანგელოზებად, ზეციურ ადამიანებად“ ქცეულნი. ეს არნახული მიღწევები, რაც არ არსებობს ჭეშმარიტი ქრისტიანობის გარეშე, მოიპოვება იმ საღვთო, უხილავი მადლის მოქმედებით, რომელიც მიიღება ნათლისღებითა და მირონცხებით, განცხოველდება სინანულითა და წმინდა საიდუმლოთა ზიარებით და ინახება თავმდაბლობისა და შიშის იმ შეგნებით, რომ თითოეულ ქრისტიანში „ქრისტე არის მებრძოლი და გამარჯვებული; თავად იგი მოუხმობს ღმერთს, ლოცულობს, მადლობას აღავლენს და კეთილად ეკრძალვის, ეძიებს ლოცვითა და სიმდაბლით – ყოველივე ამას ქრისტე აღასრულებს. მას უხარია და ზეიმობს, როდესაც ხედავს, თითოეულ ქრისტიანში დამკვიდრებულ რწმენას იმისას, რომ ქრისტეა ყოველივე ამის აღმსრულებელი“.[7]

ნათლისღების საიდუმლო

ნათლისღების საიდუმლოს დაწესება

წმინდა ეკლესიის საიდუმლოთა ჩამონათვალში პირველ ადგილზეა ნათლისღება. იგი არის შესასვლელი კარი მადლმოსილ სამეფოში – ეკლესიაში და სხვა საიდუმლოებში მონაწილეობის საშუალებას იძლევა. ჯერ კიდევ მის დადგინებამდე უფალი იესო ქრისტე თავის საუბარში ნიკოდიმოსთან მიუთითებს, რომ ამ საიდუმლოს აღსრულება გადარჩენისათვის აუცილებელია: ***„...ამენ, ამენ, გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ“*** (იოანე, 3, 3). როდესაც ნიკოდიმოსი დაიბნა და ვერ გაიგო, თუ ***„...ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად?...“*** (იოანე, 3, 4), მაცხოვარმა უპასუხა, რომ ახალი შობა აღესრულება **წყლითა და სულით**: ***„...ამენ, ამენ, გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ჴორცთაგან ხორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს“*** (იოანე, 3, 5, 6). ამ მადლმოსილი საიდუმლოს დადგინება მოხდა ქრისტეს აღდგომის შემდგომ: უფალი გამოეცხადა მოწაფეებს და უთხრა მათ, რომ მამისაგან მიიღო ყოველი უფლება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და განაგრძო: ***„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“*** (მათე, 28, 19, 20). ამასთან, დასძინა: ***„რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“*** (მარკოზი, 16, 16). მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, როდესაც პეტრე მოციქულის სიტყვის შემდგომ მსმენელნი კითხულობდნენ, თუ რა უნდა მოემოქმედათ,

მან მიუგო: ***„...შეინანეთ და ნათელ-იღეთ კაცად-კაცადმან თქუენმან სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა მისატევებელად ცოდვათა, და მიიღოთ ნიჭი სულისა წმიდისაჲ“*** (საქმ. 2, 38). წიგნში „საქმენი მოციქულთა“ ასევე მოყვანილია ნათლისღების ცალკეული შემთხვევები, რომლებიც მოციქულებმა აღასრულეს. მაგალითად, პეტრე მოციქულმა ნათელსცა კორნილიუსს (იხ. საქმ. თავი მე-10), პავლემ – ლუდიასა და მის სახლეულთ, სატუსაღოს მღვდელს და ***„მისთა ყოველთა“*** (საქმ. თავი მე-16).

საიდუმლოს მნიშვნელობა

ნათლისღების საიდუმლოს მადლმოსილების შესახებ აღნიშნულია წმინდა წერილის ზემომოყვანილ ადგილებში: ნათლისღება არის **„ახალი შობა“,** იგი კაცთა **ცხონებისათვის** სრულდება (იხ. მარკოზი, 16, 16). ამას გარდა, ნათლისღების მადლმოსილების მნიშვნელობის ასახსნელად მოციქულები თავიანთ ეპისტოლეებში მიუთითებენ, რომ ჩვენ მისი საშუალებით „განვიწმინდებით“, „განვიბანებით“, „განვმართლდებით“, „წარგვეხოცება ცოდვანი“ და ასე შემდეგ. ნათლისღებით ჩვენ **„ვკვდებით** ცოდვისათვის, რათა განახლებული ცხოვრებით ვიცხოვროთ“, „თანა-დავეფლობით ქრისტესთან“ და **აღვდგებით** მასში. ***„...ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს, რაჲთა იგი წმიდა-ყოს, განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისაჲთა და სიტყჳთა“*** (ანუ დადგენილი სიტყვების თანმხლები ნათლისღებით – ეფ. 5, 25, 26); ***„...განიბანენით, ... განიწმიდენით, ... განჰმართლდით სახელითა უფლისა იესუჲსითა და სულითა ღმრთისა ჩუენისაჲთა“*** (1 კორ. 6, 11); ***„თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაჲთა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა, ეგრეცა ჩუენ განახლებითა ცხორებისაჲთა ვიდოდით“*** (რომ. 6, 4); ნათლისღებას ეწოდა ***„...ბანითა მით მეორედ შობისაჲთა...“*** (ტიტე, 3, 5). რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, ანუ თავად მოსანათლავის სულიერ განწყობას, ამის თაობაზე პეტრე მოციქული მიუთითებს, რომ ნათლისღება არის ***„...გონებისა კეთილისა ტრფიალებაჲ ღმრთისა მიმართ...“***(1 პეტ. 3, 21). ნათლისღების აღსრულებით ხდება ადამიანის შეერთება ეკლესიასთან.

საიდუმლოს აღსრულების მეთოდი

ნათლისღებას ადარებენ წყლით ბანას, საფლავს და სხვა. ეს და სხვა მაგალითები მიანიშნებენ, რომ საიდუმლო შთაფლვით უნდა აღესრულოს. თავად ბერძნული სიტყვა Βαπτίζω ნიშნავს „დანთქმას“. ფილიპეს მიერ საჭურისის მონათვლის შესახებ ვკითხულობთ წიგნში „საქმენი მოციქულთა“: ***„...შთახდეს ორნივე წყალსა, ფილიპე და საჭურისი იგი, და ნათელსცა მას. და ვითარცა აღმოჴდეს წყლით, სული წმიდაჲ მოვიდა საჭურისსა***

მას ზედა...“ (საქმ. 8, 38, 39). გამონაკლისის სახით ეკლესია აღიარებს „სისხლით ნათლობას“, როგორც მოუნათლავთა მოწამებრივ, ქრისტიანულ ღვაწლს. ეკლესია ასევე იღებს დასხმით ნათლობას, მაგრამ არ იწონებს, როგორც არაკანონიკურს. წყალში შთაფლვა ხდება სამჯერ და თან წარმოითქმება სიტყვები: ***„ინათლება მონა ღვთისა ... სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“*** (თვით ქრისტეს მიერ მოცემული მცნების თანახმად – იხ. მათე, 28, 19). საიდუმლო რომ ასე სრულდებოდა ძველ ეკლესიაში, ამის თაობაზე ვიგებთ უკვე ბარნაბა მოციქულის ეპისტოლედან, ხოლო ტერტულიანეს მოჰყავს ნათლისღების შესახებ მაცხოვრის სიტყვები და პირდაპირ მიუთითებს, რომ „ნათლისღების წესი ნაბრძანებია წერილით“; იგი აქვე ადასტურებს სამგზის შთაფლვას და ხაზს უსვამს ერთ თავისებურებას: მოსანათლავს მოეთხოვება განუდგეს სატანასა და მის ანგელოზებს და შემდეგ აღიაროს მრწამსი.

წმინდა წერილში ზოგჯერ ლაპარაკია ნათლისღებაზე უფალ იესო ქრისტეს სახელით (იხ. საქმ. 2, 38; 8, 16; 10, 48). ძველ მამათა განმარტებით, გამოთქმა „სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა“ ნიშნავს „ქრისტეს მცნებისა და გადმოცემის თანახმად“, ან „ქრისტესადმი პირადი რწმენის დასადასტურებლად“. ეს გამოთქმა არ უარყოფს მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით ნათლისღების ფაქტს, როგორც ეს რაციონალური სკოლის წარმომადგენელ ქრისტიანობის ისტორიკოსთა ნაწილს მიაჩნია. როდესაც „ქრისტეს მიერ“ ნათლისღებაზე ლაპარაკობდნენ პავლე მოციქული (შდრ. რომ. 6, 3; გალ. 3, 27; 1 კორ. 1, 13) და „საქმენი მოციქულთა“-ს ავტორი ლუკა მოციქული, მათ მიზნად ჰქონდათ, ხაზი გაესვათ **ქრისტიანული** ნათლისღებისათვის და განესხვავებინათ იგი იოანეს ნათლობის, ან მის მსგავსთაგან. ნათლისღების დროს დღესაც იგალობება: „რაოდენცა ქრისტეს მიერ ნათელ-გვიღებიეს, ქრისტე შეგვიმოსიეს...“.

ნათლისღების აუცილებლობა

ნათელღებული ადამიანი იწყებს ადრინდელი, ძველი არსებობის სანაცვლოდ ახალ არსებობასა და ცხოვრებას, ხდება ღვთის შვილი, ქრისტეს სხეულის – ეკლესიის ნაწილი და მარადიული ცხოვრების მემკვიდრე. აქედან ცხადია, რომ ნათლისღება აუცილებელია ყველასთვის, მათ შორის ყრმათათვისაც, რათა გაიზრდებიან რა სულითა და ხორცით, – ქრისტესთან გაიზარდონ. სამოციქულო ეპისტოლეებში არაერთგზის იხსენიება მთელი სახლეულის ნათლობა (ლუდიასა და სატუსაღოს მცველის – საქმ. თავი მე-16 და სტეფანეს სახლეულის მაგალითები – 1 კორ. 1, 16) და არსად არის ნახსენები ყრმათა გამოკლება. ეკლესიის მამები მორწმუნეთათვის დარიგებებში დაჟინებით ითხოვენ ბავშვების მონათვლას. **წმინდა გრიგოლ**

ღვთისმეტყველი მიმართავს ქრისტიან დედებს და ამბობს: „გყავს ყრმა? ნუ მისცემ დროს, გაძლიერდეს დაზიანება. დაე, ყრმობაში განიწმინდოს და ყმაწვილობაში ეზიაროს სულს. შენ, როგორც სულმოკლე და მცირედ მორწმუნე დედას, გეშინია ბეჭედისა ბუნებითი უძლურების გამო? მაგრამ ანამ სამოელის დაბადებამდე აღუთქვა მისი თავი ღმერთს, ხოლო დაბადებიდან მალევე მიუძღვნა მას; აღზარდა წმინდა შესამოსელისათვის და არ შეუშინდა ადამიანურ უძლურებას, მას ღმერთის სწამდა“.[8] ოღონდ, ამასთან, აუცილებელია, რომ ყრმის მოსანათლავად მიმყვანმა ადამიანებმა, გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა მონათლულის ქრისტიანული რწმენითა და სათნოებებით აღზრდის საქმეში. ამის თაობაზე განჩინებას ვკითხულობთ **წმინდა დიონისე არეოპაგელის** თხზულებაში „საეკლესიო იერარქიის შესახებ“, რომელსაც ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა ეკლესია: „ჩვენმა ღვთაებრივმა დამრიგებლებმა ინებეს, მოსანათლავად ყრმანიც დაეშვათ იმ წმინდა პირობით, თუკი მისი ბუნებითი მშობლები მას სხვა რომელიმე მორწმუნეს მიაბარებდნენ, რომელიც კეთილად დამოძღვრავდა საღვთო საკითხებში და იზრუნებდა ბავშვზე, როგორც მამა და როგორც მისი მარადიული ცხონების მცველი. მას, ვინც დაჰპირდება, ითავოს მოზარდის კეთილმსახურად აღზრდა, იერარქი აიძულებს, წარმოთქვას განდგომა და წმინდა აღიარება“.[9]

ნათლისღების განუმეორებლობა

სარწმუნოების სიმბოლოს მე-10 წევრი ასეთია: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა“. ეს ნიშნავს, რომ ნათლისღება, როგორც სულიერი შობა, თუ იგი სწორად შესრულდა (სამჯერადი შთაფლვა მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით), არ შეიძლება განმეორდეს. ამიტომ ეკლესია განმეორებითი ნათლობის გარეშე, მხოლოდ მირონცხებით იღებს მის წიაღში შემოსულ ერეტიკოსებსაც (თუ ისინი უკვე მონათლულნი არიან), თანახმად სახარებისა და ძველი ეკლესიის მიერ მოცემული მცნებისა.

ნათლისღება, როგორც კარი სხვა მადლმოსილ ნიჭთა მისაღებად

წმინდა მოციქულთა ზემომოყვანილი მითითებებიდან და აგრეთვე, ეკლესიის მთელი სწავლებიდან ვხედავთ, რომ ნათლისღება არ არის მართოოდენ ბიწიერებისგან სულის განწმენდისა და განბანვის სიმბოლო. იგი არის საწყისი პირობა იმ საღვთო ნიჭთა მისაღებად, რომლებიც წმენდენ და ანადგურებენ ცოდვის მთელ სიბილწეს და ადამიანს ახალ ცხოვრებას აზიარებენ. მიტევებულია ყველა ცოდვა, პირველქმნილი თუ პირადი; გაიხსნა გზა ახალი ცხოვრებისაკენ; გაჩნდა შესაძლებლობა ღვთაებრივ ნი-

ჭთა მისაღებად. შემდგომი სულიერი ზრდა ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული; მაგრამ მაცდუნებელ საწყისს შესწევს უნარი, ადამიანის ბუნებაში იპოვოს თანამგრძნობი – ეს არის ცოდვისადმი მიდრეკილება, რომელიც მასში ცოდვით დაცემის პირველი დღიდანვე არსებობს. მაშასადამე, ზნეობრივი სრულყოფის გზაზე ბრძოლა გარდუვალია. ამ შინაგან ბრძოლაში თანადგომას ადამიანი ეკლესიის მადლმოსილ ცხოვრებაში ყოფნით იღებს. შემდგომ მადლმოსილ შემწეობას ეკლესია მონათლულს მირონცხების საიდუმლოთი აძლევს.

მირონცხების საიდუმლო

ჩვეულებრივ, მირონცხების საიდუმლო უშუალოდ ნათლისღების შემდგომ სრულდება და მასთან ერთად ერთ საღვთისმსახურო წესს შეადგენს. საიდუმლოს აღასრულებს მღვდელმსახური (ეპისკოპოსი ან მღვდელი). იგი მოსანათლავს სცხებს წმინდა მირონს, გამოსახავს ჯვარს შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, ბაგეებზე, ყურებზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე („კურთხევანი“) და სხეულის თითოეული ნაწილის ცხებისას წარმოთქვამს სიტყვებს: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“. ეს საიდუმლო აგრეთვე აღესრულება იმ პირებზე, რომლებიც განერიდნენ მწვალებლურ საზოგადოებებს და შემოუერთდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. ამ საიდუმლოს აღსრულება მათი შემოერთების ერთ-ერთი **საშუალებაა**. აღსრულების სიტყვები „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“ მიუთითებს საიდუმლოს მნიშვნელობასა და მოქმედებაზე. მირონცხება არის:

ა) ეკლესიასთან **შეერთების** დამასრულებელი აქტი, შემოერთების მტკიცება და ბეჭედი;

ბ) **მადლმოსილ ძალთა ბეჭედი**, რომელთა მინიჭებით ხდება სულიერ ცხოვრებაში ზრდა და განმტკიცება.

წმინდა კვიპრიანე წერს: „ეკლესიაში ნათლობა **უფლის ბეჭდით** იბეჭდება ისე, როგორც ოდესღაც უკვე მონათლულმა სამარიტელებმა მიიღეს სულიწმიდა პეტრე და იოანე მოციქულთა ხელდასხმითა და ლოცვით (იხ. საქმ. 8, 14-17). ... რაც აკლდათ, ის აღასრულეს პეტრემ და იოანემ ... ასეა ჩვენთანაც ... უფლის ბეჭდით ხდებიან სრულქმნილნი“.[10] ეკლესიის სხვა მამებთან მირონცხებას ეწოდება „ბეჭედი“ **(წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი, წმინდა კირილე იერუსალიმელი),** „სულიერი ბეჭედი“ **(წმინდა ამბროსი მედიოლანელი)**, „მარადიული ცხოვრების ბეჭედი“ **(წმინდა ლეონ დიდი),** „დამკვიდრება“ **(მოციქულთა კანონები),** „აღსრულება“ ან „განსრულება“ **(წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი, წმინდა ამბროსი მედიოლანელი).** ღირსი ეფრემ ასური წერს: „სულიწმიდის ბეჭდით არის

დაბეჭდილი შენი სულის ყოველი შესასვლელი, მირონცხების ბეჭდით იბეჭდება მთელი შენი სხეული“. **წმინდა ბასილი დიდი** სვამს შეკითხვას: „როგორ უნდა შეეცილოს და გამოსტაცოს მტერს შენი თავი ანგელოზმა თავისთვის, თუკი ბეჭედს ვერ ამოიცნობს... განა არ იცი, რომ სიკვდილმა გვერდი აუარა დაბეჭდილ სახლებს და დაუბეჭდავებში დახოცა პირმშონი? დაუბეჭდავ საუნჯეს ადვილად იტაცებენ ქურდები, მოუნიშნავი ცხვარი შეიძლება თამამად გაიტყუონ“.[11]

ამ საიდუმლოს აგრეთვე უწოდებენ „სულის ნიჭს“ **(წმინდა ისიდორე პელუსიელი),** „სულის საიდუმლოს“ **(ტერტულიანე, წმინდა ილარიოსი),** „სულის სიმბოლოს“ **(წმინდა კირილე იერუსალიმელი)**. წმინდა კვიპრიანე ადასტურებს, რომ **უფლის** სიტყვები წყლითა და სულით შობაზე ძველად შემდეგნაირად ესმოდათ: წყლით შობაში ნათლისცემას გულისხმობდნენ (ვიწრო გაგებით), ხოლო სულით შობაში – მირონცხებას.

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ

თავდაპირველად სულიწმიდის ამ ნიჭებს ხელდასხმით გადასცემდნენ მთავარ ეკლესიაში.

ამის შესახებ ვკითხულობთ წიგნში „საქმენი მოციქულთა“ (8, 14-17), რომლის თანახმადაც, იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა შეიტყვეს, რომ სამარიტელებმა შეიწყნარეს სიტყვა ღვთისა და მათთან პეტრე და იოანე გაგზავნეს. ისინი მივიდნენ და ილოცეს, რათა მათ მიეღოთ სულიწმიდა: ***„რამეთუ მუნამდე არ იყო არცა ერთსა მათგანსა ზედა მოწევნულ სული წმიდაჲ, გარნა ბანილ ხოლო იყვნეს სახელითა უფლისა იესუჲსითა. მაშინ დაასხმიდეს კელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდაჲ“*** (საქმ. 8, 16,17); „საქმენში“ ასევე ვკითხულობთ: როდესაც პავლე მოციქული ეფესოში შეხვდა მხოლოდ იოანესეული ნათლობით მონათლულ მოწაფეებს და მათ გულისხმაჰყვეს საქმის ვითარება, მაშინვე ***„...ნათელ-იღეს სახელითა უფლისა იესუ ქრისტჱსითა და დასხმითა კელთა პავლესთაჲთა მათ ზედა მოვიდა სული წმიდაჲ...“*** (საქმ. 19, 5, 6).

„საქმენი მოციქულთა“-ს ამ მონათხრობიდან ვხედავთ, რომ ზოგ შემთხვევაში ნათლისღებისა და მისი ბეჭდის – ხელდასხმის საიდუმლოს მადლმოსილი ქმედება ხილულად, სულიწმიდის გაბრწყინებით გამოიხატებოდა. ამას თან ახლდა ახალმოქცეულთა სულიერი სიხარული იმის შეგნებით, რომ შეუერთდნენ წმინდა საზოგადოებას და მათთვის დაიწყო ახალი, მადლით აღსავსე ცხოვრება.

როგორ შეიცვალა მადლმოსილი ხელდასხმა მადლმოსილი მირონცხებით? ამის თაობაზე ორი ვარაუდი შეიძლება არსებობდეს: შესაძლოა, მოციქულები სულიწმიდას ხელდასხმით გადასცემდნენ მორწმუნეებს და მასთან

ერთად მირონცხებასაც იყენებდნენ (ამაზე „საქმენი მოციქულთა“ არაფერს გვაუწყებს); უფრო სავარაუდოა, რომ მათ თავად შეცვალეს საიდუმლოს ხილული ნიშანი – ხელდასხმა (შესაძლოა, ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც მოციქულები პირადად ვერ ესწრებოდნენ) ხილული მღვდელმოქმედებით – მონათლულისთვის მირონის ცხებით (მირონს ისინი თავად იძლეოდნენ). ასეა თუ ისე, მირონცხების საიდუმლო უეჭველად მოციქულებიდან მოდის; მათ კი ამაზე ღვთაებრივმა მასწავლებელმა მიუთითა. პავლე მოციქული წერს: ***„რომელმან-იგი განმამტკიცნა ჩუენ თქუენ თანა ქრისტეს მიმართ და ცხებულ გუყვნა ჩუენ ღმერთმან, და აღგუბეჭდნა ჩუენ და მომცა წინდი იგი სულისაჲ გულთა შინა ჩუენთა“*** (2 კორ. 1, 21, 22). თავად საიდუმლოს აღსრულების სიტყვები – „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“ – მჭიდროდ უკავშირდება მოციქულის შემდეგ გამონათქვამს: ***„...ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითაცა-იგი აღიბეჭდენით დღედ გამოჴსნისა“*** (ეფ. 4, 30). „გამოხსნის დღედ“ წმინდა წერილში ნათლისღება იწოდება; ხოლო „აღბეჭდვაში“, ცხადია, იგულისხმება უშუალოდ ნათლობის თანამდევი „ბეჭედი სულისა წმიდისა“.

იოანე მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: ***„...თქუენცა ცხორებაჲ გაქუს წმიდისა მისგან და იცით ყოველივე. და თქუენცა ცხებულებაჲ იგი, რომელი მიიღეთ მისგან, თქუენ თანა ჰგიეს და არა გიჴმს, ვითარმცა ვინ გასწავა თქუენ, არამედ თჳთ ივივე ცხებულებაჲ გასწავებს თქუენ ყოვლისათჳს...“*** (1 იოანე, 2, 20, 27). პავლე და იოანე მოციქულების ამ სიტყვებში ტერმინი „ცხებულება“ მიანიშნებს მორწმუნეთა ზიარებას **სულიერ ნიჭთან**; მაგრამ აშკარაა, ამ ტერმინს სულიერი მნიშვნელობით ზუსტად იმიტომაც იყენებდნენ, რომ ქრისტიანების თვალწინ ნივთიერი ცხება სრულდებოდა.

ეკლესიის წმინდა მამები თავად სიტყვა „ქრისტიანს“ მჭიდროდ უკავშირებდნენ მირონცხებას (χρίσμα – რასაც სცხებენ, χρίστος – ცხებული). „ქრისტესთან თანაზიარებით, – *ამბობს წმინდა კირილე იერუსალიმელი,* – თქვენ ღირსეულად იწოდებით ქრისტიანებად, ანუ ცხებულებად. თქვენს შესახებ ბრძანა ღმერთმან: ***„ნუ შეეხებით ცხებულსა ჩემსა...“*** (ფს. 104, 15).[12]

„საქმენი მოციქულთა“-ს მე-8 თავში მოთხრობილია, თუ როგორ მოინათლა მრავალი ადამიანი სამარიაში დიაკონ ფილიპე მოციქულის ქადაგების შემდგომ; ხოლო, როცა იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა გაიგეს, რომ სამარიტელებმა ღვთის სიტყვა შეიწყნარეს, მათთან ზუსტად იმისთვის გაგზავნეს პეტრე და იოანე, რომ მონათლულებს მათი ხელდასხმით სულიწმიდა მიეღოთ (იხ. საქმ. 8, 12-27). ამ ნაამბობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელდასხმა (და შემდგომში მირონცხებაც) ერთდროულად გვევლინებოდა, როგორც სულიწმიდის ნიჭთა გარდამოსვლის საიდუმლო და როგორც ნათლობის სწორად აღსრულების დადასტურება (მხედველობაში მისაღებია,

რომ აღწერილ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე სრულდებოდა წყლით ნათლობა, ეგრეთ წოდებული „სინანულის ნათლობა“, და ისიც, რომ ეკლესიის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა ერეტიკული ნათლობებიც). ხელდასხმა აგრეთვე ბეჭედი იყო მონათლულთა ეკლესიასთან **შეერთებისა** და ზუსტად **ამიტომაც** ასრულებდნენ მას მოციქულები და მათი მემკვიდრე ეპისკოპოსები, როგორც **ეკლესიის შემადგენლობის მცველები** (მაშინ, როდესაც ევქარისტიის აღსრულების ნება ყოველთვის პრესვიტერებსაც ჰქონდათ).

წმინდა სარწმუნოების ფართოდ გავრცელებასთან ერთად, როდესაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაიწყო ქრისტესკენ მოქცევა, მოციქულებსა და მათ უშუალო მემკვიდრე ეპისკოპოსებს აღარ შეეძლოთ, ყველგან პირადად დასწრებოდნენ, ნათლისღებისთანავე ყოველი მონათლულისათვის ხელი დაესხათ და მათზე სულიწმიდა გარდამოევლინათ. შესაძლოა, ამიტომაც მოციქულებში დავანებულმა „სულიწმიდამ ინება,“ ხელდასხმა მირონცხებით შეცვლილიყო. დადგინდა, რომ მირონის კურთხევა თავად მოციქულებს ან ეპისკოპოსებს უნდა აღესრულებინათ, ხოლო ნაკურთხი მირონით მონათლულების ცხება პრესვიტერებს დაეკისრათ. ამისთვის შერჩეულ იქნა მხოლოდ **მირონი** და არა სხვა რომელიმე ნივთიერება. ეს იმიტომ მოხდა, რომ მირონცხება ძველ აღთქმაშიც სრულდებოდა ადამიანებზე განსაკუთრებულ სულიერ ნიჭთა გარდამოსავლენად (იხ. გამოს. 28, 4; 1 მეფ. 16, 13; 3 მეფ. 1, 39). ტერტულიანე წერს: „ძველი წესის თანახმად, ემბაზიდან ამოსვლის შემდგომ ჩვენ გვცხებენ ნაკურთხ ზეთს, ისე როგორც ჩვეულებრივ სცხებდნენ ხოლმე მღვდლობისათვის ზეთს რქიდან...“ კართაგენის კრების მე-6 კანონი პრესვიტერებს უკრძალავს მირონის **კურთხევას** დამოუკიდებლად.

მირონი და მისი კურთხევა

როგორც მონათლულ სამარიტელებზე სულიწმიდის გარდამოსავლენად მათთან **მოციქულები** გაგზავნეს, ასევე ეკლესიის დადგენილებით, მირონცხების საიდუმლოში გამოყენებული მირონი უნდა აკურთხოს **ეპისკოპოსმა,** როგორც მოციქულთა უმაღლესმა მემკვიდრემ. მირონის კურთხევას ახლავს განსაკუთრებით საზეიმო მღვდელმსახურება, შეძლებისდაგვარად ეკლესიის სხვა ეპისკოპოსების მონაწილეობით.

დასავლეთში დაახლოებით XIII საუკუნეში მოხდა მირონცხებისა და ნათლისღების განყოფა. რომის ეკლესიაში ცხება სრულდება მხოლოდ შუბლზე მაშინ, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიაში მირონს აცხებენ შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, ბაგეებზე, ყურებზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე. რომის ეკლესიაში მირონს სცხ-

ებენ 10 წლის ასაკს მიღწეულებს და მას ეპისკოპოსი აღასრულებს.

მირონცხების საიდუმლოს გარდა, მირონი გამონაკლის შემთხვევაშიც გამოიყენება. მაგალითად, ტაძრის კურთხევის დროს წმინდა მირონით ინიშნება წმინდა ტრაპეზი, რომელზედაც უნდა შესრულდეს ქრისტეს წმინდა სისხლისა და ხორცის საიდუმლო, აგრეთვე ტაძრის კედლები. განსაკუთრებული წესით მირონცხება ხდება მართლმადიდებელ მეფეთა სამეფო ტახტზე ასვლის დროს.

ევქარისტიის საიდუმლო

ევქარისტია (ბერძნ. εὐχαριστία – ზედმიწევნით „სამადლობელი“) არის საიდუმლო, რომლის დროსაც შეწირული პური და ღვინო სულიწმიდის მოქმედებით გადაიქცევა უფალ იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და ჭეშმარიტ სისხლად. შემდგომ მას ეზიარებიან მორწმუნენი ქრისტესთან მჭიდრო ერთობისა და საუკუნო ცხოვრებისათვის. ამრიგად, ეს საიდუმლო ორი ნაწილისაგან შედგება:

ა) პურისა და ღვინის გადაქცევა ანუ გადაარსება უფლის ხორცად და სისხლად;

ბ) ამ წმინდა ძღვენის ზიარება.

მას ეწოდება ევქარისტია, უფლის სერობა, უფლის ტრაპეზი, ქრისტეს სისხლისა და ხორცის საიდუმლო. ამ საიდუმლოში ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეწოდება ზეციური პური და სასმელი სიცოცხლისა, ანუ „სასუმელი ცხორებისა“, წმინდა საიდუმლონი, უსისხლო მსხვერპლი. ევქარისტია ქრისტიანობის უდიდესი საიდუმლოა.

საიდუმლოს დაწესების წინ

ქრისტემ მანამდე აღუთქვა ხალხს ეს საიდუმლო, სანამ პირველად აღასრულებდა მას საიდუმლო სერობაზე. ხუთი ათასი ადამიანის ხუთი პურით დაპურების დროს უფალი საუბრობდა ცხოველი პურის შესახებ და ასწავლიდა: ***„მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათჳს სოფლისა“*** (იოანე, 6, 51). ცხადია, იუდეველებმა ქრისტეს სიტყვები პირდაპირ გაიგეს და ერთმანეთს გადაულაპარაკეს: ***„... ვითარ-მე ჴელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად?“*** (იოანე, 6, 52); და უფალსაც არ უთქვამს იუდეველთათვის, რომ მას არასწორად გაუგეს, მხოლოდ უფრო მეტი ძალითა და სიცხადით გააგრძელა იმავე შინაარსის სიტყვა: ***„...ამენ, ამენ, გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა სჭა-***

მოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა. რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“ (იოანე, 6, 53-56). ასევე პირდაპირ გაიგეს ქრისტეს სიტყვები მისმა მოწაფეებმა: ***„...ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე. ვის ჴელ-ეწიფების სმენად მისა?“*** (იოანე, 6, 60), – ამბობდნენ ისინი. მაცხოვარმა, რათა დაერწმუნებინა, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, მიუთითა სხვა სასწაულზეც – თავის ზეცად ამაღლებაზე სამომავლოდ: ***„...ესე დაგაბრკოლებსა თქუენ? უკუეთუ იხილოთ ძე კაცისაჲ აღმავალი, სადაცა იყო პირველ?*** (იოანე, 6, 61, 62) და დასძენს: ***„სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ჴორცნი არად სარგებელ არიან; სიტყუათა, რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და ცხორება“*** (იოანე, 6,63). ამ შენიშვნიდან ჩანს, რომ ქრისტე არ ითხოვს, მისი საუბარი ცხოველ პურზე „გადატანითი“ მნიშვნელობით იქნეს გაგებული. „არიან ვინმე თქუენგანი, რომელთა არა ჰრწამს“ – იქვე დასძენს იგი. ამ სიტყვებით მაცხოვარი თავად მიანიშნებს, რომ მისი სიტყვები ძნელად სარწმუნოა. როგორ უნდა ჭამონ მისი ხორცი და სვან მისი სისხლი მორწმუნეებმა?! მაგრამ იგი მიუთითებს, რომ ლაპარაკობს თავის ჭეშმარიტ სხეულზე. მისი სიტყვები თავის ხორცსა და სისხლზე არის „სული და ცხოვრება“, ისინი ადასტურებენ, რომ:

ა) მას, ვინც ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარება, ექნება საუკუნო ცხოვრება და ბოლო ჟამს აღდგება დიდების სასუფევლისათვის;

ბ) ზიარებით ადამიანი ქრისტესთან უმჭიდროეს ურთიერთობას ამყარებს.

მაცხოვრის სიტყვები მიანიშნებს არა ხორციელ, არამედ სულიერ ცხოვრებაზე: *„პურ ზეციური და სასუმელი ცხორებისა იგემეთ და ნახეთ, რამეთუ სახიერ არს უფალი“* – ვისმენთ პირველშეწირულის ლიტურგიაზე.

ზიარება ფიზიკური შიმშილის დაოკება არ არის, როგორც ეს უდაბნოში მანანათი განძღომის დროს, შემდგომად კი ხუთი ათასი ადამიანის დაპურებისას მოხდა – იგი მარადიული ცხოვრებისათვის არის მნიშვნელოვანი.

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲓᲐᲤᲔᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝᲑᲐ ᲔᲙᲝᲫᲐᲨᲘ

მაცხოვრის მიერ ევქარისტიის სამომავლო დადგინების მითითება გადმოცემულია **იოანეს** სახარებაში. თავად საიდუმლოს დადგინებას აღწერს სამივე მახარებელი-**სინოპტიკოსი**: მათე, მარკოზი და ლუკა. მოგვიანებით ეს გაიმეორა **პავლე** მოციქულმა.

მათეს სახარება მოგვითხრობს: ***„...ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“*** (მათე, 26, 26-28).

ამასვე გვაუწყებს მარკოზის სახარების მე-14 თავი და ლუკას სახარება: ***„და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი— ახალი სჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული“*** (ლუკა, 22, 19, 20).

პავლე მოციქული კი გადმოგვცემს: ***„რამეთუ მე მოვიღე უფლისაგან, რომელიცა მიგეც თქუენ, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური. ჰმადლობდა, განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ; ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენთჳს განტეხილი; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა“***(1 კორ. 11, 23, 24).

მაცხოვრის სიტყვები საიდუმლო სერობაზე: ***„...ესე არს ჴორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული...“*** (ლუკა, 22, 19) და ***„ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“*** (მათე, 26, 28) – სავსებით ცხადია და გარკვეული და რაიმე განსხვავებულსა თუ არაპირდაპირ განმარტებებს არ საჭიროებს. მოწაფეებს იესო ქრისტემ მიართვა თავისი ჭეშმარიტი ხორცი და ჭეშმარიტი სისხლი; ეს აღსრულდა თავისი სისხლისა და ხორცის შესახებ მაცხოვრის აღთქმის თანახმად (შდრ. იოანე, თავი მე-6).

უფალმა აზიარა მოწაფენი და მცნებად დაუდო: „ამას ჰყოფდით ჩემდა მოსახსენებლად“. და ეს მსხვერპლშეწირვა უნდა სრულდებოდეს, უფალი ***„...ვიდრემდის მოვიდეს“*** (1 კორ. 11, 26), ანუ პავლე მოციქულის დარიგების მიხედვით, უფლის მეორე მოსვლამდე. ეს მაცხოვრის სიტყვებიდანაც ჩანს: ***„...უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა“*** (იოანე, 6, 53). და მართლაც, ეკლესიამ პირველივე დღეებიდანვე მიიღო ევქარისტია, როგორც უდიდესი საიდუმლო და მისი დადგინება უდიდესი ზედმიწევნობითა და კეთილკრძალულებით არის დაცული. იგი სრულდება და აღესრულება ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა.

მოციქულთა ეპოქაში ევქარისტიის საიდუმლოს შესრულების შესახებ ვკითხულობთ წიგნში „საქმენი მოციქულთა“ (იხ. საქმ. 2, 42, 46; 20, 6, 7) და პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში. იგი წერს:

„სასუმელი ესე კურთხევისაჲ, რომელ ვაკურთხევთ, არა-მე ზიარებაჲ სისხლთა ქრისტესთაჲ არსა? პურსა ამას რომელსა განვსტეხთ, არა-მე

ზიარებაჲ ჯორცთა ქრისტესთაჲ არსა? რამეთუ ერთ პურ და ერთ ჯორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“ (1 კორ. 10, 16, 17).

„რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს. ამიერითგან, რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა ულირსებით, თანა-მდებ არს იგი ჯორცსა და სისხლსა უფლისასა. გამო-ღაიცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ. ხოლო რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ჯორცი უფლისანი. ამისთჳს მრავალ არიან თქუენ შორის უძლურ და სნეულ და წუანან მრავალნი“ (1 კორ. 11, 26-30).

ამ სიტყვებით მოციქული გვარიგებს, თუ როგორი კეთილკრძალულებითა და წინასწარი თვითგამოცდით უნდა მიეახლოს ქრისტიანი ზიარებას და შეგვაგონებს, რომ ამ დროს უბრალოდ სასმელ-საჭმელს კი არა, ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლსა და ხორცს ვიღებთ.

ევქარისტიისას ქრისტესთან შეერთებით მორწმუნენიც შედიან ერთობაში ურთიერთთან: ***„რამეთუ ერთ პურ და ერთ ჯორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველითა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“*** (1 კორ. 10, 17).

ჯუარისა და ღვინის გადაქცევა ევქარისტიის საიდუმლოში

ევქარისტიის საიდუმლოში, როდესაც მღვდელმსახური სულიწმიდას მოიწვევს შეწირულ ძღვენზე და აკურთხებს მას მამა ღმერთისადმი აღვლენილ ლოცვაში: *„და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა, ხოლო ბარძიმსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა. შესცვალე სულითა შენითა წმიდითა“, –* ზუსტად ამ დროს პური და ღვინო სულიწმიდის გარდამოსვლით ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად გადაიქცევა. შემდგომად ამისა, ჩვენი თვალები წმინდა ტრაპეზზე ხედავენ პურსა და ღვინოს, მაგრამ არსობრივად, გრძნობადი მზერისათვის უხილავად, ეს პურისა და ღვინის სახით წარმოდგენილი უფალ იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სისხლი და ჭეშმარიტი ხორცია.

მაშასადამე, ნაკურთხი ძღვენი – ეს მარტოოდენ ნიშნები და სიმბოლოები არ არის, რომლებიც, რეფორმატორ პროფესორ ცვინგლის აზრით, მორწმუნეებს გამოსყიდვას შეახსენებენ; არც მარტო თავისი „ქმედებითა და ძალით“ („დინამიურად“) მყოფობს მათში იესო ქრისტე, როგორც კალვინი ასწავლიდა; არც მხოლოდ „განმსჭვალავს“ მათ, როგორც ლუთერანები თვლიან (ისინი ცნობენ ქრისტეს თანამყოფობას „პურთან, პურში, პურის

ქვეშ“) – ნუ იყოფინ! ნაკურთხი ძღვენი საიდუმლოში **გადაიქცევა** (ან გვიანდელი ტერმინით – **გადაარსდება)** ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად, როგორც მაცხოვარმა ბრძანა: ***„...ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს“*** (იოანე, 6, 55).

ამ ჭეშმარიტებას „აღმოსავლეთის პატრიარქთა ეპისტოლე“ შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „გვწამს, რომ ამ მღვდელმოქმედებაში ჩვენ წინ მყოფობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე არა სიმბოლურად (τυπίκώς), არა ხატოვნად (εικονίκως), არა მადლის სიუხვით, როგორც სხვა დანარჩენ საიდუმლოებში, არა ოდენ მოფენით, როგორც, ზოგი მამის აზრით, ნათლისღების დროს ხდება; არც პურის „განმსჭვალვით“, თითქოს ღმერთ-სიტყვას ევქარისტიით შეწირულ პურში არსობრივად „შეეღწიოს“, როგორც ამას ლუთერის მიმდევრები საკმაოდ უხეიროდ და უღირსად გვიხსნიან. უფალი მყოფობს ჭეშმარიტად და ნამდვილად, – პურისა და ღვინის კურთხევისას პური გადაიქცევა, გადაარსდება, გარდაიქმნება, გარდაისახება **ჭეშმარიტ** ხორცად უფლისა, რომელიც იშვა ბეთლემში ქალწულისაგან, მოინათლა იორდანეში, ივნო, დაეფლა, აღდგა, ამაღლდა და მჯდომარე არის მარჯვენით მამისა და მოვალს ზეციდან ღრუბელთა ზედა. ხოლო ღვინო გადაიქცევა და გარდაისახება უფლის **ჭეშმარიტ** სისხლად, რომელიც ჯვარზე მისი ვნების დროს დათხეულ იქნა ქვეყნის ცხონებისათვის; კვალად გვწამს, რომ პურისა და ღვინის კურთხევისას უკვე არა თავად პური და ღვინო რჩება, არამედ მათი სახით უფლის ხორცი და სისხლი“.[13]

ზიარების წმინდა საიდუმლოზე მსგავს სწავლებებს ყველა წმინდა მამასთან ვხვდებით: დაწყებული უძველესთაგან (მაგალითად, **წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი**) და სხვა ძველი ეკლესიის მწერლებთან (**წმინდა იუსტინე ფილოსოფოსი**). მაგრამ უძველესი მამები ამ სწავლებას მთლად ზუსტი ტერმინებით არ გამოხატავენ და ზოგი მათგანი უფრო სიმბოლურ განმარტებებს უახლოვდება (რაზედაც მიუთითებენ პროტესტანტები); მაგრამ მათი გამოხატვის ეს მეთოდი ნაწილობრივ აიხსნება მათ წინაშე მდგომი პოლემიკური ხასიათის ამოცანებით (ორიგენე – „საიდუმლოსადმი ტლანქი, გრძნობადი დამოკიდებულების წინააღმდეგ“, ტერტულიანე – „მარკიონეს ერესის წინააღმდეგ“). აპოლოგეტები წარმართთა წინაშე ზოგადქრისტიანულ ჭეშმარიტებებს იცავდნენ, მაგრამ მათ საიდუმლოთა სიღრმეებში არ ახედებდნენ.

I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე მამები აღიარებდნენ: „საღვთო ტრაპეზზე ჩვენ არ უნდა ვხედავდეთ უბრალოდ შეწირულ პურსა და სასმელს, არამედ ავმაღლდეთ გონებით და რწმენით შევიმეცნოთ, რომ წმინდა ტრაპეზზე ძევს კრავი ღვთისა, ამქვეყნიურ ცოდვათა თავსმდები, მღვდელთაგან მსხვერპლად შეწირული, და ჭეშმარიტად შევიწყნაროთ პა-

ტიოსანი ხორცი და სისხლი მისი. უნდა გვჯეროდეს, რომ ეს არის ნიშანი ჩვენი აღდგომისა“.

ღვთის ძალით პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაარსების შესაძლებლობის დასამტკიცებლად და ასახსნელად ძველი მწყემსები მიუთითებდნენ შემოქმედის ყოვლისშემძლეობასა და მისი ამ თვისების დამადასტურებელ ისეთ მაგალითებზე, როგორიცაა სამყაროს შექმნა არარასაგან, განხორციელების საიდუმლო, წმინდა წერილში ნახსენები სასწაულები; კერძოდ, წყლის ღვინოდ გადაქცევა **(წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა ამბროსი მედიოლანელი, წმინდა კირილე იერუსალიმელი, ღირსი იოანე დამასკელი);** ამასთან ერთად შეგვახსენებენ, თუ ჩვენთვის უხილავად როგორ გადაარსდება ჩვენს ხორცად და სისხლად საკვებად მიღებული პური, ღვინო თუ წყალი.[14]

კერძო დებულებანი წმინდა ძღვენში უფალ იესო ქრისტეს მყოფობის გვარობის შესახებ

1. თუმცა პური და ღვინო საიდუმლოში უფლის მხოლოდ სისხლად და ხორცად გადაარსდება, მაგრამ ღმერთი ამ საიდუმლოში მყოფობს **მთელი თავისი არსებით**, ანუ თავისი სულითა და ღვთაებრივი ბუნებით, რომელიც განუყოფლად არის შეერთებული მის კაცობრივ ბუნებასთან.

2. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ უფლის სისხლი და ხორცი ზიარების საიდუმლოში ნაწევრდება და იყოფა, ჩვენ გვწამს, რომ წმინდა საიდუმლოს ძღვენის **თითოეული**, **უმცირესი ნაწილითაც** კი ადამიანები ეზიარებიან თავისი არსით, ანუ სულითა და ღვთაებრივი ბუნებით, სრულ ქრისტეს – სრულ კაცსა და სრულ ღმერთს. ამ რწმენას წმინდა ეკლესია გამოხატავს წმინდა კრავის დანაწევრებისას მღვდელმსახურის მიერ წარმოთქმული სიტყვებით: *„ნაწილდება და განიყოფება კრავი ღვთისა, დანაწევრებული და განუყოფელი, მარადის ჭამადი და აროდეს მოკლებული, არამედ მიმღებელთა განმწმედელი“.*

3. სამყაროში ერთდროულად მრავალი ლიტურგია აღესრულება, მაგრამ ქრისტეს სხეული ერთია და არა მრავალი. **ყველა ტაძარში მყოფობს** ერთი ქრისტე და მართალნი მის სხეულს იღებენ.

4. ყველა ეკლესიაში დამოუკიდებლად მომზადებული შეწირული პური კურთხევის შემდგომ გადაიქცევა **იმავე სხეულად, რომელიც ცათა შინა მყოფობს**.

5. ევქარისტიის საიდუმლოში პურისა და ღვინის ხორცად და სისხლად გადაარსების შემდგომ ისინი აღარ უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას – რჩებიან **უფლის სისხლად და ხორცად** სამარადისოდ და დამოუკიდებლად იმისა, მიიღებენ თუ არა მას მორწმუნენი. ამიტომ მართლმადიდებ-

ელ ეკლესიაში ძველთაგანვე დამკვიდრდა ჩვეულებად გარკვეულ დღეებში **პირველშეწირულის** ლიტურგიის შესრულება იმ რწმენით, რომ წინა ლიტურგიაზე ნაკურთხი ძღვენი ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად რჩება. ძველთაგანვე მოდის წესი წმინდა ჭურჭელში მომაკვდავთათვის საგზლად ნაკურთხი ძღვენის შენახვისა. ცნობილია, რომ ძველ ეკლესიაში ასევე არსებობდა ჩვეულება, დიაკონის ხელით გაეგზავნათ ნაკურთხი ძღვენი იმ ქრისტიანთათვის, რომელთაც ეკლესიაში ზიარების საშუალება არ ჰქონდათ. ასეთები იყვნენ საპყრობილეში ჩამწყვდეული აღმსარებელნი და მონანულნი; ძველად, არცთუ იშვიათად, მორწმუნეებს წმინდა ძღვენი ტაძრიდან სახლში, ხოლო მოსაგრეებს კი უდაბნოში კრძალვით მიჰქონდათ.

6. ღმერთკაც ქრისტეს შეჰფერის ერთიანი, განუყოფელი თაყვანისცემა როგორც ღმერთსა და როგორც კაცს ბუნებათა განუყოფლად შეერთებისა გამო. ამიტომაც ევქარისტიის წმინდა საიდუმლოსაც ჩვენგან **ისეთივე პატივი და თაყვანისცემა** ეგების, როგორსაც თავად უფალ იესო ქრისტეს მივაგებთ.

ევქარისტიის დამოკიდებულება გოლგოთის მსხვერპლთან

ევქარისტიის მსხვერპლი მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილის **გამეორება არ არის**. ეს არის შეწირვა ჩვენი გამომსყიდველის მიერ ერთხელ ჯვარზე სამსხვერპლოდ ატანილი სისხლისა და ხორცისა, რომელიც არის „მარადის ჭამადი და აროდეს მოკლებული“. გოლგოთა და ევქარისტიის მსხვერპლი **ურთიერთგანუყოფელნი** არიან და ერთ მსხვერპლს შეადგენენ, მაგრამ, იმავდროულად, **განსხვავდებიან** კიდეც. ისინი განუყოფელნი არიან, როგორც ღმერთის მიერ გოლგოთაზე დარგული მადლმოსილი ხე ცხოვრებისა, რომელიც თავისი საიდუმლო ტოტებით მთელ თავის ეკლესიას აღავსებს და ბოლო ჟამამდე გამოკვებავს თავისი მაცხონებელი ნაყოფით ყველას, ვინც მარადიულ ცხოვრებას ეძებს. მათი განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ევქარისტიის მსხვერპლი არის უსისხლო და უვნებო, რადგან მას შემდგომ, რაც მაცხოვარი ***„...აღდგა მკუდრეთით, არღარა მოკუდეს, და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“*** (რომ. 6, 9); იგი შეიწირება ტანჯვის, სისხლის დათხევისა და სიკვდილის გარეშე და მისი საშუალებით ხდება ღვთის კრავის ვნებათა და სიკვდილის გახსენება.

ევქარისტიის, როგორც მსხვერპლის მნიშვნელობა

იგი არის **ქებისა და მადლობის** მსხვერპლი. მღვდელმსახური, რომელიც აღასრულებს უსისხლო მსხვერპლშეწირვას, წმინდა ბასილი დიდისა და წმინდა იოანე ოქროპირის ლიტურგიათა თანახმად, ძღვენის კურთხევის

წინა საიდუმლო ლოცვაში იხსენებს ღვთის დიად საქმეებს, ადიდებს და მადლობს ღმერთს – წმინდა სამებას, რომ მან ადამიანი არყოფნიდან გამოიხმო და მისი დაცემის შემდგომაც მრავალჯერ იზრუნა მასზე; თაყვანსცემს იესო ქრისტეს მის მიერ ადამიანთა გადარჩენის განგებულებისთვის. ამ წმინდა წუთებში ტაძარში მყოფი ყველა ქრისტიანი მას შეჰღაღადებს: *„შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, და გმადლობთ შენ, უფალო...“*

ევქარისტია, აგრეთვე, **მოწყალების გამოსათხოვად** („სალხინებლად“) გაღებული მსხვერპლია ეკლესიის ყველა წევრისათვის. როდესაც უფალმა თავისი ხორცი მოწაფეებს მისცა, დასძინა: ***„...ჯორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული...“*** (ლუკა, 22, 19) და მისცა სისხლი და შემდეგი სიტყვები დაურთო: „თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (შდრ. ლუკა, 22, 20 და მათე, 26, 28). ქრისტიანობის დასაწყისიდანვე ამიტომაც შეიწირებოდა უსისხლო მსხვერპლი როგორც ცოცხალთა, ისე მიცვალებულთა ხსენებისა და ცოდვათა მისატევებლად. იაკობ მოციქულის ლიტურგიით დაწყებული, ეს ყველა ლიტურგიის განაწესიდან ჩანს. თვითონ მსხვერპლი ხშირად პირდაპირ იხსენიება, როგორც „მსხვერპლი შეწყნარებისა“.

ევქარისტია არის მსხვერპლი, რომელიც უმჭიდროესად **აერთიანებს ყველა მართალს** ქრისტეში ერთ სხეულად. ამიტომაც იხსენიებს – წმინდა ძღვენის გადაარსების შემდეგ და მანამდეც, პროსკომიდიაზე (კვეთაზე) – მღვდელმსახური დედოფალ ღვთისმშობელს და ყოველ წმინდანს და დაურთავს: *„რომლითა ლოცვითა მომიხსენენ ჩვენ, ღმერთო“* და გადადის ცოცხალთა და მკვდართა – ქრისტეს მთელი ეკლესიის – მოხსენიებაზე.

ევქარისტია არის **სავედრებელი** მსხვერპლიც: ეკლესიის სიმშვიდის, მსოფლიოს კეთილდღეობის, მთავრობათა, უძლურებაში მყოფთა, მშრომელთა და „ყოველთა და ყოვლისათვის“, ვინც კი შემწეობას ითხოვს.

ᲚᲘᲢᲣᲠᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

სახარებისა და სამოციქულო ტექსტზე დაყრდნობითა და ძველი ეკლესიის პრაქტიკიდან გამომდინარე დავასკვნით შემდეგს:

ა) ევქარისტიის დროს ყველა მორწმუნეს უნდა მიერთვას არა მარტო ხორცი ქრისტესი, არამედ მისი სისხლიც, როგორც ეს მოციქულებს ებოძათ საიდუმლო სერობაზე. ***„...სუთ ამისგანი ყოველთა“*** – დაიბარა უფალმა (მათე, 26, 27); ***„გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ“*** (1 კორ. 11, 28) (ასე არ სრულდება ლათინთა ეკლესიაში, სადაც ერისკაცნი ბარძიმს მოკლებულნი არიან).

ბ) ***„...ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“*** (1 კორ. 10, 17), – წერს მოციქული, და ძველ ეკლესიაშიც თითოეული თემი ერთი პურიდან ეზიარებოდა. მართლმადიდებლურ ლიტურგიაზე იკურთხება და განიტეხ-

ება ერთი პური და იკურთხება ერთი ბარძიმი (მეორე ათასწლეულში ლათინთა ეკლესიაში ასევე დაირღვა ერთი პურის კურთხევა).

გ) წმინდა წერილში ყველგან, სადაც ლაპარაკია ევქარისტიულ პურზე, მას ბერძნულად უწოდებენ αρτος (იოანეს სახარების მე-6 თავი, მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებები, პავლე მოციქულის ეპისტოლენი და საქმენი მოციქულთა). „არტოს“ ჩვეულებრივ აღნიშნავს ხორბლის გაფუებულ პურს („გაუფუებელი“ ბერძნულად გამოიხატება ზედსართავით αζυμος). ცნობილია, რომ მოციქულთა დროში ევქარისტია თავიდანვე, დადგინებისთანავე, სრულდებოდა მთელი წლის განმავლობაში ყოველ კვირა დღეს, ანუ მაშინ, როდესაც იუდეველები ხმიადებს არ ამზადებდნენ. მაშასადამე, თვით იუდეურ-ქრისტიანულ თემებშიც ევქარისტიის დროს გაფუებული პური გამოიყენებოდა. ეს მით უფრო ეხება ყოფილ წარმართთაგან შექმნილ ქრისტიანულ თემებს, რომელთათვისაც საერთოდ უცხო იყო უცომობის კანონი. პირველქრისტიანულ ეკლესიაში ევქარისტიის საიდუმლოსათვის ნივთიერებებს ჩვეულებრივ ხალხის შესაწირიდან იღებდნენ. სახლიდან კი ეკლესიაში, როგორც წესი, გაფუებული პური მიჰქონდათ, რომელიც აგრეთვე სიყვარულის ტრაპეზისა და ღატაკთა მოსაკითხად იყო განკუთვნილი.

წმინდა საიდუმლოთა ზიარების აუცილებლობა და მაცხონებლობა

უფლის სისხლისა და ხორცის ზიარება არის თითოეული ქრისტიანისათვის არსებითი, აუცილებელი, მაცხონებელი და ნუგეშინისმცემელი მოვალეობა. ეს მაცხოვრის იმ სიტყვებიდანაც ჩანს, რომელიც მან ჯერ კიდევ ევქარისტიის საიდუმლოს აღთქმამდე წარმოთქვა: ***„...ამენ, ამენ, გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა“*** (იოანე, 6, 53, 54).

თუ ღირსეულად ვეზიარებით, ევქარისტიის საიდუმლოს მაცხონებელი ნაყოფი და მოქმედება შემდეგია:

ა) იგი უმჭიდროესად გვაერთებს უფალთან: ***„...რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“*** (იოანე, 6, 56);

ბ) კვებავს ჩვენს სულსა და ხორცს, ხელს გვიწყობს სულიერ ცხოვრებაში განმტკიცებაში, ამაღლებასა და ზრდაში: ***„...რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ“*** (იოანე, 6, 57);

გ) ღირსეულად მიღებული ზიარება ჩვენი სამომავლო აღდგომისა და მარადიული ნეტარი ცხოვრების საწინდარია***: „...რომელი ჭამდეს ამას პურსა, ცხონდეს უკუნისამდე“*** (იოანე, 6, 58).

მაგრამ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ევქარისტიის ეს მაცხონებელი ნაყოფი სარგებელს მხოლოდ მათ მოუტანს, ვინც რწმენითა და სინანულით მიეახლება მას. ქრისტეს სისხლისა და ხორცის უღირსად მიღება კი სასჯელად იქცევა: ***„...რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა კორცნი უფლისანი“*** (1 კორ. 11, 29).

სინანულის საიდუმლო

სინანულის საიდუმლო არის მადლმოსილი მღვდელმოქმედება, როდესაც მაცხოვრის აღთქმის თანახმად, საღვთო მოწყალებისა და ეკლესიის მწყემსის შუამდგომლობით, მორწმუნეს მიეტევება ცოდვები მათი აღიარებისა და შენანების შემდგომ.

სინანულის საიდუმლო კურნავს ადამიანის სულიერ სნეულებებს, აცილებს სულის მწიკვლს და ქრისტიანი ცოდვათა შენდობის მიღების შემდგომ ისევ უცოდველი და განწმედილი ხდება – ისეთი, როგორიც წყლიდან ამოვიდა ნათლისღების შემდგომ. ამიტომ სინანულის საიდუმლოს „სულის სამკურნალო“ ეწოდება. ნადგურდება ადამიანის დაცემისაკენ წარმმართავი, მისი გონების, გულისა და სინდისის დამაჩლუნგებელი, სულიერი ხედვის დამაბრმავებელი და ქრისტიანული ნების დამაუძლურებელი ცოდვები. ისევ აღდგება ცოცხალი კავშირი ეკლესიასა და უფალ ღმერთთან. ცოდვათა ტვირთის მოხსნით შემსუბუქებული ადამიანი სულიერად ისევ ცოცხლდება და კეთილ, ქრისტიანულ გზაზე შემდგარს კვლავ ძალუძს განმტკიცება და სრულქმნა.

სინანულის საიდუმლო ორი ძირითადი ქმედებისაგან შედგება:

ა) ეკლესიის მწყემსის წინაშე მონანული ქრისტიანის მიერ თავისი ცოდვების აღიარება;

ბ) მღვდელმსახურის მიერ წარმოთქმული ლოცვითი ვედრება და ცოდვათაგან მონანულის განხსნა.

ამ საიდუმლოს აგრეთვე **აღსარების საიდუმლოც** ეწოდება (თუმცა ცოდვათა აღიარება მისი მხოლოდ პირველი, შესავალი ნაწილია), რაც სულის გულწრფელად გახსნისა და საკუთარ ცოდვათა გააზრების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

„უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვაჲ არა გუაქუს, თავთა თჳსთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტებაჲ არა არს ჩუენ თანა. უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს მართალ, რაჲთა მოგჳტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ყოვლისაგან სიცრუისა“ (1 იოანე, 1, 8, 9).

აღსარება, ანუ გასაგონად წარმოთქმა, არის **შინაგანი სინანულის** გამოხატვა, მისი შედეგი და მაჩვენებელი. და რა არის სინანული? იგი მხ-

ოლოდ საკუთარი ცოდვიანობის **შეგნება-გააზრება,** ან საკუთარი თავის უღირსობის მარტივი აღიარება არ არის; არც დაშვებულ დაცემებსა და სისუსტეებზე გლოვა და **წუხილია** და არც მარტოოდენ **დანანება** (თუმცა ყველა ეს მომენტი აუცილებლად შედის სინანულში). სინანული არის **გამოსწორების ნების** გამოვლინება, სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება უკეთურ მიდრეკილებებთან ბრძოლისა (სიტყვა სინანული, ბერძნულად μετανοια, ზედმიწევნით ნიშნავს აზროვნების წესის შეცვლას). ცოდვასთან საბრძოლველად სულიერი სინანულის მდგომარეობას უერთდება თხოვნა ღვთის თანადგომისა. საჭიროა გულითადი და წრფელი სინანული, რათა ამ საიდუმლოს მოქმედებით **მოიხსნას** ცოდვები და, აგრეთვე, გახსნილ სულში შეაღწიოს მადლმოსილმა **კურნებამ,** რომელიც ცოდვის სიბინძურეში სულის ხელმეორედ დანთქმას აღარ დაუშვებს.

მოძღვრის წინაშე საკუთარ სულიერ სნეულებათა და დაცემათა ხმამაღლა დასახელებით, ანუ ცოდვათა აღიარებით გადაილახება:

ა) ამპარტავნება – ცოდვის ეს მთავარი წყარო;

ბ) საკუთარი გამოსწორების უიმედობისა და გადარჩენის შეუძლებლობის შეგრძნებით გამოწვეული სასოწარკვეთილება.

ცოდვის გამოაშკარავება მის აღმოფხვრას აახლოვებს.

სინანულის საიდუმლოში მონაწილეობისათვის ადამიანი ემზადება ლოცვითი და მარხვითი ღვაწლით, აგრეთვე საკუთარი ცოდვიანობის გახსნისა და გასააზრებლად საკუთარ თავში ჩაღრმავებით.

მწყემსი-მოძღვარი ადასტურებს, რომ მონანულ ქრისტიანს შეეგებება საღვთო მოწყალება და რომ ზეციერი მამა ხელს არ ჰკრავს მისკენ მიმავალს, როგორც არ განაგდო უძღები შვილი და მეზვერე. ეს მოწმობა ჩადებულია მღვდელმსახურის მიერ წარმოთქმულ შენდობის განსაკუთრებული ლოცვის სიტყვებში.

საიდუმლოს დაწესება

სინანულის საიდუმლო უფალმა მაშინ დაადგინა, როდესაც აღდგომის შემდგომ გამოეცხადა თავშეყრილ მოწაფეებს (გარდა თომასი) და საზეიმოდ ბრძანა: ***„...მშვიდობაჲ თქუენ თანა!... და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“*** (იოანე, 20, 21-23). გარდა ამისა, ქრისტე მაცხოვარმა მანამდე კიდევ ორჯერ აღუთქვა ეს საიდუმლო: პირველად პეტრე მოციქულს, როდესაც მან ყველა მოციქულის სახელით აღიარა იგი ძედ ღვთისად: ***„და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰკსნა ქუეყანასა ზედა, კსნილ***

იყოს იგი ცათა შინა“ (მათე, 16, 19); მეორედ კი ყველა მოციქულს და მათ წინაშე დაამოწმა: ***„...უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი. ამენ, გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“*** (მათე, 18, 17, 18).

მღვდელმსახური მხოლოდ ხილული იარაღია ამ საიდუმლოს აღსასრულებლად, რომელსაც უხილავად თავად ღმერთი აღასრულებს.

როდესაც **წმინდა იოანე ოქროპირი** საუბრობდა ეკლესიის მწყემსთა მიერ შეკვრისა და განხსნის უფლების დადგინებაზე, მას მხედველობაში ჰქონდა საღვთო დადგინება: „მღვდლები განსაზღვრავენ, თუ რა არის ქვენა, ღმერთი ადგენს ზენას და უფალი ეთანხმება თავის მონათა აზრს“.[15] მღვდელი ამ შემთხვევაში საღვთო მოწყალების იარაღია და ცოდვებს განხსნის არა თავისი, არამედ წმინდა სამების სახელით.

მადლის უხილავი მოქმედება სინანულის საიდუმლოში თავისი მომცველობითა და ძალმოსილებით ვრცელდება ყოველგვარ ადამიანურ ურჯულოებაზე; არ არსებობს მიუტევებელი ცოდვა, თუკი ადამიანები გულწრფელად შეინანებენ და სასოებითა და ცოცხალი რწმენით აღიარებენ უფალ იესოს და მის მოწყალებას: ***„არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“*** (მათე, 9, 13), – ამბობდა მაცხოვარი. რაოდენ დიდი იყო პეტრე მოციქულის ცოდვით დაცემა, მაგრამ უფალმა მიუტევა, როდესაც მან ჭეშმარიტად შეინანა. ცნობილია, რომ წმინდა პეტრე მოციქული სინანულისაკენ მოუწოდებდა იმ იუდეველებს, რომლებმაც ჭეშმარიტი მესია აცვეს ჯვარს (იხ. საქმ. 2, 36-38), და მოგვიანებით ყველა ერეტიკოსის მამამთავარ სიმონ-მოგვს (იხ. საქმ. 8, 22). პავლე მოციქულმა განხსნა სისხლის აღრევის ცოდვით დაცემული მონანული, რომელიც მანამდე დროებით შერისხა (იხ. 2 კორ. 2, 7).

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საიდუმლოში ცოდვათა მიტევება გულმოწყალების აქტია და არა წუთიერი სიბრალულისა. იგი გვებოძა ადამიანის სულის სასარგებლოდ, ***„აღსაშენებელად და არა დასარღვეველად“*** (2 კორ. 10, 8). საიდუმლოს აღმასრულებელს ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

წმინდა წერილი შეგვახსენებს იმ შემთხვევებსა თუ პირობებს, რომელთა დროსაც ცოდვათა მიტევება არ ხდება. საღვთო წერილი გვეუბნება, რომ სულიწმიდის გმობა ***„არა მიეტეოს მას (კაცს) არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“*** (მათე, 12, 31, 32) და რომ არსებობს ***„ცოდვაჲ სასიკვდინე“***, რომლის მიტევებაზე ლოცვაც კი არ შეიძლება (1 იოანე, 5, 16). დასასრულ, პავლე მოციქული გვარიგებს, რომ ***„შეუძლებელ არს ერთგ-***

ზის განათლებულთა მათ, რომელთა გემო ეხილვოს ნიჭთა მათ ზეცისათა და ზიარ-ქმნულ იყვნენ სულისა წმიდისა და კეთილი გემო ეხილვოს სიტყჳსა ღმრთისა და ძალი იგი მერმისა მის საუკუნოჲსა და დაცემულთა კუალად განახლება სინანულად, თანა-ჯუარცუმად თავთა მათთა ძესა ღმრთისასა და განქიქებად“ (ებრ. 6, 4-6).

ყველა ამ შემთხვევაში ცოდვათა მიუტევებლობის მიზეზი თავად ცოდვილებში და ცოდვათა მოუნანიებლობაში მდგომარეობს და არა ღვთის ნებაში. როგორ შეიძლება სულიწმიდის მადლით მიეტეოთ ცოდვა, როდესაც ამ მადლზე მკრეხელობას ანთხევენ?! მაგრამ უნდა გვჯეროდეს, რომ ამ ცოდვაში ჩავარდნილებსაც მიეტევებათ, თუ მას გულწრფელად შეინანებენ და აღიარებენ. „უკეთუ შეინანებენ, – *ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი სულიწმიდის მგმობელებზე,* – ეს ცოდვაც მიეტევებათ მონანულთ. სულიწმიდის მგმობელთაგან შემდგომში მიეტევა ყველას, ვინც იწამა მისი“.[16] VII მსოფლიო საეკლესიო კრების მამები ამბობენ მომაკვდინებელ ცოდვათა მიტევების შესაძლებლობაზეც: „მომაკვდინებელი ცოდვა მაშინ არის, როდესაც ცოდვის ჩამდენნი გამოუსწორებელნი რჩებიან... მათთან არ იქნება უფალი იესო, თუ არ დამდაბლდებიან და არ გამოფხიზლდებიან თავიანთი ცოდვით დაცემისაგან. ჯეროვანია, ისინი გულშემუსვრილებით მიეახლონ ღმერთს და ცოდვათა შენდობა და მიტევება ითხოვონ და უკეთური საქმეებით არ ქედმაღლობდნენ, რამეთუ ***„მახლობელ არს უფალი შემუსვრილთა გულითა“*** (ფს. 33, 19)“.

„ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეცა არა ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული“ (ლუკა, 15, 7) – სახარების ამ სიტყვებიდან ცხადი ხდება ცოდვათა შენანებისაკენ მოწოდება და პირდაპირი მოთხოვნაც კი. წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ***: „ანგელოზსა ეფესოჲსა ეკლესიისასა არქუ... მოვალ ადრე და აღვძრა სასანთლჱ შენი ადგილისაგან თჳსისა, უკუეთუ არა შეინანო“*** (გამოცხ. 2, 1, 5).

ეპიტიმიები

ეპიტიმიაში იგულისხმება აკრძალვა ან დასჯა (შდრ. 2 კორ. 2, 6), რომელსაც ეკლესიის კანონების შესაბამისად მღვდელმსახური, როგორც სასულიერო პირი, განუსაზღვრავს ზოგ მონანულ ქრისტიანს მის ზნეობრივ სენთაგან განსაკურნებლად. ეპიტიმიის სახეებია: განსაკუთრებით მკაცრი მარხვა, სინანულის ლოცვანი მეტანიების გარკვეულ რაოდენობასთან ერთად და სხვა. ძველი ეკლესიის პრაქტიკაში ეპიტიმიის ძირითადი სახე იყო გარკვეული დროით წმინდა საიდუმლოთა ზიარებისაგან განყენება.

ძველ ეკლესიაში არსებობდა საზოგადო სინანულის წესი „დაცემულთათვის“, რომლებმაც ვერ შეინარჩუნეს რწმენა დევნილობის დროს. ამ წესის თანახმად მონანულები ოთხ ჯგუფად ნაწილდებოდნენ:

ა) „მოტირალნი“ – მათ არ ჰქონდათ საზოგადო ღვთისმსახურებაზე დასწრების უფლება და ეკლესიის კარიბჭესთან განრთხმულნი ტირილით ევედრებოდნენ ტაძარში შემსვლელებს – მათზე ელოცათ;

ბ) „მსმენელნი“ – მათ ნება ეძლეოდათ კათაკმეველთა ლიტურგიის დასრულებამდე ტაძრის სტოაში მდგარიყვნენ;

გ) „მუხლმოდრეკილნი“ (შევრდომილნი) – ისინი შედიოდნენ საკუთრივ ტაძარში, მაგრამ ასევე არ მონაწილეობდნენ მართალთა ლიტურგიაში. წირვის შემდგომ მუხლმოდრეკით იღებდნენ მწყემსის დალოცვას;

დ) „თანამდგომნი“ – ისინი იდგნენ მართლებთან ერთად მთელი ლიტურგიის განმავლობაში, მაგრამ არ შეეძლოთ წმინდა საიდუმლოს ზიარება.

ეპიტიმია უწესდება მხოლოდ ზოგ მონანულ ქრისტიანს და არა ყველას. მათ, ვისაც ცოდვათა სიმძიმისა თუ სინანულის თავისებურებათა გამო ეს სულიერი საშუალებანი ესაჭიროებათ. ასეთი ხასიათის აკრძალვა დაადო პავლე მოციქულმა კორინთოს ქრისტიანთა შორის გამოჩენილ სისხლის აღმრევს, როდესაც მის გამოსასწორებლად ბრძანა მისი განგდება ეკლესიიდან და აუკრძალა მორწმუნეებთან ურთიერთობა: ***„მიცემად ეგევითარი იგი ეშმაკსა სატანჯველად ჴორცითა“*** (1 კორ. 5, 5); და მხოლოდ მისი გულწრფელი სინანულის შემდგომ ბრძანა, ისევ მიეღოთ საეკლესიო ერთობაში (იხ. 2 კორ. 2, 6-8).

ეპიტიმიები სასჯელის ხასიათს ატარებს, ოღონდ არა პირდაპირი გაგებით და არა „ცოდვათა ჩადენის გამო ღმერთის დასაკმაყოფილებლად“, როგორც რომაელი ღვთისმეტყველნი ასწავლიან. ეს არის გამოსასწორებელი, აღმზრდელობითი ქმედებანი. მათი მიზანია, გააღრმაოს წუხილი ჩადენილ ცოდვათა გამო და დაეხმაროს გამოსწორებაში. მოციქული ამბობს: ***„...ღმრთისა მიერი იგი მწუხარებაჲ სინანულსა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა ამის მწუხარება სიკუდილსა შეიქმს“*** (2 კორ. 7, 10). საეკლესიო კრებათა და წმინდა მამათა კანონები ადასტურებენ, რომ ძველად ეპიტიმიები სულიერი კურნების საშუალებად ითვლებოდა. ძველი მწყემსები მისი დადებისას იმაზე არ ზრუნავდნენ, რომ თითოეული ცოდვილი თავისი დანაშაულის ხარისხის შესაბამისად მეტნაკლებად სამართლიანად დაესაჯათ, რათა ჩადენილი ცოდვისთვის საღვთო სამართალი ჯეროვნად დაკმაყოფილებულიყო. მამები ითვალისწინებდნენ შესაფერისი სახით დადებული სასჯელის კეთილისმყოფელ გავლენას ცოდვილზე, საჭიროების მიხედვით ამცირებდნენ მას,

ამოკლებდნენ აკრძალვის ვადას, ან საესებით ხსნიდნენ. VI მსოფლიო საელესიო კრების 102-ე კანონი გვამცნობს: „ვინც ღვთისაგან მიიღო შეკრვისა და განხსნის უფლება, მართებთ, განიხილონ ცოდვის ხარისხი, შემცოდველის შემობრუნებისაკენ მზადყოფნა და ამისდა მიხედვით უმკურნალონ სენის შესაფერისად, რათა ამ და სხვა შემთხვევაში ზომიერება დავიცვათ და არ შევცდეთ სნეულის გადარჩენაში. ცოდვის სენი მარტივი არ არის, იგი განსხვავებული და მრავალფეროვანია, ამასთან იგი მრავალ მავნე ნერგს იძლევა; მათგან მიღებული დაზიანება კი ვითარდება და სულ უფრო და უფრო შორს მიდის, სანამ ექიმის ძალისხმევა არ შეაჩერებს“.[17]

აქედან ცხადია ეპიტიმიაზე კათოლიციზმის შეხედულების მიუღებლობა, რადგან ის იურიდიული ცნებებიდან გამომდინარეობს, სახელდობრ:

ა) ყოველი ცოდვა თუ მათი ჯამი უნდა ისჯებოდეს **ეკლესიურად**. თანაც არ ხდება გათვალისწინება, რომ ბევრჯერ თავად უბედურებანი გვევლინებიან ჩადენილი ცოდვებისათვის ბუნებრივ მისაგებლებად (მაგალითად, დაავადებანი). ხშირად შემცოდეს თვითონ შეუძლია იხილოს ცხოვრებაში **ღვთის სასჯელი** თავისი ცოდვებისათვის;

ბ) ეს სასჯელი შეიძლება მოიხსნას „ინდულგენციით“, რომლის წინასწარ გაცემაც კი შეიძლება (მაგალითად, საიუბილეო ზეიმებთან დაკავშირებით);

გ) ეკლესია, ანუ თავი მისი, რომის ეპისკოპოსი (პაპი), აძლევს ეპიტიმიას დაქვემდებარებულ პირებს ინდულგენციებს და მიაწერს „წმინდანთა დამსახურებებს“, რომელთაც ეგრეთ წოდებულ კეთილ საქმეთა ხაზინიდან იღებს.

დასავლური ეკლესიის ზოგი ძველი მასწავლებელიც უწოდებდა ეპიტიმიებს დაკმაყოფილებას (მხოლოდ ზნეობრივი გაგებით), ოღონდ მასში გულისხმობდნენ ცოდვიანობის უფრო ღრმად გააზრების, აღმზრდელობითი მიზნის მქონე და არა იურიდიული გამართლების საშუალებას.

გვმართებს, აღსარების საიდუმლოსგან განვასხვაოთ ზნეობრივი მოძღვრობა, რომელიც ოდითგან ფართოდ გამოიყენებოდა და დღეს განსაკუთრებით მონოზვნებშია მიღებული. ხშირად საამისო პირებს არ გააჩნიათ სამღვდელო ხარისხი, მაგრამ აკისრიათ მოვალეობა – დამოძღვრონ თავიანთი სულიერი შვილები. საქმე ის არის, რომ ზნეობრივ აღზრდაში სულიერ ხელმძღვანელთან ფიქრებისა და ქცევების აღიარებას აქვს უზარმაზარი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა მავნე მიდრეკილებათა და ჩვევათა გამოსასწორებლად, ორჭოფობისა და გაუბედაობის დასაძლევად და სხვა. მაგრამ ამგვარ მოძღვრობას არ გააჩნია საიდუმლოს დატვირთვა, ანუ მღვდელმოქმედების მადლმოსილება.

ᲛᲦᲕᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

ეკლესიაში მწყემსთა მსახურებაზე ვისაუბრეთ თავში „საეკლესიო იერარქია“. ნაჩვენები იყო, რომ იერარქია ეკლესიაში თავად უფალმა იესო ქრისტემ დაადგინა და იგი განუყოფელია ეკლესიის არსებობისაგან. მოციქულთა ეპოქაში მან სამხარისხიანი ორგანიზაციის სახე მიიღო.

მაგრამ ეკლესიაში იერარქიული მსახურება (განსაკუთრებით ეპისკოპოსისა და მღვდლის) არის განსაკუთრებული, სრულიად გამორჩეული და **მადლმოსილი**. იგი არის ღვთის სამწყსოს მწყემსობა, რომლის უმაღლესი მაგალითი უფალმა გვიჩვენა ამქვეყნად თავისი მსახურების დროს: ***„მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი ოვი, და მიციან ჩემთა მათ. ...მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“***(იოანე, 10, 14, 11). მღვდლობა არის უფლის წინაშე არა ოდენ საკუთარი თავისთვის, არამედ ხალხისათვის ლოცვით წარდგომა; ზეციური სამეფოს მისაღწევ გზაზე შედგომილ ადამიანთა სულების დამოძღვრა. მღვდელმსახური საღვთო ლიტურგიაზე მთელი ხალხის სახელით სწირავს უსისხლო მსხვერპლს. თუკი ჩვენ თითოეული კეთილი საქმისათვის ღვთისგან კურთხევასა და მის შემწეობას გამოვითხოვთ, მაშინ ნუთუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ მაღალ და საპასუხისმგებლო სამწყემსო მსახურებაზე შედგომა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაგრძელდეს, მოხდეს საღვთო მადლის მოუხმობლად, რომელიც აკურთხებს ამ ღვაწლს, შეეწევა და განამტკიცებს მომავალ მოძღვარს?! და ეს კურთხევაც სრულდება. იგი წმინდა ძრწოლით მიახლებულ მღვდელმსახურობის მიმღებზე გადმოდის მღვდლობის საიდუმლოს აღსრულებით – ეპისკოპოსის ხელდასხმით (რომელიც თავად მემკვიდრეობით ატარებს მღვდლობის მადლს) და ღვთისმსახურებაზე დამსწრე მღვდელმსახურთა კრებისა და მრევლის ლოცვით. მას აგრეთვე ეწოდება **ქიროტონიის** საიდუმლო (ბერძნ. χειροτονία – ზედმიწევნით: სახალხო კრებაზე ხმის მიცემა ხელის აწევით, არჩევა, კენჭისყრა). *„ვილოცოთ, რაითა დაემკვიდროს მის თანა მადლმან ყოვლადწმიდისა სულისამან“* – აცხადებს უპირატესი ეპისკოპოსი.

წმინდა წერილი პირდაპირ მიუთითებს, რომ მღვდლობის ხარისხში დადგინება არის განსაკუთრებულ მადლმოსილ, საიდუმლო ნიჭთან ზიარება, რომლის გარეშეც ეს მსახურება ვერ შესრულდება.

ᲥᲘᲠᲝᲢᲝᲜᲘᲐ ᲫᲕᲔᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ

„საქმენი მოციქულთა“-ს მიხედვით მოციქულებმა, რომლებიც ყოველთვის მოქმედებდნენ იესო ქრისტეს რჩევებითა და სულიწმიდის შთაგონებით, საჭიროდ მიიჩნიეს, ეკლესიაში **დიაკვნები** დაედგინათ. თავიდან ისინი უნდა მომსახურებოდნენ ჩვეულებრივ ტრაპეზს, მოგვიანებით კი თავად

მოციქულთა დასახმარებლად – უფლის ტრაპეზს. თავდაპირველად მოციქულებმა მოწაფეთა თავყრილობას შესთავაზეს მათ შორის ამოერჩიათ შვიდი მართალი, სულიწმიდითა და სიბრძნით აღვსილი მამაკაცი; როდესაც არჩეულები წარდგნენ მათ წინაშე, მოციქულებმა ***„...ილოცეს, და დაასხნეს მათ ზედა კელნი მათნი“*** (საქმ. 6, 2-6). აქ სრულიად გარკვევით არის გამიჯნული ორი განსხვავებული აქტი: დიაკვნის მსახურებისათვის ცნობილ პირთა შერჩევა და მათი ლოცვითი ხელდასხმა. შერჩევა ჩვეულებრივი ადამიანის საქმეა, ხელდასხმა კი ამისთვის აუცილებელი მღვდელმოქმედებითა და საღვთო მადლის შეწევნით სრულდება.

წიგნში „საქმენი მოციქულთა“ ვპოულობთ აგრეთვე მითითებებს ხელდასხმის, როგორც მღვდელმოქმედების, შესახებ, რომლითაც ადგენდნენ **პრესვიტერებსაც** მთავარი ეკლესიისთვის. ლუკა მოციქული მოგვითხრობს, თუ პავლე და ბარნაბა მოციქულებმა როგორ განვლეს ქადაგებით მცირე აზიის ქალაქები: დერვია, ლისტრა, იკონია და ანტიოქია და გაამრავლეს მათი ქრისტიანების რაოდენობა: ***„და უკურთხნეს*** (χειροτονησαντες) ***მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი, და ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს იგინი უფალსა, რომლისაცა მიმართ ჰრწმენა“*** (საქმ. 14, 23). აქ ხელდასხმაში, ერთი მხრივ, იგულისხმება საყოველთაოდ ცნობილი მღვდელმოქმედება, რითაც ადგინებდნენ პრესვიტერებს ამა თუ იმ ეკლესიაში და, მეორე მხრივ, ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობაც, რადგან მას თვითონ პავლე და ბარნაბა მოციქულები აღასრულებდნენ. ცხადია, ეს დადგინება მარტოოდენ რიტუალი თუ ნიშანი კი არა, განსაკუთრებულ ნიჭთან ზიარება იყო. ზუსტად ეს დაადასტურა მოგვიანებით თავად პავლე მოციქულმა ეფესოს ეკლესიის პრესვიტერებთან გამოსათხოვარ საუბარში: ***„ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა*** (ანუ დაგადგინეს სამოციქულო ხელდასხმით, როგორც ეს ზემომოყვანილი ტექსტიდან ჩანს – საქმ. 14, 23) ***მოღუაწედ და მწყსად ეკლესიისა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსისა“*** (საქმ. 20, 28).

დასასრულ, პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში ტიმოთესადმი პირდაპირ და აშკარად მიუთითებს ხელდასხმაზე, როგორც მადლმოსილ მღვდელმოქმედებაზე, რითაც ადგინებდნენ **ეპისკოპოსებს**. ეფესოს ეკლესიის ეპისკოპოს ტიმოთესადმი პირველ ეპისტოლეში მოციქული წერს: ***„ნუ უდებ-ჰყოფ, რომელ-ეგე არს შენ თანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინაწარმეტყველებითა, დასხმითა კელთა ხუცობისათა“*** (1 ტიმ. 4, 14); მისდამი მეორე ეპისტოლეში კი ნათქვამია: ***„...მოგახსენებ შენ განცხოველებად მკურვალედ მადლსა მას ღმრთისასა, რომელ არს შენ თანა დასხმითა კელთა ჩემთაჲთა“***(2 ტიმ. 1, 6). ამ ფრაგმენტების ურთიერთშედარებით ჩანს, რომ ტიმოთეს ხელნი დაასხეს „ხუცობამ“ და თავად პავლე მოციქულმა (ანუ უხუცეს მღვდელმსახურთა

კრებამ პავლე მოციქულის წინამძღვრობით); აგრეთვე ვიგებთ, რომ გადაცემული საღვთო ნიჭი ტიმოთეში სამარადისოდ მკვიდრდება, როგორც მისი საკუთრება. ამასთან მას მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვება – არ უდებ-ჰყოს და განაცხოველოს იგი. აქ რომ ეპისკოპოსთა ხელდასხმა იგულისხმება და არა სხვა რამ, ამას სავსებით ადასტურებს შემდგომი დარიგებანი ტიმოთესადმი: მათში ჩანს, რომ ტიმოთე უფლებამოსილია, ხელნი დაასხას სხვებს (იხ. 1 ტიმ. 5, 22); აკვირდებოდეს მის განმგებლობაში მყოფ პრესვიტერებს (იხ. 1 ტიმ. 5, 17, 19) და საერთოდ იყოს მნე ***„...სახლსა შინა ღმრთისასა ... რომელ არს ეკლესიად ღმრთისა ცხოველისად“*** (1 ტიმ. 3, 15).

გამორჩევა და დადგინება ძველ ეკლესიაში

ზემოთქმულს ასეთ უეჭველ დასკვნამდე მივყავართ: ქრისტეს ნებითა და მოციქულთა მიერ დადგინდა სამი იერარქიული ხარისხი. ამ ხარისხებში ასაყვანად დაწესდა ხელდასხმა, რითაც გამორჩეულ პირებს ნამდვილად გადაეცემოდათ მსახურებისათვის აუცილებელი საღვთო მადლი. თავისთავად გასაგებია, რომ მოციქულთა მემკვიდრე ეპისკოპოსებს მართებდათ, ზუსტად აღესრულებინათ მოციქულთა მიერ დაწესებული ხელდასხმით დადგინება და მისთვის ისეთივე ამაღლებული მნიშვნელობა და შინაარსი მიეცათ, როგორიც მოციქულთაგან მოსდევდა.

და ეკლესიაში შემდგომაც ეს ნამდვილად ასე იყო.

მთავარ ეკლესიაში მღვდლობის ხარისხში დადგინება ხდებოდა საეკლესიო საზოგადოებისა და ადგილობრივი ეკლესიის თანხმობით შემდგარი საერთო არჩევის შედეგად; მაგრამ თვითონ ეს „დადგინება“ ამ შეთანხმებისა და გამორჩევისაგან სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებული აქტი იყო. მას ასრულებდნენ მოციქულთა თანაბარი უფლებებით აღჭურვილი მათი მემკვიდრე პირები. ასეთები იყვნენ და რჩებიან ეპისკოპოსები. ამის ადრეული დადასტურებაა **წმინდა ირინეოსის** (II საუკუნე) სიტყვები: „გვმართებს, დავემორჩილოთ პრესვიტერებს (აქ: „უხუცესებს“ ეკლესიაში, ანუ ეპისკოპოსებს) – მათ, ვინც ეკლესიაშია და, როგორც ვაჩვენეთ, მოციქულთაგან აქვთ მიღებული მემკვიდრეობა. მამა ღმერთის კურთხევით მათ, **ეპისკოპოსობის** კურთხევასთან ერთად, ჭეშმარიტების მართალი ნიჭი მიიღეს“.[18] გამოთქმა – „ეპისკოპოსობის მემკვიდრეობასთან ერთად ჭეშმარიტების მართალი ნიჭი მიიღეს“ – უეჭველია მიანიშნებს **დადგინებისას მიღებულ მადლმოსილ ნიჭზე**. მსგავს თვალსაზრისს ვხვდებით ტერტულიანესთანაც. წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელის (III საუკუნე) ნაშრომში „სტრომატები“ უკვე გარკვევით არის მითითებული, რომ „გამორჩევა“ ჯერ კიდევ არ არის ის, რაც ხელდასხმით დადგინებისას მიიღება. ქრისტემ გამოირჩია მოციქულები, რომელთა რიცხვში იუდაც იყო, მაგრამ ეს არ

ყოფილა იმ „დადგინების“ ტოლფასი, რომელიც მოციქულებმა მოგვიანებით მიიღეს, როდესაც ქრისტემ მათ სული შეჰბერა. (შდრ. იოანე, 20, 22). გარკვეულ პირთა გამორჩევა მღვდლობისათვის ადამიანებს ეხება, მათი ხელდასხმა კი ღვთის საქმეა და არა კაცისა. „მოციქულთა კანონები“ გვამცნობენ: „ეპისკოპოსი დაადგინოს ორმა ან სამმა ეპისკოპოსმა; პრესვიტერი, დიაკონი და სხვანი, სამღვდელო დასიდან, – ერთმა ეპისკოპოსმა“ (1 და მე-2 კანონები). აქვე წესდება ქიროტონიის (ხელდასხმის) **განუმეორებლობა**: „თუ ეპისკოპოსმა, პრესვიტერმა, დიაკონმა ვინმესგან მეორედ მიიღოს ხელდასხმა, განიკვეთოს სამღვდელო ხარისხიდან ისიც და ხელდამსხმელიც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სარწმუნოდ გახდება ცნობილი, რომ ხელდასხმა მწვალებლებისგან მიიღო“ (68-ე კანონი). ამრიგად, ქიროტონიით გადაცემული მღვდლობის მადლი ნათლისღებით მიღებული მადლივით უცვალებელი და წარუხოცელია, მაგრამ იგი ნათლისღებითა და მირონცხებით მიღებული მადლისაგან განსხვავებულია და განსაკუთრებული.

საიდუმლოს არსი და მისი აღსრულების სიტყვები

ამრიგად, მღვდლობის საიდუმლო არის ისეთი მღვდელმოქმედება, რომლის დროსაც ეპისკოპოსის ლოცვითა და რჩეულის თავზე ხელთა დასხმით ამ უკანასკნელზე გადმოდის საღვთო მადლი, რაც განწმედს და დაადგენს მას საეკლესიო იერარქიის გარკვეულ ხარისხში და შემდგომში შეეწევა იერარქიულ მოვალეობათა შესრულებაში. ქიროტონიის ლოცვა ასე იკითხება: *„საღვთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებასა ჩუენსა ჰკურნებს და ნაკლულევანებასა ჩუენსა აღავსებს, განაჩინებს ღმრთისმოშიშსა (სახელი) დიაკონსა მღდელად (ან იპოდიაკონსა დიაკონად), ვილოცოთ, რაითა დაემკვიდროს მის თანა მადლმან ყოვლადწმიდისა სულისამან“.*

ქიროტონიის საიდუმლო ყოველთვის საღვთო ლიტურგიაში არის ჩართული. ქიროტონიის საიდუმლოსაგან განსხვავებით, კლირიკოსის (მედავითნე, იპოდიაკონი) დაბალ ხარისხში დადგინების ლოცვით კურთხევას ეწოდება „ქიროტესია“ („ქიროტესია“ წმინდად ქრისტიანული, გვიანდელი წარმოშობის ბერძნული სიტყვაა).

ეპისკოპოსთა უქორწინებლობა

ეპისკოპოსთათვის არსებობს უქორწინებლობის ვალდებულება. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ამგვარი მოთხოვნა აუცილებელი არ ყოფილა, მაგრამ მოციქულთა ეპოქიდანვე ეპისკოპოსებს ნება დაერთოთ თავშეკავების ღვაწლის აღსასრულებლად თავი აერიდებინათ ქორწინებისათვის. ეს ჩვეულება შემდგომ განმტკიცდა და VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა კიდეც. რაც შეეხებათ მღვდლებსა და დიაკვნებს, აქ ეკლესიამ

გადაწყვიტა, მათთვის არ დაეკისრებინა ასეთი ტვირთის ტარების აუცილებლობა და, ძველი წესის თანახმად, მღვდელმსახურს ქიროტონიის შემდგომ დაქორწინება აუკრძალა, მაგრამ ბუნებრივად და ნორმალურად მიიჩნია, მღვდლობის საიდუმლოში მონაწილეობისთვის დაეშვა უკვე ქორწინებით შეკრული პირნი. არ შეიძლებოდა მეორედ ქორწინებულის ხელდასხმა. რომის ეკლესიამ IV-VI საუკუნეებში დაიწყო მღვდლებისა და დიაკვნების უქორწინებლობის შემოღება. ეს სიახლე უკუაგდო VI მსოფლიო კრებამ, მაგრამ რომის პაპებმა ეს აკრძალვა უყურადღებოდ დატოვეს.

პროტესტანტებმა უარყვეს მღვდლობა, როგორც „საიდუმლო“. მათ პასტორებს ირჩევს და ადგენს ხალხი. ისინი არ იღებენ რაიმე განსაკურებულ მადლმოსილ კურთხევას და ამ გაგებით არ განსხვავდებიან მათი თემის რიგითი წევრებისაგან. ისტორიულად ეს აიხსნება შუა საუკუნეების ბოლოს ლათინთა სასულიერო პირების მიერ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ არსებული დაპირისპირებით. პროტესტანტები, თეორიულად რომ გაამართლონ თავიანთი შეხედულება, იშველიებენ ფაქტს, რომლის თანახმადაც მღვდლობაში დადგინებას მუდმივი სახელი „საიდუმლო“ მხოლოდ მოგვიანებით ეწოდა. მაგრამ, რასაკვირველია, ამგვარ თავისმართლებას ფასი არ აქვს: მოციქულთა სწავლებიდან და საქმეებიდან ვხედავთ და, აგრეთვე, ეკლესიაში მუდამ არსებული რწმენის თანახმად ვიცით, რომ ქიროტონია იმთავითვე იყო საიდუმლო-მადლმოსილების მქონე მღვდელმოქმედება. ამიტომ მის შედარებით გვიანდელ სახელდებას „საიდუმლო“ ახალი არაფერი შემოუტანია. მხოლოდ უფრო დააზუსტა და ერთი სიტყვით გამოხატა მისი შინაარსი. მსგავსი მაგალითია ტერმინ „ერთარსის“ (ὁμοούσιος) მიღება I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. მას ახალი არაფერი შეუტანია ძველი ეკლესიის სწავლებაში ძე ღვთისას ღვთაებრიობაზე, მხოლოდ უფრო ზედმიწევნით განსაზღვრა იგი და დაამტკიცა. სამწუხაროდ, პროტესტანტული სწავლება იცავს და ჯიუტად, მაგრამ არადამაჯერებლად, აგრძელებს თავის ცრუ პოზიციას: თავად ქრისტიანულ საიდუმლოთა ცნებას იგი წარმართული მისტერიების პრაქტიკიდან შემოსულად მიიჩნევს.

ქორწინების საიდუმლო

ქრისტიანული ოჯახის დანიშნულება

ცნობილია, რომ ოჯახი საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითადი შემადგენელი უჯრედი და მისი საყრდენია. იგი ქრისტეს მებრძოლ ეკლესიაშიც, აგრეთვე, წარმოადგენს მისი სხეულის ძირითად ერთეულს. ამიტომ არის, რომ თვითონ ქრისტიანული ოჯახი მოციქულთა ეპისტოლეებში „ეკლესიად“ იხსენიება: ***„კითხვაჲ არქუთ პრისკილას და აკჲლას, თანა-შემწეთა***

ჩემთა ქრისტე იესუჲს მიერ, ...არამედ ყოველნი ეკლესიანი წარმართთანი, და სახლად-სახლად კრებულნი მათნი...“ (რომ. 16, 3-5); ***„კითხვა არქუთ ... ნუმფას და ... სახლისა მათისა კრებულთა“***(კოლ. 4, 15). გასაგებია, თუ რა დიდი ყურადღების მიქცევა მართებს ოჯახს საეკლესიო თვალსაზრისით, რათა მან თავისი დანიშნულება შეასრულოს, იყოს „მცირე ეკლესია“.

არსებობს პირადი ცხოვრების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც ქრისტიანობა აკურთხებს. ეს არის ქალწულობა ან უქორწინებლობა. ქრისტესათვის უქორწინებლობამ შექმნა სხვა სახის საეკლესიო-საზოგადოებრივი ქრისტიანული ერთეული – მონოზვნობა, ანუ ბერობა, რომელსაც ეკლესია ქორწინებით ცხოვრებაზე მაღლა აყენებს. ეკლესიის ისტორიაში იგი ჭეშმარიტად მის წამყვან, ხელმძღვანელ და საყრდენ ფენას წარმოადგენს. მონოზვნობა უმაღლესი ხარისხით ახორციელებს და იცავს სახარებისეულ ზნეობრივ კანონებს, ეკლესიის დოგმატურ, საღვთისმსახურო და სხვა წესებს. მაგრამ ყველას არ შეუძლია იტვირთოს ქალწულობა ქრისტესა და ეკლესიისთვის. ამიტომ ეკლესია აკურთხებს ქალწულობას, როგორც ცხოვრების გამორჩეულსა და სრულყოფილ წესს, მაგრამ ამასთანავე ლოცავს ქორწინებასაც, რადგან მხედველობაში იღებს იმ მაღალ და, იმავდროულად, რთულ ამოცანებს, რომლებიც ქრისტიანულმა ოჯახმა უნდა გადაწყვიტოს. ეკლესია ამ კურთხევას განიხილავს, როგორც საიდუმლოს.

საიდუმლოს მნიშვნელობა

ქორწინების საიდუმლოში ეკლესია ღმერთს სთხოვს შემწეობას მომავალ მეუღლეთათვის, რათა მათ შეიგნონ, გადაწყვიტონ და აღასრულონ სამომავლოდ დასახული ამოცანები, ააშენონ „სახლში ეკლესია“; დაამყარონ ჭეშმარიტად ქრისტიანული ურთიერთობანი; გაზარდონ ბავშვები რწმენით; იცხოვრონ სახარებისეული მცნებებით; იყვნენ გარშემო მყოფთათვის სამაგალითო კეთილმსახურნი; მოთმინებითა და თავმდაბლად გაუძლონ იმ გარდაუვალ განსაცდელებსა და ზოგჯერ ტანჯვასაც, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას ახლავს ხოლმე.

საიდუმლოს მთავარი მომენტი

ქრისტიანული ოჯახის არსებობა იწყება ჯვრისწერის მღვდელმოქმედებით. საიდუმლოს ტიპიკონის მთავარი ნაწილი არის გვირგვინის დადგმა მომავალ მეუღლეებზე სიტყვებით: *„გვირგვინოსან იქმნების მონა ღვთისა...და მხევალი ღვთისა... (გვირგვინოსან იქმნების მხევალი ღვთისა... და მონა ღვთისა) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.* მას მოსდევს მათი საერთო დალოცვა, როდესაც სამჯერ წარმოითქმება: *„უფალო ღმერთო ჩუენო, რამეთუ დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ ესენი“.*

ქორწინება, როგორც ღვთის მიერ დადგენილი

წმინდა წერილში არაერთგზის წერია, რომ ქორწინებას აკურთხებს ღმერთი: ***„და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსად და ხატად ღმრთისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი. და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: „...აღორძნდით და განმრავლდით...“*** (დაბ. 1, 27, 28).

შესაქმისაღმწერი მოგვითხრობს ადამის ნეკნიდან დედაკაცის შექმნის შესახებ, მამაკაცთან მის მიყვანაზე და დასძენს: ***„ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედათჳისი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც...“*** (დაბ. 2, 24, 25). თავად მაცხოვარმა დაგვიდო მცნებად ქორწინების ერთგულების დაცვა და აკრძალა განქორწინება. იგი შეგვახსენებს დაბადების წიგნის ამ სიტყვებს და გვმოძღვრავს: ***„... რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებს“*** (მათე, 19, 6); უფლის ეს სიტყვები თვალნათლივ ადასტურებენ ქორწინების ზნეობრივ ღირსებას. უფალმა იესო ქრისტემ გალილეას კანაში თავისი მისვლით აკურთხა ქორწინება და იქვე მოახდინა პირველი სასწაული. პავლე მოციქული ეკლესიის საიდუმლო ხასიათს ქორწინებას ადარებს: ***„ქმართა გიყუარდედ ცოლნი თჲსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს, ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც. საიდუმლოჲ ესე დიდი არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესათჳს და ეკლესიისა“***(ეფ. 5, 25, 31, 32). უფრო დაწვრილებით პავლე მოციქული ლაპარაკობს ქორწინებასა და ქალწულობაზე (იხ. 1 კორ. 7); იგი ქორწინებაზე მაღლა ქალწულობას აყენებს, მაგრამ ქორწინებასაც არ კიცხავს. ამასთან, მცნებას გვაძლევს, დავიცვათ ის სხვა რჯულის ადამიანებთანაც კი, და არ გვირჩევს განქორწინებას, რადგან იმედი უნდა ვიქონიოთ მეუღლის რწმენაში მოქცევისა. ქალწულობაში დარჩენის განზრახვის უპირატესობის მითითების შემდგომ დაასკვნის: რომ დაქორწინებულებმა ***„...ჰპირი ჴორცთაჲ თავს-იდვიან ეგევითართა მათ; ხოლო მე თქუენ გერიდები“***(1 კორ. 7, 28).

ეკლესია ყურადღებას ამახვილებს ჯვრისწერის ქრისტიანულ შინაარსზე და კრძალავს ურწმუნოებთან (IV და VI მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონები) და მწვალებლებთან ქორწინებას.

ქორწინების დაშრღვევლობა

ეკლესია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იძლევა თანხმობას – დაირღვეს ქორწინება. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც ქორწინება უკვე მრუშობით შეიბილწა, ანდა ცხოვრებისეულ გარემოებათა გამო დაირღვა (როცა ერთ-ერთი მათგანი უგზოუკვლოდ არის დაკარგული მრავალი წლის განმავლობაში). ქმრის ან ცოლის დაკარგვის შემთხვევაში ეკლესიის

მიერ დაშვებულია მეორე ქორწინება; ასეთ ჯვარდაწერილთათვის მეორედ ქორწინების ცოდვის მიტევების გამოთხოვა ლოცვებით ხდება. მესამე ქორწინება შეიწყნარება, როგორც უმცირესი ბოროტება უდიდესის – სიძვის თავიდან ასაცილებლად (წმინდა ბასილი დიდის განმარტება).

ზეთის კურთხევის საიდუმლო

საიდუმლოს არსი

ზეთის კურთხევის საიდუმლო არის მღვდელმოქმედება, როდესაც სნეულის სხეულზე ზეთის ცხებით ხდება საღვთო მადლის მოხმობა სულიერ და ხორციელ უძლურებათა განსაკურნებლად.[19] მას აგრეთვე ეწოდება „Соборование“, რადგანაც იკურთხება შვიდი პრესვიტერისაგან შემდგარი კრების მიერ; მაგრამ იგი შეიძლება შეასრულოს მღვდელთა უფრო მცირერიცხოვანმა დასმა და ზოგჯერ ერთმა მღვდელმაც კი.

საიდუმლოს ღვთაებრივი დაწესება

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დროიდან ზეთი მადლის, სიხარულის, ლმობიერებისა და განცხოველების სიმბოლო იყო. როგორც მარკოზ მახარებელთან ვკითხულობთ, სნეულისათვის ზეთის ცხებას მოციქულები ასრულებდნენ: ***„და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“*** (მარკოზი, 6, 13).

ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესახებ ყველაზე აშკარა მტკიცებას იაკობ მოციქულთან ვხვდებით: ***„უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მოვე-ეტეოს მას“*** (იაკ. 5, 14, 15). მოციქული აქ კურნების რაიმე განსაკუთრებულ „ნიჭზე“ არ საუბრობს, იგი აღწერს გარკვეული ფორმის მღვდელმოქმედებას, რომელიც ეკლესიის ჩვეულებად უნდა დამკვიდრდეს. მოციქული მიიჩნევს, რომ ეკლესიის პრესვიტერთა მიერ მისი შესრულების, ლოცვისა და ცხების შედეგად ხდება ხორციელი სენის შემსუბუქება და ცოდვათა მიტევება. ასევე არ შეიძლება იაკობ მოციქულის მიერ მითითებული ზეთის ცხება ჩვეულებრივ სამკურნალო საშუალებად მივიღოთ (თუნდაც იმ დროისთვის), იმიტომ რომ ზეთი, მთელი თავისი კეთილმოქმედებითი უნარის მიუხედავად, არ არის ყველა დაავადების წამალი. მოციქულები თავისას არაფერს ადგენდნენ, ისინი ასწავლიდნენ მხოლოდ იმას, რაც უფალმა იესო ქრისტემ დაუდო მცნებად და სულიწმიდამ შთააგონა. ისინი თავისთავს საღვთო საიდუმლოთა „მნეებსა“ და

„ქრისტეს მსახურებს“ უწოდებდნენ და არა „დამადგინებლებს“. მაშასადამე, წმინდა იაკობ მოციქულის მიერ ნაანდერძევი ზეთის კურთხევაც ღვთის მიერ არის დადგენილი.

ძველ ქრისტიანულ ლიტერატურაში ზეთის კურთხევის საიდუმლოზე შეიძლება არაპირდაპირი მოწმობების მოძიება წმინდა ირინეოს ლიონელსა და ორიგენესთან. მოგვიანებით უფრო გარკვეული მონაცემები მოჰყავთ წმინდა ბასილი დიდსა და წმინდა იოანე ოქროპირს, რომლებმაც დაგვიტოვეს სნეულის განკურნების ლოცვები (მოგვიანებით ისინი ზეთის კურთხევის ტიპიკონში შეიტანეს) და, აგრეთვე, წმინდა კირილე ალექსანდრიელს. პაპი ინოკენტი I (V ს.) ზეთის კურთხევის საიდუმლოსთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხში მიუთითებდა:

ა) იგი უნდა შესრულდეს „მორწმუნე სნეულზე“;

ბ) მისი შესრულება შეუძლია, აგრეთვე, ეპისკოპოსს. რადგანაც არ შეიძლება მოციქულის სიტყვები: „მოუხმოს ხუცესთ“ ამ მღვდელმოქმედებაში ეპისკოპოსის მონაწილეობის აკრძალვად გავიგოთ;

გ) „საეკლესიო სინანულში მყოფს“ არ შეიძლება ცხების ნება დაერთოს, რადგანაც ეს არის საიდუმლო და „ვისაც ეკრძალება სხვა საიდუმლონი, როგორ შეიძლება მარტო ერთის ნება მიეცეს?!“

საიდუმლო სრულდება ავადმყოფებზე (შეიძლება ბავშვებზეც), რომლებსაც შეუძლიათ შეგნებულად მიიღონ იგი და მონაწილეობდნენ მათთვის ლოცვაში. ეს მღვდელმოქმედება შეიძლება შესრულდეს ტაძარში ან შენობაში, სადაც ავადმყოფი იმყოფება. ზეთისცხების საიდუმლოს, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს **აღსარება** და იგი მთავრდება ზიარების საიდუმლოთი.

საიდუმლოს ხილული მხარე გულისხმობს მასში მონაწილე მღვდელმსახურთაგან ავადმყოფისათვის ზეთის თანმიმდევრობით შვიდჯერ ცხებას. ისინი ზეთით გამოსახავენ ჯვარს სნეულის შუბლზე, ნესტოებზე, ლოყებზე, ბაგეებზე, მკერდსა და ხელის ორივე მხარეზე. ამას თან ახლავს ლოცვები, აგრეთვე სახარებიდან და სამოციქულოდან დაწესებული საკითხავების კითხვა. უშუალოდ ცხების დროს შვიდჯერ წარმოითქმის ლოცვა: *„მამაო წმინდაო, მკურნალო სულთა და ხორცთა ჩუენთაო, რომელმან მოავლინე მხოლოდშობილი ძე შენი და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ყოველთა სენთა მკურნალად და სიკუდილისაგან დამხსნელად, განკურნე მონა ესე შენი (სახელი)“* და ასე შემდეგ. ზეთის კურთხევის წესი იწყება ტროპარებისა და კანონის გალობით და სრულდება ცოდვათაგან განმხსნელი ლოცვით. დაუძლურებული სნეულისათვის ღვთის წინაშე შუამდგომლობს უფლის მსახურთა კრება და მთელი ეკლესიის სახელით ლოცვით შესთხოვს ყოვლად მოწყალე ღმერთს, მიანიჭოს ცოდვათა მიტევება უძლურს და გან-

წმინდოს მისი სინდისი ყოველგვარი ბიწისაგან. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ხორცითა და სულით დაუძლურებულ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია სათანადოდ აღიაროს ცოდვები. ზეთის კურთხევის მიმღებს რწმენის ლოცვის საშუალებით უმსუბუქდება სინდისი და გზა ეხსნება ხორციელი სენის მადლისმიერი კურნებისათვის.

ნებადართულია და ზოგჯერ პრაქტიკაშიც გამოიყენება ზეთის კურთხევის განსაკუთრებული წესი. იგი სრულდება ტაძარში ამისთვის დანიშნულ დღეს, ერთდროულად მრავალ ადამიანზე, სულიერი და ხორციელი უძლურებების საერთო კურნებისათვის. ოღონდ ეს წესი და ზეთის კურთხევის საიდუმლო ერთი და იგივე არ არის.

პროტესტანტებმა უკუაგდეს ზეთის კურთხევის საიდუმლო, თუმცა ლუთერი, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში, საღვთისმსახურო პრაქტიკაში მისი გამოყენების წინააღმდეგი არ ყოფილა. რომის ეკლესიაში ზეთის კურთხევის საიდუმლო დღევანდლამდე სრულდება მხოლოდ მძიმე სნეულთა განსამზადებლად სიკვდილისათვის. ამიტომ ეწოდება მას კათოლიკეებთან „უკანასკნელი ცხება“, სულთმობრძავთა საიდუმლო. ეს სწავლება გამოჩნდა რომის ეკლესიაში XII საუკუნიდან და აშკარად ეწინააღმდეგება იაკობ მოციქულის სიტყვებს. ძველთაგანვე მომაკვდავს ეკლესიაში **საგზლად** ქრისტეს სისხლისა და ხორცის წმინდა ზიარებას აძლევდნენ.

IX. ლოცვა

ლოცვა, როგორც ეკლესიის შიდა ცხოვრების გამოხატულება

ეკლესიის წევრთა სულიერი კავშირი ლოცვის დროს

ლოცვა არის ეკლესიის ცხოვრების, მისი წევრების ყოვლადწმიდა სამებასთან და ურთიერთშორის არსებული სულიერი კავშირების გამოვლინება. იგი იმდენად განუყოფელია სარწმუნოებისაგან, რომ მას ეკლესიის ჰაერი, მისი სუნთქვა შეიძლება ეწოდოს. ლოცვები ეკლესიის ცოცხალი სხეულის ქსოვილში ყველა მიმართულებით მიმავალი ძაფებია; ლოცვითი კავშირებით არის განმსჭვალული ეკლესიის მთელი სხეული, რომლის თითოეული ნაწილაკი ჩართულია საერთო ცხოვრებაში; ლოცვა განაცხოველებს და კვებავს ამ ნაწილებს, განწმენდს და განამტკიცებს (შდრ. ეფ. 4, 16). ლოცვა ეკლესიის წევრებს აერთიანებს ერთმანეთთან, თითოეულ მათგანს – ზეციერ მამასთან, ხოლო მიწიერი ეკლესიის წევრებს – ზეციურთან. ზეციურ სასუფეველში იგი არ წყდება, უფრო ძლიერდება და აღმატებული ხდება.

მთელ ახალ აღთქმას გასდევს **მოუკლებელი** ლოცვის მცნება: ***„მოუკლებელად ილოცევდით“*** (1 თეს. 5, 17); ***„ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა...“*** (ეფ. 6, 18); ***„ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მათა მარადის ლოცვაჲ და რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა“*** (ლუკა, 18, 1).

პირადი ლოცვის სრულყოფილი მაგალითი თავად უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა. მან ნიმუშად საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“ დატოვა. ლოცვა არის:

ა) ეკლესიის ცხოვრების ფორმა;

ბ) ეკლესიის საჭურველი ან სამოქმედო საშუალება;

გ) მისი აღმძვრელი ძალა.

ლოცვა არის საზოგადო და პირადი, სიტყვიერი (მასში შედის გალობაც) და გონებითი ანუ შინაგანი (გონებისა და გულისმიერი). ლოცვის შინაარსი შეიძლება იყოს ქება-დიდება, მადლობის აღვლენა, სინანულის გამოხატვა, ღვთის მოწყალების თხოვნა, ცოდვათა მიტევების ვედრება, სულიერ და ხორციელ, ზეციურ თუ ამქვეყნიურ სიკეთეთა მონიჭების გამოთხოვა. ღვთის წინაშე სინანული ხანდახან საკუთარ სულთან საუბრის ფორმას იძენს (ამის ხშირი მაგალითია კანონები).

ლოცვა შეიძლება თავისთვის და სხვათათვის. ურთიერთისადმი ლოცვით გამოიხატება ეკლესიის წევრთა შორის არსებული სიყვარული. რამეთუ, მოციქულის თანახმად, ***„სიყუარული არასადა დავარდების...“*** (1 კორ. 13, 8). არა მარტო მიწიერი წევრნი, მთელი ეკლესია ლოცულობს ერთმანეთისთვის: ქრისტიანული სიყვარულის კანონით სააქაოს მკვიდრნი ლოცულობენ მიცვალებულებზე, ანუ ამა სოფლიდან გასულ მოძმეებზე, რომელთაც ლოცვითი შემწეობა ესაჭიროებათ; დასასრულ, ჩვენ თვითონ მივმართავთ ზეციურ მკვიდრთ თხოვნით, ილოცონ ჩვენსა და ჩვენს მოძმეებზე. ზეციურის კავშირი ამქვეყნიურთან არის საფუძველი ანგელოზთა მხრიდან ჩვენზე ზრუნვისა და მათდამი მიმართული ჩვენი ლოცვებისა.

საღვთო წერილი გამუდმებით ადასტურებს სხვათათვის აღვლენილი ლოცვის ძალას. მაცხოვარი ეუბნებოდა პეტრე მოციქულს: ***„ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“*** (ლუკა, 22, 32). წმინდა პავლე მოციქული ხშირად სთხოვს ქრისტიანებს, ილოცონ მასზე: ***„...რამეთუ ვესავ, ვითარმედ ლოცვითა თქუენითა მიგემადლო თქუენ“*** (ფილიმ. 1, 22); ***„...ილოცევდით ჩუენთჳს, რაჲთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ რბიოდეს და იდიდებოდის, ვითარცა-იგი თქუენდა მიმართ“*** (2 თეს. 3, 1). შორეთში მყოფი მოციქული საზოგადო ლოცვით უერთდება თავის სულიერ ძმებს: ***„ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა და სიყუარულითა მით სულისაჲთა, თანა-მოღუაწე მექმნენით მე ლოცვათა შინა ჩემთჳს ღმრთისა მიმართ“*** (რომ. 15, 30). იაკობ მოციქული გვასწავლის: ***„აღუარებდით ურთიერთას ცოდვათა და ულოცევდით ერთი-ერთსა, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“*** (იაკ. 5, 16). წმინდა იოანე ღვთისმეტყველმა გამოცხადებაში იხილა, რომ ზეცაში უფლის საყდრის წინაშე მდგარი ოცდაოთხი მღვდელი ***„... დავარდეს წინაშე კრავისა მის. და აქუნდა თითოეულსა ათძალი და ლანკნანი ოქროჲსანი, სავსენი საკუმეველითა, რომელ არიან ლოცვანი წმიდათანი“*** (გამოცხ. 5, 8), ანუ დედამიწაზე აღავლენილ წმინდანთა ლოცვებს ზეციურ საყდარს უძღვნიდნენ.

ლოცვა მიცვალებულთათვის

„ულოცევდით ერთი-ერთს“ (იაკ. 5, 16).

„...გინა თუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და გინა თუ მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით...“ (რომ. 14, 8).

„სიყუარული არასადა დავარდების...“ (1 კორ. 13, 8).

„...რაჲცა ითხოვოთ საბელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა“ (იოანე, 14, 13).

ღმერთთან ყველა ცოცხალია. საეკლესიო ცხოვრებას განამტკიცებს ცოცხალი შეგნება და გრძნობა, რომ ჩვენი მიცვალებულები არაამქვეყნიური, განსხვავებული ფორმით, მაგრამ აგრძელებენ სიცოცხლეს სიკვდილის შემდგომ და არ ერთმევათ ამქვეყნად დარჩენილებთან სულიერი სიახლოვე. ამიტომ არ წყვეტს მიწიერი ეკლესია მათთან ლოცვით კავშირს: ***„...არცა სიკუდილმან, არცა ცხორებამან... ...შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესოჲს მიერ უფლისა ჩუენისა“*** (რომ. 8, 38, 39). ამა სოფლიდან გასულებს თავიანთ მოძმეთაგან ესაჭიროებათ მხოლოდ და მხოლოდ შემწეობა – ლოცვა მათი ცოდვების მისატევებლად. ***„და ესე არს განცხადებულებაჲ, რომელი მაქუს მისა მიმართ, რამეთუ უკუეთუ რაჲმე ვითხოოთ ნებისაებრ მისისა, ისმენს ჩუენსა. რაჲცა-იგი ვითხოოთ და უწყით, რამეთუ მოვიღოთ თხოვაჲ იგი, რომელი ვითხოვეთ მისგან. უკუეთუ ვინმე იხილოს ძმაჲ თჳსი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოვოს და მოსცეს მას ცხორებაჲ, რომელნი-იგი ცოდვიდენ არა სასიკუდინედ. არს ცოდვაჲ სასიკუდინე: არა მისთჳს ვიტყჳ, რაჲთა ითხოოს“*** (1 იოანე, 5, 14-16). ეკლესია მიჰყვება მოციქულის ამ შეგონებას და ლოცულობს ყველა თავის შვილზე, ვინც გულწრფელ მონანულად აღესრულა. ეკლესია ლოცულობს მათზე, როგორც ცოცხლებზე, მოციქულის სიტყვების თანახმად: ***„რამეთუ გინა თუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და გინა თუ მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით; გინა თუ უფლისანი ვართ. რამეთუ ამისთჳსცა ქრისტე მოკუდა და აღდგა და ცხონდა, რაჲთა მკუდართაცა და ცხოველთაცა ზედა უფლებდეს“*** (რომ. 14, 8, 9). ლოცვის ღირსნი ვერ გახდებიან მოუნანიებელი ცოდვით გარდაცვლილნი, რომლებიც ეკლესიის გარეთ იყვნენ; ეს იოანე მოციქულის ზემომოყვანილი სიტყვებიდანაც ჩანს: ***„არა მისთჳს ვიტყჳ, რაჲთა ითხოოს“***, რამეთუ ასეთი ლოცვები უმიზნო იქნებოდა.

ძველი აღთქმის ეკლესიაშიც არსებობდა მიცვალებულთათვის ლოცვის წესი. ამას წმინდა ისტორია ადასტურებს; მაგალითად, იუდეველთა კეთილმსახური მეთაურის იუდა მაკაბელის დროს, როდესაც ბრძოლის ველზე დაცემულთ ათვალიერებდნენ, მათ სამოსში იპოვეს საკერპო ძღვენი. მაშინ იუდეველებმა განადიდეს უფალი, „რომელმაც დაფარული განუცხადა მათ,“ დაიწყეს ლოცვა, ევედრებოდნენ ღმერთს, სრულად მიეტევებინა მათთვის ეს შეცოდება. ხოლო იუდა მაკაბელმა გაგზავნა კაცნი იერუსალიმში, რათა ***„ჩადენილი ცოდვის გამო მსხვერპლი შეეწირათ. მოიქცა მეტად ღირსეულად და პატივისცემით, რამეთუ აღდგომაზე ფიქრობდა“*** (2 მაკაბ. 12, 39-45).

შემცოდეს შეიძლება **მიეტეოს** არამომაკვდინებელი ცოდვები როგორც ამ ცხოვრებაში, ისე სიკვდილის შემდგომაც. ეს თავად უფლის სიტყვებიდან ჩანს: ***„...რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისათჳს, მიეტეოს მას;***

ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“ (მათე, 12, 32). საღვთო წერილიდან ვიცით, რომ უფალ იესოს აქვს კლიტენი ***„...სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი“*** (გამოცხ. 1, 18) და, მაშასადამე, ეკლესიის ლოცვითა და შეწირული უსისხლო მსხვერპლის ლმობიერმყოფი ძალით მას შეუძლია მიცვალებულთათვის ჯოჯოხეთის დახშული კარის გახსნა.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ძველი ქრისტიანული ეკლესიის ყველა ლიტურგია ადასტურებს, რომ ეკლესიაში არსებობს ხსოვნითი ლოცვა მიცვალებულებისადმი. ასეთებია უფლის ძმის, წმინდა იაკობ მოციქულის, წმინდა ბასილი დიდის, წმინდა იოანე ოქროპირისა და წმინდა გრიგოლ დიოლოგოსის სახელებით ცნობილი ლიტურგიები; აგრეთვე რომაული, ესპანური, გალიური და, ბოლოს, მართლმადიდებლობიდან განხეთქილებაში გასული სექტების: იაკობინელების, კოპტების, სომხების, ეთიოპიელების, სირიელებისა და სხვათა ძველი ლიტურგიები. მთელი ამ სიმრავლის მიუხედავად, ერთიც არ მოიძებნება, სადაც არ იყოს მიცვალებულთათვის ლოცვები. ამასვე ამოწმებენ ეკლესიის მამები და მასწავლებლები.

ეკლესია ლოცულობს მიცვალებულებზეც და ცოცხლებზეც, იგი მათზე შუამდგომლობს არა საკუთარი, არამედ უფალი იესო ქრისტეს სახელით (შდრ. იოანე, 14, 13, 14) და მის მიერ ყველას გამოსახსნელად ჯვარზე გაღებული მსხვერპლის ძალით. ამ ცხოველი ლოცვებისა და საღვთო მოწყალების შემწეობით ჩვენს ამქვეყნიდან გასულ მოყვასში ჩათესილი „ახალი ცხოვრების“ თესლი, რომელმაც ამა სოფლად აღმოცენება ვერ მოასწრო, თანდათანობით ღვივდება და იზრდება, როგორც მზის ცხოველმყოფელ სხივებქვეშ და კეთილშეზავებულ ჰაერზე ვითარდება მიწაში თესლი კეთილი. მაგრამ შეუძლებელია, რაიმე აღმოცენდეს დამპალი თესლიდან, რომელმაც დაკარგა ზრდის სასიცოცხლო საწყისი. ასეთ შემთხვევაში უკეთურ და მოუნანიებლად გარდაცვლილთათვის ლოცვას ძალა არ გააჩნია, ისინი ხომ საკუთარ თავში სულის დამავსებელნი არიან (შდრ. 1 თეს. 5, 19). ზუსტად ასეთ ცოდვილებს ეხება მაცხოვრის სიტყვები მდიდრისა და ლაზარეს იგავიდან: ისინი ვერ დააღწევენ თავს ჯოჯოხეთის ყველაზე ბნელ ნაწილს და ვერ გადავლენ აბრაამის წიაღში (შდრ. ლუკა, 16, 27). ჩვეულებრივ, ასეთი პირები თავის შემდგომად არც ტოვებენ ღვთისადმი მათზე გულწრფელად მლოცველებს; მათ არც მეგობრები შეუძენიათ ზეცაში, წმინდანთა შორის, რომლებსაც შეეძლოთ დაგლახაკებისა და სიკვდილის შემდგომ მათი შეწყნარება ***„...საუკუნეთა მათ საყოფელთა“*** (ლუკა, 16, 9), ანუ მათზე ლოცვა.

რასაკვირველია, ამქვეყნად ჩვენთვის უცნობია, თუ რა ხვედრი ელის თითოეულს სიკვდილის შემდგომ, მაგრამ სიყვარულით ლოცვა ფუჭი არასოდეს იქნება. თუ ჩვენი მიცვალებული მოყვასნი ღირსნი შეიქნენ ზეციური

სასუფევლისა, მაშინ მათდამი ლოცვებს ჩვენზე ლოცვითვე უპასუხებენ. თუკი ჩვენი ლოცვები უძლური იქნება, მათ შეეწიოს, ყოველ შემთხვევაში, ისინი ჩვენ არას გვავნებენ, ფსალმუნთმგალობლის სიტყვებით: ***„ლოცვაჲ ჩემი წიაღადვე ჩემდა მოიქცეს“*** (ფს. 34, 13); მაცხოვარმა კი ბრძანა: ***„... მშჳდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ“*** (მათე, 10, 13). პირიქით, სასარგებლონი არიან. **ღირსი იოანე დამასკელი** შენიშნავს: „თუ ვინმეს სურს, სნეულს მირონი ან სხვა წმინდა ზეთი სცხოს, ჯერ თვითონვე ხდება ცხების თანაზიარი, ანუ მცხებელი და, მხოლოდ შემდეგ სცხებს სნეულს. ასეა ყველა, ვინც იღვწის მოყვასის გადასარჩენად, თავიდან სარგებელს თვითონ იღებს და შემდეგ მოაქვს იგი მოყვასისათვის. რამეთუ ღვთის მოციქულის სიტყვებით, ღმერთი არ არის უსამართლო, რათა დაივიწყოს საქმენი“.

ᲚᲝᲪᲕᲘᲗᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ

ეკლესია ლოცულობს ყველაზე, ვინც რწმენით აღესრულა და მათი ცოდვების მიტევებას ითხოვს. რადგან არავინ არის, ვინც არა სცოდა „ერთ დღესაც კი ამქვეყნად ცხოვრებისა***“: „უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვაჲ არა გუაქუს, თავთა თჳსსა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტებაჲ არა არს ჩუენ თანა“*** (1 იოანე, 1, 8). ამიტომ, როგორი მართალიც უნდა იყოს ამა სოფლიდან განსასვლელად განმზადებული ადამიანი, ეკლესია მის აღსრულებას თან უფლისადმი ლოცვას აახლებს. ***„მოიჯსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა და ჰხედევდით გამოსლვასა მას ცხორებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათა“*** (ებრ. 13, 7).

როცა მიცვალებულის სიმართლეს ადასტურებს ეკლესიის საერთო ხმა, ქრისტიანები ლოცულობენ მასზე, კეთილ, სასწავლო მაგალითად იღებენ და **მისაბაძ** ნიმუშად თვლიან მის ცხოვრებას.

ეკლესია განსაკუთრებით **განადიდებს** მიცვალებულებს, რომელთა წმინდანობა ყველას სჯეროდა და როდესაც ეს თვალსაზრისი დასტურდება ისეთი მოწმობებით, როგორებიცაა: მოწამეობა, უშიშარი აღმსარებლობა, ეკლესიის მიმართ თავგანწირული მსახურება, კურნების ნიჭი; განსაკუთრებული ნიშანია მისი სიკვდილის შემდგომი სასწაულები, რითაც უფალი მიცვალებულის სიწმინდეს მისი ლოცვითი მოხსენიების დროს ადასტურებს. როგორ შეუძლია ეკლესიას არ განადიდოს ისინი, ვისაც თავად უფალი თავის „მეგობართ“ უწოდებს: ***„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, ... ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად...“***(იოანე, 15, 14, 15); ვინც ღმერთმა ზეციურ სავანეებში მიიღო, რათა აღსრულებულიყო სიტყვები: ***„...კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ“*** (იოანე, 14, 3). ასეთ შემთხვევაში ცოდვათა მისატევებელი და განსასვენ-

ებელი ლოცვები ადგილს უთმობენ მიცვალებულთან სულიერი ერთობის სხვა ფორმებს, ესენია:

ა) მისი ღვაწლის განდიდება ქრისტესთან, რამეთუ ***„არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე კჳმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა“*** (მათე, 5, 15);

ბ) მისდამი ლოცვითი თხოვნა, რათა შეგვეწიოს ზნეობრივ წინსვლაში, სულიერ გასაჭირსა თუ ცხოვრებისეული განსაცდელების გადალახვაში.

ნათქვამია***: „...ნეტარ არიან მკუდარნი იგი, რომელნი უფლისა მიერ მოკუდენ...“*** (გამოცხ. 14, 13) და ჩვენც **შევნატრით** მათ.

ნათქვამია: ***„...დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ“*** (იოანე, 17, 22), და ჩვენც ამ დიდებას მივაგებთ მათ მაცხოვრის მცნების თანახმად.

მაცხოვარმა აგრეთვე ბრძანა: ***„რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისაჲ მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისაჲ, სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს“*** (მათე, 10, 41); ***„...რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი“***(მათე, 12, 50). ამიტომაც გვმართებს, მივიღოთ მართალი, როგორც მართალი: თუკი ის უფლისათვის ძმაა, მაშინ ჩვენთვისაც ასეთი უნდა გახდეს. წმინდანნი არიან ჩვენი სულიერი ძმანი, დანი, დედანი და მამანი და მათდამი ჩვენი სიყვარული ლოცვითი ერთობით გამოიხატება.

იოანე მოციქული ქრისტიანებს სწერდა: ***„რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქუენ, რაჲთა თქუენცა ზიარებაჲ გაქუნდეს ჩუენ თანა და ზიარებაჲ ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესსა“*** (1 იოანე, 1, 3); და ეკლესიაში არ წყდება მოციქულებთან ერთობა, რამაც მათი არსებობის სხვა სავანეში, ზეცაში, გადაინაცვლა.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში აღწერილია, თუ როგორ დგანან კრავის საყდრის სიახლოვეს წმინდანები და აღავლენენ ლოცვებს მიწიერი ეკლესიისათვის: ***„და ვიხილე და მესმა, ვითარცა ჴმაჲ ანგელოზთა მრავალთაჲ გარემო საყდრისა და ცხოველთა და მღდელთაჲსა. და იყო რიცხჳ მათი ბევრნი ბევრთანი და ათასნი ათასთანი*** (ვინც უფალს ადიდებდა***)“***(გამოცხ. 5, 11).

წმინდანებთან ლოცვითი ერთობა აკავშირებს ამქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანებს ზეციურ ეკლესიასთან, რომლის შესახებაც ამბობს მოციქული: ***„... მოსრულ ხართ თქუენ მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალჵმსა ზეცისასა, და ბევრეულსა ანგელოზთა კრებულსა და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულისა ყოველთაჲსა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთაჲსა“*** (ებრ. 12, 22, 23).

წმინდა წერილი წარმოგვიდგენს მრავალრიცხოვან მაგალითს იმისას, რომ მართლებს ჯერ კიდევ ამქვეყნად ცხოვრების დროს შეეძლოთ ეხილათ და მოესმინათ ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივ აღქმას არ ძალუძს. ამ ნიჭთ ისინი უფრო ძლიერ გამოავლენდნენ მას შემდგომ, რაც ხორცისაგან გათავისუფლდნენ და ზეცაში დამკვიდრდნენ. წმინდა პეტრე მოციქულმა იხილა ანანიას გული (იხ. საქმ. 5, 3); ელისესათვის გაცხადდა მსახურ გეხაზის უკანონო საქციელი (იხ. 4 მეფ. თავი მე-4) და, რაც უფრო საოცარია, მისთვის ცნობილი ხდებოდა ასურეთის სამეფო კარის ყველა საიდუმლო ზრახვა, რომელთა შესახებაც შემდეგ ისრაელელთა მეფეს აუწყებდა ხოლმე (იხ. 4 მეფ. 6, 12). ამქვეყნად მცხოვრები წმინდანები ზეციური სულით იყვნენ გამსჭვალულნი: ერთნი ანგელოზთა გუნდებს ხედავდნენ, მეორენი უფლის სახის ჭვრეტის ღირსნი ხდებოდნენ (ესაია, ეზეკიელი); სხვანი ატაცებულ იყვნენ მესამე ცამდე და ისმენდნენ საიდუმლო, გამოუთქმელ ხმებს (პავლე მოციქული). ზეცაში მყოფთ მით უფრო შეუძლიათ იცოდნენ ის, რაც ქვეყანაზე ხდება და ესმოდეთ მათდამი მღაღადებელთა ხმები, რამეთუ წმინდანები ზეცაში ***„...სწორ ანგელოზთა არიან...“*** (ლუკა, 20, 36). უფლის იგავიდან მდიდარსა და ლაზარეზე ვიგებთ, რომ ზეცაში მყოფ აბრაამს შეეძლო ესმინა მდიდრის გოდება, რომელიც ჯოჯოხეთში ეწამებოდა, მიუხედავად მათი განმყოფი „დიდი უფსკრულისა“. აბრაამის სიტყვები: ***„...ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, მათი ისმინონ“*** (ლუკა, 16, 29) ცხადად მიუთითებს, რომ მისთვის ცნობილია, რაც მისი გარდაცვალების შემდგომ მოხდა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში; მან იცის მოსე და მისი რჯული, წინასწარმეტყველები და მათი ნაწერები. ზეციურ მართალთა სულიერი ხედვა უეჭველად უფრო მძაფრია, ვიდრე მათ ამქვეყნად ცხოვრებისას ჰქონდათ: ***„რამეთუ ვხედავ აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ; აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა შევემეცნე“***(1 კორ. 13, 12).

წმინდა ეკლესია ყოველთვის იცავდა წმინდანთა მოხმობის შესახებ სწავლებას და სრულად სწამდა, რომ ზეცაში ისინი არიან ღვთის წინაშე ჩვენი მეოხნი. ეს ძველ ლიტურგიებშიც არის ასახული: წმინდა იაკობ მოციქულის ლიტურგიაში ნათქვამია: „განსაკუთრებით ვიხსენიებთ წმინდა და დიდებულ მარადისქალწულ, ნეტარ ღვთისმშობელს. მოიხსენე იგი, უფალო ღმერთო, და მისი წმინდა და წრფელი ლოცვით შეგვიწყალენ და შეგვინდვენ ჩვენ“; წმინდა კირილე იერუსალიმელი იერუსალიმის ეკლესიის ლიტურგიის განმარტებისას შენიშნავს: „... შემდგომად ვიხსენიებთ (ანუ უსისხლო მსხვერპლშეწირვის შემდგომ) ადრე განსვენებულთ, პირველად პატრიარქებს, წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, მოწამეებს, რათა მათი ლოცვებითა და შუამდგომლობით შეიწყნაროს ღმერთმა ვედრება ჩვენი“.

IV საუკუნიდან იწყება ეკლესიის მამათა და მასწავლებელთა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მოწმობები ეკლესიის მხრიდან წმინდანთა თაყვანისცემის შესახებ. თუმცა II საუკუნის დასაწყისიდან უკვე პირდაპირი დადასტურებანი არსებობს: ძველ ქრისტიანულ თხზულებებში ჩანს რწმენა იმისა, რომ წმინდანები ზეცაში ლოცულობენ თავიანთ მიწიერ თანამოძმეებზე. **წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის** მოწამებრივი აღსასრულის მხილველნი (II საუკუნე) მოგვითხრობენ: „სახლში თვალცრემლიანნი დავბრუნდით, ღამისთევის ლოცვა გვქონდა... შემდგომ ცოტა დავიძინეთ და ზოგმა ჩვენგანმა იხილა უეცრად აღმდგარი, რომელიც გვეხვეოდა. **ჩვენთვის მლოცველი** ნეტარი ეგნატე სხვებმაც იხილეს“. მსგავსი ჩანაწერები მოწამეთაგან ჩვენთვის ლოცვისა და შუამდგომლობის შესახებ გვხვდება ქრისტიანთა დევნის ეპოქის დროინდელ სხვა მატიანეებშიც.

ლოცვის გარეგნული მხარეების შესახებ

ღვთისადმი სხეულით თაყვანისცემა

ლოცვა არის ღმერთისკენ **გონებითა და გულით ამაღლება**, მაგრამ სანამ ამა სოფლად ხორციელად ვცხოვრობთ, ბუნებრივია, ლოცვასაც ნაირგვარი **გარეგნული** ფორმით გამოვხატავთ. ეს არის მუხლმოდრეკა, ჯვრის გადასახვა, ხელების აპყრობა, საღვთისმსახურო ნივთების გამოყენება და საზოგადო ქრისტიანული ღვთისმსახურების თანმხლები ყველა გარეგნული ქმედება.

ღვთისადმი ქრისტიანული თაყვანისცემა თავისი ამაღლებული შინაარსით არის თაყვანისცემა ***„...სულითა და ჭეშმარიტებითა...“*** (იოანე, 4, 23, 24). ქრისტიანული ღვთისმსახურება შეუდარებლად აღემატება ძველი აღთქმისას, რომელიც, მართალია, თავად ღვთის ბრძანებით დადგინდა (იხ. გამოს. 25, 40), მაგრამ გვევლინებოდა მხოლოდ ***„...სახედ და აჩრდილად ... ზეცისაჲსა მის...“*** (ებრ. 8, 5). იგი, როგორც „დაძუელებადი და დაბერებადი“, მახლობელი განხრწნისა (შდრ. ებრ. 8, 13), გაუქმდა უფალ იესო ქრისტეს წმინდა სისხლით ნაკურთხი ახალი აღთქმის ღვთისმსახურების დადგინებისთანავე. ახალი აღთქმის ღვთისმსახურებაში არ შედის დეკეულებისა და ვერძების გამუდმებით მსხვერპლშეწირვა; იგი არის დიდებისმეტყველების, სამადლობელისა და ხსოვნის ლოცვა, ქრისტეს სისხლისა და ხორცის უსისხლო შეწირვა და წმინდა საიდუმლოთა მადლის მიღება.

ქრისტიანულ ლოცვას თან ახლავს სხვადასხვაგვარი გარეგნული ქმედებანი. თავად უფალი იესო ქრისტე არ გაურბოდა გარეგნულ ქმედებებს ლოცვისა და საიდუმლოებების აღსრულებისას: იდრეკდა მუხლს, პირქვე ემხობოდა ლოცვის დროს, ხელებაპყრობილი ევედრებოდა მამა

ღმერთს; მანვე შეჰბერა და თავის მოწაფეებს უთხრა: ***„მშვიდობა თქუენ თანა“***; განკურნების დროს იყენებდა გარეგნულ მოძრაობებს; იერუსალიმის ტაძარში მისულმა მას თავისი მამის სახლი უწოდა და დასძინა: „ტაძარი ჩემი ტაძრად ლოცვისა იწოდება“. ასევე იქცეოდნენ მოციქულებიც.

სულისა და ხორცის მჭიდრო კავშირისა და მათ ურთიერთქმედებათა გამო სულიერ თაყვანისცემას უცვალებელად თან ახლავს სხეულებრივიც. ***„არა უწყითა, რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისაინ არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან, და არა ხართ თჳსთა თავთანი? რამეთუ სასყიდლით სყიდულ ხართ. ადიდეთ უკუე ღმერთი ჴორცითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი-იგი არს ღმრთისაჲ“*** (1 კორ. 6, 19, 20).

ქრისტიანი მოწოდებულია, თავისი ყოველი მისწრაფება წარმართოს უფლის განსადიდებლად, სულითაც და სხეულითაც პატივი მიაგოს მას. ***„გინა თუ შჭამდეთ, გინა თუ ჰსუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ“*** (1 კორ. 10, 31). ლოცვით გვმართებს არა მარტო საკუთარი თავის განწმედა, არამედ იმისაც, რითაც ვსარგებლობთ***: „რამეთუ ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს, და არარაჲ არს განსაგდებელ, მადლობით მიღებული, რამეთუ განიწმიდნების სიტყჳთა ღმრთისაჲთა და ლოცვითა“*** (1 ტიმ. 4, 4, 5). თითოეული ქრისტიანი შეგნებულად უნდა ისწრაფოდეს, რომ თავისი ცხოვრებით, ფიქრებითა და ქმედებებით აღასრულოს წმინდა ფსალმუნთმგალობლის მოწოდება: ***„ყოველი სული აქებდით უფალსა“*** (ფს. 150, 6), და ეს მთელი სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში.

ხატთა თაყვანისცემა

ღვთისადმი თაყვანისცემისა და წმინდანთა მიმართ პატივისგების ერთერთი გარეგნული ფორმაა წმინდა გამოსახულებათა გამოყენება და მათდამი თაყვანისცემა.

იმ ტალანტებს შორის, რაც ადამიანს ებოძა და მას სხვა ქმნილებათაგან განასხვავებს, სხვათა შორის არის აგრეთვე მხატვრობის, ანუ ხაზებითა და ფერებით გამოსახვის ნიჭი. იგი კეთილშობილი, მაღალი, ღირსეული ნიჭია ღმერთის განსადიდებლად. ჩვენ კი გვმართებს, ყველა შესაძლო სუფთა და მაღალი საშუალებებით განვადიდოთ უფალი, ფსალმუნთმგალობლის მოწოდების თანახმად: ***„აკურთხევს სული ჩემი უფალსა და ყოველი გონებაჲ ჩემი — სახელსა წმიდასა მისსა“*** (ფს. 102, 1); აქ ***„ყოველი გონებაჲ ჩემი“*** ნიშნავს – სულის სრულ შესაძლებლობებს. და მართლაც, მხატვრის ნიჭიერება ღვთის საჩუქარია. ოდესღაც, მოსეს დროს, ***„...უწოდა ღმერთმან სახელით ბესელიელს ურისსა, ძისწულსა ურისსა, ტომისაგან იუდასსა.***

და აღავსო იგი სულითა სალმრთოჲთა სიბრძნითა და გულისხმისყოფითა და მეცნიერებითა ყოვლითა. ყოველსავე ზედა ხუროთმოძღურებად საქმედ ოქროჲსა და ვეცხლისა, და რვალსა და ანთრაკსა მას. ხუროვნებად საქმედ ძელსა მას და ყოველსა საქმესა სიბრძნისასა და წინაწარ განზრახვად მოსცა მას. ...და გულისხმის-ყოფად და საქმედ ქსოვასა და ჭრელსა ქსოვად მეწამულსა მას და ზეზსა ხუროთმოძღურებისა“ (გამოს. 35, 30-33, 35). მოსეს კარვისა და შემდგომ სოლომონის ტაძრისათვის ხელოვანთა ხელით ოსტატურად გაკეთებული ყველა ნივთი იყო წმინდა. ამასთანავე, ერთნი წმინდა მორთულობას წარმოადგენდნენ; მეორენი, განსაკუთრებით პატივმისაგებნი და გამორჩეულნი, ასახავდნენ ღვთის დიდებას. ასეთი იყო „აღთქმის კიდობანი“, რომელთან განსაკუთრებული კეთილკრძალულობის გარეშე შეხებას შეიძლებოდა ადამიანი მოეკლა (იხ. 2 მეფ. 6, 7). მაგალითად, დავითის მეფობის დროს კიდობნის გადატანისას ოზია სიკვდილმა მოცელა იმიტომ, რომ ხელი მოჰკიდა კიდობანს; ასეთები იყვნენ კარავში კიდობანზე დადგმული „ქერუბიმნი დიდებისანი“, რომელთა შორისაც კეთილ-ინება ღმერთმა გამოცხადებოდა მოსეს და თავისი ბრძანებები მიეცა: ***„...გეცნობო მე შენ მუნით და გეტყოდი შენ ზენა კერძოჲთ სალხინებლისათ საშუალ ორთა ქერობინთასა, რომელნი არიან კიდობანსა ზედა წამებისასა ყოველთა მათებრ, რაოდენნიცა გამცენ შენ ძეთა მიმართ ისრაჱლისათა“*** (გამოს. 25, 22); ეს იყო „ხილული ხატი უხილავი ღმერთისა“.[1]

ძველი აღთქმის ტაძრის კედლებსა თუ კრეტსაბმელზე არსებულ მრავალრიცხოვან გამოსახულებათაგან ერთიც არ ყოფილა მართალი მიცვალებული, როგორც ეს ქრისტიანულ ეკლესიაშია მიღებული. ეს იმიტომ, რომ თვითონ ისინი ჯერ კიდევ ელოდნენ თავიანთ გამოხსნასა და წყვიადიდან გათავისუფლებას, რაც იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში შთახდომითა და მისი აღდგომით აღსრულდა. მოციქულის აზრით, ისინი ***„...არა თჳნიერ ჩვენსა სრულ იქმნენ“*** (ებრ. 11, 40), ანუ როგორც **წმინდანები**, განდიდდნენ ახალ აღთქმაში.

წმინდა წერილი მკაცრად კრძალავს კერპებისა და ბომონების აგებასა და მათდამი თაყვანისცემას, მაგრამ ეს აკრძალვა არ ეხება ქრისტიანულ ხატებს. კერპი არის ცრუ ღმერთების გამოსახულება და მათდამი თაყვანისცემა იქნებოდა ეშმაკებისადმი, ან არარსებული, წარმოსახვითი არსებებისადმი (არსობრივად კი ისეთი უსულო საგნებისადმი, როგორიცაა ხე, ოქრო თუ ქვა) მსახურება. მაგრამ წმინდა წერილი მკაცრად მიუთითებს ***„გამორჩევად შორის წმიდათა და შეგინებულთა და შორის არაწმიდათა და ღირსთა“*** (ლევ. 10, 10). ვისაც არ ძალუძს, განასხვაოს წმინდა გამოსახულება კერპებისაგან, გმობს და შეურაცხყოფს ხატებს – იგი მკრეხელია და სასჯელს იმსახურებს. წმინდა წერილი გვაფრთხილებს: ***„რომელი-ეგე***

ასწავებ მოყუასსა, თავსა თჳსსა არა ასწავებ; ...რომელსა ძაგან კერპნი, საკურთხეველსა სძარცუავ“ (რომ. 2, 21, 22).

არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, რომ ეკლესიის ადრექრისტიანულ ხანაში კატაკომბებსა და ლოცვითი შეკრებების სხვა ადგილებში, მოგვიანებით კი ქრისტიანულ ტაძრებში, არსებობდნენ წმინდა გამოსახულებანი. თუ ზოგჯერ ქრისტიანი მწერლები გამოდიოდნენ ქანდაკებათა და მათ მსგავს გამოსახულებათა შექმნის წინააღმდეგ, მათ მხედველობაში ჰქონდათ წარმართული თაყვანისცემა კერპებისა (ელვირის კრება ესპანეთში, 305 წელს). ზოგ შემთხვევაში ასეთი გამონათქვამები და აკრძალვები გამოწვეული იყო იმდროინდელ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო (მაგალითად, იქმნებოდა აუცილებლობა, დაემალათ თავიანთი სიწმინდენი მდევნელ წარმართთა და არაქრისტიანი მოსახლეობის მტრულად განწყობილი ნაწილისაგან).

ბუნებრივია, ქრისტიანობის ისტორიის საწყის პერიოდში საჭირო იყო, ადამიანები მანამდე ჩამოეშორებინათ წარმართული კერპთაყვანისმცემლობისაგან, სანამ ცხოვრებაში გაატარებდნენ ღმერთისა და მისი წმინდანების სხვადასხვა ფორმით განდიდების იდეას. ამ ფორმებს შორისაა განდიდება ფერწერის საშუალებითაც.

VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ წმინდა ხატების თაყვანისცემის დოგმატი ასე გამოხატა: „... სრული გულმოდგინებითა და წინდახედულებით განვსაზღვრავთ, რომ წმინდა და პატიოსანი ხატები უნდა თაყვანის-იცემებოდეს პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის გამოსახულების მსგავსად... რამდენადაც უფრო ხშირად ხდებიან ჩვენი ჭვრეტის საგანი ხატებზე გამოსახული უფალი იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, ანგელოზები და წმინდანები, იმდენად მეტად აღვიძვრებით მათი შემყურენი თვით **პირველსახეთა** მოსაგონებლად და მით მეტი სიყვარულით განვიმსჭვალებით მათ მიმართ; პატივი მივაგოთ მათ (ხატებს), ამბორითა და მოკრძალებული თაყვანისცემით (ბერძნ. τιμητικη πρόσκυνησις); არა იმ ჭეშმარიტი (ჩვენი სარწმუნოებიდან გამომდინარე) ღვთისადმი თაყვანისცემით, რომელიც ერთიან საღვთო ბუნებას (ბერძნ. λατρεια) შეჰფერის, არამედ პატივის მიგებით... საკმევლითა და სანთლების ანთებით... რადგან ხატისადმი მიგებული პატივი პირველსახეზე გადადის“.

წმინდა ნაწილების თაყვანისცემა

ღვთისსათნო ადამიანთა ზეცად მყოფი სულების თაყვანისცემასთან ერთად, ეკლესია პატივს მიაგებს დედამიწაზე დარჩენილ მათ ნაწილებსა და სხეულს.

ძველ აღთქმაში არ არსებობდა მართალთა სხეულების თაყვანისცემის პრაქტიკა, რადგან თვითონ ისინი ჯერ კიდევ ელოდნენ ჯოჯოხეთიდან დახსნას – თვით ხორცი, მაშინ, უწმინდურად ითვლებოდა.

ახალ აღთქმაში მაცხოვრის განკაცებით ამაღლდა ადამიანის ცნება ქრისტესთან; და გარდა ამისა, სხეული სულიწმიდის სამკვიდრებლად იქნა მიჩნეული. თავად უფალი, სიტყვა ღვთისა, განხორციელდა და შეიმოსა კაცობრივი სხეულით. ქრისტიანები მოწოდებულნი არიან, რათა წმინდა ნათლისღებითა და ქრისტეს ყოვლადწმიდა ხორცთან და სისხლთან ზიარებით განწმედილი თავიანთი სულები და ასევე სხეულები სულიწმიდის ჯვშმარიტ ტაძრებად აქციონ: ***„არა უწყითა, რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან...“*** (1 კორ. 6, 19). ამიტომ შეეფერება განსაკუთრებული პატივი და თაყვანისცემა იმ ქრისტიანთა სხეულებს, რომლებიც მართალი ცხოვრების ან მოწამებრივი სიკვდილის ღვაწლით გახდნენ წმინდანები.

წმინდა გადმოცემის თანახმად, ეკლესია ყველა დროში მიაგებდა პატივს წმინდა ნაწილებს. ამისთვის:

ა) როგორც ჯერ კიდევ II საუკუნის გადმოცემიდან და შემდგომი დროის მოწმობებიდან არის ცნობილი, კეთილკრძალულებით აგროვებდა და ინახავდა ღვთისსათნო ადამიანთა ნაწილებს;

ბ) წმინდა ნაწილები საზეიმოდ ამოჰყავდა და გადაჰქონდა;

გ) მათზე აგებდა ტაძრებსა და საკურთხევლებს;

დ) ადგენდა მათი აღმოყვანებისა და გადასვენების ხსენების დღეებს;

ე) აწესებდა წმინდა საფლავების მომლოცველობასა და განაშვენებდა მათ;

ვ) ეკლესიის მუდმივი განაწესის თანახმად, საკურთხევლის საძირკველში ატანდნენ წმინდა მოწამეთა ნაწილებს და მათ აკერებდნენ წმინდა ოდიკებში (ანტიმინსიონი), რომლებზედაც ლიტურგია აღესრულება.

ეს სრულიად ბუნებრივი თაყვანისცემა ღვთისსათნო ადამიანთა წმინდა ნაწილებისა და ნეშტებისა, ემყარება უფლის კეთილ ნებას – მან განადიდა ისინი ურიცხვი სასწაულითა და ნიშნით, რასაც ადასტურებს ეკლესიის მთელი ისტორია.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან ჩანს, რომ მიცვალებულ მართალთა სხეულებს ჰქონდათ სიწმინდის ნიშნები, თუმცა მაშინ წმინდანებს არ სცემდნენ განსაკუთრებულ თაყვანს და არც სიკვდილის შემდგომ განადიდებდნენ. მაგალითად: სამარეში ჩაგდებული გარდაცვლილის სხეული ელისე წინასწარმეტყველის ძვლებთან შეხებისთანავე გაცოცხლდა და წამოდგა (იხ. 4 მეფ. 13,21). წმინდა ილია წინასწარმეტყველის სხეული ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცაში; მის მიერ ელისესადმი დატოვებული ხალენის შეხებით განიპო იორდანეს წყლები, როცა ეს უკანასკნელი მდინარეზე გადადიოდა.

წიგნში „საქმენი მოციქულთა“ ვკითხულობთ: ***„...უძლურთაცა ზედა მიაქუნდა ოფლისა მისისაგან*** (პავლე მოციქულის სხეულისაგან) ***ვარშამაგე-***

ბითა და ოლარებითა, და განეყენებოდა მათ სენი იგი და სულები არაწმიდაჲ განვიდოდა“ (საქმ. 19, 12). ეკლესიის წმინდა მამები და მასწავლებლები მოგვითხრობენ იმ სასწაულებზე, რომლებსაც წმინდანთა ნაწილები ახდენდნენ და, არცთუ იშვიათად, ნაამბობის ჭეშმარიტების მოწმეებად თავიანთი თანამედროვენი მოჰყავთ. მაგალითად, წმინდა პროტასისა და წმინდა გერვასის ნაწილების აღმოყვანებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში **წმინდა ამბროსი მედიოლანელი** ამბობს: „თქვენ იცანით და თავადაც ნახეთ დემონისგან გათავისუფლებული მრავალი ადამიანი. კიდევ უფრო მეტია ისინი, ვინც წმინდანთა სამოსთან მარტოოდენ ხელის შეხებით მაშინვე განიკურნა უძლურებისაგან. ძველი დროის სასწაულები მაშინ განახლდა, როცა უფალ იესო ქრისტეს მოსვლით გადმოიღვარა ქვეყანაზე მადლის სიუხვე. თქვენ ხედავთ მრავალ განკურნებულს წმინდანთა ჩრდილებითაც კი. რამდენი თავშალი გადაეცემა ხელიდან ხელში! რამდენი სამოსი დაადეს უწმინდეს ნაწილებს და ერთი შეხებით შეიძინეს მათ კურნების უნარი. რამდენჯერ გამოითხოვენ მორწმუნენი ურთიერთისგან ამ სამოსს! ყველა ცდილობს, ოდნავ მაინც მიეკაროს მას და ვინც შეეხება, განიკურნება“. მსგავსი მოწმობების წაკითხვა შეიძლება **წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველთან, ღირს ეფრემ ასურთან, წმინდა იოანე ოქროპირთან, ნეტარ ავგუსტინესთან** და სხვებთან.

უკვე II საუკუნის დასაწყისიდან არსებობს ცნობები ქრისტიანთაგან წმინდანთა ნაწილების თაყვანისცემის შესახებ. მაგალითად, ანტიოქიის ეპისკოპოსის წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის მოწამებრივი აღსასრულის აღმწერი, ყოველივე ამის მოწმე, გვაუწყებს: „მისი სხეულის ნეშტიდან (იგი ცირკში დააგლეჯინეს მხეცებს) მხოლოდ ყველაზე მყარი ნაწილები გადაასვენეს ანტიოქიაში და შეინახეს ტილოში, როგორც ეკლესიისთვის დატოვებული შეუფასებელი საგანძური, რომელიც მოწამეში დავანებული მადლის მატარებელია“. შემდგომში, წმინდა იოანე ოქროპირი ადასტურებდა, რომ მაშინდელი ქალაქების მცხოვრებნი, დაწყებული რომიდან, მემკვიდრეობით იღებდნენ და თავიანთი მხრებით ატარებდნენ ამ ნაწილებს: „აქ, ამ ქალაქამდე (ანტიოქია) აქებდნენ გვირგვინოსან გამარჯვებულსა და ადიდებდნენ მოღვაწეს“. ასევე, სმირნის ეპისკოპოს წმინდა პოლიკარპეს მოწამებრივი აღსასრულისა და პროკონსულის ბრძანებით მისი სხეულის დაწვის შემდგომ ქრისტიანებმა „შეაგროვეს წმინდა პოლიკარპეს ძვლები, როგორც პატიოსან ქვებზე უძვირფასესი და ოქროზე უწმინდესი საუნჯე და დაასვენეს ისინი... მისი მოწამეობაში დაბადების დღის ზეიმით აღსანიშნავად და მომავალ ქრისტიანთა დასამოძღვრად და განსამტკიცებლად“.

ჩვენ ქედის მოხრა გვმართებს წმინდანთა წმინდა ცხოვრებისა და მათი მოწამებრივი სიკვდილის წინაშე, ამიტომ თაყვანს ვცემთ წმინდანთა

ნაწილებს (останки, ბერძნ: τα λειψανα, ნეშტი, დანაშთენი; სიტყვიდან – reliquiae (ლათ.), ვტოვებ, оставляю) – დამოუკიდებლად მათი უხრწნელობისა. ეს მით უფრო ჯეროვანია, როდესაც წმინდანებისადმი ლოცვითი მიმართვის შემდგომ აშკარად და დამაჯერებლად გამოვლინდება კურნების ნიშნები. საეკლესიო კრებებმა არაერთგზის აკრძალეს მიცვალებულთა წმინდანებად მიჩნევა მარტოოდენ მათი სხეულების უხრწნელობის ნიშნით (მაგალითად, მოსკოვის 1667 წლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ). თუმცა მართალთა სხეულების უხრწნელობა, რასაკვირველია, მიცვალებულის სიწმინდის ერთ-ერთ ღვთაებრივ ნიშნად ითვლება.

აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა „мощи“ მარტო წმინდანთა სხეულებს არ აღნიშნავს. საეკლესიო სლავურ ენაზე ამ სიტყვით საერთოდ მიცვალებულთა სხეული აღინიშნება. მაგალითად, დაკრძალვის თანმიმდევრობის შესახებ „კურთხევანში“ ვკითხულობთ: „აღვიღებთ მიცვალებულის სხეულს, მივდივართ ტაძარში... შემდგომ სხეულს დავასვენებთ კარიბჭესთან... აღვიღებთ სხეულსა და მივასვენებთ სამარესთან“ და ასე შემდეგ. ძველი სლავური სიტყვა „мощи“ (მისი ფესვია „мог“), ჩანს, ენათესავება სიტყვას „могила“. წმინდა ნაწილების თაყვანისცემისას ჩვენ გვწამს არა მათი „мощъ“ თუ „могущество“ და არც თავად წმინდანთა ნაწილების თავისთავადი ძალისა, არამედ წმინდანთა მეოხებისა. მათი წმინდა ნაწილების ხილვა ჩვენს გულებში აღძრავს გრძნობას იმ ღვთისსათნო ადამიანების სიახლოვისა, რომელთაც ოდესღაც ეს სხეულები ეკუთნოდათ.

ქრისტიანის გზა. ჯვარი ქრისტესი – გზა, ძალა და ნიშანი ეკლესიისა

ეკლესიის დოგმატური სწავლება უმჭიდროესად უკავშირდება და სწორ მიმართულებას აძლევს ქრისტიანული ცხოვრების მთელ ზნეობრივ წყობას. დოგმატური ჭეშმარიტებებიდან ნებისმიერ გადახვევას ქრისტიანის ზნეობრივი მოვალეობის არასწორად გაგებამდე მივყავართ. რწმენა „რწმენით ცხოვრებას“ ითხოვს.

მაცხოვარმა ადამიანებს მათი ზნეობრივი ვალი რჯულის ორი მცნებით განუსაზღვრა: ***„...შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ...შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“*** (მათე, 22, 37, 39). ამასთან, უფალი ასწავლიდა, რომ ამ მცნებათა ჯეროვნად შესრულება შეუძლებელია საკუთარი თავის ამა თუ იმ ხარისხით უარყოფისა და მსხვერპლის გაღების გარეშე. მათი აღსრულება **ღვაწლს** ითხოვს.

სად ჰპოვოს მორწმუნემ საამისო ძალა? იგი მას მიიღებს ქრისტესთან

ერთობითა და მისდამი სიყვარულით, რაც ადამიანს აღძრავს, **შეუდგეს მაცხოვარს**. ამ ღვაწლს ქრისტემ უწოდა „უღელი ჩემი“: ***„აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა... რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი სუბუქ არს“*** (მათე, 11, 29, 30); უფალი მას აგრეთვე უწოდებს „ჯვარს“. თავის ჯვარცმამდე დიდი ხნით ადრე ქრისტე ასწავლიდა: ***„...რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემო-მიდეგინ მე“*** (მათე, 16, 24).

„...რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე, 10, 38).

მართლმადიდებელი ქრისტიანის გზა – **ეს არის გზა ჯვრისა და ღვაწლისა**. სხვა სიტყვებით, ეს არის გზა დათმენის, ქრისტეს სახელით მწუხარებათა, დევნისა და მძლავრობის გაძლების, მტერთაგან საფრთხისა და მუქარის ატანის, ქრისტესთვის ამქვეყნიურ სიკეთეთა უგულებელყოფისა და საკუთარ ვნებებთან და გულისთქმებთან ბრძოლისა.

ქრისტეს შედგომის ასეთი გზა განვლეს მოციქულებმა. პავლე მოციქული წერს: ***„...ქრისტეს თანა ჯუარ-ცუმულ ვარ. ...ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარ-ცუმულ არს და მე – სოფლისა“*** (გალ. 2, 19; 6, 14). ისინი შეუდგნენ ქრისტეს გზას და თავიანთი ღვაწლი მოწამებრივი სიკვდილით დაასრულეს.

ყოველი მორწმუნე მოწოდებულია, შეძლებისდაგვარად აღასრულოს ღვაწლი: ***„ხოლო ქრისტესთა მათ ჴორცნი თჳსნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუმით“*** (გალ. 5, 24). ზნეობრივ ცხოვრებაში შინაგან ბრძოლასა და თავშეკავებას ვერავინ გაექცევა, ***„რამეთუ მრავალნი ვინმე ვლენან, რომელთათჳს მრავალ-გზის გეტყოდე თქუენ, ხოლო აწ ტირილით გითხრობ თქუენ მტერთა მათთჳს ქრისტჱს ჯუარისათა, ...რომელთა ღმერთ მუცელი არს და დიდებაჲ – სირცხჳლსა შინა მათა, რომელნი ქუეყანისასა ზრახავენ“*** (ფლპ. 3, 18, 19).

ეკლესიის მთელი ისტორია ღვაწლზე შენდებოდა: თავდაპირველად იყო პირველ ქრისტიან მოწამეთა ტანჯვა, ეკლესიის სვეტების – მღვდელმთავრების თავგანიწრული შრომა; შემდგომ პიროვნული ასკეტური მოსაგრეობა, მეუდაბნოეთა და სხვა მოღვაწეთა სულიერი მიღწევები ხორცთან ბრძოლაში. ეს „მართალნი“ თუ „მიწიერი ანგელოზები და ზეციური ადამიანები“ ამქვეყნად ცხოვრობდნენ, მაგრამ მისგან არ წაბილწულან. ქრისტიანობას დღევანდლამდე ამშვენებენ ქრისტეს რწმენისათვის წამებულნი და მისი აღმსარებელნი. წმინდა ეკლესიაც სახარებიდან და მთელი წმინდა წერილიდან აღებული დარიგებებითა და მაგალითებით, წმინდანთა ცხოვრებებით, საეკლესიო ტიპიკონით, მღვიძარებით, მარხვითა და სინანულისაკენ

მოწოდებით განაცხოველებს მორწმუნეებში თავშეკავებისა და სულიერი განწმენდის მოვალეობის გრძნობას.

ასეთია არა მარტო ქრისტიანის, არამედ მთელი კათოლიკე ეკლესიის ხვედრი: „იყოს დევნული ქრისტეს ჯვარისათვის“, როგორც ეს მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსისშია წარმოდგენილი. ეკლესია თავისი ისტორიის მანძილზე უსასრულოდ უძლებდა ძლიერ განსაცდელს, დევნასა და საუკეთესო მსახურთა მოწამებრივ სიკვდილს – ამას ერთმა თანამედროვე მღვდელმსახურმა და საეკლესიო მწერალმა „ღვთის მოსავალი“ დაარქვა. თვით აშკარა კეთილდღეობის პერიოდებშიც კი ეკლესია ითმენდა და ითმენს მისი შინაგანი მტრებისაგან წამოსულ ხრიკებს და, თავისი წევრების, კერძოდ, მსახურებად დანიშნული ადამიანების, უღირსი ცხოვრების წესით გამოწვეულ განსაცდელებს.

ჯვრის დოგმატი ასე განისაზღვრება:

ჯვარი **გზაა** ქრისტიანისა და ეკლესიისა. ამასთან იგი **ეკლესიის ძალაც** არის. ქრისტიანი ფიქრებით ჭვრეტს ***„...სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუს...“*** (ებრ. 12, 2) და მას სულიერ ძალას აძლევს იმის შეგნება, რომ უფლის სიკვდილს მოჰყვა აღდგომა და ჯვრით „დაიძლია ქუეყანა“; რომ უფალთან „თანა-დაფლვა“ მასთან ერთად მეფობასაც ნიშნავს: ***„...გამოჩინებასაცა დიდებისა მისისასა გიხაროდის და მხიარულ იყვნეთ“*** (1 პეტ. 4, 13).

დაბოლოს, ჯვარი **ეკლესიის ნიშანია** იმ დღიდან, როცა მაცხოვარმა თავისი მხრებით ატარა იგი გოლგოთისკენ, სადაც იგი მასზე გააკრეს; მას შემდეგ ჯვარი ქრისტიანობის, ეკლესიის, თითოეული მორწმუნე ქრისტიანის ხილული ნიშანი და სასწაული გახდა.

ყველას, ვინც კი „ფართო ქრისტიანობას“ ეკუთვნის, ასე არ ესმის სახარება. ზოგი მრავალრიცხოვანი ქრისტიანული საზოგადოება უარყოფს ჯვარს, როგორც ხილულ ნიშანს და თვლის, რომ იგი იყო და დარჩა დამცირების იარაღად. ჯერ კიდევ პავლე მოციქული აფრთხილებდა, არ მიეღოთ ***„...საცთური იგი ჯუარისაჲ“*** (გალ. 5, 11), რათა ***„...არა ცალიერ იყოს ჯუარი იგი ქრისტესი. რამეთუ სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს“*** (1 კორ. 1, 17, 18). მოციქული არწმუნებდა, არ ეთაკილათ ჯვარი, როგორც დამცირების ნიშანი: ***„...განვიდეთ მისა გარეშე ბანაკსა და ყუედრებაჲ იგი მისი*** (უფლისა) ***მოვიღოთ“*** (ებრ. 13, 13) – არიგებდა იგი. რამეთუ ჯვარზე დამცირებას დიდებით აღდგომა მოჰყვა. ჯვარი კი ცხონების იარაღად და დიდებისაკენ სავალ გზად მოგვევლინა.

ქრისტიანს მარად თვალწინ უდგას ჯვრის ხატება; იგი პირჯვრის გამოსახვით თავისთავს შეახსენებს, რომ, ჯერ ერთი, მოწოდებულია,

შეუდგეს ქრისტეს კვალს, ქრისტეს სახელით გაუძლოს თავისი რწმენის გამო მოვლენილ განსაცდელსა და გაჭირვებას; მეორეც, ქრისტეს ჯვრის ძალით იგი საკუთარ თავსა და ამქვეყნად არსებულ ბოროტებასთან საბრძოლველად ძლიერდება; და მესამე, ქრისტიანი აღიარებს, რომ მოელის ქრისტეს დიდებით გამოჩენას, უფლის მეორედ მოსვლას, რომელსაც, თავად მაცხოვრის სიტყვების თანახმად, წინ გაუსწრებს ზეცაზე ძე კაცის ნიშნის გამოჩენა (იხ. მათე, 24, 30). ეს ნიშან-სასწაული, ეკლესიის მამების ერთსულოვანი აზრით, ცაზე ჯვრის დიდებული გამოჩინება იქნება.

ჩვენ მიერ გადასახული პირჯვარი თუ ხელის მოძრაობით ჯვრის ნიშნის გამოსახვა არის ჩვენი სარწმუნოების უსიტყვო და იმავდროულად, ხმამაღალი (რაკი ღიად ხდება გამოხატვა) აღიარება ჩვენი სარწმუნოებისა.

მაშასადამე, ჯვართან არის დაკავშირებული ჩვენი გამოსყიდვის მთელი სიდიადე. იგი შეგვახსენებს, რომ ქრისტიანისათვის აუცილებელია პირადი ღვაწლი. ჯვარი არის მთელი სახარებისეული ისტორიის, ყველა დროის მოწამებრივი და აღმსარებლობითი ქრისტიანობის განხორციელება.

ეკლესია ღრმად აცნობიერებს ჯვართან დაკავშირებულ ნააზრევთა სიმდიდრეს და უგალობს მის **ძალას**: *„უძლეველო და მიუწვდომელო, და საღვთო ძალო პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისაო, ნუ განგვეშორები ჩვენ ცოდვილთ“.*

X. ქრისტიანული ესქატოლოგია

ღმერთი – სამყაროს მსაჯული სამყაროსა და კაცობრიობის მომავალი

„...ერთ-გზისღა შევძრა მე არა ხოლო ქუეყანაჲ, არამედ ცანიცა“ (ებრ. 12,26; აგრეთვე: ანგ. 2, 6).

ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსში (მე-7, მე-11 და მე-12 წევრები) აღიარებულია მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა დედამიწაზე ძე ღვთისას სამომავლოდ მოსვლის, საყოველთაო საშინელი სამსჯავროსა და მერმის მარადიულ ცხოვრებაზე:

„კუალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ“ (მე-7 წევრი).

„მოველი აღდგომასა მკუდრეთით“ (მე-11 წევრი).

„და ცხორებასა მერმისა მის საუკუნესასა“ (მე-12 წევრი).

ღვთის განგებულებით მომავლის გეგმა ბოლო ჟამამდე არის შედგენილი. რასაც საღვთო წერილი ბოლო ჟამის მოვლენებზე გვეუბნება, ქრისტიანული სწავლების განუყოფელი ნაწილია. ესენია: უფლის მეორედ მოსვლა, მიცვალებულთა აღდგომა და სამყაროს აღსასრული, შემდგომ – სუფევა დიდებისა და მარადიული ცხოვრების დასაწყისი.

დოგმატური ღვთისმეტყველების ბოლო ნაწილში ლაპარაკია იმ დიადი პროცესის დასრულებაზე, რომლის დასაწყისიც დაბადების წიგნის პირველ გვერდებზეა გადმოცემული.

ადამიანის სიკვდილის შემდგომი ხვედრი საყოველთაო სამსჯავრომდე

კერძო სამსჯავრო

სიკვდილი ყველა ადამიანის ხვედრია, მაგრამ მათთვის ეს განადგურებას არ ნიშნავს; მხოლოდ სული განეშორება სხეულს. ადამიანის სულის უკვდავების ჭეშმარიტება ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი ჭეშმარიტებაა. ***„...არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე“*** (ლუკა, 20, 38). ახალი აღთქმის წმინდა წერილში სიკვდილს ეწოდება „განსვლა“: ***„...ვისწრაფო, რაჲთა კაცად-კაცადსა თქუენსა აქუნდეს შემდგომად განსლვისა ჩემისა ამათი მოკჳნებისა ყოფაჲ“*** (2 პეტ. 1, 15); ჩვენი ამქვეყნიური სახლის დანგრევა (შდრ. 2 კორ.

5, 1); სხეულის დატოვება: ***„...ადრე ყოფად არს დატევებაჲ საყოფლისა ამის ჩემისაჲ...“*** (2 პეტ. 1, 14); განსლვა: ***„...გული მეტყჳს განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად უფროჲს და უმჯობეს ფრიად“*** (ფლპ. 1, 23); მიქცევა: ***„...ჟამი იგი მიქცევისა ჩემისაჲ მოიწია“*** (2 ტიმ. 4, 6); შესვენება: ***„...დავით... შეისუენა...“*** (საქმ. 13, 36). საღვთო წერილის აშკარა მოწმობით, სულს სიკვდილის შემდგომ თავისი მდგომარეობა გაცნობიერებული აქვს (მაგალითად, იგავი მდიდარსა და ლაზარეზე). ადამიანი სიკვდილის შემდგომ გაივლის სამსჯავროს, რომელსაც უკანასკნელი და საყოველთაო სამსჯავროსაგან განსხვავებით, კერძო (პირადი) ეწოდება. ***„ადვილ არს წინაშე თუალთა უფლისათა დღესა მას აღსასრულისასა მიგებად კაცთა, ვითარცა იყუნენ საქმენი მათნი“*** (ზირ. 11, 26) – ამბობს ბრძენი ზირაქის ძე. იმავე აზრს გამოხატავს პავლე მოციქულიც: ***„...ვითარცა-იგი წინა-უც კაცთა ერთ-გზის სიკუდილი და მისა შემდგომად საშჯელი“*** (ებრ. 9, 27). მოციქულის თანახმად, ადამიანის გარდაცვალებას მაშინვე მოსდევს სამსჯავრო. ცხადია, ეკლესიის წმინდა მამების განმარტებით, მას მხედველობაში ჰქონდა არა საყოველთაო, არამედ პირადი სამსჯავრო: ***„...დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“*** (ლუკა, 23, 43) – უთხრა უფალმა მონანულ ავაზაკს.

წმინდა წერილიდან ვერ ვიგებთ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს კერძო სამსჯავრო. ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ ცალკეულ გამონათქვამებზე დაყრდნობით, რომლებიც საღვთო წერილში გვხვდება. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ პირად სამსჯავროზე ადამიანის სიკვდილის შემდგომი ბედის განსაზღვრაში დიდ მონაწილეობას იღებენ როგორც კეთილი, ისე ბოროტი ანგელოზები. იგავში მდიდარსა და ლაზარეზე ნათქვამია, რომ ლაზარე ***„...მიიყვანა ... ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა...“*** (ლუკა, 16, 22); სხვა იგავში მდიდარს ეუბნებიან: ***„...უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან...“*** (ლუკა, 12, 20) – აშკარაა, რომ ბოროტი სულები მიიღებენ მას (წმინდა იოანე ოქროპირი), რადგან, ერთი მხრივ, უფლის სიტყვების თანახმად: ***„...ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა...“*** (მათე, 18, 10); აგრეთვე, ქვეყნის აღსასრულის ჟამს უფალი გამოგზავნის ანგელოზებს და მათ ***„...განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა“*** (მათე, 13, 49); ხოლო, მეორე მხრივ, ***„...წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყჯრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა“*** (1 პეტ. 5, 8), – და თითქოს ჰაერიც გაჯერებულია უკეთური სულებით, ***„...რომელნი არიან ცასა ქუეშე“*** (ეფ. 6, 12) და მთავარი მათი იწოდება ხელმწიფედ ჰაერისა (შდრ. ეფ. 2, 2).

წმინდა წერილის ამ მინიშნებათა საფუძველზე და ძველთაგანვე წმინდა მამების აღწერით, სხეულთან განშორებული სული ისეთ სულიერ სივრცეებში იწყებს სვლას, სადაც ბნელი ძალები სულიერად სუსტების

შთანთქმას ცდილობენ და სადაც განსაკუთრებით ამიტომ არის საჭირო ზეციურ ანგელოზთა მფარველობა და ეკლესიის ცოცხალ წევრთა მხრიდან ლოცვითი თანადგომა. ამის შესახებ საუბრობდნენ ძველი დროის ისეთი წმინდა მამები, როგორებიც არიან: ეფრემ ასური, ათანასე დიდი, მაკარი დიდი, ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და სხვანი. ყველაზე ზედმიწევნით ამ თემაზე მსჯელობს **წმინდა კირილე ალექსანდრიელი** ნაშრომში „სიტყვა სულის განსლვაზე“ (იგი, ჩვეულებრივ, გამოკრებილ ფსალმუნებთან ერთად იბეჭდება ხოლმე); ამ გზის ხატოვანი აღწერა მოცემულია ღირსი ვასილი ახლის ცხოვრებაში, რომლის მიხედვით, მიცვალებული ნეტარი თეოდორა ძილში გამოეცხადა ვასილის მოწაფეს და აუწყა ის, რაც იხილა და განიცადა სულის სხეულთან გაყრის შემდგომ, ზეციური სავანეებისაკენ სულის ზეაღსვლის გზაზე. ამ გზას, მიღებულია, ეწოდოს „საზვერეები“. საზვერეებზე ხატოვანი ნაამბობის შესახებ მიტროპოლიტი მაკარი ნაშრომში „მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველება“ შენიშნავს: „მტკიცედ უნდა გვახსოვდეს დარიგება, რაც უთხრა ანგელოზმა ღირს მაკარი ალექსანდრიელს, როცა მან საზვერეებზე დაიწყო საუბარი: „აქ მიწიერი სახეები ზეციურის ყველაზე მკრთალ ანარეკლად ჩათვალე“. გვმართებს საზვერეების გავლას შეძლებისდაგვარად მივანიჭოთ ის სულიერი დატვირთვა, რაც მეტ-ნაკლებად გრძნობადი, ანთროპომორფული მახასიათებლებით არის დაფარული“.[1]

სულის პირადი სამსჯავროს შემდგომი მდგომარეობის შესახებ მართლმადიდებელი ეკლესია ასე გვასწავლის: „გვწამს, რომ მიცვალებულთა სულები ან ნეტარებენ, ან იტანჯებიან თვისთა საქმეთა მიხედვით. ისინი სხეულთან განშორებისთანავე იწყებენ სიხარულის, დარდისა თუ მწუხარების განცდას. მაგრამ არც სრულ ნეტარებასა და არც სრულ ტანჯვას არ განიცდიან, რამეთუ მათ საყოველთაო აღდგომის დროს მიიღებს თითოეული, როცა სული შეუერთდება იმ სხეულს, რომელშიც იგი სათნოდ თუ მანკიერად ცხოვრობდა“.[2] მაშასადამე, მართლმადიდებელი ეკლესია განასხვავებს კერძო სამსჯავროს შემდგომ ორ მდგომარეობას: ერთს – მართალთათვის და მეორეს – ცოდვილთათვის; ანუ სამოთხესა და ჯოჯოხეთს. ეკლესია არ ცნობს რომაული კათოლიციზმის სწავლებას სამ მდგომარეობაზე, ესენია: 1. ნეტარება; 2. განსაწმენდელი (პურგატორიუმი); 3. გეჰენიაში ყოფნა.

ეკლესიის მამები თვითონ სახელდებას – „გეჰენიას“, ჩვეულებრივ აკუთვნებენ საშინელი სამსჯავროს **შემდგომ** მდგომარეობას, როდესაც სიკვდილიცა და ჯოჯოხეთიც დაინთქმება ***„...ტბასა მას ცეცხლისასა“*** (გამოცხ. 20,15). ეკლესიის მამები საღვთო წერილზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ საშინელ სამსჯავრომდე ცოდვილთა ტანჯვას დაწყებითი ხასიათი აქვს: იგი შეიძლება შემსუბუქდეს ან მოიხსნას ეკლესიის ლოცვით.[3] ასევე, **ჯო-**

ჯოხეთის წყვდიადით შეკრული დაცემული სულებიც იმარხებიან ***„... საშჯელად დიდისა მის დღისა...“*** (იუდ. 6; შდრ. 2 პეტ. 3, 4).

უფლის მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს დღის მოახლოების ნიშნები

(**მათე, თავი 24-ე**)

უფალმა ისევ ჩვენივე სიკეთისათვის არ ინება, გაემხილა ამჟამინდელი ცისა და ქვეყნის „ბოლო ჟამის“ თარიღი, დღე ძე კაცისას მოსვლისა, „დღე უფლისა“. ***„...დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან“*** (მათე, 24, 36). ***„...არა თქუენი არს ცნობაჲ ჟამთა და წელთაჲ, რომელნი-იგი მამამან დასხნა თჳსითა კელმწიფებითა“*** (საქმ. 1, 7). ამ გაურკვევლობამ უნდა აიძულოს ქრისტიანები, მუდმივად ფხიზლობდნენ სულიერად: ***„...მღჳძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი. ...რომელსა ესე გეტყჳთ თქუენ, ყოველთა გეტყჳ: მღჳძარე იყვენით“*** (მარკოზი, 13, 33, 37).

თუმცა, უფლისაგან დაწესებული ვადების არცოდნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქრისტიანს, ფიქრებით ჩაუღრმავდეს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას და მათი „ბოლო ჟამის“ **მოახლოების ნიშნები** ამოიცნოს. უფალი გვარიგებდა: ***„ხოლო ლელჳსაგან ისწავეთ იგავი: ვითარცა-იგი რაჟამს რტონი მისნი დაჩჩჳან, და ფურცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული“***(მათე, 24, 32).

აი, საღვთო წერილში მითითებული ზოგიერთი ნიშანი:

1. სახარების გავრცელება მთელ მსოფლიოში: ***„და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული“*** (მათე, 24, 14);

2. ბოროტი ძალების უჩვეულო გამოვლინება. ***„...განმრავლებითა უსჯულოებისაჲთა განკმეს სიყუარული მრავალთაჲ“*** (მათე, 24, 12). პავლე მოციქული ამბობს: ***„...უკანაჲსკნელთა დღეთა მოიწინენ ჟამნი ბოროტნი. და იყვნენ კაცნი თავის მოყუარე, ვეცხლის მოყუარე, ლაღ, თავ მოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩ, უმადლო, ულირს, უყუარულ, ... გულის თქუმის მოყუარე უფროჲს, ვიდრე ღმრთის მოყუარე. აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ“*** (2 ტიმ. 3, 1-5). რწმენის დასუსტება: ***„...ხოლო მო-რაჲ-ვიდეს ძე კაცისაჲ, პოვოს-მეა სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა?“*** (ლუკა, 18, 8);

3. ეშმაკი წამოიწყებს ბრძოლას ქრისტეს სამეფოს წინააღმდეგ თავისი იარაღის – ანტიქრისტეს საშუალებით. სახელდება „ანტიქრისტე“ წმინდა წერილში ორგვარი მნიშვნელობით გამოიყენება: ზოგადი, რომელიც გულისხმობს ქრისტეს ყველა მოწინააღმდეგეს (ამ გაგებით იხსენიება ანტიქრისტე წმინდა

იოანე ღვთისმეტყველის პირველ და მე-2 ეპისტოლეებში) და განსაკუთრებული მნიშვნელობით, გარკვეული პირის – ქრისტეს მოწინააღმდეგის (თავისი თავის ქრისტედ წარმომდგენის) აღსანიშნავად, რომელიც სამყაროს აღსასრულის წინ გამოჩნდება. ანტიქრისტეს თვისებებსა და საქმეებზე ვკითხულობთ პავლე მოციქულთან: ***„ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუენ ნუ რომლითა საზითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს განდგომილებაჲ იგი პირველად, და გამოჩნდეს კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ, მკდომი იგი და განლაღებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელ-დებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი. არა გაჴსოვს, რამეთუ ვიდრე-იგიღა ვიყავ თქუენ თანა, ამასვე გეტყოდე თქუენ?... რამეთუ საიდუმლოჲ იგი აწვე იქმნების უშჯულოებისაჲ, გარნა ხოლო, რომელსა-ესე უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორს განვიდეს, და მაშინ გამოჩნდეს უშჯულოჲ იგი, რომელი-იგი უფალმან აღჴოცოს სულითა პირისა მისისაჲთა და განაქარვოს იგი გამოჩინებითა მით მოსლვისა მისისაჲთა, რომლისა-იგი მოსლვაჲ არს შეწევნითა ეშმაკისაჲთა, ყოვლითავე ძალითა და ნიშებითა სასწაულებითა ტყუილისაჲთა. და ყოვლითავე საცთურითა სიცრუისაჲთა და წარწყმედულთა მათ შორის, რამეთუ ვინაჲთგან სიყუარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხონდეს იგინი, ამისთჳს მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისაჲ, რაჲთა ჰრწმენეს მათ ტყუვილისაჲ“*** (2 თეს. 2, 3-5, 7-11). ღვთის ამ მოწინააღმდეგის სახეს აღწერს, აგრეთვე, დანიელ წინასწარმეტყველი თავის ხილვაში (იხ. თავი 11-13). ანტიქრისტე იმოქმედებს სამსჯავროს დღემდე (იხ. 2 თეს. 2, 8). ანტიქრისტეს პიროვნების თვისებებსა და მოქმედების სავარაუდო ფორმებს ზედმიწევნით აღწერენ **წმინდა კირილე იერუსალიმელი** თავის „განსასწავლ დარიგებანში“ (მე-5 და მე-15) და **ღირსი ეფრემ ასური** ნაშრომში „სიტყვა უფლისა და ანტიქრისტეს მოსვლის შესახებ“;

4. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში მითითებულია ანტიქრისტეს მოღვაწეობის ეპოქაში „ორი მოწმის“ გამოჩენა, რომლებიც იწინასწარმეტყველებენ ჭეშმარიტებას, მოახდენენ სასწაულებს და ***„რაჟამს აღასრულონ წამებაჲ მათი, ... მოკლნეს იგინი. და შემდგომად სამისა მის და ნახევარისა დღისა ... აღდგეს ფერჴთა ზედა მათთა ... და აღვიდეს ზეცად ღრუბლითა“*** (გამოცხ. 11, 7, 11, 12).

ძე კაცისას მეორედ მოსვლა
(მათე, თავი 25-ე)

ძე ღვთისას ამქვეყნიდან ზეცად ამაღლების დროიდან მორწმუნე ქრისტიანთა სულიერი ხედვა მიმართულია მსოფლიოს ისტორიის უდიდესი სამომავლო მოვლენის – უფლის ამქვეყნად მეორედ მოსვლისკენ.

ამ მოსალოდნელი მოსვლის სინამდვილე სრულიად გარკვევით დაამოწმა თავად უფალმა იესო ქრისტემ და თან დაწვრილებით დაახასიათა ეს მოვლენა (იხ. მათე, 16, 27; მათე, 24; მარკოზი, 8, 38; ლუკა, 12, 40; ლუკა, 17, 24; იოანე, 14, 3). მის შესახებ იუწყებოდნენ ანგელოზები უფლის ამაღლების დროს (იხ. საქმ. 1, 11); მასვე ხშირად შეგვახსენებენ მოციქულები: იუდა (იხ. იუდა, 14, 15), იოანე (იხ. 1 იოანე, 2, 28) და პეტრე (იხ. 1 პეტ. 4, 13) და მრავალჯერ – პავლე მოციქული (იხ. 1 კორ. 4, 5; 1 თეს. 5, 2-6 და სხვა).

თვითონ უფალმა მოწაფეებს თავისი მოსვლა, როგორც მოვლენა, ასე დაუხასიათა: იგი უეცრად და ყველასთვის ცხადად მოხდება: ***„რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზისა-აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ“*** (მათე, 24, 27).

თავდაპირველად გამოჩნდება ***„...სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი...“*** (მათე, 24, 30). ეს „სასწაული“ (ნიშანი) ეკლესიის წმინდა მამათა ერთსულოვანი განმარტებით, უფლის ცხოველმყოფელი ჯვარია.

უფალი მთელი თავისი დიდებითა და ანგელოზთა ურიცხვი დასით გარშემორტყმული მოვა: ***„...და იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა“*** (მათე, 24, 30), ***„...ანგელოზთა თანა წმიდათა“*** (მარკოზი, 8, 38). მაშინ უფალი დაჯდება ***„...საყდართა დიდებისა თჳსისათა“*** (მათე, 25, 31). მაშასადამე, მეორედ მოსვლა განსხვავებული იქნება პირველთან შედარებით: უფალმა მაშინ ***„დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილადმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა“*** (ფლპ. 2, 8).

იგი მოვა, რათა მოხდეს ***„...განკითხვაჲ სოფლისაჲ სიმართლით“*** (საქმ. 17, 31) და მიგებად ***„...კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“*** (მათე, 16, 27). არსებითად ამით განსხვავდება მისი ამქვეყნად მეორედ მოსვლის მიზანი პირველისაგან, როდესაც მოვიდა, ***„...რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“***(იოანე, 3, 17) და ***„...მიცემად სული თჳსი საკჳრად მრავალთა-თჳს“*** (მათე, 20, 28).

მიჯნვალებულთა აღდგომა

(1 კორინთელთა, თავი მე-15)

ძე კაცისას მოსვლის დიად დღეს მოხდება მიცვალებულების საყოველთაო აღდგომა. ამის შესახებ საუბრობს უფალი: ***„...მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ. და გამოვიდოდიან კეთილის-მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“*** (იოანე, 5, 28, 29). როდესაც სადუკეველნი უნდობლობით მოეკიდნენ აღდგომის შესაძლებლობას,

უფალმა შერისხა ისინი: ***„...სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი*** (ანუ ყოვლისშემძლეობა) ***ღმრთისაჲ“*** (მათე, 22, 29).

აღდგომის ჭეშმარიტების უეჭველობა და მისდამი რწმენის მნიშვნელობა პავლე მოციქულმა ასე გამოხატა: ***„უკუეთუ აღდგომაჲ მკუდართაჲ არა არს, არცა ქრისტე აღდგომილ არს. უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი. ვიპოვენით უკუე ცრუ-მოწამეცა ღმრთისა, რამეთუ ვწამებთ ღმრთისათჳს, ვითარმედ აღადგინა ქრისტე, რომელი არა აღადგინა, უკუეთუ ნანდჳლვე მკუდარნი არა აღდგებიან. ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა. და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“*** (1 კორ. 15, 13-15, 20, 22).

აღდგინება მიცვალებულთა – როგორც მართალთა, ისე ცოდვილთა – იქნება საყოველთაო და ერთდროული. ***„და გამოვიდოდიან კეთილის-მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“*** (იოანე, 5, 29). ***„...აღდგომაჲ ყოფად არს მკუდართაჲ, მართალთაცა და ცოდვილთაცა“*** (პავლე მოციქულის სიტყვები მთავარ ფელიქსის წინაშე – საქმ. 24, 15). და თუკი იგივე მოციქული სხვაგან (1 კორ. თავი მე-15 და 1 თეს. თავი მე-4) ლაპარაკობს ქრისტესთან აღსრულებულთა აღდგომაზე და არ ახსენებს ცოდვილთა აღდგომას, ცხადია, იმიტომ, რომ მისი პირდაპირი მიზანია, ქრისტიანებში განამტკიცოს მათი სამომავლო, ქრისტესთან აღდგომის რწმენა. მაგრამ ამასთან უეჭველია ისიც, რომ მართალთა და ცოდვილთა აღდგომის ფორმა და სახე განსხვავებული იქნება. ***„მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა...“*** – ბრძანა უფალმა მხოლოდ მართალთა შესახებ (მათე, 13, 43). „ერთნი მიემსგავსებიან ნათელს, მეორენი – წყვდიადს“, – მსჯელობს ამის თაობაზე ღირსი ეფრემ ასური.[4]

საღვთო წერილიდან უნდა დავასკვნათ, რომ აღმდგარი სხეულები არსობრივად ისეთივენი იქნებიან, როგორიც ჰქონდათ სულებს ამქყვეყნად ცხოვრების დროს: ***„რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაჲ“*** (1 კორ. 15, 53), მაგრამ როგორც მოციქულის ამ სიტყვებიდან ჩანს, მოხდება მათი გარდაქმნა. ყველაზე უწინ მართალთა სხეულები შეიქნებიან ურხრწნელნი და უკვდავნი. მათ საერთოდ ვერ მიეკარება ამჟამინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უძლურებანი და სისუსტენი და იქნებიან სულიერნი, ზეციურნი და მოკლებულნი მიწიერი სხეულის მოთხოვნილებებს. უფლის სიტყვებისამებრ (შდრ. ლუკ. 20, 3), აღდგომის შემდგომი ცხოვრება მიემსგავსება უსხეულო სულთა – ანგელოზთა ცხოვრებას. რაც შეეხებათ ცოდვილებს, მათი სხ-

ეულებიც უეჭველად აღდგებიან ახალი სახით და მიიღებენ უხრწნელებასა და სულიერებას, მაგრამ ამასთანავე, მათზე აისახება ცოდვილის მშვინვიერი მდგომარეობა.

სხეულთა სამომავლო აღდგომის რწმენის განსამტკიცებლად მოციქული მას ადარებს ნათესს, როგორც აღდგომის სიმბოლოს ბუნებაში: ***„არამედ თქუას ვინმე, ვითარმედ: ვითარ-მე აღდგენ მკუდარნი? ანუ რომლითა-მე კორცითა მოვიდენ? უგუნურო, შენ, რომელ დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის. და რომელი-იგი დასთესი, არა თუ იგი გუამი რომელ ყოფად არს დასთესი, არამედ შიშუელი მარცუალი გინა თუ იფქლისაჲ, ანუ თუ სხუაჲ რომელიმე თესლი. ხოლო ღმერთმან მოსცის მას გუამი, ვითარცა უნებბ, და თჳთოეულსა თესლსა თჳსი გუამი“*** (1 კორ. 15, 35-38). იმავე მიზნით ეკლესიის მამები მიუთითებდნენ, რომ სამყაროში საერთოდ არაფერი ქრება და ნადგურდება; ღმერთს ხელეწიფება, აღადგინოს ის, რასაც თვითონვე ქმნის. ისინი ბუნებას მიმართავდნენ აღდგომის მსგავსი მოვლენების მოსაძიებლად. ასეთებად მიაჩნდათ: მიწაში ჩაყრილი და გაღვივებული თესლიდან მცენარის აღმოცენება, ბუნების ყოველწლიურად განახლება გაზაფხულზე, დღის თავიდან დაწყება, გამოღვიძება, მიწის მტვრიდან ადამიანის შექმნა და სხვა.

საყოველთაო აღდგომა და „ცხორება მერმისა მის საუკუნისა“ განეკუთვნება მოვლენებს, რომელთა სრულად წარმოდგენა ჩვენს წარმოსახვას არ ძალუძს, რადგან ისინი ნამდვილი სახით არასოდეს განგვიცდია და არც ჩვენს გონებას შეუძლია მათი დატევნა. შეუძლებელია, ცნობისმოყვარე გონებაში წარმოჩენილი მრავალრიცხოვანი საკითხების გადაჭრა. ისინი და ეკლესიის წმინდა მამათა და მასწავლებელთა ნაწერებში მათ საპასუხოდ გამოთქმული პირადი შეხედულებანი, არ შეადგენს უშუალოდ დოგმატური ღვთისმეტყველების საგანს, რომლის ამოცანაა ზუსტი, წმინდა წერილზე დაფუძნებული სარწმუნოების ჭეშმარიტებათა გამოსახვა.

ქილიაზმის შეუმდგარობა

დღევანდელ დღეს ფართოდ ვრცელდება **ქილიაზმის** სახელით ცნობილი სწავლება (ბერძნ. χιλιασμος – ათასწლეული), რომლის მიხედვით საყოველთაო, საშინელ სამსჯავრომდე დედამიწაზე დამყარდება ქრისტეს ათასწლიანი სუფევა. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: სამყაროს აღსასრულამდე დიდი ხნით ადრე ქრისტე ისევ მოვა ამქვეყნად, დაამარცხებს ანტიქრისტეს, აღადგენს მხოლოდ მართლებს, მოაწყობს დედამიწაზე ახალ სამეფოს, სადაც მასთან ერთად, თავიანთი ღვაწლისა და ტანჯვის ჯილდოდ ათას წელს იმეფებენ მართალნი და დროებითი ცხოვრების ყველა სიკეთით დატკბებიან. უკვე შემდგომ მას მოჰყვება მიცვალებულთა მეორე, საყოველთაო აღდგომა,

სამსჯავრო და სამარადისო საზღაურის მიგება. ასე ფიქრობენ ქილიასტები. ამ სწავლების დამცველნი ეყრდნობიან დაფარულთმჭვრეტელის ხილვას, რომელიც აპოკალიპსისის (ბერძნ. αποκαλνψις – გამოცხადება, აღმოჩენა, გახსნა) მე-20 თავშია მოყვანილი და, რომლის თანახმადაც, ზეციდან გარდამოსულმა ანგელოზმა ***„...შეიპყრა ვეშაპი იგი – გუელი დასაბამისაჲ, რომელ არს ეშმაკი და სატანა ... და შეკრა იგი ათას წელ. ...და სულნი იგი მოკლულთანი წამებისათჳს იესუჲსა და სიტყვისათჳს ღმრთისა ... ცხონდეს და სუფევდეს ქრისტეს თანა ათასსა მას წელსა. ...ესე არს აღდგომაჲ იგი პირველი. და შემდგომად ათასისა მის წლისა განიკსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თჳსისა. და გამოვიდეს ცთუნებად წარმართთა...“*** (გამოცხ. 20, 2, 4, 5, 7, 8). ამას მალევე მოჰყვება ეშმაკისა და მის მიერ ცდუნებულთა სამსჯავრო. მიცვალებულები აღდგებიან, უფრო ზუსტად, წარდგებიან და განისჯებიან ***„...საქმეთაებრ მათთა“*** (გამოცხ. 20, 12). ***„და რომელიცა არა იპოვა წიგნსა მას ცხორებისასა დაწერილ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა ..ესე სიკუდილი მეორე არს...“*** (გამოცხ. 20, 15, 14). პირველი აღდგომით აღდგომილთა მიმართ, მეორე სიკვდილი უძლურია.

ქილიასტური შეხედულებანი ძველად ძირითადად ერეტიკოსთა შორის ვრცელდებოდა, თუმცა ისინი ძველი დროის მსოფლიო ეკლესიის ზოგიერთ ქრისტიან მწერალთანაც გვხვდება (მაგალითად: პაპიუს იეროპოლელი, იუსტინე მოწამე, ირინეოს ლიონელი). ახალ დროში ეს შეხედულებანი პროტესტანტულ სექტებში აღორძინდა. დაბოლოს, ჩვენი დროის სასულიერო ლიტერატურაშიც ვხედავთ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო აზროვნებაში ქილიასტური იდეების შეტანის მცდელობებს.

როგორც ვაჩვენეთ, ამ სწავლებაში იგულისხმება ორი სამომავლო სამსჯავრო (ერთი აღმდგარ მართალთა და შემდგომ მეორე – საყოველთაო); შესაბამისად, ორი სამომავლო აღდგომა (ჯერ მართალთა და მერე ცოდვილთა) და მაცხოვრის დიდებით ორჯერ მოსვლა. ქრისტეს მარტოოდენ ამქვეყნიური, თუმცაღა ნეტარი, სამომავლო მეფობა მართლებთან ერთად გარკვეულ ისტორიულ ეპოქად არის მიჩნეული. ფორმალურად ეს სწავლება ეფუძნება დაფარულთმჭვრეტელის გამოთქმის – „პირველი აღდგომის“ მცდარად გაგებას. ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ თანამედროვე სექტანტთა ძირითად მასას არ სჯერა საიქიო ცხოვრებისა და მართალთა ზეციური ნეტარებისა, რომლებთანაც მათ ლოცვითი ერთობა არ გააჩნიათ.

ზოგ სექტას სხვა მიზეზი აქვს – ეს არის რელიგიური იდეების უკან მდგარი და თითქოსდა აპოკალიპსისის საიდუმლო მინიშნებებში ჩადებული სოციალურ-უტოპისტური ოცნებები. ქილიასტების მიერ აპოკალიპსისის მე-20 თავის განმარტების მცდარობის დანახვა ძნელი არ არის. სიტყვების – „პირველი აღდგომა“ პარალელური ადგილები ცხადყოფენ, რომ მასში იგულისხმება ნათლობის საშუალებით სულიერი აღორძინება ქრისტესთან მარა-

დიული ცხოვრებისათვის. ეს ფრაზა ქრისტესადმი რწმენის საშუალებით აღდგომას ნიშნავს, თანახმად სიტყვებისა: ***„...განიღვძე რომელსა-ეგე გძინავს, და აღდეგ მკუდრეთით, და განგანათლოს შენ ქრისტემან“*** (ეფ. 5, 14) – **თქვენ ქრისტეს თანა-აღსდეგით** – ხშირად ვკითხულობთ მოციქულებთან (შდრ. კოლ. 3, 1; 2, 12; ეფ. 2, 5, 6). ამიტომ გვმართებს, ათასწლოვან მეფობაში ვიგულისხმოთ პერიოდი, რომელიც დაიწყო ქრისტეს მადლმოსილი **ეკლესიის** სუფევის დადგომით. ეს განსაკუთრებით ეხება ზეციურ, მოზეიმე ეკლესიას. არსებითად, მაცხოვრის მიერ აღსრულებულ გამარჯვებას მებრძოლი ეკლესიაც ზეიმობს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ებრძვის „ამა სოფლის თავადს“, რაც სატანის დამარცხებითა და ცეცხლოვან ტბაში მისი საბოლოო შთაგდებით დასრულდება. აზრი, რომ „მეორე სიკვდილი“ არის ცოდვილთა განაჩენი საყოველთაო სამსჯავროზე და იგი არ შეეხება „პირველი აღდგომით“ აღმდგართ, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ქრისტესთან სულიერად აღმდგარნი და საღვთო მადლით განწმედილნი არ დაისჯებიან, არამედ ქრისტეს სასუფევლის ნეტარ ცხოვრებაში შევლენ.

ქილიაზმის თაობაზე მსჯელობა და პირად შეხედულებათა გამოთქმა დასაშვები იყო მხოლოდ მანამდე, სანამ არ გაისმა მსოფლიო ეკლესიის ხმა. მაგრამ მას შემდეგ, რაც II მსოფლიო საეკლესიო კრებამ (381 წელს) დაგმო ერეტიკოს აპოლინარიუსის ყველა ცდომილება, უარყო მისი სწავლება ქრისტეს ათასწლეულზე და სარწმუნოების სიმბოლოში შეიტანა სიტყვები, რომ ქრისტეს „სუფევისა არა არს დასასრულ“, მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ქილიაზმის მხარდაჭერა ყოვლად დაუშვებელია.

ასასრული ამა სოფლისა
(2 პეტრე, თავი მე-3)

ადამიანის დაცემით ყოველი ქმნილება უნებურად მოექცა ხრწნის მონობის ქვეშ და ***„...თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე“*** (რომ. 8, 22). დადგება დრო, როცა მთელი ნივთიერი სამყარო და კაცთა მოდგმა განიწმინდება ადამიანთა ცოდვისაგან და განახლდება. ნივთიერი სამყაროს ეს განახლება უნდა მოხდეს ცეცხლით „უკანასკნელ დღეს“, როდესაც აღესრულება უკანასკნელი სამსჯავრო სოფელზე. წარღვნამდელი კაცობრიობა წყალში დაიხრჩო, ***„ხოლო აწ ცანი და ქუეყანაჲ მითვე სიტყჳთა დაუნჯებულ არიან, ცეცხლისა დამარხულნი დღედ საშჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთაჲსა“*** (2 პეტ. 3, 7); ***„ხოლო მოიწიოს დღე იგი უფლისაჲ, ვითარცა მპარავი ღამისაჲ, რომელსა შინა ცანი მძაფრიად წარკჳდენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ და ქუეყანაჲ და მას შინა საქმენი დაიწუნენ. ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა მსგავსად აღთქუმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკჳდრებულ არს“*** (2 პეტ. 3, 10, 13).

დღევანდელი სამყარო რომ წარმავალია, ამას ჯერ კიდევ ფსალმუნთმგალობელი წინასწარმეტყველებდა: ***„დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანაჲ დაასაფუძნე, და ქმნულნი კელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარკდებიან, ხოლო შენ ჰგიე. და ყოველნი ვითარცა სამოსელნი დაძუელდენ, და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ“*** (ფს. 101, 26, 27). უფალმა იესუ ქრისტემ კი ბრძანა: ***„ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ...“***(მათე, 24, 35).

სამყაროს აღსასრულში იგულისხმება არა მისი სრულად დანგრევა და განადგურება, არამედ მთლიანად შეცვლა და განახლება. V მსოფლიო საეკლესიო კრებამ უარყო ორიგენისტების ცრუსწავლებანი და განსაკუთრებით კატეგორიულად დაგმო მათი შეხედულება, თითქოს ნივთიერი სამყარო კი არ გარდაიქმნება, არამედ მთლიანად განადგურდება.

რაც შეეხება ადამიანებს – უფლის მოსვლის ჟამს ამქვეყნად მცხოვრებთ, ისინი, მოციქულის სიტყვებით, მკვდრეთით აღმდგარი მიცვალებულების მსგავსად მყისიერად გარდაიქმნებიან: ***„აჰა ესერა საიდუმლოსა გითხრობ თქუენ: ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ მეყსა შინა წამსა თუალისასა უკუანაჲსკნელითა მით საყჯრითა, რამეთუ საყჯრსა დაეცეს, და მკუდარნი იგი აღდგენ უხრწნელნი, და ჩუენ განვახლდეთ. რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაჲ“*** (1 კორ. 15, 51-53).

საყოველთაო სამსჯავრო
(გამოცხადება, თავები: 21–ე, 22–ე)

სამომავლო საყოველთაო სამსჯავროს სინამდვილისა და უცილობლობის შესახებ მრავალი მოწმობა არსებობს (იხ. იოანე, 5, 22, 27-29; მათე, 16, 27; 7, 21-23; 11, 22, 24; 12, 35, 41, 42; 13, 37-43; 19, 28-31; 24, 31; 25, 31-46; საქმ. 17, 31; იუდა, 1, 14, 15; 2 კორ. 5, 10; რომ. 2, 5-7; 14, 10; 1 კორ. 4, 5; ეფ. 6, 8; კოლ. 3, 24, 25; 2 თეს. 1, 6-10; 1 ტიმ. 4, 1; გამოცხ. 20, 11-15). ყველაზე სრული სახით იგი მაცხოვარმა წარმოგვიდგინა მათეს სახარებაში (25, 31-46***): „ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა...“.*** აქედან შესაძლებელი ხდება სამსჯავროს დახასიათება; ის იქნება:

ა) საყოველთაო და გავრცელდება ყველა ადამიანზე: ცოცხალსა თუ მკვდარზე, კეთილსა თუ ბოროტზე; დაცემულ ანგელოზებზეც კი, როგორც ამას საღვთო წერილი მიუთითებს (2 პეტ. 2, 4; იუდა, 1, 6);

ბ) საზეიმო და ცხადი, რამეთუ მსაჯული მთელ სამყაროს თავისი სრული დიდებითა და ყველა წმინდა ანგელოზის თანხლებით მოევლინება;

გ) მკაცრი და საშინელი, მთელი საღვთო სამართლით აღსრულებული: ის დღე იქნება ***„...რისხვისა და გამოჩინებისა და მართლმსაჯულობისა ღმრთისასა“***(რომ. 2, 5);

დ) უკანასკნელი და საბოლოო, თითოეული განსასჯელის სამარადისო ხვედრის განმსაზღვრელი. სამსჯავროს შედეგი იქნება მარადიული სასყიდლის მიგება: მართალნი ინეტარებენ, ხოლო დასჯილი ცოდვილნი დაიტანჯებიან.

საღვთო წერილი უნათლესი და ხალისიანი ხატოვნებით გადმოგვცემს მართალთა მარადიულ ცხოვრებას საყოველთაო სამსჯავროს შემდგომ და, ამასთან, დამაჯერებლად ლაპარაკობს ცოდვილთა უეჭველ, საუკუნო ტანჯვაზე. ***„...წარვედით ჩემგან, წყეულნო,*** – ეტყვის მათ მაცხოვარი სამსჯავროს დღეს – ***ცეცხლსა მას საუკუნესა... და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“*** (მათე, 25, 41, 46). წმინდა წერილში ტანჯვის ეს მდგომარეობა ხატოვნად არის წარმოდგენილი, იგი უკავშირდება ტანჯვის **ადგილს**, რასაც ეწოდება **„გეჰენია“.** ცეცხლოვანი გეჰენიის სიმბოლოა იერუსალიმის სამხრეთით მდებარე ენომის ველი. იქ ოდესღაც სიკვდილით სჯიდნენ და, აგრეთვე, ყოველგვარ სიბინძურეს ყრიდნენ, რის გამოც ჭირის ეპიდემიისაგან თავდასაცავად მას მუდამ ცეცხლი ეკიდა. უფალი ბრძანებს:

„და უკუეთუ დაგაბრკოლებდეს ქელი შენი, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა უქელოდსად შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა ქელთა სხმასა და შესლვად გეჰენიასა, ცეცხლსა მას უშრეტსა. სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების და ცეცხლი არა დაშრტების“ (მარკოზი, 9, 43, 44; იხ. აგრეთვე: 45-49). მაცხოვარი არაერთგზის იმეორებს, რომ გეჰენიაში ***„...იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“*** (მათე, 8, 12 და სხვა). იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ამ ადგილსა თუ მდგომარეობას ეწოდება ცეცხლოვანი ტბა (იხ. გამოცხ. 19, 20). პავლე მოციქულთან ვკითხულობთ: ***„ცეცხლითა ალისაჲთა მიგებად შურის-გებისა, რომელთა-იგი არა იციან ღმერთი და რომელნი-იგი არა დაემორჩილებიან სახარებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“*** (2 თეს. 1, 8). აშკარად სიმბოლურია სახეები: მატლი უკვდავი და ცეცხლი ჩაუქრობელი – ისინი ტანჯვის სიმძიმეს უსვამენ ხაზს. ღირსი იოანე დამასკელი შენიშნავს: „ცოდვილნი მიეცემიან საუკუნო ცეცხლს, არა ისეთ ნივთიერს, როგორიც ჩვენთან არის, არამედ ისეთს, რომელიც მხოლოდ ღმერთმა უწყის“.[5]

„ვიცი, – *წერს წმინდა იოანე ოქროპირი,* – რომ მრავალნი ძრწიან მარტო გეჰენიას გაგონებაზეც კი; მაგრამ მე მგონია, რომ დიდების (ღვთის სასუფევლის დიდების) დაკარგვა უფრო სასტიკი წამებაა, ვიდრე გეჰენია“.[6] „ამ სიკეთეთა დაკარგვა, – *მსჯელობს იგი სხვაგან,* – ისეთ წამებას გაყენებს, ისეთ მწუხარებასა და შეჭირვებას განგაცდევინებს, რომ ამა სოფლად შემცოდეს საერთოდ რომ არ ელოდებოდეს სასჯელი, უკვე თავისთავად ეს არის გეჰენიის ტანჯვაზე ძლიერი, რასაც შეუძლია დაფლითოს და ააღელვოს ჩვენი სულები... ბევრ უგუნურს სურს, რადაც უნდა დუჯდეს,

გეჰენიას დააღწიოს თავი. მაგრამ მე გეჰენიაზე გაცილებით უფრო მტანჯველ სასჯელად ვთვლი, მოკლებულ იყო ღვთის სასუფევლის დიდებას; და მან, ვისაც ეს წაერთვა, ვფიქრობ, უნდა იტიროს არა იმდენად გეჰენიის ტანჯვაზე, რამდენადაც ზეციურ სიკეთეთა დაკარგვაზე. რამეთუ ეს არის ყველა სასჯელზე უსასტიკესი".[7]

ამგვარადვე მსჯელობს წმინდა ირინეოს ლიონელიც.[8]

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის: „აღიარე აღდგომა, სამსჯავრო და საღვთო მსჯავრის სამართლით მიგება. გულით განწმენდილებს მიეგებათ ნათელი, ანუ სიწმინდის ხარისხის მიხედვით იხილავენ და შეიცნობენ ღმერთს, იმას, რასაც ზეციურ სასუფეველს ვუწოდებთ. ხოლო გონებადაბნელებულთა თუ ღვთისაგან განდგომილთათვის, მათი ამქვეყნიური სიბეცის მიხედვით, დაისადგურებს წყვდიადი".[9]

ეკლესია საღვთო წერილზე დაყრდნობით აღიარებს გეჰენიის ტანჯვას, როგორც საუკუნოსა და დაუსრულებელს. ამიტომაც დაგმო V მსოფლიო საეკლესიო კრებამ ორიგენისტების ცრუსწავლება, თითქოს დემონები და უკეთური ადამიანები ჯოჯოხეთში მხოლოდ გარკვეულ დრომდე დაიტანჯებიან, შემდგომ კი პირველყოფილ, უცოდველ მდგომარეობაში აღდგებიან (აპოკატასტასისი). საყოველთაო სამსჯავროზე განკითხვას წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში „მეორე სიკვდილი" ეწოდება (შდრ. გამოცხ. 20, 14).

ძველადაც და ახლაც ცდილობდნენ და ცდილობენ, რომ გეჰენიის ტანჯვა გადატანითი მნიშვნელობით გაიგონ, „საუკუნო" გააიგივონ ხანგრძლივ, მაგრამ დასრულებად დროსთან თუ „პერიოდთან". ზოგჯერ ამ ტანჯვის სინამდვილეს საერთოდ უარყოფენ. ასეთ შემთხვევაში მოჰყავთ ლოგიკაზე დამყარებული შეხედულებანი, მიუთითებენ ტანჯვის შეუთავსებლობაზე საღვთო მოწყალებასთან; ხაზს უსვამენ დროებითი დანაშაულისა და ცოდვისათვის საუკუნოდ დასჯის თითქოსდა შეუსაბამობას და მას შეუთავსებლად მიიჩნევენ ადამიანის შექმნის საბოლოო მიზანთან – ღმერთთან ნეტარებასთან. ჩვენი დასადგენი არ არის საღვთო გამოუთქმელ წყალობასა და მის სამართლიანობას შორის საზღვრები. ვიცით, რომ უფალს ***„...ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ"*** (1 ტიმ. 2, 4), მაგრამ საკუთარი ბოროტი ნებით ადამიანს შეუძლია, ხელი ჰკრას საღვთო მოწყალებასა და ცხონების საშუალებებს. **წმინდა იოანე ოქროპირი** საშინელი სამსჯავროს განმარტებისას შენიშნავს: „როდესაც იგი (უფალი) ლაპარაკობდა სასუფეველზე, მაშინ ბრძანა: ***„მოვედით, კურთხეულნო ... დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი..."*** და დაურთო: ***„...დასაბამითგან სოფლისაჲ"*** (მათე, 25, 34). ხოლო ცეცხლზე საუბრისას დაუმატა: ***„...რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და***

ანგელოზთა მისთათჳს“(მათე, 25, 41). რამეთუ მე სასუფეველი განვამზადე თქვენთვის, ხოლო ცეცხლი კი ეშმაკისა და მის მსახურთათვის; და რადგან თქვენ, საკუთარი თავი ცეცხლს განუმზადეთ, თქვენს თავს დააბრალეთ“.[10]

ჩვენ უფლება არ გვაქვს, ღვთის სიტყვები ზერელედ და მუქარად ჩავთვალოთ და მხოლოდ მაცხოვრის მიერ გამოყენებულ აღმზრდელობით მეთოდად მივიჩნიოთ. ამ მოსაზრებას თუ დავეთანხმებით, ცოდვას ჩავიდენთ, რადგან მაცხოვარი არ შთაგვაგონებს ამას; ღვთის რისხვას დავიტეხთ თავს, როგორც ამას ფსალმუნთმგალობელი ამბობს: ***„რად-მე განარისხა ულმრთომან ღმერთი? – რამეთუ თქუა გულსა შინა თჳსსა: არა გამოიძიოს“*** (ფს. 9, 34).

თუმცა თავად ცნება „რისხვა“ ღმერთთან მიმართებაში პირობითია და ანთროპომორფული, როგორც ამას **ღირსი ანტონი დიდის** დარიგებებიდან ვიგებთ. იგი ამბობს: „ღმერთი სახიერია, უვნებო და უცვალებელი. ზოგიერთი აღიარებს ღმერთში ჭეშმარიტ უცვალებლობას და, ამასთან, საგონებელში ვარდება – როგორ ხდება, რომ უფალს უხარია სიკეთე ან პირს იბრუნებს ბოროტებისაგან; ურისხდება ცოდვილთ, შეინანებენ ისინი და მათდამი მოწყალებას იჩენს. ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ ღმერთს არც უხარია და არც მრისხანებს, რამეთუ სიხარულიცა და მრისხანებაც ვნებებს განეკუთვნება. უაზრობაა, იფიქრო, რომ კაცთა საქმეების გამო ღმრთეება იყოს კარგად ან ცუდად. ღმერთი სახიერია და მხოლოდ სიკეთეს იქმს, ვნებით კი არავის ვნებს, იგი მარადის უცვალებელია. ჩვენ კი, როცა კეთილნი ვართ, მას ვემსგავსებით და ღმერთთან ერთობაში შევდივართ. როცა გავბოროტდებით, განვეშორებით მას, რადგანაც უკვე აღარ ვგავართ. სათნოდ ვცხოვრობთ და ღვთისანი ვართ, სიავე შეგვიპყრობს და მისგან განდგომილნი ვხდებით. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ღმერთი ბრაზდებოდეს ჩვენზე. ეს ჩვენი ცოდვები არ აძლევენ ღმერთს საშუალებას, გაბრწყინდეს ჩვენში. ჩვენ მტანჯველ დემონებთან ცოდვები გვაერთებს. თუკი შემდგომი ლოცვებითა და ქველმოქმედებებით ცოდვათაგან გამოხსნას მივაღწევთ, ეს არ ნიშნავს, თითქოს ღმერთი მოვალბეთ და შევცვალეთ. ამგვარი ქმედებებითა და ღვთისადმი დამოკიდებულებით ჩვენ ვუმკურნალეთ საკუთარ თავში არსებულ ბოროტებას და ამიტომაც ისევ შემძლებელნი ვხდებით, ვიგემოთ საღვთო სიკეთე. ასე რომ, ნათქვამი „ღმერთი პირს იბრუნებს ბოროტისაგან“ იგივეა, რომ ვთქვათ „მზე ემალება უსინათლოებს“.[11]

ასევე ყურადღების ღირსია ვიშენის ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის მარტივი მსჯელობა: „მართალნი მარადიულ ცხოვრებაში წავლენ, დარჩენილი ცოდვილნი კი ავსულებთან ერთად მარადიულ ტანჯვაში აღმოჩნდებიან... როგორც მარადიული ცხოვრებაა დაუსრულებელი, ასევე დასასრული არ ექნება იმ მარადიულ ტანჯვას, რომელიც ცოდვილებს ემუქრება. ვერავითარი მკითხაობა ვერ დაამტკიცებს სატანიზმის შეწყვეტის შესაძლე-

ბლობას. რა აღარ ნახა სატანამ თავისი დაცემის შემდგომ! რამდენჯერ იხილა საღვთო ძალა! თავად როგორ დამარცხდა უფლის ჯვრის ძალით! და დღევანდლამდე როგორ მარცხდება ამ ძალით ყველა მისეული ვერაგობა და სიბორტე! და მაინც არ ჩერდება, ეწინააღმდეგება, რაც უფრო შორს მიდის, მით უფრო ჯიუტობს. არა, არავითარი იმედი მისი გამოსწორებისა არ არსებობს! თუ მისი გამოსწორებაა უიმედო, მაშინ ასევე იქნება მათთვისაც, ვინც მისი გავლენის ქვეშ დარჩა. მაშასადამე, შეუძლებელია, არ არსებობდეს ჯოჯოხეთის მარადიული ტანჯვა".

ღირს ქრისტიან მოსაგრეთა ნაწერებიდან ჩანს, რომ ზნეობრივი შეგნების ამაღლებასთან ერთად, უფრო მწვავდება ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; მძაფრდება შიში იმისა, რომ არ შეურაცხყო ღმერთი და შეგნება სასჯელის გარდუვალობისა – საღვთო მცნებათა გადასვლის გამო; მაგრამ ასევე იზრდება საღვთო მოწყალებისადმი სასოება. ყველა ჩვენგანისათვის აუცილებელია და სანუგეშო, რომ გვქონდეს საღვთო მოწყალების იმედი და შევთხოვდეთ უფალს – მოგვმადლოს ის.

სუფევა დიდებისა

ამა სოფლის აღსასრულისა და მის ახალ, უკეთეს სამყაროდ გარდაქმნასთან ერთად, განიღება საუკუნო სასუფეველი ღვთისა, დადგება სუფევა დიდებისა.

მაშინ დასრულდება „მადლის სუფევა" – მებრძოლი, მიწიერი ეკლესიის არსებობა. იგი შევა დიდების სამეფოში და შეერწყმება ზეციურ ეკლესიას. ***„მაშინღა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაჲ ღმერთსა და მამასა, რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი ჴელმწიფებანი და ძალნი. რამეთუ ჯერ-არს მისი სუფევაჲ, ვიდრემდის დაისხნეს ყოველნი მტერნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა. უკუანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს – სიკუდილი, ხოლო რაჟამს დაემორჩილოს მას ყოველი, მაშინ თავადიცა ძე დაემორჩილოს მას, რომელმან-იგი დაამორჩილა მას ყოველი, რაჲთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა"*** (1 კორ. 15, 24-26, 28). ეს სიტყვები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: აღსრულდება ძის მიერ მამისაგან მიღებული მისია – ეკლესიის საშუალებით კაცობრიობის ღმერთისკენ შემობრუნება. მაშინ იმეფებს ძე მამასა და სულიწმიდასთან ერთად დიდების სამეფოში, და ***„...სუფევისა მისისაჲ არა იყოს დასასრულ",*** – როგორც ახარა მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს (ლუკა, 1, 33). ამასვე ვკითხულობთ სარწმუნოების სიმბოლოში: „რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ".

„რამეთუ, – *ამბობს წმინდა კირილე იერუსალიმელი,* – ის, ვინც მტრების დამარცხებამდე სუფევდა, ნუთუ მით უფრო არ იმეფებს მას შემდეგ, რაც მათზე გაიმარჯვებს?"[12]

სიკვდილი უძლური იქნება დიდების სამეუფოში. ***„უკანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს – სიკუდილი, ...მაშინ აღესრულოს სიტყუაჲ იგი წერილისაჲ: დაინთქა სიკუდილი ძლევითა“*** (1 კორ. 15, 26, 54); ***„...ვითარმედ: ჟამი არღა იყოს“*** (გამოცხ. 10, 6).

გამოცხადებაში ხატოვნად არის აღწერილი საუკუნო ნეტარი ცხოვრება: ***„და ვიხილე ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი ქუეყანაჲ წარკდეს, და ზღუაჲ არღარა არს“*** (გამოცხ. 21, 1). მომავალ სამეფოში ყველაფერი განსულიერებული, უკვდავი და წმინდა იქნება.

მთავარი მაინც ის არის, რომ სამომავლო ნეტარ ცხოვრებას მიღწეულნი და ***„...საღმრთოჲსა მის ზიარ ბუნებისა...“***(2 პეტ. 1, 4) ქცეულნი, თანამონაწილენი გახდებიან იმ უსრულყოფილესი ცხოვრებისა, რომლის წყაროც მარტოოდენ ღმერთშია. უფრო ზუსტად, ღვთის სასუფევლის მომავალი წევრები ანგელოზების დარად **ღმერთის ხილვისა** და მისი დიდების ჭვრეტის ღირსნი შეიქნებიან (შდრ. მათე, 5, 8), არა ***„...ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ...“*** (1 კორ. 13, 12). ისინი გახდებიან არა მარტო მჭვრეტელნი დიდებისა, არამედ თავადაც მიიღებენ მასში **მონაწილეობას** და ***„...გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა...“***(მათე, 13, 43); როგორც ქრისტეს თანამემკვიდრენი, მასთან ერთად დასხდებიან საყდარზე და მის მეფურ დიდებულებას გაიზიარებენ (შდრ. გამოცხ. 3, 22; 2 ტიმ. 2, 11, 12).

როგორც გამოცხადებაში არის სიმბოლურად ასახული ***„არღარა მოემშიოს მათ, არცაღა მოეწყუროს, არცაღა მოვიდეს მათ ზედა მზე, არცა ყოველივე სიცხე, რამეთუ კრავი იგი, რომელ არს შორის საყდრისა, ჰმწყსის მათ და უძღჳს წყაროთა მიმართ წყლისა ცხოველისათა, და აღჴოცოს ღმერთმან ყოველივე ცრემლი თუალთაგან მათთა“***(გამოცხ. 7, 16, 17). ესაია წინასწარმეტყველის თანახმად: ***„...თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“***(1 კორ. 2, 9; იხ. აგრეთვე: ეს. 64, 4).

ღმერთთან ნეტარება მით უფრო სანუკვარია, რადგან იგი მარადის, დაუსრულებლად გაგრძელდება: ***„და წარვიდენ ... მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“*** (მათე, 25, 46).

თუმცაღა, ეკლესიის მამების აზრით, ღმერთთან განდიდება მოხდება თითოეულის ზნეობრივი ღირსების შესაბამისი ხარისხით. ამის თაობაზე დასკვნის გაკეთება წმინდა წერილიდან შეიძლება: ***„სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან...“*** (იოანე, 14, 2); ***„...მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ*** (მათე, 16, 27); ***„კაცად-კაცადმან თჳსი სასყიდელი მიიღოს თჳსისაებრ შრომისა“*** (1 კორ. 3, 8); ***„...ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმათ დიდებითა“*** (1 კორ. 15, 41).

ღირსი ეფრემ ასური ბრძანებს: „როგორც გრძნობადი მზის სხივებით ტკბება ყოველი თავისი მხედველობის ძალისა და განცდის სიწმინდის შესაბამისად და, როგორც სახლის გასანათებლად ანთებული ერთი ლამპრის შუქი სხივებად იშლება და თითოეულ მათგანს თავისი ადგილი აქვს, თავად სინათლე კი არ იყოფა ლამპრებად, ასევე, მერმის საუკუნეში მართალნი განუყოფლად დამკვიდრდებიან ერთიან სიხარულში, თუმცა თითოეული თავისი საზომით გაბრწყინდება ერთი, გონებისმიერი მზით და თავისი ღირსების ხარისხის შესაბამისად აღივსება ერთიანი საერთო სიხარულითა და მხიარულებით, თითქოსდა ერთ ადგილსა და ჰაერში. ამასთან, არავინ იხილავს მაღალსა და დაბალ საზომს, რათა სხვისი უმეტესი მადლისა და საკუთარის სიმცირის დანახვის მიზეზით არ შეექმნას დარდისა და შფოთის საბაბი, – ნუ იყოფინ! იქ, სადაც არა არს ურვა, არცა სულთქმა. იქ ყოველი მისთვის სათანადო მადლმოსილებითა და მიღწეული საზომისამებრ გაიხარებს შინაგანად, გარეგნულად კი ყველას ერთი ჭვრეტა და ერთი სიხარული ექნება“.[13]

ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებათა გადმოცემას ვასრულებთ მოსკოვის მიტროპოლიტ მაკარის სიტყვებით, მისი „დოგმატური ღვთისმეტყველების“ ვრცელი კურსიდან:

„მოგვმადლე ჩვენ, ღმერთო, ყველას და ყოველთვის, ცოცხალი და დაუდუმებელი ხსოვნა შენი სამომავლო დიდებით მოსვლისა და შენი უკანასკნელი, საშინელი სამსჯავროსი ჩვენ ზედა, შენი ყოვლადმართალი და საუკუნო საზღაურისგება მართალთა და ცოდვილთათვის; რათა ხსოვნითა და შენი მადლმოსილი თანადგომითა, ***„...სიწმიდით და სიმართლით და ღმრთისმსახურებით ვცხოვნდებოდით ამას სოფელსა“*** (ტიტე, 2, 12) და ამგვარად მივაღწიოთ ბოლოს მარადის ნეტარ ცხოვრებას ზეცაში, რათა მთელი არსებით დიდებისგმეტყველებდეთ შენ, თანადაუსაბამო მამით შენით და ყოვლადწმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ“.[14]

ღვთის სიტყვაში გაცხადებული სწავლება ღვთის სიბრძნის შესახებ

სიტყვა სიბრძნე („სოფია“) წმინდა წერილის ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში გვხვდება.

ახალი აღთქმის წიგნებში ის სამი მნიშვნელობით არის გამოყენებული: სიბრძნის, გონიერების ზოგადი მნიშვნელობით: ***„და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა...“*** (ლუკა, 2, 52); ბრძნული საღვთო განგებულების აზრით, რაც ვლინდება სამყაროს შექმნაში, მასზე

ზრუნვასა და ცოდვისაგან მის გამოხსნაში: ***„ჲ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ... ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო მას?“*** (რომ. 11, 33, 34); ასევე, ძე ღმერთთან, როგორც ღვთის ჰიპოსტასურ სიბრძნესთან, მიმართებით: ***„ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცუმულსა... ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“*** (1 კორ. 1, 23, 24) ***„...რომელი-იგი იქმნა ჩუენდა სიბრძნე ღმრთისა მიერ...“*** (მუხ. 30).

წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნებში ბევრგან იხსენიება სიბრძნე და იქაც ეს ტერმინი ამ სამი მნიშნელობით არის გამოყენებული. სიბრძნის შესახებ განსაკუთრებული აზრია გამოთქმული იგავთა წიგნში და ორ არაკანონიკურ წიგნში: „სიბრძნე სოლომონისა“ და „სიბრძნე ზირაქისა“.

უმეტეს შემთხვევაში ადამიანური სიბრძნე განიხილება როგორც ღმერთისგან ბოძებული ნიჭი, რომელიც უაღრეს გაფრთხილებას საჭიროებს. თვით სახელწოდება „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ზირაქისა“ მიანიშნებს, რომ ამ სიტყვაში (სიბრძნე) ადამიანური სიბრძნე იგულისხმება. ძველი აღთქმის სხვა წიგნების ცალკეულ ეპიზოდებშიც ხაზგასმულია ადამიანური სიბრძნე, მაგალითად, ცნობილი სამსჯავრო სოლომონისა. აღნიშნული წიგნები იუდეველთა ღვთივსულიერი მასწავლებლების აზრებს გვაცნობს. ეს მოძღვრები შეაგონებენ ერს, იხელმძღვანელონ გონებით, არ მიეცნენ ბრმა გატაცებებსა და ვნებებს; მტკიცედ მისდიონ კეთილგონიერების მოთხოვნებს, მორალურ კანონს, პირადი, ოჯახური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მყარ პრინციპებს. ამ თემას ეძღვნება აზრთა მნიშვნელოვანი ნაწილი იგავთა წიგნშიც.

წიგნის სახელწოდება – „იგავთა წიგნი“, მკითხველს აფრთხილებს, რომ მასში გამოყენებულია გადატანითი, მეტაფორული და ალეგორიული გადმოცემის მეთოდები. წიგნის შესავალში ავტორი ჯერ მიუთითებს თემებს გონების, სიბრძნისა და სასჯელის შესახებ, შემდეგ გამოთქვამს რწმენას, რომ ***„მცოდნე ... მიხვდეს იგავს და ანდაზას, ბრძენთა ნათქვამებს და მათ არაკებს“*** (იგავნი, 1, 5, 6); ანუ ჩასწვდება სიტყვების იგავურობას, იდუმალებას, ხატოვნებას და ყველაფერს სიტყვასიტყვით არ მიიღებს. მართლაც, შემდგომ მსჯელობებში უხვად ვხვდებით ადამიანური სიბრძნის ხატოვნად ამსახავ მაგალითებს: ***„უთხარი სიბრძნეს: ჩემი და ხარ-თქო, ჭკუა-გონებას მეგობარი უწოდე“***, ანუ ჰყავ იგი შენს მოყვასად (7, 4); ***„არ დააგდო და შეგინახავს, შეიყვარე და დაგიფარავს. დააფასე და აგამაღლებს; პატივს შეგმატებს, თუ გულში ჩაიკრავ. ლამაზ გვირგვინს მოგცემს თავზე დასარქმელად, დიდების შარავანდს გიბოძებს“*** (4, 6, 8, 9); ***„კარიბჭეებთან, ქალაქის პირთან, ღია კარებში მღერის იგი“*** (8, 3). ადამიანის სიბრძნის შესახებ იმავე აზრებს შეიცავს წიგნიც „სიბრძნე სოლომონისა“.

ცხადია, ყველა ეს მსჯელობა არ შეიძლება გაგებულ იქნას სოფისტური თვალსაზრისით, როგორც სწავლება პიროვნული სიბრძნის – სამყაროს სულის შესახებ. აქ იგულისხმება სიბრძნე, რომელსაც ადამიანი ფლობს, იძენს, კარგავს, იყენებს და რომლის სათავეა შიში უფლისა. სიბრძნესთან ერთად სახელდება აგრეთვე – გონება, სასჯელი და შემეცნება.

სად არის სიბრძნის დასაბამი? მისი, ისევე როგორც ყოველივესი ამქვეყნად, სათავე ღმერთშია. ***„უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“*** (იგავ. 2, 6). ღმერთი არის ***„წინამძღვარი სიბრძნისა და ბრძენთა წარმმართველი“*** (სიბრ. სოლომ. 7, 15).

საღვთო სიბრძნეს ანუ სიბრძნეს თვით ღმერთში ეხება გამონათქვამთა მეორე ჯგუფი. საღვთო სიბრძნის შესახებ აზრები მკვეთრად ემიჯნება ადამიანში სიბრძნის შესახებ აზრებს.

თუკი გონება და სიბრძნე ადამიანში ესოდენ მაღალი ღირსებისაა, მაშინ რაოდენ დიდებულია ისინი თვით ღმერთში! მწერალი შეძლების მიხედვით ამაღლებულ გამოთქმებს მიმართავს, რათა წარმოგვიდგინოს ძალი და დიდება საღვთო სიბრძნისა. იგი აქაც ფართოდ იყენებს ხატოვნებას: საუბრობს საღვთო გეგმების სიდიადეზე, რაც ადამიანური წარმოდგენით, წინმსწრები იყო შესაქმისა. რადგანაც ღვთის სიბრძნე ყოველივე არსებულის საფუძველია, ამიტომაც არსებობს უწინარეს ყოველთა. ***„უფალმა შემოძინა თავისი გზის დასაწყისში, თავის ქმნილებებამდე დასაბამით; უკუნითიდან დამადგინა, თავიდანვე, ქვეყნის დასაბამიდან. როცა არ იყო უფსკრულები, მაშინ გავჩნდი, როცა არც წყალუხვი წყაროები იყო; მე გავჩნდი, ვიდრე მთები დამყარდებოდნენ, ბორცვებზე უწინარეს... როდესაც იგი ზეცას განამზადებდა, იქ ვიყავი...“.*** ავტორი საუბრობს სამყაროს სილამაზეზე, ხატოვნად გამოთქვამს შესაქმის წიგნში გადმოცემულს ***(„დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო“*** – *დაბ. 1, 31).* სიბრძნის სახელით იგი ამბობს: ***„მაშინ მე გვერდით ვყავდი, როგორც ოსტატი, დღენიადაგ სიხარული ვიყავი და ყოველ წამს მის წინაშე ვლაღობდი“*** (იგავნი, 8, 22-30).

უსაფუძვლოა, ყველა მოყვანილ და მსგავს სახეებში პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ და დავინახოთ ღმერთისგან განსხვავებული პიროვნება, სულიერი არსება, სამყაროს სული ან სამყაროს იდეა. ამას არ შეესაბამება აქ მოცემული სახეები: იდეური „სამყაროს არსი“ არ შეიძლება წოდებულიყო სამყაროს შექმნის „თანმხლებად“ (იხ. სიბრ. სოლომ. 9, 9), – თანხლება შეუძლია მხოლოდ შემოქმედისა და ქმნილებისათვის უცხოს; ასევე ვერ იქნება შესაქმის იარაღი, თუკი თვით ქმნილი სამყაროს სულს წარმოადგენდა. ამგვარად, მოყვანილი გამონათქვამები ხატოვან გამონათქვამებად უნდა მივიჩნიოთ.

დასასრულ, იგავთა წიგნის ავტორი აზრებით მაღლდება და წინასწარმეტყველურად და ხატოვნად გადმოგვცემს ახალ საღვთო განგებულებას, რაც გაცხადდა მაცხოვრის ქადაგებაში, სამყაროსა და ადამიანის გამოხსნაში და ახალაღთქმისეული ეკლესიის შექმნაში. ეს წინაგამოხატულება გადმოცემულია იგავთა წიგნის მე-9 თავის პირველ მუხლებში: ***„სიბრძნემ სახლი აიშენა, მისი შვიდი ბოძი გათალა. დაკლა თავისი საკლავი, გააზავა თავისი ღვინო...“*** (9, 1-6). ეს დიდებული სახე თავისი ძალით უტოლდება ძველაღთქმისეულ წინასწარმეტყველთა ნაწინასწარმეტყველებას მაცხოვრის შესახებ. რადგანაც ცხონების განგებულება აღასრულა ძე ღვთისამ, ამიტომ ეკლესიის წმინდა მამები და მათ კვალად, წმიდა წერილის მართლმადიდებელი განმმარტებლები, საღვთო სიბრძნის სახელით, რომელიც არსებითად წმიდა სამებას ეკუთვნის ერთობლიობაში, მოიხსენიებენ წმიდა სამების მეორე ჰიპოსტასს (პირს) – ძე ღვთისას, როგორც წმიდა სამების განჩინების აღმსრულებელს.

ანალოგიურად, იგავთა წიგნიდან ზემომოყვანილი მაგალითები, რომლებიც საღვთო სიბრძნეს ეხება (მე-8 თავიდან), ძე ღვთისადმი მიმართებაში განიმარტება. როდესაც ძველაღთქმისეული მწერლები, რომელთათავისაც სრულად არ არის გაცხადებული ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო, გამოთქვამენ: ***„უფალმა სიბრძნითა თჳსითა დააფუძნა სოფელი“*** (იგავნი, 3, 19), ახალაღთქმისეული მორწმუნისთვის, ქრისტიანისთვის, ნათელია, რომ „უფლის სიბრძნე“ – ეს არის წმიდა სამების მეორე პირი, ძე ღვთისა.

იგი, როგორც წმიდა სამების ჰიპოსტასი, თავის თავში ისევე სრულად იტევს ყველა საღვთო თვისებას, როგორც მამა ღმერთი და სულიწმიდა ღმერთი. მაგრამ, როგორც ამ თვისებების განმცხადებელს, რაც სამყაროს შექმნასა და მის გამოხსნაში გამოვლინდა, მას ეწოდება ჰიპოსტასური საღვთო სიბრძნე. ამავე თვალსაზრისით, ძე ღვთისა შეიძლება იწოდებოდეს ჰიპოსტასურ სიყვარულადაც *(ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი),* ასევე ჰიპოსტასურ ნათლად ***(„ცირედჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა“*** *– იოანე, 12, 35),* ჰიპოსტასურ ცხოვრებად (ღვთისმშობლის ხარების კანონის მე-8 გალობა) და ღვთის ჰიპოსტასურ ძალად ***(„ვქადაგებთ ქრისტესა... ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“*** *– 1 კორ. 1, 23, 24).*

ყურადღება მივაპყროთ წიგნის „სიბრძნე სოლომონის“ მე-7 თავსაც. აქ ადამიანისთვის ღმერთისგან ბოძებული სიბრძნის შესახებ ნათქვამია, რომ ***„იგია სული გონიერი, წმიდა, მხოლოდშობილი, მრავალწლიანი, ნატიფი, მოძრავი, მკაფიო, შეურყვნელი, ნათელი, უვნებელი,... კაცთმოყვარე,... უშფოთველი, ყოვლადძლიერი, ყოვლისმხედველი,... იგია საუკუნო ნათელის ანარეკლი...“*** (სიბრ. სოლომ. 7, 22-30). ქრისტიანისთვის ამ

სიტყვებში ცხადდება – ძველაღთქმისეული კეთილმსახური მწერლისთვის უკვე გაცხადებული – ჭეშმარიტება სულიწმიდის მსოფლიოზე გარდმოვლენილი მისი მადლისა და მორწმუნეთა განმანათლებელი სახიერების შესახებ. „გონიერი სულის“ აქ აღნიშნული თვისებები: წმიდა, კაცთმოყვარე, ყოვლადძლიერი, ყოვლისმხედველი, – ასევე შეიძლება მიესადაგოს ცნებებს: „სამყაროს იდეა“ ან „სამყაროს სული“.

სოფია, ღვთის სიბრძნე

„მოვიჯსენე დღეთა პირველთაჲ“ (ფს. 142, 5)

ჩვენ არ გვსურს, მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ფილოსოფიურ იდეებზე, ეგრეთ წოდებული „სოფიანობაზე“. არცთუ დიდი ხნის წინ მოდური სისტემა „სოფიანობისა“, როგორც ჩანს, კარგავს მისდამი ძველ ინტერესს და ალბათ, დიდხანს ვერ დარჩება სიცოცხლისუნარიანი.

ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, რაც უშუალოდ თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს სულსა და ცხოვრებას ეხება: ეს არის ჩვენი გონება. **გონების სიდიდე**, **გონებით ხელმძღვანელობა, გონების ნათელი**, და იმავდროულად – **გულის გონება**, **გულის გონიერი თვალები**. ***„მომმადლენ თვალნი გონიერნი გულისა ჩემისანი, ნუუკუე დავიძინო მე სიკუდიდ“***. ასე გამოთქვამენ ხშირად ჩვენი ქრისტიანი მოძღვრები, ეკლესიის მამები და მოღვაწეები, როდესაც საუბრობენ გონების მნიშვნელობაზე ჩვენი ქცევისა და ცხოვრებისეული მსოფლმხედველობის ფორმირებაში. ეს გამონათქვამები მიანიშნებს, რომ გონება არის ადამიანის სულის სინათლე, მისი ყველაზე მაღალი ფასეულობა, ცხადი და, იმავდროულად, ღრმად იდუმალი. გონება გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე თავის ტვინი; იგი თავისთავად მსჭვალავს ჩვენს არსებას და ამოუცნობი გზით მთელ ორგანიზმში მოქმედებს. გონება არის შემოქმედის მიერ ჩვენს ბუნებაში ჩადებული შემოქმედებითი ძალა. ამავე დროს – ჩვენი ორგანიზმის მოქმედების წყარო და წარმმართველი; გონება აერთიანებს მთელ ჩვენს ფსიქიკას, მაშასადამე, მასში შედის ჩვენი **რწმენაც**, როგორც შესაძლებლობა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შინაარსის შემცველია ის; რწმენა, როგორც **ნდობა**, როგორც სასიცოცხლო ძალა – როგორ ვიცხოვრებდით, რომ არ გვჯეროდეს ხვალინდელი დღის? ადამიანი არ არის ყოვლისმცოდნე, მაგრამ ენდობა სხვების ცოდნას, გამოცდილებით აქვს ურთიერთობა ყოველივესთან, რაც მის გარშემო არსებობს. გონება და რწმენა ორი პარალელური სტიქია კი არ არის ადამიანში, არამედ სულის ორი ურთიერთგანმსჭვალავი თვისება. რწმენის უმაღლესი ფორმა კი არის რელიგიური სარწმუნოება. შეუძლებელია, ადამიანის ცნობიერებაში ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა, რომელიც მის ცხოვრებას აზრს შესძენს, თუ მას მხოლოდ თავის ან, თუნ-

დაც, სხვების ცოდნაზე დააფუძნებს. ადამიანის მიერ ცოდნისა და სარწმუნოების სფეროში მიღწეულმა თანხმობამ, ძველთაგანვე მიიღო სახელწოდება „სიბრძნე“, როგორც გონიერების უმაღლესმა მწვერვალმა. ამიტომ, ქრისტიანული ცნობიერებით, გონიერების ცნება მოიცავს სარწმუნოებასაც, როგორც მთელი – ნაწილს.

სიბრძნე შეიმეცნება არა განსწავლულობით, არამედ ცოდნისა და სარწმუნოების ჰარმონიით, როგორც ადამიანის შემეცნების უდაბლეს, ისე გაცილებით უმაღლეს საფეხურზეც. ახალი დროების კულტურული მიღწევებით გატაცებამ, **აღორძინების ეპოქიდან** მოყოლებული, დაარღვია ამ გაგებით ადამიანური ცნობიერების წონასწორობა. მეცნიერების პოზიტიური მეთოდის პრინციპები, – რაც ბუნებრივად მისაღებია ზუსტ მეცნიერებებსა და არაცოცხალი მატერიის სფეროში, სადაც გამოიყენება მათემატიკური განზომილებები და მიიღება დასკვნები, – **ახალ ცხოვრებაზეც** გავრცელდა. ადამიანებმა მასზე დაყრდნობით დაიწყეს საყოველთაო საკაცობრიო მსოფლმხედველობის აგება. ასე დაიწყეს მსოფლიოში სულიერი საწყისების უარყოფა, ხოლო ამ მსოფლმხედველობაში დარჩენილ „თეთრ ლაქას“, სამეცნიერო მიღწევების არასრულყოფილებით ხსნიან.

ღვთის ბრძანებითა და მისგან ბოძებული ძალებით, სამყაროს შექმნის პროცესი მარტივიდან რთულამდე, მსოფლიო ისტორიის განვითარება უდაბლესიდან უმაღლეს საფეხურამდე, გამოსახულია შესაქმის წიგნის – ამ ძველი, მაგრამ ადამიანური მსოფლმხედველობის უდიდესი და უწმინდესა ძეგლის – პირველივე გვერდებზე, რომელიც შეინარჩუნა კაცობრიობის ერთმა პატარა შტომ – იუდაურმა ერმა. ხოლო, წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნები, მთლიანობაში, წარმოგვიჩენს როგორც რელიგიური წარმოდგენების აღმავლობისა და სრულყოფილების, ისე ზნეობრივი ცნებების გაღრმავების ცოცხალ ისტორიას. ქვემომოყვანილი საუბარი ბიბლიის ერთერთი ნაწილის, კერძოდ, სამოძღვრო წიგნების შესახებ, დაგვეხმარება მასზე წარმოდგენის შექმნაში.

თანამედროვე მეცნიერება, ეყრდნობა რა ევოლუციის პრინციპს, არ უარყოფს დეგრადაციის ფაქტებსაც. ჩვენს დროში გაბატონებული მატერიალური მსოფლმხედველობა ხომ არ არის ასეთი დეგრადაციის გამოხატულება? თვით სიტყვა **ევოლუცია,** ნიშნავს **განვითარებას.** მაგრამ განვითარება, ფართო გაგებით, ორი სახისაა: ერთი, რომელიც მიმართულია ცხოვრების სავსებისაკენ, სიცოცხლისუნარიანობისაკენ, როგორც ვითარდება მცენარეები; მეორე – მოკლებისაკენ, როგორც ეს ხდება ქაღალდის ან ძაფის გორგალის შემთხვევში.

ათეისტური ცნობიერებისათვის გონება მილიონობით წლის განმავლობაში განვითარების პროცესის შედეგია.

ამ დროს რელიგიური ცნობიერება ამბობს: „ჩვენ სწორედ იმიტომ შეგვიძლია აზროვნება, რომ არსებობს უსაზღვრო აზრი; იმიტომ შეგვიძლია სუნთქვა, რომ არსებობს ჰაერის სივრცე. აი, რატომ ეწოდება ნათელ აზრებს რაიმე თემაზე ზეგარდამო შთაგონებული. სწორედ უკიდეგანოდ მოაზროვნე ღვთის სულის არსებობით არის განპირობებული ჩვენი მუდმივი აზროვნება“ *(წმინდა იოანე კრონშტადტელი).*

განა შეიძლება გონების ღირსების ამაზე მეტად წარმოჩინება, ვიდრე ეს გამოხატულია წმინდა იოანეს სიტყვებში?

„მოვიჯსენე დღეთა პირველთაჲ“. მოვიხსენოთ ამჯერად სამ ათასწლოვანი აზრები გონებისა და სიბრძნის შესახებ, რომელიც ძველი აღთქმის ადამიანებს ეკუთვნოდა.

ნათელი და წყვდიადი

რაც მეტად იკვლევს თანამედროვე მეცნიერება კაცობრიობის წარსულს, მით ნათლად ჩანს, რომ ადამიანმა თავიდანვე იცოდა ეს ორი დიდი ცნება: ღმერთის რწმენა და აზრი უკვდავების შესახებ (ბიბლიაში – სამოთხის **ხე ცხოვრებისა**). აღიარებული იყო: თუ არ არსებობს მარადიულობა ღმერთში, მაშინ ადამიანის ხანმოკლე და არამყარი ცხოვრების შემდეგ (თუნდაც ის **ბედნიერი** იყოს) ყოველთვის დგება სიკვდილი, რაც უძირობაში შთავარდნას, სიცარიელეს, წყვდიადს ნიშნავს. და ეს უიმედო სიკვდილი მიწიერ ცხოვრებას მთელ აზრს უკარგავს. ურწმუნო ადამიანის მსოფლმხედველობაში უკანასკნელი სტრიქონი – სიცარიელე და წყვდიადია.

სხვაგვარია ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რასაც მოკლედ **რწმენა** ეწოდება. სწორედ მას შეაგონებდა უფალი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს და მთელ ერს მთაზე ქადაგებაში. ***„იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა... სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“*** (მათე, 6, 20, 21); ***„სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს*** (ანუ ჯანსაღი), ***ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს*** (მაშინ ნათლად დაინახავ საკუთარ თავს, ყოველ ნაბიჯს, მოქმედებას)**“** (მათე, 6, 22). ***„უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი შენი ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენ-მე?“*** (მათე, 6, 23). საშინელი წყვდიადი მოელის ადამიანს მომავალში, ვინც ჯერ კიდევ მიწაზე დაიხშო ღვთაებრივი ნათელი... ფრთხილად იყავი, ადამიანო, რომ თავი თავადვე არ გამოაცხადო ურწმუნოდ, ათეისტად, ამით წინასწარ არ განისაზღვრო „გარესკნელის ბნელი“ (გარე, ანუ ღვთის ნათელის გარეშე) და არ აღმოჩნდე ყველგანმყოფი ღვთისგან განრინებული...

არაკანონიკური, მაგრამ ეკლესიის მიერ შეწყნარებული წიგნის „სიბრძნე სოლომონისა“ ავტორი, ბოლო ორ თავში აღგვიწერს **ეგვიპტური**

ბნელის საშინელ სახეს, რომელმაც მთელი ეგვიპტე სრულად მოიცვა იქიდან იუდეველების გამოსვლის წინ, – ეს ერთგვარი სიმბოლოა იმ სხვა, **მარადიული ბნელისა**.

მორწმუნე ადამიანისთვის, ქრისტიანისთვის, ***„ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“*** (იოანე, 1, 5). მთაზე ნაქადაგებს ლუკა მახარებელი უფლის შემდეგ შეგონებებს ურთავს: ***„უკუეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არარაჲ აქუნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ“*** (ლუკა, 11, 36).

აი, სარწმუნოების როგორ *სანთლებზე* დგას და მტკიცდება დასაბამიდან ერთი, წმიდა, კათოლიკე სამოციქულო ეკლესია.

ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

1. Св. Афанасий Великий. Послание 39. О праздниках.
2. Св. Кирилл Иерусалимский. Предогласительное слово для приступающих к крещению.
3. Св. Кирилл Иерусалимский. Огласительное слово 5. гл. 12.
4. Св. Кирилл Иерусалимский. Вступительное слово к просвященным.
5. Св. Василий Великий. Правило 97. О Святом Духе. гл. 27.
6. Св. Григорий Богослов. Слово 22. О Святой Троице.

I. ცნება ღვთისა

1. Св. Григорий Богослов. Слово 43. О Святом духе.
2. Св. Иоанн Кронштадтский `Моя жизнь во Христе" т.1. стр.242.
3. Св. Кирилл Иерусалимский. Огласительные поучения. Слово 6.
4. Св. Григорий Нисский. На свое рукоположение. 4,3
5. Св. Григорий Богослов. Слово 20. Краткое учение о Боге.
6. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл. 1.
7. Св. Кирилл Иерусалимский. Огласительные поучения. Слово 6,5.
8. Св. Василий Великий. О вере.
9. Св. Ириней Лионский. Против ересей. кн.2. гл.2.
10. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл. 2.
11. Св. Григорий Богослов. Слово 28. О Богословии.
12. Митр. Филарет. Пространный катехизис православной Церкви. п.1,86.
13. Св. Григорий Богослов. Слово 31. О Богословии; Слово 5. О Святом Духе.
14. Св. Иоанн Златоуст. Беседы на книгу Бытия. 17,2.
15. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл.11
16. Св. Григорий Богослов. Слово 23. О мире.
17. Св. Климент Александрийский. Увещание к язычникам. гл.10.
18. Св. Иоанн Златоуст. Толкование на псалом 113.
19. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл.14.
20. Св. Иоанн Златоуст. Беседы на книгу Бытия.
21. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл.21.
22. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл.8.

II. ყოვლადწმიდა სამების დოგმატი

1. Бл. Августин. Трактат о Троице.
2. Св. Ириней Лионский. Против ересей. кн.3. гл.10.
3. Св. Василий Великий. О Святом Духе. гл.25,27.
4. Св. Григорий Богослов. Слово 31. О Богословии.
5. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.1. гл.8.
6. Св. Григорий Богослов. Слово 29. О Богословии 3. О Боге Сыне 1.
7. Св. Афанасий. De sentent. Dionis. n. 15
8. Св. Иоанн Кронштадтский "Моя жизнь во Христе".
9. Sinopsis Theologiae Dogmaticae specialis. Auctore D—re A. Sanda. v.1. 1916.
10. Бл. Феодорит Киррский. О третьем Вселенском Соборе.

11. Св. Григорий Богослов. Слово 30. О Боге Сыне 2.
12. Бл. Феофилакт Болгарский. Толкование на Евангелие от Матфея.
13. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч. 4. гл.8.
14. Св. Афанасий Великий. Слово против ариан.
15. Св. Василий Великий. Слово против Евномия.

III. ᲦᲛᲔᲠᲗᲘ – ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

1. Бл. Августин. О граде Божием. ч.11. гл.6.
1. Бл. Августин. О граде Божием. ч.11. гл.7.
3. Православное исповедание веры. п.7.
4. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.2.
5. Бл. Августин. Против ересей.
6. Св. Ириней Лионский. Против ересей. кн.5. гл.6.
7. Св. Иоанн Кронштадтский "Моя жизнь во Христе".
8. Православное исповедание веры. п.8.
9. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.2.
10. Св. Григорий Богослов. Слово 4. О мире.
11. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.3.
12. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.3.
13. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.3.
14. Св. Кирилл Иерусалимский. Огласительное слово. 15.
15. Православное исповедание веры. п.20.
16. Св. Григорий Двоеслов. Пастырские наставления.
17. Св. Дионисий Ареопагит. О небесной иерархии.
18. Св. Григорий Богослов. Песнопения таинств. Слово 6.
19. Св. Григорий Богослов. Слово 28. О Богословии.
20. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.12.
21. Св. Григорий Богослов. Слово 7. О Душе.
22. Св. Иоанн Златоуст. Толкование на книгу Бытия.
23. Митр. Макарий. Православное догматическое богословие. т.1. с.430—431.
24. Св. Григорий Богослов. Слово 7. О Душе.
25. Св. Иоанн Кронштадтский "Моя жизнь во Христе".
26. Митр. Макарий. Православное догматическое богословие.
27. Св. Василий Великий. Беседы на шестоднев.

IV. ᲦᲛᲔᲠᲗᲘ – ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ

1. Св. Иоанн Златоуст. К Стагир. Слово 1.
2. Митр. Филарет. Пространный катехизис православной Церкви. ч.2. п.127.
3. Св. Афанасий Великий. Против язычников. п.42.
4. Св. Ириней Лионский. Против ересей ч.4. кн.38.гл.3.
5. Еп. Сильвестр. Опыт православного догматического богословия. т.3.
6. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.2. гл.12.

V. ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

1. Св. Иоанн Кронштадтский "Моя жизнь во Христе".
2. Протоерей Светлов. Крест Христов.
3. Св. Кирилл Александрийский. О вочеловечении Господа.
4. Св. Кирилл Александрийский. О вочеловечении Господа.
5. Послание восточных патриархов п.14.

VI. ღმერთი – სამყაროს გამომხსნელი

1. Деяния Вселенских Соборов. т.3.
2. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.3. гл.17.
3. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.3. гл.7,8.
4. Послание восточных патриархов п.6.
5. Св. Иоанн Кронштадтский. Слово на Воздвижение Креста. Смысл тайны Креста.
6. Св. Григорий Богослов. Слово на Пасху.
7. Бл. Феодорит Киррский. Краткое изложение божественных догматов.
8. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.3. гл.3.
9. Православное исповедание веры. ч.1. п.46.
10. Св. Иоанн Златоуст. Слово на Пасху.
11. Св. Симеон Новый Богослов. Слово 45. На Пасху.
12. Послание восточных патриархов п.10.

VII. ქრისტეს ეკლესია

1. Св. Иоанн Златоуст. Сочинения. т.2. стр.2.
2. Деяния Вселенских Соборов. т.1. стр.126.
3. Деяния Вселенских Соборов. т.1. стр.570.
4. Деяния Вселенских Соборов. т.1. стр.365.
5. Деяния Вселенских Соборов. т.3. стр.192.
6. Послание восточных патриархов. п.10.
7. Св. Иоанн Златоуст. Похвальное слово святому мученику Роману.
8. Св. Иоанн Кронштатдский. Мысли о Церкви и православном богослужении.
9. Св. Григорий Богослов. Прощальное слово перед отцами Второго Вселенского Собора.
10. Св. Григорий Богослов. Слово 33—е. Против ариан.
11. Послание восточных патриархов. п.12.
12. Послание восточных патриархов. п.11.
13. Митр. Филарет. Пространный православный катехизис. п.9.
14. Св. Василий Великий. Писмо к Амфилохию. Правило 1.
15. Св. Игнатий Антиохийский. Послание к Смирнянам. п.8.
16. Митр. Филарет. Пространный православный катехизис. п.9,270.
17. Св. Иустин Мученик и философ. Первая апология, 65.
18. Св. Игнатий Антиохийский. Послание к Траллианам. п.2. Послание к Смирнянам. п.8.
19. Св. Игнатий Антиохийский. Послание к Смирнянам. п.8.
20. Тертуллиан. Против Маркиона. 4,5.
21. Св. Ириней Лионский. Против Ересей. кн.3. гл.3.
22. Тертуллиан. О предписаниях против еретиков.

VIII. ეკლესიის სათნოება

1. Правило Третьего Карфагенского Собора 125(126,127).
2. Св. Симеон Новый Богослов. Слово 4.
3. Св. Симеон Новый Богослов. Слово 2.
4. Св. Игнатий Антиохийский. Послание к Траллианам. п.2.
5. Митр. Филарет. Пространный православный катехизис. п.9,283.

6. Послание восточных патриархов. п.15.
7. Св. Симеон Новый Богослов. Слово 4.
8. Св. Григорий Богослов. Слово 40. На Святое Крещение.
9. Св. Дионисий Ареопагит. О небесной иерархии. гл.2.
10. Св. Киприан Карфагенский. Послание 57.
11. Св. Василий Великий. Слово 13. Побудительная к принятию Крещения.
12. Св. Кирилл Иерусалимский. К новопросвященным. 3,1—2.
13. Послание восточных патриархов. п.17.
14. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.4. гл.14.
15. Св. Иоанн Златоуст. О Священстве. Слово 3.
16. Св. Иоанн Златоуст. Беседы на Евангелие от Матфея.
17. Деяние Вселенских Соборов. т.4. стр.298.
18. Св. Ириней Лионский. Против ересей. кн.3.
19. Митр. Филарет. Пространный православный катехизис. п.10,361.

IX. ლოცვა

1. Митр. Макарий. Православное догматическое богословие.

X. ქრისტიანული ესქატოლოგია

1. Митр. Макарий. Православное догматическое богословие. т.2. с.538.
2. Послание восточных патриархов. п.18.
3. Послание восточных патриархов. п.18.
4. Прп. Ефрем Сирин. О страхе Божием и последнем суде.
5. Прп. Иоанн Дамаскин. Точное изложение православной веры. ч.4. гл.28.
6. Св. Иоанн Златоуст. Беседы на Евангелие от Матфея. 23.
7. Св. Иоанн Златоуст. Слово к Федору. 1.
8. Св. Ириней Лионский. Против ересей. кн.5. гл.27.
9. Св. Григорий Богослов. Слово 40. На Светое Крещение.
10. Св. Иоанн Златоуст. Беседы на Евангелие от Матфея. 70.
11. Добротолюбие. т.1. стр.150.
12. Св. Кирилл Иерусалимский. Огласительное слово.
13. Прп. Ефрем Сирин. О небесных обителях.
14. Митр. Макарий. Православное догматическое богословие. т.2. с.674.

მთარგმნელის მიერ გამოყენებულია წმინდა წერილის შემდეგი წიგნები:

„მცხეთური ხელნაწერი“, 5 ნაკვეთად, გამომცემლობა „მეცნიერება“ (1981–1986 წწ.); „ახალი აღთქუმაჲ“, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა 2003 წ.; „ფსალმუნნი“, ახალი, შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, 2006 წ.

შინაარსი

წიგნის ავტორის შესახებ 4

წინასიტყვაობა 5

ეკლესიის ზრუნვა ქრისტიანული სწავლების სიწმინდეზე 7

დოგმატთა წყაროები 9

რას ეწუძნება დოგმატები? 9

წმინდა წერილი 9

წმინდა გადმოცემა 10

ეკლესიის კრებითი ცნობიერება 13

დოგმატი და კანონი 14

ეკლესიის წმინდა მამათა და მასწავლებელთა თხზულებანი, როგორც სახელმძღვანელო სარწმუნოების საკითხებში 15

სარწმუნოების ჭეშმარიტებანი ღვთისმსახურებაში 15

მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების გადმოცემები 16

სიმბოლური წიგნები 16

დოგმატური სისტემები 16

დოგმატური ღვთისმეტყველების ამოცანა 17

დოგმატიკა და რწმენა 18

ღვთისმეტყველება და მეცნიერება ღვთისმეტყველება და ფილოსოფია 19

I. რწმენა ღვთისა 20

რაოდენ შევიცნობთ ღმერთს? 21

სალვთო არსებასა და თვისებებზე 25

რას ადასტურებს წმინდა წერილი სალვთო თვისებათა შესახებ? 28

ღმერთი – სული 28

საუკუნო 30

ყოვლადსახიერი 31

ყოვლისმპყრობელი 32

ყოვლადმართალი 33

ყოვლისშემძლე 34

ყველგანმყოფი 34

უცვალებელი 35

სრულადკმა და ყოვლადნეტარი 36

ერთი ღმერთის შესახებ 37

II. ყოვლადწმიდა სამების დოგმატი 39

სამპიროვანი ღმერთისა და სალვთო ერთარსობის შესახებ 40

დადასტურებანი წმინდა წერილიდან: ძველი აღთქმა 40

დადასტურებანი წმინდა წერილიდან: ახალი აღთქმა 42

ყოვლადწმიდა სამების

დოგმატის აღიარება ძველ ეკლესიაში 43

საღვთო ჰირთა ჰიროვნულ თვისებათა შესახებ 46

მეორე ჰირის „სიტყვად“ სახელდება 47

სულიწმიდის გამომავლობის შესახებ 49

ყოვლადწმიდა სამების ჰირთა ერთარსობა, თანასწორობა და თანადიდებულება 52

მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსობა,თანასწორობა და თანადიდებულება 53

მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდის ერთარსობა, თანასწორობა და თანადიდებულება 59

დოგმატური ღვთისმეტყველების მეორე ნაწილზე გადასვლა 61

III. ღმერთი – სამყაროს შემოქმედი 62

როგორ შეიქმნა სამყარო 64

შესაქმისათვის აღძრა 65

შესაქმის სრულყოფილების შესახებ 66

ანგელოზთა სამყაროს შექმნა, მათი ბუნება და დანიშნულება 67

ანგელოზები წმინდა წერილში 67

ანგელოზთა შექმნა 68

ანგელოზთა ბუნება 69

ანგელოზთა სრულყოფილების ხარისხი 69

ანგელოზთა რიცხვი; ანგელოზთა დასები 70

ანგელოზთა მსახურება 74

ადამიანი – გვირგვინი შესაქმისა 75

სული, როგორც სხეულისაგანგანსხვავებული, თვითმყოფადი სუბსტანცია 78

ცალკეულ ადამიანთა სულების წარმომავლობის შესახებ 79

სულის უკვდავება 81

სამშვინველი და სული 84

ღვთის ხატი ადამიანში 86

ადამიანის დანიშნულება 87

ქმნილების სიდიადიდან შემოქმედის უდარებელ სიდიადემდე 88

IV. ღმერთი – სამყაროს განმგებელი 90

ღვთის განგებულება საერთოდ სამყაროზე 90

ღვთის განგებულება ადამიანის მიმართ მის დაცემამდე 93

V. ბოროტება და ცოდვა სამყაროში 96

ბოროტება და უბედურებანი 96

მწუხარება და ცოდვა 96

ზნეობრივი ბოროტების არსი 97

ბოროტების წარმოშობა 97

დაცემა ანგელოზთა სამყაროში 98

ბნელ და ბოროტ სულთა სამყარო 98

ადამიანთა ცოდვით დაცემა 100

რატომ იყო ადამიანთა ცოდვით დაცემა შესაძლებელი? 100

ცოდვით დაცემის ისტორია 100

რატომ იყო ნაყოფის შეჭმა ცოდვა? 101

ცოდვით დაცემის ზნეობრივი შედეგები 101

ცოდვით დაცემის ფიზიკური შედეგები 103

უგედურებანი და სიკვდილი, როგორც სასჯელი ღვთისა 103

ღვთის სასუფევლის დაკარგვა, როგორც ცოდვით დაცემის უმძიმესი შედეგი 104

ღვთის მოწყალება დაცემული ადამიანისადმი 105

პირველქმნილი ცოდვა 105

VI. ღმერთი – სამყაროს გამომხსნელი 109

განგებულება ჩვენი გადარჩენისა 109

კაცთა მოდგმის განმზადება მაცხოვრის მისაღებად 109

ძე ღვთისას მოსვლა და განხორცხებელება დედამიწაზე 115

უფალი იესო ქრისტე – ღმერთი ჩუმმარიტი 115

უფალ იესო ქრისტეს კაცობრივი ბუნების შესახებ 117

ეკლესიის ბრძოლა ცდომილებებთან, რაც ეხება იესო ქრისტეს – ღმერთსა და ადამიანს 118

უფალ იესო ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნების შეერთების გვაროვა 120

იესო ქრისტეს კაცობრივი ბუნების უცოდველობის შესახებ 122

ქრისტეს ჰიპოსტასის ერთიანობა 122

ქრისტესადმი ერთიანი თაყვანისცემის შესახებ 123

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დოგმატები 124

ღვთისმშობლის მარადისქალწულობა 124

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი ღვთისმშობელია.....125

რომის ეკლესიის მიერ ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვისა და ხორცშეელი ამაღლების დოგმატთა აღიარების შესახებ 127

ყოვლადწმიდა ქალწულის გულის კულტი რომის ეკლესიაში.....129

გამოსყიდვის დოგმატი 129

გადარჩენის საერთო იკონომია..... 131

სამყაროს მდგომარეობა მაცხოვრის მოსვლის წინ 131

სამყაროს საყოველთაო ხსნა ქრისტეს მიერ.....133

პიროვნული გარდაქმნა და ახალი ცხოვრება ქრისტესთან 135

სიტყვა „გამოსყიდვის“ მნიშვნელობა მოცემულთა მიხედვით.....136

უფლის სამმხრივი მსახურება.....140

ქრისტე – მღვდელთმთავარი.....141

ქრისტე – მახარებელი (უფლის, როგორც წინასწარმეტყველის, მსახურება).....142

ქრისტე – მსოფლიოს მთავარი და მეუფე(ქრისტეს, როგორც მეფის, მსახურება) 143

როგორ უნდა გვესმოდეს„ადამიანის განღმრთობა ქრისტეს მიერ“?. 144

ქრისტეს აღდგომა და მისი ნაყოფნი ხსნისა 145

ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება.....145

წმინდანთა ნეტარება ზეცად და ქრისტეს დიადი სამეუფოს –

მოზეიმე ზეპირული ეკლესიის – დაბრუნება 147

სულიწმიდის გარდამოსვლა და ქრისტეს ეკლესიის დაბრუნება დედამიწაზე 149

VII. ქრისტეს ეკლესია 150

ცნება ქრისტეს მიწიერი ეკლესიის შესახებ 150

ეკლესიის არსებობის დასაწყისი, მისი ზრდა და დანიშნულება ... 151

ეკლესიის თავი 153

ქრისტეს მიწიერი ეკლესიის მჭიდრო კავშირი ზეპირულ, წმინდანთა ეკლესიასთან 156

ეკლესიის თვისებები 159

ერთი ეკლესიის შესახებ 159

ეკლესიის სიწმინდე 161

ეკლესიის კათოლიკობა 163

სამოციქულო ეკლესია 164

საეკლესიო იერარქია 168

მოციქულები 169

ეპისკოპოსები 170

პრესვიტერები 170

დიაკვნები 171

იერარქიის სამი ხარისხი 172

საეკლესიო კრებები 174

ეპისკოპოსობის მემკვიდრეობითობა და უწყვეტობა ეკლესიაში. 174

მწყემსობის დანიშნულება ეკლესიაში 175

VIII. ეკლესიის საიდუმლონი 176

ეკლესიის ხსოვრება სულიწმიდით 176

ახალი ხსოვრება 176

მადლი 177

სულთო განგებულება და მადლი 180

საიდუმლონი 180

ნათლისღების საიდუმლო 183

ნათლისღების საიდუმლოს დაწესება 183

საიდუმლოს მნიშვნელობა 184

საიდუმლოს აღსრულების მეთოდი 184

ნათლისღების აუცილებლობა 185

ნათლისღების განუმეორებლობა 186

ნათლისღება, როგორც კარი სხვა მადლმოსილ ნიჭთა მისაღებად 186

მირონცხების საიდუმლო 187

საიდუმლოს აღსრულების თავდაპირველი გზა 188

მირონი და მისი კურთხევა 190

ევქარისტიის საიდუმლო 191

საიდუმლოს დაწესების წინ 191

საიდუმლოს დაწესება და მისი აღსრულება მოციქულთა ეკოქაში 192

ჯვრისა და ღვინის გადაქცევა ევქარისტიის საიდუმლოში 194

კერძო დებულებანი წმინდა კლვენში უფალ იესო ქრისტეს მყოფობის გვაროვნების შესახებ 196

ევქარისტიის დამოკიდებულება გოლგოთის მსხვერპლთან 197

ევქარისტიის, როგორც მსხვერპლის მნიშვნელობა 197

ლიტურგიკული ხასიათის დასკვნები 198

წმინდა საიდუმლოთა ზიარების აუცილებლობა და მაცხონებლობა 199

სინანულის საიდუმლო 200

საიდუმლოს დაწესება 201

ეპიტიმიები 203

მღვდლობის საიდუმლო 206

ქიროტონია ძველ ეკლესიაში 206

გამორჩევა და დადგინება ძველ ეკლესიაში 208

საიდუმლოს არსი და მისი აღსრულების სიტყვები 209

ეპისკოპოსთა უქორწინებლობა 209

ქორწინების საიდუმლო 210

ქრისტიანული ოჯახის დანიშნულება 210

საიდუმლოს მნიშვნელობა 211

საიდუმლოს მთავარი მომენტი 211

ქორწინება, როგორც ღვთის მიერ დადგენილი 212

ქორწინების დაუშლელობა 212

ზეთის კურთხევის საიდუმლო 213

საიდუმლოს არსი 213

საიდუმლოს ღვთაებრივი დაწესება 213

IX. ლოცვა 216

ლოცვა, როგორც ეკლესიის შიდა ცხოვრების გამოხატულება 216

ეკლესიის წევრთა სულიერი კავშირი ლოცვის დროს 216

ლოცვა მიცვალებულთათვის 217

ლოცვითი ერთობა წმინდანებთან 220

ლოცვის გარეგნული მხარეების შესახებ 223

ღვთისადმი სხეულით თაყვანისცემა 223

ხატთა თაყვანისცემა 224

წმინდა ნაწილების თაყვანისცემა 226

ქრისტიანის გზა. ჯვარი ქრისტესი – გზა, ძალა და ნიშანი ეკლესიისა 229

X. ქრისტიანული ესქატოლოგია 233

ღმერთი – სამყაროს მსაჯული 233

სამყაროსა და კაცობრიობის მომავალი 233

ადამიანის სიკვდილის შემდგომი ხვედრისაყოველთაო სამსჯავრომდე 233

კერძო სამსჯავრო 233

უფლის მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს დღის მოახლოების ნიშნები (მათე, თავი 24-ე) 236

ძე კაცისას მეორედ მოსვლა (მათე, თავი 25-ე)..... 237

მიცვალებულთა აღდგომა(1 კორინთელთა, თავი მე-15)..... 238

ქილიაზმის შეუმდგარობა..... 240

ალასარული ამა სოფლისა (2 პეტრე, თავი მე-3)..... 242

საყოველთაო სამსჯავრო (გამოცხადება, თავები: 21-ე, 22-ე)..... 243

სუფევა დიდებისა..... 247

ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.....249

სოფია, ღვთის სიბრძნე..... 253

ნათელი და წყვდიადი..... 255

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ.....257